



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გ. თუმანიშვილი

სალექციო კურსი

შესავალი საქართველოს კერძო სამართალში
ნაწილი II

სალექციო კურსი შედგენილია: გიორგი გ. თუმანიშვილის მიერ
სალექციო კურსის ხელმძღვანელი: გიორგი გ. თუმანიშვილი

ყველა უფლება დაცულია

თბილისი
2010

წინამდებარე სალექციო კურსი შედგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე. სალექციო კურსში განხილულია სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილის პრობლემები მნიშვნელოვანი საკითხები.

სალექციო კურსი შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის.

სალექციო კურსი განკუთვნილია, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ისე პრაქტიკოსი იურისტებისათვის და სამოქალაქო სამართლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

სალექციო კურსის ავტორი: სამართლის დოქტორი, პროფესორი გიორგი გ. თუმანიშვილი
კორექტორი: სალომე გაგნიძე

კურსის ხელმძღვანელისაგან

წინამდებარე სალექციო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილის არსი. მასში შემავალი სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელობა და მათი სტრუქტურული აგებულება, თითოეული სამართალმდგომარეობის დეტალური შესწავლისა და ანალიზის გზით.

სალექციო კურსში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური საკითხები, როგორცაა: ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, ქირავნობის, ლიზინგის, იჯარის, ფრენშიაზინგის, თხოვების, სესხის, ასევე, ნარდობის, გადაზიდვა-გადაყვანისა და დაზღვევის ხელშეკრულებები. განხილულია ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხები. სალექციო კურსში განხილულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი, დელიქტური ვალდებულებანი.

მნიშვნელოვანია, რომ სალექციო კურსი ასევე მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ საკითხებსა და მათ ანალიზს. სალექციო კურსს თან ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა კანონები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც დაეხმარებიან მკითხველს სალექციო კურსის უკეთ ათვისებაში (შემცენება/გააზრებაში).

გარდა ამისა სალექციო კურსი მოიცავს მრავალ სხვა საკითხს, რომელიც ღირებულია, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით და რომელთა შესწავლაც აუცილებელია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

წარმოდგენილი სალექციო კურსი განკუთვნილია, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთათვის და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ასევე სალექციო კურსში განხილული საკითხების შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის.

სალექციო კურსზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის მსურს მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-სამართლის ფაკულტეტის თანამშრომლებს, ნინი გოგიბერიძესა და მარიამ გიორგობიანს, ასევე ზემოხსენებული ფაკულტეტის სტუდენტებს: სალომე გაგნიძეს, ოთარ ხუციშვილს და მარიამ თუხარელს. ასევე მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩემი მეუღლის ანა კონაშვილის მიმართ, რომელიც მუდამ მამარაგებს სასიცოცხლო ენერჯით და მადლიერებს.

მსურს ასევე მადლიერება გამოვხატო კომპანია „აუდიტესკორტი“-სა იურიდიული კომპანიის „გეჰაძე და პატიეშვილი“-ს მიმართ, რომლებმაც მოგვაწოდეს ხელშეკრულებები, რომლებიც გამოყენებულ იქნება წინამდებარე სალექციო კურსის სწავლებისას

გისურვებთ წარმატებას და პროფესიულ წინსვლას!

პატივისცემით, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი გ. თუმანიშვილი

თბილისი, 2010წ.

სარჩევი

ნასყიდობის ხელშეკრულება	5
ნასყიდობა გადახდის განვადებით.....	14
გამოსყიდვა	15
უპირატესი შესყიდვის უფლება	16
გაცვლის ხელშეკრულება	18
ჩუქების ხელშეკრულება	19
ქირავნობის ხელშეკრულება	21
ლიზინგის ხელშეკრულება	33
იჯარის ხელშეკრულება	50
ფრენშიზინგი	56
თხოვება	61
სესხის ხელშეკრულება	62
ნარდობა	71
ტურისტული მომსახურება	81
გადაზიდვა-გადაყვანა	85
დაზღვევა	96
საბანკო მომსახურება	116
თავდებობა	125
ვასიანი ქაღალდები	127
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	140
დელიქტური ვალდებულებანი	144
ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	148
დანართი	
კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ	165
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	191
ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია.....	226
სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია.....	260
შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ	285
ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეკონირების შესახებ	319
სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ქენევის აქტი	329
კითხვები გამეორებისათვის	352

(ნასყიდობის, გაცვლისა და ჩუქების ხელშეკრულებები)

ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირებით იწყება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი. ნასყიდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელშიც ყველაზე ნათლად არის განსაზღვრული (გამოხატული) ქონების ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლა.

ნასყიდობის ხელშეკრულება პრაქტიკულად იმავე ფორმით, რა ფორმითაც იგი დღეს არსებობს (საკუთრების გადასვლის კლასიკური ვარიანტი) არსებობდა, როგორც ძველ რომში, (კონტრაქტთა კლასიკური სისტემა) ისე, შემდგომ კერძო სამართლის განვითარების ტენდენციების მიუხედავად, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენდა მრავალი სხვა (თანამედროვე) ხელშეკრულებები და ბუნებრივია მომავალშიც (სამოქალაქო ურთიერთობების განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე) აღმოცენდება.

შესაძლებელია ითქვას, რომ დღევანდელ დღეს ნასყიდობის ხელშეკრულება აბსოლუტურად ყველაზე მეტად გავრცელებული (ლიდერი) ხელშეკრულებაა, სამართლიანად აღნიშნა ჯერ კიდევ 2001 წელს პროფესორმა ვლ. ჭანტურიაძემ, რომ იგი სასაქონლო ფულადი ურთიერთობის უნივერსალური საშუალებაა.

ნასყიდობის ხელშეკრულებას ასევე წამყვანი ადგილი უკავია იმ ხელშეკრულებათა (კონტრაქტთა) შორის, რომლებიც იდება საერთაშორისო ვაჭრობისას სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირთა მიერ ან/და, სხვა მესამე ქვეყანაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში. ასეთ ურთიერთობათა (საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები) მოსაწესრიგებლად ქვეყნების მიერ ხელმოწერილია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვენის 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციას (Convention on the International Sale of Goods - CISG)¹. ზემოხსენებულ კონვენციასთან ერთად, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დროს, ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს (ხელშეკრულებების ცალკეული მუხლების ან/და ტერმინების განმარტებასთან მიმართებაში, ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების და ამ ვალდებულებების მოცულობის განსაზღვრის საკითხებს) არეგულირებს არაერთი საერთაშორისო (მრავალმხრივი და ორმხრივი) ხელშეკრულებები, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება მოგვიანებით. ამ ეტაპზე მოდით ვნახოთ, თუ რა ვითარებაა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ნასყიდობის, როგორც სამართლის ინსტიტუტის, ნორმატიული რეგულირება იწყება მისი შინაარსის განმსაზღვრელი, დეფინიციური მუხლით, რომელიც განამტკიცებს ნასყიდობის ხელშეკრულების როგორც სამართლებრივ ბუნებას, ისე მისი შინაარსის ფარგლებს. „ნასყიდობის ხელშეკრულებით

გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი” (სსკ-ს 477-ე მუხლის პირველი ნაწილი).

¹ აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია საქართველოს პარლამენტის 03.02.1994 წლის დადგენილების საფუძველზე.

როგორც ამ მუხლის ანალიზიდან ჩანს, ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური და ამავედროულად, სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. ზემოხსენებული მუხლი ადგენს, ხელშეკრულების მხარეების სახელწოდებებს. ერთის მხრივ - გამყიდველი, ხოლო მეორეს მხრივ - მყიდველი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ფიზიკური თუ იურიდიული პირი აპირებს კონკრეტული (ხელშეკრულების საგანში განსაზღვრული) ქონების შეძენას, ხელშეკრულების მხარე მაინც ორია (გამყიდველი და მყიდველი).

ზოგადი წესის მიხედვით, გამყიდველი არის ის პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის (ქონების) მესაკუთრეს. მაგრამ, მიუხედავად ამ ზოგადი წესისა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ამ წესიდან გამონაკლის შემთხვევასაც, ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამყიდველმა გაყიდა ქონება და ამ ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადავიდა ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ ნივთი ინახება იმ მხარესთან, რომელმაც გაყიდა იგი (ხელშეკრულების დადებამდე - გამყიდველი) ამ შემთხვევაში მხარეს, რომელიც ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით, თუ მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას, ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას და ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში ნივთის (ქონების) გამყიდველი არ არის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის (ერთი შეხედვით) უფლებამოსილი პირი (ამ უფლებამოსილებას ის იძენს მხოლოდ ზემოხსენებულ კონკრეტულ შემთხვევაში და ისიც სსკ-ს 503 მუხლის პირველი ნაწილის ძალით).

ნასყიდობის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ საგანს (ობიექტს) წარმოადგენს ნივთები. ქონება, საქონელი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ნივთს, კერძოდ: მოძრავსა და უძრავ ნივთებს; გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს; მოხმარებით და არამოხმარებით ნივთებს.² ხელშეკრულების საგანთან ერთად, ნასყიდობის აუცილებელი პირობაა ნასყიდობის ფასი. ფასის განსაზღვრა ხდება მხარეთა შეთანხმებით. იბადება კითხვა, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის ფასი პირდაპირ არ არის მოცემული? ბათილია თუ არა ასეთი ხელშეკრულება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია რამოდენიმე გარემოება. 1. მხარეები ნასყიდობის ფასის განსაზღვრისას ნასყიდობის ფასს (კონკრეტული მოცულობით), რომელიც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში ვარაუდობდნენ მათ მიერ არსებული სავაჭრო ურთიერთობებიდან გამომდინარე? იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგნის საბაზრო ფასის მიმართ მხარეების ვარაუდი ერთმანეთს არ ემთხვევა, რამდენად მნიშვნელოვანია ცდომილება გამყიდველის და მყიდველის ნავარაუდევ ფასებს შორის? ასევე მეტად მნიშვნელოვანია საკითხი, დადებდა თუ არა მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებას გამყიდველთან იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ხელშეკრულების საგნის ნავარაუდევი ფასი უფრო დაბალია, ვიდრე გამყიდველის ნავარაუდევი ფასი. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის ფასი პირდაპირ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ამავე ხელშეკრულებაში მიუთითონ (შეთანხმდნენ) ნასყიდობის საგნის ფასის განსაზღვრელ საშუალებებზე.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის - მყიდველის ვალდებულებაა, რომ გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი და ამ მოქმედების განხორციელების გზით იგი იძენს უფლებას, რომ მიიღოს (საკუთრებაში გადმოეცეს) ნაყიდი ქონება. ამ ფორმულირების შესაბამისად, ნასყიდობის საგნის გადაცემა წარმოადგენს ასევე ვალდებულებას, რომელსაც ნასყიდობის ხელშეკრულების ძალით კისრულობს გამყიდველი.

² ავტორთა კოლექტივი (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე*. (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.

მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც ეხება თვით ნასყიდობის პროცესის ხარჯებს. ნასყიდობა, განხილული როგორც განსახორციელებელ მოქმედებათა პროცესი, ბუნებრივია შესაძლოა დაკავშირებული იყოს შესაბამის ხარჯებთან, როგორც არის მაგალითად: აწონის, გაზომვის, შეფუთვის, გაგზავნის, გადაფორმების და მრავალი სხვა ხარჯი. იბადება კითხვა, რომელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ამ ხარჯების დაფარვა? ბუნებრივია, ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხი შესაძლებელია მხარეებმა პირდაპირ ხელშეკრულებაში განსაზღვრონ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეთანხმდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ ხარჯს რომელი მხარე უზრუნველყოფს (გადაიხდის). საერთოდ, ნასყიდობასთან დაკავშირებით, იურისტები ყოველთვის ხუმრობენ ხოლმე, მყიდველი უხდის გამყიდველს ნასყიდობის ფასს და შესაბამისად რა მნიშვნელობა აქვს უშუალოდ ვინ გადაიხდის ამა თუ იმ ხარჯს? ხუმრობა გვერდზე რომ გადავდოთ, პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ის შემთხვევები, როდესაც მხარეებმა წინასწარ, ხელშეკრულებაში პირდაპირ ვერ გაითვალისწინეს ამა თუ იმ კონკრეტულ ხარჯთან დაკავშირებით, თუ რომელი მხარეა პასუხისმგებელი. შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევის დადგომის მომენტში თავს იჩენს ზემოხსენებული დავა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მხარეებს პირდაპირ არ გაუთვალისწინებიათ ხელშეკრულებაში, თუ რომელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ნასყიდობასთან დაკავშირებული (და კონკრეტულად რომელი ხარჯის) გადახდა. ასეთ ხარჯებთან მიმართებაში კანონმდებელი გამოყოფს ორ, ერთმანეთის მსგავს, მაგრამ განსხვავებულ წესს. პირველი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ხარჯები დაკავშირებულია მოძრავი ნივთის ნასყიდობასთან, ხოლო მეორე წესი ეხება უძრავი ნივთის ნასყიდობას.

მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მოძრავი ნივთის ნასყიდობასთან გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები - მყიდველს. როგორც ვხედავთ, ეს წესი დისპოზიციურია, ვინაიდან კანონმდებელი საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მხარეებს, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმდნენ და პირდაპირ გაითვალისწინონ მოძრავი ნივთის ნასყიდობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების პირობები და წესი ხელშეკრულებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია (ობიექტი) უძრავი ნივთი კანონმდებელი ადგენს, რომ მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები. ეს წესიც დისპოზიციურია. შესაბამისად, უძრავი ნივთის ნასყიდობის დროსაც მხარეებს შეუძლიათ ზემომოყვანილი წესისაგან განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ. ამ შემთხვევაში მათ ნასყიდობასთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებაში ანაზღაურების პირობები და წესი პირდაპირ უნდა გაითვალისწინონ (განსაზღვრონ) ხელშეკრულებაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის გაგზავნასთან. შესაძლებელია პირმა შეიძინოს საქონელი, რომელიც მას უნდა გამოეგზავნოს მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. საქონლის გაგზავნის დროს

შესაძლებელია ბევრი ისეთი საკითხი წარმოიშვას, რომელიც დაკავშირებული იქნება როგორც ზიანის ანაზღაურებასთან, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება-შეუსრულებლობასთან. ასე მაგალითად, შესაძლებელია საქონელი გზაში განადგურდეს, ამ შემთხვევაში დადგება საკითხი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაძლოა მყიდველის სურდეს, რომ ნასყიდობის საგანი იყოს დაზღვეული, იბადება კითხვა - ვინ უნდა დადოს დაზღვევის ხელშეკრულება?

თვით ნასყიდობის საგანი უნდა იყოს ტრანსპორტირებული გამყიდველის მისამართიდან (იმ მისამართიდან სადაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფება ხელშეკრულების საგანი) მყიდველის მისამართამდე (ის მისამართი, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში). ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ოპერაცია დაკავშირებულია მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებთან. ვინ უნდა დადოს გადამზიდველთან ხელშეკრულება? ვინ უნდა დააზღვიოს ნასყიდობის საგანი, რა მოცულობით და რა ვადით? ვინ უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება და გაფორმება? საკითხები, რომლებსაც ბადებს თუნდაც ნასყიდობის საგნის გადატანა (გაგზავნა) ერთი ადგილიდან მეორეზე არც ისე მცირეა. სამოქალაქო კოდექსი ცდილობს ნასყიდობის სამართლებრივი ინსტიტუტის ნორმატიული რეგულაციისას ყურადღების გარეშე არ დატოვოს ზემოაღნიშნული შემთხვევები და ადგენს, რომ მაგალითად: თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი. შეტყობინების გაგზავნის ვადას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს, რაც გულისხმობს, რომ შეტყობინება უნდა იყოს გაგზავნილი გონივრულ ვადაში ისე, რომ მყიდველს შეეძლოს მისი მიღება იმ მომენტამდე, სანამ მას მიუვა ნასყიდობის (გამოგზავნილი) საგანი.

მნიშვნელოვანია ნასყიდობის საგნის გაგზავნის ვალდებულების საკითხი. რომელ მხარეს ეკისრება ამ ვალდებულების შესრულება? როგორც ზემოაღნიშნული საკითხების უმრავლესობა, აღნიშნული საკითხიც მხარეებს შეუძლიათ, რომ პირდაპირ განსაზღვრონ ხელშეკრულებაში. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის (მიუხედავად იმისა, აღნიშნული ვალდებულება (გადამზიდველთან ხელშეკრულების დადება) პირდაპირ იკისრა თუ არა მან ხელშეკრულებით).

იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან, მყიდველის, თხოვნით უნდა გადასცეს მას მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის. აუცილებელია, რომ ასეთ ხელშეკრულებაში (დაზღვევის ხელშეკრულება) ბენეფიციარად (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს) მითითებული იყოს მყიდველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო ხელშეკრულება მოკლებული იქნება აზრს, ვინაიდან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მყიდველის სასარგებლოდ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი (ობიექტი) არის მიწის ნაკვეთი, გამყიდველია ვალდებული გადაიხადოს ამ ნაკვეთის ათვისებისა და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის ხელშეკრულების დადებამდე გაწეული ხარჯები, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა.

საინტერესოა თუ როდის და რა პირობებით გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი, მხარეებს შეუძლიათ იმისათვის, რომ თავი აარიდონ ასეთი შემთხვევების დროს კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციის ამოქმედებას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, შეთანხმდნენ, თუ რომელი მხარე და რა შემთხვევებში აიღებს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საგნის შემთხვევითი დაღუპვის დროს. იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, ხოლო თვით

შემთხვევა სახეზეა, მაშინ ამოქმედდება სსკ 482-ე მუხლში მოცემული სამართლებრივი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილზე, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაგალითად ხელშეკრულების დადების შემდგომ გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ადგილი შეიცვალა მყიდველის ინიციატივით), მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

როდის ითვლება ნივთი მიღებულად? რა ჩაითვლება გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულებად? რა ჩაითვლება იმის დასტურად, რომ მყიდველმა ნივთი მიიღო? ეს საკითხები მეტად მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის, იმისათვის, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. ბუნებრივია, სამოქალაქო კოდექსის რომელიმე ცალკეულ სამართლის ნორმაში შეუძლებელი იქნებოდა ყველა იმ შემთხვევის ჩამონათვალის გაკეთება, რომელთა დროსაც ნასყიდობის საგანი იქნებოდა მიჩნეული მიღებულად. პირველ რიგში, მხარეთა შეთანხმებას აქვს უპირატესი პრაქტიკული და სამართლებრივი მნიშვნელობა, თუ რა მოქმედებას ჩათვლიან მხარეები, როგორც ნასყიდობის საგნის მიღება/ჩაბარების დამადასტურებელს. მხარეები აიცილებენ სადაო ნასყიდობის საგნის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუ პირდაპირ განსაზღვრავენ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების და ამ შესრულებისათვის განსაზღვრულ წესს.

ზოგადი წესის მიხედვით, საქონელი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს მის მიღებას. რა უნდა ჩაითვალოს ასეთი მოქმედების შესრულებად? ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, ნასყიდობის საგანი მიწოდებულ იქნა გამყიდველის მიერ მყიდველისათვის სატვირთო გადაზიდვით, შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებიდან ნასყიდობის საგნის მყიდველის მიერ გადმოტვირთვა ჩაითვლება ასეთ მოქმედებად. საინტერესოა შემთხვევა, როდესაც გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამყიდველს უნდა მიეწოდებინა მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ნასყიდობის საგანი შესაბამის ადგილას. ამ ვადის გასვლის შემდეგ, 10 დღეში, მყიდველმა წერილი მისწერა გამყიდველს და სთხოვა კიდევ იგივე რაოდენობის და ხარისხის (კონკრეტული ნივთები) გადმოეგზავნა მისთვის და დადო ახალი ნასყიდობის ხელშეკრულება. სასამართლო პირველი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, მიიჩნევს, რომ პირველი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებანი გამყიდველმა შეასრულა ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას, ვინაიდან მყიდველმა განხორციელა მოქმედება, რომელიც (ზოგადი განმარტების მიხედვით) გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში (ივარაუდება, რომ) მყიდველი აღარ დადებდა ნასყიდობის ხელშეკრულებას იმავე გამყიდველთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო ურთიერთობის პრაქტიკაში, ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული და მოსახერხებელი საშუალებაა ე.წ. მიღება-ჩაბარების აქტი. ამ დოკუმენტის ძალით, (მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერით) მხარეები ადასტურებენ მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების ჯეროვან შესრულებას და შესაბამისად აცხადებენ, რომ ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები. ასევე, სავაჭრო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასაქონლო ზედნადები, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია გამყიდველის, ტვირთის გამგზავნისა და ტვირთის მიმღების შესახებ. (იხ. დანართი #1).

ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი

მოქმედი სსკ განამტკიცებს დებულებას, რომლის მიხედვითაც ნასყიდობის ხელშეკრულების ყოველ მხარეს, შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს. მნიშვნელოვანია რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარი არ არის ე.წ. მოჩვენებით საშიშროებაზე, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ე.წ. რეალური საშიშროება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მაგალითად, ხელშეკრულების მხარე გაკოტრდა, ან მაგალითად ნივთები (შესაძლებელია ამ ნივთების ნაწილი), რომლებიც წარმოადგენენ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს აღარ არსებობენ, შემთხვევები, როდესაც შესრულება იყო პერსონიფიცირებული, ანუ შესრულება უნდა განხორციელებულიყო პირადად მყიდველისათვის, ხოლო მყიდველი გარდაიცვალა. პრაქტიკულად იგივე წესი იმოქმედებს იურიდიული პირის შემთხვევაში, როდესაც შესრულების განხორციელების მომენტისათვის, იურიდიული პირი უკვე ლიკვიდირებულია (განხორციელდა მისი ლიკვიდაცია). მნიშვნელოვანია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებებით, მაგალითად: გირავნობით, იპოთეკით, საბანკო გარანტიით ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებით.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამყიდველმა საქონელი (ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი) მიჰყიდა რამოდენიმე პირს (მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანი ამოძრავებდა გამყიდველს: ნასყიდობის საგნის უფრო ხელსაყრელად გაყიდვა; მყიდველის მოტყუება თუ სხვა)³ ასეთი შემთხვევის დროს, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ ვის საკუთრებაში უნდა მიიჩნიოს ეს ნივთი. ამ დროს უპირატესობა მიეცემა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ - მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო.

შესაძლებელია გაყიდული საქონელი მყიდველს მიეწოდოს ნაწილ-ნაწილ, მაგალითად ალკოჰოლური სასმელების შესახებ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამყიდველს მყიდველისათვის ყოველთვის უნდა მიეწოდებინა ასი ბოთლი "ხვანჭკარა"-ს ღვინო. გამყიდველმა ვერ შეძლო ოქტომბრის თვეში მიეწოდებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია, რაც გამოწვეული იყო ტექნოლოგიური პრობლემებით თავის ქარხანაში. ამ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო სამართლებრივი რეგულაცია, რომლის ძალითაც გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხელშეკრულების საგნის უნაკლოობა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

³ ავტორთა კოლექტივი (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე*. (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 30.

რას ნიშნავს უნაკლო ნივთი?

ნივთის ნაკლულობაზე საუბრისას, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლული ნივთები. შესაძლებელია ნივთი როგორც უფლებრივად, ისე ნივთობრივად ნაკლული იყოს.

ზოგადი წესის მიხედვით, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. მხარეებისათვის ყოველთვის უკეთესია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დეტალურად განსაზღვრონ ხელშეკრულების საგნის ტექნიკური თუ სხვა მახასიათებლები. ეს მხარეებს (განსაკუთრებით კი მყიდველს) აარიდებს მომავალში შესაძლო სირთულეებს, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ხელშეკრულების საგნის მისთვის არასათანადო (არასასურველ) ხარისხის გამო. იმ შემთხვევაში, როდესაც ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ჩვეულებრივი ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოუსადეგარ (უვარგის) ნივთად ჩაითვლება ხელშეკრულების საგანი მაშინ, როდესაც შეუძლებელია მისი ჩვეულებრივი გამოყენება (ექსპლუატაცია) ზედმეტი დანახარჯების განხორციელების გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ ნაკლს უთანაბრდება ის შემთხვევა, როდესაც გამყიდველი მყიდველს გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს ან/და სხვა ნივთს. არის შემთხვევები, როდესაც გამყიდველი მყიდველს გადასცემს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები რაოდენობის ნივთს. ეს შემთხვევაც უთანაბრდება ნივთის ნაკლს (სსკ-ს 488-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, მაშინ, როდესაც მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. შესაბამისად უფლებრივად ნაკლულ ნივთებს განეკუთვნება მაგალითად, გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი (მაგალითად საცხოვრებელი სახლი), რომელიც დატვირთულია იპოთეკით (იპოთეკის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია), ვინაიდან ასეთი ნივთის ნასყიდობისას მყიდველზე გადავა უფლებრივად ნაკლული ნივთი, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველის მიმართ მესამე პირს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იპოთეკარს ექნება იგივე მოთხოვნის უფლება, რაც ჰქონდა მესაკუთრის-გამყიდველის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. მნიშვნელოვანია, რომ გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლის გამოსწორება, ან ნივთის შეცვლა მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს გამყიდველს საშუალება აქვს (შეუძლია) უარი თქვას, როგორც ნივთის შეცვლაზე, ისე ნაკლის გამოსწორებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა (ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი საფუძვლებზე დაყდრნობით სსკ-ს 352-ე მუხლი). ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია, რომ აუნაზღაუროს მყიდველს მის მიერ გაწეული დანახარჯები (მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი).

თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ, და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია კონტრაქტის შემხვედრი მოქმედება, რაც გამოიხატება გამყიდველის მხრიდან საქონლის გადაცემაში, ხოლო მყიდველის მხრიდან ამ საქონლის მიღებასა და მისი ღირებულების (ფასის) გადახდაში. მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს (შემხვედრი მოქმედება), მაშინ იგი ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 100 ცალი კონკრეტული საქონლის გაყიდვა და ხელშეკრულების ფასი განისაზღვრებოდა 100 ლარით (თითო ნივთი - 1 ლარი), ხოლო მყიდველს მიეწოდა მაგალითად 35 ცალი ნივთი, მას უფლება აქვს გადაიხადოს მიწოდებული საქონლის ადეკვატური (ხელშეკრულების ფასიდან გამომდინარე პროპორციული ფასი), რაც კონკრეტულ, ზემომოცემულ მაგალითში შეადგენს - 35 ლარს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

როგორია ნასყიდობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წესი? უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურება გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს. ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით. მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ. რაც შეეხება ნივთის ნაკლით, ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანს. იგი ანაზღაურებულ უნდა იქნეს ზოგადი წესების მიხედვით. ბუნებრივია, პასუხისმგებლობის საკითხი დგება, როგორც ვალდებულების (სრულად) შეუსრულებლობისათვის, ისე მისი არაჯეროვანი შესრულებისათვის. კანონით აკრძალულია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით (სსკ 410-ე მუხლი).

კანონი არ ავალდებულებს მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე ნივთის (ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის) დაუყოვნებლივ შემოწმებას (იგულისხმება მისი ხარისხისა და მოხმარებისათვის აუცილებელი თვისებები (მახასიათებლები)). მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს ამ წესიდან განსხვავებულ რეგულაციას იმ პირობისათვის, რომლებიც მეწარმეები არიან.

თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. იმ შემთხვევაში თუ იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში, ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა (იგულისხმება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გონივრული ვადა), არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას (ხშირ შემთხვევაში - რეკლამაციას), მას კანონის ძალით (სსკ 495-ე მუხლი) ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. იგივე შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მაშინ მას (გამყიდველს) არ

შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლით (სსკ 495-ე მუხლი) გათვალისწინებულ უფლებას.

სამოქალაქო კანონმდებლობა, ზოგადი წესის მიხედვით, არ განსაზღვრავს ნივთის ვარგისიანობის თაობაზე პრეტენზიის წარდგენის კონკრეტულ ვადას. უძრავლეს შემთხვევაში თვითონ მხარეები თანხმდებიან ამ ვადის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულებაში. როგორც ცნობილია, საგარანტიო ვადის ძირითადი დანიშნულება სწორედ ის გახლავთ, რომ ამ ვადის განმავლობაში ნასყიდობის საგნის ნაკლის აღმოჩენის (გამოვლენის) შემთხვევაში მყიდველს აქვს გამყიდველისაგან მოთხოვნის უფლება.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს შეთანხმებით (ნასყიდობის ხელშეკრულებით) შეუძლიათ შეზღუდონ ან სრულიად გამორიცხონ გამყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი იმ შემთხვევისათვის, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება ნაკლის მქონე. ბუნებრივია, ზემონახსენები წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც გამყიდველმა წინასწარ იცოდა ასეთი ნაკლის შესახებ და განზრახ დუმდა ხელშეკრულების დადებამდე. ბუნებრივია, ნივთის (ნასყიდობის საგნის) ნაკლზე საუბრისას უნდა ვიგულისხმოდ როგორც უფლებრივი, ისე ნივთობრივი ნაკლი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სამართლის, კერძოდ კი ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილით განსაზღვრული წესები ნივთების ნასყიდობასთან მიმართებაში მოქმედებს, როგორც უძრავ და მოძრავ ნივთებთან მიმართებაში, ისე უფლებებისა ან/და სხვა ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით. ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები, შესაბამისად, გამოიყენება უფლების ან სხვა ქონების⁴ ნასყიდობის მიმართაც. უფლების გაყიდვის შემთხვევაში გამყიდველი კისრულობს ამ უფლების ნამდვილობის დასაბუთებასა და გადაცემის ხარჯებს. თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის შესაძლებლობას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

სამოქალაქო კანონმდებლობა არ ზღუდავს ნივთის გაყიდვის (ხელახალი გაყიდვის) რაოდენობრივ შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა კოლიზია სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებსა და საკუთრების კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციასთან. თუ ნივთი რამდენჯერმე იყიდება, ვალდებულების უზრუნველყოფი უფლება⁵ გადაეცემა ყოველ მომდევნო მყიდველს. მყიდველს შეუძლია თავისი უფლებების ფარგლებში მოთხოვნები წარუდგინოს შესაბამის გამყიდველს ნასყიდობათა ამ რიგში.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველი ვალდებულია შეინახოს ნივთი. მას უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს. თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს

მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის. მყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს. მხარეს, რომელიც ვალდებულია შეინახოს ნივთი, შეუძლია მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში, თუ აქედან არ წარმოიშობა არათანაზომიერი ხარჯები.

მხარეს, რომელიც ზემომოცემული წესების მიხედვით ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი

⁴ ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

⁵ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებია: გირავნობა და იპოთეკა, გირავნობაუნარიანი სიკეთეებია მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, ხოლო იპოთეკაუნარიანი სიკეთეებია უძრავი ნივთები.

სათანადო წესების დაცვით, თუ მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მხარე, რომელიც ნივთს ყიდის, უფლებამოსილია ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს; დარჩენილი თანხა კი უნდა გადასცეს მეორე მხარეს. თუ ნივთი მალფუჭებადია, ან მას გაუფასურება მოელოს, ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მხარე, რომელსაც ეკისრება ნივთის შენახვა, ვალდებულია იგი გაყიდოს სსკ-ს 503-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,

ნასყიდობა გადახდის განვადებით

დღევანდელ დღეს მეტად აქტუალურია ე.წ. განვადებით ნასყიდობა, მაგრამ როგორია მისი სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება? უპირველეს ყოვლისა გადახდის განვადებით ნასყიდობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია იმ “განვადებით ნასყიდობისაგან”, რომელიც დღევანდელ დღეს არის მეტად პოპულარული საქართველოში. საქმე ის გახლავთ, რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედებში. თითქოს სხვაობა ამ დეფინიციასა და რეალურ სინამდვილეში განხორციელებულ “განვადებით ნასყიდობა”-ს შორის შეუმჩნეველია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით ეს ასე არ არის. სინამდვილეში, როდესაც დღეს ჩვენ მივდიართ მაღაზიაში და გვსურს შევიძინოთ საქონელი “განვადებით”, ჩვენ ვაფორმებთ რამოდენიმე ხელშეკრულებას, ერთის მხრივ ეს არის ხელშეკრულება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ (რომელიმე კონკრეტული ბანკთან) რა ხელშეკრულებითაც ვიღებთ სამომხმარებლო კრედიტს (სესხს), თავის მხრივ, ბანკს აქვს ვაფორმებული სპეციალური ხელშეკრულებები რომლის ძალითაც ის (ბანკი) უხდის (საბანკო ანგარიშზე ურიცხავს) კონკრეტულ მაღაზიას ჩვენს მიერ შერჩეული პროდუქციის ღირებულებას, ხოლო მაღაზია ამ პროდუქციას გვამღევს ჩვენ. ამის შემდეგ, ჩვენ ვხდებით ნასყიდობის საგნის (კონკრეტული ნივთის) მესაკუთრენი, მაგრამ ყოველთვის ვასრულებთ ბანკის მიმართ ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებას (სესხის დაფარვა). ამგვარად, ეს ურთიერთობა პირდაპირ არ წარმოადგენს ნასყიდობას განვადებით (სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ცნებების ფარგლებში). ეს ურთიერთობა იმ შემთხვევაში იქნებოდა ნასყიდობა გადახდის განვადებით, თუ ჩვენ ხელშეკრულებას დავდებდით პირდაპირ, უშუალოდ იმ გამყიდველთან (მაღაზიასთან) სადაც ვიძენთ ნივთს. დღევანდელ საქართველოში ასეთ ხელშეკრულებებში მონაწილეობის მიღება მაღაზიათა უმრავლესობისათვის მეტად დიდ რისკებთან არის დაკავშირებული და ამავდროულად დაუხვეწავია მყიდველისაგან (ნასყიდობის ფასის) გადახდის უზრუნველყოფის საკითხი. ზუსტად ამ მიზეზის გამო, საქართველოში დღევანდელ დღეს ნასყიდობა გადახდის განვადებით ხორციელდება ოდნავ სახემეცვლილი ფორმით. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ეს არ არის ნასყიდობა გადახდის განვადებით. ეს არის შემდეგი ხელშეკრულებების კუმულაცია: ხელშეკრულება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ; ნასყიდობის ხელშეკრულება;

ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (ბანკსა და გამყიდველს (მაღაზიას შორის) ზოგ შემთხვევაში კი მყიდველს, გამყიდველსა და ბანკს შორის). მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელშეკრულების ძალით ბანკი უნაადლო ანგარიშსწორების გზით რიცხავს მყიდველის სახელით (ზოგ შემთხვევაში კი საკუთარი სახელით) ნასყიდობის საგნის ღირებულებას (ნასყიდობის ფასს) გამყიდველის საბანკო ანგარიშზე.

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილია ხელშეკრულების წერილობითი

ფორმა. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

- ნაღდი გადახდის ოდენობა;
- ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო;
- წლიური პროცენტის ოდენობა.

ხელშეკრულების დადებისას გამყიდველმა უნდა მისცეს მყიდველს ნასყიდობის საბუთების ასლ(ებ)ი.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არასრულად არის მითითებული ზემონახსენები აუცილებელი ინფორმაცია, ან თუნდაც საქმე ეხება ფორმის დაუცველად დადებულ ხელშეკრულებას, ასეთი ხელშეკრულება (საერთო წესის მიხედვით) ბათილად ვერ იქნება მიჩნეული. ხელშეკრულება დადებულად ჩათვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან (ნივთის გადაცემის მომენტიდან ხელშეკრულების დადების პრეზუმფცი). ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე.

თუ გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევისათვის, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია (ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას)⁶.

გამოსყიდვა

გამოსყიდვაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოსყიდვა თავისი ბუნებით წარმოადგენს გამყიდველის უფლებას და არა ვალდებულებას. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ, რომ შეთანხმდნენ ნასყიდობაზე გამოსყიდვის უფლებით. ხშირ შემთხვევაში, გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია შებოჭილია ხელშეკრულებაში პირდაპირ განსაზღვრული გარკვეული დროით, ან შესაძლებელია მისი განხორციელება დამოკიდებული იყოს ასევე რაიმე პირობაზე. მნიშვნელოვანია, რომ

მაშინ, როდესაც გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ გამყიდველის ნებაზე. არ შეიძლება, მეორე მხარემ (მყიდველმა) დაავალდებულოს გამყიდველი, რომ მან (გამყიდველმა) გამოისყიდოს ნივთი (ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი). ხელშეკრულების საგნის გამოსყიდვა ხდება თავდაპირველ ფასში. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად, ხოლო გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე.

გამოსყიდვისას მყიდველი ვალდებულია ნაყიდი ნივთი დააუბრუნოს საკუთვნებელთან⁷ ერთად. თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე ნაყიდი ნივთი გააფუჭა (დააზიანა) ან შეცვალა,

⁶ სსკ 508-ე მუხლი

⁷ საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად. (სსკ 151-ე მუხლი).

მან უნდა აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი⁸. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე (მაგალითად კონკრეტული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, გამოსყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის განმავლობაში) გაასხვისებს ნივთს, ასეთი გასხვისება (ნასყიდობის ხელშეკრულება სადაც მყიდველი გვევლინება გამყიდველად) ბათილია და გამომსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მისი დარღვეული უფლების აღდგენა - ნივთის (ხელშეკრულების საგნის) უკან დაბრუნება. მნიშვნელოვანია, რომ გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით გააგრძელონ ეს ვადა ან/და გამოსყიდვის უფლების განხორციელებისათვის დააწესონ ხუთ წელზე მეტი ვადა.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, იმავე პირობებში, გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია). ოფციის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან⁹.

უპირატესი შესყიდვის უფლება

უპირატესად შეიძლება ჩაითვალოს ყველა უფლება, რომელიც ხელშეკრულების რომელიმე მხარეს ანიჭებს გარკვეულ პრივილეგიას თანაბარ პირობებში მყოფ სხვა დანარჩენ მხარეებთან მიმართებაში განხორციელოს (ან თავი შეიკავოს) თავისი უფლება. უფლების რეალიზაცია განსახილველ საკითხთან მიმართებაში დაკავშირებულია უპირატესი შესყიდვის განხორციელებასთან. სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას. უპირატესი უფლებების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, უმრავლეს შემთხვევაში, მხარეებმა შესაძლებელია განსაზღვრონ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით (მაგალითად: სსკ 173-ე მუხლის მეოთხე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ “საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით”). არის შემთხვევები, როდესაც მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტულ მხარეებს შორის ხელშეკრულება კანონი თვითონ განსაზღვრავს ასეთი უფლების წარმოშობის საფუძვლებს, მაგალითად სსკ 933-ე მუხლის მეორე ნაწილი, სკკს 959-ე მუხლი.

მნიშვნელოვანია, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ხელშეკრულებით სხვა რამ არ დაუდგენიათ, წარმოადგენს პერსონიფიცირებულ უფლებას, რაც იმას გულისხმობს, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის.

ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ (გონივრულ ვადაში) უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა. მნიშვნელოვანია, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, მხოლოდ ვალდებული პირის

⁸ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ნივთის გაფუჭება (დაზიანება) მოხდა მყიდველის ბრალეული მოქმედების (უმოქმედობის) შედეგად.

⁹ სსკ 515-ე მუხლი

მიერ დადგენილ ვადაში. დადგენილ ვადაში, ასევე უნდა ვიგულისხმოთ გონივრული ვადა. დაუშვებელია ისეთი ვადის დაწესება, რომელიც რეალურად პირს წაართმევს მისი უფლების (უპირატესი შესყიდვის უფლების) რეალიზაციის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებული პირის მიერ დადგენილი ვადა გახდა მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო კონკრეტული გარემოებების შესწავლის და შეფასების შედეგად დაადგენს, ამა თუ იმ შემთხვევაში დაწესებული ვადა გონივრულია თუ არა (არც ზედმეტად მცირე და არც მეტისმეტად დიდი).

ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი ვალდებულება, რომლის შესრულების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია. დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად.

მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები მხარეებს საშუალებას აძლევენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადონ ნივთის მოწონების პირობით. ასეთ შემთხვევაში, მხარეები ხელშეკრულებით ადგენენ ვადას, თუ რა ვადაში უნდა განხორციელდეს ე.წ. მოწონება. თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს, ხელშეკრულება დადებულია ჩაითვლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა ნივთი (ხელშეკრულების საგანი) დაიწუნა, მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს (ალადგინონ პირვანდელი მდგომარეობა).

გაცვლის ხელშეკრულება

გაცვლის ხელშეკრულება წარმოადგენს იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომლებიც პრაქტიკულად ყოველდღიურად და არც ისე მცირე რაოდენობით იდება. გაცვლის ხელშეკრულება, თავისი ბუნებით, ორმხრივი გარიგებაა. გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემის ვალდებულება. ხელშეკრულების მხარეები, ბუნებრივია, შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. გაცვლის ხელშეკრულების დროს შეიძლება ვიგულისხმოდ, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს იგივე წესები, რაც ქონების გასხვისება/ნასყიდობასთან მიმართებაში. უნდა ვიგულისხმოდ, რომ გაცვლის ხელშეკრულების მიმართ მინიმალური სტანდარტი მის ფორმასთან მიმართებაში იქნება ის, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულების საგნისათვის. მაგალითად, თუ გაცვლის ხელშეკრულების ობიექტია უძრავი ქონება, მაშინ აუცილებელი იქნება ხელშეკრულების წერილობითი ფორმა და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თუ ხელშეკრულების საგანია მოძრავი ნივთი, მაგალითად ერთი მხრივ მობილური ტელეფონი, ხოლო მეორეს მხრივ პორტატული კომპიუტერი, შესაძლებელია ასეთი ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადებაც.

პრაქტიკაში, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, გასაცვლელი ქონება (მისი ღირებულების თვალსაზრისით) არატოლფასოვანია. მხარეებს ასეთ შემთხვევაში აქვთ საშუალება, რომ მოახდინონ დამატებითი ანაზღაურება ფულით. ეს ის შემთხვევაა, მაგალითად, როდესაც პირები ცვლიან საცხოვრებელ სახლებს, რომელთაგან ერთი სახლის საბაზრო ღირებულებაა ვთქვათ, 25 000 ლარი, ხოლო მეორესი ბევრად მეტი, მაგალითად, 75 000 ლარი. ამ შემთხვევაში 75 000 ლარის ღირებულების მქონე ქონების (შაცხოვრებელი სახლის) მესაკუთრეს შეუძლია 25 000 ლარის ღირებულების მქონე ქონების მესაკუთრეს (შეუთანხმდეს), რომ მან გარდა იმისა, რომ გაუცვალოს ხელშეკრულების საგანი, დაუმატოს მას გარკვეული თანხა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველა შემთხვევაში (ქონების არატოლფასოვნებისას) უნდა მოხდეს თანხის დამატება. თვით თანხის დამატება (არ დამატება) მხარეთა შეთანხმების საგანია და მთლიანად დამოკიდებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ნებაზე.

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები. რაც იმას გულისხმობს, რომ თუ მაგალითად, სახეზეა გაცვლის ხელშეკრულება (ვთქვათ ვერბალური (ზეპირი) ფორმით დადებული), ან თუნდაც ლიტერალური (წერილობითი) ფორმით, ყველა იმ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულებიდან, გამოყენებულ იქნება, როგორც გაცვლის ხელშეკრულების მიმართ არსებული ნორმატიული რეგულირება (სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები), ისე ნასყიდობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები და ბუნებრივია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში მოქცეული სამართალმდგომარეობანი და ნორმატიული რეგულატორები.

ჩუქების ხელშეკრულება

ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების საკითხები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 541-530-ე მუხლებში. მცდარია მოსაზრება, რომ ჩუქების ხელშეკრულება ნამდვილია მხოლოდ ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად. ეს ასე არ არის. სსკ-524-ე მუხლი, როგორც ჩუქების ინსტიტუტის პირველი მუხლი, დეფინიციური ხასიათისაა და გვაძლევს ჩუქების ცნებასა და მის შინაარსს. ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. დასაჩუქრებულის თანხმობა, როგორც ვხედავთ აუცილებელი კომპონენტია ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის. ჩუქების ხელშეკრულების ძირითადი თავისებურება მის უსასყიდლობაში მდგომარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩუქების ხელშეკრულების არსებობისთვის მნიშვნელოვანია დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირების მომენტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩუქების ხელშეკრულებას (თავისი კლასიკური გაგებით) არ აქვს ადგილი, როდესაც ერთი პირი მეორეს გადასცემს პრაქტიკულად ნულოვანი ღირებულების ნივთს ისე, რომ ამ ნივთის გადაცემა არ ისახავს მიზნად მეორე პირის ქონების ღირებულების გაზრდას. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ერთი პირის ქონების შემცირება და მეორე მხარის ქონების გაზრდა ავტომატურად არ ნიშნავს რომ ამ ორ პირს შორის დადებულია ჩუქების ხელშეკრულება.

ჩუქების ხელშეკრულების მონაწილეები (მხარეები) შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კანონი ერთმანეთისგან განსხვავებულ მინიმალურ სტანდარტს განსაზღვრავს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ჩუქების ხელშეკრულების საგანია მოძრავი ნივთი და იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხელშეკრულების საგანია უძრავი ნივთი. მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ბუნებრივია ვერ ჩაითვლება უძრავი ნივთის გადაცემის (მფლობელობაში) მომენტიდან, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის, აუცილებელია ხელშეკრულების ფორმა კანონით განსაზღვრულ, გარკვეულ მინიმალურ სტანდარტს შეესაბამებოდეს. ასეთი სტანდარტია ხელშეკრულების წერილობითი ფორმის არსებობა და ამ ხელშეკრულების (შესაბამისად საკუთრების უფლების) რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

კანონმდებელი იცნობს ე.წ. საჩუქრის დაპირების სამართლებრივ ცნებას. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ საჩუქრის დაპირება შესრულებული იყოს წერილობითი ფორმით. მხოლოდ ასეთი ფორმით დადებულ საჩუქრის დაპირებას აქვს იურიდიული ძალა და წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სამართალი იცავს და განამტკიცებს პირის იმ ქონებას, რომელიც მას საარსებოდ სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩუქების ხელშეკრულებამ შესაძლოა მიუხედავად იმისა, რომ მჩუქებელმა იგი (ხელშეკრულების საგანი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა დასაჩუქრებულ პირს, წარმოქმნას დასაჩუქრებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მჩუქებელმა წინასწარ იცოდა ჩუქების ხელშეკრულების საგნის (გაჩუქებული ქონების) ნაკლის შესახებ და ბოროტი განზრახვით დამალა იგი.

სამოქალაქო სამართალი იცნობს ე.წ. შეწირულობის ცნებას. შეწირულობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე, ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. მწმენლოვანია, რომ ამ შემთხვევაში მიზანი შესაძლებელია იყოს საერთო სასარგებლოც. ასეთი პირობების შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი (პირობა) იქნა დათქმული. იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული პირი პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ჩუქების ხელშეკრულება შესაძლებელია გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული პირი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს, ან დიდ უმადურობას გამოიჩინოს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მძიმე შეურაცხყოფის ან უმადურობის ცნებებში. იგულისხმება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას (შეფასებას მოახდენს) მიიღებს სასამართლო და დაადგენს ესა თუ ის შემთხვევა განეკუთვნება, თუ არა მძიმე შეურაცხყოფისა თუ უმადურობის კატეგორიას. ასევე, ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა (სსკ 529-ე მუხლის პირველი ნაწილი) არ განმარტავს ახლო ნათესავების წრეს. ამ შემთხვევაში, ახლო ნათესავებად უნდა იყვნენ განხილული ის პირები, რომლებიც ასეთებად მიიჩნევიან სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე. თუ ჩუქების ხელშეკრულება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ უკან.

მეტად მნიშვნელოვანია გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის სამართლებრივი რეგულაციის საკითხიც. შესაძლებელია ჩუქების შემდეგ, მჩუქებელი აღმოჩნდეს მძიმე (მატერიალურ) მდგომარეობაში და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაცოფაზე მყოფი პირების რჩენა (პირობა ამ შემთხვევაში კუმულაციურია), მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და მისი დაბრუნება თვით დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე (მატერიალურ) მდგომარეობაში. აქვე აღსანიშნავია, რომ გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

რაც შეეხება ჩუქების გაუქმებისათვის დაწესებულ ხანდაზმულობის ვადას, იგი შეადგენს ერთ წელს იმ მომენტიდან, როდესაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ქირავნობის, ლიზინგის და იჯარის ხელშეკრულებები

ქირავნობის ხელშეკრულება

ქირავნობის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით, განეკუთვნება კონსენსუალურ¹⁰ გარიგებათა რიცხვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დადებულია ითვლება მხარეთა მიერ დადგენილი ფორმით ხელშეკრულების დადების (შეთანხმების მიღწევის) მომენტიდან. ქირავნობის ხელშეკრულების მხარეები შესაძლებელია იყვნენ როგორც ფიზიკური ისე, იურიდიული პირები. ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით, ხოლო დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ქირავნობის საგანზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული და მოუხმარებადი ნივთები¹¹. ეს გამომდინარეობს დამქირავებლის ვალდებულებიდან, რომ დააბრუნოს სწორედ ის კონკრეტული ნივთი, რომელიც მას გადაეცა ქირავნობის ხელშეკრულების ძალით. დამქირავებელი ამავდროულად ვალდებულია, რომ ნივთი დააბრუნოს იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც გადაეცა იგი (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით).

საინტერესო კითხვა, რომელიც ეხება შემდეგს: შეიძლება თუ არა ქირავნობის საგანი იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე? ამ კითხვაზე მსჯელობისას ჩვენ უნდა ამოვიდეთ მთელი რიგი პრინციპებიდან, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. საერთოდ ქირავნობის ხელშეკრულების საგანთა რიცხვი კანონით არ არის შეზღუდული. მთავარია, რომ ნივთი(ებ)ი არ იყოს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქირავნობის საგანი უნდა იყოს ნივთი, რომლის შექმნა არის შესაძლებელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეუზღუდავად, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არ უნდა იყოს აკრძალული კანონით და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმებს.

მნიშვნელოვანია, თუ რა ჩაითვლება ქირავნობის ხელშეკრულების არსებით პირობად? ქირავნობის ხელშეკრულების ფასი (ქირა) ისევე, როგორც ქირავნობის ვადა არ წარმოადგენს ქირავნობის ხელშეკრულების არსებით პირობას შემდეგ გარემოებათა გამო. შესაძლებელია ქირა ხელშეკრულებაში პირდაპირ განსაზღვრული არ იყოს, ხოლო მხარეები ვარაუდობდნენ, რომ ქირა შეადგენს არსებულ (ბაზარზე), ჩვეულებრივ ოდენობას. და ეს ვარაუდი იყოს თანხვედრი. რაც შეეხება ვადას, შესაძლებელია ქირავნობის ხელშეკრულება დადებული იყოს, როგორც გარკვეული, კონკრეტული ვადით, ისე უვადოთ (განუსაზღვრელი დროით), ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოხსენებული ორი პირობის არარსებობა ვერ გახდის ხელშეკრულებას ბათილად. ქირავნობის ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულების საგანი.

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი (ქირავნობის საგანი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია არა მხოლოდ გადასცეს მას ქირავნობის

¹⁰ **კონსენსუალური** (ლათ. consensus - შეთანხმება) ეწოდება ისეთ გარიგებას, რომელიც დადებულია ითვლება მხარეთა შეთანხმების შემდეგ ისე, რომ სავალდებულო არ არის ნივთის გადაცემა შეთანხმების მომენტში. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარეთა მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხდება გარიგებაში არსებული შეთანხმების საფუძველზე. ამის კარგი მაგალითია ნასყიდობა განვადებით, ქირავნობის ხელშეკრულება, ლიზინგის ხელშეკრულება.

¹¹ ნივთები, რომლებიც არ კარგავენ თავიანთ თვისებებს (გარდა ბუნებრივი ცვეთისა).

საგანი (მფლობელობას ან/და სარგებლობაში), არამედ ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. ეს პირობა თავისი ბუნებით კუმულაციურია რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სახეზე არ არის ორივე პირობის შესრულება, მაშინ გამქირავებელი ვერ ასრულებს ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას სრულად, მიუხედავად იმისა ქირავნობის ხელშეკრულებაში ამის შესახებ პირდაპირ აღნიშნულია თუ არა. ქირავნობის ხელშეკრულების საგნის ვარგისიანობა (ვარგისი მდგომარეობის დადგენა) უნდა მოხდეს დამქირავებელის თანდასწრებით, ვარგისი მდგომარეობის დადგენისას აუცილებელია იმის განსაზღვრა თუ რამდენად არის ესა თუ ის კონკრეტული ნივთი (ხელშეკრულების საგანი) ვარგისი (გამოსაყენებლად) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. ნივთის მიზნობრივი დანიშნულება განისაზღვრება მისი ჩვეულებრივი სარგებლობის ხასიათით.

ქირავნობისას გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო. ნივთობრივად უნაკლოა ნივთი, როდესაც მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

ქირავნობის ხელშეკრულებაზე, ზოგადი წესის მიხედვით, მოქმედებს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს შეუძლიათ დადონ იგი როგორც ზეპირი (ვერბალური), ისე წერილობითი (ლიტერალური) ფორმით, ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საგანიც არის მიწის ნაკვეთი და რომელიც დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით (სსკ 569-ე მუხლი).

გამქირავებელი პასუხისმგებელია დამქირავებლის წინაშე ქირავნობის საგნის იმ ნაკლებისათვის, რომელიც დამქირავებელს ხელს უშლის მათ შორის დადებული ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად ქირავნობის საგნის გამოყენებაში. შესაბამისად, თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს შესაძლებელია შეუმცირდეს მის მიერ გადასახდელი ქირა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში არ იცოდნენ ასეთი ნაკლის არსებობის შესახებ და სახელშეკრულებო ურთიერთობათა (ქირავნობის) დროს აღმოაჩნდება, რომ ნივთს აქვს ნაკლი. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი უმნიშვნელოა (არსებითად ხელს არ უშლის დამქირავებელს, რომ ხელშეკრულებით დადგენილი (გათვალისწინებული) მიზნების შესაბამისად გამოიყენოს ქირავნობის საგანი) იგი მხედველობაში არ მიიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში დამქირავებელს ერთმევა უფლება, რომ მოსთხოვოს დამქირავებელს ქირის შემცირება, ან ქირის გადახდისაგან დამქირავებლის გათავისუფლება. საყურადღებოა, რომ ქირავნობის საგნის მნიშვნელოვანი ნაკლის გამოვლენა დამქირავებელს აძლევს მხოლოდ ქირის შემცირების მოთხოვნის უფლებას და არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. გარკვეულწილად, გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ სსკ 536-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ „საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისთვის აშკარად საზიანო ქირავნობის ხელშეკრულება ბათილია“. ის თუ რა ჩაითვლება ამ შემთხვევაში “აშკარად საზიანოდ” უნდა დაადგინოს სასამართლომ, ყოველი კონკრეტული ფაქტისა თუ გარემოების შეფასების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების

მომენტისათვის არსებობს, ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება. ზიანის ანაზღაურებისაგან განთავისუფლება ზემომოცემულ შემთხვევაში შეიძლება მხარეთა მიერ ზოგადი წესის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი პასუხისმგებელია, მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც მან მიაყენა მხოლოდ განზრახვი, ან გაუფრთხილებელი მოქმედებით (უმოქმედობით). მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ პასუხისმგებლობა არ დადგება (განთავისუფლონ ერთმანეთი პასუხისმგებლობისაგან) თუ ზიანი მიყენებულია გაუფრთხილებლობით. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სახეზეა განზრახვი ქმედებით მიყენებული ზიანი დაუშვებელია¹² (სსკ 395-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე). იმ შემთხვევაში თუ გამქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი (საკუთარი ხარჯებით) და შემდგომ მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება გამქირავებლისაგან¹³.

საყურადღებოა საკითხი, რომელიც ეხება ქირავნობის საგნის შემთხვევით დაღუპვას. ეს საკითხი სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ არ არის რეგულირებული. სამოქალაქო სამართლის პრინციპებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქირავნობის საგნის შეთხვევითი დაღუპვის რისკი აწევს მესაკუთრეს, შესაბამისად, ქირავნობისას წარმოშობილ ურთიერთობაში ასეთი რისკი აწევს გამქირავებელს (თუ გამქირავებელი ნივთის მესაკუთრეა)¹⁴.

თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ განაცხადებს პრეტენზიას ამის გამო, მაშინ მას არ წარმოეშობა ქირის შემცირების უფლება. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ან იგი ეზღუდება, თუკი გამქირავებელმა ნაკლი განზრახვით დამალა.

სადგომის¹⁵ დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ნივთის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი, რომლებიც აუცილებელია გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის ან შენობის შესანახად. გამქირავებელმა ამ ღონისძიებების შესახებ, თუ ეს შესაძლებელია, უნდა შეატყობინოს დამქირავებელს და არ დაუშვას ისეთი მოქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ქირავნობის ხელშეკრულება წარმოადგენს იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომლებიც ითვალისწინებენ ნივთის სარგებლობაში გადაცემას. დამქირავებლის ძირითადი უფლება არის - ისარგებლოს დაქირავებული ნივთით და ამ უფლების წართმევა, ან ნივთის (ქირავნობის საგნის) დაგვიანებით¹⁶ გადაცემა აძლევს მას (დამქირავებელს) უფლებას, რომ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კანონმდებელი

¹² მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

¹³ ასეთი შემთხვევებისას პასუხისმგებლობის (ზიანის ანაზღაურების) მოცულობის განსაზღვრისათვის უპრინციპოა, რომ მხარეებმა შესაძლო პასუხისმგებლობის მოცულობა (მაგალითად ამ მოცულობის მაქსიმალური ზღვარი) დაადგინონ (განსაზღვრონ) ხელშეკრულებაში. ეს აარიდებს მხარეებს, მომავალში წარმოშობილ სადაო საკითხებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ქირავნობის საგნის ნაკლის გამოსწორებაზე დახარჯული თანხების ანაზღაურებას (ამ თანხების მოცულობის თვალსაზრისით).

¹⁴ ავტორთა კოლექტივი (2002). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე* (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 96.

¹⁵ ნებისმიერი შენობა.

¹⁶ ვადა, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელს უნდა გადაეცეს ქირავნობის საგანი ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია პირდაპირ ხელშეკრულებაში, რაც მხარეებს უადვილებს ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე სადაო საკითხების წარმოშობის დეტალიზირებას. იმ შემთხვევაში თუ ეს ვადა პირდაპირ მოცემული არ არის ხელშეკრულებაში, იგულისხმება, რომ ქირავნობის საგანი გამქირავებელმა დამქირავებელს უნდა გადასცეს გონივრულ ვადაში.

ადგენს შემთხვევებს, რომელთა არსებობისას პირს შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე. ეს შემთხვევებია, როდესაც: დაქირავებული ნივთი მთლიანად, ან ნაწილობრივ გადაეცემა დაქირავებულს დაგვიანებით, ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დაქირავებულს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დაქირავებულის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დაქირავებულმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ზემოხსენებულ შემთხვევებში ხელშეკრულების მოშლის უფლებას მიჩნეულ უნდა იქნეს ბათილად.

კანონმდებელი ადგენს სპეციფიურ წესს იმ შემთხვევისათვის, როდესაც უნდა განხორციელდეს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დაქირავებულის მიერ. მაშინ, როდესაც საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას, დაქირავებულს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დაქირავებულს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია.

თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი (როგორც უფლებრივი, ისე ნივთობრივი ნაკლი), ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება, მაშინ დაქირავებულმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს (იგულისხმება პირველივე შესაძლებელი შემთხვევა) დაქირავებულს. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს ნივთზე.

იმ შემთხვევაში, თუ გაქირავებული ნივთი უფლებრივად დატვირთულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნივთთან მიმართებაში მოთხოვნები შეუძლიათ განაცხადონ მესამე პირებმა (მაგალითად იპოთეკის დროს ან თუნდაც გირავნობისას) ასეთი უფლებრივი ტვირთის მატარებელია გაქირავებული ნივთის დროს გამქირავებელი.

ქირავნობის დროს ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც გაქირავებულ ნივთს (ქირავნობის საგანს) ესაჭიროება შესაბამისი ხარჯები, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნა. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დაქირავებულის მიერ გაღებული ასეთი ხარჯების გამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სხვა ხარჯების¹⁷ ანაზღაურებას, სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად¹⁸.

¹⁷ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის ხარჯი, რომელთა გაწევაც არ არის განპირობებული ე.წ. გადაუდებლობით.

¹⁸ პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. თუ საქმეების შესრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ემუქრება მეპატრონეს, შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა. შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ. ასევე ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის

დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა. მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამქირავებელი, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, არ ეთანხმება გამქირავებელს. ამ წესზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ზუსტად ამ სამართალმდგომარეობის (ქირავნობის ხელშეკრულებაში) არასათანადო დეტალიზაციით არის განპირობებული ქირავნობის სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მრავალრიცხოვანი დავები. მაგალითისთვის შეიძლება გამოდგეს შემთხვევები, როდესაც ვთქვათ დამქირავებელი აღჭურავს ქირავნობის საგანს გამათბობელი (კედელში ჩამონტაჟებული) საშუალებებით, ან მაგალითად შესაბამისი ელექტროტექნიკით, რომელიც ასევე დამონტაჟებული/ჩამონტაჟებულია მყარად. როგორ უნდა გადაწყდეს ამ შემთხვევებში დამქირავებლის მიერ განხორციელებული გაუმჯობესების¹⁹ ბედი? პრობლემა არ იქნებოდა თუ ამ ნივთების (გაუმჯობესების) მოშორება (დემონტაჟი) იქნებოდა შესაძლებელი ისე, რომ ამით არავითარი ზიანი არ მიადგეს ქირავნობის საგანს (მაგალითად კედლებს). ამ შემთხვევაში ყველაზე პრაგმატული გამოსავალია მხარეების მიერ ხელშეკრულების შედგენის დროს განხორციელებული დეტალიზაცია. თუ ისინი ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ქირავნობის ვადის (ქირავნობის პერიოდის ან/და გაგრძელებული ვადების) განმავლობაში განხორციელდეს ზემომოყვანილი გაუმჯობესებანი, დეტალურად განსაზღვრონ ამ გაუმჯობესების (კონკრეტული ნივთების) სამართლებრივი ბედი. შესაძლოა მათთვის მისაღები იყოს ე.წ. კომპენსაცია, ან/და მაგალითად ამ გაუმჯობესების ღირებულების (სრული ან ნაწილობრივი) ჩათვლა ქირავნობის ფასში, ან სხვა ნებისმიერი შეთანხმება. მთავარი ის არის, რომ პრაქტიკულად უმრავლეს შემთხვევაში ამ საკითხის რეგულირება ორივე მხარისათვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირ ხელშეკრულების მეშვეობით. მხარეებს ასევე შეუძლიათ ხელშეკრულებით დაადგინონ, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ქირავნობის საგნის გაუმჯობესება მხოლოდ დამქირავებლის ნებით და რა შემთხვევებშია ეს შესაძლებელი მხოლოდ ორივე მხარის (გამქირავებლისა და დამქირავებლის) თანხმობით, ასევე ამ თანხმობის ფორმა.

გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს (რეალური ცვეთა). რეალურ ცვეთაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რამდენად არის ქირავნობის საგნის (ნივთის) ცვლილება ან/და მდგომარეობის გაუარესება განპირობებული მისი ჩვეულებრივი გამოყენებით (ქირავნობის ხელშეკრულების მიზნებისთვის).

ხშირია შემთხვევები, რომლებიც ეხება ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მიმდინარე რემონტის საკითხს. პირველი აზრთა სხვადასხვაობა ხელშეკრულების მხარეებს შორის წარმოიქმნება თვით ცნება - "მიმდინარე რემონტი"-ს არაერთგვაროვანი (ერთმნიშვნელოვანი) ინტერპრეტაციიდან. რა ჩაითვლება მიმდინარე რემონტად და ვინ უნდა დაფაროს მიმდინარე რემონტის ხარჯები? საქმე ის გახლავთ, რომ ქირავნობის ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში გრძელვადიანი ურთიერთობაა და ბუნებრივია, რომ ქირავნობის საგნის მაგალითად ერთი, ან რამოდენიმე წლის განმავლობაში ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებისას დღის წესრიგში დადგება მისი მიმდინარე რემონტის (შეკეთების) საკითხი. კანონი პირდაპირ არ ადგენს (არ განსაზღვრავს და არ

გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი.

¹⁹ გაუმჯობესებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი განხორციელებული მოქმედება, რომელიც ამაღლებს ნივთის გამოყენების ეფექტურობას, აფართოებს მისი გამოყენების შესაძლებლობას, ამაღლებს მის (ან/და მისი გამოყენების (სარგებლობის)) საბაზრო ფასს.

განმმართვეს თუ რა ჩაითვლება მიმდინარე ან/და კაპიტალურ რემონტად, შესაბამისად კანონმდებელი არ იძლევა ამ ორ ტერმინს შორის სხვაობის სამართლებრივ განსაზღვრებასაც). დავის შემთხვევაში მხოლოდ სასამართლო კომპეტენტი, რომ დაადგინოს კონკრეტული (განხორციელებული) მოქმედება, ჩაითვლება კაპიტალურ თუ მიმდინარე რემონტად. მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე საუბრისას მნიშვნელოვანია ამოსავალი წერტილი, თუ ვისთვის ტარდება იგი? რამდენად დიდია მისი ღირებულება და რა არსებითი ცვლილებებია განხორციელებული? კაპიტალური რემონტი ხშირ შემთხვევაში ტარდება მესაკუთრის (ჩვენს შემთხვევაში გამქირავებლის, თუ იგი მესაკუთრეა) ინტერესებისათვის, ასეთად უნდა მივიჩნიოთ მაგალითად გადაგეგმარება, ან/და მაგალითად საყრდენი კედლების შეკეთება, ასევე სამუშაოები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია იმისათვის, რომ ნივთი გამოყენებულ იქნეს მისი დანიშნულებისამებრ (იგულისხმება, რომ ამ სამუშაოების არ ჩატარების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ნივთის მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება (ექსპლუატირება)). მიმდინარე რემონტი მიმართულია ნივთის დროული დაცვისაკენ. ხშირ შემთხვევაში მიმდინარე რემონტი ემსახურება დამქირავებლის ინტერესებს (გრძელვადიანი ქირავნობის ურთიერთობის დროს ეს აშკარაა), იმისათვის, რომ არ მოხდეს ნივთის (ან/და მისი არსებითი შემადგენელი ნაწილების) უდროო გაფუჭება. ასეთი სამუშაოების მაგალითი შესაძლებელია იყოს კედლების შეღებვა, იატაკზე დამცავი ლაკის ფენის დატანება და მრავალი სხვა სამუშაო, რომელიც ხელს უწყობს დამქირავებელს ქირავნობის საგნის (ქირავნობის ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე) ყოველდღიურ გამოყენებას.

მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება დამქირავებლის თანხმობის გარეშე. ასეთი თანხმობისათვის კანონი განამტკიცებს ფორმის თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება გამოთქმულ იქნას, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები (მიმდინარე რემონტი) შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ იმ პირობათა დარღვევით, რომელიც გულისხმობს მის (გამქირავებლის) აუცილებელ თანხმობას სადგომის გადაკეთების ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაოები შესაძლებელია განეკუთვნებოდეს მიმდინარე რემონტს.

ქირავნობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია ქვექირავნობის ცნება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამქირავებელი მესამე პირს სარგებლობის უფლებით (ფაქტობრივად იმავე უფლებით რა უფლებაც თვითონ გააჩნია) გადასცემს ქირავნობის საგანს. ქირავნობის ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე ზოგადი წესის მიხედვით იგულისხმება, რომ ქირავნობის საგნის სარგებლობაში გადაცემა არის პერსონიფიცირებული, ანუ გადაეცემა დამქირავებელს. მის მიერ სხვა (მესამე) პირისათვის ქირავნობის საგნის გადაცემა თავის მხრივ ეწინააღმდეგება სარგებლობას, ვინაიდან დამქირავებლის მიერ სარგებლობის უფლების გადაცემა თავის მხრივ ნიშნავს განკარგვას (გამქირავებელთან მიმართებაში). ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დამქირავებელი გადასცემს სარგებლობის უფლებას მესამე პირს²⁰ (ქვექირავნობა) დამქირავებლის თანხმობით. ქვექირავნობა, თავის მხრივ, იზიარებს ქირავნობის ხელშეკრულების ბედს, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ქირავნობის ხელშეკრულება მიჩნეული იქნება ბათილად, მაშინ იგივე ბედს გაიზიარებს ქვექირავნობის ხელშეკრულებაც, ვინაიდან არ იარსებებს მისი დადების სამართლებრივი საფუძველი. ქვექირავნობის ხელშეკრულება არ შეიძლება დაიდოს იმაზე მეტი ვადით, რა ვადითაც არის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება.

²⁰ ამ შემთხვევაში მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

ქვექირავნობა უნდა განვასხვავოთ იმ შემთხვევისაგან, როდესაც სარგებლობის უფლების გადაცემა ხდება მესამე პირზე რაც დაკავშირებულია დამქირავებლის შეცვლასთან. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა დამქირავებლით ჩანაცვლებასთან, რაც სამართლებრივად იმას ნიშნავს, რომ ახალ დამქირავებელს წარმოექმნება ყველა ის შესაბამისი უფლება, რაც ჰქონდა ძველ დამქირავებელს კონკრეტული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს მიაქიროს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად ან მისი ნაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირავებლისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს მისთვის არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა.

თუ ქვექირავნობა მიზნად ისახავს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გარანტიებისათვის გვერდის ავლას, მაშინ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელი თავის თავზე იღებს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის.

თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელს ეკისრება ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების წარდგენა, მაშინ უზრუნველყოფის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას. თუ ფულადი თანხა წინასწარ არის გადასახდელი, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად სამი თვის განმავლობაში. წინასწარ გადახდილ უზრუნველყოფას უნდა დაერიცხოს კანონით დადგენილი პროცენტები და ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდეს დამქირავებელს პროცენტებთან ერთად. ამ წესთან მიმართებაში დამქირავებლის საზიანოდ დადებული სხვაგვარი ნებისმიერი შეთანხმება ბათილია.

ქირის გადახდის წესი

ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ნივთით სარგებლობა ატარებს სასყიდლიან ხასიათს. ეს იმას ნიშნავს, რომ დამქირავებლის ძირითადი ვალდებულებაა ხელშეკრულების საგნის სარგებლობისათვის განსაზღვრული ფასის (ქირა) გადახდა.

ქირის გადახდის წესი მხარეების შეთანხმებაზეა დამოკიდებული. შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქირა გადახდილ იქნას ერთიანად (ერთჯერადი სახით) ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. პრაქტიკაში ასეთ შეთანხმებებს არც ისე ხშირი ხასიათი აქვს, ვინაიდან ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე მხარეებისთვის ხშირ შემთხვევაში ბევრად ხელსაყრელია ქირის გადახდისათვის დროის უფრო მცირე მონაკვეთების განსაზღვრა. ხშირ შემთხვევაში ასეთ მონაკვეთად გვევლინება ერთი თვე. იბადება კითხვა, რომ საანგარიშწორებო დროის რა მონაკვეთში უნდა იქნას გადახდილი ქირა? ამ კითხვაზე პასუხიც შესაძლებელია მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში ქირის გადახდის წესისა და ვადების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ არის მოხსენიებული, რომ ქირის გადახდა იწარმოებს დროის მონაკვეთების მიხედვით (მაგალითად თვეში ერთხელ), მაშინ იგულისხმება, რომ ქირის გადახდა უნდა მოხდეს ასეთი მონაკვეთის გასვლის შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ნივთით და საანგარიშწორებო თვის დასრულებისთანავე გადაიხადოს იმ თვის საფასური, რომელი თვის განმავლობაშიც მან უკვე განახორციელა დამქირავებლის უფლებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულებაში არაფერი არ არის ნათქვამი ქირის გადახდის წესისა და პირობების შესახებ, მაშინ ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას (სსკ 553-ე

მუხლის პირველი ნაწილი). ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების აღსანიშნავად კანონი არ ითვალისწინებს სპეციფიური დოკუმენტის არსებობას, მაგრამ მხარეებს გაუადვილებათ თუ ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულებას აღნიშნავენ, მაგალითად დამქირავებლის მიერ ქირის გადახდა შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს გამქირავებლის მიერ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით, ხოლო გამქირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (ქირავნობის საგნის გადაცემა) შესაბამის (ქირავნობის საგნის) მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერით. ასევე მნიშვნელოვანია, ხელშეკრულებაში გადახდის წესის დადგენა, კერძოდ კი როგორ იქნება განხორციელებული ანგარიშსწორება იქნება ეს ნაღდი ანგარიშსწორების თუ საბანკო გადარიცხვით. აუცილებელია მხარეებმა დეტალურად დაარეგულირონ ქირის გადახდის წესი და პირობები, შესაბამისად დეტალურად გაითვალისწინონ, მაგალითად, საბანკო გადარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ქირის ვალუტა. როგორც ცნობილია შესაძლებელია, რომ მხარეებმა ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ფასი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - ქირა) დაადგინონ მაგალითად უცხოურ ვალუტაში. ხელშეკრულების ვალუტა განსხვავდება საანგარიშსწორებო ვალუტისაგან და შესაბამისად შესაძლებელია იგი განსხვავებულიც იყოს. მთავარია, რომ საანგარიშსწორებო ვალუტა არ ეწინააღმდეგებოდეს ამ თუ იმ კონკრეტულ ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ანგარიშსწორების განხორციელების შესახებ).

არის შემთხვევები, როდესაც დამქირავებელს შესაძლებელია ხელი შეეშალოს ქირავნობის საგნით სარგებლობაში. იმ შემთხვევაში თუ ეს გამქირავებლის მიზეზით ხდება, ბუნებრივია დამქირავებელს აქვს უფლება, რომ მოსთხოვოს გამქირავებელს როგორც ხელისშემშლელი მოქმედებისაგან თავის შეკავება, ისე გარკვეული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში თუ დამქირავებელს ხელი ეშლება ქირავნობის ხელშეკრულების საგნის გამოყენებაში და ეს ხელშეშლა მისი მიზეზით არის, მაშინ, მას არ აქვს უფლება მოითხოვოს ქირის გადახდისაგან გათავისუფლება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შემთხვევები, რომლებიც ეხება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობას გარკვეულწილად ცალკე რეგულირდება სამოქალაქო კოდექსში. ასე მაგალითად, განსხვავებული სამართლებრივი რეგულირებაა დაწესებული ასევე საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისათვის, ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლისათვის. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, ხოლო დამქირავებელს მოუხდება ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა, მას აქვს ეს უფლება მინიჭებული მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, საკმარისი იქნება, მხოლოდ, რომ მან ხელშეკრულების მოშლამდე ერთი თვით (30 კალენდარული დღით) ადრე აცნობოს (განახორციელოს შეტყობინება²¹) და ჩაანაცვლოს თავისი თავი სხვა დამქირავებლით, ბუნებრივია ჩანაცვლების დროს იგულისხმება, რომ ახალი (ჩანაცვლებული) დამქირავებელი ისარგებლებს იმავე უფლებებით რა უფლებებითაც სარგებლობდა ის.

თუ ბინის ქირის მოთხოვნის საპირისპიროდ, დამქირავებელს აქვს დაკავების ან ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება, დამქირავებელს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება მაშინაც, როცა ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, თუ ამის

²¹ აქ მნიშვნელოვანია, ქირავნობის ხელშეკრულების მხარეების კომუნიკაციის საკითხი როგორ არის მოწესრიგებული მათ შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით, ანუ რა ჩაითვლება შეტყობინებად და ასევე მნიშვნელოვანია თუ რა ჩაითვლება ამ შეტყობინების მიღებად.

შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილებს გამქირავებელს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაგალითად გამქირავებელმა უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელს მის მიერ საკუთარი ხარჯით განხორციელებული მოქმედებების ანაზღაურება, მაშინ, როდესაც ეს მოქმედებები უნდა განხორციელებინა გამქირავებელს (მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში მას (გამქირავებელს) ეს ვალდებულება ხელშეკრულებით ჰქონდა ნაკისრი, თუ კანონი ავალდებულებდა). მაგალითად, მაშინ, როდესაც გამქირავებელს ევალდებოდა ქირავნობის საგნის შეკეთება (ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება) იგი შეუთანხმდა, რომ დამქირავებელს განხორციელებინა ეს სარემონტო სამუშაოები, ხოლო გამქირავებელი მას შემდგომ აუნაზღაურებდა მის მიერ გაღებულ ხარჯებს. ამ შემთხვევაში დამქირავებელს აქვს გამქირავებლის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნა. დამქირავებელს ასეთ შემთხვევაში შეუძლია, რომ დააკავოს შესაბამისი თანხა ქირიდან ან სულაც გაქვითოს იგი.

გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად²², გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს²³ ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. კითხვა, რომელიც იბადება ქირის არადროულად გადახდასთან (გადაუხდელობასთან) დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში: აუცილებელია თუ არა, რომ ქირის გადაუხდელობა იყოს ზედიზედ სამი თვის განმავლობაში (იმ შემთხვევაში თუ ქირის გადახდა წარმოებს თვეში ერთხელ), თუ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მაგალითად იანვრის თვიდან დეკემბრის ბოლომდე დადებული ქირავნობის ხელშეკრულების დროს დამქირავებელმა არ გადაუხადა გამქირავებელს თებერვლის, აგვისტოს და მაგალითად ნოემბრის თვეების ქირა.

ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი სარგებლობს ქირავნობის საგნით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. საერთოდ ხშირად მხარეები ქირავნობის ხელშეკრულებაში იყენებენ დებულებას, რომლის მიხედვითაც მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით, ერთი თვით ადრე შეტყობინებით აცნობონ მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეტყობინება განხორციელებული არ არის, მაშინ ისინი თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება გაგრძელდეს ჩაითვლება მაგალითად იმავე ვადით რა ვადითაც იგი იყო დადებული. რეალურად ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება გაგრძელდებოდა მაგალითად ერთი წლით, თუმცა ამავდროულად არსებობს თეორიული საფუძველი, რომ იგი დადებულია უვადოთ. ერთადერთი, რატომაც ვერ იქნება ასეთი ხელშეკრულება მიჩნეული უვადოთ დადებულ ხელშეკრულებად არის ის, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა მაინც კონკრეტულად დადგინებულია. უვადო ხელშეკრულებასთან მაშინ გვექნება საქმე, როდესაც დამქირავებელი აგრძელებს ფაქტობრივად სახელშეკრულებო

²² ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ გვაძლევს იმის განმარტებას თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს გაფრთხილება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაფრთხილება უპირველესყოფისა უნდა განხორციელდეს იმ ზოგადი კომუნიკაციის წესების დაცვით რა წესების დაცვითაც ხორციელდებოდა კომუნიკაცია ქირავნობის მხარეებს შორის. შესაბამისად მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა ქირავნობით სამართლებრივი ურთიერთობების დროს გაფრთხილების მიმართ ფორმის თავისუფლების პრინციპს განამტკიცებს. ბუნებრივია იმ მხარისათვის, ვინც ახორციელებს გაფრთხილებას მტკიცების თვალსაზრისით უკეთესია, რომ გაფრთხილება განხორციელდეს წერილობითი ფორმით. მაგრამ კანონი მას არ ზღუდავს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია იგი შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი ფორმით განხორციელებული გაფრთხილებით.

²³ მნიშვნელოვანი დაზიანების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ისეთი დაზიანებაა, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ქირავნობის საგნის საბაზრო ღირებულებას ან/და შესაბამისი უფლების რეალიზაციისათვის (ქირავნობა (სარგებლობა) არსებულ საბაზრო ფასს. ასევე შემთხვევები, როდესაც ქირავნობის საგანი შესაძლებელია გამოუსადეგარი იყოს ქირავნობით სამართლებრივი ურთიერთობების მიზნებისათვის ან/და ასეთი გამოყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან.

ურთიერთობებს მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა უკვე გასულია და ამაზე გამქირავებელი არ აცხადებს პრეტენზიას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ მათ შორის დადებულია უკვე ქირავნობის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით. ამ შემთხვევაში, თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. განცხადების გაკეთებისათვის კანონი ასევე არ ადგენს შესაბამის, რომელიმე გარკვეულ ფორმას. იგულისხმება, რომ განცხადება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ დამქირავებელს შეუძლია არა უგვიანეს ორი თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი დამქირავებელი ამის თანხმობას განაცხადებს.

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს ყოველთვის აქვთ არჩევანი, გაითვალისწინონ და ხელშეკრულებით დაადგინონ განსხვავებული დრო და პირობები ხელშეკრულების მოშლისათვის. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში თუ ასეთი დრო პირდაპირ არ არის მხარეთა მიერ დადგენილი მათ მიერ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში, მათ შეუძლიათ ეს ვადა დაადგინონ დამატებითი შეთანხმებით, რომლის მიმართაც ასევე ვრცელდება ფორმის თავისუფლების პრინციპი.

როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი საცხოვრებელი სადგომის მიმართ კანონმდებელი ხშირ შემთხვევაში აწესებს ალტერნატიულ ნორმატიულ რეგულირებას. ასევე ალტერნატიული რეგულირება არის დაწესებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ იმ შემთხვევისათვის, თუ დამქირავებელს აქვს საამისოდ პატივსადები მიზეზი.

პატივსადებია მიზეზი, თუ:

- დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;
- დამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ, ან ახლო ნათესავებისათვის²⁴;
- დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს დამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას;
- დამქირავებელმა დამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება²⁵, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია დათქმა, რომლის მიხედვითაც, თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გამოწყობილი ბინა, მაშინ დამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის

²⁴ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზეზით დამქირავებელს პრაქტიკულად ყოველთვის აქვს საშუალება შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება.

²⁵ ამორალური მოქმედების განსაზღვრებას არსად არ არის მოცემული მისი დეფინიციური მნიშვნელობით ან/და იმ მოქმედებათა ჩამონათვალთ, რომელიც მოქმედებებიც შესაძლოა განაკუთვნოს ამ კატეგორიის მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული საფუძველიც საკმაოდ ხშირ შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ გახდეს დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი. ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციამია ესა თუ ის კონკრეტული მოქმედება მიაკუთვნოს ამ კატეგორიას ან პირიქით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თვით ამორალური მოქმედებებიც მიმართ დამოკიდებულება მეტად სუბიექტურ მახასიათებლებით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ზემოაღნიშნული დავის განხილვისას მხედველობაში მიიღებს ასევე დამქირავებლისა და დამქირავებლის პიროვნულ ფაქტორებს და ამ ფაქტორების გათვალისწინებით განიხილავს საქმეს.

დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს (სსკ 563-ე მუხლი).

კანონი იცავს რა დამქირავებლის უფლებებს, აკისრებს მას ვალდებულებებსაც. კერძოდ კი, ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს ხელშეკრულებაში შეუძლიათ დაადგინონ, თუ რა იქნება მათთვის მიჩნეული ისეთივე მდგომარეობად, როგორც ხელშეკრულების დადების მომენტში იყო. კარგი გამოსავალია, მაგალითად თუ გამქირავებელი აქირავებს საცხოვრებელ ფართს, რომელიც ახლად გარემონტებულია, ხელშეკრულებაში ჩადოს მუხლი, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში თუ ქირავნობა ერთ წელზე მეტი ვადით გასტანს დამქირავებელი იყოს ვალდებული, რომ ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლისთვის განახორციელოს მიმდინარე რემონტი და ასეთ მდგომარეობაში ჩააბაროს გამქირავებელს საცხოვრებელი ფართი.

იმ შემთხვევაში თუ ქირავნობის საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთის დამქირავებელს არ აქვს მისი (მიწის ნაკვეთის) დაკავების უფლება თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის მესამე პირს გადასცა, გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მესამე პირს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება. დაყოვნების განმავლობაში ქირის დადგენა უნდა მოხდეს მათ შორის არსებული ქირავნობით სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო.

იმ შემთხვევაში როდესაც დამქირავებლის მიერ გამქირავებლის წინაშე ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ შესრულებულა ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად.

ზემოთ ჩვენ გვქონდა საუბარი ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ არსებული ფორმის თავისუფლების პრინციპზე. ფორმის თავისუფლების პრინციპს კანონმდებელი გარკვეულწილად ზღუდავს იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის საგანია მიწის ნაკვეთი და ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით. ეს პირობაც კუმულაციურია და გულისხმობს ორივე შემადგენელი პირობის ერთდროულად არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება არის სახეზე და ეს ხელშეკრულება დადებულია ფორმის დაუცველად (ზეპირად) ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის ხელშეკრულება ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ათი წლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება სამი თვით ადრე განხორციელებული შეტყობინებით.

ქირავნობის უფლება არ წარმოადგენს იმ უფლებათა რიცხვს, რომლებიც შესაძლებელია გადაცემული იქნას მემკვიდრეობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია საცხოვრებელ სადგომზე და იქ დამქირავებელი თავის ოჯახის წევრებთან ერთად წარმართავს ერთიან საოჯახო მეურნეობას, დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან დამქირავებელთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველი დამქირავებლის ადგილს იკავებს (ჩაენაცვლება) მისი ოჯახის წევრი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ასევე დადგინდეს თუ ვინ მიეკუთვნება (შესაძლებელია მიკუთვნებულ იქნას) დამქირავებლის ოჯახის წევრთა რიცხვს. კანონი პირდაპირ არ საუბრობს დამქირავებლის ოჯახის წევრებზე და არ გვამბობს ამ წევრთა ცნებაში შემავალი ნათესავებისა თუ სხვა პირების ჩამონათვალს. უნდა ვიგულისხმოდ, რომ დამქირავებლის ოჯახის წევრთა რიცხვს პირველ რიგში უნდა მიეკუთვნებოდნენ ის პირები, ვისთან ერთადაც იგი (დამქირავებელი) სარგებლობდა (ცხოვრობდა) ქირავნობის საგნით. ასევე მნიშვნელოვანია იმ პირთა წრე, რომლებიც დამქირავებელთან ერთად წარმართავდნენ საერთო მეურნეობას. როგორც წესი დამქირავებლის ოჯახის წევრებად მიჩნეულნი უნდა იყვნენ: მეუღლე, მათი შვილები (არა მხოლოდ საერთო შვილები) და მშობლები. დამქირავებლის ოჯახის წევრებს ასევე აქვთ უფლება ქირავნობის ხელშეკრულება მომალონ კანონით დადგენილ ვადაში.

თუ დამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს დამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

გაქირავებული ნივთის შეცვლის, ან გაუარესების გამო დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. ზიანის ანაზღაურების გამო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა - ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

იმ შემთხვევებში, როდესაც განქორწინებისას მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან იმაზე, თუ რომელმა უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში, დავას წყვეტს სასამართლო. აღნიშვნის ღირსია, რომ სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია არა აქვს, თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. თუ სასამართლო ცნობს იმ მეუღლის უფლებას ბინაზე, რომელიც არ არის დამქირავებელი, მაშინ ეს მეუღლე ხდება (გახდება) ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე. დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისაგანაც.

ლიზინგის ხელშეკრულება

ერთ-ერთი ყველაზე ახალი და ამავდროულად რთული და მრავალმხრივი ხელშეკრულებაა, რომელიც მისი ფორმებისა და სახეების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ტერმინი ლიზინგი, წარმოდგება ლათინური ზმნიდან „lease“ და ნიშნავს გაქირავებას (ქონების სარგებლობაში გადაცემას). გერმანულ სამართალში ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენება - mitvertrag kredit, ესპანურ კანონმდებლობაში - arrendamiento financiero, იტალიურ კანონმდებლობაში - credito arrendamiento, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში ლიზინგი აღინიშნება ისეთი დასახელებით, როგორცაა ფინანსური იჯარა, რაც თავისთავად გამომდინარეობს იმ მნიშვნელოვანი მსგავსებებიდან, რომლებიც ახასიათებთ ლიზინგსა და იჯარას. ლიზინგის იდეის არსებითი შტრიხების ჩამოყალიბება კი ჯერ კიდევ არისტოტელეს ეპოქაში უნდა ვეძიოთ - ე.ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384/383-322 წლებამდე. სწორედ არისტოტელეს ეკუთვნის ის უმნიშვნელოვანესი ფრაზა, რომელიც დამკვიდრდა არა მარტო საზღვარგარეთის კანონმდებლობაში, არამედ, ახლა უკვე ცალკეული ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაშიც: „სიმდიდრე მდგომარეობს ამ სიმდიდრის გამოყენებაში და არა მხოლოდ საკუთრებაში.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგების მიღებისათვის სრულებით არ არის აუცილებელი იყოთ რაიმე ქონების მესაკუთრე, მთავარია ამ ქონებით სწორად სარგებლობა ვიცოდეთ და ამის შედეგად მივიღოთ მოგება. ეკონომისტების აზრით, საიჯარო (სალიზინგო) გარიგებები საკმაოდ ცნობილი იყო არისტოტელეს ეპოქაშიც. როგორც კ. ბალტუსი და ბ. მაიჯერი წერენ თავიანთ წიგნში „ევროპული ლიზინგის სკოლა“, ჯერ კიდევ შუმერთა სახელმწიფოს კვლევისას ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში აღმოჩენილია ე.წ. დაფები, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლით თარიღდება, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ ამ შორეულ ხანაში გავრცელებული იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მიწების, სარწყავი სისტემების იჯარით გაცემა. ამ დაფების დიდი ნაწილი მხოლოდ 1984 წელს იქნა აღმოჩენილი. ისინი მოგვითხრობენ იმ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარებული იყო საეკლესიო პირებსა და ადგილობრივ ფერმერებს შორის. თუმცა ეს უძველესი დოკუმენტური მასალა სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ სხვა ისტორიულ ეპოქებშიც იყო გავრცელებული საიჯარო, სალიზინგო ურთიერთობები, რომელთა შესახებ თანამედროვე მკვლევრებს დასაბუთებული ინფორმაცია არ მოეპოვებათ. ინგლისელმა ისტორიკოსმა ტ. კარლმა, ლიზინგთან დაკავშირებული რამოდენიმე კანონი აღმოაჩინა ჩვ.წ.აღ-მდე 1775-1750 წლებში ჰამურაბის მიერ მიღებულ კანონებში. ეს კანონები აბსოლუტურად დეტალურად არეგულირებენ იჯარის ყველა სახეს, მის პირობებს, ვადებსა და საზღაურის ფარგლებს. თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგური მომსახურება თავმოყრილია სამკუთხედში: ამერიკის შეერთებული შტატები - დასავლეთ ევროპა - იაპონია. ევროპაში ლიზინგის გამცემებად გამოდიან სპეციალიზირებული ლიზინგური კომპანიები, რომელთა დაახლოებით 75-80 პროცენტი კონტროლდება ბანკების მიერ ან ითვლება მათ შვილობილ საწარმოებად. იაპონიისათვის დამახასიათებელია ლიზინგური მომსახურების მასობრივი გაფართოება, რომელიც შეიცავს ლიზინგურ ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი ლიზინგი გამოიყენება როგორც ხანგრძლივი მოხმარების, ძვირადღირებული საქონლის იჯარაზე დაფუძნებული გარიგება. ლიზინგური კომპანია ფაქტობრივად აფინანსებს, აკრედიტებს მოიჯარეს. ამიტომაც, ლიზინგი ხშირად მოიხსენიება, როგორც „კრედიტ-იჯარა“²⁶,

ლიზინგის ხელშეკრულება როგორც ასეთი წარმოიშვა XIX საუკუნის შუა პერიოდში აშშ-ში. დასავლეთ

²⁶ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2008 წლის 01 01). *Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი*. მოძიებულია 2010 წლის 10 02, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12636-დან>

ევროპის ქვეყნებში კი გავრცელდა XX საუკუნის შუა ხანებში. ლიზინგის შემოღება უკავშირდება სატელეფონო კომპანია „ბული“-ს მიერ განხორციელებულ ოპერაციებს. მისმა ხელმძღვანელობამ 1877 წელს მიიღო გადაწყვეტილება, კი არ გაეყიდა თავისი სატელეფონო აპარატები, არამედ გაეცა იჯარით. თუმცა პირველი საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობის საფუძველიც გახდა ლიზინგური ოპერაციები, შეიქმნა 1952 წელს, სან-ფრანცისკოში. ეს იყო კომპანია „იუნაითედ სთეთს ოზინგ კორპორეიშნ“ (ჰენრი შონფელდი), და ამდენად აშშ გახდა ახალი ბიზნესის, კერძოდ საბანკო ბიზნესის სამშობლო. მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი „ლიზინგი“ გამოიყენება როგორც ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იჯარაზე დაფუძნებული გარიგება. იმის მიხედვით, თუ რა ვადითაა დადებული იჯარის ხელშეკრულება განასხვავებენ იჯარის ოპერაციების 3 სახეს: მოკლევადიანი იჯარა-რენტინგი (ერთი დღიდან ერთ წლამდე); საშუალო ვადიანი იჯარა-ხაირინგი (1-დან 3 წლამდე); გრძელვადიანი იჯარა-ლიზინგი (3-დან 20 წლამდე და მეტი). ამიტომ ლიზინგის ქვეშ მოიაზრება მანქანებისა და მოწყობილობების გრძელვადიანი იჯარა ან მანქანებისა და მოწყობილობების იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ნაყიდა იჯარის გამცემის მიერ მოიჯარისათვის სამეწარმეო მიზნით გამოყენებისათვის და რომელზეც საკუთრების უფლებას იჯარის მთელი ვადის მანძილზე ინარჩუნებს მეიჯარე. ამის გარდა, ლიზინგი შეიძლება განვიხილოთ როგორც სპეციალიზირებული ლიზინგური კომპანიების (რომლებიც მოიპოვებს მესამე პირისათვის ქონებას და გადასცემს გრძელვადიანი იჯარით) შუამავლობით ძირითად ფონდებში დაბანდების ფინანსირების სპეციფიკური ფორმა. ამგვარად, ლიზინგური კომპანია ფაქტიურად აფინანსებს, აკრედიტებს მოიჯარეს, ამიტომ ლიზინგი ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „კრედიტი-იჯარა“²⁷.

განსხვავებით ყიდვა-გაყიდვისაგან, რომლის დროსაც საკუთრების უფლება საქონელზე გადადის გამყიდველიდან მყიდველზე, ლიზინგის დროს საკუთრების უფლება იჯარის საგანზე უნარჩუნდება მეიჯარეს, ხოლო ლიზინგის მიმღები მოიპოვებს მას მხოლოდ დროებით სარგებლობაში. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეისყიდოს იჯარის ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულება ან დაუბრუნოს იჯარის ობიექტი მესაკუთრეს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიზინგს აქვს მსგავსება კრედიტთან, რომელიც გაცემულია მოწყობილობის შესაძენად. კრედიტის დროს ძირითად ფონდებში მსესხებელს ვალების დასაფარავად შეაქვს გადასახადები დადგენილ ვადებში. ამასთან ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ინარჩუნებს საკუთრების უფლებას დაკრედიტებულ ობიექტზე სესხის სრულ დაბრუნებამდე. ლიზინგის დროს მოიჯარე ხდება იჯარით აღებული ობიექტის მესაკუთრედ, მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე და საიჯარო ქონების ღირებულების სრულ გადახდამდე. თუმცა, ამგვარი მსგავსება დამახასიათებელია მხოლოდ ფინანსური ლიზინგისათვის, ლიზინგის მეორე სახე-ოპერატიული ლიზინგი ხასიათდება კლასიკურ იჯარასთან დიდი მსგავსებით. თავისი იურიდიული ბუნებით, ლიზინგური გარიგება ითვლება საინვესტიციო ფასეულობების გრძელვადიანი იჯარის თავისებურ სახედ. ლიზინგური ოპერაციების ზუსტ განსაზღვრას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან კანონით დადგენილი მისი გაფორმების ფორმის დაუცველობისას, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ლიზინგურ გარიგებად, რაც ოპერაციის მონაწილეებისათვის გამოიწვევს არასასურველ ფინანსურ შედეგებს. ლიზინგის გამცემი არ ეყრდნობა აინაზღაუროს ყველა თავისი დანახარჯი ერთი ლიზინგის მიმღებისაგან შემოსული სალიზინგო გადასახადის ხარჯზე; ლიზინგური ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება 2-5 წლით. რაც გაცილებით ცოტაა მოწყობილობის ფიზიკური ცვეთის ვადაზე და შეიძლება ლიზინგის მიმღების მიერ ნებისმიერ დროს შეწყდეს²⁸.

²⁷ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2008 წლის 01 01). *Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი*. მომიღებულია 2010 წლის 10 02, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1549>-დან

²⁸ ჯანხოთელი, შ. (1998). ლიზინგი. *ალმანახი*, 5.

სალიზინგო საქმიანობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ლიზინგის ხელშეკრულების საგნის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოში ლიზინგის ხელშეკრულების საგანი არ არის პირდაპირ განსაზღვრული. იგულისხმება, რომ ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ქონება, რომელის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა არის შესაძლებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ. ამდენად ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ლიზინგს. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. (სსკ 576-ე მუხლის პირველი ნაწილი). პირდაპირი ლიზინგის დროს დამამზადებელ-გამსაღებელი საწარმო ლიზინგის მიმღებს შუამავლის გარეშე გადასცემს, სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას. ამ შემთხვევაში სალიზინგო ოპერაციის ჩასატარებლად დამამზადებელი საწარმო თავის სტრუქტურაში მარკეტინგის სამსახურთან ერთად (ან მის გარეშე) ქმნის სპეციალურ ქვეგანყოფილებას, რომელიც შუამავლის გარეშე აწარმოებს სალიზინგო ოპერაციებს²⁹.

უფრო ფართოდ რომ შევხედოთ ლიზინგს შესაძლებელია ითქვას, რომ ლიზინგის სახეებია:

- პირდაპირი ლიზინგი, როდესაც გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი
- კომპენსაციური ლიზინგი, როდესაც მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით (საქონელი, სამუშაო, მომსახურება);
- სერვისული ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის, ან მის მიერ მოწვეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს);
- სუფთა ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას;

საქართველოში ბევრმა ბანკმა დაარსა თავისი „შვილობილი“ კომპანიის სახით ე.წ. სალიზინგო კომპანიები, ასე მაგალითად ს.ს „თიბისი ლიზინგის“ მიზნობრივ ბაზარს კორპორატიული სექტორი წარმოადგენს. კომპანია დაარსების დღიდან ფოკუსირებულია მცირე და საშუალო სეგმენტზე და ბაზრის 63% უკავია. პროცენტულ მაჩვენებელში მსხვილი კომპანიების რიცხვიც ფიგურირებს. 2003 წლის სტატისტიკით სულ საქართველოში ძირითად საშუალებებში ინვესტიციებმა შეადგინა \$95,485,170 ხოლო 2006 წლის სტატისტიკით ძირითადი საშუალებების იმპორტმა 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ბაზრის ზრდის ტემპი განისაზღვრა მშპ³⁰-თან მიმართებაში. საერთაშორისო პრაქტიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე მიღებულია, რომ განვითარებად ქვეყნებში ლიზინგის ბაზარი საერთო შიდა პროდუქტთან მიმართებაში 0.5%-1%-მდე მერყეობს. რაც უფრო ვითარდება ეკონომიკა ეს დამოკიდებულება უფრო იზრდება და განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 2-5%-მდე მერყეობს.

ლიზინგის გამცემი არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე. ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია და მიუხედავად იმისა, როგორ იქნება დაკავშირებული იგი სხვა უძრავ ან მოძრავ ნივთთან, გამცემის საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ძალაში რჩება ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მიმღების საკუთრებაში ლიზინგის საგნის გადასვლის მომენტამდე.

²⁹ ავტორთა კოლექტივი (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე*. (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 150.

³⁰ მთლიანი შიდა პროდუქტი

ლიზინგზე საუბრისას აუცილებელია შემდეგი ტერმინების სწორი გამოყენება:

- ლიზინგი – ლიზინგის საგნის გამცემის მიერ (შემდგომში - გამცემი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის (შემდგომში - მიმღები) დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით;
- ლიზინგის საგანი – ამორტიზაციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ქონება;
- ლიზინგის საგნის საწყისი ღირებულება – ლიზინგის საგნის ღირებულება მისი გადაცემის მომენტისათვის;
- ლიზინგის ხელშეკრულების მთლიანი ფასი – ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხა;
- ლიზინგის საზღაური – მიმღების მიერ გამცემისათვის პერიოდულად გადასახდელი ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა (ან ამ თანხის ღირებულების პროდუქცია), რომლის გადახდით (ან მიწოდებით) მიმღები გამცემს თანდათანობით უნაზღაურებს ლიზინგის საგნის საწყის ღირებულებასა (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) და ლიზინგის სარგებელს;
- ლიზინგის სარგებელი – ლიზინგის ხელშეკრულების მთლიან ფასსა და ლიზინგის საგნის საწყის ღირებულებას (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) შორის სხვაობა;
- შეღავათიანი პერიოდი – ლიზინგის საწყისი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმღები არ იხდის ლიზინგის საზღაურს;
- ქველიზინგი – მიმღების მიერ მესამე პირისათვის ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლების გადაცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე;
- ლიზინგის საგნის გამყიდველი – ლიზინგის საგნის მესაკუთრე, ან მწარმოებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიზინგის საგანს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს გამცემს ან მიმღებს.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. საბოლოო ღირებულების გამოთვლისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი. თუ ხელშეკრულებაში არ არის შესაბამისი დებულება, მაშინ ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია იყიდოს ლიზინგის საგანი.

ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

- მთლიან ფასს;
 - სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებს;
 - საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს.
- ამის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვლება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება ლიზინგის თუ იგი ითვალისწინებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
- ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან ეს თანხა უმნიშვნელოა;
 - ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე უმნიშვნელო თანხის გადახდით;
 - ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღებს არა აქვს უფლება შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება სულ ცოტა ლიზინგის საზღაურის სრულად გადახდის გარეშე;

- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღები ვალდებულია გააგრძელოს ლიზინგი ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული ან არსებითად სრული ვადით ან იყიდოს ლიზინგის საგანი;
- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ლიზინგს ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული ან არსებითად სრული ვადით დამატებითი თანხის გადახდის გარეშე, ან ლიზინგის გაგრძელების მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით;
- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა ლიზინგის საგნის მესაკუთრე დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან მესაკუთრედ გახდომის მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით.

ზემოჩამოთვლილ პირობათა გარდა, ლიზინგის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, აღნიშნული უნდა იყოს, რა შემთხვევაში ითვლება ლიზინგის საგანი მიღებულად და ლიზინგის საგნის მიღების ვადა.

ლიზინგის გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატაროს შესაბამის საჯარო რეესტრში, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული შესაბამის საჯარო რეესტრში, ეს გარემოება არ წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია და მიუხედავად იმისა, როგორ იქნება დაკავშირებული იგი სხვა უძრავ ან მოძრავ ნივთთან, გამცემის საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ძალაში რჩება ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მიმღების საკუთრებაში ლიზინგის საგნის გადასვლის მომენტამდე.

ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებს ბუნებრივია აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და აკისრიათ შესაბამისი ვალდებულებები.

ლიზინგის გამცემის უფლება-მოვალეობები შემდეგია:

- გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები ან მათი ნაწილი გადასცეს მესამე პირს. ამასთან, ამ უფლებების გადაცემა არ ათავისუფლებს გამცემს ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებისაგან და არ ცვლის ლიზინგის ხელშეკრულების არსს.
- მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება.
- ლიზინგის ხელშეკრულების მოშლამდე გამცემი ვალდებულია თავის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინება ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის შესახებ გაუგზავნოს მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მიმღების ბოლო ცნობილ მისამართზე. ამ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის გამოც გამცემი აპირებს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლას, და ვადა, რომელიც მიმღებს ეძლევა ვალდებულების შესასრულებლად. ეს ვადა არ უნდა იყოს 15 დღეზე ნაკლები. თუ ვალდებულება შესრულდება გამცემის მიერ განსაზღვრულ დროში, ლიზინგის ხელშეკრულება არ მოიშლება.
- გამცემს უფლება აქვს არ განუსაზღვროს მიმღებს ზემოხსენებული ვადა თუ ამკარაა, რომ:

- ✓ მიმღებს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება;
 - ✓ ლიზინგის საგანს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე ემუქრება;
 - ✓ ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე.
- გამცემს უფლება აქვს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლისთანავე დაიბრუნოს ლიზინგის საგანი.
 - მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მიმღებს მოსთხოვოს ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხის გადახდა და გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ამ მუხლის შესაბამისად ლიზინგის საგანზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებების მოპოვების მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასისა და იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მიმღებმა უკვე გადაიხადა ლიზინგის საზღაურის სახით. თუ ასეთი გაანგარიშების შედეგად მიიღება დადებითი რიცხვი, მიმღები ვალდებულია გადაუხადოს გამცემს ამ რიცხვის შესაბამისი თანხა, ხოლო თუ მიიღება უარყოფითი რიცხვი, გამცემი ვალდებულია გადაუხადოს მიმღებს ამ რიცხვის დადებითი ეკვივალენტის შესაბამისი თანხა.
 - ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის განსაზღვრისას სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს გამცემის მიერ ლიზინგით გადაცემული ლიზინგის საგნის გაყიდვის ან ლიზინგის საგნის განმეორებითი ლიზინგით გადაცემის ფასი და პირობები.

ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიწოდებლისაგან.

ლიზინგის მიმღების უფლება-მოვალეობებია:

- მიმღებს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები მესამე პირს გადასცეს მხოლოდ გამცემის წერილობითი თანხმობით.
- მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან მთელი პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის დაზიანებაზე ან დაღუპვაზე გადადის მიმღებზე.
- თუ მიმღების თანხმობის გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით მიმღებს მიადგა ზიანი ან მხარეების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
- მიმღებს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურებისთვის, რომელიც მას მიადგა გამცემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევით ლიზინგის საგნის დაზიანებისას. ამასთან, მიმღებს არა აქვს უფლება მოითხოვოს თავის მფლობელობაში ლიზინგის საგნის აღდგენა.

ლიზინგის მიმღებს აქვს შემდეგი უფლებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ:

- ლიზინგის საგნის გამყიდველის ყველა ვალდებულება განსაზღვრული გამცემსა და ლიზინგის საგნის გამყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, აგრეთვე ლიზინგის საგნის გამყიდველის მიერ გამცემისათვის მიცემული ყველა სახის გარანტია სრულდება მიმღების სასარგებლოდ ისე, თითქოს მიმღები იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, თუ ლიზინგის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- გამცემი ლიზინგის საგნის გამყიდველთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლს გადასცემს მიმღებს ან სხვა ფორმით აცნობებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და გარანტიებს მანამ, სანამ მიმღები ვალდებული გახდება ლიზინგის ხელშეკრულებით.

ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები.

ლიზინგის გამცემს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებისა და სხვა თანმხლები ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე. მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებით ან სხვა თანმხლები ხელშეკრულებებით წინასწარ განსაზღვრავენ ამავე ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზანსა და წესს. მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს გამცემის შეუფერხებელი დაშვება ლიზინგის საგანთან და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან. გამცემს უფლება აქვს მიმღებს წერილობით მოსთხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მიმღები ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები.

ლიზინგის საზღაურის მოცულობა, გადახდის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ლიზინგის ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები და გამცემი ანგარიშსწორებას ახორციელებენ პროდუქციის მეშვეობით, ამ შემთხვევაში პროდუქციის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან მისი საბაზრო ფასით. მიმღების მიერ ლიზინგის საზღაურის გადახდის ვალდებულება ძალაშია ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან, რომელიც განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულებით, ხოლო შეღავათიანი პერიოდის არსებობის შემთხვევაში – ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან.

მნიშვნელოვანია, რომ ლიზინგის მიმღების გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის ხელშეკრულებით მიღებული ლიზინგის საგანი არ წარმოადგენს გაკოტრების მასის ნაწილს. ლიზინგის გამცემის გაკოტრების შემთხვევაში მის კრედიტორებს არა აქვთ იმაზე მეტი უფლება ლიზინგის საგანზე, ვიდრე გამცემს ექნებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით.

საერთოდ ლიზინგის შესახებ მარეგულირებელი სპეციალური სამართლის ნორმების გარდა ამ სამართალურთიერთობების ნორმატიული რეგულირება ხორციელდება სამოქალაქო კოდექსის ქირავნობის ხელშეკრულებისათვის დადგენილი წესები (ბუნებრივია იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებულ სპეციალურ სამართლის ნორმებს, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 576-579-ე მუხლებს).

/მაგალითი/
ლიზინგის ხელშეკრულება №

ქ. _____

_____ 200 _____ წ

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები

1.1 “ლიზინგის გამცემი”	დასახელება	_____
	იურიდიული მისამართი	_____
	რეგისტრაციის №	_____
	რეგისტრაციის თარიღი	_____
	ანგარიშსწორების	_____
	ანგარიში	_____
	წარმომადგენელი	_____
	სახელი და გვარი	_____
1.2 “ლიზინგის მიმღები”	დასახელება	_____
	მისამართი	_____
	რეგისტრაციის №	_____
	რეგისტრაციის თარიღი	_____
	ანგარიშსწორების	_____
	ანგარიში	_____
	წარმომადგენელი	_____
	სახელი და გვარი	_____

“ლიზინგის გამცემი” და “ლიზინგის მიმღები” ემოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი იღებს ვალდებულებას ცალკე გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში “ნასყიდობის ხელშეკრულება”) შეისყიდოს ლიზინგის მიმღების მიერ შერჩეული მომწოდებლისგან (შემდგომში “გამყიდველი”) ლიზინგის მიმღების მიერ შერჩეული საგანი (შემდგომში “ლიზინგის საგანი”), რომელიც ლიზინგით გადაეცემა ლიზინგის მიმღებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

3. ლიზინგის პირობები

3.1.	ლიზინგის საგანი	იხ. დანართი №1
3.2.	გამყიდველი	_____
3.3.	ლიზინგის საგნის მიწოდების ვადა	_____
3.4.	ლიზინგის საგნის მიწოდების ადგილი	_____
3.5.	ლიზინგის საგნის განთავსების ადგილი	_____

3.6.	ლიზინგის მთლიანი ფასი	()
3.6.1.	მათ შორის დღე	
3.7.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	/200 და - /200 -მდე
3.8.	ლიზინგის საზღაურის გადახდა	დანართში №2 მოცემული გრაფიკის მიხედვით
3.9.	ლიზინგის საზღაურის ვადამდე დაფარვა	დანართში №2 მოცემული პრინციპით
3.10.	პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე	0.5% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, არა უმეტეს ლიზინგის მთლიანი ფასის 20%
3.11.	ლიზინგის საგნის დამზღვევა	
3.12.	ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა	()
3.13.	ვალდებულების უზრუნველყოფის სარგებელი	()
3.14.	ვალდებულების უზრუნველყოფის დაბრუნების თარიღი	/200 .

4. განმარტებები და მნიშვნელობები

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა ადასტურებს, რომ ლიზინგის მიმღებმა უშუალოდ თვითონ შეარჩია სასურველი მომწოდებელი და განსაზღვრა ლიზინგის საგანი. ამდენად ლიზინგის გამცემს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის ან მისი მოწოდების ვადების შესაბამისობაზე ლიზინგის მიმღების მოთხოვნებთან, აგრეთვე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან და წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №1 განსაზღვრულ მახასიათებლებთან.
- 4.2. ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგანთან ან მისი მოწოდების ვადებთან დაკავშირებით პრეტენზიის შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს გამყიდველს. მას გამყიდველთან ენიჭება ისეთივე სოლიდარული უფლება პრეტენზიის წაყენებისა როგორც ლიზინგის გამცემს. ამასთან პრეტენზიის წაყენება და დაკმაყოფილება სავალდებულოა წერილობით შეთანხმდეს ლიზინგის გამცემთან. გამყიდველისგან ფულადი კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, თანხა უნდა მიემართოს ლიზინგის გამცემის ანგარიშზე ლიზინგის საზღაურის შესამცივებლად.
- 4.3. ლიზინგის მიმღებს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მყიდველის ვალდებულებები ლიზინგის საგნის მიღების, შენახვის, მონტაჟის, ექსპლუატაციაში შეყვანის, მოხმარებისა და რემონტის წესებთან დაკავშირებით (გარდა ღირებულების გადახდის ვალდებულებისა) ისე, თითქოს ის იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარე. ლიზინგის გამცემს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულებაზე.
- 4.4. ლიზინგის საგნის მესაკუთრეს წარმოადგენს ლიზინგის გამცემი.
- 4.5. ლიზინგის საგნის მიწოდება ზორციელდება 3.4. მუხლში მითითებულ მისამართზე.
- 4.6. ლიზინგის საგნის მიწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს უნდა აწერდნენ ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების უფლებამოსილი წარმომადგენლები.
- 4.7. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე ლიზინგის მიმღები იძენს ლიზინგის საგნით სარგებლობისა და ფლობის უფლებას, აგრეთვე ეკისრება ლიზინგის საგნის დაზიანების და/ან შემთხვევით დაღუპვის რისკი მთლიანად.
- 4.8. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები დაუყოვნებლივ წერილობით უარს არ განაცხადებს ლიზინგის საგნის მიღებაზე, მაგრამ აყოვნებს მიწოდებული ლიზინგის საგნის მიღებას, მაშინ ლიზინგის საგანი მიწოდებულად ჩაითვლება და ლიზინგის მიმღებს დაეკისრება ლიზინგის საგნის დაზიანების და/ან შემთხვევით დაღუპვის რისკი მთლიანად.
- 4.9. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღებაზე დაუსაბუთებელი უარის შემთხვევაში, ან მიღების შემდეგ მფლობელობაზე უარის თქმისა და წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლის მოთხოვნის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებს ეკისრება პირგასამტეხლო ლიზინგის საერთო თანხის 20 %-ის ოდენობით.

- 4.10.** ლიზინგის მიმღები ვალდებულია განათავსოს ლიზინგის საგანი 3.5. მუხლში მითითებულ მისამართზე და არ გადაადგილოს ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 4.11.** ლიზინგის მთლიანი ფასი წარმოადგენს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნით სარგებლობის საერთო საზღაურს.
- 4.12.** ლიზინგის საზღაურის გადახდა წარმოებს დანართში №2 მოცემული გრაფიკის შესაბამისად.
- 4.13.** წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ბოლოს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და ლიზინგის მთლიანი ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში ლიზინგის საგანი გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში დამატებითი საზღაურის გადახდის გარეშე. საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული რეგისტრაციის ან სხვა ტიპის გადასახადების არსებობის შემთხვევაში, ასეთი ხარჯების გაწევას ახორციელებს ლიზინგის მიმღები.
- 4.14.** ლიზინგის მიმღებს შეუძლია ვადაზე ადრე გამოისყიდოს ლიზინგის საგანი. დანართში №2 მოცემულია ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში დარჩენილი ლიზინგის საზღაურის დისკონტირებული მოცულობა, კონკრეტულ თარიღში გრაფიკით გათვალისწინებული ლიზინგის საზღაურის გადახდის შემდეგ. ლიზინგის საზღაურის ვადაზე ადრე ნაწილობრივი შემცირების შემთხვევაში ლიზინგის მთლიანი ფასი არ იცვლება. დაუშვებელია დანართში №1 მოცემული ლიზინგის საგნის ნაწილის გამოსყიდვა.
- 4.15.** იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები ისარგებლებს 4.14. მუხლში მითითებული უფლებით, მან ლიზინგის საგნის ვადაზე გამოსყიდვის სურვილის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს ლიზინგის გამცემს. ასეთი შეტყობინება უნდა გაკეთდეს გამოსყიდვამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.
- 4.16.** პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები დაავიანებს და/ან არ გადაიხდის ლიზინგის საზღაურს მთლიანად ან ნაწილობრივ გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით. პირგასამტეხლო დაერიცხება ვადაგადაცილებულ დავალიანებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 3.10. მუხლში წარმოდგენილი ოდენობით დღე-ს ჩათვლით.
- 4.17.** ლიზინგის საგნის დაზღვევას ახორციელებს 3.11. მუხლით განსაზღვრული მხარე, წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში მოცემული პირობების დაცვით.
- 4.18.** ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა წარმოადგენს ლიზინგის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას.
- 4.19.** ლიზინგის მიმღები ვალდებულია ჩარიცხოს ლიზინგის გამცემის ანგარიშზე ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღის განმავლობაში
- 4.20.** ვალდებულების უზრუნველყოფის სარგებელი არის წლიური პროცენტი, რომელიც იანგარიშება ვალდებულების უზრუნველყოფის თანხიდან, ლიზინგის გამცემთან განთავსების ფაქტიურ დღეებზე გადაანგარიშებით. სარგებლის დარიცხვა ხორციელდება განთავსების პერიოდის ბოლოს.
- 4.21.** 3.14. მუხლში მითითებულია თარიღი, როდესაც უზრუნველყოფის თანხა უბრუნდება ლიზინგის მიმღებს დარიცხულ სარგებელთან ერთად ან იქვითება ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელ საზღაურში.
- 4.22.** ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია დააკავოს პირგასამტეხლოს, საურავის, მიყენებული ზიანის ან ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა ვალდებულების უზრუნველყოფისა და მასზე დარიცხული სარგებლის თანხიდან.
- 5.** ანგარიშსწორების პირობები:
- 5.1.** ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემს ლიზინგის საზღაური უნდა გადაუხადოს უნაღლო ანგარიშსწორებით, ლიზინგის გამცემის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. გადახდის თარიღად ითვლება ლიზინგის საზღაურის ლიზინგის გამცემის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი.
- 5.2.** ლიზინგის საზღაური დაფიქსირებულია ლარებში. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისათვის ლიზინგის საზღაურის გადახდა უნდა განხორციელდეს ასევე ლარებში.

- 5.3. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა ლიზინგის მიმღებმა უნდა გადაიხადოს, ლიზინგის გამცემის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა უბრუნდება ლიზინგის მიმღებს ან იქვეთება სალიზინგო საზღაურში ექვივალენტით ლარებში.
- 5.4. ვადაგადაცილების არსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებაზე დარიცხული პირგასამტეხლო, შემდეგ ლიზინგის საზღაური.
- 5.5. ლიზინგის საგანთან დაკავშირებული საგადასახადო და მასთან გათანაბრებული ისეთი გადასახადების ცვლილებების შემთხვევაში, რომელთა გადამხდელია ლიზინგის გამცემი, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვოს ლიზინგის საზღაურის გაზრდა გადასახადების ცვლილების შესაბამისად. ლიზინგის გამცემი წერილობით ატყობინებს ლიზინგის მიმღებს განხორციელებული ცვლილებებისა და ლიზინგის საზღაურის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ლიზინგის მიმღები ვალდებულია განხორციელოს გადახდები შეცვლილი თანხის შესაბამისად.
- 5.6. ლიზინგის საგნის ნაკლის გამო გამყიდველისგან მიღებული თანხობრივი ანაზღაურებით, ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული თანხით ლიზინგის საზღაურის შემცირება არ ხსნის ლიზინგის მიმღების ვალდებულებას შემდგომი გადახდის დადგომის ვადაში სრული მოცულობით გადაიხადოს ლიზინგის ყოველთვიური საზღაური. წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისად მცირდება ლიზინგის მოქმედების ვადა.
- 5.7. ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ყოველთვიურ სალიზინგო საზღაურზე საგადასახადო დავალების გამოწერა მოხდება თანდართული გრაფიკით განსაზღვრულ გადახდის თარიღებში.
- 5.8. იმ შემთხვევაში, თუ თანდართული გრაფიკით განსაზღვრული გადახდის თარიღი ემთხვევა უქმე დღეს, თანხის გადახდა და სალაროს შემოსავლის ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს პირველივე სამუშაო დღეს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. ლიზინგის გამცემი ვალდებულია:
 - 6.1.1. გააფორმოს 3.2. მუხლში მითითებულ გამყიდველთან ნასყიდობის ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლში მითითებულ ლიზინგის საგანზე და გააცნოს ლიზინგის მიმღებს ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები.
 - 6.1.2. გადაიხადოს ლიზინგის საგნის ფასი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
 - 6.1.3. ლიზინგის გამცემი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ლიზინგის საგნის ან საგნის ნაწილის ნაკლზე თუ ლიზინგის საგნის ან საგნის ნაწილის ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემამდე იცოდა ნაკლი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით დათქმულ თვისებებს და ეს ნაკლი განზრახ დამალა. ყველა სხვა შემთხვევაში ლიზინგის საგნის / საგნის ნაწილის ნაკლზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამყიდველს.
 - 6.1.4. დაუბრუნოს ლიზინგის მიმღებს ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად 3.14. მუხლში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, ამ პერიოდისათვის ლიზინგის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში.
- 6.2. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია:
 - 6.2.1. მოსთხოვოს ლიზინგის მიმღებს ვალდებულების უზრუნველყოფის თანხისა და ლიზინგის მთლიანი ფასის გადახდა ხელშეკრულების პირობების დაცვით.
 - 6.2.2. ნებისმიერ დროს, ლიზინგის მიმღებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, შეამოწმოს ლიზინგის საგნის მდგომარეობა.
 - 6.2.3. ლიზინგის საგანზე გააკეთოს შესამჩნევი მარკირება რათა უზრუნველყოს მესამე პირთა ინფორმირება, რომ ლიზინგის გამცემი არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე.
 - 6.2.4. მოითხოვოს ლიზინგის საგნის დაბრუნება, თუ ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სრულად.

6.3. ლიზინგის მიმღები ვალდებულია:

- 6.3.1.** ჩარიცხოს ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა ლიზინგის გამცემის ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.9. მუხლის პირობების დაცვით.
- 6.3.2.** მიიღოს ლიზინგის საგანი ლიზინგის გამცემის მიერ 3.4. მუხლში მითითებულ მისამართზე მიწოდებისთანავე და მიღებისთანავე ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს.
- 6.3.3.** განახორციელოს ლიზინგის მთლიანი ფასის გადახდა დანართში მოცემული გრაფიკის დაცვით.
- 6.3.4.** აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგანზე გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები.
- 6.3.5.** იზრუნოს ლიზინგის საგნის სათანადოდ მოვლაზე.
- 6.3.6.** განახორციელოს ლიზინგის საგნის მხოლოდ მიმდინარე რემონტი, ხოლო კაპიტალური სამუშაოები (რემონტი) განახორციელოს მხოლოდ ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობით.
- 6.3.7.** ლიზინგის საგნის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღადგინოს ლიზინგის საგანი და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობა.
- 6.3.8.** არ დაუშვას ლიზინგის საგნის ექსპლუატაციისას, სარგებლობისას, ისეთი სახის თუ ხარისხის (დაბალხარისხიანი და დაბალფასიანი დეტალით/ნაწილით) ნივთით ნებისმიერი სახით მომსახურება რამაც შეიძლება გააუარესოს, არსებითად შეცვალოს ლიზინგის საგნის მდგომარეობა.
- 6.3.9.** დაიცვას ლიზინგის საგნის ტექნიკური პირობები და ექსპლუატაციის წესები.
- 6.3.10.** თუ ლიზინგის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, ნაკლის გამოსწორება მოსთხოვოს გამყიდველს.
- 6.3.11.** ლიზინგის საგნის/საგნის ნაწილის მიღება-ჩაბარებისას წარმოშობილი ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის ნივთის ყიდვასთან, აგრეთვე ლიზინგის საგნის საკუთრებაში მიღების ხარჯები აუნაზღაუროს სრულად.
- 6.3.12.** არ დაუშვას ლიზინგის საგნის გამოყენება კანონმდებლობის ან რაიმე ნორმატიული აქტის დარღვევით. კეთილსინდისიერად შეასრულოს კანონმდებლობის მოთხოვნები სალიზინგო ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით, მიიღოს ყველა ლიცენზია, ნებართვა ან სხვაგვარი ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მოითხოვება ან მოთხოვნილ იქნება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
- 6.3.13.** ქველიზინგის ხელშეკრულება დადოს მხოლოდ ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობით.
- 6.3.14.** ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეცვალოს და არ დააზიანოს მარკირების ფორმა. მარკირების შემთხვევით განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში ერთი დღის ვადაში შეატყობინოს ლიზინგის გამცემს და მიუთითოს მარკირების დაზიანების გამომწვევი მიზეზები. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემს აღმოუჩინოს დახმარება სამი დღის ვადაში განმეორებითი მარკირების განხორციელებისათვის.

6.4. ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია:

- 6.4.1.** გამოიყენოს ლიზინგის საგანი თავისი სამეურნეო მიზნებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.
- 6.4.2.** წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ბოლოს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში საკუთრებაში მიიღოს ლიზინგის საგანი
- 6.4.3.** გამოისყიდოს ლიზინგის საგანი ვადად, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.
- 6.4.4.** ვალდებულების უზრუნველყოფის ვადის ბოლოს მოითხოვოს უზრუნველყოფის თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ სარგებელთან ერთად, ამ პერიოდისათვის ლიზინგის გამცემის მიმართ ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში.

7. უფლებები ლიზინგის საგანზე

- 7.1. ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგანზე არ გააჩნია საკუთრების უფლება. იგი აღჭურვილია მხოლოდ საგნის ფლობისა და სარგებლობის უფლებით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია არ დაუშვას მესამე პირთა მიერ ლიზინგის საგნით სარგებლობა და/ან განკარგვა მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 7.2. ლიზინგის მიმღებს არ შეუძლია თავისი უფლება გადასცეს მესამე პირს ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე. ლიზინგის გამცემს მიმღების თანხმობის გარეშე შეუძლია საკუთრების უფლება-მოვალეობანი ლიზინგის მიმღების მიმართ, გადასცეს მესამე პირებს.
- 7.3. ლიზინგის მიმღებს არ შეუძლია ლიზინგის გამცემის წერილობითი ნებართვის გარეშე შეცვალოს ლიზინგის საგნის რაიმე დეტალი/ნივთი, თუ ეს ცვლილება გამოიწვევს ლიზინგის საგნის ღირებულების შემცირებას.
- 7.4. ლიზინგის საგნის ნებისმიერი რაიმე დეტალის/ნივთის ცვლილება, ლიზინგის საგნის გაუმჯობესება იქნება ის შეთანხმებული თუ არა ლიზინგის გამცემთან, იქნება თუ არა საგნის განუყოფელი ნაწილი ავტომატურად ითვლება ლიზინგის გამცემის საკუთრებად. თუ ლიზინგის მიმღებზე საკუთრებაში გადადის ლიზინგის საგანი, ანუ ლიზინგი მთავრდება გამოსყიდვით, საგნის შეცვლილ/გაუმჯობესებულ ნივთზეც შესაბამისად გადადის საკუთრების უფლება.
- 7.5. ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში ლიზინგის საგანი ავტომატურად გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში.

8. კონტროლი

- 8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია აკონტროლოს ლიზინგის მიმღების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, აგრეთვე ლიზინგის საგანი და მისი ექსპლუატაციის პირობები.
- 8.2. ლიზინგის მიმღები ვალდებულია შექმნას ლიზინგის საგნის გამოყენების კონტროლისა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები. ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის და მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შეღწევის, სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერებისა და შემოწმების ჩათვლით. შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ლიზინგის გამცემის მიერ მიმღების წინასწარი შეტყობინების გარეშე.

9. დაზღვევა

- 9.1. ლიზინგის საგნის დაზღვევას ახორციელებს 3.11 მუხლში მითითებული მხარე.
- 9.2. თუ 3.11. მუხლის მიხედვით ლიზინგის საგნის დამზღვევად განსაზღვრულია ლიზინგის მიმღები, იგი ვალდებულია:
 - 9.2.1. ლიზინგის საგნის მიღებიდან ერთი დღის ვადაში განახორციელოს დაზღვევა და წარადგინოს ლიზინგის გამცემთან სადაზღვევო პოლისი.
 - 9.2.2. თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ლიზინგის მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლიდან ერთი დღის ვადაში წარუდგინოს ლიზინგის გამცემს განახლებული სადაზღვევო პოლისი.
- 9.3. ლიზინგის მიმღების მიერ 9.2. მუხლით განსაზღვრული პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია თვითონ დააზღვიოს ლიზინგის საგანი. ამ შემთხვევაში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია გაზარდოს ლიზინგის საგნის საერთო ფასის დარჩენილი საზღაური დარჩენილ წლებზე გადაანგარიშებით, წელიწადში არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, რის შესახებაც წერილობით ატყობინებს ლიზინგის მიმღებს

- 9.4. სადაზღვევო კომპანიის, დაზღვევის თანხისა და დაზღვეული რისკების შერჩევას ახორციელებს ლიზინგის გამცემი.
- 9.5. დაზღვევის ბენეფიციარს წარმოადგენს ლიზინგის გამცემი.
- 9.6. ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების პირობები.
- 9.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ლიზინგის გამცემს და სადაზღვევო კომპანიას. აგრეთვე განახორციელოს ყველა ის ქმედება რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვევის ასანაზღაურებლად.
- 9.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ლიზინგის გამცემს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურებით ლიზინგის საზღაურის შემცირება, ან ლიზინგის საგნის აღდგენა.
- 9.9. თუ სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას რაიმე მიზეზის გამო აყოვნებს საზღაურის გადახდას, ლიზინგის მიმღები ვალდებულია გააგრძელოს სალიზინგო საზღაურის გადახდა დადგენილი გრაფიკით.
- 9.10. თუ სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას რაიმე მიზეზის გამო არ აანაზღაურებს დაზღვევის თანხას, ლიზინგის მიმღები ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღადგინოს ლიზინგის საგანი და გააგრძელოს სალიზინგო საზღაურის გადახდა.
- 9.11. თუ ლიზინგის საგანი არ ექვემდებარება აღდგენას, ხოლო სადაზღვევო კომპანია რაიმე მიზეზით არ ანაზღაურებს დაზღვევის თანხას ან ეს თანხა არასაკმარისია ლიზინგის დარჩენილი საზღაურის გადასახდელად, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაფაროს დარჩენილი დავალიანება სრულად, საურავების ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება აღემატება ლიზინგის მიმღების დავალიანებას, სხვაობა წარმოადგენს ლიზინგის მიმღების საკუთრებას.
- 9.12. თუ რაიმე მიზეზის გამო ლიზინგის საგანი არ არის დაზღვეული, მისი დაზიანების ან განადგურების რისკი ეკისრება ლიზინგის მიმღებს მთლიანად.

10. განცხადებები და გარანტიები

- 10.1. ლიზინგის მიმღები აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
- 10.2. იგი არის ინდივიდუალური მეწარმე რომელიც თავის საქმიანობას ეწევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.3. აქვს წინამდებარე ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა.
- 10.4. არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩლის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას და/ან აქტივებს.
- 10.5. წარუდგინა ლიზინგის გამცემს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის არსებული ყველა ვალდებულების შესახებ, მათ შორის დამფუძნებლების პირადი ვალდებულებების შესახებ.
- 10.6. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს ლიზინგის მიმღების სადამფუძნებლო დოკუმენტების და ან ნებისმიერი გარიგების პირობის დარღვევას, რომლის მხარესაც წარმოადგენს ლიზინგის მიმღები.
- 10.7. აღნიშნული გარიგების დადებისას, ლიზინგის მიმღები არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 11.1. ლიზინგის მიმღები თანახმაა, რომ ლიზინგის გამცემს შეუძლია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ:
 - 11.1.1. გამყიდველი ცვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთვის წინასწარ შეთანხმებულ პირობებს და შეცვლილი პირობები მიუღებელია ლიზინგის გამცემისთვის ან ლიზინგის მიმღებისთვის.

- 11.1.2.** ლიზინგის მიმღები ვერ გადაიხდის ლიზინგის საზღაურს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული წესით.
- 11.1.3.** ლიზინგის მიმღები ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით დადგენილ (ლიზინგის საზღაურის გადახდის გარდა) ნებისმიერ ვალდებულებას ან ლიზინგის მიმღებსა და ლიზინგის გამცემს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
- 11.1.4.** ლიზინგის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე ლიზინგის მიმღები დაიკისრებს რაიმე დამატებით ვალებს ან ვალდებულებებს;
- 11.1.5.** განადგურდა, დაზიანდა ან ღირებულება შეუმცირდა (ნორმალური ამორტიზაციის გარდა) ლიზინგის საგანს, რაც არ იფარება დაზღვევით.
- 11.1.6.** ლიზინგის მიმღების კაპიტალი მნიშვნელოვნად შემცირდება;
- 11.1.7.** ლიზინგის მიმღების ან თავდების, მათი ქონების, მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიმართ ნებისმიერი სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომლებიც არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის ლიზინგის მიმღების მიერ საკუთარი ქონების განკარგვას, მისი მმართველობის ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილ პირთა საქმიანობას;
- 11.1.8.** ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს ლიზინგის მიმღებს ქონებას ან სხვა აქტივებს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს.
- 11.1.9.** ლიზინგის მიმღების ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებს ან რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი.
- 11.1.10.** ლიზინგის მიმღების მოქმედება მიმართულია ლიზინგის გამცემის მოტყუებისაკენ.
- 11.2.** წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში და წესით.
- 11.3.** ზემოაღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში (იქნება ეს ლიზინგის მიმღების მოქმედების შედეგად თუ კანონის ძალით), ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია შეტყობინების მიწოდების გზით მოითხოვოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა და თავისი შეხედულებით ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი პირობის შესრულება:
- 11.3.1.** ლიზინგის დარჩენილი საზღაურის და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთჯერადი დაფარვა, აგრეთვე ყველა იმ ხარჯისა და ზიანის დაფარვა, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით რაც მიადგა ლიზინგის გამცემს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით
- 11.3.2.** ლიზინგის საგნის დაბრუნება (ლიზინგის გამცემის მიერ დადგენილი წესით), აგრეთვე ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების, ყველა იმ ხარჯისა და ზიანის დაფარვა, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, რაც მიადგა ლიზინგის გამცემს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით, აგრეთვე ლიზინგის დარჩენილი საზღაურისა და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა დაბრუნების მომენტისთვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის გამოკლებით.
- 11.3.3.** სხვა მოთხოვნა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
- 11.4.** შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის გამო ლიზინგის გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა და ვადა, რომელსაც ლიზინგის გამცემი აძლევს ლიზინგის მიმღებს ვალდებულების შესასრულებლად. თუ ვალდებულება შესრულდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში, ლიზინგის ხელშეკრულება არ მოიშლება.
- 11.5.** ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში არ განუ საზღვროს მიმღებს ვალდებულების შესრულებისათვის რაიმე ვადა, თუ აშკარაა, რომ:
- 11.5.1.** ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია;
- 11.5.2.** ლიზინგის საგანს მნიშვნელოვანი დაზიანების საფრთხე ემუქრება;
- 11.5.3.** ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე.
- 11.6.** ლიზინგის მიმღები ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 11.3. მუხლში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში შეასრულოს შეტყობინებაში მოთხოვნილი პირობა. ვადის ამოწურვის შემდეგ, დავალიანების მთლიანი მოცულობა ჩაითვლება

- ვადგადაცილებულად და დაერიცხება 3.10. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის გამცემის მიმართ ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 11.7. ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემისთვის დაბრუნების შემთხვევაში ლიზინგის მიმღების დარჩენილი ვალდებულების მოცულობა დამოკიდებულია დაბრუნების მომენტისთვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე 11.3.2. მუხლის შესაბამისად. საბაზრო ფასი განისაზღვრება ლიზინგის გამცემის შერჩევით ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი წესით:
- 11.7.1. მხარეთა შეთანხმებით.
- 11.7.2. ლიზინგის საგნის რეალიზაციის ფასით. რეალიზაცია ხორციელდება ლიზინგის გამცემის მიერ.
- 11.7.3. ლიზინგის საგნის ხელახალი ლიზინგით გადაცემის ფასით დისკონტირებული ახალი ლიზინგის ვადის მიხედვით – დისკონტირების კოეფიციენტი წლიური 24%. ლიზინგის ახალი მიმღების შერჩევას და შეფასებას ახორციელებს ლიზინგის გამცემი, მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების დაცვით.
- 11.7.4. ლიზინგის საგნის რეალიზაციის/ხელახალი ლიზინგით გადაცემის შემთხვევაში ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს რა ფასად ხდება რეალიზაცია/ხელახალი ლიზინგით გაცემა და მიეცეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღე უფრო მაღალ ფასად ყიდვის მსურველის შესარჩევად. მიმღების მიერ შერჩეული ახალი მყიდველის მიერ ლიზინგის საგნის საზღაურის გადახდის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ მუხლით დადგენილ ვადას.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, დაგების გადაწყვეტა, დასკვნითი დებულებები

- 12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.
- 12.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.
- 12.3. თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.
- 12.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას.
- 12.5. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთობლიობაში.
- 12.6. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
- 12.7. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 12.8. წინამდებარე ხელშეკრულებისთვის შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში, რომელიც მხარეებს, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, უნდა მიეწოდოთ კურიერის, დაზღვეული წერილის ან ფაქსის მეშვეობით, თუ მეორე მხარე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინებს მისამართის შეცვლის შესახებ.
- 12.9. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ქ. ქუჩა № .
- 12.10. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 12.11. წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე. მაგრამ, ლიზინგის მიმღებს უფლება არა აქვს გადასცეს ან გადააბაროს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

- 12.12. წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას.
- 12.13. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია (გაფორმებულია) ქართულ და [] ენებზე, თითო ენაზე - [] () გვერდად, ქართულ ენაზე, - 2 (ორ) ეგზემპლარად, რუსულ ენაზე 2 (ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ქართულ და რუსულ ენებზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დებულებათა ფორმულირების შინაარსი ქართულ და რუსულ ვარიანტებს შორის განსხვავებულია – უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებას, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე.

13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

“ლიზინგის გამცემი”

“ლიზინგის მიმღები”

იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულება წარმოადგენს, ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ხდება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების გადაცემა. იჯარის ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია, როგორც ქირავნობის დროს იყოს მოუხმარებადი ქონება (ნივთები), რომელიც გამოყენების (მოხმარების) შედეგად არ კარგავს თავის ღირებულებას (ნორმალური ცვეთის ჩაუთვლელად) და არ კარგავს თავის თვისებებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ ნივთების გამოყენება მათი დანიშნულებისამებრ უნდა შეიძლებოდეს საიჯარო დროის (პერიოდის) გასვლის შემდეგაც.

საიჯარო ურთიერთობაში ორი მხარეა, ერთის მხრივ ეს არის ქონების იჯარით გამცემი პირი, ანუ მეიჯარე და მეორეს მხრივ ქონების იჯარით მიმღები პირი ანუ მოიჯარე. ორივე მხარის შემთხვევაში საიჯარო სამართალურთიერთობებში შესაძლებელია მონაწილეობას ლეზულობდნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც იჯარის საგანს წარმოადგენს მაგალითად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მეიჯარედ ამ ურთიერთობაში სახელმწიფოს სახელით გამოდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო. მნიშვნელოვანია, რომ იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც გარკვეული მიზნით აქვთ გადაცემული უძრავი თუ მოძრავი ქონება, უფლება არ აქვთ დამოუკიდებლად, თვითნებურად იჯარით გადასცენ ან საერთოდ განკარგონ იგი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ აქვთ შესაბამისი ნებართვა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გადაცემა რეგულირდება სპეციალური ნორმატიული აქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ქონების იჯარით გადაცემის წესს და ასევე იჯარით გადაცემული ქონების პრივატიზაციის წესსა და პირობებს.

მოიჯარეს ქონება გადაეცემა დროებით სარგებლობაში. სარგებლობის კონკრეტული ვადა დგინდება იჯარის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. თუ ასეთი ვადა ხელშეკრულებაში პირდაპირ არ არის განსაზღვრული, მაშინ იგულისხმება, რომ იჯარის ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით. მეიჯარე ვალდებულია გადასცეს საიჯარო ქონება (იჯარის ხელშეკრულების საგანი) (ძირითადი თუ საკუთნეველი ნივთებითა და შესაბამისი დოკუმენტებით), ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უპრინციპულად მხარეებმა საიჯარო ქონების მიღება-გადაცემა და საიჯარო ქონების მდგომარეობის მიმართ დამოკიდებულება დაადასტურონ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, რაც იმის დასტური იქნება, რომ საიჯარო ქონება ერთის მხრივ გადაცემულია (სრულად), მეორეს მხრივ მიღებულია (სრულად) და მესამეს მხრივ მოიჯარეს არ აქვს პრეტენზიები (შენიშვნები) საიჯარო ქონების მდგომარეობასთან მიმართებაში და რომ ეს მდგომარეობა შეესაბამება მათ შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქონებასთან მიმართებაში (დადგენილ) მოთხოვნებს (პირობებს).

ზოგადი პრინციპის თანახმად, მეიჯარეს არ ევალება იმ ნაკლის გამოსწორება და შესაბამისად ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოიჯარისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების, ან ამ ქონების გადაცემის და მით უფრო საიჯარო ქონების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს სიტუაცია, როდესაც მოიჯარეს ჩვეულებრივი დათვალიერების შედეგად არ შეუმჩნევია და არც შეეძლო საიჯარო ქონების იმ ნაკლის შემჩნევა, რომელიც მას გააჩნდა. ამ კატეგორიაში მოექცევა ასევე უფლებრივი ნაკლის შემთხვევები.

იჯარის ხელშეკრულებით მოიჯარეს მიერ ნაკისრ ვალდებულებებში წამყვანი (ძირითადი) ვალდებულებაა საიჯარო ქირის დროულად, სრულად და ჯეროვნად გადახდა. ბუნებრივია საიჯარო ქირა დგინდება იჯარის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. საერთოდ საიჯარო ურთიერთობების მიმართ გამოიყენება იგივე წესები (ნორმატიული რეგულაცია), რაც დადგენილია ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობისათვის სამოქალაქო კოდექსით. ამ წესებისაგან განსხვავებული (სპეციალური) ნორმატიული რეგულაცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 581-606-ე მუხლებში და როგორც ზემოთ აღინიშნა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში (სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების (მიწის) იჯარასთან მიმართებაში). უნდა აღინიშნოს, რომ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობის დროს ძირითადი (წამყვანი) მიზანი არის ქირავნობი საგნის მხოლოდ მოხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთის მოხმარება ხორციელდება ამ ნივთის მოხმარების შედეგად შემოსავლის მიღების გარეშე, ხოლო იჯარით გადაცემული მოძრავი თუ უძრავი ნივთებით სარგებლობის მიზანი არის არა ამ ნივთების უშუალოდ, მხოლოდ მოხმარება, არამედ ისეთი მოხმარება, რომელიც ორიენტირებულია შემოსავლის მიღებაზე.

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით.

მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განსაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო ურთიერთობა მოშალოს იმავე საერთო საფუძვლით (ვდადგენილი ვადა), რაც დადგენილია ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის (სსკ 561-ე მუხლი)³¹.

ძალიან ხშირად იჯარის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის იჯარის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს იგი გადაეცემა მოიჯარეს იმ ინვენტართან ერთად, რომელიც მასზეა თუ მის გარეშე. ზოგადი წესის მიხედვით, მიწის ნაკვეთის იჯარის დროს მისი გადაცემა შესაძლებელია მოხდეს, როგორც მასზე არსებულ ინვენტართან ერთად, ასევე მის გარეშე. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიწის იჯარის ინვენტარში შესაძლებელია იგულისხმებოდეს, როგორც უსულო საგნები, ისე სულიერი (მაგალითად პირუტყვი).

იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად, მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის (ამ შემთხვევაში, მაგალითად პირუტყვის არსებობის დროს მოიჯარეს ასევე ექნება ვალდებულება მოუაროს მას). მეიჯარე ვალდებულია გამოცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მოიჯარე მოვალეა შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული პირუტყვის დანაკარგი, მიუხედავად მეურნეობის სწორი გაძღოლისა.

მოიჯარემ ინვენტარი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეავსოს, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას. მის მიერ შექმნილი

³¹ ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ცალკეული ინვენტარი საერთო ინვენტართან შეერთებით მეიჯარის საკუთრებად იქცევა.

საიჯარო ურთიერთობებში ინვენტარის გადაცემა შესაძლებელია მოხდეს, როგორც ინვენტარის შეფასების განხორციელებით ასევე მის (შეფასების) გარეშე. თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებით და იკისრებს ვალდებულებას, იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დააბრუნოს უკან, მაშინ მას ეკისრება შემთხვევით დაღუპვისა და გაფუჭების რისკი. მეურნეობის სწორი გაძღოლის ფარგლებში მას შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა. იმ შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ქონება მოიჯარეს გადაეცემა შეფასების გარეშე მოიჯარე ვალდებულია მოუაროს და შეუნარჩუნოს ინვენტარს თავისი ღირებულება, ბუნებრივი ცვთის გათვალისწინებით. მოიჯარის ბრალის გარეშე, ინვენტარის დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია შეცვალოს იგი სხვა სათანადო სახისა და ღირებულების ინვენტარით, იმისათვის რომ მოიჯარეს ჰქონდეს საიჯარო მეურნეობის სრულყოფილი წარმოების შესაძლებლობა.

იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მოიჯარემ უნდა დაუბრუნოს მეიჯარეს ინვენტარი. მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის მიღებაზე, თუ იგი მიწის ნაკვეთზე სწორი მეურნეობის გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირია. უარის თქმასთან ერთად მიუღებელ ინვენტარზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. თუკი არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის შეფასებებს შორის, ეს სხვაობა ფულით უნდა ანაზღაურდეს. შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებდა იჯარის ხელშეკრულების დასრულების მომენტისათვის.

საიჯარო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც მოიჯარეს აკისრებენ ვალდებულებას არ განკარგოს ინვენტარის ნაწილები, ან განკარგოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას შეისყიდოს ინვენტარი საიჯარო ურთიერთობის დასრულებისას საინვენტარიზაციო შეფასებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების საგანი არის მიწის ნაკვეთი, რომელიც მოიჯარეს გადაეცემა მასზე არსებულ ინვენტართან ერთად, მიწის ნაკვეთის მოიჯარეს აქვს გირავნობის უფლება მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარზე მეიჯარის მიმართ წაყენებული იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც შეეხება იჯარით მიღებულ ინვენტარს. ამავდროულად მეიჯარეს შეუძლია თავიდან აიცილოს მოიჯარის უფლება გირავნობაზე, თუ წარადგენს უზრუნველყოფის სხვა საშუალებას. მეიჯარეს თავის მხრივ უფლება აქვს მოიჯარესთან შეთანხმებით, ყველა ის ვალდებულებები, რაც მას ინვენტართან დაკავშირებით აკისრია მოიჯარის მიმართ (მაგალითად მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის მეიჯარეს მიერ შეძენა) შეცვალოს შესაბამისი ღირებულების სხვა საშუალებებით. მას ასევე შეუძლია ინვენტარის ყოველი ნაწილი დაიხსნას გირავნობის უფლებისაგან იმით, რომ შესთავაზოს ამ ნაწილების ღირებულების შესაბამისი უზრუნველყოფის საშუალება.

ისევე როგორც ქირავნობის დროს, იჯარის შემთხვევაშიც მოიჯარემ (როგორც ქირავნობისას დამქირავებელმა) უნდა გამოიყენოს საიჯარო ქონება საიჯარო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. საიჯარო ქონების (იჯარის ხელშეკრულების საგნის) გამოყენების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ე.წ. ქვეიჯარა. მოიჯარეს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მეიჯარეს თანხმობით (სსკ 587-ე მუხლი). მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. მნიშვნელოვანია, რომ მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების ქვეიჯარით გადაცემა არ ნიშნავს მოიჯარის საიჯარო ურთიერთობებიდან გასვლას და მისი, როგორც მოიჯარის, უფლება-მოვალეობების მესაკუთრეზე -

მეიჯარეზე გადაცემას. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დადებული იჯარის ძირითადი ხელშეკრულება თავისი თავდაპირველი პირობებით კვლავ რჩება ძალაში რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადო შესრულებაზე კვლავ მოიჯარეა პასუხისმგებელი.

ქვეიჯარის დროს მოიჯარესა და ქვემოიჯარეს შორის იდება ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათ შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და ამ უფლება-მოვალეობათა ფარგლებს.

ისევე, როგორც ქირავნობის ხელშეკრულების დროს ქვექირავნობის შემთხვევაში, ასევე იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქვეიჯარის ხელშეკრულების დროს ქვეიჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარემ ან დამქირავებელმა ნივთი სხვანაირად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული. მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის ან დამქირავებლის მიერ ქონების ამგვარად გამოყენება.

შესაძლებელია იჯარის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია განსაზღვრული ვადით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დადგომამდე მოიშალოს მოიჯარის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს, იჯარის ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით. თუ მოიჯარე ვერ შესთავაზებს ასეთ მოიჯარეს, მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობათა დასრულებამდე. თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას არ არის განსაზღვრული იჯარის ვადა, მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის. იგი შეიძლება მოიშალოს საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების მოშლის ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში მოიჯარის, როგორც კანონისმიერ, ისე ანდერძისმიერ მემკვიდრეებს უფლება აქვთ გააგრძელონ საიჯარო ურთიერთობა იმავე ხელშეკრულების საფუძველზე. მემკვიდრეებს ამავედროულად უფლება აქვთ საიჯარო ურთიერთობა გააგრძელონ უშუალოდ თვითონ, ან დამხმარე პირების მეშვეობით. მემკვიდრეების მიერ საიჯარო ურთიერთობის გაგძელების კიდევ ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის ის, რომ მათ (მემკვიდრეებს) შეეძლოთ იჯარით გადაცემული ქონების სწორი გამოყენება. მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარეს შეუძლიათ საიჯარო ურთიერთობა მოშალონ კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში. მნიშვნელოვანია, რომ მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების მოშლაზე და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ მათ უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით შეუძლიათ იჯარით გადაცემული ქონების სწორი სამეურნეო გამოყენება.

თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ასევე სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც ზიანიც მას მიადგა მაგალითად საიჯარო ქონების დაბრუნების ვადის გადაცილებით ან მისი დაუბრუნებლობით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

სასოფლო-სამეურნეო³² მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან ასეთი ნაგებობის გარეშე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ან ამ მიზნით გამოსაყენებელი მიწის იჯარით გადაცემის დროს მოიჯარის მიერ ხდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სასურსათო) წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია. იჯარით აღებული ობიექტების (იჯარის ხელშეკრულების საგნის) არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა და შესაბამისად იჯარის ხელშეკრულება იჯარის ერთ-ერთი სახეობაა, შესაბამისად თავისი ბუნებით იგი წარმოადგენს ორმხრივ, სასყიდლიან, კონსენსუალურ გარიგებას. მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

მხარეებმა საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა შეადგინონ საიჯარო ქონების ნუსხა, რომელშიც აღინიშნება მისი ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტისათვის. იგივე წესი გამოიყენება საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. ნუსხას ხელს უნდა აწერდეს ორივე მხარე და მითითებულ უნდა იქნეს მისი შედგენის თარიღი. მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ მდგომარეობაში იჯარის მთელი ვადის მანძილზე. მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს ქონების მიმდინარე რემონტი, შეაკეთოს საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, გზები, თხრილები, მილები, ღობეები. როგორც ზემოთ აღინიშნა მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებული ქონება გამოიყენოს სამეურნეო დანიშნულებით.

მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებული ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე (ნაყოფზე).

თუ საიჯარო მიწაზე სტიქიური უბედურების, ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად (ბუნებრივია ამ შემთხვევაში ისეთი მოვლენები, როგორც არის გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა, ყინვა, მეხის დაცემა და სხვა მსგავსი მოვლენები ჩაითვლება ფორსმაჟორულ გარემოებად) მოიჯარეს მოსავლის ნახევარზე მეტი გაუნადგურდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის შესაბამისი პროპორციით შემცირება. საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება მოიჯარეს აქვს მხოლოდ ზარალის ოდენობისა და მიზეზების შესახებ მოსავლის აღებამდე გაფორმებული აქტის საფუძველზე.

მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქონების მდგომარეობის (მათ შორის მიწის) გაუმჯობესებისათვის გაწეული კაპიტალური

³² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისთვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;

ხარჯები. ზემოხსენებული ხარჯების გარდა, სხვა საჭირო ხარჯები, რომლებზედაც მეიჯარემ თანხმობა განაცხადა, მან უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას.

თუ საიჯარო ურთიერთობა წყდება საიჯარო წლის განმავლობაში, მაშინ მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების თანახმად ჯერ კიდევ აუღებელი, მაგრამ იჯარის მიმდინარე წლის ბოლომდე ასაღები მოსავლის ღირებულება.

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარემ თავის შემცვლელ მოიჯარეს უნდა დაუტოვოს ნაგებობა სათანადო მდგომარეობაში, ხოლო მოწყობილობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია – იმ ოდენობით, რომელიც აუცილებელია მეურნეობის გასაგრძელებლად მომავალი წლის მოსავლის აღებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე ვალდებულია პროდუქცია დატოვოს მეტი ოდენობით ან უკეთესი ხარისხისა, ვიდრე მან იჯარის დაწყებისას მიიღო, მას შეუძლია მეიჯარეს მოსთხოვოს ღირებულების ანაზღაურება.

მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ იჯარით აღებული ქონება დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაბრუნებამდე არსებული მეურნეობის სათანადოდ გაგრძელებას.

მოიჯარეს უფლება აქვს გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან იჯარით აღებული ქონება აღჭურვა მეიჯარეს შეუძლია გამოაცალკევების უფლება შეცვალოს შესაბამისი ანაზღაურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოიჯარეს აქვს გამოცალკევებისთვის პატივსადები ინტერესი. შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს მოიჯარის ზემოგათვალისწინებულ უფლებას, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი შეთანხმება ითვალისწინებს შესაბამის ანაზღაურებას.

მოიჯარეს შეუძლია მოსთხოვოს მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ:

- მეურნეობის იჯარა მოიჯარის მეურნეობისათვის წარმოადგენს საარსებო საფუძველს;
- მიწის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის მოშლა, თუნდაც ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარისა თუ მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას არა აქვს გამართლება თვით მეიჯარის პატივსადები ინტერესებითაც კი.

ისევე როგორც სხვა მრავალი ხელშეკრულების დროს, საიჯარო ურთიერთობა (იჯარის ხელშეკრულება) წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით. სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, თუ ერთი მხარის წინადადებაზე - გაგრძელდეს საიჯარო ურთიერთობა - მეორე მხარე უარს არ იტყვის სამი თვის განმავლობაში. წინადადება და მასზე უარი უნდა გაფორმდეს წერილობით.

თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია საიჯარო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს ათი დღისა განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი. თუკი მხარეები შეთანხმდნენ უფრო მცირე ვადაზე, მაშინ საჭიროა ამის წერილობით გაფორმება. იმ შემთხვევებში, როდესაც საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე, მაშინ იგი დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის დამთავრებისათვის.

ფრენშიზინგი

ფრენშიზინგის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლში: „ფრენშიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას“. ტერმინი „ფრენშიზინგი“ ფრანგული სიტყვა „ფრანშიზა“-დან მომდინარეობს და თავის მხრივ პრივილეგიას, შეღავათს ნიშნავს. მიუხედავად მისი ეტიმოლოგიური წარმომავლობისა ფრენშიზინგი, როგორც კომერციული საქმიანობის მეთოდი და ხელშეკრულების სპეციფიური სახეობა თავდაპირველად აშშ-ში აღმოცენდა. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ყველა შემთხვევაში არაერთგვაროვან შინაარსობრივ შევსებას აძლევს ფრენშიზინგს. ასევე სხვადასხვაგვარად განმარტავენ მას შესაბამისი (ვიწრო პროფილის მქონე) ასოციაციები. ასე მაგალითად დიდი ბრიტანეთის ფრენშიზინგის ასოციაცია თავისებურად საზღვრავს ფრენშიზინგს: ეს არის საკონტროლო ლიცენზია, გაცემული ერთი პირის მიერ (ფრენშიზის მიმცემი) მეორის მიმართ (ფრენშიზის მიმღები), რომელიც:

- აძლევს უფლებას ან აიძულებს ფრენშიზის მიმღებს ფრენშიზინგის პერიოდში დასაქმებულ იქნას განსაზღვრული ბიზნესით, გამოიყენოს სპეციფიური სახელწოდება, რომელიც ეკუთვნის ფრენშიზის მიმცემს;
- აძლევს ნებას ფრენშიზის მიმცემს ფრენშიზინგის ხელშეკრულების პერიოდში განახორციელოს კონტროლი განსაზღვრულ ბიზნესზე, რომელიც ფრენშიზინგის ხელშეკრულების საგანია;
- აიძულებს ფრენშიზის მიმცემს დახმარება გაუწიოს ფრენშიზის მიმღებს ბიზნესის წარმართვაში, რომელიც ხელშეკრულების საგანია;
- აიძულებს ფრენშიზის მიმღებს რეგულარულად გადაუხადოს ფრენშიზის მიმცემს ფრენშიზინგის ხელშეკრულების პერიოდში განსაზღვრული ფულადი ანაზღაურება იმ საქონლისა და მომსახურებისათვის, რასაც ფრენშიზის მიმცემი უწევს ფრენშიზის მიმღებს;
- გარიგება ჰოლდინგურ და მის შვილობილ კომპანიებს შორის არ არის ჩვეულებრივი, ან შვილობილ კომპანიებსა და ერთ ჰოლდინგურ კომპანიას შორის, ან კერძო პირსა და კომპანიას შორის, რომელიც მას უწევს კონტროლს.

დღევანდელ დღეს საქართველოში ფრენშიზინგის ხელშეკრულება და შესაბამისად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართალურთიერთობანი სულ უფრო და უფრო ინტენსიურად იკიდებს ფეხს. ფრენშიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართალურთიერთობების წარმატებული მაგალითია ფირმა „მაკდონალდსი“-ს რესტორნების ქსელი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე რამოდენიმე ათას რესტორანს აერთიანებს. დღევანდელ დღეს უკვე საკმაოდ ბევრი კომპანია მოქმედებს ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ფრენშიზინგის ხელშეკრულება თავისი ბუნებით კონსენსუალური და სასყიდლიანი გარიგებაა. ფრენშიზინგის ხელშეკრულებით ფრენშიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა (საქონლის, პროდუქციის) გასაღებისთვის ხელშესაწყობად. ფრენშიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირთა ჩარევებისაგან, განუწყვეტლივ განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციების მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშიზის მიმღებს.

ფრენშაიზის მიმღები თავის მხრივ ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრენშაიზინგის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან.

ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრენშაიზინგთან დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით კი - ფრენშაიზინგის სისტემა, და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია. ისინი ვალდებული არიან არ გათქვან მათთვის განდობილი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობით ფორმას. გარდა მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების, ხელშეკრულების ხანგრძლივობის, მოშლის ან ვადის გაგრძელებისა და ხელშეკრულების სხვა არსებითი ელემენტების თვალნათლივ აღნიშვნისა, მხარეებმა ხელშეკრულების ტექსტში უნდა შეიტანონ ფრენშაიზინგის სისტემის სრულყოფილი აღწერა.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა მიერ იმ მოთხოვნისა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული საქონლისა და მომსახურების გასაღებასთან. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება ათ წელს, ყოველი მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება მოშლისთვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით. თუ არც ერთი მხარე არ იყენებს ხელშეკრულების მოშლის ამ უფლებას, ხელშეკრულება გაგრძელდება ორი წლით. ვადის გასვლის გამო ან მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მხარეები უნდა შეეცადონ საქმიანი ურთიერთობების ფაქტობრივ დამთავრებამდე ურთიერთნდობის პრინციპების დაცვით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით.

სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია. ამ ფარგლებში ფრენშაიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს. თუ კონკურენციის აკრძალვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროფესიულ საქმიანობას, ფრენშაიზის მიმღებს უნდა მიეცეს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის დამთავრებისა.

ფრენშაიზის მიმცემი პასუხს აგებს ფრენშაიზის სისტემით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციისათვის. თუ იგი ბრალეულად არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფრენშაიზის მიმღები უფლებამოსილია შეამციროს საზღაური. შემცირების ოდენობა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, რომლის ხარჯებიც ეკისრებათ მხარეებს.

**კომერციული კონცესიის ხელშეკრულება
(ფრენშაიზინგი)**

„____“ _____ 201 წ.
(დასახლებული პუნქტი) (თარიღი)

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)
რომელსაც წარმოადგენს _____ შემდგომში
(სახელი, გვარი, თანამდებობა)
„ფრენშაიზის მიმცემად“ წოდებულმა, ერთის მხრივ და _____
რომელსაც

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)
წარმოადგენს _____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „ფრენშაიზის მიმღებად“ წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ფრენშაიზის მიმცემი იღებს ვალდებულებას საზღაურის სანაცვლოდ ხელშეკრულებაში მითითებული ვადით მისცეს ფრენშაიზის მიმღებს უფლება გამოიყენოს თავის სამეწარმეო საქმიანობაში ფრენშაიზის მიმცემის კუთვნილი შემდეგი განსაკუთრებული უფლებების კომპლექსი:

- 1) ფრენშაიზის მიმცემის საფირმო დასახელების და კომერციული აღნიშვნის უფლება;
 - 2) უფლება დაცულ კომერციულ ინფორმაციაზე;
 - 3) უფლება სასაქონლო ნიშანზე, რომელიც მითითებულია _____ -ში;
 - 4) უფლება მომსახურების ნიშანზე, რომელიც მითითებულია _____ -ში.
- 1.2. კომერციული ინფორმაცია შედგება _____ და განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების დანართით N _____.

2. უფლებების გამოყენების ტერიტორია და სფერო

2.1. ფრენშაიზის მიმღები იყენებს ფრენშაიზის მიმცემის კუთვნილ განსაკუთრებულ უფლებათა კომპლექსს მხოლოდ _____ სფეროში და მხოლოდ _____ ტერიტორიაზე.

3. მხარეთა ვალდებულებები

- 3.1. ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია:
- 1) გადასცეს ფრენშაიზის მიმღებს ტექნიკური და კომერციული დოკუმენტაცია და მიაწოდოს სხვა ინფორმაცია, რომელიც ფრენშაიზის მიმღებს სჭირდება ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებების განსახორციელებლად და აგრეთვე ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ფრენშაიზის მიმღებს და მის თანამშრომლებს ამ უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
 - 2) გადასცეს ფრენშაიზის მიმღებს შემდეგი ლიცენზიები: _____;
 - 3) უზრუნველყოს ლიცენზიების გაფორმება დადგენილი წესით;
 - 4) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების რეგისტრაცია დადგენილი წესით;
 - 5) გაუწიოს ფრენშაიზის მიმღებს მუდმივი ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარება, თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ჩათვლით;

- 6) გააკონტროლოს ფრენშიაზის მიმღების მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული საქონლის ხარისხი;
 - 7) არ მიანიჭოს სხვა პირებს ამ ხელშეკრულების ანალოგიური განსაკუთრებული უფლებების კომპლექსი მათ გამოსაყენებლად ფრენშიაზის მიმღებზე გაპიროვნებულ ტერიტორიაზე და აგრეთვე თავი შეიკავოს ამ ტერიტორიაზე ანალოგიური საქმიანობის განხორციელებისაგან.
- 3.2. ფრენშიაზის მიმღები ვალდებულია:
- 1) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენოს ფრენშიაზის მიმცემის საფირმო დასახელება, კომერციული აღნიშვნა, სხვა უფლებები შემდეგნაირად: _____;
 - 2) უზრუნველყოს მის მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ფრენშიაზის მიმცემის მიერ წარმოებული ანალოგიური საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ხარისხთან;
 - 3) დაიცვას ფრენშიაზის მიმცემის ინსტრუქციები და მითითებები, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებული უფლებების კომპლექსის გამოყენების ხასიათის, ხერხებისა და პირობების შესაბამისობის უზრუნველყოფაზე იმდაგვარად, როგორც გამოიყენება იგი ფრენშიაზის მიმცემის მიერ, მათ შორის ის მითითებები, რომლებიც ეხება ფრენშიაზის მიმღების მიერ მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების განხორციელებისას გამოყენებული კომერციული სადგომების გარე და შიდა გაფორმებას.
 - 4) გაუწიოს მყიდველებს (დამკვეთებს) დამატებითი ისეთი მომსახურება, როგორსაც ისინი მიიღებდნენ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ყიდვისას (დაკვეთისას) უშუალოდ ფრენშიაზის მიმცემისაგან.
 - 5) არ გათქვას ფრენშიაზის მიმცემის მისთვის მინდობილი წარმოების საიდუმლოებანი და მისგან მიღებული სხვა კონფიდენციალური კომერციული ინფორმაცია;
 - 6) მიანიჭოს _____ ვადაში სუბკონცესიის პირობებზე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული უფლებები შემდეგ პირებს _____;
 - 7) შეატყობინოს მყიდველებს (დამკვეთებს) მათთვის ყველაზე თვალსაჩინო ხერხით, რომ იგი იყენებს საფირმო დასახელებას, კომერციულ აღნიშვნას, სასაქონლო ნიშანს, მომსახურების ნიშანს ან ინდივიდუალიზაციის სხვა საშუალებას ამ ხელშეკრულების ძალით;
 - 8) არ გაუწიოს ფრენშიაზის მიმცემს კონკურენცია იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ამ ხელშეკრულების მოქმედება.

4. გასამრჯელო და ანგარიშსწორების წესი

- 4.1. გასამრჯელო განსაკუთრებული უფლებების კომპლექსის გამოყენებისთვის დგინდება მხარეების მიერ ფიქსირებული პერიოდული გადასახადების სახით, ფრენშიაზინგის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით.
- 4.2. ერთი გადასახადის ოდენობა შეადგენს _____.
- 4.3. გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად არაუგვიანეს _____ რიცხვისა ფრენშიაზის მიმცემის ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით.
- 4.4. პირველი გადასახადი უნდა იყოს შეტანილი ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან _____ ვადაში.
- 4.5. გადასახადის ვადის გადაცილებისათვის ფრენშიაზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა გადასახადის თანხის _____ ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისთვის.

5. ფრენშიაიზის მიმცემის პასუხისმგებლობა ფრენშიაიზის მიმღებისთვის წაყენებულ მოთხოვნებზე

- 5.1. ფრენშიაიზის მიმცემი სუფსიდიალურად აგებს პასუხს ფრენშიაიზის მიმღების წინაშე მოთხოვნებზე, რომლებიც ეხებათ ამ ხელშეკრულებით ფრენშიაიზის მიმღების მიერ გაყიდული (შესრულებული, გაწეული) საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ხარისხის შეუსაბამობას.
- 5.2. ფრენშიაიზის მიმღების, როგორც ფრენშიაიზის მიმცემის პროდუქციის (საქონლის) მწარმოებლის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე ფრენშიაიზის მიმცემი პასუხს აგებს ფრენშიაიზის მიმღებთან სოლიდარულად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი დადება ახალი ვადით

- 6.1. ეს ხელშეკრულება შედის ძალაში მისი სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან, რაც შეთანხმებული უნდა იყოს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან და მოქმედებს „...“ _____ 201 წ.-მდე. ხელშეკრულების ვადამდელი გაუქმების შემთხვევაში იგი ასევე ექვემდებარება რეგისტრაციას ფრენშიაიზის მიმცემის მიერ.
- 6.2. ფრენშიაიზის მიმღებს, რომელიც სათანადოდ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აქვს უფლება მის დადებაზე ახალი ვადით და იგივე პირობებით.
- 6.3. ფრენშიაიზის მიმცემს აქვს უფლება უარი თქვას კომერციული კონცესიის ხელშეკრულების ახალი ვადით დადებაზე იმ პირობით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში იგი არ დადებს სხვა პირებთან კომერციული კონცესიის ანალოგიურ ხელშეკრულებებს და არ დათანხმდება კომერციული სუბკონცესიის მსგავსი ხელშეკრულების დადებაზე, რომელთა მოქმედება გავრცელდება იმავე ტერიტორიაზე, რომელზეც მოქმედებდა ეს ხელშეკრულება.
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ფრენშიაიზის მიმცემს გაუჩნდა სურვილი ვინმეს მიაწიოს იგივე უფლებები, რაც ჰქონდა ფრენშიაიზის მიმღებს ამ ხელშეკრულებით, იგი ვალდებულია შესთავაზოს ფრენშიაიზის მიმღებს ახალი ხელშეკრულების დადება ან ანაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ მიყენებული ზარალი. ახალი ხელშეკრულების დადებისას მისი პირობები უნდა იყოს არანაკლებ ხელსაყრელი ფრენშიაიზის მიმღებისთვის, ვიდრე წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

7. დასკვნითი დებულებები

- 7.1. ხელშეკრულება შედგენილია _____ ეგზემპლარად _____ თითოეული მხარისთვის.
- 7.2. იმ საკითხის გადაწყვეტისას, რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დავის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

ფრენშიაიზის მიმცემი	ფრენშიაიზის მიმღები
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

თხოვების ხელშეკრულება

თხოვების ხელშეკრულება განეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელშიც თითოეული ჩვენთაგანი პრაქტიკულად ყოველდღე ლეზულობს მონაწილეობას. თხოვების ხელშეკრულებათა უმრავლესობა იდება ზეპირი ფორმით და ეს ბუნებრივია, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ არ იქნებოდა დაგეგნილი ფორმის თავისუფლების პრინციპი, იგი დაკარგავდა თავის პრაქტიკულ გამოყენების ხიბლს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის. როგორც ვხედავთ თხოვების ხელშეკრულებაში ორი მხარე მონაწილეობს. გამნათხოვრებელი და მონათხოვრე.

გამნათხოვრებლის უფლებაა - უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სხვას (ხელშეკრულების მეორე მხარეს) ნივთი (ხელშეკრულების საგანი) ან ქონებრივი ხასიათის რომელიმე უფლება, ხოლო თავის მხრივ მისი (გამნათხოვრებლის) ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ გადასაცემი უფლება უხარვეზო იყოს, ხოლო ნივთი - უნაკლო. გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის.

იმ შემთხვევაში თუ გამნათხოვრებელი შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მონათხოვრეს მიყენებული ზიანი.

მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს თხოვების ხელშეკრულებით პირდაპირ არის განსაზღვრული. მას არა აქვს უფლება ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები. გამნათხოვრებლის მოვალეობა სხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით.

ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის მონათხოვრე პასუხს არ აგებს, თუკი ეს გამოწვეულია ხელშეკრულების შესატყვისი სარგებლობით.

მონათხოვრე მოვალეა თხოვების ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნივთი დაიბრუნოს გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ. ხოლო, თუკი მიზანი არ არის განსაზღვრული, მაშინ მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი დაბრუნება. მნიშვნელოვანია, რომ მონათხოვრეს თხოვების ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს შეუძლია ნივთი დააბრუნოს უკან.

თუ მონათხოვრე გარდაიცვალა, ან გამნათხოვრებელი გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საჭიროებს ნივთს, მას შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულებით, როგორც ვხედავთ შესაძლებელია ყველა იმ გვაროვნული ნივთის გადაცემა, რომელიც არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან. მნიშვნელოვანია, რომ სასესხო ურთიერთობანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ორ თავში არის მოწესრიგებული. სამოქალაქო კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება სესხს, ხოლო ოცდამეერთე თავში საუბარია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ზოგად ნორმებზე, რომელიც ამავდროულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა.

სესხის ხელშეკრულების თავისებურებებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია მივიჩნიოთ ცალმხრივ, რეალური ხასიათის ხელშეკრულებად, ვინაიდან, მისი მონაწილეებიდან, მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედებების შესრულებას (სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნება). მეორე მხარეს კი შესაბამისი უფლება გააჩნია (გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლისაგან მოითხოვოს ნასესხების დაბრუნება). სესხის ხელშეკრულება განეკუთვნება რეალურ გარიგებათა რიცხვს, იმიტომ, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს (სესხის სახით) ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს (ხელშეკრულების საგანს). მხოლოდ შეთანხმება სესხის თაობაზე არ ითვლება ხელშეკრულების დადებად, შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია ხელშეკრულების საგნის გადაცემაც, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება ვერ იქნება დადებული, თუ სამისოდ არ არის გამოვლენილი გამსესხებელის შესაბამისი ნება და მოქმედება.³³ სესხის ხელშეკრულების მიზანია საკუთრების უფლების მოპოვება ნასესხებ ფულზე ან ნივთზე. მსესხებელს უფლება აქვს ნასესხები ქონება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ და მის გამცემს (გამსესხებელს) უფლება არა აქვს უკანვე გამოითხოვოს იგი. ამიტომ სესხის გაცემისას მსესხებელი ხდება ნასესხები ფულის ან ნივთის მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, სესხის დაბრუნებისას მსესხებელმა უნდა დააბრუნოს იგივე არა იგივე ნივთი, რომელიც გაიცა, არამედ მსგავსი-იგივე სახის, ხარისხისა და რაოდენობის. ეს მოთხოვნა ასევე სამართლიანია, ვინაიდან გაცემულ იქნა გვაროვნული ნივთი და ამავდროულად იგი გაიცა საკუთრების უფლებით, რაც ლოგიკურად მის მოხმარებას, განკარგვას გულისხმობს.

სესხის ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებაში კანონმდებელი განამტკიცებს ფორმის თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დადებულ იქნას, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. პრაქტიკაში საკმაოდ ბევრია შემთხვევები, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით. ამ შემთხვევებში სასამართლო საქმის წარმოებისას საკმაოდ რთულია ხელშეკრულების არსებობა-არარსებობის დადგენა. იმისათვის, რომ დაცული იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი, კანონმდებელი განსაზღვრავს და ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო კოდექსში არ

³³ ავტორთა კოლექტივი. (2002). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე* (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 228.

იქნებოდა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა, შესაძლებელი იქნებოდა, მრავალი არაკეთილსინდისიერი პირის მიერ ზეპირი ხელშეკრულების არსებობის იმიტირება, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოყვანილ იქნებოდა რამოდენიმე პირი, რომელიც “დაადასტურებდა” სესხის ხელშეკრულების არსებობას, იმ დროს, როდესაც ასეთი ხელშეკრულება საერთოდ არ დადებულა. ზუსტად ასეთი სიტუაციების აღმოფხვრისათვის არის დათქმა, რომ ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით (სსკ 624-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, იმისათვის რომ დადგინდეს მისი არსებობა აუცილებელია მაგალითად ე.წ. სავალო ხელწერილის არსებობა ან სხვა წერილობითი დოკუმენტის არსებობა, რომელიც დოკუმენტის ძალითაც შესაძლებელია დადგინდეს მსესხებლის მიერ გამსესხებლის მიერ ვალდებულების არსებობა, აღიარება, ვალდებულების შესრულების გადავადება და ა.შ.

სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო. იმ შემთხვევაში თუ მხარეები მიიჩნევენ, რომ მათ შორის დადებული (დასადები) სესხის ხელშეკრულება სასყიდლიანია, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული სესხით სარგებლობისათვის გათვალისწინებულ იქნას სასესხო თანხის განსაზღვრული ოდენობა, ამასთან ერთად მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებული პროცენტის ოდენობის განსაზღვრაც.

სესხის ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ამოწურვას. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება თავის მხრივ ასევე დაკავშირებულია შესრულების ვადასთან თუ სესხის ხელშეკრულებით ვალის დაბრუნების ვადა პირდაპირ განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ამ დროს საქმე გვაქვს ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტასთან. კანონმდებელი ასეთი შემთხვევებისთვის ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიან ვადას. იმ შემთხვევაში, თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს (მსესხებელს) შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადადღე. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროცენტის გადახდის ვალდებულება სესხის ვადადღე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, ან გამსესხებლის თანხმობით. სესხის ხელშეკრულების უმრავლესობაში (სადაც სესხით სარგებლობისათვის დადგენილია გარკვეული პროცენტი) პროცენტის გადახდა დაკავშირებულია დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლასთან. ხშირ შემთხვევაში ეს არის ყოველთვიური მონაკვეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი თვის გასვლისთანავე (სესხით სარგებლობის თვე) მსესხებელი გამსესხებელს უხდის შესაბამის პროცენტს. იმ შემთხვევაში, სადაც ხელშეკრულება არ ადგენს პროცენტის ყოველთვიურ გადახდის წესს, ხოლო პროცენტი დაანგარიშებულია სესხით სარგებლობის ყოველი წლისათვის, მაშინ პროცენტ(ებ)ი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი გამსესხებელს აძლევს უფლებას დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით.

მაგალითისთვის გთავაზობთ ორ (სესხის) ხელშეკრულებას. რაც შეეხება სესხს (როგორც საბანკო პროდუქტის ერთ-ერთ სახეობას, ამაზე საუბარი გვექნება მომდევნო ლექციების დროს, როდესაც განვიხილავთ საბანკო სამართლის მომწესრიგებელ სამართალმდგომარეობებს.

სესხის ხელშეკრულება

_____ (ხელშეკრულების დადების ადგილი)

„____“ _____ 201 წ.
(ხელშეკრულების დადების თარიღი)

ერთის მხრივ შპს -----
-----, შემდგომში წოდებული როგორც „გამსესხებელი“, მისი დირექტორის, -----
-----სახით და მეორეს მხრივ -----
-----, შემდგომში წოდებული, როგორც „მსესხებელი“, ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამსესხებელი იღებს ვალდებულებას გასცეს პროცენტიანი სესხი -----
-----, მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს სესხად აღებული თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და გადაიხადოს შესაბამისი პროცენტი.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. გამსესხებელი ვადებულია ხელზე გადასცეს, ან გადაურიცხოს შესაბამის საბანკო ანგარიშზე მოვალეს თანხა ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით, ერთიანად ხელშეკრულების დადების მომენტიდან ----- დღის ვადაში;

2.2. მსესხებელი ვადებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა დაუბრუნოს კრედიტორს ერთიანად -----
-----;

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მოვალე ვადებულია დააბრუნოს თანხა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალებულია გადაიხადოს მთლიანი სახელშეკრულებო თნხის ----- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

4. ფორსმაჟორი

4.1. ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო ან იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

4.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

4.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე ან მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

5. დავის გადაჭრის წესი

- 5.1. მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავას წყვეტენ მოლაპარაკების გზით;
- 5.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილონ საქართველოს საერთო სასამართლოებმა;

6. კონფიდენციალობა

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი და პირობები კონფიდენციალურია, მხარეები ვალდებული არ იღებენ არ გაანდონ მესამე პირებს;

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

- 7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -----
-----;

8. გარამავალი და დასკვნითი დებულებები

- 8.1. ამ ხელშეკრულებაში ცვილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან;
- 8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

გამსესხებელი:

მსესხებელი:

ხელმოწერა

ხელმოწერა

სესხის ხელშეკრულების ძირითადი დებულებები

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - სესხის გამცემი), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის სახით და მეორე მხრივ, ----- (სესხის მიმღების სახელწოდება) (შემდგომში - სესხის მიმღები), წარმოდგენილი - ----- (ვის მიერაა წარმოდგენილი) სახით, ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებულნი, დებენ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად სესხის გამცემი იღებს ვალდებულებას, საქართველოს მთავრობის 20__წლის N განკარგულების საფუძველზე „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაფინანსებიდან სესხის მიმღებს მიზნობრივი სესხის სახით გამოუყოს ----- (თანხა ციფრობრივად) – (-----) (თანხა სიტყვიერად) ლარი ----- მიზნით (სესხის მიზნობრიობა), ხოლო სესხის მიმღები იღებს ვალდებულებას, სრულად შეასრულოს ამ სესხის ხელ-შეკრულების პირობები.
- 1.2. სესხი გაიცემა შემდეგი მიზნებისათვის ----- (ღონისძიებების ჩამონათვალი).

2. ხელშეკრულების პირობები

- 2.1. სესხის ხანგრძლივობა განისაზღვრება ----- (ვადა რიცხობრივად, სიტყვიერად) წლის ვადით.
- 2.2. სესხი გაიცემა (ტრანშებად, ერთჯერადად) სესხის მიმღების წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ამ ხელშეკრულების 2.5, 3.5 და 4.3.3. პუნქტების შესრულების შემდეგ.
- 2.3. სესხის ვადის ათვლა დაიწყება პირველი ტრანშის (ერთჯერადი თანხის) გაცემისთანავე.
- 2.4. სესხის მიმღებს სესხი მიღებულად ეთვლება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სესხის მიმღების მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის დღიდან.
- 2.5. სესხის შემდგომი ტრანში გაიცემა წინა ტრანშის სრულად ათვისების შემთხვევაში 4.3.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ.
- 2.6. სესხის თანხის ათვისების ბოლო ვადაა 2008 წლის 1 დეკემბერი.
- 2.7. სესხის სარგებლობისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი არის ----- (რიცხობრივად, სიტყვიერად) პროცენტი.
- 2.8. სესხზე (ტრანშზე) პროცენტი დაირიცხება სესხის (ტრანშის) გაცემისთანავე, ხოლო სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდა დაიწყება მეთორმეტე თვის ბოლოს თანდართული გრაფიკის მიხედვით. პირველ წელს ათვისებულ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდა განხორციელდება ----- (რიცხობრივად, სიტყვიერად) თვე-ზე განაწილებით. სესხისა და პროცენტის დაფარვა განხორციელდება ყოველთვიურად.
- 2.9. სესხზე დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო გამოითვლება 360-დღიანი წლის, თორმეტი 30-დღიანი თვის საფუძველზე.
- 2.10. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა ხდება სესხის (ტრანშის) გაცემის შემდეგ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შედგენილი სესხისა და მასზე

დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით (შემდგომში – გრაფიკი), რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

- 2.11. გადახდა განხორციელებულად ითვლება სესხის მიმღების მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღიდან.
- 2.12. გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში სესხისა და პროცენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ვადაგადაცილებულ თანხას ყოველდღიურად ერიცხება პირგასამტეხლო 0,07 პროცენტის ოდენობით.

3. სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფა

- 3.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად სესხის მიმღების მიერ ნაკისრ ვალდებულებას (შემოდგომში - მოთხოვნის უზრუნველყოფას) წარმოადგენს იპოთეკით დატვირთული ქონება/საბანკო გარანტია/სადაზღვევო პოლისი/დაგირავებული ქონება, რომლის ღირებულება ტოლი უნდა იყოს სულ მცირე სესხის (ტრანშის) მოცულობისა. 3.2. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება უნდა მოქმედებდეს სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის ვალდებულების დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში. სესხის მიმღებს უფლება აქვს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება წარმოადგინოს ეტაპობრივად, ტრანშების მიხედვით.
- 3.3. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამცემი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი.
- 3.4. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების თანხის ოდენობა (ქონების ღირებულება) უნდა იყოს სესხის (ტრანშის) ეკვივალენტი.
- 3.5. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (საბანკო გარანტია, სადაზღვევო პოლისი, სესხის გამცემის სასარგებლოდ იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ქონება) სესხის გამცემს წარედგინება სესხის გაცემამდე. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის გარეშე სესხი არ გაიცემა, სესხის გამცემს უფლება აქვს, უარი თქვას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მიღებაზე, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს სესხის ხელშეკრულებით ან/და კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.
- 3.6. თუ სესხის გამცემი დაადგენს, რომ წარდგენილი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ვედარ უზრუნველყოფს სესხის დაფარვას, სესხის მიმღები ვალდებულია, სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უკვე მოქმედი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება შეცვალოს ახლით.
- 3.7. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არ შეიძლება გამოითხოვოს უკან მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამცემმა, თუ მთლიანად არ არის დაფარული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ან არ არსებობს სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.
- 3.8. თუ სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი ნაწილობრივ დაიფარა, სესხის მიმღებს სესხის გამცემის წერილობითი თანხმობით უფლება აქვს, დარჩენილი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით წარადგინოს ახალი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და შეამციროს უკვე არსებული ამავე ხელშეკრულების 3.4. პუნქტის მოთხოვნათა დაცვით და, შესაბამისად, გამოითხოვოს თავდაპირველად წარდგენილი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.
- 3.9. სესხის მიმღების მიერ სასესხო ვალდებულებების დარღვევა, ანუ სესხისა და დარიცხული პროცენტის გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუფარავობა, ან სხვა საფუძველით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, სესხის გამცემს აძლევს საფუძველს, გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები სესხის მიმღების ქონებაზე გადახდევინების

მისაქცევად და სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივების (იპოთეკა, გირავნობა) სარეალიზაციოდ.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- 4.1. სესხის გამცემი ვალდებულია:
 - 4.1.1. არ გასცეს სესხი სესხის მიმღების მიერ ამ ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე;
 - 4.1.2. სესხის სახით კუთვნილი თანხის გადარიცხვის შესახებ სესხის მიმღების წერილისა და სესხის გასაცემად სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შესაბამისი ოდენობის თანხის სესხის მიმღებისათვის გადარიცხვის თაობაზე და წარუდგინოს თანხის გადარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტები;
 - 4.1.3. სესხის მიმღებისათვის თანხის გადარიცხვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, სესხის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, მოამზადოს და შემდგომი 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მხარეების მიერ გრაფიკზე ხელმოწერა;
 - 4.1.4. კონტროლი გაუწიოს სესხის მიმღების მიერ გრაფიკის შესრულებას და დარღვევის შემთხვევაში სესხის მიმღებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 0,07 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
 - 4.1.5. სესხის მიმღების მიზეზით გრაფიკზე ხელმოუწერლობის შემთხვევაში:
 - ა) აღარ გასცეს სესხის დარჩენილი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ბ) სესხის მიმღებს წერილობით მოსთხოვოს მიღებული სესხის (ტრანშის) თანხის, რომელზეც არ არის შედგენილი გრაფიკი, და მის სრულ დაფარვამდე მასზე დარიცხული პროცენტის გადახდა. ამ ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაბრუნებელ ძირითად თანხასა და დარიცხულ პროცენტს მათ სრულ დაფარვამდე დაარიცხოს პირგასამტეხლო ყოველდღიურად 0,07 პროცენტის ოდენობით;
 - 4.1.6. სასესხო ვალდებულების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოსაღებად გამოიყენოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება;
 - 4.1.7. განახორციელოს სესხის მონიტორინგი.
- 4.2. სესხის გამცემს უფლება აქვს სესხის მიმღებისაგან მოითხოვოს მონიტორინგის განსახორციელებლად ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები.
- 4.3. სესხის მიმღები ვალდებულია:
 - 4.3.1. შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები სესხის გამცემს წარუდგინოს მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.
 - 4.3.2. სესხის სახით გამოყოფილი თანხა გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის;
 - 4.3.3. საანგარიშო თვის დამთავრებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში სესხის გამცემს წარუდგინოს სრული ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტაცია საანგარიშო თვის განმავლობაში განხორციელებული (შესრულებული) სამუშაოების შესახებ (როგორც სესხის, ისე საკუთარი დაფინანსების ფარგლებში);
 - 4.3.4. ყოველი ტრანშის ათვისების შემდეგ სესხის გამცემს წარუდგინოს სრული ინფორმაცია განხორციელებული (შესრულებული) სამუშაოების შესახებ და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები;
 - 4.3.5. სესხის სრული ათვისების შემდეგ სესხის გამცემს:
 - ა) წარუდგინოს სრული ანგარიში სესხის ათვისების შესახებ;

- ბ) სესხის სრულად ათვისების შემდეგ მის სრულ დაფარვამდე ყოველკვარტალურად წარუდგინოს ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ;
- 4.3.6. გრაფიკის მიხედვით დაფაროს სესხის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები;
- 4.3.7. მისი მიზნით გრაფიკზე ხელმოუწერლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების 4.1.3. პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უკან დააბრუნოს მიღებული სესხი (ტრანში), რომელზედაც არ არის შედგენილი გრაფიკი და დაფაროს სესხის (ტრანშის) დაბრუნების დღისათვის წარმოქმნილი ვალდებულებები;
- 4.3.8. წარუდგინოს და მისცეს სესხის გამცემის წარმომადგენლებს საშუალება, გაეცნონ მის საბუღალტრო და საფინანსოეკონომიკური მაჩვენებლების ამსახველ ანგარიშებს, დებულებებს და სხვა დოკუმენტაციას. ასევე, დაუშვას თავის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე;
- 4.3.9. სესხის მიმღები სესხის გამცემს აძლევს თავისი ანგარიშების თანაგანკარგვის უფლებას;
- 4.3.10. წინასწარ აცნობოს სესხის გამცემს:
- ა) ადგილსამყოფელის შეცვლის, ახალი იურიდიული მისამართისა და იქ გადასვლის თარიღის შესახებ;
 - ბ) ფინანსური ან/და ქონებრივი მდგომარეობის მოსალოდნელი არსებითი ცვლილებებისა და, ასევე, იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;
 - გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში და პარტნიორთა შორის, აგრეთვე წესდებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
- 4.4. სესხის მიმღებს უფლება აქვს:
- 4.4.1. სესხის გამცემთან შეთანხმებით ვადაზე ადრე დაფაროს სესხის ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებები;
- 4.4.2. სესხის ან მისი ნაწილის ვადამდე ადრე დაფარვის შემთხვევაში მოითხოვოს გრაფიკში შესაბამისი ცვლილებების შეტანა;
- 4.4.3. სესხის ან მისი ნაწილის ვადაზე ადრე დაფარვა არ გამოიწვევს სესხის მიმღების დაჯარიმებას ან პრემირებას.

5. მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა, ხელშეკრულების დარღვევა

- 5.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.
- 5.2. სესხის გამცემი უფლებამოსილია, 5.4. პუნქტში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს სესხის მიმღებს სესხის, დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს სრული გადახდა.
- 5.3. სესხის მიმღები ვალდებულია, ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში დააბრუნოს სესხი, მასზე დარიცხული პროცენტი და ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი ყველა თანხა.
- 5.4. სესხის გამცემის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა, კერძოდ, თუ:
- ა) სამჯერ ზედიზედ არ შეასრულა გრაფიკით ნაკისრი ვალდებულებები;
 - ბ) არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება სესხის მიმღების ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასესხო ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
 - გ) ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა სესხის მიმღები ან რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არასწორი.

6. დამატებითი პირობები

- 6.1. მხარეთა ურთიერთობები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 6.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ამ ხელშეკრულებასა და მასზე თანდართულ გრაფიკებში ნებისმიერ დროს შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოველ ნაწილად. ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით.
- 6.3. მხარეები აღნიშნავენ, რომ ეცდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი დავის ან კონფლიქტის თავიდან აცილებას, ხოლო ხელშეკრულების შესრულებისას_ წარმოშობილ უთანხმოებათა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტას. 30 დღის ვადაში კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
- 6.4. მხარეთა სამართლებრივი ფორმის, სტრუქტურის შეცვლის ან/და ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და უფლებების გამოყენება დაეკისრება მათ უფლებამონაცვლეს.
- 6.5. ეს ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.
- 6.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ 200 --- წლის ----- ქ. თბილისში.

მხარეთა რეკვიზიტები

სესხის გამცემი

მისამართი: (სრული რეკვიზიტები)

სახელი და გვარი

სესხის მიმღები

მისამართი: (სრული რეკვიზიტები)

სახელი და გვარი

ნარდობის ხელშეკრულება

ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან გარიგებას.

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მნიშვნელოვანია, რომ ნარდობის ხელშეკრულება განვასხვავოთ შრომის ხელშეკრულებისგან და მომსახურების ხელშეკრულებისაგან.

ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებებს შორის შემდეგი განსხვავებებია:

ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი, ამასთან მენარდის შრომა მიმართული უნდა იქნეს კონკრეტული ნივთ(ებ)ის შექმნისაკენ (მაგალითად: შენობა-ნაგებობის აშენება) ან/და ნივთ(ებ)ის შევლა/აღდგენისაკენ (შეკეთება, გადაკეთება, აღდგენა), ხოლო შრომის ხელშეკრულებით დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს შრომის ხელშეკრულებით მისი თანამდებობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული პროფესიული საქმიანობა. შრომის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული დასაქმებულის მიერ კონკრეტული შედეგის მიღწევის აუცილებლობა და ბუნებრივია ეს შედეგი არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების საგანს.

ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დაუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება. მენარდე სამუშაოს ასრულებს, როგორც წესი პირადად და საკუთარი რისკით. შრომის ხელშეკრულებით კი დასაქმებული ექვემდებარება უშუალოდ დამსაქმებელს. ის ასევე ექვემდებარება შრომის შინაგანაწესს და ამ შინაგანაწესის შესაბამისად ასრულებს მასზე შრომის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს.

ნარდობის ხელშეკრულების მხარეები არიან მენარდე და შემსრულებელი, სადაც თითოეული მხარე შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი, ხოლო შრომის ხელშეკრულების დროს დასაქმებული არის ფიზიკური პირი.

რაც შეეხება ნარდობის ხელშეკრულებასა და მომსახურების ხელშეკრულების მსგავსებას და მათ განსხვავებას უნდა აღინიშნოს, რომ ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მომსახურების ხელშეკრულების დროს ხელშეკრულების საგანს ძირითადად წარმოადგენს უშუალოდ გასაწევი მომსახურება.

ნარდობის ხელშეკრულება შესაძლებელია მიზნად ისახავდეს რთული სამუშაოების შესრულებას, ისეთის, როგორც არის მრავალბინიანი სახლის აშენება. ნარდობის ხელშეკრულების დროს თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შემენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დამზადებულია გვაროვნული ნივთი გამოიყენება ნასყიდობის წესები. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს ამას.

ნარდობის ხელშეკრულება ყოველთვის არის სასყიდლიანი ხელშეკრულება. ეს გამომდინარეობს თვით ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან. ნარდობის ხელშეკრულების დროს ანაზღაურება უსიტყვოდ ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ

ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო, თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ - ჩვეულებრივი ანაზღაურება.

როგორც აღინიშნა, სამუშაოების შესრულების დროს ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის საჭიროა სპეციალური დოკუმენტის - ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების ცალკეული ეტაპების, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების რაოდენობას ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას. ხარჯთაღრიცხვა შესაძლებელია იყოს მყარი (შემთხვევა, როდესაც ხარჯთაღრიცხვაში ზუსტად არის განსაზღვრული, როგორც განხორციელებული სამუშაოთა ჩამონათვალი, ისე თითოეული სამუშაოს ღირებულება და ასევე მთლიანობაში ყველა განხორციელებული სამუშაოს ჯამური ღირებულება (ფასი)), ხოლო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვასთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც მოცემულია (დაანგარიშებულია) დაახლოებითი ღირებულება იმ სამუშაოების, რომლებიც უნდა განხორციელდეს. მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მიახლოებით ხარჯთაღრიცხვასთან შესაძლებელია, სამი სავარაუდო შედეგის დადგომა, ერთია, როდესაც მიახლოებით ხარჯთაღრიცხვაში მოცემული დაანგარიშებანი პრაქტიკულად იმის იდენტურია რაც რეალურად არსებული დანახარჯი, მეორე შემთხვევაში იგი ნაკლებია რეალურ დანახარჯებზე, ხოლო მესამე შემთხვევაში აღემატება რეალურ დანახარჯებს. შესაძლოა დანახარჯები (ან ის თანხა, რომლის გადახდასაც მენარდე სთხოვს შემკვეთს) მნიშვნელოვნად აღემატება იმ თანხის ოდენობას, რომელიც მოცემული იყო მიახლოებულ ხარჯთაღრიცხვაში. ასეთ შემთხვევებში როდესაც მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს (იგულისხმება პირველივე შესაძლებლობა იმ კომუნიკაციის საშუალებებით რა კომუნიკაციის საშუალებებსაც იყენებდნენ მხარეები თავიანთ საქმიან ურთიერთობებში). იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან (სსკ 632-ე მუხლი). პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მენარდე უშუალოდ არ ასრულებს (და ვერც შეასრულებს) ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს სრული მოცულობით. ასეთი შემთხვევებთან ძირითადად მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელია საკმაოდ რთული და მრავალსახოვანი კატეგორიის სამუშაო (მაგალითად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება). ასეთ შემთხვევაში მენარდე თავის მხრივ დებს ე.წ. ქვენარდობის ხელშეკრულებებს იმ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით, ჯეროვან და დროულ შესრულებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მენარდე დებს სხვადასხვა რაოდენობის ქვენარდობის ხელშეკრულებებს, რომელშიც თვითონ გამოდის, როგორც გენერალური მენარდე, შემკვეთის წინაშე ისევე თვითონ, უშუალოდ არის პასუხისმგებელი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. ნარდობის ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა, რომლის მხარეებიც არიან შემკვეთი და მენარდე. პრაქტიკაში ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარე წარმოდგენილია პირთა სიმრავლით. მაგალითად არის ერთი

შემკვეთი და რამოდენიმე მენარდე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ე.წ. თანამენარდეებთან. თანამენარდეთა უფლება-მოვალეობანი დამოკიდებულია ნარდობის ხელშეკრულების საგნის სპეციფიურობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულების საგანი არაგაყოფადია, მაშინ შემკვეთის მიმართ მენარდეები გამოდიან სოლიდარულ მოვალეებს (ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით) და სოლიდარულ კრედიტორებს (ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში)³⁴.

არის შემთხვევები, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოები პრაქტიკულად პერსონიფიცირებულნი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება სხვა პირს არ შეუძლია, ან მის მიერ შესრულება არ იქნება შემკვეთის მიერ მიღებული, როგორც სათანადო ნაკისრი ვალდებულების სათანადო შესრულება (მაგალითად, ცნობილი დიზაინერის მიერ შესაბამისი ტანსაცმლის შეკერვა). ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ქვენარდობის ხელშეკრულების დადება მენარდეს მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდეს შეუძლია მოითხოვოს მას ზიანის ანაზღაურება. შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას. ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, - იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისთვის არ გადაეცილებინა.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა მენარდეს აძლევს უფლებას თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ, ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.

იმ შემთხვევებში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულების საგანია ნაგებობა, ან ამ ნაგებობის ცალკეული ნაწილები (უძრავი ქონება), მაშინ მენარდეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს იპოთეკა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე.

ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა სრული და ჯეროვანი შესრულება. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს პრინციპს, რომლის მიხედვითაც შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

თავის მხრივ, მენარდესაც შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ ისე, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება. იმ შემთხვევაში, თუ მენარდე ვალდებულებას წყვეტს ზემომოცემული წესის მიხედვით, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას, თუკი შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი.

³⁴ ავტორთა კოლექტივი. (2002). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე*. (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 249.

იმ შემთხვევებში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება წარმოადგენს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა. ნაკეთობა (ნივთი) უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ. ნაკეთობა (ნივთი) ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს. ხოლო თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, შემთხვევა, როდესაც მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ, ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

მაშინ, როდესაც ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება. მენარდეს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა. დამატებითი შესრულების მიზნით მენარდე ვალდებულია გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. თუ მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია შემკვეთს ასევე მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო უარს კი არ იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაგრამ ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის იმ შემთხვევებში, როდესაც:

- აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;
- ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო შემკვეთმა ვალდებულების შესრულება დაუკავშირა კონკრეტულ (ხელშეკრულებით განსაზღვრულ) ვადას;
- განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლა.

ზემოაღნიშნული საფუძვლებით უარის თქმის შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

შემკვეთს შეუძლია მენარდეს მოსთხოვოს ავანსი (წინასწარ თანხის გადახდა) ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის. შემკვეთს, რომელიც არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია იმ თანხით შეამციროს საზღაური, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.

მენარდეს შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს, როგორც შემკვეთის ისე საკუთარი მასალით (თუ ვისი მასალით შესრულდება სამუშაო მხარეებმა უნდა განსაზღვრონ ხელშეკრულებაში). მაშინ, როდესაც მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, იგი პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის. მენარდე ასევე პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვის, ასევე, იგი მოვალეა წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯვის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა (იმ შემთხვევებში, როდესაც მენარდე სამუშაოს ასრულებს შემკვეთის მასალით).

მენარდე მოვალეა დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ:

- შემკვეთისგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია;
- თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე, ან გამოუსადეგარი იქნება;
- არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა რამ გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას.

თუ შემკვეთი, მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ, ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მხარეების შეთანხმებაზე ასევე დამოკიდებული თუ როდის არის ვალდებული შემკვეთი, რომ გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ეს ვადა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს შესრულებული სამუშაოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ. თუ ხელშეკრულების თანახმად, ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. ისევე, როგორც სხვა ხელშეკრულებების დროს, ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელია ამ შესრულების მიღების დადასტურება მხარეების მიერ. ამ შემთხვევისთვის მეტად მნიშვნელოვანია მიღება-ჩაბარების აქტი, რომელ აქტზე ხელმოწერითაც მხარეები დაადასტურებენ მათ მიერ ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულების მიღებას.

მნიშვნელოვანია, რომ მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის, ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც. მენარდეს, ასევე, ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის, ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაღუპვის, ან დაზიანების რისკი. უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემას განსახილველ კონტექსტში უთანაბრდება ის შემთხვევა, როდესაც შემკვეთი აყოვნებს შესრულების მიღებას. რაც შეეხება მასალას, მისი შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს. იმ შემთხვევაში, როდესაც შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ მას (შემკვეთს) არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო.

თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს. თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს, მას არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომელიც გამორიცხავს, ან ზღუდავს შემკვეთის უფლებებს ნაკეთობის ნაკლის გამო.

მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება - ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან.

ნარდობა

სანარდო ხელშეკრულება

(ზოგადი ფორმა)

_____ (დასახლებული პუნქტი)

„___“ _____ 201 წ.
(თარიღი)

_____ (ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს _____ (სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „შემკვეთად“ წოდებულმა, ერთის მხრივ და _____

_____ (ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს _____ (სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „მენარდედ“ წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. მენარდე ვალდებულია შეასრულოს შემკვეთის დავალებით ამ ხელშეკრულების 3.1.2-ში მითითებული სამუშაო და ჩააბაროს მისი შედეგი და გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.
- 1.2. მენარდე ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამუშაო: _____

_____ (მიუთითეთ, რა სამუშაო უნდა შესრულდეს)

მითითებული სამუშაოების შესასრულებლად მენარდე იღებს ვალდებულებას წარადგინოს „___“ _____ 201 წ.-მდე ვადაში საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტექნიკური პირობები, მენარდეს განკარგულებაში გადასცეს მოწყობილობა, ინსტრუმენტები, მასალები.

- 1.3. მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალებით, თავის მოწყობილობაზე და თავისი ინსტრუმენტებით.
- 1.4. სამუშაოთა შესრულების ვადაა „___“ _____ 201 წ.-დან „___“ _____ 201 წ.-მდე. მენარდეს აქვს უფლება (არ აქვს უფლება) შეასრულოს სამუშაოები ვადაზე ადრე.
- 1.4.1. სამუშაო ითვლება შესრულებულად სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე შემკვეთის ან მისი რწმუნებული წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 2.1. მენარდე ვალდებულია:
 - 2.1.1. შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.
 - 2.1.2. შეასრულოს სამუშაო ამ ხელშეკრულების 3.1.4-ში მითითებულ ვადაში.

- 2.1.3. გადასცეს შემკვეთს შესრულებული ნაკეთობა.
- 2.1.4. შემკვეთის მოთხოვნით _____ დღის ვადაში უსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ სამუშაოს შესრულების პროცესში მენარდემ გადაუხვია ხელშეკრულების პირობებს, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.
- 2.1.5. მენარდე ვალდებულია პირადად შეასრულოს სამუშაო.
- 2.2. შემკვეთი ვალდებულია:
- 2.2.1. შემკვეთის მიერ ამ ხელშეკრულების 3.3-ში მითითებული თანხის ანაზღაურების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს გირავნობის უფლება დამზადებულ, ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე.
- 2.3. შემკვეთი ვალდებულია:
- 2.3.1. სამუშაოს დასრულების შესახებ შეტყობინების მიღებიდან, ან ამ ხელშეკრულების 3.1.4-ში მითითებული ვადის გასვლიდან _____ დღის განმავლობაში დაათვალიეროს და მიიღოს შესრულებული სამუშაო, ხოლო ხელშეკრულებიდან გადახვევის, ან სამუშაოს სხვა ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, რაც აუარესებს სამუშაოს შედეგს, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მენარდეს.
- 2.3.2. გადაიხადოს სამუშაოს ამ ხელშეკრულების 3.3-ში მითითებული საზღაური შესრულებული სამუშაოს მიღებიდან _____ დღის განმავლობაში, ან ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს საფასური.
- 2.4. შემკვეთს უფლება აქვს:
- 2.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა და ხარისხი მის საქმიანობაში ჩარევის გარეშე.
- 2.4.2. უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე ნებისმიერ დროს სამუშაოს დასრულებამდე და აუნაზღაუროს მენარდეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასი შედგება:
- 3.1.1. მენარდის გასამრჯელოსგან _____ ოდენობით.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)
- 3.1.2. მენარდის დანახარჯების თანხისგან: _____ ოდენობით.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)
- 3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასი შეადგენს _____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)
- 3.3. შემკვეთის მიერ მენარდისათვის ხელშეკრულების თანხის გადაცემა ხორციელდება მისი გადარიცხვით მენარდის ანგარიშზე, ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. სამუშაოს შესრულების ამ ხელშეკრულების 3.1.4-ში მითითებული ვადის გადაცილებისთვის მენარდე უხდის შემკვეთს ჯარიმას ხელშეკრულების თანხის _____ %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 4.2. მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.3. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისგან.

5. დაფათა გადაჭრის წესი

5.1. დავები და უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულების 3.5.1-ში მითითებული ვადის გასვლამდე შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში: (მიუთითეთ ხელშეკრულების გაუქმების პირობები) მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 6.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.
- 6.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემკვეთი	მენარდე
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

ნარდობის ხელშეკრულება

(სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები)

„____“ _____ 201 წ.
(დასახლებული პუნქტი) (თარიღი)

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს _____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „შემკვეთად“ წოდებულმა, ერთის მხრივ და _____

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს _____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „მენარდედ“ წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. შემკვეთი ავალებს, ხოლო მენარდე კისრულობს შეასრულოს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები შემკვეთის სადგომებში ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (შემდგომში „სამუშაოთა ობიექტი“)
- 1.2. სამუშაოები სრულდება მენარდის მასალებით.
- 1.3. მოცემულ ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი 1-ით.
- 1.4. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს ფულადი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსთვის _____ ოდენობით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 2.1. შემკვეთი ვალდებულია:
 - გადასცეს მენარდეს სამუშაოთა შესრულებისთვის საჭირო დოკუმენტაცია ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან _____ დროის განმავლობაში.
 - დროულად აანაზღაუროს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 2.2. მენარდე ვალდებულია:
 - შეუდგეს სამუშაოს საჭირო დოკუმენტაციის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს _____ დღეში.
 - შეასრულოს სამუშაო საკუთარი რისკის ხარჯზე.
 - დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემკვეთს, იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას.
 - უსასყიდლოდ, შემკვეთის სურვილით გამოასწოროს სამუშაოს ნაკლი და დეფექტები.
 - დაასრულოს სამუშაოები არა უგვიანეს „____“ _____ 201 წ.
- 2.3. მენარდეს აქვს უფლება შემკვეთთან შეთანხმებით ჩააბაროს ობიექტი ვადაზე ადრე.

3. ანგარიშსწორების წესი

- 3.1. შემკვეთი აწარმოებს ანგარიშსწორებას მენარდესთან სამუშაოების მთლიანად, ან მათი ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ მხარეთა მიერ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არა უგვიანეს _____ დღისა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. სამუშაო ობიექტის ან მისი ნაწილის შემთხვევითი დაღუპვის რისკი გადადის მენარდეზე. ეს რისკი გადადის შემკვეთზე მენარდის მიერ სამუშაოს დამთავრების შესახებ განაცხადის გაკეთებიდან _____ დღეს. თუ სამუშაო ობიექტი განადგურდა შემკვეთის მიზეზით, მენარდეს უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო ამ მომენტისთვის შესრულებული სამუშაოსთვის.
- 4.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არასათანადო შესრულებისთვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

- 5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული, ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ხელისუფლები აქტების და სოციალური აფეთქებებით გამოწვეული დაუძლეველი ძალის შედეგია და თუ ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს იმ დროის თანაზომიერად, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა ეს გარემოებები. თუ ეს გარემოებები გაგრძელდება _____ თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარეს აქვს უფლება გააუქმოს ეს ხელშეკრულება და არც ერთ მხარეს არ ექნება მოთხოვნა დანაკარგების ანაზღაურებაზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1. ხელშეკრულება შედის ძალაში დაუყოვნებლივ მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მომენტამდე.

7. დავათა გადაჭრის წესი

- 7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

- 8.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან მიჩნეულ იქნეს ბათილად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 9.1. თუ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი, ან მისი ნაწილი რაიმე კანონის ძალით აღმოჩნდა ძალადაკარგული, იგი ჩაითვლება ხელშეკრულებაში არარსებული, ამასთან ყველა დანარჩენი მუხლი ძალაში დარჩება.
- 9.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია _____ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

10. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

ტურისტული მომსახურება

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსენსუალური, სასყიდლიანი ხელშეკრულება, რომლის მხარეებს ეწოდებათ მოგზაურობის მომწოდებელი და ტურისტი (მოგზაური). ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებას სხვაგვარად ეწოდება ტურიზმის ხელშეკრულება. ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწოდებელი (ტურისტული საწარმო)³⁵ მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს)³⁶ შეთანხმებული მომსახურება³⁷. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწოდებელს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის. ტურისტული მომსახურების პაკეტი შედგება ტურისტული მომსახურების ორი, ან ორზე მეტი კომპონენტისაგან (კვება, ღამის თევა, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა), რომელთა ღირებულება შედის პაკეტის ფასში.

მოგზაურობასთან (პაკეტთან) დაკავშირებული ნებისმიერი აღწერილობითი ფორმა, ღირებულება და ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებითაც ტურისტი უზრუნველყოფილია მოგზაურობის მომწოდებლის მიერ, არ უნდა შეიცავდეს ყალბ, არასათანადო და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ტურისტს, მოგზაურობასთან (პაკეტთან) დაკავშირებით, ხელშეკრულების დადებამდე, წერილობით ან ტურისტისათვის მისაღები სხვა ფორმით, უნდა მიეწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია:

- ღირებულების, მისი გადახდის მეთოდებისა და განრიგის შესახებ;
- დანიშნულების ადგილისა და მიზნების, გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი დახასიათების შესახებ;
- განთავსების ტიპის, მდებარეობის, კატეგორიის, მომსახურების ხარისხის, მისი კლასიფიკაციისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების შესახებ;
- კვების შესახებ;
- მარშრუტის შესახებ;
- პასპორტთან და ვიზასთან, აგრეთვე მოგზაურობისათვის აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ;
- ვიზიტების, ექსკურსიების ან/და სხვა მომსახურების შესახებ, რომლებიც შედის პაკეტის ღირებულებაში;
- იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელია ტურისტთა გარკვეული რაოდენობა და ის არ შეგროვდა, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ტურისტის ინფორმირების უკანასკნელი ვადის შესახებ.

მოგზაურობის მომწოდებმა, მოგზაურობის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, ტურისტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- შუალედური გაჩერებების დროისა და ადგილების შესახებ;
- მოგზაურობის მომწყობის, ან მისი ადგილობრივი წარმომადგენლის ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი სააგენტოების ან/და სათანადო სამსახურების დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ვისაც დახმარებისათვის შეუძლია მიმართოს ტურისტმა;

³⁵ ტურისტული მოგზაურობის მომწოდებელი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ მიხედვით.

³⁶ მოგზაური - ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი (უშუალოდ ხელშეკრულების მხარე) ან მესამე პირი.

³⁷ შეთანხმებულ მოგზაურობათ ითვლება ისეთი ტურისტული მოგზაურობა, რომლის ძირითად პირობებზეც მხარეები არიან შეთანხმებული. ასეთ პირობებზე შესაძლებელია გვევლინებოდეს მაგალითად ტურისტული მარშრუტი, ან მაგალითად ტურისტული მოგზაურობის დროს გამოყენებული ტრანსპორტი (თუ სატრანსპორტო საშუალებების სახეობები შეთანხმების საგანს წარმოადგენს).

- არასრულწლოვანის მოგზაურობის შემთხვევაში, არასრულწლოვანთან ან მასზე პასუხისმგებელ პირთან პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალებათა შესახებ;
- ტურისტის იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული, აგრეთვე რეპატრაციის, უბედური შემთხვევის ან/და ავადმყოფობის დროს ტურისტის დასახმარებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან.

მნიშვნელოვანია, რომ ტურისტისათვის წერილობით, ან სხვა სათანადო ფორმით მიწოდებული ინფორმაცია მოგზაურობის მომწყობისათვის ატარებს სავალდებულო ხასიათს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურობის (პაკეტის) ღირებულება არ ექვემდებარება გადასინჯვას, გარდა სამოქალაქო კოდექსი 660-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა³⁸, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება თავად ითვალისწინებს გადასინჯვის შესაძლებლობებს და თავდაპირველი ფასის შეცვლისა და კალკულაციის წესებს, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ტრანსპორტის ღირებულება, საწვავის ღირებულების ჩათვლით;
- კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურების გადასახადები, როგორცაა პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვა, ტაქსის დაქირავება და სხვა;
- პაკეტში გათვალისწინებული სავალუტო კურსის ოდენობა.

მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომლის მიხედვითაც გამგზავრების დღემდე, ოცი დღის განმავლობაში, მოგზაურობის (პაკეტის) ღირებულება გაზრდას არ ექვემდებარება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, იძულებულია გამგზავრებამდე მნიშვნელოვნად შეცვალოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ (პირველივე შესაძლებლობისთანავე) უნდა შეატყობინოს ტურისტს, რათა მან მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი პირობებით მისი მიღების თაობაზე, რის შესახებაც დროულად (იგულისხმება გონივრული ვადა) უნდა აცნობოს მოგზაურობის მომწყობს.

მნიშვნელოვანია, რომ მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა. მოგზაურობის მომწყობს თავის მხრივ, შეუძლია უარი განაცხადოს მესამე პირის მონაწილეობაზე, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს³⁹. მოგზაურობის მომწყობს შეუძლია მოსთხოვოს ტურისტს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია.

მოგზაურობის მომწყობი მოვალეა ისე მოაწილოს მოგზაურობა, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ, ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. თუ მოგზაურობას ასეთი ხარვეზები აქვს, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მათი აღმოფხვრა. მოგზაურობის მომწყობს უფლება აქვს თავის მხრივ უარი თქვას ზემოხსენებული ხარვეზების გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. თუ მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ მოგზაურობის

³⁸ თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები.

³⁹ აუცილებელია, რომ ასეთი პირობები დადგენილ იყოს მოგზაურობის დაწყებამდე, და საერთო იყოს ყველა იმ პირისათვის, რომელიც შეუძლია აღნიშნულ ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღება.

მომწყობი უარს იტყვის ხარვეზების აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტს დაინტერესებულა ხარვეზის დაუყოვნებელი აღმოფხვრით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები. მნიშვნელოვანია, რომ ღირებულება არ შემცირდება, იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტს თავისი ბრალით არ შეატყობინებს მოგზაურობის მომწყობს ხარვეზის შესახებ.

თუ ტურისტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა იმ ხარვეზების გამო, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მას შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთივე წესი გამოიყენება მაშინაც, თუ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობაში საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც იცის მოგზაურობის მომწყობმაც.

მნიშვნელოვანია, რომ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ან ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესებით. ყურადსაღებია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ტურისტის უკან მიყვანა (უკან, იმ ადგილზე საიდანაც ტურისტული მოგზაურობის დასაწყისი), ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოგზაურობის მომწყობი მოვალეა უკანვე მიიყვანოს იგი. ამ შემთხვევაში დამატებითი ხარჯები მოგზაურობის მომწყობს ეკისრება. მაშინ, როდესაც ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე, ამ კოდექსის 657³ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად⁴⁰ წყვეტს ხელშეკრულებას, პაკეტი უქმდება და ასეთ შემთხვევაში მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია ტურისტს:

- შესთავაზოს თავდაპირველი პაკეტის ეკვივალენტური, ან უკეთესი ხარისხის ახალი პაკეტი, როცა ეს შესაძლებელია;
- ან აუნაზღაუროს ფასში განსხვავება, თუ შეთავაზებული ახალი პაკეტი დაბალი ხარისხისაა;
- ან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოგზაურობის ხარვეზები წარმოიშვა იმ გარემოებათა შედეგად, რომლებზედაც პასუხს აგებს მოგზაურობის მომწყობი, ტურისტს შეუძლია ხარვეზების გამო ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეუზღუდავად მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუ მოგზაურობა ჩაიშალა, ან იგი არაჯეროვნად იყო ორგანიზებული, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება. მაშინ, როდესაც ხელშეკრულება, ტურისტის ბრალის გარეშე, მოგზაურობის დაწყებამდე შეწყდება, ტურისტს უფლება აქვს მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის

⁴⁰ გამგზავრების დღემდე, ოცი დღის განმავლობაში, მოგზაურობის (პაკეტის) ღირებულება გაზრდას არ ექვემდებარება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, იძულებულია გამგზავრებამდე მნიშვნელოვნად შეცვალოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ტურისტს, რათა მან მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი პირობებით მისი მიღების თაობაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს მოგზაურობის მომწყობს.

ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელ პირთა რაოდენობის სიმცირე, რის შესახებაც ტურისტს წერილობითი ფორმით ეცნობა იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია მოგზაურობის (პაკეტის) აღწერილობაში;
- ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზია დაუძლეველი ძალა⁴¹.

კანონმდებლობა ავალდებულებს მოგზაურობის მომწყობს, ან მის წარმომადგენელს, რომ სწრაფი რეაგირება მოახდინოს ტურისტის საჩივარზე და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. სწრაფ რეაგირებაში უნდა იგულისხმებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დროის ის მონაკვეთი, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს სწრაფ რეაგირებად (კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით). რეაგირება ამა თუ იმ შემთხვევაში სწრაფი და ეფექტურია თუ არა, ამას იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოაღნიშნული ურთიერთობა სადავო გახდება გადაწყვეტს სასამართლო.

მოგზაურობის მომწყობმა უნდა წარმოადგინოს უსაფრთხოების მტკიცე გარანტიები გაკოტრების შემთხვევაში მომხმარებელთა რეპატრაციის და მათთვის გადახდილი თანხების უკან დაბრუნების მიზნით ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით. საინტერესოა რა ჩაითვლება ე.წ. მტკიცე გარანტიებად? შესაძლებელია, ამ შემთხვევაში მტკიცე გარანტიად მიჩნეული იყოს მაგალითად ე.წ. საბანკო გარანტია დაზღვევა თვით ამ ტურისტული მომსახურების.

მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 659-662-ე მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნები⁴² ტურისტს შეუძლია წარუდგინოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე. ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში. მნიშვნელოვანია, რომ (ზოგადი წესის თანახმად) ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.

მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ:

- ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით,
- მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად.

⁴¹ შემთხვევები, როდესაც მოგზაურობა არსებითად გაძნელებულია, ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევებში თითოეულ მხარეს ეკისრება უკან მიყვანის დამატებითი ხარჯების ნახევარი. სხვა შემთხვევაში დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს.

⁴² შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობის ხარვეზებთან, ღირებულების შემცირებასთან მოგზაურობის ხარვეზის გამო და ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა ტურისტის ინიციატივით

ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარის თქმისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების უფლებას. ამავე დროს, მას შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა მასზედ, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი (განსაზღვრული) მინიმალური სტანდარტები ტურისტთან (მოგზაურთან) მიმართებაში არ შეიძლება შეიცვალოს მოგზაურის საზიანოდ.

გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ, კონსენსუალურ, სასყიდლიან ხელშეკრულებას, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი, ან გადაიყვანოს მგზავრი (მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება) დანიშნულების ადგილზე. გადაზიდვის ხელშეკრულებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ცხოვრებაში, ვინაიდან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ (საერთაშორისო) გადაზიდვების დროს მეტად მნიშვნელოვანია რომ მხარეებმა დეტალურად განსაზღვრონ ყველა ის სამართალმდგომარეობა და პირობა, რომლებსაც დაექვემდებარებიან (შეიძენენ შესაბამის უფლებებს და იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს). გადაზიდვის ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს კონკრეტული ნივთების ტრანსპორტირება, ხოლო გადაყვანის ხელშეკრულების საგანი - ფიზიკური პირების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა.

გადაზიდვის ხელშეკრულების ძალით, გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით. მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს, ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით ეს იმას ნიშნავს, რომ ბათილი იქნება ნებისმიერი ისეთი სამართალმდგომარეობა ხელშეკრულებაში, რომელმაც შესაძლებელია გადამზიდველს მოუხსნას გადაზიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოვალეობა და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას, ვალდებულია დადოს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი.

ხშირ შემთვევაში, მით უფრო საერთაშორისო გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებების დროს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ გადაყვანა-გადაზიდვასთან, როდესაც გადამზიდველს შესაძლებელია მოუხდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის რამოდენიმე სატრანსპორტო საშუალების გამოყენება. ასე მაგალითად, თუ დატვირთული ავტომობილი გზის ერთ მონაკვეთზე გადაზიდული იქნება ზღვით, რკინიგზით ან საჰაერო ტრანსპორტით და - ტვირთი არ იქნება გადმოტვირთული, ასეთი შემთხვევის დროს გამოიყენება იგივე წესები რაც მთლიანი გადაზიდვისათვის.

გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დადგენილი წესების მიხედვით.

ზედნადები დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი, ისე, რომ ზედნადების პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირტს, ხოლო მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი. თუ გადასაზიდი ტვირტი ნაწილდება რამდენიმე ტრანსპორტზე, ან საქმე ეხება სხვადასხვა სახის ანდა ცალკეულ პარტიებად დაყოფილ ტვირტს, როგორც გამგზავნს, ასევე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტიც ან ტვირტის სახეობაა.

სამოქალაქო კოდექსი ადგენს ზედნადების შედგენის დროს გასათვალისწინებელ აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს და განსაზღვრავს, რომ ზედნადები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- გაცემის დღესა და ადგილს;
- გამგზავნის სახელსა და მისამართს;
- გადამზიდველის სახელსა და მისამართს;
- ტვირტის გადაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირტის მიტანის ადგილს;
- მიმღების სახელსა და მისამართს;
- ტვირტის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირტების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას;
- გადასაზიდი ტვირტების რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს;
- ტვირტის წონას, ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას;
- გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (გადაზიდვის ფასი, დამატებითი ხარჯები, საბაჟო გადასახადები და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირტის მიტანამდე);
- საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნებს;
- აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს.

კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:

- სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას;
- ხარჯებს, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს;
- ტვირტის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანიშნის ოდენობას;
- ტვირტის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას;
- გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირტის დაზღვევის შესახებ;
- შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა;
- გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს.

ამ მონაცემების არსებობა ზედნადებზე დამოკიდებულია ასევე მხარეთა შეთანხმებაზე და მიზნად ისახავს მხარეთა ინტერესების უკეთ რეალიზაციის შესაძლებლობას, ისე, რომ ამით არ იყოს (მომავალში) დარღვეული მათი უფლებები. მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად ამ პრინციპზე დაყრდნობით, კანონმდებლობა განამტკიცებს მხარეთა უფლებას, რომ ჩაწერონ ზედნადებში სხვა მონაცემებიც რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

მნიშვნელოვანია, რომ გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი ზედნადებში აღნიშნული მონაცემები: მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გადამზიდველი გამგზავნის მოთხოვნის საფუძველზე ზედნადებში ჩაწერს, ზემოხსენებულ მონაცემებს მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველი გამგზავნის სახელით მოქმედებდა.

კანონი გადამზიდველს ტვირთის მიღებისას ავალდებულებს, რომ მან შეამოწმოს:

- ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისწორე (მონაცემებში ცომილების (არაზუსტი მონაცემების) აღმოჩენისას მან დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ გამგზავნს;
- ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში თუ გადამზიდველს არა აქვს სათანადო საშუალება იმისათვის, რომ შეამოწმოს ზემოხსენებული ინფორმაცია (მონაცემები, მდგომარეობა) მაშინ მან ზედნადებში უნდა შეიტანოს პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს. ზუსტად ასეთივე წესით მან უნდა შეიტანოს ისეთი პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთის გარეგნულ მდგომარეობასა და მის შეფუთვას. ეს პირობები გამგზავნისთვის არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან ისინი ზედნადებში აშკარად აღიარა. გამგზავნს, თავის მხრივ, შეუძლია გადამზიდველს მოსთხოვოს, რომ გადამზიდველმა გადაამოწმოს ტვირთის წონა, ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობა. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა შეამოწმოს გადასაზიდი ტვირთის შემცველობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გადამზიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ზემოხსენებული გადამოწმების შედეგები აუცილებლად უნდა აღინიშნოს თვით ზედნადებში.

სამოქალაქო სამართალი იცნობს გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფციას. ეს პრეზუმფცია გულისხმობს, რომ საპირისპიროს დამტკიცებამდე ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდვებში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ზედნადებში არ არის აღნიშნული გადაზიდვის პირობები, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებისას ტვირთი და მისი შეფუთვა გარეგნულად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მისი აღნიშვნები და ნომრები ემთხვევა ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებს.

გამგზავნი პირი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც მიადგა პირებს, მასალებსა და სხვა ქონებას, ასევე უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ხარჯებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნაკლი აშკარა იყო, ან ტვირთის მიღებისას გადამზიდველმა ამის შესახებ იცოდა და ამასთან დაკავშირებით რაიმე პირობა არ დაუთქვამს.

გამგზავნი ასევე ვალდებულია ზედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი, რომლებიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავს მოქმედებათა შესასრულებლად, ან გადასცეს ეს საბუთები გადამზიდველს და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ გადამზიდველი არ არის ვალდებული შეამოწმოს, არის თუ არა ეს საბუთები და ინფორმაცია სწორი და საკმარისი. გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე საბუთებისა და მონაცემების არასრულყოფილებითა და უზუსტობით გამოწვეული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადამზიდველის ბრალით მოხდა. გადამზიდველი პასუხს აგებს ზედნადებში აღნიშნული და მასზე დართული ან გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების დაკარგვის ან მათი არასწორი გამოყენებისათვის. მას არ

შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა. ბუნებრივია, გადაზიდვის ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული (მოცემული) ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და ის ვალდებულებები, რომელსაც ისინი ამ ხელშეკრულებით კისრულობენ. მიუხედავად იმისა პირდაპირ გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში თუ არა, გამგზავნის გააჩნია უფლებამოსილება განკარგოს ტვირთი, მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა. მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი ან ტვირთი, არ მისცეს იგი სხვა პირს, გარდა იმისა, რომელიც ზედნადებშია აღნიშნული. მნიშვნელოვანია, რომ ეს უფლება ქარწყლდება მაშინვე, როცა ზედნადების მეორე პირი გადაეცემა ტვირთის მიმღებს, მიმღები განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე, თუ გამგზავნმა ზედნადებში გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა.

თუ მიმღებმა განკარგვის უფლების განხორციელებისას გასცა მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ არის უფლებამოსილი დაასახელოს სხვა მიმღები.

მნიშვნელოვანია, რომ განკარგვის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით:

- გამგზავნმა უნდა წარმოადგინოს ზედნადების პირველი პირი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს გადამზიდველისათვის მიცემული ახალი მითითებები, და მას აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი და ზიანი, რომლებიც ამ მითითებათა შესრულების შედეგად წარმოიშვა;
- მითითებათა შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს იმ მომენტში, როცა ისინი მიუვა იმ პირს, რომელმაც ეს მითითება უნდა შეასრულოს, და არ შეიძლება, რომ იგი ხელს უშლიდეს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, და არც გამგზავნის, ან მიმღების სხვა ტვირთს უნდა აყენებდეს ზიანს;
- მითითებებმა არ უნდა გამოიწვიონ ტვირთის დანაწილება.

ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე მიმღები უფლებამოსილია გადამზიდველს მოსთხოვოს ტვირთის მიღების დადასტურებით ზედნადების მეორე პირის გადაცემა და ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი, ან ტვირთი არ არის გათვალისწინებულ ვადაში მიტანილი, მიმღებს შეუძლია გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით გამოიყენოს გადამზიდველის წინააღმდეგ.

პრაქტიკაში შესაძლებელია წარმოიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე, ანუ ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით. ასეთ შემთხვევაში, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს სსკ 680-ე მუხლის მიხედვით უფლებამოსილი პირის განკარგულება ტვირთის შესახებ. თუ გარემოებები იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას და გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის ტვირთის შესახებ 680-ე მუხლით გათვალისწინებულ მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც, უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

მნიშვნელოვანია, რომ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშობა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები. თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი უფლებამოსილია თვითონ განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარმოდგენის გარეშე. მიმღებს შეუძლია ტვირთის გადაცემა მოითხოვოს მაშინაც კი, როცა მან ტვირთის მიღებაზე უარი თქვა, ვიდრე გადამზიდველს გამგზავნისაგან არ მიუღია საწინააღმდეგო მითითებები.

საყურადღებოა, რომ გადამზიდველს აქვს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც მას წარმოემოხა მითითებების მიღების ან მათი შესრულების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ხარჯები მისი ბრალით წარმოიშვა. უფლებამოსილი პირის მითითების დალოდების გარეშე გადამზიდველს შეუძლია გაყიდოს ტვირთი, თუ საქონელი მალფუჭებადია, ან თუ ტვირთის მდგომარეობა ამართლებს ამგვარ მოქმედებას, ანდა როცა შენახვის ხარჯები აღემატება ტვირთის ღირებულებას. მას შეუძლია სხვა შემთხვევებშიც გაყიდოს ტვირთი, თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში იგი არ მიიღებს მითითებებს არც ერთი მხარისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი გაიყიდა მაშინ, თანხა ტვირთთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ პირს. ხოლო, თუ ეს ხარჯები შემოსავალზე მეტია, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება. მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ გაყიდვის წესი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია განკარგოს ეს ნივთი.

გადაზიდვის ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაციისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამზიდველის პასუხისმგებლობის მარეგულირებელ სამართლის ნორმებს.

გადამზიდველის პასუხისმგებლობის შინაარსზე საუბრისას მნიშვნელოვანია, რომ გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად, ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე - მიტანის ვადის გადაცილებისათვის. თავის მხრივ გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლება თავიდან აეცილებინა. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამჭირავებლის, ან დამჭირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე. გადამზიდველი 687-ე მუხლის მე-2-5 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების⁴³ არსებობისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება ქვემოთ დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხისგან წარმოიშვა, კერძოდ, როცა:

- გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული;
- ტვირთი არ არის შეფუთული ან უხარისხოდაა შეფუთული, რაც, ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის;
- ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან

⁴³ თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლება წარმოქმნილიყო დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა. უფლებამოსილი პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის ამ საფრთხისგან ან მხოლოდ ამ საფრთხისგან წარმოშობილი. გადამზიდველს შეუძლია 686-ე მუხლის მე-4 ნაწილის "დ" ქვეპუნქტი) (გალკუული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახმობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე) გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, თუ დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა ღონისძიება და დაიცვა მისთვის მიცემული ყველა მითითება.

მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ;

- ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად, ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახმობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე;
- გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი;
- გადასაყვანია ცხოველები.

იმის მტკიცება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის დარღვევა გამოიწვია ზემოაღნიშნულ გარემოებებმა, ეკისრება გადამზიდველს. მნიშვნელოვანია, რომ თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ზემოდასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა. უფლებამოსილ პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის ამ საფრთხისგან ან მხოლოდ ამ საფრთხისგან წარმოშობილი.

ვადის გადაცილებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებად ითვლება, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში, ან, თუ ვადა არ იყო დათქმული, - გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში - იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილ-ნაწილ დატვირთვისას ამ ნაწილების შესაკრებად აუცილებელი დროის განსაზღვრასთან, თუ დარღვეულია ვადა, რომელიც წინდახედულ გადამზიდველს უნდა დაეცვა ჩვეულებრივ შემთხვევებში.

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს ე.წ. ტვირთის დაკარგვის პრეზუმფციას, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

- უფლებამოსილ პირს შეუძლია დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე ტვირთი ჩათვალოს დაკარგულად, თუ ტვირთი გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ.
- უფლებამოსილ პირს შეუძლია დაკარგული ტვირთის გამო ზიანის ანაზღაურებისას წერილობით მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ შეატყობინონ, თუ ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება დაკარგული ტვირთი. ამ მოთხოვნაზე პასუხი ასევე წერილობით უნდა გაიცეს.
- უფლებამოსილ პირს შეუძლია ამგვარი შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში მოითხოვოს, რომ ტვირთი ჩაბარდეს მას ზედნადებიდან გამომდინარე უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ და მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების პირობით, საჭიროებისას - ზიანის ანაზღაურებისას წარმოშობილი ხარჯების გამოკლებით;

მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში როდესაც მიმღებს ტვირთი ჩაბარდა იმ დანამატის გადაუხდელოდ, რომელიც გადამზიდველს უნდა მიეღო დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია, რეგრესულ უფლებაზე მითითებით, გამგზავნს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება. მაშინ, როდესაც გამგზავნი გზავნის საფრთხეშემცველ ტვირთს, იგი ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი - დააზღვიოს ეს ტვირთი. თუ ეს ვალდებულება არ არის შეტანილი ზედნადებში, მაშინ გამგზავნსა და მიმღებს ევალებათ სხვა საშუალებებით დაამტკიცონ, რომ გადამზიდველმა ზუსტად იცოდა ტვირთის სახეობა და მოსალოდნელი საფრთხე. საფრთხეშემცველი ტვირთი, რომლის საფრთხის შესახებაც გადამზიდველმა არაფერი იცოდა, გადამზიდველს შეუძლია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ

ადგილას გადმოცვალოს, მოსპოს ან გააუვნებელყოს იგი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარეშე. გამგზავნი ასევე აგებს პასუხს ამ ტვირთის გადასაზიდად გადაცემით ან გადაზიდვებით გამოწვეული ზიანისა და ხარჯებისათვის.

იმ შემთხვევებში, როდესაც გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის ანაზღაუროს ზიანი, მაშინ ზიანის ანაზღაურება გამოითვლება ტვირთის გადაცემის ადგილსა და დროს მოქმედი ტვირთის ფასის მიხედვით. ტვირთის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას - საბაზრო ფასით; თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ - მსგავსი სახეობისა და ღირებულების ტვირთების ანალოგიურად. გადაზიდვის თანხა, საბაჟო და სხვა მსგავსი ხარჯები უკან უნდა დაბრუნდეს, ოღონდ ტვირთის მთლიანად დაკარგვისას - მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვისას - ნაწილობრივ. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცილებულია ტვირთის მიტანის ვადა და უფლებამოსილი პირი დამატკიცებს, რომ ამის გამო წარმოიშვა ზიანი, გადამზიდველმა უნდა ანაზღაუროს იგი მხოლოდ ამ ტვირთის ღირებულების ოდენობამდე.

ზიანის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც:

- უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვისას, თუკი მთელი ტვირთი დაზიანების შედეგად მთლიანად გაუფასურდა;
- უნდა გადახდილიყო ტვირთის გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისას, თუკი დაზიანების შედეგად გაუფასურდა ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი.

გამგზავნს შეუძლია დათქმული დანამატის გადახდის საფუძველზე ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება ამ გადაზიდვით იმ შემთხვევებისათვის, როცა დაიკარგება ან დაზიანდება ტვირთი, ანდა გადაცილებული იქნება მისი ჩაბარების ვადა. ტვირთზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მისთვის უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე მოითხოვოს წლიური ხუთი პროცენტი. პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან, ან, თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, - სარჩელის შეტანის დღიდან. თუ ზიანის ანაზღაურება დადგენილია იმ ფულად ერთეულში, რომელიც არ მოქმედებს ქვეყანაში, და მოთხოვლია გადახდა, კურსი განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების გადახდის ადგილზე იმ დღეს მოქმედი კურსის შესაბამისად.

როდესაც დანაკარგმა, დაზიანებამ ან ვადის გადაცილებამ, რომლებიც გადაზიდვების დროს წარმოიშვა, შეიძლება მოქმედი წესების (ზოგადი წესები) მიხედვით არასახელშეკრულებო მოთხოვნები გამოიწვიოს, ამის საპასუხოდ გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს სსკ-ს შესაბამისი თავის იმ წესებზე, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ, ან ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავენ, ანდა ზღუდავენ. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებული იქნება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოთხოვნები დანაკარგის, დაზიანებისა ან/და ვადის გადაცილებისთვის ერთ-ერთი პირის მიმართ, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს ამ თავის იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას, ან განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ოდენობას ანდა, ზღუდავენ მას.

გადამზიდველს არ შეუძლია დაეყრდნოს სსკ-ს მეორორმეტე თავის იმ წესებს, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ ან ზღუდავენ, ან/და მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებენ მას, თუკი ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით.

ტვირთის გადატანასთან დაკავშირებული დავების განხილვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, კერძოდ კი განსაკუთრებული საპრეტენზიო წესით. პრეტენზია, ანუ ე.წ. რეკლამაცია არის მიმართვა გადამზიდველისადმი გადაზიდვის ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ჯარიმის გადახდის

ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რეკლამაციის დეფინიციური შევსება მდგომარეობს შემდეგ სამართალმდგომარეობებში.

- თუ მიმღები მიიღებს ტვირტს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს გადამზიდველთან ერთად და არ უყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირტი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში; აღნიშნული პრეტენზია უნდა წარედგინოს ტვირტის ჩაბარების დღესვე, თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში - ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა. თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა წარედგინოს წერილობით.
- თუ მიმღებმა და გადამზიდველმა ერთად შეამოწმეს ტვირტის მდგომარეობა, შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან შვიდი დღის განმავლობაში არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს.
- ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მიმღები ტვირტის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში გადამზიდველს წარუდგენს წერილობით მოთხოვნებს.
- ვადების გამოთვლისას ამ ვადებში არ ჩაითვლება: ტვირტის გამოგზავნის, შემოწმების ან მიმღებისათვის მისი ჩაბარების დღეები.
- გადამზიდველმა და მიმღებმა ხელი უნდა შეუწყონ ერთმანეთს აუცილებელი შემოწმებების ჩატარებასა და საჭირო ფაქტების დადგენაში.

ზემოგანხილული გადაზიდვებიდან გამომდინარე, უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება:

- ტვირტის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას - მისი გამოგზავნის დღიდან;
- ტვირტის მთლიანად დაკარგვისას - გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დატყობილი, - გადამზიდველის მიერ ტვირტის მიღებიდან მესამოცე დღეს;
- ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში - გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, ხანდაზმულობის ვადა რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის კვლავ გრძელდება. რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირტი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა. სხვა რეკლამაციები, რომლებიც იმავე საგანს ეხებიან, ვერ შეაჩერებენ ხანდაზმულობის ვადის დენას.

მეტად საინტერესოა ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების დროს გადამზიდველის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ გადაზიდვა ერთი ხელშეკრულებით ხორციელდება ერთმანეთის მიმდევარი სხვადასხვა გადამზიდველების მიერ, თითოეული მათგანი (გადამზიდველი) პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის; მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირტისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე.

გადამზიდველი, რომელიც წინა გადამზიდველისაგან იღებს ტვირთს, ვალდებულია გადასცეს ტვირთის მიღების დამადასტურებელი ვადამითითებული და მის მიერ ხელმოწერილი საბუთი. ზედნადების მეორე პირზე მან უნდა მიუთითოს თავისი სახელი და მისამართი.

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, შეგებებული სარჩელის ან შეცილების წარდგენის გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ტვირთი, ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა; ერთი და იგივე სარჩელი შეიძლება წარედგინოს რამდენიმე გადამზიდველს. თუ გადამზიდველმა უკვე აანაზღაურა ზიანი, მას აქვს უკუმოთხოვნის უფლება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამომწვევმა გადამზიდველმა მარტომ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი;
- თუ ტვირთის დაკარგვა ან მისი დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა. თუკი ამის დადგენა შეუძლებელია, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად;
- როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ გადამზიდველს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, ზემოხსენებულ პროპორციის მიხედვით უნდა გადაიხადოს ყველა გადამზიდველმა.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი გადამზიდველი გადახდის უუნაროა, მის მიერ გადასახდელი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხა ნაწილდება (უნდა განაწილდეს) დანარჩენ გადამზიდველებს შორის მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად.

მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო სამართლებრივი სამართალმდგომარეობა, რომლის მიხედვითაც ბათილია ყოველი შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი ტვირთის დაზღვევიდან წარმოშობილ მოთხოვნებს თმობს, და ყოველი სხვა მსგავსი შეთანხმება, რომლითაც მტკიცების ტვირთი სხვა პირზე იქნება გადატანილი.

სატრანსპორტო ექსპედიცია

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება, თავის მხრივ, წარმოადგენს სატრანსპორტო ხელშეკრულების გაწევასთან დაკავშირებულ დამხმარე ხელშეკრულებას. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი, ხოლო შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია. როგორც ვხედავთ, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა. მის მხარეებს წარმოადგენენ ერთი მხრივ ექსპედიტორი, ხოლო მეორეს მხრივ შემკვეთი. სატრანსპორტო ექსპედიცია არის სასყიდლიანი გარიგება, რომლის ძალითაც ექსპედიტორის მიერ შესრულებული სამუშაო (მომსახურება) უნდა ანაზღაურდეს პროვიზიით (შეთანხმებული საზღაური შესრულებული სამუშაოსთვის). რომელიც გადახდის უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს სატრანსპორტო ორგანიზაციას.

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც პირობითად შესაძლებელია დაყოფილი იყოს ძირითადად (გადაზიდვის ორგანიზაცია, მათ შორის, გადაზიდვის ხელშეკრულების დადება) და დამატებით მომსახურებად, რომელიც გულისხმობს ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. დამატებითი მომსახურების სახით შესაძლებელია ექსპედიტორმა განახორციელოს ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანისათვის ისეთი აუცილებელი ოპერაციები, როგორც არის, მაგალითად ექსპორტისა და იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მიღება, საბაჟო და სხვა ფორმალური მხარეების შესრულება, ტვირთის რაოდენობისა და მდგომარეობის შემოწმება და მრავალი სხვა მოქმედებანი.

კანონმდებლობა ავალდებულებს ექსპედიტორს, რომ მან კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები. ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები.

შემკვეთმა ექსპედიტორის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მას შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, აგრეთვე მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად და, აუცილებლობის შემთხვევაში, ტვირთის საბაჟო გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, შემკვეთმა უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად. მნიშვნელოვანია, რომ საფრთხეშემცველი ტვირთის არსებობისას შემკვეთმა უნდა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე. ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად. შემკვეთი, ამავდროულად, ვალდებულია (თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა) შეაფუთონოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია განმასხვავებელი ნიშნები, მაშინ ისინი იმგვარად უნდა იქნეს დასმული, რომ ტვირთის მიტანამდე გარკვევით ჩანდეს. შემკვეთს შეუძლია განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდით მოსთხოვოს ექსპედიტორს ტვირთის ცალობრივი შემოწმება მისი მიღებისას.

რაც შეეხება ტვირთის დაზღვევის საკითხს, ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა მხოლოდ მაშინ,

როცა ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას. განსაკუთრებული მითითების არარსებობისას ექსპედიტორი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით.

თუ შემკვეთი აშკარად არ გამოთქვამს უარს წერილობით, ექსპედიტორი მოვალეა შემკვეთის ხარჯზე დააზღვიოს ის ზიანი, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შემკვეთს შეიძლება მიადგეს. ექსპედიტორმა უნდა აცნობოს შემკვეთს, თუ ვისთან დადო ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთმა უნდა იზრუნოს ზიანის დროულად შეტყობინებისათვის. თუ ზიანის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ექსპედიტორს, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს შეტყობინება მზღვეველს ან მზღვეველებს.

პრაქტიკაში შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი შემთხვევა, როდესაც დანიშნულების ადგილზე ტვირთის გადატანის შემდეგ მიმღები არ ჩაიბარებს ტვირთს, ან სხვა საფუძველით შეუძლებელია ტვირთის მიღება, ასეთ შემთხვევაში ექსპედიტორის უფლებები და მოვალეობები უნდა განისაზღვროს გადაზიდვის ხელშეკრულების წესებით.

თუ შეუძლებელია ტვირთის მდგომარეობის შემოწმება მხარეების თანდასწრებით, მაშინ, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულ იქნა დანაკლისისა და დაზიანების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმღები ტვირთის ჩამბარებელ პირს მიუთითებს ზიანის ზოგად ხასიათზე. თუ საქმე ეხება აშკარა დანაკლისს ან დაზიანებას, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ტვირთის მიღებისთანავე, ხოლო თუკი საქმე არ ეხება ასეთ დანაკლისს ან დაზიანებას, - ტვირთის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა. თუ სხვა შეთანხმება არ არსებობს, ექსპედიტორს უფლება აქვს საკუთარი ძალებით გადაზიდოს ტვირთი. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპედიტორი იყენებს ამ უფლებას, მას იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდველის უფლება-მოვალეობებიც.

ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი. თუ ზიანი გამოწვეულია ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირის მიერ, მაშინ შემკვეთის მოთხოვნით ექსპედიტორი მოვალეა გადასცეს შემკვეთს თავისი მოთხოვნა მესამე პირის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ექსპედიტორი სპეციალური შეთანხმების საფუძველზე თვითონ კისრულობს მოთხოვნის გამოყენებას შემკვეთის ხარჯითა და რისკით. ექსპედიტორი არ შეიძლება დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას, ან გადააქვთ მტკიცების ტვირთი, თუ მან ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა. იგივე წესი მოქმედებს დამხმარის არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მიმართაც, თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მას შეერაცხა ბრალი.

დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევა წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის ფორმას, რომელიც შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც მცირე გარანტირებული დანაკარგი, შესაძლო დიდი დანაკარგის საპრევენციოდ. შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევა გაჩნდა ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად.

რისკების გადანაწილების პრაქტიკის უძველესი მეთოდები გამოყენებული იქნა ჩინელი და ბაბილონელი მოვაჭრეების მიერ ძვ. წ. მე-3 - მე-2 საუკუნეებში. ძველი ბაბილონელების მიერ შემოღებულ იქნა სისტემა, რომელიც ძვ. წ. 1750 წელს იქცა მეფე ჰამურაბის კანონების შემადგენელი ნაწილად, და რომელსაც იყენებდნენ ხმელთაშუა ზღვის იალქნიანი გემებით მოვაჭრეები.

აქემენიდების დინასტიის მონარქი (სპარსეთი, ძვ.წ. 700 -330 წ.) იყო პირველი, რომელმაც ოფიციალურად დააზღვია თავისი ხალხი სახელმწიფო სანორატო ოფისის მეშვეობით. ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა დასაბამი მისცეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას ჩვ.წ. 600 წელს, როცა მათ შექმნეს გილდიები (კავშირები) სახელად "კეთილმოსურნეთა საზოგადოებები", რომლებიც ზრუნავდნენ ოჯახებზე, და მათ წევრებს უზდიდნენ დაკრძალვის ხარჯებს სიკვდილის შემთხვევაში. დაზღვევის ისეთი ფორმა, როგორც დღესაც ცნობილი, უკავშირდება ლონდონის დიდ ხანძარს, რომელმაც 1666 წელს ლონდონში იმსხვერპლა 13,200 სახლი. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ნიკოლას ბარბონმა გახსნა შენობების დაზღვევის ოფისი, ხოლო 1680 წელს მან დააარსა ინგლისის პირველი "ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის კომპანია". მე-17 საუკუნის დასასრულს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ლონდონის - როგორც სავაჭრო ცენტრის როლი, რამაც გაზარდა მოთხოვნა საზღვაო ხომალდების დაზღვევისა. 1680 წლის ბოლოს ედუარდ ლლოიდმა (Edward Lloyd) ლონდონში გახსნა ყავის სახლი, რომელიც გახდა გემების მეპატრონეების, მოვაჭრეებისა და გემების კაპიტნების პოპულარული თავშეყრის ადგილი, სადაც შესაძლებელი იყო მიგელო ახალი საიმედო ინფორმაცია ვაჭრობის შესახებ. ის გახდა შეხვედრის ადგილი იმ ადამიანებისა, რომელთაც სურდათ დაეზღვიათ თავიანთი ტვირთები და სავაჭრო ხომალდები, და შესაბამისად, მზად იყვნენ ხელი მოეწერათ შესაბამისი ხელშეკრულებებისათვის. დღეისათვის ლლოიდი წარმოადგენს სავაჭრო ფლოტისა და სხვა სპეციალური ტიპის დაზღვევის წამყვანი მარკეტს, და ამავე დროს მისი ფუნქციონირების პრინციპი განსხვავდება უმრავლესი, კარგად ცნობილი სადაზღვევო კომპანიებისაგან. დღევანდელ საქართველოში სადაზღვევო ბიზნესი წარმოადგენს მზარდ ბიზნესს. ამ სექტორში (სადაზღვევო მომსახურება) მოღვაწეობს მრავალი მსხვილი სადაზღვევო კომპანია, რომელიც კლიენტებს სთავაზობს ამა თუ იმ სადაზღვევო მომსახურებას (პროდუქტს).

სადაზღვევო მომსახურების სამართლებრივი რეგულირება მოცემულია, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ისე სხვა სპეციალურ ნორმატიულ აქტებში.

იმისათვის, რომ შევძლოთ სადაზღვევო მომსახურებაზე საუბარი აუცილებელია განვიმარტოს ის ტერმინები, რომლებიც ოპერირებს სადაზღვევო სამართალი.

დაზღვევა - ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას.

სადაზღვევო საქმიანობა – მზღვეველის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან;

მზღვეველი –

- შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია;
- ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამზღვევი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.

დაზღვეული - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დამზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოსარგებლე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დამზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

დაზღვევის აგენტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სადაზღვევო ბროკერი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას;

სადაზღვევო რისკი - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.

სადაზღვევო შემთხვევა - მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას.

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს და დამზღვევს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო თანხა.

გადაზღვევა - ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;

გადაზღვევა – ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან, ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის;

მნიშვნელოვანი წილი – მზღვეველის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილი, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

ადმინისტრატორი – მზღვეველის მმართველი ორგანოს წევრი;

არაპირდაპირი მონაწილეობა – იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით;

ბენეფიციარი მესაკუთრე – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი.

დაზღვევის ცნებაში იგულისხმება რომ დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. თავის მხრივ, სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, დაკავშირებული დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.

დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის:

- დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);
- დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა);
- დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით. ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევეს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია. სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს შესთავაზოს დამზღვევეს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები. სავალდებულო დაზღვევას ახორციელებს ასევე საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია დადოს ეს ხელშეკრულება, თუკი უარის თქმისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. საყურადღებოა, რომ, თუ პირი, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, არ არის დაზღვეული, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევეს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება. თუ დამზღვევემ არ დადო დაზღვევის ხელშეკრულება ან დადო ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით, დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ ოდენობით, რომელსაც დაზღვეული მიიღებდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში.

ზემოთ გარკვეულწილად განმარტებული იყო სადაზღვევო სამართალში არსებული ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ ნორმატიულ აქტებში. ურიგო არ იქნება, რომ ზოგიერთი ტერმინი განვმარტოთ კიდევ უფრო დეტალურად. ასე მაგალითად:

დამზღვევი არის პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება. იგი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებასთან დაკავშირებული დაზღვევის ხელშეკრულება, გარდა გადაზღვევის ხელშეკრულებისა, შეუძლია დადოს მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციასთან. საქართველოს მოქალაქეს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის ხელშეკრულება შეუძლია დადოს მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციასთან.

მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით. მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლად ყოფნა. ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვას „დაზღვევა“ ან ამ სიტყვის გამოყენებით სხვა სიტყვათწყობას. არავის არა აქვს უფლება, სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „დაზღვევა“ ან ამ სიტყვის გამოყენებით სხვა სიტყვათწყობა, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე (გარდა იმ

შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია საქართველოს კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როდესაც კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა „დაზღვევა“ ან ამ სიტყვის გამოყენებით სხვა სიტყვათწყობა, ჩანს, რომ იგი არ ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. სადაზღვევო ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. აკრძალულია მონოპოლიური და ყველა სხვაგვარი საქმიანობა განსაზღვრულ სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. უპირატესობების მიცემა ან მიღება მზღვეველის (მზღვეველების) მიერ სხვა მზღვეველის (მზღვეველების) მიმართ. მზღვეველის მართვა და მისი საქმიანობა ხორციელდება ეროვნული ბანკის ნორმატივების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. თუ არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების სადაზღვევო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, მზღვეველი უფლებამოსილია იმოქმედოს საერთაშორისო სადაზღვევო ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად.

დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყო დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონმდებლობა სავალდებულო დაზღვევის შესახებ შეიძლება დამზღვევს ავალდებულებდეს მესამე პირის დაზღვევის განხორციელებას. ნებაყოფლობითი დაზღვევისას დამზღვევს შეუძლია დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაზღვროს მესამე პირი, როგორც დაზღვეული; ამ შემთხვევაში დაზღვევის ობიექტი არის დაზღვეულის პიროვნება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (პირადი დაზღვევა) ან დაზღვეულის ქონება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (ქონების დაზღვევა).

3. ქონების დაზღვევისას დაზღვეულს, რომელიც არ არის დამზღვევი, უნდა ჰქონდეს ამ ქონების შენარჩუნების ინტერესი. სავალდებულო დაზღვევისას მესამე პირის თანხმობა იმ ხელშეკრულების დადებისთვის, რომელშიც იგი იქნება განსაზღვრული, როგორც დაზღვეული, არ არის საჭირო. ნებაყოფლობითი დაზღვევისას ამ პირის უარი აღნიშნული ხელშეკრულების დადებაზე გამოიწვევს მისი დადების შეუძლებლობას, ხოლო თუ ხელშეკრულება უკვე იყო დადებული - მის შეცვლას ან შეწყვეტას.

5. ქონების დაზღვევისას დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მესამე პირს თავისი განზრახვა, დააზღვიოს მისი ქონება ან მასთან დაკავშირებული ინტერესები დაზღვევის ობიექტების ზუსტი განსაზღვრით. თუ დამზღვევი ვალდებულია დააზღვიოს მესამე პირი, ამ უკანასკნელს შეუძლია მოსთხოვოს დამზღვევს მისი მოვალეობის შესრულების ანგარიში, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაზღვეული არასრულწლოვანი მოქალაქის უფლებების რეალიზაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან. მესამე პირის დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის ხარჯით. იმ დაზღვეულის, რომელიც არ არის დამზღვევი, აგრეთვე დამზღვევის ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას - განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებით. დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ. თუ დაზღვეული უარს იტყვის სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე, რომელიც მას ეკუთვნის დაზღვევის ხელშეკრულებით, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადადის დამზღვევზე. მნიშვნელოვანია, რომ დაზღვეულის გარდაცვალებისას, თუ იგი არ არის დამზღვევი, დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება, თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული დაზღვეულის შეცვლა.

თუ დაზღვეულის გარდაცვალება იქნება ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით, ხელშეკრულება წყდება მისი შესრულების შემდეგ. დაზღვეულის გარდაცვალებისას, რომელიც არ არის დამზღვევი და რომლის სასარგებლოდაც დადებულია ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები იმ ქონებრივ უფლებაზე, რომელიც არის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი, დამზღვევის თანხმობით გადადის გარდაცვლილი

დაზღვეულის მემკვიდრეზე, თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ არის თანახმა გარდაცვლილი დაზღვეულის შეცვლაზე, ან თუ მემკვიდრეები არ არიან თანახმა მიიღონ გარდაცვლილის დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულება შეწყდება.

მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. იგი შეიძლება დადგინდეს როგორც პირადი, ისე ქონების დაზღვევისას. სავალდებულო დაზღვევისას მოსარგებლის განსაზღვრა ხდება დაზღვევის მოცემული სახეობის მარეგულირებელი კანონმდებლობით, ხოლო ნებაყოფლობითი დაზღვევისას მოსარგებლეს ადგენს დამზღვევი. დაზღვეული არის მოსარგებლე თუ სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით ან დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საკუთრების დაზღვევის ხელშეკრულება მოსარგებლის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს მოსარგებლის სახელის ან სახელწოდების მიუთითებლად. ასეთი ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს ეძლევა დაზღვევის მოწმობა (პოლისი, სერტიფიკატი და ა.შ.) წარმდგენზე; ამ შემთხვევაში სარგებლობის მიმღებია ის, ვინც წარუდგენს მზღვეველს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს. როცა დამზღვევი არ არის დაზღვეული, გარდაცვალებისას ან თავის უფლებებზე უარის თქმის შემთხვევაში ამ უკანასკნელის უფლებები გადადის დამზღვევზე, მოსარგებლის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი

მზღვეველს შეუძლია განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით. დაზღვევის აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დაზღვევის აგენტის მიერ მიღებული სადაზღვევო შენატანი ითვლება მზღვეველის მიერ მიღებულ სადაზღვევო შენატანად. სადაზღვევო ბროკერი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია ეროვნულ ბანკში და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს ეროვნულ ბანკს და გაიაროს რეგისტრაცია. სადაზღვევო ბროკერის ურთიერთობა მზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. აკრძალულია მზღვეველის, დაზღვევის აგენტის ან სადაზღვევო ბროკერის მიერ უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის სახელით დაზღვევის ხელშეკრულების დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ. სადაზღვევო ბროკერი და დაზღვევის აგენტი ვალდებული არიან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას შეატყობინონ მზღვეველს მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისათვის.

მზღვეველი მოვალეა ჩააბაროს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა - პოლისი), რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ხელშეკრულების მხარეების ვინაობასა და მათ ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს);
- დაზღვევის საგნისა და დაზღვეული პირის დასახელებას;
- სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;
- დაზღვევის დასაწყისსა და ხანგრძლივობას;

- სადაზღვევო თანხის ოდენობას;
- სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას.

თუ დაზღვევის საგანს წარმოადგენს პირის სიცოცხლე, მაშინ დამატებით აუცილებელია მონაცემები მზღვეველის მოგების დაანგარიშებისა და ამ მოგების განაწილების პირობების შესახებ. თუ სადაზღვევო მოწმობა გაცემულია წარმომდგენზე, სახელობითი ან საორდერო მოწმობის სახით, მზღვეველს შეუძლია ამ მოწმობის მფლობელს წაუყენოს ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც მას თავდაპირველი დამზღვევის მიმართ აქვს. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სადაზღვევო მოწმობის მფლობელი აცნობებს მზღვეველს დაზღვევასთან დაკავშირებული უფლებების მისთვის გადაცემის თაობაზე და ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ არ განაცხადებს თავისი მოთხოვნების შესახებ. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მზღვეველმა მხოლოდ სადაზღვევო მოწმობის წარდგენის შემდეგ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, მაგრამ მოწმობა დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ დამზღვევს შეუძლია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო მოწმობა განსაკუთრებული წარმოების წესით ძალადაკარგულად გამოცხადდა. სადაზღვევო მოწმობის დაკარგვის, ან განადგურების შემთხვევაში დამზღვევს შეუძლია მზღვეველს მოსთხოვოს ასლი. ასლის გაცემის ხარჯებს გაიღებს დამზღვევი.

თუ დაზღვევის აგენტი (წარმომადგენელი) უფლებამოსილია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, მას ასევე შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა ან მოშალოს იგი. დაზღვევის აგენტს, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, უფლება აქვს დადოს ასეთი ხელშეკრულება.

დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე. თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია ხუთ წელზე მეტი ვადით, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის თაობაზე გაფრთხილებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

არის შემთხვევები, როდესაც მზღვეველი ადიდება სადაზღვევო შესატანს. ასეთ შემთხვევაში, დამზღვევს შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს ხელშეკრულება. სადაზღვევო შესატანის უმნიშვნელო გაზრდა ასეთ უფლებას არ წარმოშობს. დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად. თუ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი. დაუშვებელია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მზღვეველმა იცოდა დაფარულ გარემოებათა შესახებ, ან დამზღვევს არ მიუძღვის ბრალი მათ შეუტყობინებლობაში. მზღვეველს ასევე შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს. ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემების უზუსტობა მზღვეველისათვის ცნობილი იყო, ან თუ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის არასწორ მონაცემთა მიწოდებაში. ამ მონაცემების შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევს საფრთხის გარემოების შესახებ წერილობით კითხვებზე უნდა

გაეცა პასუხი, მაშინ მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება იმ გარემოებათა შეუტყობინებლობის გამო, რომელთა თაობაზედაც თუმცა კითხვა არ დასმულა, მაგრამ დამზღვევეი განზრახ დუმდა. ასეთი ცნობების შეუტყობინებლობიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ეს ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველმა გაიგო შეტყობინების მოვალეობის დარღვევის თაობაზე. დამზღვევეს აუცილებლად უნდა ეცნობოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ. თუ მზღვეველი ხელშეკრულებას მოშლის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მაშინ იგი არ თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუკი იმ გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე. დამზღვევეი თავის მხრივ მოვალეა დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდა, თუ ეს არსებით გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების დადებაზე. ამ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით ან მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის შესაბამისი გაზრდა. თუ დამზღვევემა განზრახ გამოიწვია საფრთხის გაზრდა, მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევეი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს. მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევეს ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად. მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევეი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვეველის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა. მან თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ.

დამზღვევეი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ. თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან. თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში როდესაც დამზღვევემა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევეი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

დამზღვევეს შეუძლია შეწყვიტოს სადაზღვევო შესატანის გადახდა, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვა, რომ მზღვეველის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ არსებობს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობათა შეუსრულებლობის რეალური საფრთხე.

სადაზღვევო საქმიანობა მოიცავს მრავალი მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის მრავალი სადაზღვევო მომსახურების (პროდუქტის) შეთავაზებას. განვიხილოთ რამოდენიმე ძირითადი ასეთი პროდუქტის ნორმატიული რეგულირების საკითხები.

ზიანის დაზღვევა

ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო თანხა მნიშვნელოვნად აღემატება დაზღვეული ინტერესის ღირებულებას (სადაზღვევო ღირებულებას), მაშინ როგორც დამზღვევეს, ისე მზღვეველს გადაჭარბებული დაზღვევის თავიდან აცილების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ სადაზღვევო თანხის შემცირება სადაზღვევო შესატანის დაუყოვნებლივ შესაბამისი შემცირებით. თუ დამზღვევი მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების განზრახვით დებს ხელშეკრულებას დაზღვევის გაზრდის გზით, მაშინ ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ხელშეკრულების ბათილობამდე მზღვეველისათვის გადახდილი შენატანები მას რჩება, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ცნობილი არ იყო ბათილობის შესახებ.

სადაზღვევო თანხად ჩაითვლება ქონების ღირებულება, თუ დაზღვეულია ქონება და საქმის გარემოებებით სხვა რამ არ არის დადგენილი. დაზღვევა ვრცელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ მიუღებელ სარგებელზედაც, თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით. თუ დაზღვეულია ნივთების ერთობლიობა, მაშინ დაზღვევა ვრცელდება მასში შემავალ ყველა ნივთზე.

საყურადღებოა, რომ მზღვეველი არ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევეს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად. პირი, რომელმაც ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. თუ მოცემული ინტერესი ერთი და იმავე რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას აჭარბებენ, ან, თუ სხვა მიზეზების გამო საზღაურთა ჯამი, რომელიც თითოეული მზღვეველის მიერ სხვა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა, აჭარბებს მთელ ზიანს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველები მოვალენი არიან დამზღვევის წინაშე - როგორც სოლიდარული მოვალეები - იმ თანხის ფარგლებში, რაც მათ დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევეს არა აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

თუ დამზღვევემა გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ჩაითვლება ბათილად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირი რამოდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან აზღვევს ერთი და იგივე შემთხვევას.

დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. დამზღვევი, თავის მხრივ, მოვალეა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს, ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს მზღვეველის მითითებები, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მისი მითითებით იქნა გაღებული.

მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველი ომით ან სხვა დაუძღვეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ეს გათვალისწინებულია სპეციალური შეთანხმებით. თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს. თუ დამზღვევე უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან, ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევებში, როდესაც დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხებულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია. თუ დაზღვეული ქონება გასხვისდა, მაშინ დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე. მზღვეველს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. თუ შემძენმა ან გამსხვისებელმა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს, მაშინ იგი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუკი სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა.

მზღვეველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს სადაზღვევო ურთიერთობა შემძენთან. ხელშეკრულების მოშლის უფლება ძალას კარგავს, თუ მზღვეველმა არ ისარგებლა ამით ერთი თვის მანძილზე იმ მომენტიდან, როცა მან შეიტყო ქონების გასხვისების შესახებ. შემძენს უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება; მოშლა შეუძლია მას მხოლოდ დაუყოვნებლივ, ან დაზღვევის მიმდინარე პერიოდის დამთავრებისათვის. მოშლის უფლება ქარწყლდება, თუ შემძენი შემძენიდან ერთი თვის ვადაში არ ისარგებლებს ამ უფლებით; ხოლო, თუ შემძენისათვის ცნობილი არ იყო დაზღვევის შესახებ, მაშინ მოშლის უფლება ძალაშია ერთი თვის გასვლამდე იმ მომენტიდან, როცა შემძენმა შეიტყო სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ. თუ დაზღვევის ხელშეკრულება მოიშალა ამ წესების საფუძველზე, მაშინ გამსხვისებელი მოვალეა მზღვეველს გადაუხადოს სადაზღვევო შესატანი, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც დაზღვევის პერიოდში უნდა გადაეხადა, ხელშეკრულების მოშლის მომენტის ჩათვლით; ამ შემთხვევაში შემძენი პასუხს არ აგებს სადაზღვევო შესატანის გადახდაზე.

დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ

დამზღვევეს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. ამ პირის დასახელება სავალდებულო არ არის. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევისას ის უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, ეკუთვნის ამ პირს. სადაზღვევო მოწმობის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ დამზღვევეს. მნიშვნელოვანია, რომ დაზღვეულ პირს შეუძლია ისარგებლოს თავისი უფლებებით დამზღვევეთან შეთანხმების გარეშე და თავისი უფლებების განხორციელება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო მოწმობა მის ხელთაა. დამზღვევეს საკუთარი სახელით შეუძლია ისარგებლოს იმ უფლებებით, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად ეკუთვნის დაზღვეულ პირს. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცემულია სადაზღვევო მოწმობა, მაშინ დამზღვევეს შეუძლია მიიღოს საზღაური დაზღვეული პირის თანხმობის გარეშე, ან გადასცეს უფლება დაზღვეულ პირს მხოლოდ მაშინ, თუ დამზღვევე ფლობს სადაზღვევო მოწმობას. მზღვეველი მხოლოდ მაშინ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევეს დაზღვეულის სასარგებლოდ, თუ დამზღვევე დაამტკიცებს, რომ დაზღვეული პირი ეთანხმებოდა დაზღვევის ხელშეკრულებას.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევე იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. მზღვეველი თავისი ვალდებულების ფარგლებში მოვალეა უშუალოდ აანაზღაუროს ზიანი, თუ პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, მას წარუდგენს მოთხოვნას. დაზღვევა მოიცავს სასამართლო და არასასამართლო ხარჯებსაც, რომლებიც მესამე პირის მოთხოვნისაგან დასაცავად იქნა გაწეული, თუ, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, აუცილებელია ასეთი ხარჯების გაწევა. მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევემა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე. თუ მზღვეველი მთლიანად, ან ნაწილობრივ თავისუფალია დამზღვევის წინაშე მოვალეობისაგან, მისი პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ძალაშია სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაშინ, როდესაც მზღვეველი აკმაყოფილებს მესამე პირის მოთხოვნას, მესამე პირის მოთხოვნა დამზღვევის მიმართ გადადის მზღვეველზე.

სიცოცხლის დაზღვევა

სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება ეხებოდეს დამზღვევეს ან სხვა პირს. თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სასარგებლოდ, მაშინ საჭიროა ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. თუ დამზღვევე ხელშეკრულების დადებისას დაარღვევს თავის მოვალეობას ცნობების შეტყობინების თაობაზე, მზღვეველს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარი განაცხადოს, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ხელშეკრულებაზე უარი დასაშვებია, თუ შეტყობინების მოვალეობა განზრახ არ შესრულდა.

მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შესატანები პერიოდულად არის გადახდილი, მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო ურთიერთობა მოშალოს ნებისმიერ დროს, ოღონდ მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის დასრულებისათვის. დამზღვევეს შეუძლია დაგროვებითი დაზღვევისას სარგებლის მიღების უფლება გადასცეს მესამე პირს, ასევე შეუძლია მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მესამე პირს, რომელსაც აქვს სარგებლის მიღების უფლება, მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ დამზღვევეს სხვა მითითება არ გაუცია. თუ დაგროვებითი დაზღვევის შემთხვევაში მესამე პირის უფლებას არ შეესაბამება მზღვევის მოვალეობა, მაშინ ეს უფლება რჩება დამზღვევეს. იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი არ იყენებს თავის უფლებას სარგებლის მიღებაზე, მაშინ ეს უფლება რჩება დამზღვევეს.

როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისათვის, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევემა უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია ასეთი პირის სიკვდილი. თუ სიცოცხლის დაზღვევისას მესამე პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, ეს უფლება არ იქნება აღიარებული, თუ მან უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია იმ პირის სიკვდილი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო.

სიცოცხლის დაზღვევისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო, თავს მოიკლავს. დამზღვევის მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო შესატანების დაბრუნება.

დამზღვევეს შეუძლია მიმდინარე დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლა სადაზღვევო შესატანებისაგან თავისუფალი ხელშეკრულებით. თუ დამზღვევე ითხოვს ასეთ შეცვლას, მაშინ ამ მომენტიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის, ან სარგებლის თანხის ადგილს იკავებს ისეთი თანხა, რომელიც შეესაბამება მზღვეველის მოვალეობას დაზღვეული პირის ასაკის გათვალისწინებით, თუ დაგროვებული პრემიების რეზერვი განიხილება, როგორც ერთჯერადი შესატანი.

თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება უარის თქმის, მოშლის ან გასაჩივრების გამო, მაშინ მზღვეველი მოვალეა დააბრუნოს შესატანის ის ოდენობა, რომელიც მან მიიღო ამ ხელშეკრულებით. მზღვეველს შეუძლია გააკეთოს შესაბამისი დაქვითვებიც.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება ხდება სადაზღვევო მოთხოვნის თაობაზე, ან სამართალწარმოება ხორციელდება დამზღვევის გაკოტრებასთან დაკავშირებით, მაშინ პირი, რომელიც კონკრეტულად დასახელებულია, როგორც სარგებლის მიმღები, უფლებამოსილია დაიკავოს დამზღვევის ადგილი დაზღვევის ხელშეკრულებაში. თუკი სარგებლის მიღების უფლების მქონე პირი მონაწილეობს ხელშეკრულებაში, მან უნდა დააკმაყოფილოს კრედიტორის ყველა მოთხოვნა ან უზრუნველყოს გაკოტრების მასა იმ თანხის ფარგლებში, რომელიც შეიძლება მიეღო დამზღვევეს მზღვეველისაგან დაზღვევის ხელშეკრულების მოშლისას. მაშინ, როდესაც სარგებლის მიღების უფლების მქონე პირი არ არის დაინტერესებული სარგებლის მიღებით, ან არ არის სახელობით მითითებული, ასეთ უფლებას იძენენ დამზღვევის მეუღლე და შვილები.

უბედური შემთხვევის დაზღვევა

უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისათვის. თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

თუ მზღვეველის მოვალეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის (ვნების) განზრახ მიყენებაზე, მაშინ განზრახვის არარსებობა ივარაუდება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიმღები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას. თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ, თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით. თუ მოვალეობები უნდა შესრულდეს სარგებლის მიმღები პირის სასარგებლოდ, მაშინ ეს პირი მოვალეა განაცხადოს უბედური შემთხვევის თაობაზე. ეს წესი ვრცელდება ცნობების შეტყობინებისა და საბუთების გადაცემის მოვალეობებზედაც. მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ დამზღვევეს არა აქვს რეგრესის უფლება იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხს აგებს ზიანისათვის.

ხელშეკრულება

ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ

ქ. თბილისი

----- 2009 წელი

----- შემდგომში **დამზღვევი**, დირექტორის, ----- სახით, ერთის მხრივ და -----
----- შემდგომში **მზღვეველი**, გენერალური
დირექტორის ბატონ ალექსანდრე ლორთქიფანიძის სახით, მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე
ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების (შემდგომში დაზღვეული) ჯანმრთელობის დაზღვევა დამზღვევის მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით (დანართი #2) ქვემოთ მოყვანილი პროგრამების და პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **დამზღვევის** მიერ სადაზღვევო პრემიის (შესატანის) დროულად გადახდის საფუძველზე **მზღვეველი** იღებს ვალდებულებას:
აუნაზღაუროს **დამზღვევის** მიერ **დაზღვეულ** პირებს:

2.1.1. სამედიცინო სამსახურის ხარჯები

ანაზღაურდება 100%-ით, ლიმიტის გარეშე. სადღეღამისო, საინფორმაციო, საორგანიზაციო კონსულტაცია, რაც ითვალისწინებს სრული და ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებას სადაზღვევო პროგრამების, მედიკამენტების, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებისა და კოორდინირების შესახებ. აღნიშნული გულისხმობს დაზღვეულის ჰოსპიტალური ან/და ამბულატორიული მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, როგორც მკურნალობის პროცესზე და ხარისხზე, ასევე სამედიცინო და ფინანსურ დოკუმენტაციაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფას. (ტელ :----- -----)

2.1.2. პირადი ექიმის მომსახურება:

ანაზღაურდება 100%-ით, ლიმიტის გარეშე. აღნიშნული ითვალისწინებს:

პირადი ექიმის კონსულტაციებს;

საჭიროების შემთხვევაში ექიმის ვიზიტს ბინაზე;

დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს და ავადმყოფობის ისტორიის შექმნას;

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სპეციალისტების მოწვევას და კონსილიუმის ორგანიზებას;

სამედიცინო რეკომენდაციებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის.

პირადი ექიმის მომსახურება ხორციელდება სამედიცინო სამსახურში -----
-----; ხოლო საქართველოს რეგიონებში მზღვეველის მიერ მითითებულ

სამედიცინო დაწესებულებებში)

2.1.3. სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:

ანაზღაურდება 100%-ით, დანართ #1-ში (თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას) მითითებული ლიმიტის ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში 24 საათზე მეტი ხნით განთავსებისას და შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, სამკურნალო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევების და მკურნალობის გარანტირებული მოცულობის უზრუნველყოფას. მათ შორის ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობის, მოვლის და

პატრონაჟის, სამედიცინო მანიპულაციების, დანიშნული მედიკამენტების და ყველა სხვა აუცილებელი ღონისძიებების ხარჯების ანაზღაურებას;

2.1.4. ორსულობის მონიტორინგის და მშობიარობის ხარჯები;

ანაზღაურდება 100%-ით, დანართ #1-ში მითითებული ლიმიტის ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს ორსულობის მონიტორინგს (შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, ნებისმიერ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ კვლევებს, გინეკოლოგის კონსულტაციებსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში) და მშობიარობას ნებისმიერ ლიცენზირებულ სამშობიარო სახლში საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით. "C" პროგრამით დაზღვევის შემთხვევაში, ხარჯების ანაზღაურებისას, მოცდის პერიოდი 10 თვე.

2.1.5. ამბულატორიული მომსახურების ხარჯები;

ანაზღაურდება პიროვნებაზე დანართ #1-ში მითითებული წლიური ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში (თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას) აღნიშნული მოიცავს სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე სხადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებს, სამედიცინო მანიპულაციებს, ინსტრუმენტულ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

თბილისში ამბულატორიული მომსახურება ხორციელდება სამედიცინო სამსახურის მიმართვის საფუძველზე, ივ. _____ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში (მის. _____) ან/და თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

2.1.6. მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები;

ანაზღაურდება პიროვნებაზე დანართ #1-ში მითითებული წლიური ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს დაზღვეულის ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისას, შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას. სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების დროს, მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ხდება სრულად, სტაციონარული მომსახურების წლიური ლიმიტიდან გამომდინარე.

ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების შეძენა, სამედიცინო სამსახურის სპეციალური მიმართვის საფუძველზე, ხორციელდება კონტრაქტორი სამედიცინო ფორმების სააფთიაქო ქსელში ან/და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ აფთიაქში.

2.1.7. პროფილაქტიკური შემოწმება – ანაზღაურდება 100%-ით, დანართ #1 -ში მითითებული რაოდენობით, მიმართვის საფუძველზე ჩატარდება:

თერაპევტის კონსულტაცია;
სისხლის საერთო ანალიზი;
შარდის საერთო ანალიზი;
პროთრომბინის განსაზღვრა სისხლში;
ხოლო საჭიროების შემთხვევაში (პირადი ექიმის დანიშნულებით)
ეკგ;
რენტგენოგრაფია.

2.1.8. პროფილაქტიკური ვაქცინაცია და იმუნიზაცია -ანაზღაურდება პიროვნებაზე დანართ #1-ში მითითებული წლიური ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში (მიმართვის საფუძველზე).

2.1.9. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარჯები;

ანაზღაურდება 100%, ლიმიტის გარეშე. აღნიშნული ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ლიცენზირებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მომსახურებას.

სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯები;

2.1.10. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება:

მწვავე ტკივილის მოხსნა;

კბილის ექსტრაქცია – ანაზღაურდება სრულად, ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში საქართველოს ტერიტორიაზე.

2.1.11. გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება;

ყველა სახის თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის ხარჯები, დანართ #1-ში მითითებული ლიმიტის და თანაგადახდის ფარგლებში, იფარება სტომატოლოგიურ კლინიკაში -----

2.1.12. სტომატოლოგიური მკურნალობა პროვადიდერ კლინიკებში – ითვალისწინებს ნებისმიერი სახის სტომატოლოგიურ მომსახურებას მზღვეველის პროვადიდერ სტომატოლოგიურ კლინიკებში, სადაც ფასდაკლება განისაზღვრება კლინიკისა და მომსახურების ტიპის მიხედვით.

2.1.19. სამოგზაურო დაზღვევა - ითვალისწინებს თანამშრომლის საზღვარგარეთ ოფიციალური მივლინების დროს, (დანართ #1 მითითებული დროის განმავლობაში), სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაცემას. ლიმიტი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ევრო და საერთაშორისო ასისტანსს SOS International- ის მხარდაჭერის უზრუნველყოფით.

იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება გათვალისწინებულია სახელმწიფო ან რეფერალური პროგრამით, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაფაროს დაზღვეულის მიერ თანაგადახდის პრინციპით გადასახდელი თანხები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

ენდოპროთეზირებისას, აგრეთვე სხვა მაკორეგირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობების საშუალებით ჩატარებული ოპერაციების დროს, კომპანია იტოვებს უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ამგვარი სამედიცინო მოწყობილობ(ებ)ის მარკა/მოდელი.

65-წლიდან ასაკის დაზღვეულებს აუნაზღაურდებათ პირადი ექიმის მომსახურების ხარჯები, სტაციონარული მომსახურების ხარჯების 50%, სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯების 50% (მხოლოდ მზღვეველის მიერ მითითებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში).

აგრეთვე მზღვეველი უზრუნველყოფს:

2.1.20 იმ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვისას, რომლებიც არ არიან მზღვეველის პარტნიორები, სამედიცინო მომსახურების ხარჯების (სათანადო გადამოწმების შემდეგ ზემოთ მოყვანილი ლიმიტების ფარგლებში და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე) ანაზღაურებას წერილობითი მომართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ან დასაბუთებული წერილობითი უარის გაცემას ანაზღაურების თაობაზე;

2.1.21. ავადმყოფის მკურნალობის მონიტორინგს:

სტაციონარული განთავსებისას, საჭიროების შემთხვევაში, დაზღვეულ პირებს დამატებით სამედიცინო მენეჯმენტს გაუწევენ მზღვეველის მაღალი კლასის ექიმ-კოორდინატორები, რაც მათ

საშუალებას მისცემს მიიღონ უმადლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დამატებითი სპეციალისტების მოწვევა, ჩატარდეს კონსილიუმები.

2.1.22. დამზღვევისათვის სამედიცინო დაზღვევის ბარათების დროულად გადაცემას.

2.1.23. ნებისმიერი სხვა სახეობის დაზღვევაზე (ქონების დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა და ა.შ.) 10 % -იან ფასდაკლებას.

2.2. მზღვეველი არ ანაზღაურებს:

2.2.1 100%-ზე ნაკლები თანამშრომლების დაზღვევის შემთხვევაში, თანამშრომლებისთვის და ასევე მათი (დაოჯახებული თანამშრომლების 100%-ზე ნაკლები ოჯახური დაზღვევის განხორციელების შემთხვევაში) ოჯახის წევრებისთვის, დაზღვევის ძალაში შესვლამდე არსებული დაავადებების და მდგომარეობების (ორსულობა, მშობიარობა) და მათი გართულებების, (თითოეული პირის მიერ ივსება ანკეტა-განაცხადის ფორმა), აგრეთვე დაზღვეულის მიერ განაცხადის შევსებისას განუცხადებელ, მაგრამ დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს;

- ქრონიკული დაავადებების (შაქრიანი და უმჟირო დიაბეტი, ქრონიკული ჰეპატიტ(ებ)ი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა) მკურნალობისა და მათი გართულებების ხარჯებს, გამწვავების პერიოდის გარდა;
- სხეულის განზრახ თვითდაზიანებით გამოწვეულ დაავადებათა მკურნალობის ხარჯებს; იმ შემთხვევებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს, როდესაც დაზღვეული განზრახ ივსება თავს საფრთხეში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ის მოქმედებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით; თვითმკურნალობის ხარჯებს; არატრადიციული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია, სუჯოკთერაპია და ა.შ.) ხარჯებს;
- ბიოლოგიურად აქტიური ან/და კვებითი დანამატების, პირადი ჰიგიენის ან/და მოვლის საშუალებების შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- პროფესიული და სარისკო სპორტის სახეობებში მონაწილეობით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს; ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ნივთიერებ(ებ)ის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს;
- ეგზოპროთეზებთან და მაკორეგირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობებთან, ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ოპერაციული და არაოპერაციული ჩარევის დროს; მხედველობის კორექციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის ექსიმერ-ლაზერით ჩატარებული მკურნალობის ხარჯებს; სათვალეების, ლინზებისა და სმენის აპარატის შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ვაქცინაციის და იმუნიზაციის ხარჯებს (გარდა პროგრამით გათვალისწინებულისა); თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების მკურნალობის ხარჯებს; კოსმეტიკური მკურნალობის, პლასტიკური ქირურგიის ხარჯებს; წონის კორექციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- უნაყოფობის, იმპოტენციის დიაგნოსტიკების და მკურნალობის ხარჯებს; ორსულობის ხარჯებს (გარდა პროგრამით გათვალისწინებულისა), აბორტის ხარჯებს; კონტრაცეფციის, ხელოვნური განაყოფიერების, რეპროდუქტოლოგიის ხარჯებს;
- უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობის ხარჯებს;
- ფსიქიური დაავადებების, სარეაბილიტაციო მკურნალობის, მასაჟისა და ფსიქოთერაპევტის მომსახურების ხარჯებს; სამედიცინო ხარჯებს, გაწეულს შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობისას;
- მკურნალობის ხარჯებს, რომელიც საჭირო გახდა დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში, ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად; აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს;

2.2.2. თუ დამზღვევი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოყვანილ რომელიმე პირობას;

მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს სადაზღვევო შემთხვევისა და დანახარჯების სისწორე.

2.3 დამზღვევი იღებს ვალდებულებას:

- 2.3.1. უზრუნველყოს თითოეულ დაზღვეულზე და ოჯახური პაკეტის შემთხვევაში ოჯახის წევრებზე (ოჯახი იგულისხმება მეუღლე და თვრამეტ წლამდე შვილები) ყოველწლიური სადაზღვევო პრემიის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებული პროგრამების შესაბამისი სადაზღვევო პრემიის ოდენობით. კერძოდ, მოახდინოს გადახდა ყოველთვიურად დამზღვევის მიერ, დანართი #1-ში არჩეულ პროგრამაში მითითებული თანხის, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ ვადებში, მზღვეველის ანგარიშზე გადარიცხვის ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით.
- 2.3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულმა პირმა ერთხელ მაინც ისარგებლა სადაზღვევო მომსახურებით, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მზღვეველისთვის ამ თანამშრომლის წლიური პრემიის სრულად დაფარვა, იმის მიუხედავად აგრძელებს თუ არა დაზღვეული პირი მასთან მუშაობას.
- 2.3.3. გააცნოს მის მიერ დაზღვეულ პირებს სარჩელების განხილვისა და ხარჯების ანაზღაურების პირობები, აგრეთვე გარემოებები, რომლის დროსაც ხარჯების ანაზღაურება არ მოხდება (დაწვრილებით მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებასა და სამედიცინო დაზღვევის ბარათებში);
- 2.3.4. დაზღვეულ პირთა რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, მიმდინარე სადაზღვევო თვის ბოლო ერთი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს. აღნიშნული დაზღვეულების დაზღვევის ბარათები ძალაში შევა მომდევნო სადაზღვევო თვის პირველი რიცხვიდან, ასევე გათავისუფლებული თანამშრომლების სადაზღვევო პერიოდი დამთავრდება მომდევნო სადაზღვევო თვის პირველ რიცხვში (შესაბამისად, მოხდება პრემიის გადახდაც).

დაზღვეულ პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა (კერძოდ დამატება) შესაძლებელია, სადაზღვევო წლის პირველი თვის განმავლობაში (გამონაკლისს წარმოადგენს ოჯახური პროგრამით დაზღვევის შემთხვევაში ახალშობილი).

3. ანგარიშსწორების წესები

- 3.1 დამზღვევი ყოველთვიურ სადაზღვევო პრემიას (შესატანს) სრული ოდენობით გადაუხდის მზღვეველს არაუგვიანეს ყოველი მიმდინარე თვის --- რიცხვისა.
- 3.2 დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემია (შესატანი) შესაძლებელია გადახდილ იქნას როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

4. სარჩელების განხილვის წესები

სარჩელები განიხილება იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) დაზღვეული მიიღებს მზღვეველის წინასწარ დასტურს სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვის თაობაზე. გადაუდებელ შემთხვევაში, როცა სარჩელების მენეჯერთან ან სამედიცინო სამსახურთან წინასწარ დაკავშირება არ ხერხდება, მზღვეველს უნდა ეცნობოს სტაციონარში მოთავსების შესახებ არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა;
- ბ) დაზღვეული (ან სამედიცინო ჩვენებით ამის შეუძლებლობისას – მისი წარმომადგენელი) სადაზღვევო შემთხვევიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა, წერილობითი სახით მიაწვდის მზღვეველს დაწვრილებით ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას (სამედიცინო მომსახურების ან/და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების საფასურის გადახდის დამადასტურებელი სალაროს ქვითრები შესაბამისი ჩეკებით, ჩატარებული გამოკვლევების დასკვნები, ექიმის დანიშნულება, ფორმა #IV-100ა, პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საჭიროების შემთხვევაში, სალარე ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან)

- გ) მზღვეველი ინფორმირებული იქნება სხვა სამედიცინო პოლისის არსებობის, ან ხარჯების სხვა გზით ანაზღაურების შესახებ.
- 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის და მასში ცვლილებების შეტანის წესი**
- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის-----წლის -----დან და მოქმედებს ერთი წლის ვადით, -----წლის -----მდე.
- 5.2 წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე მოიშლება:
- 5.2.1 ორმხრივი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
- 5.2.2 მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში;
- 5.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 5.3. თუ საქართველოს კანონმდებლობიდან ან/და ვითარებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის, ან ვადამდე მოშლის მიუხედავად, თითოეულმა მხარემ უნდა შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.
- 5.4. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ნებისმიერი ზეპირი შეთანხმება ამ საკითხში დაუშვებელია.
- 5.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაბათილება/გაუქმება არ გამოიწვევს საკუთრივ ხელშეკრულების გაბათილებას/გაუქმებას. აგრეთვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება შეიცავს ხარვეზს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რის გამოც მისი შესრულება შეუძლებელია, ან გახდა შეუძლებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ეს არ მოახდენს გავლენას სხვა დებულებების მოქმედებაზე და წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები უცვლელად რჩება ძალაში.
- 6. მხარეთა განცხადებები**
- 6.1 მხარეებს გააჩნიათ უფლებამოსილება დადონ წინამდებარე ხელშეკრულება.
- 6.2 ყველა მოქმედება, პირობა და მოთხოვნა, რომლებიც საშუალებას აძლევს მხარეებს კანონიერად მოაწერონ ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, გამოიყენონ წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები და შეასრულონ ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, სათანადოდ იქნება დაცული და შესრულებული.
- 6.3 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები არის კანონიერი და ექვემდებარება აუცილებელ შესრულებას მხარეთა მიერ.
- 6.4 მხარეები არ იტყვიან უარს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 6.5 მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მოყვანილი ყველა განცხადება და დამოწმება შესრულებულია მისი ხელმოწერის თარიღისათვის და სრულად და უპირობოდ დაცული იქნება მხარეთა მიერ.
- 6.6 ვალდებულებების შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის მოქმედებით. კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან/და ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები), რაც უნდა იქნას დადასტურებული უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ წერილობითი ფორმით.
- 7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.
- 7.3 მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

8 დამატებითი პირობები

- 8.1. მხარეებს არ შეუძლიათ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებებისა და ვალდებულებების მთლიანად, ან ნაწილობრივ სხვა პირზე გადაცემა.
- 8.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები განსახილველად გადასცემენ საქართველოში მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს „დავების განხილველ ცენტრს“. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დავა განიხილება „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების შესაბამისად. არბიტრაჟის ადგილია ქ. თბილისი, საქართველო, www.drc-arbitration.ge, საიდენტიფიკაციო ნომერი 204547348. არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა მოხდება ქართულ ენაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამასთან, მზღვეველს უფლება აქვს არბიტრაჟში დავის განხილვის დაწყებამდე, სარჩელით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს და მოითხოვოს დავის სასარჩელო წარმოების წესით სასამართლოში გადაწყვეტა. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 8.3. მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება და თანხმობა, მხარეებს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი წერილით, ფაქსით ან დაზღვეული ფოსტით მიეწოდება. თუ ეს მიზანშეუწონლად დამაყოვნებელია, მაშინ უფლებამოსილი პირების მიერ შეტყობინება ხდება ზეპირი გზით, შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში წერილობით დადასტურებით. მხარე, თავისი ბრალეულობის ფარგლებში, პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს უპირობოდ ჩაითვლება მხარის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად და მეორე მხარეს წარმოემგება უფლება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.
- 8.4. მხარეები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებით მეორე მხარისგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის არსებობისას, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 8.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამზღვევი: -----

ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი -----

საბანკო რეკვიზიტები: -----, კოდი: -----, ანგარიშის # -----

საიდენტიფიკაციო კოდი: -----

დირექტორი:

----- /-----/

მზღვეველი:

ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი -----

საბანკო რეკვიზიტები: -----, კოდი: -----, ანგარიშის # -----

საიდენტიფიკაციო კოდი: -----

დირექტორი:

----- /-----/

საბანკო მომსახურება

დღევანდელ მსოფლიოში საბანკო მომსახურების სფერო საკმაოდ ფართოა და დღითიდღე უფრო იზრდება იმ სერვისების (პროდუქტების) რაოდენობა, რომლებსაც ბანკები სთავაზობენ მათ მომხმარებელს (კლიენტებს). საბანკო მომსახურების სფეროში არსებული ურთიერთობები რეგულირდება, საქართველოს კონსტიტუციით⁴⁴, სამოქალაქო კოდექსით, ორგანული კანონებით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და მრავალი სხვა (სპეციალური) ნორმატიული აქტებით.

სამოქალაქო კოდექსის ოცდამეერთე თავით მოწესრიგებულია ანგარიშსწორების ხელშეკრულების, საბანკო კრედიტის, ანაზღაურების, დოკუმენტალური (სასაქონლო აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის) ნორმატიული რეგულირება.

სანამ განვიხილავთ თითოეულ ზემოხსენებულ მომსახურების სახეს დეტალურად, უპირაწინა განისაზღვროს ის ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ორგანულ კანონებში.

ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია
საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“

საფინანსო სექტორის წარმომადგენელი – კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, გადამზღვეველი კომპანია, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, სადაზღვევო საბროკერო კომპანია, ანგარიშვალდებული საწარმო, ასევე ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი;

საფინანსო სექტორი – საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ერთობლიობა;

კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი – ეროვნული ბანკის მიერ მისაღწევი ინფლაციის მაჩვენებელი;

⁴⁴ მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.
3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.
5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.
2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

ოფიციალური გაცვლითი კურსი – ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ვალუტების მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის;

სახელმწიფო სესხი – „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო ვალი და კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები;

დეპოზიტი – კომერციულ ბანკში, ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება;

ფულის ნიშნები – ეროვნული ბანკისა და სხვა ქვეყნის ემიტენტი დაწესებულებების მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებული ბანკნოტები და მონეტები;

ყალბი ფულის ნიშნები – თაღლითური, არაკანონიერი გზით დამზადებული ბანკნოტები და მონეტები, აგრეთვე ფალსიფიცირებული ფულის ნიშნები, რომლებზედაც შეინიშნება ნომინალური გადაკეთების კვალი;

ემისია – ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება;

რეპროდუცირება – ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ბანკნოტებისა და მონეტების მთლიანად ან მათი ნაწილის, მათ შორის, მათი ინდივიდუალური დიზაინის ელემენტების, ფერის, ზომების, სიმბოლოების ან მათი სახეცვლილებით მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით რაიმე გამოსახულების, დამზადება, რომელიც შესაძლოა წაგავდეს ნამდვილ ფულის ნიშნებს, ან ქმნიდეს ნამდვილი ფულის ნიშნების შთაბეჭდილებას;

ნუმისმატიკური ფასეულობა – საკოლექციოდ განკუთვნილი მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნები, ისტორიული ბანკნოტები და მონეტები, მათი ასლები;

კრედიტი – დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;

კლირინგი (საკლირინგო ხელშეკრულება) – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში;

სპოტური ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში;

ფორვარდული ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;

სვოპი – გარიგება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, მისი შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის წინასწარ დათქმული პირობებით;

ფისკალური აგენტი – საგადახდო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები – ყველა ხარჯი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფასთან;

საქართველოს საფინანსო სექტორის სტატისტიკა – ეროვნული ეკონომიკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე ფინანსური კორპორაციების ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მარაგებისა და ნაკადების ამსახველი სტატისტიკა;

პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც არ არის კომერციული ბანკი და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი;

დროებითი ბანკი – განსაკუთრებულ შემთხვევაში საბანკო სისტემის სტაბილურობისა და დეპოზიტების უსაფრთხოების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ საგანგებოდ და დროებით შექმნილი ბანკი;

კონტროლი – პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, ხმის უფლების მქონე აქციების (წილის, პაის) გამოყენებით თუ სხვა გზით ძლიერი ზეგავლენის მოხდენა;

მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;

ოჯახის წევრი – პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ახლო ნათესავი – ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ირიცხება კანონით მემკვიდრეთა წრიდან I ან II რიგში;

საჯარო რეესტრი – ეროვნული ბანკის უწყებრივი საჯარო რეესტრი, რომელშიც ხორციელდება ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების აღრიცხვა და სისტემატიზაცია;

საგარეო სექტორის სტატისტიკა – საგადასახდელი ბალანსის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის, საგარეო ვალისა და ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკა;

ინფლაცია – ფასების სტატისტიკის მწარმოებელი ოფიციალური ორგანოს მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსის ცვლილება;

სარეზერვო ფული – ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ნაღდი ფული (ეროვნული ბანკის სალაროში არსებული სახსრების ნაშთის გარეშე), ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის (მათ შორის, ლიცენზიაგაუქმებული ბანკის) ანგარიშებზე არსებული სახსრები ეროვნულ ვალუტაში;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ზონა;

უბაჟო ვაჭრობის პუნქტი – მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი უბაჟო ვაჭრობის პუნქტი, რომლის საქმიანობა (უბაჟო საცალო ვაჭრობა ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას) საბაჟო კონტროლის ზონაში ნებადართულია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე.

ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია
საქართველოს კანონში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

ადმინისტრატორი – კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ანდა ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღოს ვალდებულებები;

ბანკის ფილიალი – ბანკის ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი;

ბანკთან დაკავშირებული პირები – ბანკის ადმინისტრატორები, აქციონერები, მათთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, ან მათთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები;

ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ გააჩნია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი;

განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები;

ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – ახლონათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი, ან პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, გარდა ბანკისა, სხვა კომერციული ინტერესებით;

კომერციული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;

კრედიტი – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;

ოპციონი – ვალდებულების შესრულების საშუალების, ფორმის, მოცულობის ამორჩევის უფლება, რომელიც ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს, ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განპირობებულ გარემოებათა გამო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის უფლება;

საბანკო საქმიანობის ლიცენზია – ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვა

საბლანკო კრედიტი – კრედიტი, რომელიც გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე;

სავალო ინსტრუმენტი – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალო საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით; მიმოქცევად სავალო ინსტრუმენტს შეიძლება ჰქონდეს სერტიფიკატების ან საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა;

ტრასტი – ნდობითი ფუნქცია;

უცხოური სანდო ბანკი – განვითარებული ქვეყნის ბანკი, რომელსაც აქვს კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიერ მიანიჭებული, გარკვეული დონის ან მასზე მაღალი რეიტინგი; ეროვნული ბანკი ადგენს კომპეტენტურ საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციათა ნუსხას და თითოეული კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიხედვით განსაზღვრავს რეიტინგის დონეს;

ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს;

ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მისი ხარჯით (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად); მთელი რისკისათვის კლიენტი თავადაა პასუხისმგებელი, ხოლო ბანკი მიიღებს საკომისიოს;

ფინანსური ინსტიტუტები – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები;

ფორფეიტინგი – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით; ამ ოპერაციის შესრულებისას გარანტია იმპორტიორი ქვეყნის ბანკი;

ფიუჩერული ოპერაციები – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულების პირობით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა;

შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, ან იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც აკონტროლებს სათავო საწარმო (სათავო

ორგანიზაცია), ან იურიდიული პირი, რომელშიც სათავო საწარმო ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან 50-ზე მეტ პროცენტს;

სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ერთი ან ერთზე მეტი შვილობილი საწარმო (შვილობილი)

საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად;

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;

განცხადებული საწესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი;

განაღებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;

გადახდისუუნარო ბანკი – ბანკი, რომლის აქტივები ვეღარ ფარავს მისსავე ვალდებულებებს;

კონტროლი – საწარმოს (ორგანიზაციის) ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით;

მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;

მონათესავე საწარმო – იურიდიული პირის შვილობილი ან/და კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოები;

პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

მნიშვნელოვანი წილი – კომერციული ბანკის განცხადებული თუ განაღებული საწესდებო კაპიტალის წილის 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს საწესდებო კაპიტალში პირდაპირი, ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

არაპირდაპირი მონაწილეობა (ფლობა) – იურიდიული პირის კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით.

ანგარიშსწორება

ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში. შესაძლებელია ანგარიშის მფლობელის მითითების საფუძველზე იგივე ოპერაციები განხორციელდეს ნაღდი ფულით. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშის მფლობელს შეიძლება დაეკისროს მომსახურების ხარჯების გადახდა.

საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებათა⁴⁵ შესახებ აწარმოოს საბუღალტრო წიგნი. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს ანგარიშის მფლობელს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ანგარიშის ამონაწერები); ხოლო ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა და კრედიტ-დებეტის საბუღალტრო ჩანაწერების შესახებ.

საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის, ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში.

ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს გააუქმოს საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება, ვიდრე გადარიცხვა რეალურად არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა შესრულებაზე უარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სათანადო პირებს. დავალების დროულად გაუქმების შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა კვლავ აღადგინოს თანხა მფლობელის ანგარიშზე. მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან, თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები. საკრედიტო დაწესებულების ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს. საკრედიტო დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ ანგარიშის მფლობელმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

სათანადო შეთანხმებისას საკრედიტო დაწესებულება მოვალეა აქტივის ფარგლებში აანაზღაუროს ანგარიშის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ჩეკი⁴⁶, ჩეკის შესახებ კანონის შესაბამისად. ამ დროს გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ხელშეკრულების წესები.

⁴⁵ უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება საგადახდო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე.

⁴⁶ დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა. ჩეკი შეიცავს: 1) სიტყვას "ჩეკი" დოკუმენტის სათაურში და ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ტექსტი. 2) უპირობო დათქმას მითითებული თანხის გადახდის შესახებ; 3) გადამხდელის დასახელებას; 4) განაღდების ადგილს; 5) ჩეკის გამოწერის ადგილსა და თარიღს; 6) ჩეკის გამოწერის ხელმოწერას.

ჩვეთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეი შეიძლება გამოწერილ იქნეს მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩვეის გამოწერის სახსრები, რაც მას უფლებას აძლევს საერთო წესით განკარგოს ეს სახსრები ჩვეის საშუალებით. დოკუმენტი, გამოწერილი არასაბანკო დაწესებულებაზე, თუნდაც მას ჰქონდეს ჩვეის სახელწოდება, ჩვეად არ ჩაითვლება. ჩვეი არ საჭიროებს თანხმობას განაღდების შესახებ (აქცეპტს). ჩანაწერს ჩვეზე აქცეპტის შესახებ არავითარი ძალა არ აქვს.

ჩვეი შეიძლება გამოიწეროს გასანაღდებად:

- კონკრეტული პირის სახელზე "განკარგულებით" ან მითითების გარეშე (საორდერო ჩვეი);
- კონკრეტული პირის სახელზე "არა განკარგულებით" ან სხვა თანაბარი მითითებით (საძელობითი ჩვეი);
- წარმდგენზე;

ჩვეს, რომელიც გამოწერილია კონკრეტული პირის სახელზე ან წარწერით "ან წარმდგენზე" ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი წარწერით, აქვს წარმდგენზე გამოწერილი ჩვეის ძალა. ჩვეი, რომელშიც არ არის მითითებული თანხის მიმღები პირი, ითვლება ჩვეად წარმომდგენზე.

ჩვეი შეიძლება გამოიწეროს ჩვეის გამცემის განკარგულებით, ის შეიძლება გამოიწეროს მესამე პირზე. ჩვეი არ შეიძლება გამოიწეროს თვით ჩვეის გამცემის სახელზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჩვეის გამოწერა ხდება თვით ჩვეის გამცემის ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაზე. ასეთი ჩვეი არ შეიძლება გამოიწეროს წარმდგენის სახელზე. ჩვეზე ნებისმიერი წარწერა პროცენტის გადახდის შესახებ ბათილად ითვლება.

თუ ჩვეში თანხა აღნიშნულია სიტყვიერად და რიცხვით, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული თანხა. თუ ჩვეში თანხა აღნიშნულია რამდენჯერმე, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული უმცირესი თანხა.

თუ ჩვეს აქვს პირის ხელმოწერა, რომელსაც არ შეუძლია იკისროს ჩვეიდან გამომდინარე ვალდებულებები, ან ყალბი ხელმოწერა, ეს გავლენას არ იქონიებს სხვა დანარჩენი ხელმოწერების ნამდვილობაზე. პირი, რომელიც სათანადო უფლებამოსილების გარეშე აწერს ხელს ჩვეს, როგორც სხვისი წარმომადგენელი, თვითონ აგებს პასუხს ჩვეისთვის და ჩვეის განაღდების შემთხვევაში აქვს ისეთივე უფლებები, როგორც თავისი უფლებამოსილების გადაჭარბებისას.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვეის გამცემი პასუხისმგებელია ჩვეის განაღდებისათვის. ყოველგვარი პირობა, რომლითაც ჩვეის გამცემი იხსნის პასუხისმგებლობას, ბათილია.

ჩვეის გადაცემას ეწოდება ინდოსირება. კონკრეტულ პირზე გამოწერილი ჩვეი მითითებით - "განკარგულებით" ან უამისოდ, შეიძლება გადაიცეს ინდოსამენტის მეშვეობით. კონკრეტულ პირზე გასანაღდებად გამოწერილი ჩვეი მითითებით - "განკარგულების გარეშე", ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით, შეიძლება გადაიცეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცესიის ფორმით.

ინდოსამენტი შეიძლება შესრულდეს ჩვეის გაცემის ან ჩვეით ვალდებული სხვა პირის სასარგებლოდაც. ამ პირებს თავის მხრივ შეუძლიათ ჩვეის შემდგომი ინდოსირება.

ინდოსირება უპირობო უნდა იყოს. მისი შემზღუდავი ნებისმიერი პირობა ბათილია. ნაწილობრივი ინდოსირება ბათილია. ასევე, ბათილია გადამხდელის ინდოსამენტი. ჩვეის მფლობელისათვის შესრულებული ინდოსამენტი საბლანკო ინდოსამენტის ტოლფასია. ინდოსამენტი შესრულდება ჩვეზე,

ან დანართზე (ჩეკზე დართული ფურცელი). იგი ხელმოწერილი უნდა იყოს. ინდოსამენტში შეიძლება თანხის მიმღები არ აღინიშნოს, ან შეიძლება იყოს მხოლოდ ინდოსამენტის ხელმოწერა (საბლანკო ინდოსამენტი). ამ უკანასკნელის შემთხვევაში ინდოსამენტის ნამდვილობისათვის იგი უნდა წაეწეროს ჩეკის მეორე გვერდს ან პირველ ფურცელს.

ინდოსამენტის ჩეკიდან გამომდინარე ყველა უფლება გადაიცემა. თუ ინდოსამენტი საბლანკოა, ჩეკის მფლობელს შეუძლია:

- შეავსოს იგი თავისი ან სხვა პირის სახელით;
- მოახდინოს ჩეკის შემდგომი ინდოსირება საბლანკო ინდოსამენტით ან რომელიმე კონკრეტულ პირზე;
- გადასცეს ჩეკი მესამე პირს ბლანკის შეუვსებლად და ჩეკის ინდოსირების გარეშე.

ინდოსანტი პასუხს აგებს ჩეკის განაღდებისათვის იმ შემთხვევაში, თუ არ არის ამის საწინააღმდეგო წარწერა. ინდოსანტს შეუძლია აკრძალოს ჩეკის შემდგომი ინდოსირება. ასეთ შემთხვევაში, ის არის პასუხისმგებელი იმათ წინაშე, ვის სასარგებლოდაც მოხდება ჩეკის შემდგომი ინდოსირება.

პირი, რომელსაც ხელთ აქვს ინდოსირებული ჩეკი, ითვლება ჩეკის კანონიერ მფლობელად, თუ იგი დაამტკიცებს თავის უფლებას ინდოსამენტთა უწყვეტი რიგით. ამ შემთხვევაში გადახაზულ ინდოსამენტებს ძალა არა აქვს.

თუ პირმა მიზეზის გამო დაკარგა ჩეკი, ახალი მფლობელი, იმისაგან დამოუკიდებლად, ჩეკი წარმდგენზეა თუ ინდოსირებულია ამტკიცებს ჩეკზე თავის უფლებას და მხოლოდ მაშინ არის ვალდებული დააბრუნოს ჩეკი, თუ იგი შეიძინა უპატიოსნო გზით, ან არ იცოდა. მაგრამ შეეძლო სცოდნოდა, რომ წინა მფლობელს არ ჰქონდა უფლება ეს ჩეკი სხვისთვის დაეთმო.

პირებს, რომელთაც წარედგინათ ჩეკიდან გამომდინარე სარჩელი, არ შეუძლიათ წარუდგინონ მფლობელს პრეტენზია, დაფუძნებული პირად ურთიერთობაზე ჩეკის მფლობელთან ან წინა მფლობელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მფლობელი ჩეკის შექმნისას განზრახ მოქმედებდა დებიტორთა საზიანოდ. თუ ჩეკზე არის წარწერა: "თანხა გადასახდელად", "ინკასო", "მინდობილობით" ან სხვა სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ უბრალო დავალებებს, რაც ჩეკის გადაცემად არ ჩაითვლება, ჩეკის წარმდგენს შეუძლია განახორციელოს ჩეკიდან გამომდინარე ყველა უფლება, მაგრამ მისი ინდოსირება შეუძლია მხოლოდ როგორც რწმუნებულ პირს. ასეთ შემთხვევაში, ჩეკით ვალდებულ პირებს შეუძლიათ წარუდგინონ ჩეკის წარმდგენს მხოლოდ ის პრეტენზია, რომელიც ინდოსანტის მიმართ შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ინდოსამენტი, პროტესტის ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელების შემდეგ, ან წარდგენის ვადის დადგომისას, ითვლება უბრალო გადაცემად (ცესიად). ინდოსამენტის დაუთარიღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ იგი შესრულებულია პროტესტამდე ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელებამდე, დადგომამდე, სანამ სხვა რამე არ არის დამტკიცებული. უფლებამოსილი პირის ინდოსამენტი არ კარგავს ძალას არც თავდების სიკვდილის და არც მისი ქმედუწარმობის შემთხვევაში.

საყურადღებოა, რომ ჩეკის განაღდება შეიძლება გარანტირებული იქნეს თავდებობის (ავალის) საშუალებით, ჩეკის მთელ თანხაზე ან თანხის ნაწილზე. თავდებობას აფორმებს მესამე პირი ან თვით ჩეკზე ხელმოწერილი პირი, გარდა გადახდელისა. ასეთი თავდებობა აღინიშნება ჩეკზე, ან მის დანართზე. ის გამოიხატება სიტყვებით "მიცემულია თავდებობა", ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით. მას

ხელს აწერს თავდები. პირი, რომელიც ხელს აწერს ჩეკის წინაპირზე. ითვლება თავდებად, თუ ის ჩეკის გამცემი არ არის. თავდებობაში ნაჩვენები უნდა იყოს, ვის უდგებიან თავდებად. ასეთი აღნიშვნის უქონლობისას ითვლება, რომ თავდებობა მიცემული აქვს ჩეკის გამცემს.

ჩეკისთვის თავდები ისევე აგებს პასუხს, როგორც ის, ვისაც იგი თავდებად დაუდგა. თავდებობა მოქმედია მაშინაც, როცა ის ძალის არმქონე ჩანს რაიმე სხვა მიზეზით, გარდა გაფორმებისას დაშვებული დეფექტისა. თავდები ჩეკის განაღდების შემთხვევაში იძენს უფლებას იმის მიმართ, ვისაც იგი თავდებად დაუდგა და ყველა იმათ მიმართ, რომლებიც ვალდებულნი არიან ამ უკანასკნელის წინაშე წინამდებარე "ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩეკის განაღდება ხდება წარდგენისთანავე. ნებისმიერი დათქმა (წარწერა), რომელიც ამას ეწინააღმდეგება, ბათილია. ჩეკი, წარდგენილია გასანაღდებლად იმ დღემდე, რომელიც ჩეკში ნაჩვენებია როგორც გაცემის დღე, განაღდება წარდგენის დღეს. გაცემული ჩეკი ძალაში რჩება, როგორც ჩეკის გამცემის სიკვდილის, ასევე მისი არაქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში. ჩეკის განაღდებისას გადამხდელს ჩეკის დაბრუნების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს მფლობელის ხელწერილი თანხის მიღების შესახებ. გადამხდელი, რომელიც ახდენს გადაცემული ჩეკის განაღდებას, ვალდებულია შეამოწმოს ინდოსამენტთა რიგის თანმიმდევრობის სისწორე, მაგრამ არა ინდოსატთა ხელმოწერის ნამდვილობა.

ჩეკის შესაძლო გამოყენების შეზღუდვის მიზნით ჩეკის გამცემს ან მფლობელს უფლება აქვს ჩეკი მონიშნოს (ნიშანი დაადოს) ორი პარალელური დიაგონალური ხაზით ჩეკის წინა პირზე. იმ შემთხვევაში, როცა ორი პარალელური ხაზს შორის არ არის რაიმე ჩანაწერი ან სიტყვა "ბანკი" კონკრეტული დასახელებით, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვები, ჩეკი ითვლება უბრალო განსხვავებულ ჩეკად. თუ პარალელური ხაზებს შორის ჩაწერილია საბანკო დაწესებულებების ზუსტი დასახელება, ჩეკი ითვლება სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად. უბრალო განსხვავებული ჩეკი შეიძლება გადაიქცეს სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად. სპეციალური განსხვავებული ჩეკი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიქცეს უბრალო განსხვავებულ ჩეკად. პარალელური ხაზების ან საბანკო დაწესებულების დასახელების გადახაზვა ბათილად ითვლება.

უბრალო, განსხვავებულ ჩეკს გადამხდელი უნაღდებს მხოლოდ საბანკო დაწესებულებას ან გადამხდელის კლიენტს. სპეციალურ განსხვავებულ ჩეკს გადამხდელი უნაღდებს მხოლოდ ჩეკში მითითებულ საბანკო დაწესებულებას, თუ ეს უკანასკნელი თვითონ არის გადამხდელი, მაშინ - მხოლოდ თავის კლიენტს. განსხვავებული ჩეკი ბანკმა შეიძლება შეიძინოს მხოლოდ თავისი კლიენტისაგან ან სხვა ბანკისაგან, ამასთან ბანკს შეუძლია ჩეკის ინკასოთი გადაცემა მხოლოდ ზემოაღნიშნული პირებისათვის. სპეციალურ განსხვავებულ ჩეკში მითითებული თანხა, რომელშიც ჩაწერილია არამუმეტეს ორი ბანკის დაწესებულების დასახელება, გადამხდელს შეუძლია გაანაღდოს მხოლოდ მაშინ, თუ ერთი მათგანი იძლევა მითითებას საანგარიშსწორებო დაწესებულებაზე ჩეკის ინკასოთი გადაცემის შესახებ. გადამხდელი ან ბანკის დაწესებულება ზემოაღნიშნული წესების დარღვევისას პასუხს აგებს მიყენებული ზარალისათვის ჩეკში აღნიშნული თანხის ფარგლებში.

ჩეკის გამცემს, აგრეთვე მის მფლობელს შეუძლიათ აკრძალონ ჩეკის ნაღდი ფულით განაღდება, ჩეკის წინა პირზე დიაგონალური წარწერით "ანგარიშსწორებისათვის", ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით. ასეთი ჩეკის თანხა ჩამოიწერება გადამხდელის ანგარიშიდან და შეიტანება ჩეკის წარმდგენის ანგარიშზე. გადახაზულ სიტყვას "ანგარიშსწორებისათვის" არავითარი გავლენა ჩეკის

მოქმედებაზე არა აქვს. გადამხდელი ზემოდნიშნული წესის დარღვევისათვის პასუხს აგებს მიყენებული ზარალის გამო ჩეკში აღნიშნული თანხის ფარგლებში.

ჩეკის მფლობელს შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს ინდოსანტს, ჩეკის გამცემს, ან ჩეკით ვალდებულ სხვა პირებს, თუ დროულად წარდგენილი ჩეკი არ განაღდება და განაღდებაზე უარი დადასტურებულია:

- ოფიციალური აქტით (პროტესტით);
- გადამხდელის დათარიღებული წარწერით იმ ჩეკზე, რომელშიც მითითებულია ჩეკის წარდგენის თარიღი;
- საანგარიშსწორებო დაწესებულების დათარიღებული განცხადებით იმის შესახებ, რომ ჩეკი დროულად იყო წარდგენილი, მაგრამ არ განაღდება.

პროტესტი, ან სხვა დამოწმება უნდა გაფორმდეს ჩეკის წარდგენის ვადის გასვლამდე. თუ ჩეკი წარდგენილია წარდგენის ვადის ბოლო დღეს, პროტესტი ან სხვა დამოწმება შეიძლება გაფორმდეს ვადის დადგომის მომდევნო სამუშაო დღეს.

ჩეკის მფლობელი ვალდებულია ჩეკის გაუნაღებლობის შესახებ შეატყობინოს თავის ინდოსანტსა და ჩეკის გამცემს პროტესტის ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელების დღიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, ან შენიშვნის "დაბრუნდეს ხარჯების გარეშე" არსებობის შემთხვევაში- ჩეკის წარდგენის მომდევნო დღიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, ყოველი ინდოსანტი შეტყობინების მიღებისას მოვალეა ორი სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ეს თავის ინდოსანტს, მათი დასახელების (გვარი) და მისამართის ჩვენებით, ვისაც ასეთი შეტყობინება უკვე გაეგზავნა. ეს გრძელდება ჩეკის გამცემის შეტყობინებამდე. ზემოდნიშნული ვადა გამოიანგარიშება შეტყობინების მიღების პირველი დღიდან. ზემოდნიშნული თანმიმდევრობით ჩეკის გამოცემისათვის შეტყობინებისას ამავე ვადაში უნდა ეცნობოს ეს მის თავდებსაც. თუ ინდოსანტს არა აქვს მითითებული თავისი მისამართი ან ჩანაწერი გაურკვეველია, საკმარისია ეცნობოს მის წინა ხელმომწერ ინდოსანტს. შეტყობინება შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის, მათ შორის ჩეკის უბრალო დაბრუნების გზითაც. შეტყობინების გამგზავნი ვალდებულია ამტკიცოს, რომ მან შეტყობინება გაგზავნა დადგენილ ვადაში, ითვლება, რომ ვადა არ არის დარღვეული, თუ შეტყობინება ჩაბარდა დადგენილ ვადაში საფოსტო განყოფილებას. პირი, რომელმაც შეტყობინება დადგენილ ვადაში ვერ გაგზავნა, არ კარგავს თავის უფლებებს. იგი პასუხისმგებელია თავისი დაუდევრობით მიყენებული ზარალისათვის, მაგრამ მხოლოდ ჩეკზე აღნიშნული თანხის ფარგლებში.

ჩეკის გამცემს, ინდოსანტს ან თავდებ პირს, წააწერენ რა ჩეკზე სიტყვას "დაბრუნდეს ხარჯების გარეშე", ან "პროტესტის გარეშე", ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებას და მოაწერენ მას ხელს, შეუძლიათ გაათავისუფლონ ჩეკის მფლობელი პროტესტის გაფორმებისაგან, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებისაგან, წამოყენებულ მოთხოვნებზე მისი უფლებების დაცვით. ეს ჩანაწერი არ ათავისუფლებს ჩეკის მფლობელს ჩეკის დაწესებულ ვადაში წარდგენისა და აუცილებელი შეტყობინების გაგზავნის მოვალეობისაგან. ვადების დაუცველობის მტკიცების მოვალეობა ეკისრება იმას, ვინც დაინტერესებულია ისარგებლოს ამ გარემოებით ჩეკის მფლობელის მიმართ. თუ შენიშვნა ჩეკის გამომწერის ჩაწერილია, იგი მოქმედია ყველა ხელმომწერისათვის, ხოლო თუ იგი შესრულებულია ინდოსანტის ან თავდების მიერ, შენიშვნა სავალდებულოა მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის. თუ ჩეკის გამცემის შენიშვნის მიუხედავად, მფლობელი აფორმებს პროტესტს, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებას, მასვე ეკისრება გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. თუ შენიშვნა ჩაწერილია

ინდოსანტის, ან თავდების მიერ, პროტესტის გაფორმების ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების გაფორმების ყველა ხარჯი ეკისრება ჩვეის ყველა ხელმომწერს.

ჩვეით ვალდებული ყველა პირი სოლიდარულად აგებს პასუხს ჩვეის მფლობელის წინაშე. მფლობელი უფლებამოსილია წარუდგინოს სარჩელი როგორც ყველა ამ პირს, ასევე ერთ მათგანს, ან რამდენიმეს ერთდროულად, მიუხედავად იმ თანმიმდევრობისა, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს. იგივე უფლებით სარგებლობა შეუძლია ჩვეის ხელმომწერ ყველა პირს, რომელმაც ჩვეი გაანაღდა. ჩვეით ვალდებული ერთ-ერთი პირის მიმართ სარჩელი არ წარმოადგენს დაბრკოლებას სხვა პირებისაგან სახდელის გადახდევინებისათვის, მაშინაც კი, თუ თვითონ იკისრეს ვალდებულება იმ პირის შემდეგ, რომელსაც სარჩელი უკვე წარედგინა.

ჩვეის მფლობელს სარჩელის წარდგენით შეუძლია მოითხოვოს განაღდება:

- ჩვეის გადაუხდელი თანხისა;
- სარგებლისა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით ჩვეის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან;
- ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია პროტესტთან ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებასთან, ასევე შეტყობინების გაგზავნასთან.

ჩვეის გადამხდელ პირს უფლება აქვს წინამორბედ ინდოსანტს მოსთხოვოს:

- მის მიერ განაღდებული ყველა თანხა;
- სარგებელი ექვსი პროცენტის ოდენობით ჩვეის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან;
- მის მიერ გაწეული ხარჯები.

ჩვეით ვალდებულ ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელი, ჩვეის განაღდების შემდეგ უფლება აქვს მოითხოვოს ჩვეის დაბრუნება პროტესტით, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებასთან ერთად და ხელწერილი ჩვეის შესახებ (ბათილობა). ნებისმიერ ინდოსანტს, ჩვეის განაღდების შემდეგ, უფლება აქვს ამოშალოს როგორც თავისი, ასევე მისი მომდევნო ინდოსანტების ინდოსამენტი.

თუ დაუძლეველი დაბრკოლების გამო (რომელიმე სახელმწიფოს კანონი, ან სტიქიური უბედურება) შეუძლებელი იყო დადგენილ ვადაში წარდგენილიყო ჩვეი, ან გაფორმებულიყო პროტესტი ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება, მაშინ დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს. ჩვეის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს თავის ინდოსანტს ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული დაბრკოლების შესახებ და აღნიშნოს იგი ჩვეში ან მის დანართში, მიუთითოს თარიღი და ხელი მოაწეროს. დაუძლეველი ძალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ჩვეის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს ჩვეი გასანაღდებლად და თუ საჭირო იქნება გააფორმოს პროტესტი ან განახორციელოს სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება თოთხმეტ დღეზე მეტხანს იმ დღიდან, როცა თვითონ ჩვეის მფლობელმა წარდგენის ვადის გასვლამდე აცნობა თავის ინდოსანტს ამ დაბრკოლების შესახებ, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მაშინაც, თუ პროტესტი ან თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმება არ იყო გაფორმებული. 5. დაუძლეველ ძალად არ ითვლება გარემოებები, რომლებიც ეხება პირადად ჩვეის მფლობელს ან იმ პირებს, რომლებსაც მან მიანდო ჩვეის წარდგენა, ან პროტესტის განცხადება, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმების განხორციელება.

მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ჩვეი, გარდა ჩვეისა "წარდგენაზე", რომლის გამოწერისა და განაღდების ადგილები სხვადასხვა ქვეყანაში ან სხვადასხვა კონტინენტზე, ანდა ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაგრამ სხვადასხვა კონტინენტზე მდებარეობენ, შეიძლება გამოიწეროს რამდენიმე ერთნაირ ეგზემპლარად. ამ

ეგზემპლიარზე უნდა დაისვას თანმიმდევრობით ნომერი თითოეული ჩეკის ტექსტში, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ეგზემპლიარი დამოუკიდებელ ჩეკად მიიჩნევა. ერთი ეგზემპლიარის განადგობა ძალას უკარგავს დანარჩენ ეგზემპლიარებს მაშინაც, როცა ასეთი დათქმა არ ყოფილა. თუ ინდოსანტმა ეგზემპლიარები გადასცა სხვადასხვა პირებს, ისიც და მომდევნო ინდოსანტებიც პასუხს აგებენ მათ მიერ ხელმოწერილი ყველა ეგზემპლიარისათვის, რომლებიც არ იყო დაბრუნებული.

ჩეკის ტექსტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამ ცვლილებების შეტანის შემდეგ ხელმოწერი პირები პასუხს აგებენ შეცვლილი ტექსტის შინაარსის შესაბამისად, ხოლო ის პირები, რომელთაც ხელი მოაწერეს ცვლილებების შეტანამდე, პასუხს აგებენ პირველადი ტექსტის შინაარსისათვის.

მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის ვადა ინდოსამენტის, ჩეკის გამომწერის და ჩეკით ვალდებულ სხვა პირთა მიმართ გასულად ითვლება წარდგენის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. სარჩელი ჩეკით ურთიერთვალდებულ პირთა შორის დაფარულად ითვლება ექვსი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა ვალდებულმა პირმა გაანაღდა ჩეკი, ან მის მიმართ სარჩელის წარდგენის დღიდან.

საკრედიტო დაწესებულება დამატებითი შეთანხმების გარეშე საანგარიშსწორებო ხელშეკრულებით მოვალეა ანგარიშის მფლობელის წინაშე მოახდინოს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი ჩეკების ინკასირება საკრედიტო დაწესებულებაში მათი დროულად წარდგენით, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში - მიიღოს უზრუნველყოფის საჭირო ზომები.

საბანკო კრედიტი

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს, ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი, ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. თუ შეთანხმებით გათვალისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა შეეძლო კრედიტის გამცემს, იგი ვალდებულია ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე; იგი ასევე მოვალეა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი. პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს, ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს. საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი. კრედიტის გამცემი მოვალეა მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ. თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება.

თუ კრედიტის გაცემისას შეთანხმებულია სანივთო ან პიროვნული უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტის გამცემს სესხის არასრულად დაფარვისას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება. კრედიტის გამცემი მოვალეა კრედიტის ამღების მოთხოვნით დააბრუნოს უზრუნველყოფა, რომელიც აღემატება დაფარვის შეთანხმებულ ფარგლებს.

თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდისათვის, მაშინ კრედიტის ამღებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო

ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს. თუ კრედიტის ამღები მომხმარებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით, მაშინ შეწყვეტის უფლება წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ. შეწყვეტის ვადა კი შეადგენს სამ თვეს. ათი წლის გასვლის შემდეგ შეწყვეტის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში. შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს. მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება. კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

ანაზარი

ფულადი თანხის შეტანით (ანაზარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი. ანაზარებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტები. ანაზარის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებული არიან შეანაზარეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ის პირი, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორმაციას, ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულია შეანაზარეს აუნაზღაუროს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი. ასევე აგებენ პასუხს სოლიდარულად ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. საკრედიტო დაწესებულება შემნახველი წიგნაკის გაცემისას უფლებამოსილია შეავსოს იგი მხოლოდ სახელობით (კონკრეტულ პირზე).

დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი⁴⁷ დოკუმენტალური ინკასო

დოკუმენტური აკრედიტივი

აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

⁴⁷ -[გერმ. Akkreditiv < ლათ. accredo ვენდობი] – 1. საკრედიტო დაწესებულების (ბანკის, შემნახველი სალაროს) მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ის ავალებს სხვა ასეთსავე დაწესებულებას მისცეს წარმომდგენს გარკვეული თანხა.

დოკუმენტური აკრედიტივები წარმოადგენენ საერთაშორისო ანგარიშსწორების ყველაზე უსაფრთხო და გარანტირებულ ფორმას. დოკუმენტური აკრედიტივი, რომელიც გამოიყენება ვაჭრობის გარიგებების ანგარიშსწორებისას, წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას, რომელიც კონტრაქტის საფუძველზე მის მიერ კლიენტის (იმპორტიორის) დავალებით კონტრაგენტის სასარგებლოდ (ექსპორტიორის) გაიცემა. ამრიგად, ბანკი გამყიდველებსა და მყიდველებს შორის შუამავლად გამოდის, რადგან მისი მეშვეობით შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ ხორციელდება გადასახადები.

რა უპირატესობა აქვს აკრედიტივს? დოკუმენტური აკრედიტივი არის ანგარიშსწორების ერთადერთი ფორმა, რომლის დროსაც უპირატესობა კონტრაქტში მონაწილე ორივე მხარეს ენიჭება, რადგან ვალდებულებები ორივე მხარეზე თანაბრად ნაწილდება.

აკრედიტივის ფაზები:

- პირველ ეტაპზე ხდება სავაჭრო კონტრაგენტების ერთმანეთთან დაკავშირება, როგორც წესი პოტენციური მყიდველი წარადგენს პოტენციურ გამყიდველთან გარკვეული სახის საქონლის თუ მომსახურების შეძენაზე ხელშეკრულებას, სადაც გადახდის პირობად მიეთითება ანგარიშსწორება დოკუმენტური აკრედიტივით;
- კონკრეტული პირობების განხილვის შემდეგ იდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება/კონტრაქტი;
- მყიდველი (აპლიკანტი) აწვდის ბანკს (ბანკი ემიტენტი) ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მუშავდება ბანკსა და გამყიდველს (ბენეფიციარს) შორის აკრედიტივის კონკრეტული პირობები;
- პირობების შეჯერების შემდეგ, მყიდველი (აპლიკანტი) ბანკში არსებული (განაცხადი/ხელშეკრულება) ფორმით ავალებს ბანკ ემიტენტს აკრედიტივის გახსნას გამყიდველის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ;
- ბანკი ემიტენტი უზღავნის აკრედიტივს გამყიდველის (ბენეფიციარის) ბანკს;
- გამყიდველის (ბენეფიციარის) ბანკი ამ უკანასკნელს გადასცემს (ავიზირებას უკეთებს) აკრედიტივს;
- გამყიდველი (ბენეფიციარი) აზღავნის საქონელს მყიდველთან (აპლიკანტთან);
- გამყიდველი (ბენეფიციარი) აკრედიტივით წინასწარ განსაზღვრულ დოკუმენტაციას წარადგენს გამყიდველის (ბენეფიციარის) ბანკში;
- შემსრულებელი ბანკი (შესაძლოა იყოს აპლიკანტის, ბენეფიციარის ან სხვა ბანკი) ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტაციას და აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, აწარმოებს გამყიდველისათვის (ბენეფიციარისათვის) თანხის გადახდას;
- შემსრულებელი ბანკი ინაზღაურებს გადახდილ თანხას აპლიკანტისგან (გამყიდველისგან) წინასწარდადგენილი პირობების საფუძველზე დოკუმენტაციის სანაცვლოდ;
- აპლიკანტი (გამყიდველი) მიღებული დოკუმენტაციით იღებს საქონელს აკრედიტივით განსაზღვრული პირისგან.

საინკასო დავალება

საინკასო დავალებით საინკასო ოპერაციაზე უფლებამოსილი საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას, კლიენტის (მარწმუნებლის) დავალებით გასცეს სავაჭრო ფასიანი ქაღალდები აქცეპტირების და/ან, აუცილებლობის შემთხვევაში, - გამამხდელის მიერ გადახდის სანაცვლოდ.

დოკუმენტური ინკასო წარმოადგენს ექსპორტიორის მიერ ბანკისათვის მიცემულ განკარგულებას მოახდინოს იმპორტიორისაგან გარკვეული თანხის ინკასირება კომერციული დოკუმენტების(რომელთაც შეიძლება თან ახლდეს ფინანსური დოკუმენტებიც) სანაცვლოდ.

დოკუმენტური ინკასო ძირითადად მიზანშეწონილია, როდესაც:

- იმპორტიორსა და ექსპორტიორს აქვთ ერთად მუშაობის გამოცდილება და ენდობიან ერთმანეთს;
- მყიდველის გადახდისუნარიანობა და გადახდის სურვილი არ არის საეჭვო;
- იმპორტიორი მხარის ქვეყანაში არის სტაბილური პოლიტიკური, ლეგალური და ეკონომიკური გარემო;
- არ არსებობს იმპორტის აკრძალვები იმპორტიორი მხარის ქვეყანაში და ყველა საჭირო ლიცენზია უკვე არსებობს.

უპირატესობები:

- ექსპორტიორს აქვს საშუალება შეინარჩუნოს კონტროლი გადამხდელის მიერ გადახდის, ან თამასუქის მიღებამდე;
- ოპერაციის შესრულება მარტივი და იაფია;
- გადახდა ხშირად უფრო სწრაფად სრულდება ვიდრე ღია ანგარიშის შემთხვევაში.

დოკუმენტური ინკასოს შედარება აკრედიტივთან- დოკუმენტური ინკასოს შემთხვევაში, თანხა ერიცხება პრინციპალს (ექსპორტიორს) მხოლოდ და მხოლოდ ტრასატისგან (იმპორტიორისგან) ანაზღაურების მიღების შემდეგ. როდესაც ბანკი ანხორციელებს დოკუმენტური ინკასოს ოპერაციას, იგი თანახმაა შეასრულოს გამყიდველის საინკასო დავალების ინსტრუქციები, მაგრამ არ იღებს თავის თავზე გადახდის ვალდებულებას. **აკრედიტივის შემთხვევაში**, კი დამმოწმებელი ბანკი, ან აკრედიტივის გამცემი ბანკი ვალდებულია გადახდაზე იმ პირობით თუ ბენეფიციარი სრულად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული აკრედიტივის პირობების შესრულებას.

მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის, ან დოკუმენტალური ინკასოს დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით.

საბანკო გარანტია

საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის⁴⁸ კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, კლიენტის მიერ სესხის დროულად არგადახდის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას თვითონ იკისროს მისი გადახდა. გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კრედიტორის წინაშე მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს, კრედიტორს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე დაკისრებულ ვალდებულებაზე. კლასიკური რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას, რომელსაც *receptum argentarii* ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის. ამ შეთანხმების მიხედვით ბანკირი (*argentarii*) არ ხდებოდა მესამე პირის მოვალე: მესამე პირი რჩებოდა მხოლოდ ბანკირის კლიენტის კრედიტორად. თუ მოვალეს არ გააჩნდა სახსრები გადახდისათვის, მაშინ იგი სთავაზობდა თავისი ბანკირის მომსახურებას, რომელთანაც მოვალეს ჰქონდა შეთანხმება დადებული. თუ ბანკირი უარს ამბობდა გადახდაზე, კლიენტი ლეზულობდა სასარჩელო დაცვას (*actio receptia*). აქტის ეს ფორმა შესაძლებელია ჩაითვალოს საბანკო გარანტიის ისტორიულ წინამორბედად.

საბანკო გარანტია (მისი უშუალო მიზნიდან გამომდინარე) შესაძლებელია პირობითად რამოდენიმე სხვადასხვა სახედ დაიყოს:

წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო) გარანტია - იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, მან უნდა წარადგინოს წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, რომელიც გულისხმობს შემდეგს: აღნიშნული საბანკო გარანტიით ტენდერში მონაწილის მომსახურე ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ მონაწილემ დაარღვია კონკურსის პირობები, კერძოდ:

- უკან გაიწვია თავისი წინადადება მისი მოქმედების ვადის პერიოდის განმავლობაში, რომელიც მონაწილის მიერ აღნიშნულია განაცხადის ფორმაში;
- წინადადების მოქმედების ვადის პერიოდში, დამკვეთის მიერ წინადადების მიღების შესახებ შეტყობინების მიღებისას, უარი თქვა ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ან ვერ/არ წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების გარანტია და საავანსო საბანკო გარანტია.

საავანსო საბანკო გარანტია - აღნიშნული საბანკო გარანტიით ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ პრინციპალმა არამიზნობრივად გახარჯა კონტრაქტორის მიერ ჩარიცხული საავანსო თანხა.

⁴⁸ პირი, რომელიც ბენეფიციარიეს მოვალეა (ძირითადი ვალდებულების მიხედვით) და სთხოვს ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას, დაუდგეს ვალდებულების შესრულების გარანტია.

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - აღნიშნული საბანკო გარანტიით ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ პრინციპალი დაარღვევს კონტრაქტის პირობებს.

წინასწარი გადახდის გარანტია (გარანტია გადახდაზე) - გაიცემა თანხის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევისთვის, თუ არ მოხდა კონტრაქტით შეთანხმებული მიწოდება.

ხარისხის გარანტია (გარანტია ხარისხზე) - ასეთი ტიპის გარანტია გაიცემა კომპანიისთვის მიწოდებული პროდუქციისა და მომსახურების უხარისხობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

კონტრ-გარანტია - გაიცემა ერთი ბანკის მიერ მეორე ბანკის საგარანტიო წერილის საფუძველზე.

საკონკურსო (სააუქციონო) წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში. საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს.

საბაჟო გარანტიები

საბაჟო დამუშავების საბანკო გარანტია - გაიცემა იმპორტიორზე და წარედგინება საბაჟო ორგანოს, იმ პირობის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, დამუშავების შემდგომ, აუცილებლად იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი.

საბაჟო რეექსპორტის საბანკო გარანტია - გაიცემა იმპორტიორზე და წარედგინება საბაჟო ორგანოს, იმ პირობის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, ყოველგვარი გადამუშავების გარეშე, იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი.

საბაჟო ტრანზიტის საბანკო გარანტია - გაიცემა იმპორტიორზე და წარედგინება საბაჟო ორგანოს, იმ პირობის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი.

საბაჟო საწყობის საბანკო გარანტია - ასეთი ტიპის გარანტია წარედგინება ფინანსთა სამინისტროს, საბაჟო საწყობის საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად.

საბაჟო ვალდებულების შესრულების საბანკო გარანტია - 2009 წლის 01 აპრილიდან, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, წარმომადგენელი შეიძლება იყოს პირი, რომლის პასუხისმგებლობაც საბაჟო ორგანოს წინაშე უზრუნველყოფილია საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული 50000 ლარიანი საბანკო გარანტიით.

როგორც აღინიშნა, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას. საბანკო გარანტიის მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს.

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს.

გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმოწერა მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია.

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;
- ბენეფიციარის მიერ. გარანტიიდან გამომდინარე. თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის თაობაზე პრინციპალს. გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ, ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავდებობა

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის.

თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. თუ ვინმე თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი. თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება.

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

თუ ერთი და იმავე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ. თავდები, რომელმაც კრედიტორის წინაშე ივალდებულა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ისევე აგებს პასუხს მათთან ერთად, როგორც, ჩვეულებრივ, - თავდები ძირითად მოვალესთან ერთად.

თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, თავდები პასუხს აგებს აღნიშნული ზღვრული თანხის ოდენობამდე:

- ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის, კერძოდ მაშინაც, როცა ძირითადი ვალი შეიცვალა ძირითადი მოვალის ბრალის, ან გადახდის ვადის გადაცილების გამო. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული;
- ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს ძირითადი მოვალის მიერ, თუკი თავდებს ჰქონდა შესაძლებლობა კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა იგი;
- ძირითადი მოვალის მიერ ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი პროცენტებისათვის, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული.

თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადმა მოვალემ უარი თქვა მასზე.

თავდება შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას.

თუ კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს საგირავნო უფლებებს, ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით. თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ. თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.

მნიშვნელოვანია, რომ თუ თავდებობა უვადოა, თავდები ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა. ვადიანი თავდებობისას ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამთვიანი ვადის დაცვით. ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში თავდები მოვალეა შეასრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი.

იმ შემთხვევაში, თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად თავდებობის გამო მიენიჭება რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება, თუ:

- ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;
- თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითადი მოვალისაგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;
- კრედიტორს თავდების წინააღმდეგ აქვს შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.

თუ ძირითადი ვალდებულებების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეს შეუძლია გათავისუფლების ნაცვლად მისცეს თავდებს უზრუნველყოფა. მაშინ, როდესაც თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხელუხლებელი რჩება.

ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ვალდებულება

თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას ჰპირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. გაცემულ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს სპეციალური ფორმის დაცვაზე, რომლის შესახებაც მიეთითება დოკუმენტში. ხელმოწერა შეიძლება შესრულდეს ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით.

დოკუმენტის გამომშვებს (ემიტენტს) შეუძლია ფასიანი ქაღალდის⁴⁹ მფლობელს წარუდგინოს მხოლოდ ისეთი შესაგებლები, რომლებიც ეხება გაფორმების ნამდვილობას, თვით დოკუმენტს, ან ემიტენტს აქვს უშუალოდ მფლობელის მიმართ. დოკუმენტში მოცემული უფლება გადადის მოძრავი ნივთის გადაცემისათვის დადგენილი წესების მიხედვით. იგი შეიძლება გადაიცეს ასევე მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით. მართლზომიერ მფლობელად ჩაითვლება პირი, რომელიც შეიძენს რაიმე გზით დაკარგულ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი დოკუმენტის შექმნისას მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

ემიტენტის უფლებები:

- ემიტენტს შეუძლია შეედავოს ნებისმიერ მფლობელს, რომ ფასიანი ქაღალდი მას არ გაუცია. გარდა ამისა, მას შეუძლია წაუყენოს მფლობელს ნებისმიერი შესაგებელი, რომელიც დოკუმენტიდან გამომდინარეობს.
- თუ ემიტენტი დოკუმენტის ხელმოსაწერად იყენებს ტექნიკურ საშუალებას, მას არ შეუძლია მფლობელთან თავი იმართლოს იმით, რომ არ ჰქონდა ამ საშუალების გამოყენების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემქმნმა იცოდა გაყალბების შესახებ, ან მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით.
- თუ დოკუმენტი მფლობელს საკუთრებაში გადაეცა, ემიტენტს არ შეუძლია, დაუპირისპიროს მას შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს ადრინდელ მფლობელთან მისი უშუალო ურთიერთობებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემდგომი მფლობელი დოკუმენტის შექმნისას შეგნებულად მოქმედებდა ემიტენტის საზიანოდ.
- თუ შესაგებელი არ გამომდინარეობს უშუალო ურთიერთობებიდან, იგი შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ მფლობელს, რომელმაც დოკუმენტზე საკუთრება მოიპოვა გასხვისების გზით და მისი შექმნისას მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

⁴⁹ მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება როგორც ფასიანი ქაღალდები: ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან ფინანსირებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლების გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი საჯარო მიმოქცევა; ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ენუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირის მიერ; გ) ჩეკები (რეგულირდება საქართველოს კანონით „ჩეკების შესახებ“); დ) კომისიის წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირებაც შესაბამისად ხორციელდება ამ ან სხვა კანონებით.

ემიტენტის მოვალეობა

- ემიტენტი მოვალეა შეასრულოს თავისი ვალდებულება მხოლოდ მაშინ, თუ მას გადასცემენ ფასიან ქაღალდს.
- მოვალე, რომელიც ასრულებს ვალდებულებებს დოკუმენტის მფლობელის წინაშე, თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ ის არ მოქმედებდა განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით, და შესაძლებლობა აქვს დაამტკიცოს მფლობელის არაკეთილსინდისიერება.
- მოვალე, რომელიც განთავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან დოკუმენტის მფლობელის წინაშე, იძენს საკუთრებას მისთვის ჩაბარებულ დოკუმენტზე.

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადაფორმება განსაზღვრული პირის სახელზე შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ემიტენტმა. ამასთან, ემიტენტი არ არის ვალდებული გადააფორმოს საწარმდგენლო (წარმომდგენზე) ფასიანი ქაღალდი. მიმოქცევისათვის უვარგისი ფასიანი ქაღალდის გამოცვლა თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანების გამო აღარ არის ვარგისი მიმოქცევისათვის, მაშინ მფლობელს შეუძლია, თუ დოკუმენტის შინაარსისა და არსებითი განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა ჯერ კიდევ შესაძლებელია, მოითხოვოს ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანებული დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ. ამასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გასწიოს მფლობელმა და თანხა გადაიხადოს წინასწარ.

დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდი შეიძლება სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადოს, თუ დოკუმენტი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ემიტენტი ვალდებულია ადრინდელ მფლობელს მოთხოვნისამებრ მიაწოდოს ცნობები, რომლებიც აუცილებელია სასამართლოში ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების საქმის განხილვისა და გადახდის აკრძალვისათვის; ასევე ვალდებულია გასცეს შესაბამისი მოწმობა. მოწმობის გაცემის ხარჯებს წინასწარ იხდის ადრინდელი მფლობელი.

პირს, რომელმაც მიაღწია საწარმდგენლო სავალო ვალდებულებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელების მიუხედავად, შეუძლია მოსთხოვოს ემიტენტს ძალადაკარგულის სანაცვლოდ ახალი საწარმდგენლო დოკუმენტის გაცემა. მანვე წინასწარ უნდა აანაზღაუროს გაცემის ხარჯები. ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომიდან.

საორდერო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ვალდებულება

სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს, შეიძლება გაიცეს საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით. ხელმოწერა შეიძლება ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით. დოკუმენტში მოცემული უფლება შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტითა და დოკუმენტის გადაცემით. ინდოსამენტი კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე. დაშვებულია ტექნიკური საშუალების გამოყენება. ინდოსამენტი არ საჭიროებს ინდოსატარის აღნიშვნას და შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ხელმოწერისაგან (ბლანკეტური ინდოსამენტი). ბლანკეტური ინდოსამენტი შეიძლება შეავსოს უფლებამოსილმა მფლობელმა თავისი ან სხვისი სახელით, გასცეს დოკუმენტი შეუვსებლად, ანდა თავად მოახდინოს მისი შემდგომი ინდოსირება განსაზღვრულ პირზე.

თანამიმდევრული ინდოსამენტების მეშვეობით დადასტურებული საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია ხელმოწერილი დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს გადახდა დაპირების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლებამოსილება არა აქვს. გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის, რომელმაც თავისი უფლება დაადასტურა თანამიმდევრული ინდოსამენტების მეშვეობით, ათავისუფლებს მოვალეს, თუ იგი არ მოქმედებდა განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით. მოვალე, რომელმაც შეასრულა თავისი მოვალეობა ინდოსატარის წინაშე, ხდება მისთვის გადაცემული დოკუმენტის მესაკუთრე.

თუ საორდერო ფასიანი ქაღალდებში წერილობით არის გარანტირებული არა მარტო მცირე ღირებულების მოთხოვნები, შესაბამისად გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტის შემცველი დოკუმენტის გაცემისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წესები. საორდერო სავალო დოკუმენტებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტების მიმართ მოქმედი წესები.

პირადი ფასიანი ქაღალდები

განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დოკუმენტში მოცემული უფლება გადაიცემა ამ უფლებისათვის დადგენილი წესების მიხედვით. თუ დოკუმენტი დაკარგული ან განადგურებულია, მაშინ იგი განსაკუთრებული წარმოების გზით ძალადაკარგულად გამოცხადდება, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს წესი არ მოქმედებს მცირე ღირებულების მქონე დოკუმენტების დაკარგვისას.

თუ განსაზღვრულ სახელზე გამოწერილი დოკუმენტი შეიცავს მითითებას, რომ დაპირებული გადახდა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ წარმომდგენზე, მაშინ ნებისმიერი გარიგება მოვალესა და დოკუმენტის მფლობელს შორის, მათ შორის, გადახდაც, ნამდვილია, თუკი მოვალე არ მოქმედებდა განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

საზიარო უფლებები

თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თავისი წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი. თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. საზიარო საგანს მონაწილენი ერთობლივად მართავენ. თითოეულ მოწილეს უფლება აქვს საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე.

ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილთა მიხედვით. თითოეულ მოწილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მოწესრიგებული. ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება.

თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ ეს წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც. თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, რომ წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენ მოწილეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება. თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია თავისი წილის თანაზომიერად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები.

თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია სამუდამოდ, ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსადები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვილი. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხება, ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ.

თუ მოწილეებს რაიმე ვადით გამორიცხული აქვთ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მაშინ შეთანხმება ძალას კარგავს მოწილის გარდაცვალებით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის, ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უმრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის. თუ საგანი არ გაიყიდება, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი აუქციონი; ამასთან, მან უნდა გაიღოს ხარჯები, თუ განმეორებითი ცდა

უშედეგოდ დამთავრდა.

თუ მოწილეს სხვა მოწილის მიმართ აქვს მოთხოვნა, რომელიც ემყარება საზიარო უფლებას, მაშინ ამ უფლების გაუქმებისას მას შეუძლია მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაფარვა საზიარო ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც მოვალეს ერგება. მოწილეთა პასუხისმგებლობა საზიარო უფლების გაუქმებისას თუ საზიარო უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მოწილეს, მაშინ თითოეული დარჩენილი მოწილე თავისი წილის შესაბამისად აგებს პასუხს ისე, როგორც გამყიდველი - ნივთის ან უფლების ნაკლის გამო. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძველის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. თუ საქმეების შესრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ემუქრება მეპატრონეს, შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.

შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ. შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. მნიშვნელოვანია, რომ ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს.

უსაფუძვლო გამდიდრება

პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:

- ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;
- ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

- შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან
- გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ან
- მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა,

პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

- მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა, ან
- გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი.

პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების, ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე.

უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების, ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძველების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.

თუ მიმღებმა გასწია ხარჯები, ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

იმ შემთხვევაში, როდესაც თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძველის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების, ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა ანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. მიმღებს შეუძლია მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია შესრულების საგანთან დაკავშირებით. აუცილებლობის გარდა, სხვა ხარჯები არ ანაზღაურდება. ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს წესები არ ვრცელდება.

პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. თუ ხელმყოფმა არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, გარდა უხეში გაუფრთხილებლობისა, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები. ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.

თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით. პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს. მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

- პირს, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს მას, ან
- პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალეულად დააყოვნა შეტყობინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ანდა
- პირმა, რომელსაც წაეყენება პრეტენზია, სადავო გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე.

პირს, რომელიც ზემოხსენებულ შემთხვევაში რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ. პირს, რომელიც ახალ ვითომ-კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ თავდაპირველ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ.

მაშინ, როდესაც ზემოგათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძველის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს. პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც

გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

დელიქტური ვალდებულებანი

ზოგადი დებულებანი

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი, ეს არის დელიქტური ვალდებულებების ამოსავალი წერტილი და მისი შინაარსობრივი დატვირთვა.

პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან აანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება, ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

თუ ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენებს ზიანს სხვა პირს, მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება.

მნიშვნელოვანია, რომ დროებით უგონო, ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის, ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის გარეშე აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში.

პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა:

- ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს;
- ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი.

ზემოხსენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება ასევე როდესაც ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაში ან აფეთქებასაში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაში ან აფეთქებასაში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან, ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძველით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. ზემოხსენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიწოდებული მოწყობილობების დაზიანებებით. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა.

ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ეხება პირისათვის მიყენებულ ზიანს, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. იგივე წესი გამოიყენება ნივთისათვის მიყენებული ზიანის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა შეთანხმებული იყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯარო-სამართლებრივ ფონდს ან საწარმოს შორის. ამის საწინააღმდეგო შეთანხმებები და დებულებები ბათილია.

მნიშვნელოვანია, რომ ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.

შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის, ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის

გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაადგილებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით.

თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, ან გაუსვლელი ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

საყურადღებოა, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის, ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის

უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელმწიფო ურთიერთობაში დაზარალებულთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ;
- საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;
- მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;
- პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს, ანდა
- შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით,

რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს.

პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება, ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის, ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.

რას ნიშნავს უხარისხო პროდუქტი? პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. პროდუქტი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

პროდუქტის ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, - მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი, ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე - ელექტროდენი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ.

მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად ითვლება ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის, ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით. თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში დაზარალებულს წარუდგენს მწარმოებლის პიროვნებას ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წესი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. თუ ერთი და იმავე ზიანისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით, ან სხეულის, ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოთხოვნა ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა.

მწარმოებლის პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს. საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალურ საქმიანობის შედეგად წარმოიშობა. ეს უფლებები არ ეხება უშუალოდ მატერიალურ ობიექტებს, რომლებშიც განსახიერებულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი (მაგალითად, მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია გამოგონების საფუძველზე, ან წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ლიტერატურული ნაწარმოები), და ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე, როგორც ასეთზე. რამდენადაც, თავისი არსით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას (რომელიც გამოხატულია იდეის ან ფორმის სახით, შეუძლებელია მათ გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და განხორციელება საკუთრების მატერიალური ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. ამიტომ, მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში (პირველი აქტები XV საუკუნეში ვენეციაში მიიღეს), საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობების უმრავლესობა არ იძლევა "ინტელექტუალური საკუთრების" რაიმე ფორმალურ დეფინიციას.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, რომელიც მიიღეს სტოკჰოლმში 1967 წლის 17 ივლისს (მუხლი 2[VIII]), "ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ეხება:

- (1) ლიტერატურის, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაწარმოებებს;
- (2) მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებსა და საეთერო მაუწყებლობის პროგრამებს;
- (3) გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;
- (4) მეცნიერულ აღმოჩენებს;
- (5) სამრეწველო ნიმუშებს;
- (6) სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს;
- (7) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების სფეროებში".

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს. კერძოდ, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებია: გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, ინტეგრალური მიკროსქემები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაც წარმოადგენს.

საავტორო უფლება მოიცავს სამეცნიერო ნაშრომებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორცაა, რომანები, ლექსები, პიესები, ფილმები, მუსიკა, ნახატები, ფერწერული ტილოები, ფოტოსურათები, ქანდაკებები, არქიტექტურული პროექტები და სხვ. საავტორო უფლებით დაცვას ექვემდებარება, აგრეთვე, გონებრივი შრომის პროდუქტი, როგორცაა, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონულ მონაცემთა ბაზები.

საავტორო უფლებასთან დაკავშირებული უფლებებია ის უფლებები, რომლებიც გააჩნიათ შემსრულებლებს საკუთარ შესრულებებზე, ფონოგრამების დამამზადებლებსა და სამაუწყებლო კომპანიებს - მათ რადიო და ტელეგადაცემების პროგრამებზე.

მეცნიერული აღმოჩენები ინტელექტუალური საკუთრების ამ ორი სფეროდან არც ერთს არ მიეკუთვნება. არსებობს აზრი, რომ მეცნიერული აღმოჩენები საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს ინტელექტუალური საკუთრების ფორმათა შორის, ვინაიდან არც ერთი ეროვნული კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება არ ანიჭებს მეცნიერულ აღმოჩენებზე საკუთრების უფლებას, თუმცა, რა თქმა უნდა, საყოველთაოდაა მიჩნეული, რომ მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც, ისმო-ს განმარტებით, არის ბუნების იმ მოვლენების, თვისებების ან კანონების შეცნობა და აღიარება, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება და პიონერული გამოგონებების შექმნა.

რა არის ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების არსი?

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

რატომ სჭირდება ინტელექტუალურ საკუთრებას ხელშეწყობა და დაცვა?

არსებობს რამდენიმე უტყუარი არგუმენტი:

- კაცობრიობის პროგრესი და კეთილდღეობა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მრეწველობაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და კულტურის სფეროში განხორციელებულ შემოქმედებით სიახლეებთან;
- გონებრივ შრომით პროდუქციაზე უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემის შექმნა ხელს უწყობს დამატებითი რესურსების გამოვლენას და სტიმულს აძლევს შემდგომ ინოვაციებს;
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა აჩქარებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ქმნის მრეწველობის ახალ დარგებსა და სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების პირობების ხარისხსა და დონეს.

რა შეიძლება ითქვას ინტელექტუალური საკუთრების დაცვით მიღებული სარგებლის შესახებ?

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე წამლების თითქმის ორი მესამედი არ შეიქმნებოდა საპატენტო დაცვის გარანტიის გარეშე, რამაც შესაძლებელი გახადა შემოსავლის მიღება კვლევების დასაფინანსებლად; მრავალი მილიარდი დოლარის ღირებულების ფილმები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, მრავალფეროვანი პუბლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები და სხვ., რაც სიამოვნებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, არ იარსებებდა მათი საავტორო უფლებით დაცვის გარეშე; მომხმარებელს არ ექნებოდა საშუალება გაბედულად ეყიდა ნაწარმი, ან

მიეღო მისთვის სასურველი მომსახურება სასაქონლო ნიშანზე უფლებების საიმედო დაცვისა და ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფის გარეშე, რაც კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნის საფუძველია.

საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა (6 ძირითადი კანონი) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიღებულ იქნა 1999 წელს, საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით. 2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონებში "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", "სასაქონლო ნიშნების შესახებ" და "ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ". აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიღება განპირობებული იყო მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაციის აუცილებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ე.წ. "ინტერნეტ შეთანხმებები" "საავტორო უფლებების შესახებ" (WCT) და "შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ" (WPPT), რომის კონვენცია "შესრულებების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის შესახებ") საქართველოს მიერ თების გამო ნაკისრი ახალი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. კერძოდ, ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევათა სახეების სრული ჩამონათვალი (მათ შორის ინტერნეტი) და გამკაცრდა სანქციები.

2007 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორი ახალი კანონი "მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" და "ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", რითაც გაუქმებულ იქნა ადრე მოქმედი კანონი "სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ".

საქართველოს საპატენტო კანონი

საქართველოს საპატენტო კანონი ერთდროულად მოიცავს სამრეწველო საკუთრების სამ ობიექტს – გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს. იგი აწესრიგებს აღნიშნული ობიექტების შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. კანონის მიხედვით გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება, სასარგებლო მოდელი, ან სამრეწველო ნიმუში. ავტორობა უვადოდ დაცული განუსხვისებელი უფლებაა. პატენტის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს. კანონის თანახმად, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული...". ამით გამოგონებელს, ან სამრეწველო ნიმუშის ავტორს აქვს შესაძლებლობა სამუშაოს მიმცემთან ხელშეკრულების გაფორმებისას წამოაყენოს თავისი პირობები და შესაბამისი ობიექტის შექმნისას გახდეს მიღებული მოგების მოწილე, ან უფრო მეტიც, პატენტის თანამფლობელი. პატენტის კლასიკური გაგების თანახმად პატენტმფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება პატენტით დაცულ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე. საპატენტო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე კანონი არ იძლევა

გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განმარტებას. მასში მხოლოდ მოყვანილია პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ობიექტები, რათა ისინი მიჩნეულ იქნეს გამოგონებად ან სასარგებლო მოდელებად. გამოგონების კრიტერიუმებია: სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. სიახლის ცნება დაკავშირებულია ტექნიკის დონესთან. კერძოდ, კანონით დადგენილია, რომ გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით. თავის მხრივ, ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის საყოველთაოდაა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით. კანონი ადგენს გამონაკლისს ტექნიკის არსებული დონით ცნობილი ისეთი ნივთიერებებისა და ნარეგებისათვის, რომლებიც გამოიყენებიან აქამდე უცნობი დანიშნულებით. ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისთვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.

გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების, ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში. გამოგონებისაგან განსხვავებით სასარგებლო მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. კანონის მიხედვით პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

სასარგებლო მოდელი იგივე გამოგონებაა, რომელსაც არ წაეყენება საგამომგონებლო დონისადმი მოთხოვნები. ამდენად, ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, მაგრამ აქვთ უნარი ახლებურად გადაწყვიტონ პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები და, როგორც შედეგი, დაინტერესებულნი არიან მისი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფით.

ამასთან, როგორც საერთაშორისო და საკუთარი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასარგებლო მოდელები ძირითადად მოიცავენ დარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფართო მოხმარების საგნების წარმოებასთან, რითაც ამჟამად ყველაზე უფროა დაინტერესებული საქართველოს ბაზარი და ეკონომიკა. კანონი ითვალისწინებს შემოტანილი პატენტის გაცემას უცხოეთის პატენტის მფლობელზე.

კანონის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ევროპის საპატენტო კონვენციის მოთხოვნებთან, გამოგონებად და სასარგებლო მოდელებად არ მიიჩნევა:

- აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- მხატვრული კონსტრუქციების შედეგი;
- ალგორითმები და პროგრამები გამოთვლითი ტექნიკისათვის;
- აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების ხერხები.
- მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
- ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების, პროექტი და სქემა;
- ინფორმაციის წარდგენა.
-

კანონი ადგენს აგრეთვე რიგ ფაქტორებს და სფეროებს, როცა პატენტი არ გაიცემა.

პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელებზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც იწვევს არაჰუმანურ, ამორალურსა და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას.

პატენტი ასევე არ გაიცემა ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულსა და დიაგნოსტიკურ ხერხებზე. ეს აკრძალავს არ ვრცელდება აღნიშნულ ხერხებში გამოყენებულ მოწყობილობებსა და ნივთიერებებზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი მოქმედებს უცხოეთის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში. პატენტით დაცვას არ ექვემდებარება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, აგრეთვე მათი გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიური ხერხები.

ასეთი ობიექტების სამართლებრივი დაცვა საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში, ხორციელდება სპეციალური კანონებით. ამასთან ერთად, საპატენტო კანონის შესაბამისად პატენტი გაიცემა მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე. ეს სფერო სხვასთან ერთად მოიცავს მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს. კანონი არ ითვალისწინებს საიდუმლო გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის გაცემას. პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ მათი განსაიდუმლოების შემდეგ. ამ ნორმის შემოღება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ობიექტის საიდუმლოებიდან გამომდინარე პატენტის მფლობელის ძირითადი უფლება – თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს გამოგონება, პრაქტიკულად დაუშვებელია.

რაც შეეხება სახელმწიფოსა და განმცხადებლის ურთიერთობებს და მათ შორის ფულადი კომპენსაციის საკითხს, გამოგონების განსაიდუმლოებამდე იგი წესრიგდება სპეციალური ნორმატიული აქტით.

სამრეწველო ნიმუშების შემთხვევაში პატენტი არ გაიცემა:

- შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგან სახეზე, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;
- სხვადასხვა სახის არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებზე;
- ნაკეთობებზე, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია არსებითი ნიშნების მხოლოდ ტექნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით.
- უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციაზე.

პატენტის გაცემის საფუძველს წარმოადგენს ექსპერტიზა. გამოგონებაზე ექსპერტიზა ტარდება სიახლეზე და განმცხადებელს ანალიზისათვის ეგზავნება დოკუმენტური დასკვნა ტექნიკის დონის თაობაზე. რაც შეეხება საგამომგონებლო დონეს, მისი შეფასება ხდება "საქპატენტის" სააპელაციო პალატის, ან სასამართლოს მიერ მხოლოდ მოდავე მხარის არსებობის შემთხვევაში.

სასარგებლო მოდელების შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება ლოკალურ სიახლეზე, ანუ საქართველოში გაცემული პატენტებისა და "საქპატენტში" განსახილველად შემოსული განაცხადების შესწავლის საფუძველზე.

სამრეწველო ნიმუშზე პატენტი გაიცემა, მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე. საკუთრების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, საპატენტო უფლებები შემოსაზღვრულია ტერიტორიითა და დროით. კერძოდ, საქართველოს პატენტი იცავს პატენტმფლობელის განსაკუთრებულ უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დაცვის ხანგრძლივობა შეადგენს გამოგონებისათვის – 20 წელს, სასარგებლო მოდელებისათვის – 8-ს, ხოლო სამრეწველო ნიმუშისათვის – 15 წელს.

კანონი იმავდროულად ითვალისწინებს, გარკვეულ პირობებში პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას. კერძოდ, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა პატენტმფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება, ან სხვაგვარად გამოყენება.

დაიშვება სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენება კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს. შესაძლებელია მათი გამოყენება, აგრეთვე,

უცხოეთის ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას, თუ ისინი გამოიყენება საკუთარი საჭიროებისა და არა მეწარმეობისათვის. დასაშვებია აგრეთვე ამ ობიექტების უნებართვო გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფების, ეპიდემიისა და საგანგებო ვითარების დროს. თუ რომელიმე პირი, განმცხადებლის მიერ პატენტზე განაცხადის შეტანამდე კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით, სასარგებლო მოდელით ან სამრეწველო ნიმუშით, ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად.

პატენტმფლობელს შეუძლია გაყიდოს, ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, დადგენილი წესით გასცეს ლიცენზია. ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული. მარტივი ლიცენზია ლიცენზიარს უტოვებს პატენტიდან გამომდინარე ყველა უფლებას. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში კი პატენტმფლობელს ეკრძალება იგივე პირობებით სხვა ლიცენზიების გაცემის უფლება. პატენტი უქმდება იმ შემთხვევებში, თუ პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი, ან არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს იმ სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება, პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზედაც საპატენტო კანონის თანახმად პატენტი არ გაიცემა, პატენტის საგანი სცილდება განაცხადის შინაარსის ფარგლებს. პატენტის მოქმედება წყდება დადგენილი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ან პატენტის მფლობელის სურვილის საფუძველზე. საპატენტო კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პატენტმფლობელისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსება სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენების დროს.

სწორედ ამიტომ, კანონში გათვალისწინებულია ე. წ. იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი, კერძოდ, თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი პატენტის გაცემის დღიდან 4 წლის განმავლობაში არ გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე თუ შეუძლებელი იყო მათი გამოყენება უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე, სახელმწიფოს ეძლევა უფლება (ადმინისტრაციული აქტის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) აიძულოს პატენტმფლობელი გასცეს ლიცენზია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის გამოყენებაზე, შესაბამისი ანაზღაურებით. თუ დასაბუთებულ იქნა ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა, სახელმწიფოს მიერ შეიძლება გაიცეს ოფიციალური ლიცენზია ოთხწლიანი ვადის გასვლამდეც.

კანონი მოიცავს საპატენტო კოოპერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებს. საქართველოს მოქალაქეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) უფლება აქვს შეიტანოს "საქპატენტში" საერთაშორისო განაცხადი. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთი განაცხადის შეტანა "საქპატენტში," იურიდიულად ტოლფასია შეთანხმების მონაწილე ქვეყნების საპატენტო უწყებებში განაცხადის შეტანისა. იმის გათვალისწინებით, რომ ამას თან სდევს გამოგონების საერთაშორისო ექსპერტიზა მსოფლიოს წამყვან საპატენტო ცენტრებში გაცილებით მარტივდება უცხოეთის ქვეყნებში პატენტის მიღების პროცედურა.

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის თანახმად – "სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან."

ამდენად, სასაქონლო ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნას – იყოს განმასხვავებელუნარიანი საქონლის მიმართ და შესაძლებელი იყოს მისი გრაფიკული გამოსახვა.

კანონის თანახმად სასაქონლო ნიშნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

საქართველოში სასაქონლო ნიშნის დაცვის საფუძველს წარმოადგენს "საქპატენტში" ან საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით მისი რეგისტრაცია. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6^{bis} მუხლის შესაბამისად.

კანონი ადგენს რიგ შეზღუდვებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად ისეთი სიმბოლოს, ან სიმბოლოთა ერთობლიობის რეგისტრაცია, რომელიც:

- ატარებს მოცემული საქონლისადმი აღწერილობით ხასიათს, კერძოდ, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე, თვისებებზე, გეოგრაფიულ წარმოშობასა და სხვა; გამოიყენება როგორც საქონლის გვარეობითი ცნება ან წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს (ეს აკრძალვები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა სასაქონლო ნიშანი სამოქალაქო ბრუნვაში მისი გამოყენების საფუძველზე, რეგისტრაციის მომენტისათვის იძენს განმანსხვავებელუნარიანობას მოცემული საქონლისათვის).
- შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;
- მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის შესახებ.

ასევე დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საერთაშორისო და სახელმწიფო სიმბოლიკის, ოფიციალური დამღების, ნიშნების, ბეჭდების, ორდენებისა და სხვათა რეგისტრაცია.

სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, ადრე წარმოშობილი უფლებები, კერძოდ, ადრე რეგისტრირებული იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნები, საქართველოში დაცული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, სამრეწველო ნიმუშები.

დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საქართველოში ცნობილი (ან ისტორიული) პიროვნების სახელის, ფსევდონიმის, ფაქსიმილეს, პორტრეტის რეგისტრაცია შესაბამისი თანხმობის ან ნებართვის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება "საქპატენტის" მიერ ჩატარებული ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე.

კანონი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ითვალისწინებს მისი გამოსახულებისა და შესაბამისი მონაცემების სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას. რეგისტრაცია ხდება მხოლოდ გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში "საქპატენტის" სააპელაციო პალატაში არ შევა საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე.

რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. კანონი ადგენს განსაკუთრებული უფლებების მოქმედების რიგ კონკრეტულ პირობებსა და ფარგლებს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად.

დასაშვებია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების ნაწილობრივ, ან მთლიანად გადაცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. ეს გადაცემა შეიძლება მოხდეს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

კანონის თანახმად სასაქონლო ნიშანზე უფლებების დაკარგვა ხდება ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების, ან ბათილად ცნობის შედეგად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს - რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მფლობელის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის გვარეობით ცნებად გადაქცევისა და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად თუკი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების მოთხოვნათა დარღვევით.

2005 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელი გახდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, თუ მისი რეგისტრაცია განხორციელდა არაკეთილსინდისიერად, ან სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე მისი აგენტის მიერ თავის სახელზე, ან თუ რეგისტრაციით დაირღვა მესამე პირის საავტორო უფლებები.

კანონი აწესრიგებს აგრეთვე კოლექტიურ ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კოლექტიური ნიშანი განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლების, ან სხვა თვისებების მიხედვით. კოლექტიური ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტების გაერთიანება, რომელიც იქმნება კოლექტიური ნიშნის გამოყენების მიზნით, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, კოლექტიური ნიშნის წესდება უნდა ითვალისწინებდეს გაერთიანებაში ნებისმიერი ისეთი პირის გაწევრიანების შესაძლებლობას, რომლის საქონელი წარმოშობილია აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს წესდების მოთხოვნებს.

აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა, ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა იმ პირზე, რომელიც არ არის კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრი. კანონში გათვალისწინებულია საერთაშორისო განაცხადების ექსპერტიზის პროცედურის მარეგულირებელი ნორმები, რაც განპირობებულია საქართველოს მონაწილეობით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებულ პროტოკოლში.

პროტოკოლის შესაბამისად, საქართველოს მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ "საქპატენტში" შეიტანონ საერთაშორისო განაცხადი სასაქონლო ნიშანზე და მოითხოვონ მისი რეგისტრირება პროტოკოლის მონაწილე ყველა ქვეყანაში.

საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ

კანონი აწესრიგებს საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კანონის მიხედვით ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე, რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად, ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ფაქტორით, ამასთან, ამ პროდუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

ადგილწარმოშობის დასახელებისაგან განსხვავებით, გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, პროდუქციის კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან შედარებით სუსტია. ამ შემთხვევაში არ მოითხოვება, რომ ნედლეულის დამზადება, დამუშავება და წარმოება ხდებოდეს ერთსა და იმავე ადგილას, საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი პირობის დაცვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გადაწყვეტი უნდა იყოს საქონლის თვისებების და რეპუტაციის ფორმირებისას.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქართველოში ხდება "საქპატენტში" მათი რეგისტრაციის, ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის აღიარებისა და რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა "საქპატენტში" უნდა წარადგინოს სათანადო მასალები, რომელშიც უნდა იყოს მონაცემები პროდუქციის განსაკუთრებული ხარისხისა და თვისებების შესახებ, ნიშან-თვისებების გეოგრაფიულ ადგილთან კავშირურთიერთობების შესახებ, აგრეთვე წარმოების სპეციფიკური პირობებისა და ხერხების აღწერა (ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში). ამასთან, აღნიშნული მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ კვლევას და დადასტურებული იყოს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებების მქონე ორგანიზაციის მიერ.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად წარმოდგენილი მასალები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში. ადგილწარმოშობის დასახელებად და გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება ისეთი სახელი, რომელიც საქონლის გვარეობით სახელად იქცა და რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ, შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, ტრადიციასა და ზნეობრივ ნორმებს.

კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელების, ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შემდეგ, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, რეესტრის მონაცემებთან წარმოების პირობებისა და წარმოებული პროდუქციის თვისებების შესაბამისობის დადგენილი წესითა და პერიოდულობით შემოწმების შემდეგ გაცემული ნებართვის საფუძველზე. შემოწმების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით.

გარდა რეგისტრაციისა, კანონით გათვალისწინებულია იმ ქვეყნების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, რომლებიც ნაცვალებების პრინციპის საფუძველზე ანალოგიურ დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს

გეოგრაფიული აღნიშვნებისათვის. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე აკრძალულია: რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი პირდაპირი, ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთ საქონელთან კავშირში, რომელზეც არ ვრცელდება რეგისტრაცია, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ისეთი გამოყენება, რომელიც სიტყვა-სიტყვით სწორად მიუთითებს საქონლის წარმოების, მისი ნედლეულის დამზადების ან დამუშავების ადგილზე, მაგრამ ქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის წარმოშობის შესახებ, ისეთი სახელის ან აღნიშვნის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის მიბაძვას, იმიტაციას, თუნდაც თარგმანში, ან ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორცაა "ტიპის", "სტილის", "მსგავსი", "ნაირი", "მეთოდით" და ა. შ.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც ღვინის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნისათვის. იგი ქმნის სამართლებრივ ბაზას ჩვენს ქვეყანაში ელიტარული, მაღალი ხარისხისა და ღირებულების პროდუქციის წარმოებისა და მისი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვისათვის.

საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ

ეს კანონი არეგულირებს ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. ამ ობიექტის დაცვის აუცილებლობა წარმოიშვა მიკროზომიანი მრავალელემენტური ნახევარგამტარული მოწყობილობების (ინტეგრალური მიკროსქემების) ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, როდესაც მიკროსქემების ელემენტთა განლაგება ხდება სივრცული სურათის – ტოპოლოგიის საფუძველზე. კანონი ითვალისწინებს ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის რეგისტრაციას და შესაბამისი მოწმობის გაცემას "საქპატენტის" მიერ, რითაც დასტურდება რეგისტრირებული ტოპოლოგიის მფლობელის განსაკუთრებული უფლებები. განსაკუთრებული უფლებები ძალაშია 10 წლის განმავლობაში რეგისტრაციის თარიღიდან. ტოპოლოგიის რეგისტრაციის უფლება ეძლევა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ორიგინალური ტოპოლოგია, ე. ი. ისეთი, რომელიც შექმნილია შემოქმედებითი შრომის შედეგად და არ არის საყოველთაოდ ცნობილი განაცხადის შეტანის თარიღისათვის. მფლობელის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება ტოპოლოგიისა და მისი შემცველი მიკროსქემის ან მზა ნაკეთობის კომერციულ გამოყენებაზე, მათ შორის იმპორტზე.

ტოპოლოგიის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

- ტოპოლოგიის ან მისი შემცველი ნაკეთობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის მოგების მიღების გარეშე, აგრეთვე ანალიზის, კვლევის ან სწავლების მიზნით;
- ტოპოლოგიის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით გავრცელებული ტოპოლოგიის მქონე ინტეგრალური მიკროსქემის ან მისი შემცველი ნაკეთობის შემდგომი გავრცელება;
- სხვა პირის მიერ რეგისტრირებული ტოპოლოგიის გამოქვეყნებამდე დამოუკიდებლად შემუშავებული იდენტური ორიგინალური ტოპოლოგიის გამოყენება;
- სხვა პირის მიერ გაუმჯობესებული ტოპოლოგიის შექმნა ცნობილი ტოპოლოგიის გამოკვლევის საფუძველზე, თუ ახლად შექმნილი ტოპოლოგია აკმაყოფილებს ორიგინალობის მოთხოვნებს.

ისევე, როგორც პატენტების შემთხვევაში, დასაშვებია იძულებითი ლიცენზიის გაცემა ტოპოლოგიაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში აუცილებელია იგი ნაკარნახევი იყოს სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით ან განპირობებული იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად მიმართული სასამართლოს ან ადმინისტრაციული აქტით.

განმცხადებელთან წარმოქმნილი დავების განსახილველად გათვალისწინებულია საპატენტო კანონის შესაბამისი ნორმების გამოყენება.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი

საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", რომელიც მიღებული იქნა 1999 წელს.

კანონის მიხედვით, საავტორო უფლებებით იცვება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. მათ შორის, წიგნები, ბროშურები, სტატიები ლექციები, დრამატული ნაწარმოებები, მუსიკალური ნაწარმოებები, აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები, სახვითი ხელოვნების, ფერწერული, სკულპტურული ნაწარმოებები, ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, რუკები, გეგმები, ესკიზები, არქიტექტურული ნაწარმოებები, გადამუშავებული ნაწარმოებები, (თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია) შედგენილი ნაწარმოებები (კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა), კომპიუტერული პროგრამები და სხვა.

საავტორო უფლებები არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, ახსნილია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საავტორო უფლებები წარმოიშვება ავტომატურად, ნაწარმოების შექმნისთანავე და ამ უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელი არ არის რეგისტრაცია, დეპონირება ან სხვა ფორმალობების დაცვა. თუმცა, ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, საქართველოს კანონი, ავტორის სურვილის შემთხვევაში, ითვალისწინებს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის "საქპატენტში" დეპონირების შესაძლებლობას. დეპონირების შედეგად "საქპატენტის" მიერ გაიცემა მოწმობა, რომელიც არ წარმოშობს საავტორო უფლებებს და ადასტურებს მხოლოდ ნაწარმოების დეპონირების ფაქტს.

კანონით ავტორს მინიჭებული აქვს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. ავტორის არაქონებრივი უფლებებია აღიარებული იქნას ნაწარმოების ავტორად, უფლება მიიღოს გადაწყვეტილება როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისგან, რამაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია და სხვა. ავტორის განსაკუთრებული ქონებრივი უფლებებია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება, ნაწარმოების საჯარო შესრულება, ნაწარმოების საჯარო გადაცემა, კერძოდ, გადაცემა რადიო ან ტელე ეთერში, კაბელით ან იტერნეტით, ნაწარმოების თარგმნა, ნაწარმოების გადამუშავება, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა.

ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე დაშვებულია ნაწარმოების ციტირება ან ილუსტრაციის სახით გამოცემებში გამოყენება სამეცნიერო, პოლემიკური და კრიტიკული მიზნებისათვის, მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების, საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების საინფორმაციო მიზნით რეპროდუცირება ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მიერ ან მათი საჯარო გადაცემა, მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს და სხვა.

საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან. საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნაწარმოები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა ჰონორარის გადახდის გარეშე. კანონის მიხედვით საავტორო უფლებების გადაცემა შესაძლებელია კანონით, ანდერძით ან ხელშეკრულებით. ავტორს ქონებრივი უფლებების გადაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ. მასვე შეუძლია დაუთმოს ნებისმიერ პირს ნაწარმოების გამოყენების უფლება, ანუ გასცეს ნაწარმოების გამოყენების ლიცენზია.

მომიჯნავე უფლებების დაცვის ობიექტებია შესრულება, ფონოგრამა და ვიდეოგრამა, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემები, ხოლო დაცული სუბიექტებია შემსრულებლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები. კანონი ანიჭებს შემსრულებელს ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს. მათ შორის, უფლებას დაიცვას შესრულება ნებისმიერი ხელყოფისა და დამახინჯებისაგან, უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს შესრულების ჩაწერა, შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება, ეთერში ან კაბელით შესრულების გადაცემა, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გავრცელება, მათ შორის ინტერნეტით. ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებელს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული ქონებრივი უფლება ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება, ეგზემპლარების გავრცელება, გაქირავება, ინტერნეტში გავრცელება. მაუწყებლობის ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ გადაცემის ჩაწერა, გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება, გადაცემის რეტრანსლაცია ან კაბელით ხელახალი გადაცემა, ინტერნეტით გავრცელება, გადაცემის საჯარო გადაცემა ისეთ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია.

კანონით დაშვებულია შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის და მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოყენება უფლებამფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე ციტირებისას, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის, მოკლე ნაწყვეტების ჩართვისას მიმდინარე მოვლენების მიმოხილვისას.

შემსრულებლის უფლებები მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შერულებიდან. ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ასეთი ორგანიზაციის მიერ გადაცემის ეთერში, ან კაბელით პირველად გადაცემიდან. კანონის *SUI GENERIS* ნორმებით დაცულია აგრეთვე ისეთი მონაცემთა ბაზა, რომელიც არ წარმოადგენს "ნაწარმოებს" და განსხვავდება საავტორო უფლებებით დაცული "მონაცემთა ბაზისაგან". ასეთი მონაცემთა ბაზის დამამზადებელი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით ნება დართოს, ან აკრძალოს მისი გამოყენება, თუ მან განახორციელა ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შექმნის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებით კანონი უფლებამფლობელებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ

უფლებების განხორციელების ისეთი თანამედროვე სპეციფიური ინსტრუმენტი, როგორცაა "ტექნოლოგიური საშუალება" და "უფლების მართვის ინფორმაცია". კანონის მიხედვით უფლებების დარღვევად მიჩნეულია უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა ან წაშლა და ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი გაუზნებელყოფა. ავტორთა უფლებების ეფექტურად განხორციელებისა და საავტორო ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების მიზნით კანონი ითვალისწინებს ავტორთა უფლებას შექმნან ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვა. ორგანიზაციის მთავარი ფუნქციაა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენებისათვის გასცეს ლიცენზიები მოსარგებლებზე, შეაგროვოს შესაბამისი ჰონორარი და გაანაწილოს არა მარტო მის წევრ, არამედ უცხოელ ავტორებზეც. კანონი ანიჭებს უფლებამფლობელებს დამრღვევისაგან მოითხოვონ უფლების აღიარება, დამრღვევი მოქმედებების აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

კანონი იძლევა აგრეთვე კონტრაფაქციული ასლის განმარტებას, რაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებისთვის. კანონით განსაზღვრულია სასამართლოს შესაძლებლობა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, საქმის არსებითად განხილვამდე, ყადაღა დაადოს კონტრაფაქციულ ასლებს, კონტრაფაქციული ასლების დასაშზადებელ მასალებს, მოწყობილობას და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, დოკუმენტებს, ანგარიშებს და სხვა მტკიცებულებებს.

კანონი მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ

მცენარეთა ახალი ჯიშების სამართლებლივ დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი "მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ". აღნიშნული კანონი ვრცელდება მცენარეთა ყველა გვარსა და სახეობაზე. სელექციონერისათვის მცენარის ახალი ჯიშის გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მინიჭება წარმოებს მცენარის ახალი ჯიშის "საქპატენტში" რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის საფუძველზე. სელექციონერის განსაკუთრებული უფლება მოქმედებს 25 წლის ვადით, მისი დარეგისტრირების დღიდან, ხოლო მრავალწლიანი კულტურებისა და ტყის ჯიშებისათვის - 30 წლით. კანონის თანახმად, სელექციონერად მიიჩნევა არამარტო პირი, რომელმაც უშუალოდ გამოიყვანა, გამოავლინა ან გააუმჯობესა მცენარის ახალი ჯიში, არამედ სამუშაოს მიმცემი, დავალების გამცემი, ან უფლებამონაცვლე. მცენარის ახალი ჯიში დარეგისტრირდება და მასზე მოწმობა გაიცემა, თუ იგი პასუხობს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, განსხვავებულობას, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობას. სიახლის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მცენარის ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალა განაცხადის "საქპატენტში" შეტანამდე არ გასხვისებულა გამოყენებისათვის: საქართველოს ტერიტორიაზე 1 წლით ადრე, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე 4 წლით ადრე, ხოლო ვაზისა და ხე-მცენარეების შემთხვევაში – 6 წლით ადრე. მცენარის ახალი ჯიშის სხვა არსებული მცენარის ჯიშებისაგან განსხვავებულობა, ჯიშის ძირითადი ნიშან-თვისებების მიხედვით ერთგვაროვნება და ასეთი ნიშან-თვისებების თაობებში სტაბილურობა დგინდება სპეციალური გამოცდების მეშვეობით, რომელსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული იურიდიული ან ფიზიკური, შესაბამისი აკრედიტაციის საფუძველზე.

მცენარის ახალ ჯიშზე სხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოცდის შემთხვევაში, საქართველოში გამოცდა არ ტარდება. ასეთ შემთხვევაში "საქპატენტის" გადაწყვეტილების საფუძველად გამოიყენება სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა.

სელექციონერს განსაკუთრებული უფლება მცენარის ჯიშის გამოყენებაზე გულისხმობს უფლებას თავად განახორციელოს, ნება დართოს ან/და აკრძალოს მცენარის ახალი ჯიშის წარმოება, კვლავწარმოება,

გამრავლებისათვის მომზადება, შენახვა, გასაყიდად შეთავაზება, გასხვისება ან უფლების გადაცემა, ექსპორტი და იმპორტი. სელექციონერის უფლება ვრცელდება აგრეთვე მცენარის ახალი ჯიშისაგან მიღებულ მოსავალზე და ისეთ მცენარის ჯიშებზე, რომელიც მიღებულია დაცული ჯიშისაგან.

სელექციონერის განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება მცენარის ახალი ჯიშის პირადი მოხმარებისათვის, არაკომერციული, ექსპერიმენტული და სასელექციო მიზნით გამოყენებაზე, აგრეთვე ასეთ შემთხვევაში მიღებული მოსავლის საბოლოო პროდუქტად გამოყენების შემთხვევაში.

კანონი ითვალისწინებს სელექციონერის განსაკუთრებული უფლების შეზღუდვას საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, იძულებითი ლიცენზიის გაცემის გზით. საქართველოს კანონი **“ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ”** (2006წ) არსებითად იმეორებს “მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის დებულებებს და მათ შორის განსხვავება შემოიფარგლება დაცვის ობიექტთა სხვადასხვაობით.

საქართველოს კანონი «ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ» ადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, კერძოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნისა და სასაქონლო ნიშნების მფლობელების უფლებათა დარღვევით წარმოებული პროდუქციის იმპორტირებისა და ექსპორტისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებების გამოყენების წესს. კანონის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში იქმნება სპეციალური რეესტრი, სადაც დაინტერესებულ უფლებამფლობელს საშუალება ეძლევა დაარეგისტრიროს საკუთარი სასაქონლო ნიშანი, საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, მონაცემთა ბაზა, ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა და მიუთითოს საქონლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. საეჭვო ტვირთის გამოჩენისას საბაჟო ორგანოებს უფლება ენიჭებათ შეაჩერონ ეს ტვირთი, დაუყოვნებლივ აცნობონ ამ ფაქტის შესახებ უფლებამფლობელს, ან მის წარმომადგენელს და შემოწმებისათვის გადასცენ შეჩერებული საქონლის ეგზემპლარი. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამფლობელი დარწმუნდება, რომ შეჩერებული საქონელი კონტრაფაქციულია, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საქონლის განადგურება. ხოლო, თუ შეჩერებული საქონლის მფლობელი უარს განაცხადებს თავის საქონელზე, საბაჟო დეპარტამენტი ანადგურებს შეჩერებულ საქონელს უფლებამფლობელის ხარჯითა და პასუხისმგებლობით. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეჩერებული საქონლის მფლობელი არ გამოეხმაურება საბაჟო დეპარტამენტის შეტყობინებას საქონლის განადგურების შესახებ უფლებამფლობელის მოთხოვნის თაობაზე.

სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლები 189, 189¹, 196) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისათვის. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 189-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ნაწარმოების ავტორობის მითვისებას, ან თანაავტორობაზე იძულებას, ასევე დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების უკანონო რეპროდუცირებას, კონტრაფაქციული ასლების შექმნას, იმპორტს, შენახვას, გაყიდვას, გაქირავებას ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელის უფლების სხვა სახით ხელყოფას.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფისთვისაც. კერძოდ, 189¹ მუხლის მიხედვით, დანაშაულად არის მიჩნეული გამოგონების,

სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება. ასევე, წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება.

კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად დასჯად ქმედებას წარმოადგენს დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, ან გეოგრაფიული აღნიშვნით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება. ზემოთ აღნიშნული დანაშაულების ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვას ან თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევებს ეხება 157¹, 157² 157³ და 158-ე მუხლები. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების და სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირების, ტექნოლოგიური საშუალებისათვის გვერდის ავლის, "უფლების მართვის ინფორმაციის" უკანონოდ შეცვლის, განადგურების ან გაყალბების, კონტრაფაქციული ასლების შექმნის, იმპორტის, შენახვის, გაყიდვის გაქირავების ან შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელის ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების სხვა სახით დარღვევისათვის. უფლებების დარღვევად არის მიჩნეული, ასევე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის უკანონო შეცვლა, ან განადგურება.

აღნიშნული ქმედებებისათვის სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა, ხოლო იგივე ქმედების ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენისათვის ჯარიმის გაზრდილ ოდენობასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციას. კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს და მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს მოითხოვოს უფლებების დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურება და უფლების აღიარება.

დანართები

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010
ლექციათა კურსი კერძო სამართალში
(ნაწილი II)

საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის
1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

კონვენცია საქონლის საერთაშორისო
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ

ვენა, 1980 წ.

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,
მხედველობაში იღებენ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის შემოღების შესახებ გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სპეციალური სესიის რეზოლუციების საერთო
მიზნებს, მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება თანასწორობისა და
ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე არის სახელმწიფოებს შორის მეგობრული
ურთიერთობის განვითარებისთვის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, მიაჩნიათ, რომ
ერთგვაროვანი ნორმების შემოღება, რომელიც მოაწესრიგებს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის
ხელშეკრულებებს და გაითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სამართლებრივ
სისტემებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ბარიერების თავიდან აცილებას
და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

თავი I

გამოყენების სფერო

მუხლი 1

- ეს კონვენცია გამოიყენება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ იმ მხარეებს შორის,
რომელთა კომერციული საწარმოებიც სხვადასხვა სახელმწიფოებში იმყოფებიან:
 - როდესაც ეს სახელმწიფოები ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან; ან
 - როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თანახმად, გამოყენებულია ხელშემკვრელი
სახელმწიფოს სამართალი.
- ის გარემოება, რომ მხარეთა კომერციული საწარმოები იმყოფებიან სხვადასხვა სახელმწიფოებში, არ
მიიღება მხედველობაში, თუ ეს არ გამოდინარეობს არც ხელშეკრულებიდან, არც მხარეებს შორის
საქმიანი ურთიერთობებიდან ხელშეკრულების დადებამდე ან დადების მომენტში ან ინფორმაციის
გაცვლის მომენტში.
- ამ კონვენციის გამოყენების სფეროს განსაზღვრისათვის მხედველობაში არ მიიღება არც მხარეთა
ეროვნული კუთვნილება, არც მათი მოქალაქეობრივი ან სავაჭრო სტატუსი, არც ხელშეკრულების სავაჭრო
ხასიათი.

მუხლი 2

ეს კონვენცია არ გამოიყენება:

- a) იმ საქონლის გაყიდვისას, რომელსაც იყენებენ პირადი, ოჯახური ან საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გამყიდველმა ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დადებამდე ან ხელშეკრულების დადების მომენტში არ იცოდა, არც ვალდებული იყო სცოდნოდა, რომ საქონელი ამ მიზნით შეიძენს;
- b) აუქციონზე გაყიდვას;
- c) იმ საქონლის მიმართ, რომელიც იყიდება სააღმსრულებლო წარმოების წესით ან კანონის ძალით განხორციელებული სხვაგვარი წესით;
- d) საფონდო ქაღალდების, აქციების, უზრუნველყოფითი ქაღალდების, ბრუნვითი დოკუმენტებისა და ფულის გაყიდვისას;
- e) წყლისა და საჰაერო სატრანსპორტო ხომალდების, აგრეთვე ჰაერის ბალიშის პრინციპით მომუშავე ხომალდების გაყიდვისას;
- f) ელექტროენერჯის გაყიდვისას.

მუხლი 3

- 1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდების ვალდებულებას.
- 2. ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებშიც საქონლის მიმწოდებელი მხარის ვალდებულებების ძირითადად წარმოადგენს სამუშაოთა შესრულება ან სხვა სახის მომსახურება.

მუხლი 4

- 1. ეს კონვენცია აწესრიგებს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებას და გამყიდველისა და მყიდველის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებსაც ეს ხელშეკრულება წარმოშობს. კერძოდ, რადგანაც კონვენციაში სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, იგი არ ეხება:
 - a) თვით ხელშეკრულების ან მისი რომელიმე დებულების ან ჩვეულების ძალაში ყოფნას;
 - b) შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულებას გაყიდულ საქონელზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5

ეს კონვენცია არ ეხება გამყიდველის პასუხისმგებლობას ჯანმრთელობისათვის საქონლით მიყენებული ზიანის გამო ან რომელიმე პირის სიკვდილის გამო.

მუხლი 6

მხარეებს შეუძლიათ არ გამოიყენონ ეს კონვენცია ან, მე-12 მუხლის დაცვის პირობით, გადაუხვიონ მის ნებისმიერ დებულებას ან შეცვალონ მისი მოქმედება.

თავი II. ზოგადი დებულებები

მუხლი 7

1. ამ კონვენციის განმარტების დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მისი საერთაშორისო ხასიათი, მის გამოყენებაში ერთგვაროვნობის მიღწევისათვის და საერთაშორისო ვაჭრობაში კეთილსინდისიერების დაცვისათვის ხელსაწყოების აუცილებლობა.
2. საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან ამ კონვენციის რეგულირების საგანს და რომლებიც პირდაპირ არ არის მასში გადაჭრილი, გადაიჭრება ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომელთაც ეს კონვენცია ემყარება, ხოლო თუ ასეთი პრინციპები არ არსებობს - სამართლის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თარახმად.

მუხლი 8

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგვარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა.
2. თუ წინა პუნქტი არ გამოიყენება, მაშინ მხარის განცხადებას ან სხვაგვარ მოქმედებას განიხილავენ იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, რომელიც იმოქმედებდა იმავე სახით, როგორც მეორე მხარე ანალოგიურ ვითარებაში.
3. მხარის განზრახვის განსაზღვრისას ან იმის განსაზღვრისას, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა შესაბამისი გარემოება, მოლაპარაკების, ნებისმიერი პრაქტიკის ჩათვლით, რომელიც მხარეებმა დანერგეს თავიანთ ურთიერთობაში, ჩვეულებანი და მხარეთა სხვა ნებისმიერი შემდგომი მოქმედება.

მუხლი 9

1. მხარეები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ნებისმიერი ჩვეულება, რომლის შესახებაც არსებობს მათ შორის შეთანხმება და პრაქტიკა, რომელიც დანერგეს ერთმანეთთან ურთიერთობაში.
2. როდესაც არ არსებობს რაიმე სხვა შეთანხმება, მიჩნეულია, რომ მხარეები გულისხმობდნენ მათი ხელშეკრულების ან მისი დადების მიმართ იმ ჩვეულების გამოყენებას, რომელიც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ, საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ ცნობილია და მუდამ იცავენ მხარეები ვაჭრობის შესაბამის დარგში დადებული ამგვარი სახის ხელშეკრულებაში.

მუხლი 10

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

- a) თუ მხარეს ერთზე მეტი კომერციული საწარმო აქვს, მის კომერციულ საწარმოდ ითვლება ის, რომელიც იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილია მხარეებისათვის ან ივარაუდება მათ მიერ ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დადებად ან დადების მომენტში, აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირი ხელშეკრულებასთან ან მის შესრულებასთან;
- b) თუ მხარეს კომერციული საწარმო არა აქვს, მხედველობაში მიიღება მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 11

აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით.

იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებებით მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით.

მუხლი 12

ამ კონვენციის მე-11, მე-19 მუხლების ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც უშვებს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მისი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან ოფერტი, აქცეპტი ან განზრახვის სხვა ნებისმიერი გამოხატულება განხორციელდა არა წერილობით, არამედ სხვა ნებისმიერი ფორმით, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, თუ თუნდაც ერთ მხარეს აქვს თავისი კომერციული საწარმო ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ კონვენციის 96-ე მუხლის საფუძველზე. მხარეები ვერ გადაუხვევენ ამ მუხლს ან ვერ შეცვლიან მის მოქმედებას.

მუხლი 13

ამ კონვენციის მიზნებისათვის ლწერილობით ფორმაში იგულისხმება აგრეთვე შეტყობინება ტელეგრაფითა და ტელეტიპით.

ნაწილი II. ხელშეკრულების დადება

მუხლი 14

- ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი შეთავაზებული წინადადება ხელშეკრულების დადების თაობაზე წარმოადგენს ოფერტის, თუ იგი საკმაოდ გარკვეული ხასიათისაა და გამოხატავს ოფერენტის განზრახვას ვალდებულად გრძნობდეს თავს აქცეპტის შემთხვევაში. წინადადება საკმაოდ კონკრეტულად ითვლება, თუ მასში აღნიშნულია საქონელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენილია რაოდენობა და ფასი ან გათვალისწინებულია მათი განსაზღვრის წესი.
- პირთა გაურკვეველი წრისადმი შეთავაზებული წინადადება განიხილება მხოლოდ როგორც მიწვევა ოფერტის გასაკეთებლად, თუ პირდაპირ სხვა რამ არ არის მითითებული იმ პირის მიერ, ვისგანაც მოდის ასეთი წინადადება.

მუხლი 15

- ოფერტი ძალაში შედის, როდესაც მას მიიღებს ოფერტის ადრესატი.
- მაშინაც კი, როდესაც ოფერტი უპასუხოდ რჩება, იგი შეიძლება გააუქმოს ოფერენტმა, თუ შეტყობინება გაუქმების შესახებ ოფერტის ადრესატის მიერ მიღებულია უფრო ადრე ვიდრე თვით ოფერტი, ან მიღებულია მასთან ერთდროულად.

მუხლი 16

- სანამ ხელშეკრულება დადებული არ არის, ოფერტი შეიძლება უკან გამოიხმოს ოფერენტმა, თუ შეტყობინება უკუგამოხმობის შესახებ მიღებულია ოფერტის ადრესატის მიერ მანამ, სანამ იგი აქცეპტს გაგზავნის.
- მაგრამ ოფერტის გამოხმობა არ შეიძლება:
 - ა) თუ ოფერტაში მითითებულია აქცეპტისათვის გარკვეული ვადის დანიშვნის გზით ან სხვაგვარად, რომ იგი უკუგამოხმობას არ ექვემდებარება;გამოსახმობი და ოფერტის დარესატი შესაბამისად მოქმედებდა.

მუხლი 17

მაშინაც კი, როდესაც ოფერტა გამოსახმობია, იგი კარგავს ძალას ოფერენტის მიერ შეტყობინების მიღებისთანავე ოფერტის უარყოფის თაობაზე.

მუხლი 18

1. ოფერტის ადრესატის განცხადება ან სხვა მოქმედება, რომლითაც იგი ეთანხმება ოფერტს, არის აქცეპტი. დუმილი ან უმოქმედობა თავისთავად არ არის აქცეპტი.
2. ოფერტის აქცეპტი ძალაში შედის იმ მომენტში, როდესაც აღნიშნული თანხმობა მიღებულია ოფერტის მიერ. აქცეპტს ძალა არ აქვს, თუ ოფერენტი არ იღებს აღნიშნულ თანხმობას დადგენილ ვადაში, ხოლო თუ ვადა დადგენილი არ არის - გონივრულ ვადაში, თან მხედველობაში მიიღება გარიგების პირობები, მათ შორის ოფერენტის მიერ კავშირის საშუალებათა გამოყენების სისწრაფე. ზეპირი ოფერტი აქცეპტირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ, თუ გარემოებებს სხვა რამ არ მოჰყვება.
3. მაგრამ თუ ოფერტის ძალით ან იმ პრაქტიკის შედეგად, რომელიც დაადგინეს მხარეებმა თავიანთ ურთიერთობაში ან ჩვეულების თანახმად, ოფერტის ადრესატს შეუძლია ოფერენტისათვის შეუტყობინებლად გამოხატოს თანხმობა რაიმე მოქმედების შესრულების გზით, კერძოდ მოქმედებით, რომელიც განეკუთვნება საქონლის გაგზავნას ან ფასის გადახდას, აქცეპტი ძალაში შედის ასეთი მოქმედების შესრულების მომენტში იმ პირობით, რომ იგი შესრულებულია წინა პუნქტში გათვალისწინებული ვადების ფარგლებში.

მუხლი 19

1. პასუხი ოფერტზე, რომელიც მიზნად ისახავს აქცეპტის როლის შესრულებას, მაგრამ შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებს ან სხვა ცვლილებებს, არის აქცეპტის უარყოფა და წარმოადგენს შემხვედრ ოფერტს.
2. თუმცა პასუხი ოფერტზე, რომელიც მიზნად ისახავს აქცეპტის როლის შესრულებას, მაგრამ შეიცავს დამატებით ან განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც არსებითად არ იცვლის ოფერტის პირობებს, წარმოადგენს აქცეპტს, თუ ოფერენტი გაუმართლებელი შეყოვნების გარეშე ზეპირად არ გამოთქვამს აზრს ამ განსხვავებათა წინააღმდეგ და ამის შესახებ შეტყობინებას არ გაგზავნის. თუ იგი ამას არ გააკეთებს, მაშინ ხელშეკრულების პირობები იქნება ოფერტის პირობები იმ ცვლილებებით, რომლებსაც შეიცავს აქცეპტი.
3. მიჩნეულია, რომ დამატებითი ან განსხვავებული პირობები, მათ შორის საქონლის ფასთან, გადახდასთან, ხარისხისა და რაოდენობასთან, მიწოდების ადგილსა და ვადასთან, ერთ-ერთი მხარის პასუხისმგებლობის ზომასთან მეორის წინაშე ან დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, არსებითად ცვლიან ოფერტის პირობებს.

მუხლი 20

1. ოფერენტის მიერ აქცეპტისათვის დადგენილი ვადა დეპეშის ან წერილის საშუალებით იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დეპეშა ჩაბარებულია გასაგზავნად ან წერილში აღნიშნული თარიღიდან, ან, თუ ასეთი თარიღი მითითებული არ არის, კონვერტზე აღნიშნული თარიღიდან. ოფერენტის მიერ აქცეპტისათვის დადგენილი ვადა ტელეფონის, ტელეტაიპის ან მომენტალური კავშირის სხვა საშუალებებით, იწყება ადრესატის მიერ ოფერტის მიღების მომენტიდან.
2. აქცეპტისათვის დადგენილი ვადიდან არ გამოირიცხება სახელმწიფო დღესასწაულები და არასამუშაო დღეები. მაგრამ, თუ აქცეპტის შესახებ შეტყობინება ვერ აღწევს ადრესატამდე დადგენილი ვადის უკანასკნელ დღეს იმის გამო, რომ ეს დღე ოფერენტის კომერციული საწარმოს მდებარეობის ადგილას

სახელმწიფო დღესასწაულად ან არასამუშაო დღედ არის გამოცხადებული, ვადა გადაიწვეს შემდგომ პირველ სამუშაო დღემდე.

მუხლი 21

1. დაგვიანებული აქცეპტი მაინც ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, თუ ოფერენტი ოფერენტის ადრესატს, დაუყოვნებლივ ზეპირად აცნობებს ამის შესახებ ან გაუგზავნის მას შესაბამის შეტყობინებას.
2. როდესაც წერილიდან ან სხვა წერილობითი შეტყობინებიდან, რომელიც დაგვიანებულ აქცეპტს შეიცავს, ჩანს, რომ იგი გაიგზავნა ისეთ ვითარებაში, რომ ნორმალურ პირობებში გაგზავნისას დროულად მიაღწევდა ადრესატამდე, დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ ზეპირად არ აცნობებს ოფერენტის ადრესატს, რომ იგი თავის ოფერტს ძალადაკარგულად თვლის ან არ გაუგზავნის მას შეტყობინებას ამის შესახებ.

მუხლი 22

აქცეპტი შეიძლება გაუქმებული იქნეს, თუ შეტყობინება გაუქმების შესახებ ოფერენტმა მიიღო იმ მომენტზე ადრე ან იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი ძალაში უნდა შესულიყო.

მუხლი 23

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ ოფერტის აქცეპტი ძალაში შედის ამ კონვენციის დებულებათა თანახმად.

მუხლი 24

ამ კონვენციის II ნაწილის მიზნებისათვის ოფერტი, განცხადება აქცეპტის შესახებ ან განზრახვის შესახებ ან განზრახვის სხვა ნებისმიერი გამოხატვა ითვლება ადრესატის მიერ ნმილებულად, როდესაც მას ამას აცნობებენ ზეპირად ან პირადად გადასცემენ ნებისმიერი საშუალებებით მის კომერციულ საწარმოში ან საფოსტო მისამართზე, თუ მას კომერციული საწარმო ან საფოსტო მისამართი არა აქვს, - მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

ნაწილი III.

საქონლის ყიდვა-გაყიდვა

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 25

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნულოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და გონიერი პიროვნება მის ადგილზე ანალოგიურ ვითარებაში ვერ გაითვალისწინებდა ამას.

მუხლი 26

ხელშეკრულების დარღვევის შესახებ განცხადებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ იგი შეატყობინეს მეორე მხარეს.

მუხლი 27

ვინაიდან კონვენციის III ნაწილმა სხვა რამ პირდაპირ არ გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა ცნობა მხარის მიერ გადაცემულია ან გაკეთებულია III ნაწილის დებულებათა შესაბამისად და ვითარების შესაფერისი საშუალებებით, ცნობის დაყოვნება ან გადაცემისას დაშვებული შეცდომა ან მისი დანიშნულებისამებრ არჩაბარება იმ მხარეს არ ართმევს უფლებას თავისი შეტყობინება დაიმოწმოს.

მუხლი 28

თუ ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან რაიმე ვალდებულების შესრულება, სასამართლო ვალდებული არ არის გამოიტანოს გადაწყვეტილება ნატურით აღსრულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ამას გააკეთებდა თავისი საკუთარი კანონის საფუძველზე ყიდვა-გაყიდვის ანალოგიური ხელშეკრულებების მიმართ, რომლებსაც ეს კონვენცია არ აწესრიგებს.

მუხლი 29

1. ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან მისი მოქმედება შეწყდეს მხარეთა უბრალო შეთანხმებით.
2. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს დებულებას, რომ მისი ნებისმიერი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეებმა განახორციელონ წერილობითი ფორმით, არ შეიძლება სხვაგვარად შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. მაგრამ მხარის მოქმედებამ შეიძლება გამორიცხოს მისთვის შესაძლებლობა დაიმოწმოს აღნიშნული დებულება იმდენად, რამდენადაც მეორე მხარე ითვალისწინებდა ასეთ მოქმედებას.

თავი II.

გამყიდველის ვალდებულებები.

მუხლი 30

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, გადასცეს შესაბამისი დოკუმენტები და გადასცეს საქონელზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

კარი I.

საქონლის მიწოდება და დოკუმენტების გადაცემა

მუხლი 31

თუ გამყიდველი ვალდებული არ არის საქონელი მიიტანოს რომელიმე სხვა გარკვეულ ადგილას, მიწოდებასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია:

- თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას -გადასცეს საქონელი პირველსავე გადამზიდველს მყიდველისათვის ჩასაბარებლად;
- იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ექვემდებარება წინა ქვეპუნქტის მოქმედებას, ხელშეკრულება ეხება გარკვეული ინდივიდუალური თვისებების მქონე საქონელს ან არაინდივიდუალური თვისებების მქონე საქონელს, რომელიც აღებული უნდა იყოს გარკვეული მარაგიდან ან დამზადებული ან წარმოებული უნდა იქნეს და მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდნენ, რომ საქონელი ინახება ან წარმოებული ან დამზადებულში უნდა იქნეს გარკვეულ ადგილზე- მყიდველს მის განკარგულებაში უნდა გადასცეს საქონელი ამ ადგილზე;

c) სხვა შემთხვევებში იგი ვალდებულია მყიდველს მის განკარგულებაში გადასცეს საქონელი იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფებოდა გამყიდველის კომერციული საწარმო.

მუხლი 32

1. თუ გამყიდველი ხელშეკრულების ან ამ კონვენციის შესაბამისად საქონელს გადასცემს გადამზიდველს და თუ საქონელი მკვეთრად იდენტიფიცირებული არ არის ხელშეკრულების მიზნებისათვის მარკირების გზით, გადაზიდვის დოკუმენტების საშუალებით ან სხვაგვარად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს შეტყობინება აღნიშნული საქონლის გაგზავნის შესახებ.
2. თუ გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის გადაზიდვა, მან უნდა დადოს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია საქონლის გადასაზიდად დანიშნულების ადგილზე ამ გარემოებისათვის შესაფერისი ტრანსპორტირების საშუალებებით და ასეთი ტრანსპორტირებისათვის ჩვეულებრივი პირობებით.
3. თუ გამყიდველი ვალდებული არ არის საქონელი დააზღვიოს მისი გადაზიდვისას, მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას ყველა არსებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია, რათა მყიდველმა ასეთი დაზღვევა განახორციელოს.

მუხლი 33

გამყიდველმა საქონელი უნდა მიაწოდოს მყიდველს:

- a) თუ ხელშეკრულება ადგენს ან საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოწოდების ვადა - ამ ვადაში;
- b) თუ ხელშეკრულება ადგენს ან საშუალებას იძლევა განისაზღვროს დროის მონაკვეთი, რომელიც საჭიროა საქონლის მისაწოდებლად - ამ პერიოდის ნებისმიერ მომენტში, რადგანაც გარემოებიდან არ გამომდინარეობს, რომ მიწოდების ვადას ადგენს მყიდველი; ან
- c) სხვა ნებისმიერ შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრულ ვადაში.

მუხლი 34

თუ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს საქონელთან დაკავშირებით დოკუმენტები, მან ეს უნდა გააკეთოს იმ ვადაში, იმ ადგილზე და იმ ფორმით, რომელსაც მოითხოვს ხელშეკრულება. თუ გამყიდველმა დოკუმენტები აღნიშნულ ვადაზე ადრე გადასცა, მას შეუძლია ამ ვადის გასვლამდე გამოასწოროს ნებისმიერი შეუსაბამობა დოკუმენტებში იმ პირობით, რომ მის მიერ ამ უფლების განხორციელება მყიდველს არ ჩააყენებს უხერხულობაში ან არაგონივრულ ხარჯებს არ გამოიწვევს. თუმცა მყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ამ კონვენციის შესაბამისად.

კარი II.

საქონლის შესაბამისობა და მესამე პირის უფლება

მუხლი 35

1. გამყიდველმა უნდა მიაწოდოს მყიდველს საქონელი, რომელიც თავისი რაოდენობით, ხარისხითა და აღწერით შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს და რომელიც ტარასთან ერთად მომზადებულია ან შეფუთულია ისე, როგორც ეს შეესაბამება ხელშეკრულებას.
2. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა რამეზე, საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას:

- a) თუ იგი გამოუსადეგარია იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება იმავე აღწერილობის საქონელი;
 - b) თუ გამოუსადეგარია ნებისმიერი კონკრეტული მიზნისათვის, რომლის შესახებაც გამყიდველის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აცნობეს ხელშეკრულების დადების დროს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ მყიდველი არ ეყრდნობოდა ან მისთვის არაგონივრული იყო დაყრდნობოდა გამყიდველის კომპეტენტურობასა და მსჯელობას;
 - c) თუ არ გააჩნია იმ საქონლის თვისებები, რომელიც გამყიდველმა შესთავაზა მყიდველს ნიმუშის ან მოდელის სახით;
 - d) თუ ტარასთან ერთად არ არის მომზადებული და შეფუთული ამ საქონლისათვის ჩვეულებრივი წესით, რომელიც შეესაბამება ამ საქონლის შენახვისა და დაცვის მიზანს.
3. გამყიდველი პასუხს არ აგებს a-d ქვეპუნქტების საფუძველზე საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, თუ ხელშეკრულების დადების დროს მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ასეთი შეუსაბამობა.

მუხლი 36

1. გამყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის თანახმად საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობდა იმ მომენტში, როდესაც რისკი გადადის მყიდველზე, მაშინაც კი, თუ ეს შეუსაბამობა მხოლოდ მოგვიანებით გამოაშკარავდება.
2. გამყიდველი აგრეთვე პასუხისმგებელია საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც წარმოიშობა წინა პუნქტში მითითებული მომენტის შემდეგ და არის მის მიერ თავისი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შედეგი, ნებისმიერი გარანტიის დარღვევის ჩათვლით იმისა, რომ ამა თუ იმ ვადის განმავლობაში საქონელი გამოსადეგი დარჩება ჩვეულებრივი მიზნებისათვის ან რომელიმე კონკრეტული მიზნისათვის ან შეინარჩუნებს განპირობებულ ხარისხსა და თვისებებს.

მუხლი 37

იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ვადაზე ადრე მიაწოდებს მყიდველს საქონელს, იგი ინარჩუნებს უფლებას გათვალისწინებული ვადის დადგომამდე მიაწოდოს მყიდველს საქონლის ის ნაწილი ან რაოდენობა, რომელიც აკლია ან მიაწოდოს ახალი საქონელი მიწოდებულის ნაცვლად, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებას ან გამოასწოროს ნებისმიერი შეუსაბამობა მიწოდებულ საქონელში იმ პირობით, რომ მის მიერ ამ უფლების განხორციელება გამყიდველს არ ჩააყენებს უხერხულობაში ან არ გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს. თუმცა მყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 38

1. მყიდველმა უნდა დაათვალიეროს საქონელი ან უზრუნველყოს მისი დათვალიერება ისეთ მოკლე ვადაში, რომელიც პრაქტიკულად შესაძლებელია ასეთ პირობებში.
2. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის გადაზიდვა, დათვალიერება შეიძლება გადაიდოს საქონლის დანიშნულების ადგილზე ჩატანამდე.
3. თუ საქონლის დანიშნულების ადგილი შეიცვალა მისი გზაში ყოფნის პერიოდში ან იგი ხელმეორედ გადაიგზავნა მყიდველის მიერ, ამასთან მყიდველს არ ჰქონდა გონივრული შესაძლებლობა მისი დათვალიერებისა, ხოლო გამყიდველმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი ცვლილებების ან გადაგზავნის შესაძლებლობა, საქონლის დათვალიერება შეიძლება გადაიდოს დანიშნულების ახალ ადგილზე ჩატანამდე.

მუხლი 39

1. მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას, რომელიც შეიცავს მონაცემებს შეუსაბამობის ხასიათის შესახებ, გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც შეუსაბამობა აღმოჩნდა ან უნდა აღმოეჩინა მყიდველს.
2. ნებისმიერ შემთხვევაში მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას ამის შესახებ არა უგვიანეს ორი წლის ვადისა იმ თარიღიდან, როდესაც საქონელი ფაქტიურად გადაეცა მყიდველს, რამდენადაც ეს ვადა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადას.

მუხლი 40

გამყიდველს უფლება არა აქვს დაიმოწმოს 38-ე და 39-ე მუხლების დებულებები, თუ საქონლის შეუსაბამობა დაკავშირებულია ფაქტებთან, რომლებიც მან იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა და რომელთა შესახებაც არ აცნობა მყიდველს.

მუხლი 41

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომელიც თავისუფალია მესამე პირების ნებისმიერი უფლებისაგან ან მოთხოვნისაგან იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მყიდველი დათანხმდა მიეღო საქონელი, რომელიც დამძიმებული იყო ასეთი უფლებებითა და მოთხოვნებით. მაგრამ თუ ასეთი უფლებების ან მოთხოვნების საფუძველია სამრეწველო საკუთრება ან სხვა ინტელექტუალური საკუთრება, მაშინ გამყიდველის უფლებებს აწესრიგებს 42-ე მუხლი.

მუხლი 42

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომელიც თავისუფალია მესამე პირების ნებისმიერი უფლებისაგან ან მოთხოვნისაგან, როდესაც მისი საფუძველია სამრეწველო საკუთრება ან სხვა ინტელექტუალური საკუთრება და რომლის შესახებაც მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ხელშეკრულების დადების მომენტში, იმ პირობით, რომ ასეთი უფლებები ან მოთხოვნები ემყარება სამრეწველო საკუთრებას ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებას:

- a) იმ სახელმწიფოს კანონით, სადაც საქონელი გადაიყიდება ან სხვაგვარად გამოიყენება, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეები ითვალისწინებენ, რომ საქონელი გადაიყიდება ან სხვაგვარად იქნება გამოყენებული ამ სახელმწიფოში; ან
 - b) ნებისმიერ სხვა შემთხვევაში იმ სახელმწიფოს კანონით, სადაც იმყოფება მყიდველის კომერციული საწარმო.
2. გამყიდველის ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია წინა პუნქტში, არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც:
- a) ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ასეთი უფლებების ან მოთხოვნების შესახებ;
 - b) ასეთი უფლებები ან მოთხოვნები არის შედეგი გამყიდველის მიერ იმ ტექნიკური ნახაზების, პროექტების, ფორმულების ან სხვა საწყისი მონაცემების დაცვისა, რომლებიც მყიდველმა გადასცა.

მუხლი 43

1. მყიდველი კარგავს უფლებას დაიმოწმოს 41-ე ან 42-ე მუხლების დებულებები, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას, რომელიც შეიცავს მონაცემებს მესამე პირის უფლებისა და მოთხოვნის შესახებ, გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მან გაიგო ან უნდა გაიგო ასეთი უფლებისა და მოთხოვნის არსებობა.
2. გამყიდველს უფლება არა აქვს დაიმოწმოს წინა პუნქტის დებულებები, თუ მან იცოდა მესამე პირის უფლება ან მოთხოვნა და ამ უფლებისა და მოთხოვნის ხასიათი.

მუხლი 44

მიუხედავად 39-ე მუხლის 1 პუნქტის და 43-ე მუხლის 1 პუნქტის დებულებებისა მიიღველს შეიუძლია დაუკლოს ფასი საქონელს 50 მუხლის შესაბამისად ან მოთხოვოს ზარალის ანაზღაურება, დაკარგული სარფის გარდა, თუ აქვს საჭირო შეტყობინების გადაუცემლობის გონივრული გამართლება.

კარი III.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში

მუხლი 45

1. თუ გამყიდველი არ ასრულებს თავის რომელიმე ვალდებულებას ხელშეკრულების ან ამ კონვენციის თანახმად, მყიდველს შეუძლია:

- განახორციელოს 46-52 მუხლებში გათვალისწინებული უფლებები;
 - მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, როგორც ეს გათვალისწინებულია 74-77 მუხლებში.
2. მყიდველის მიერ თავისი უფლებების განხორციელება სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე უფლებას არ ართმევს მას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.
3. არავითარი გადავადება არ შეიძლება მისცეს გამყიდველს სასამართლომ ან არბიტრაჟმა, თუ მყიდველი მიმართავს ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას.

მუხლი 46

- მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ მყიდველმა არ მიმართა სამართლებრივი დაცვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც შეუთავსებელია ასეთ მოთხოვნასთან.
- თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს საქონლის შეცვლა, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეუსაბამობა მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას და საქონლის შეცვლის მოთხოვნა განცხადებულია 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებასთან ერთდროულად ან მას შემდეგ გონივრულ ვადაში.
- თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან შეასწოროს ეს შეუსაბამობა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს არაგონივრულია ყველა გარემოების გათვალისწინებით. ხელშეკრულებასთან საქონლის შეუსაბამობის გამოსწორების მოთხოვნა განცხადებული უნდა იყოს ან 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებასთან ერთად ან მას შემდეგ გონივრულ ვადაში.

მუხლი 47

- მყიდველს შეუძლია დააწესოს გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადა, რათა გამყიდველმა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.
- იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მყიდველი გამყიდველისაგან მიიღებს შეტყობინებას, რომ იგი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ამ წესით დადგენილ ვადაში, მყიდველმა ამ ხნის განმავლობაში არ უნდა მიმართოს ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას. თუმცა მყიდველს ამით არ ერთმევა უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება შესრულების ვადის გასვლის გამო.

მუხლი 48

- თუ დაცულია 49-ე მუხლი, გამყიდველს შეუძლია საქონლის მიწოდების დადგენილი თარიღის შემდეგაც თავისი ხარჯებით გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი თავის ვალდებულებათა შესრულებაში,

თუ ამის გაკეთება შეუძლია არაგონივრული დაყოვნების გარეშე და ისე, რომ არ გამოიწვიოს მყიდველის არაგონივრული უხერხულობა ან გაურკვეველობა გამყიდველის მიერ მყიდველის ხარჯების კომპენსაციასთან დაკავშირებით, თუმცა მყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ამ კონვენციის თანახმად.

2. თუ გამყიდველი სთხოვს მყიდველს აცნობოს, მიიღებს თუ არა შესრულებას და მყიდველი არ შეარულებს ამ თხოვნას გონივრულ ვადაში, გამყიდველს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება ამ მიმართვაში აღნიშნულ ვადაში. მყიდველმა ამ ხნის განმავლობაში არ უნდა მიმართოს სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას, რომელიც შეუთავსებელია გამყიდველის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებასთან.

3. თუ გამყიდველი შეატყობინებს მყიდველს, რომ იგი შეასრულებს ვალდებულებას გარკვეულ ვადაში, ითვლება, რომ ასეთი შეტყობინება შეიცავს აგრეთვე თხოვნას მყიდველისადმი აცნობოს თავისი გადაწყვეტილება წინა პუნქტის შესაბამისად.

4. მოთხოვნას ან შეტყობინებას გამყიდველის მხრიდან ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად არა აქვს ძალა, თუ იგი არ მიუღია მყიდველს.

მუხლი 49

1. მყიდველს შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება:

a) თუ ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა გამყიდველის მიერ მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას; ან

b) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ მიაწოდებს საქონელს 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში ან განაცხადებს, რომ ვერ მოაწვდის საქონელს ამ წესით დადგენილ ვადაში.

2. თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც გამყიდველმა უკვე მიაწოდა საქონელი, მყიდველი კარგავს უფლებას გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება, თუ არ გააკეთებს ამას:

a) მიწოდების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ საქონლის მიწოდება განხორციელებულია;

b) მიწოდების ვადის გასვლის გარდა ხელშეკრულების სხვა ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით - გონივრულ ვადაში:

i) მას შემდეგ, რაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო ასეთი დარღვევა;

ii) 47-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მყიდველის მიერ დადგენილი დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც გამყიდველი განაცხადებს, რომ ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ასეთ დამატებით ვადაში; ან

iii) 48-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად გამყიდველის მიერ მითითებული ნებისმიერი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 50

თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა ფასი უკვე გადახდილია თუ არა, მყიდველს შეუძლია დააკლოს ფასი საქონელს იმავე პროპორციით, როგორც ფაქტიურად უკვე მიწოდებული საქონლის ღირებულება, რომელიც მას ჰქონდა მიწოდების მომენტში, შეეფარდება ღირებულებას, რომელიც იმავე მომენტში ექნებოდა ხელშეკრულების შესაბამის საქონელს, მაგრამ თუ გამყიდველი გამოასწორებს ხარვეზებს თავის ვალდებულებათა შესრულებაში 37-ე ან 48-ე მუხლების შესაბამისად ან და მყიდველი უარს იტყვის მიიღოს შესრულება გამყიდველის მხრიდან ამ მუხლების თანახმად, მყიდველი საქონელს ფასს ვერ დააკლებს.

მუხლი 51

1. თუ გამყიდველი მყიდველს მიაწვდის მხოლოდ საქონლის ნაწილს ან და თუ მიწოდებული საქონლის მხოლოდ ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულებას, 46-50 მუხლების დებულებები გამოიყენება საქონლის დაკლებული ნაწილის მიმართ ან იმ ნაწილის მიმართ, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებას.
2. მყიდველს შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულების მთლიანად გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების ნაწილობრივი შეუსრულებლობა ან საქონლის ნაწილობრივი შეუსაბამობა ხელშეკრულებასთან არსებითად არღვევს ხელშეკრულებას.

მუხლი 52

1. თუ გამყიდველი საქონელს მიაწვდის მყიდველს დადგენილ ვადაში, მყიდველს შეუძლია მიიღოს მიწოდებული საქონელი ან უარი თქვას მის მიღებაზე.
2. თუ გამყიდველი მყიდველს მიაწვდის იმაზე დიდი რაოდენობის საქონელს, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, მყიდველს შეუძლია მიიღოს მიწოდებული საქონელი ან უარი თქვას ზედმეტი რაოდენობის მიღებაზე. თუ მყიდველი მთლიანად იღებს მიწოდებულ საქონელს ან ზედმეტი რაოდენობის ნაწილს, უნდა გადაიხადოს მასში ფასი სახელშეკრულებო განაკვეთის მიხედვით.

თავი III.

მყიდველის ვალდებულებები

მუხლი 53

მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონელში ფასი და მიიღოს მიწოდებული საქონელი დადებული ხელშეკრულების ან ამ კონვენციის შესაბამისად.

კარი I.

ფასის გადახდა

მუხლი 54

მყიდველის ვალდებულება გადაიხადოს ფასი შეიცავს ისეთ ღონისძიებებს და ისეთ ფორმალობათა დაცვას, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ხელშეკრულების თანახმად ამ კანონებისა და დანაწესების თანახმად იმისათვის, რომ შესაძლებელი გახადოს ფასის გადახდა.

მუხლი 55

იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება იურიდიულად ძალაშია, მაგრამ მასში პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დადგენილი ფასი ან არ არის გათვალისწინებული მისი დადგენის წესი, მიჩნეულია, რომ მხარეები, როდესაც არ არსებობს რაიმე სხვა მითითება, ვარაუდობდნენ იმ ფასის, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში ჩვეულებრივ გადაიხდებოდა ასეთ საქონელში, თუ ეს საქონელი იყიდებოდა ანალოგიულ ვითარებაში ვაჭრობის შესაბამის დარგში.

მუხლი 56

თუ ფასი დადგენილია საქონლის წონის მიხედვით ეჭვის შემთხვევაში იგი განისაზღვრება ნეტოს წონით.

მუხლი 57

1. თუ მყიდველი ვალდებული არ არის გადაიხადოს ფასი რომელიმე სხვა გარკვეულ ადგილას, მან უნდა გადაუხადოს ფასი გამყიდველს:

- a) გამყიდველის კომერციული საწარმოს მდებარეობის ადგილას ან,

b) თუ ფასის გადახდა უნდა მოხდეს საქონლის ან დოკუმენტების გადაცემის სანაცვლოდ - მათი გადაცემის ადგილას.

2. გადახდასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდა, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების დადების შემდეგ გამყიდველის კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის შეცვლით, ხდება გამყიდველის ხარჯზე.

მუხლი 58

1. თუ მყიდველი ვალდებული არ არის გადაიხადოს ფასი რომელიმე სხვა კონკრეტულ ვადაში, უნდა გადაიხადოს იგი მაშინ, როდესაც გამყიდველი ხელშეკრულების და ამ კონვენციის თანახმად მყიდველს გადასცემს ან თვით საქონელს, ან საქონლის განმკარგულებელ დოკუმენტებს. გამყიდველს შეუძლია განაპირობოს საქონლის ან დოკუმენტების გადაცემა ასეთი გადახდის განხორციელებით.

2. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას, გამყიდველს შეუძლია იგი გაგზავნოს იმ პირობების გათვალისწინებით, რომელთა ძალითაც საქონელი ან საქონლის განმკარგულებელი დოკუმენტები არ გადაეცემა მყიდველს სხვაგვარად, თუ არა ფასის გადახდის სანაცვლოდ.

3. მყიდველი ვალდებული არ არის გადაიხადოს ფასი მანამ, სანამ შესაძლებლობა არ მიეცემა დაათვალიეროს საქონელი, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მხარეთა მიერ შეთანხმებული მიწოდების ან ფასის გადახდის წესი შეუთავსებელია ასეთი შესაძლებლობის მოლოდინთან.

მუხლი 59

მყიდველი ვალდებული გადაიხადოს ფასი იმ დღეს, რომელიც დადგენილია ან შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ხელშეკრულების ან ამ კონვენციის თანახმად, გამყიდველის მხრივ რაიმე მოთხოვნის ან რაიმე ფორმალობის შესრულების აუცილებლობის გარეშე.

კარი II.

მიწოდებული საქონლის მიღება

მუხლი 60

მიწოდებული საქონლის მიღებასთან დაკავშირებით მყიდველის მოვალეობაა:

- a) განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელთა შესრულების მოლოდინიც გონივრული იქნებოდა, რათა გამყიდველს შესაძლებლობა მიეცეს მიაწოდოს საქონელი; და
- b) მიიღოს საქონელი.

კარი III.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში

მუხლი 61

1. თუ მყიდველი არ ასრულებს თავის რომელიმე მოვალეობას ხელშეკრულების ან ამ კონვენციის თანახმად, გამყიდველს შეუძლია :

- a) განახორციელოს 62-65 მუხლებით გათვალისწინებული თავისი უფლებები;
- b) მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, როგორც ეს გათვალისწინებულია 74-77 მუხლებში.

2. გამყიდველის მიერ თავისი უფლებების განხორციელება სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე უფლებას არ ართმევს მას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

3. არავითარი გადავადება არ შეიძლება მისცეს მყიდველს სასამართლომ ან არბიტრაჟმა, თუ გამყიდველი მიმართავს ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას.

მუხლი 62

გამყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს ფასის გადახდა, მიწოდებული საქონლის მიღება ან სხვა ვალდებულებების შესრულება, თუ გამყიდველმა არ მიმართვა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც შეუთავსებელია ასეთი მოთხოვნასთან.

მუხლი 63

1. გამყიდველს შეუძლია დაუდგინოს მყიდველს მის ვალდებულებათა შესრულებისათვის გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადა.

2. იმ შემხვევების გარდა, როდესაც გამყიდველმა მიიღო შეტყობინება მყიდველისაგან იმის შესახებ, რომ იგი ვერ ასრულებს ვალდებულებას ამ წესით დადგენილ ვადაში, გამყიდველს არ შეუძლია ამ ხნის განმავლობაში მიმართოს ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას. თუმცა გამყიდველი ამით არ გარგავს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება შესრულების ვადის გასვლის გამო.

მუხლი 64

1. გამყიდველს შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება:

a) თუ ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა მყიდველის მიერ მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას; ან

b) თუ მიიღველი არ ასრულებს 63-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად გამყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში თავის ვალდებულებას - გადაიხადოს ფასი ან მიიღოს მიწოდებული საქონელი, ანდა აცხადებს, რომ ვერ გააკეთებს ამას ამ წესით დადგენილ ვადაში.

2. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველმა გადაიხადა ფასი, გამყიდველი კარგავს უფლებას გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება, თუ არ გააკეთებს ამას:

a) მყიდველის მხრივ შესრულების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით, მანამდე სანამ გამყიდველი შეიტყოს, რომ ვალდებულება შესრულდა; ან

b) ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დარღვევასთან დაკავშირებით, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გარდა - გონივრული ვადის განმავლობაში;

i) ამას შემდეგ, რაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო ასეთი დარღვევა; ან

ii) 63-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გამყიდველის მიერ დადგენილი დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც მყიდველი განაცხადებს, რომ ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ასეთ დამატებით ვადაში.

მუხლი 65

1. თუ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა უნდა განსაზღვროს საქონლის დამახასიათებელი ფორმა, ზომა, ან სხვა მონაცემები და თუ იგი არ შეადგენს ასეთ სპეციფიკაციას შეთანხმებულ ვადებში, ან გონივრულ ვადაში გამყიდველის მიერ მიმართვის მიღების შემდეგ, ამ უკანასკნელს შეუძლია იმ სხვა ნებისმიერი უფლებების შელახვის გარეშე, რომლებიც შეიძლება მას ჰქონდეს, თვითონ შეადგინოს ეს სპეციფიკაცია მყიდველის იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც შეიძლება ცნობილი იყოს გამყიდველისათვის.

2. თუ გამყიდველი თვითონ ადგენს სპეციფიკაციას, მან დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მყიდველს მისი შინაარსის შესახებ და დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მყიდველი შესძლებს შეადგინოს სხვა სპეციფიკაცია. თუ გამყიდველისაგან მიღებული ცნობის შემდეგ მყიდველი არ

გააკეთებს ამას ასეთი წესით დადგენილ ვადაში, გამყიდველის მიერ შედგენილი სპეციფიკაცია სავალდებულო იქნება.

თავი IV. რისკის გადასვლა

მუხლი 66

საქონლის დაკარგვა ან დაზიანება მას შემდეგ, რაც რისკი მყიდველზე გადავიდა, არ ათავისუფლებს მას ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ დაკარგვა ან დაზიანება გამოწვეული არ იყო გამყიდველის მოქმედებით ან დაუდევრობით.

მუხლი 67

1. თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას და გამყიდველი ვალდებული არ არის გადასცეს იგი რომელიმე კონკრეტულ ადგილას, რისკი გადადის მყიდველზე, როდესაც საქონელი ჩაბარდება პირველ გადამზიდველს მყიდველისათვის გადასაცემად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად. თუ გამყიდველი ვალდებულია საქონელი ჩააბაროს გადამზიდველს რომელიმე კონკრეტულ ადგილას, რისკი არ გადადის მყიდველზე, სანამ საქონელი ამ ადგილზე არ ჩაბარდება გადამზიდველს. ის გარემოება, რომ გამყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს საქონლის განმკარგულებელი დოკუმენტები, არ მოქმედებს რისკის გადასვლაზე.

2. მიუხედავად ამისა რისკი არ გადადის მყიდველზე, სანამ საქონელი გარკვევით არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ხელშეკრულების მიზნებისათვის მარკირების გზით, გადასატვირთი დოკუმენტების საშუალებით, როლმლებიც ეგზავნება მყიდველს შეტყობინების გზით ან სხვაგვარად.

მუხლი 68

მყიდველი თავის თავზე იღებს რისკს საქონელთან დაკავშირებით, რომელიც გაიყიდა მისი გზაში ყოფნის დროს, იმ მომენტიდან, როდესაც საქონელი გადამზიდველს ჩაბარდა და გადამზიდველმა გასცა გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა, თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტში გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საქონელი დაკარგულია ან დაზიანებულია, და არ აცნობა ეს მყიდველს, ასეთი დაკარგვა ან დაზიანება გამყიდველის რისკს განეკუთვნება.

მუხლი 69

1. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ექვემდებარება 67-ე და 68-ე მუხლებს, რისკი გადადის მყიდველზე, როდესაც იგი მიიღებს საქონელს ან თუ არ აკეთებს ამას სათანადო ვადაში, იმ მომენტიდან, როდესაც მის განკარგულებაში გადაიცა საქონელი და იგი არღვევს ხელშეკრულებას იმით, რომ არ იღებს მიწოდებულ საქონელს.

2. მაგრამ თუ მყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი არა იმ ადგილას, სადაც მდებარეობს გამყიდველის კომერციული საწარმო, არამედ რომელიმე სხვა ადგილას, რისკი გადადის მასზე მაშინ, როდესაც დგება მიწოდების ვადა და მყიდველს შეატყობინებენ, რომ საქონელი მის განკარგულებაშია ამ ადგილას.

3. თუ ხელშეკრულება ეხება ჯერ კიდევ არაიდენტიფიცირებულ საქონელს, მიჩნეულია, რომ საქონელი არ არის მყიდველის განკარგულებაში, სანამ იგი გარკვევით იდენტიფიცირებული არ იქნება კონკრეტული ხელშეკრულების მიზნებისათვის.

მუხლი 70

თუ გამყიდველმა დაუშვა ხელშეკრულების არსებითი დარღვევა, 67-ე, 68-ე და 69-ე მუხლების დებულებები გავლენას არ ახდენს მყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ასეთ დარღვევასთან დაკავშირებით.

თავი V.

გამყიდველისა და მყიდველისათვის საერთო დებულებები

კარი I.

ხელშეკრულების მოსალოდნელი დარღვევები და ხელშეკრულებები საქონლის ცალკეულ პარტიათა მიწოდების შესახებ

მუხლი 71

1. მხარეს შეუძლია შეაჩეროს თავის ვალდებულებათა შესრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოსალოდნელია მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილის შეუსრულებლობა:

- იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად მოკლებულია ვალდებულების შესრულების უნარს ან მისი კრედიტუნარობის შედეგად, ან
- მისი მოქმედების გამო ხელშეკრულების შესრულების მოსაზრებად ან განსახორციელებლად.

2. თუ გამყიდველმა უკვე გაგზავნა საქონელი მანამ, სანამ გამომჟღავნდებოდა წინა პუნქტში აღნიშნული საფუძვლები, მას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს საქონლის გადაცემას მყიდველისათვის მაშინაც კი, როდესაც მყიდველს ხელთ აქვს დოკუმენტები, რომლებიც უფლებას აძლევს მიიღოს საქონელი. ეს პუნქტი ეხება მხოლოდ უფლებას საქონელზე მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობაში.

3. მხარემ, რომელიც აჩერებს შესრულებას მიუხედავად იმისა კეთდება ეს საქონლის გაგზავნამდე თუ მის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს მეორე მხარეს და უნდა განაგრძოს ვალდებულებათა შესრულება, თუ მეორე მხარე წარუდგენს საკმაო გარანტიებს, რომ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

მუხლი 72

1. თუ ხელშეკრულების შესრულების დადგენილ ვადამდე ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი მხარე არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებას, მეორე მხარეს შეუძლია გამოაცხადოს მისი გაუქმება.

2. თუ დრო იძლევა ამის საშუალებას, მხარემ, რომელსაც განზრახული აქვს გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრული შეტყობინება, რათა საშუალება მისცეს მას წარმოადგინოს თავისი ვალდებულებათა შესრულების საკმაო გარანტიები.

3. წინა პუნქტის მოთხოვნები არ გამოიყენება, თუ მეორე მხარემ განაცხადა, რომ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

მუხლი 73

1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის მიწოდებას ცალკეულ პარტიებად და ერთ-ერთი მხარის მიერ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ნებისმიერი პარტიის მიმართ არსებითად არღვევს ხელშეკრულებას ამ პარტიის მიმართ, მეორე მხარეს შეუძლია გამოაცხადოს ამ პარტიის მიმართ ხელშეკრულების გაუქმება.

2. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ნებისმიერი პარტიის მიმართ მეორე მხარეს აძლევს იმის გამართლებულ საფუძველს, რომ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა იქნება მომავალი პარტიების მიმართ, მას შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება მომავლისათვის იმ პირობით, რომ ამას გააკეთებს გონივრულ ვადაში.

3. მყიდველს, რომელიც აცხადებს ხელშეკრულების გაუქმებას საქონლის რომელიმე პარტიის მიმართ, შეუძლია იმავდროულად გამოაცხადოს მისი გაუქმება საქონლის უკვე მიწოდებული ან მისაწოდებელი პარტიების მიმართ თუ მათი ურთიერთკავშირის გამო ისინი გამოუყენებელია იმ მიზნისათვის, რომელსაც ითვალისწინებდნენ მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტში.

კარი II. ზარალი

მუხლი 74

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზარალი შეადგენს თანხას, რომლითაც დაზარალდა დაკარგული მოგების ჩათვლით მეორე მხარე ხელშეკრულების დარღვევის შედეგად. ასეთი ზარალი არ უნდა აღემატებოდეს ზიანს, რომელსაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ითვალისწინებდა ან უნდა გაითვალისწინებინა ხელშეკრულების დადების მომენტში, როგორც მისი დარღვევის შესაძლო შედეგი, მხედველობაში უნდა მიეღოს რა გარემოებანი, რომლებიც მაშინ იცოდა ან უნდა სცოდნოდა.

მუხლი 75

თუ ხელშეკრულება გაუქმდა და თუ მისი გაუქმების შემდეგ გონივრული წესით და გონივრულ ვადაში მყიდველმა სამაგიეროდ იყიდა საქონელი ან გამყიდველმა ხელმეორედ გაყიდა საქონელი, იმ მხარეს, რომელიც ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს, შეუძლია მოითხოვოს განსხვავება სახელშეკრულებო ფასსა და მის სამაგიერო გარიგების თანახმად დადგენილ ფასს შორის, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი ზარალის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება აზღვევინოს მეორე მხარეს 74-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 76

1. თუ ხელშეკრულება გაუქმებულია და არსებობს ამ საქონლის მიმდინარე ფასი, იმ მხარეს, რომელიც მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას, შეუძლია, თუ 75-ე მუხლის საფუძველზე არ იყიდა ან ხელმეორედ არ გაყიდა საქონელი, მოითხოვოს განსხვავება ხელშეკრულებით დადგენილ ფასსა და ხელშეკრულების გაუქმების მომენტში არსებულ მიმდინარე ფასს შორის, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი ზარალის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება აზღვევინოს მეორე მხარეს 74-ე მუხლის თანახმად. მაგრამ თუ მხარემ, რომელიც ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს, გააუქმა ხელშეკრულება საქონლის მიღების შემდეგ, ხელშეკრულების გაუქმების მომენტში არსებული მიმდინარე ფასის ნაცვლად გამოიყენება ის მიმდინარე ფასი, რომელიც არსებობს ასეთი მიღების მომენტში.

2. წინა პუნქტის მიზნებისათვის მიმდინარე ფასია ის ფასი, რომელიც ჭარბობს იმ ადგილას, სადაც უნდა მიეწოდებინათ საქონელი, ან თუ ამ ადგილას არ არსებობს მიმდინარე ფასი, ფასი ისეთ სხვა ადგილას, რომელიც გასცემს გონივრულ მაგივრობას, საქონლის ტრანსპორტირებაზე დახარჯული განსხვავების გათვალისწინებით.

მუხლი 77

მხარემ, რომელიც ხელშეკრულების დარღვევას იმოწმებს, უნდა განახორციელოს ისეთ ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ასეთ გარემოებაში ხელშეკრულების დარღვევის გამო წარმოშობილი ზარალის შესამცირებლად, დაკარგული მოგების ჩათვლით.

თუ იგი არ განახორციელებს ასეთ ღონისძიებებს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ასანაზღაურებელი ზარალის შემცირება იმ თანხით, რომლითაც იგი შეიძლებოდა შემცირებულიყო.

კარი III. პროცენტები

მუხლი 78

თუ მხარე დაუშვა ფასის ან სხვა თანხის გადახდის ვადის გადაცილება, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს პროცენტები ვადაგადაცილებული თანხიდან, 74-ე მუხლის საფუძველზე ზარალის ანაზღაურების რომელიმე მოთხოვნისათვის ზიანის მიუყენებლად.

კარი IV. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

მუხლი 79

1. მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება და რომ არაგონივრული იყო მისგან ამ დაბრკოლების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს ან ამ დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან გადალახვა.

2. თუ მხარის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მესამე პირის გამო, რომელიც მან გამოიწვია მთელი ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესასრულებლად, ეს მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ:

a) იგი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან წინა პუნქტის საფუძველზე; და
b) მის მიერ მიწვეული მესამე პირის გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისაგან, რომ შეიძლებოდა აღნიშნული პუნქტის დებულებათა გამოყენება ამ პირის მიმართ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ეს დაბრკოლება არსებობს.

4. მხარემ, რომელიც ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს დაბრკოლება და ამ დაბრკოლების გავლენა მის მიერ ხელშეკრულების შესრულების უნარზე. თუ ეს შეტყობინება მეორე მხარეს არ მიუღია გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც იგი ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო იმ მხარისათვის, რომელიც ვალდებულებას ვერ ასრულებს, ამ უკანასკნელს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია შეტყობინების მიუღებლობით.

5. ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს არც ერთ მხარეს განახორციელოს სხვა ნებისმიერი უფლება, გარდა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისა ამ კონვენციის საფუძველზე.

მუხლი 80

მხარეს არ შეუძლია დაიმოწმოს მეორე მხარის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იმდენად, რამდენადაც ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია პირველი მხარის მოქმედებით ან დაუდევრობით.

კარი V. ხელშეკრულების გაუქმების შედეგები

მუხლი 81

1. ხელშეკრულების გაუქმება ორივე მხარეს ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან, თუმცა ორივე მხარე ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. ხელშეკრულების გაუქმება არ ვრცელდება იმ დებულებებზე, რომელიც ეხება მხარეთა შორის დავის გადაჭრის წესებს ან უფლებებსა და მოვალეობებს, ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში.
2. მხარეს, რომელიც ხელშეკრულებას ასრულებს მთლიანად ან ნაწილობრივ, შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს ყოველივე იმის დაბრუნება, რაც პირველმა მხარემ მიაწოდა ან რისი ფასიც გადაიხადა ხელშეკრულების თანახმად. თუ ორივე მხარე ვალდებულია დაიბრუნოს მიღებული, მათ ეს ერთდროულად უნდა გააკეთონ.

მუხლი 82

1. მყიდველი კარგავს უფლებას ხელშეკრულება გაუქმებულად გამოაცხადოს ან მოსთხოვოს გამყიდველს საქონლის შეცვლა, თუ მყიდველისთვის შეუძლებელია საქონლის დაბრუნება არსებითად ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო.
2. წინა პუნქტი არ მიიღება:
 - a) თუ შეუძლებლობა საქონლის არსებითად იმავე მდგომარეობაში დაბრუნებისა, როგორშიც მიიღო მყიდველმა, გამოწვეული არ არის მყიდველის მოქმედებით ან დაუდევრობით;
 - b) თუ საქონელი ან საქონლის ნაწილი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა 38-ე მუხლში გათვალისწინებული დათვალისწინების შედეგად; ან
 - c) თუ საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ვაჭრობის ნორმალური წესით ან მოხმარებული იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ მისი ნორმალური გამოყენების მიზნით მანამდე, სანამ იგი აღმოაჩენდა ან უნდა აღმოეჩინა, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას.

მუხლი 83

მყიდველი, რომელმაც დაკარგა უფლება გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება ან მოსთხოვოს გამყიდველს საქონლის შეცვლა 82-ე მუხლის თანახმად, ინარჩუნებს უფლებას სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებითა და ამ კონვენციით.

მუხლი 84

1. თუ გამყიდველი ვალდებულია დააბრუნოს საფასური, უნდა გადაიხადოს აგრეთვე მისი პროცენტები, ფასის გადახდის თარიღიდან გაანგარშებით.
2. მყიდველმა უნდა გადასცეს გამყიდველს საქონლისაგან ან მისი ნაწილისაგან მიღებული მთელი შემოსავალი:
 - a) თუ იგი ვალდებულია დააბრუნოს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ; ან
 - b) თუ მისთვის შეუძლებელია საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან საქონლის დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა გამოაცხადა ხელშეკრულების გაუქმება ან მოსთხოვა გამყიდველს საქონლის შეცვლა.

კარი VI.

საქონლის შენახვა

მუხლი 85

თუ მყიდველმა დაუშვა ვადის გადაცილება საქონლის მიღებასთან დაკავშირებით ან იმ შემთხვევებში, როდესაც ფასის გადახდა და საქონლის მიწოდება ერთდროულად უნდა მომხდარიყო, თუ მყიდველი არ იხდის ფასს, ხოლო გამყიდველი ჯერ კიდევ ფლობს საქონელს, ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს მისი ფლობა, გამყიდველმა უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ისეთ ვითარებაში საქონლის შენახვის მიზნისთვის, იგი უფლებამოსილია დააკავოს საქონელი, სანამ მისი გონივრული ხარჯები კომპენსირებული იქნება მყიდველის მიერ.

მუხლი 86

1. თუ მყიდველმა მიიღო საქონელი და განზრახული აქვს გამოიყენოს თავისი უფლება და უარი თქვას მასზე ხელშეკრულების ან ამ კონვენციის საფუძველზე, მან უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ამ ვითარებაში საქონლის შენახვის მიზნისთვის. იგი უფლებამოსილია დააკავოს საქონელი, სანამ მისი გონივრული ხარჯები კომპენსირებული იქნება გამყიდველის მიერ.

2. თუ მყიდველისთვის გაგზავნილი საქონელი მის განკარგულებაში გადავიდა დანიშნულების ადგილას და იგი განახორციელებს მასზე უარის თქმის უფლებას, მყიდველი უნდა დაეუფლოს საქონელს გამყიდველის ხარჯზე იმ პირობით, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს ფასის გადახდისა და არაგონივრული უხერხულობის ან არაგონივრული ხარჯების გარეშე. ეს დებულება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ან მის ხარჯზე საქონლის მიღებისათვის რწმუნებული პირი იმყოფება საქონლის დანიშნულების ადგილას. თუ საქონელი ამ პუნქტის თანახმად გადადის მყიდველის მფლობელობაში, მისი უფლებანი და მოვალეობანი რეგულირდება წინა პუნქტის დებულებებით.

მუხლი 87

მხარეს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები საქონლის შესანახად, შეუძლია იგი ჩააბაროს მესამე პირის საწყობს მეორე მხარის ხარჯზე, თუ ამასთან დაკავშირებული ხარჯები არაგონივრული არ არის.

მუხლი 88

1. მხარეს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები საქონლის შესანახად 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, შეუძლია იგი გაყიდოს ნებისმიერი სათანადო წესით - თუ მეორე მხარემ დაუშვა არაგონივრული დაყოვნება საქონლის მის მფლობელობაში გადასვლასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ მეორე მხარეს გაეგზავნა გონივრული შეტყობინება საქონლის გაყიდვის განზრახვის თაობაზე.

2. თუ საქონელი მალე ფუჭდება, ან თუ მისი შენახვა იწვევს არაგონივრულ ხარჯებს, იმ მხარემ, რომელიც ვალდებულია შეინახოს საქონელი 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად უნდა განახორციელოს გონივრული ღონისძიებები მის გასაყიდად. შესაძლებლობის ფარგლებში მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს თავისი განზრახვა - გაყიდოს საქონელი.

3. მხარეს, რომელიც საქონელი გაყიდა, უფლება აქვს დააკავოს გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლიდან თანხა, რომელიც საქონლის შენახვასა და გაყიდვაზე გაწეული გონივრული ხარჯების ტოლია. ნაშთი მეორე მხარეს უნდა გადაეცეს.

ნაწილი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 89

ამ კონვენციის დეპოზიტარად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

მუხლი 90

ეს კონვენცია არ ეხება ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმების მოქმედებას, რომელიც უკვე დადებულია ან შეიძლება დაიდოს, და რომელიც შეიცავს დებულებებს საკითხებზე, რომლებიც ამ კონვენციის რეგულირების საგანს წარმოადგენენ იმ პირობით, რომ მხარეებს აქვთ თავიანთი კომერციული საწარმოები ასეთი შეთანხმების მონაწილე ახელმწიფოში.

მუხლი 91

- ეს კონვენცია ღიაა ხელსაწერად საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის დასკვნით სხდომაზე; იგი ღია იქნება ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოსაწერად ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში 1981 წლის 30 სექტემბრამდე.
- ეს კონვენცია ექვემდებარება მის ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.
- ეს კონვენცია ღიაა შესაერთებლად ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებსაც მასზე ხელი არ მიუწერიათ, ხელმოსაწერად გახსნის დღიდან.
- სარატიფიკაციო სიგელები, მიღების, დამტკიცებისა და შეერთების თაობაზე საბუთები შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 92

- ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის II ნაწილით ან III ნაწილით.
- ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელმაც წინა პუნქტის შესაბამისად გააკეთა განცხადება ამ კონვენციის II და III ნაწილების მიმართ, არ ითვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოდ ამ კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თვალსაზრისით კონვენციის იმ ნაწილით რეგულირებული საკითხების მიმართ, რომელზეც ეს განცხადება ვრცელდება.

მუხლი 93

- თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, სადაც მათი კონსტიტუციის შესაბამისად გამოიყენება სამართლის სხვადასხვა სისტემები ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებში, მაშინ მას შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა მის ტერიტორიულ ერთეულზე ან მხოლოდ ერთზე ან რამდენიმეზე და შეუძლია შეცვალოს თავისი განცხადება ნებისმიერ დროს სხვა განცხადების წარდგენის გზით.
- ეს განცხადებანი ეცნობება დეპოზიტარს და მასში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ტერიტორიული ერთეულები, რომლებზედაც ვრცელდება კონვენცია.

3. თუ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადებების ძალით ეს კონვენცია ვრცელდება ერთ ან რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულზე და არა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ყველა ტერიტორიულ ერთეულზე და თუ მხარეს კომერციული საწარმოები ამ სახელმწიფოში მდებარეობენ, მაშინ ამ კონვენციის მიზნიდან გამომდინარე ითვლება, რომ ეს კომერციული საწარმოები არ მდებარეობენ ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ იგი არ მდებარეობს ამ ტერიტორიულ ერთეულში, რომელზედაც ეს კონვენცია ვრცელდება.

4. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო არ აკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად, კონვენცია ვრცელდება ამ სახელმწიფოს ყველა ტერიტორიულ ერთეულზე.

მუხლი 94

1. ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლებიც ამ კონვენციის რეგულირებულ საკითხებში ანალოგიურ ან მსგავს სამართლებრივ ნორმებს იყენებენ, შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ კონვენცია არ გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ან მისი დადების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა მხარეთა კომერციული საწარმოები ამ სახელმწიფოებში მდებარეობენ. ასეთი განცხადება შეიძლება გაკეთდეს ერთობლივად ან ურთიერთცალმხრივი განცხადებებით.

2. ხელშემკვრელ სახელმწიფო, რომელიც ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებში იყენებს ერთ ან რამდენიმე ისეთ სახელმწიფოს ანალოგიურ ან მსგავს სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არ არიან ამ კონვენციის მონაწილენი, ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს რომ კონვენცია არ გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა ან მათი დადების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა მხარეთა კომერციული საწარმოები ამ სახელმწიფოებში მდებარეობენ.

3. თუ სახელმწიფო, რომლის მიმართაც კეთდება განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შემდგომ ხდება ხელშემკვრელი სახელმწიფო, მაშინ გაკეთებულ განცხადებას ახალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან აქვს პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალა იმ პირობით, რომ ეს ახალი ხელშემკვრელი სახელმწიფო შეუერთდება ასეთ განცხადებას ან გააკეთებს ურთიერთ ცალმხრივ განცხადებას.

მუხლი 95

ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის გზნ ქვეპუნქტით.

მუხლი 96

ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი იდებოდეს ან მტკიცდებოდეს წერილობითი ფორმით, ნებისმიერ დროს შეუძლია მე-12 მუხლის შესაბამისად განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-11, 29-ე ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მისი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან ოფერტი, აქცეპტი ან განზრახვის ნებისმიერი გამოხატულება ხდებოდეს წერილობით, არამედ ნებისმიერი სხვა ფორმით, არ გამოიყენება, თუნდაც ერთ რომელიმე მხარეს თავისი კომერციული საწარმო ჰქონდეს ამ სახელმწიფოში

მუხლი 97

1. ხელმოწერის დროს ამ კონვენციის შესაბამისად გაკეთებული განცხადებანი ექვემდებარება დადასტურებას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დროს.

2. განცხადებები და განცხადებათა დასტური კეთდება წერილობითი ფორმით და ოფიციალურად ეცნობება დეპოზიტარს.
3. განცხადებები ძალაში შედის შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად. მაგრამ განცხადება, რომლის თაობაზეც დეპოზიტარი ოფიციალურ შეტყობინებას იღებს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ მისი მიღების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან. 94-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული ურთიერთგაუმჯობესი განცხადებები ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ ბოლო განცხადების მიღებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.
4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ კონვენციის შესაბამისად, შეუძლია უარი თქვას მასზე ნებისმიერ დროს დეპოზიტარის სახელზე წერილობითი ოფიციალური შეტყობინების მეშვეობით. ასეთი უარი ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან განვლილი ექვსი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.
5. 94-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებაზე უარის თქმა იწვევს აგრეთვე ამ უარის ძალაში შესვლის დღიდან ნებისმიერი ურთიერთგანცხადების მოქმედების შეწყვეტას, რომელიც გააკეთა მეორე სახელმწიფომ ამ მუხლის შესაბამისად.

მუხლი 98

დაუშვებელია რაიმე დამატებითი შენიშვნა, გარდა იმათი, რომლებიც უშუალოდ არის გათვალისწინებული ამ კონვენციით.

მუხლი 99

1. ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულებათა დაცვის პირობით, ეს კონვენცია ძალაში შედის მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის, მათ შორის 92-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების შემცველი საბუთის შესანახად ჩაბარების დღიდან განვლილი თორმეტი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.
2. თუ სახელმწიფო რატიფიცირებას იღებს, ამტკიცებს ამ კონვენციას ან შეუერთდება მას მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების შემდეგ, ეს კონვენცია, მიუღებელი ნაწილის გარდა, ამ სახელმწიფოსათვის ძალაში შედის, ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულებათა დაცვის პირობით, სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების დღიდან განვლილი თორმეტი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.
3. სახელმწიფო, რომელიც არატიფიცირებს, იღებს, ამტკიცებს ამ კონვენციას ან შეუერთდება მას და რომელიც არის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა დადების თაობაზე ერთგვაროვანი კანონის შესახებ 1964 წლის 1 ივლისს ჰააგაში მიღებული კონვენციის (ჰააგის 1964 წლის კონვენცია ხელშეკრულებათა დადების შესახებ) მონაწილე, ან საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ერთგვაროვანი კანონის შესახებ 1964 წლის 1 ივლისს ჰააგაში მიღებული კონვენციის (ჰააგის 1964 წლის კონვენცია ყიდვა-გაყიდვის შესახებ) მონაწილე, ან ამ ორივე კონვენციის მონაწილე, ერთდროულად ახდენს გარემოების მიხედვით, ერთი ან ორივე კონვენციის - ჰააგის 1964 წლის კონვენციის ყიდვა-გაყიდვის შესახებ და ჰააგის 1964 წლის კონვენციის ხელშეკრულებათა შესახებ - დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.
4. ყიდვა-გაყიდვის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც არატიფიცირებს, იღებს, ამტკიცებს ამ კონვენციას ან უერთდება მას ან აკეთებს ან უკვე გააკეთა განცხადება 92-ე მუხლის შესაბამისად, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის II ნაწილით, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს ახდენს ყიდვა-გაყიდვის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.

5. ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც არატიფიცირებს, იღებს, ამტკიცებს ამ კონვენციას ან უერთდება მას ან აკეთებს ან გააკეთა განცხადება 92-ე მუხლის შესაბამისად, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის III ნაწილით, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების, ან შეერთების დროს ახდენს ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ამ კონვენციის რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ამ მასთან ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის ან ყიდვა-გაყიდვის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შეერთება ძალაში არ შედის მანამ, სანამ ძალაში არ შევა დენონსაცია, რომელიც შეიძლება მოეთხოვროთ ამ სახელმწიფოებს ბოლო ორი კონვენციის მიმართ. ამ კონვენციის დეპოზიტარი მართავს კონსულტაციას ნიდერლანდების მთავრობასთან, რომელიც 1964 წლის კონვენციების დეპოზიტარია, რათა ამასთან დაკავშირებით უზრუნველყოს საჭირო კოორდინაცია.

მუხლი 100

1. ეს კონვენცია ხელშეკრულების დასადასტურებლად გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება წამოყენებულია პირველი მუხლის პირველი პუნქტის რაღაც ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშემკვერელი სახელმწიფოებისათვის, ან პირველი მუხლის პირველი პუნქტის იხა ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშემკვერელი სახელმწიფოებისათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს ან შემდეგ.

2. ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დაიდო პირველი მუხლის პირველი პუნქტის მხოლოდ ქვეპუნქტში, ან პირველი მუხლის პირველი პუნქტის იხვ ქვეპუნქტში აღნიშნული სახელმწიფოებისათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს ან მის შემდეგ.

მუხლი 101

1. ხელშემკვერელ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის, მისი II ან III ნაწილების, დენონსირება, რისთვისაც დეპოზიტარს უნდა გაეგზავნოს ოფიციალური წერილობითი შეტყობინება.

2. დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველ დღეს. თუ შეტყობინებაში აღნიშნულია დენონსაციის ძალაში შესვლის უფრო ხანგრძლივი პერიოდი, მაშინ დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ.

შესრულებულია ვენაში ათას ცხრაას ოთხმოცი წლის თერთმეტ აპრილს ერთ ეგზემპლარად, რომლის ტექსტების ირგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტიკურია, რის დასტურადაც ქვემოთ ხელმომწერმა უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც თავიანთი მთავრობების მიერ მინიჭებული აქვთ შესაბამისი რწმუნებანი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

ცნობები საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების დამტკიცების, და მასთან შეერთების შესახებ.

ხელი მოაწერა მხოლოდ 8 სახელმწიფომ; მოახდინა რატიფიცირება, შეუერთდა და მოიწონა - 192 მა;

განცხადებები და დამატებითი შენიშვნები:

1. კონვენციის რატიფიკაციის დროს დანიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვეციის მთავრობებმა 92-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განაცხადეს, რომ ისინა არ შეიზღუდებათ კონვენციის II ნაწილით (ხელშეკრულების დადება).

2. როგორც კონვენციის რატიფიკაციის დროს უნგრეთის მთავრობამ განაცხადა, მას მიაჩნია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ორგანიზაციებს შორის საქონლის მიწოდების საერთო პირობებზე ვრცელდება კონვენციის 90-ე უხლის დებულებები.
3. კონვენციის რატიფიკაციის დროს არგენტინისა და უნგრეთის მთავრობებმა კონვენციის მე-12 და 96-ე მუხლების შესაბამისად განაცხადეს, რომ კონვენციის მე-11, 29-ე ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომლითაც დაშვებულია, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მისი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით, ან ოფერტი, აქცეპტი ან განზრახვის ნებისმიერი სხვა გამოხატულება სრულდებოდეს არა წერილობითი, არამედ ნებისმიერი ფორმით, არ გამოიყენება, თუ ერთ რომელიმე მხარესაც კი აქვს თავისი კომერციული საწარმო მათს სახელმწიფოებში.
4. კონვენციის მოწონებისას ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ მიაჩნია თავი შეზღუდულად პირველი მუხლის პირველი პუნქტის "b" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის დებულებებით, აგრეთვე კონვენციის დებულებებით, რომლებიც მე-11 მუხლის შინაარს ეხება.
5. კონვენციის რატიფიკაციის დროს აშშ-ს მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ შეიზღუდება პირველი მუხლის პირველი პუნქტის "b" ქვეპუნქტის დებულებით.
6. კონვენციის რატიფიკაციის დროს დანიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვეციის მთავრობებმა 94-ე მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტების შესაბამისად განაცხადდეს, რომ კონვენცია არ გამოიძენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა მხარეთა კომერციული საწარმოები მდებარეობენ დანიაში, ფინეთში, შვეციაში, ისლანდიაში ან ნორვეგიაში.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

ზოგადი ნაწილი # 1

მუხლი # 1 - კანონის გამოყენების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს.
2. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.
3. სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

მუხლი # 2 - მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება

1. მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.
2. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები). ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

მუხლი # 3 - პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

1. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.
2. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები - სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.
4. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ

შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

5. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.

5'. თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

7. პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

8. თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე.

9. სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.

10. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

მუხლი # 4 - მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია

1. ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა.

2. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - მარეგისტრირებელი ორგანო).

3. მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსება.

4. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია ხორციელდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით, რომელზე გაგზავნის შემდეგაც წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად) (იურიდიული მისამართი).

5. საწარმოსათვის და უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. 2010 წლის 1 იანვრიდან ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქვს იგივე ძალა, რაც საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობას.

7. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პირობები და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით" (შემდგომში - ინსტრუქცია).

მუხლი # 5 - საწარმოს რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული წესდება (პარტნიორთა შეთანხმება), რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს:

ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;

ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;

გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;

დ) საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია - მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში - მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ;

ვ) ყველა იმ შეზღუდვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას;

ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში - აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი - სრული.

3. საწარმოს რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო განცხადებასთან, წესდებასთან (პარტნიორთა შეთანხმებასთან) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმომადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე. დოკუმენტს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები, რაც დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ. რეგისტრაციისათვის ასევე წარდგენილი უნდა იქნეს ხელმძღვანელობაზე (წარმომადგენლობაზე)

უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუში (ნიმუშები), რომელსაც (რომლებსაც) ის (ისინი) სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენებს (გამოიყენებენ). ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან ხელმოწერა უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში.

4. თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

5. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

6. რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

მუხლი # 5' - საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია

1. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს). ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

2. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი. საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს მარეგისტრირებელ ორგანოში. საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისთვის საწარმოს წესდების წარდგენა სავალდებულო არ არის.

3. სააქციო საზოგადოებაში პარტნიორების (აქციონერების) და მათი წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს ცვლილებებს წესდებაში და რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

4. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება ძალაშია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი # 5'' - საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 5''' - საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

1. საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

- ა) სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;
- ბ) სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;
- გ) არ არის გადახდილი მომსახურების საფასური.

1'. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას მარეგისტრირებელი ორგანო განმცხადებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აძლევს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ აღმოიფხვრება, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

2. საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, გარდა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

3. მარეგისტრირებელი ორგანოს უარი საწარმოს რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის დებულებები ვრცელდება ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციაზე უარის თქმის მიმართ.

მუხლი # 5'4 - ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია

1. ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. განცხადებაში უნდა მიეთითოს:

- ა) განმცხადებლის სახელი;
- ბ) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;
- გ) განმცხადებლის პირადი ნომერი;
- დ) განცხადების შევსების თარიღი;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერა.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისას მან უნდა წარადგინოს სარეგისტრაციო განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილის ეკვივალენტურ მონაცემებს.

3. სარეგისტრაციო განცხადების შესავსებად პირს უფლება აქვს, გამოიყენოს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო განცხადების ფორმა ან მისი ასლი ნებისმიერ მატარებელზე.

მუხლი # 5'5 - ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 5'6 - ინდივიდუალური მეწარმის სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაცია

1. ინდივიდუალური მეწარმის სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) განმცხადებლის სახელს;
- ბ) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) განცხადების შევსების თარიღს;
- დ) განმცხადებლის ხელმოწერას.

2. ინდივიდუალური მეწარმის სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილება ძალაშია მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი # 5'7 - საწარმოს რედომიცილება

1. შესაძლებელია უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა (რედომიცილება) საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად.

2. საქართველოში რედომიცილებული საწარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით.

3. საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს უფლება აქვს, გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული საწარმოს რედომიცილება;

ბ) საწარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;

გ) საწარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

4. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რედომიცილება არის საწარმოს რეორგანიზაციის ტოლფასი და მასზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული, საწარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები.

5. უცხო ქვეყნის საწარმოს საქართველოში რედომიცილებისა და საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს უცხო ქვეყანაში რედომიცილების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი # 6 - საფირმო სახელწოდება (ფირმა)

1. საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

2. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. დამატებები დაიშვება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს "სპს"-ის დამატებით. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს "კს"-ის დამატებით. თუ სპს-ში ან კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მისი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას ამ მუხლში აღნიშნული შესაბამისი დამატებით.

4. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან შეიძლება ეს სახელწოდება იყოს ფანტაზიის ნაყოფი; მაგრამ იგი უნდა შეიცავდეს: სააქციო საზოგადოების შემთხვევაში - დამატებას "სააქციო საზოგადოება" ან "სს", ან "კოოპერაცია"; შპს-ის შემთხვევაში - დამატებას "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" ან "შპს"; კოოპერატივის შემთხვევაში - დამატებას "რეგისტრირებული კოოპერატივი" ან "რკ". იმ საწარმოს მიმართ, რომლის სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას "საზოგადოება", "საზოგადოების" ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით) სიტყვა "კომპანია". "შპს"-ის ნაცვლად შეიძლება მხოლოდ სიტყვა "კომპანიის" გამოყენება.

5. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

მუხლი # 7 - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საჯაროობა

1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაიცემა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადებისათვის "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში და საფასურის გადახდის შემთხვევაში, მზადდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე.

3. რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა.

მუხლი # 8 - მოგების განაწილება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

მუხლი # 9 - ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში - ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში - სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში - მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში - დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მეწარმე სუბიექტის მიზანს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები მეწარმე სუბიექტები არიან მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წარმომადგენლობის სახე და წესი (ინფორმაცია უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ) აღინიშნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. რეესტრში მითითებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

4. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმომადგენელ მეწარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღვეს იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც წარმომადგენელია წარმომადგენლით.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი). სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში - იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს (ირჩევს) დირექტორებს. ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული პირების მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიაღდა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში - თითოეულ პარტნიორს.

6. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი

ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით.

7. დირექტორებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებით.

8. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლებელია იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ საწარმოსთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც იმავდროულად არიან საჯარო მოსამსახურეები, მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ სათანადო ანაზღაურების გარეშე და მათი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობად.

9. თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 კვირისა, უნდა განაცხადონ ამის თაობაზე "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადება ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა, თუ ზემოხსენებული პირები ამ განცხადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით ეპყრობიან. მუხლი # 9' - პარტნიორთა საერთო კრება

1. თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

2. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შპს-ის შემთხვევაში - დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

3. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს.

4. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

5. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საკითხების გარდა, კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

ბ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

გ) შენატანების მოთხოვნა;

დ) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

ე) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ვ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ზ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

8. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

9. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

10. პარტნიორთა საერთო კრებაზე სპს-ის თითოეულ პარტნიორსა და კს-ის თითოეულ სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) აქვს თითო ხმა. კს-ის შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) ხმის უფლება არ აქვს. შპს-ის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილების პროპორციულად.

მუხლი # 10 - გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება

1. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი -ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა).

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში.

3. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის. ეს წესი შეეხება, კერძოდ, შეზღუდვას, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა და გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის, ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ანდა ცალკეულ ადგილში. პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალები იმართება სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებათა განსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ "ფილიალს" დაერთვება დამატება, რომელშიც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება.

4. პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავიანთ სახელსა და გვარს და პროკურის და სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.

5. პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.

მუხლი # 11 - სავაჭრო წარმომადგენელი, დამოუკიდებელი მოვაჭრე და კომისიონერი

საწარმოს ურთიერთობები სავაჭრო წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი # 12 - სავაჭრო მაკლერი

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 13 - ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

1. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ხორციელდება ამ სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი კანონით.

2. "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებულ საწარმოში, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საწარმოში, ან საწარმოში, რომლის პარტნიორთა რაოდენობა აღემატება 100-ს, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად იწვევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისა და პარტნიორებისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

მუხლი # 14 - ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა)

1. საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სამეთვალყურეო საბჭოს

წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

2. პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

3. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზედაც მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

4. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

5. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე აღნიშნული თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

6. ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად რეალიზაციისა ან/და საწარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

7. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

8. საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციას და საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილი პირის მიერ საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე განცხადებისა და საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

9. ლიკვიდაციის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) საწარმოს სახელწოდებას;
- ბ) საწარმოს იურიდიულ მისამართს;
- გ) ყველა პარტნიორის პირად მონაცემებს;
- დ) საწარმოს ლიკვიდატორის პირად მონაცემებს და ხელმოწერას.

10. თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხები ან ქონება

ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

10'. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა.

10". თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მას, მარეგისტრირებელი ორგანო ხარვეზის გამოსასწორებლად აძლევს ხარვეზის აღმოჩენიდან 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორების ვადაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში აისახება შენიშვნა საწარმოსათვის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ.

10"". თუ ამ მუხლის 10" პუნქტით განსაზღვრული ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა ან შეუძლებელია მისი გამოსწორება, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-3-მე-6 და მე-8 პუნქტებით დადგენილ პროცედურებს.

10'4. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება ან ქმედუუნაროდ აღიარება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.

11. პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის საწარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში წესდებით უნდა მოხდეს პარტნიორთა უფლებამოსილებების ხელახალი გადანაწილება, ამ სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

12. საწარმოებს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან ახალშექმნილი საწარმო, არის ადრინდელი საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე.

13. საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.

14. პარტნიორთა მიერ მიღებულ საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები.

სამართლებრივი ფორმის ისეთი ცვლილებისას, რომლის დროსაც საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება, ასევე თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, არ ვრცელდება ამ პუნქტში აღნიშნული გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები, ხოლო კრედიტორებს არ წარმოემოხაზება ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება. სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად.

15. შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

16. საწარმოს რეორგანიზაცია არის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველი.

17. საწარმოების გაერთიანებისა და დაყოფის რეგისტრაცია ხორციელდება საწარმოს რეგისტრაციისათვის ამ კანონით, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესის შესაბამისად წარმოშობილი სუბიექტის რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით.

18. საწარმოს რეორგანიზაციისას სავალდებულოა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტიდან დგინდება საგადასახადო ორგანოს მიმართ საწარმოს დავალიანების არსებობა, ეს არის საწარმოს რეორგანიზაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარის თქმის საფუძველი.

19. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული ლიკვიდაციის პროცესი წყდება.

20. იმ საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ლიკვიდაციის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

მუხლი # 14' - იურიდიული პირის ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე

1. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები.

2. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

მუხლი # 15 - ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

1. ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია.

მუხლი # 16 - საწარმოს ფილიალი

1. საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, რომელიც არ არის იურიდიული პირი. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

2. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებულ საწარმოს შეუძლია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად დააარსოს ფილიალი საქართველოს ტერიტორიაზე.

3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოს შეუძლია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად დააარსოს ფილიალი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

4. უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ამ კანონით დადგენილი მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

5. უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით.

6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარდგენისთანავე მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) გაატაროს რეგისტრაციაში.

მუხლი # 17 - საწარმოთა ურთიერთკავშირი (კონცერნი)

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 18 - გამოქვეყნება და კონფიდენციალობა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 19 - სამეწარმეო ამხანაგობა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 19' - წილის მესამე პირისათვის გადაცემა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 19'' - სამეწარმეო ამხანაგობის დაშლა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

კერძო ნაწილი # 2

თავი # 1 - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი # 20 - ცნება

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, - მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

2. პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით).

3. პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ.

მუხლი # 21 - პარტნიორის შეგებებული მოთხოვნა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 22 - პარტნიორთა კრება

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 23 - საზოგადოების ხელმძღვანელობა

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და საზოგადოების წესდებით.

მუხლი # 24 - პარტნიორის კონტროლის უფლება

ნებისმიერ პარტნიორს (მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

მუხლი # 25 - მოგება, ზარალი და მათი განაწილება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

2. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

მუხლი # 26 - მოგებისა და ზარალის განაწილება

მუხლი ამ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 27 - ფულის გახარჯვა პარტნიორის მიერ

მუხლი ამ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 28 - ლიკვიდაციის საფუძველები

მუხლი ამ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 29 - ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით

მუხლი ამ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 30 - წილი კაპიტალის გასხვისება

მუხლი ამ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 31 - პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან

1. პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით, ამ კანონის მე-14 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

2. თუ სპს-ის პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება ამ კანონის მე-14 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

მუხლი # 32 - ურთიერთობანი საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემდეგ

1. საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე.

2. დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

მუხლი # 33 - პარტნიორის გარდაცვალება

1. პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ შემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა.

2. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე შემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა შემკვიდრებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

თავი # 2 - კომანდიტური საზოგადოება

მუხლი # 34 - ცნება

1. კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება - შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის - სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

2. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, - მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

4. კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების, მასში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს).

5. თუ სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოდან გადის ყველა შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი), ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება ამ კანონის მე-14 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

მუხლი # 35 - კონკურენციის აკრძალვა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 36 - შეზღუდული პარტნიორების (კომანდიტების) კონტროლის უფლება

1. შეზღუდულ პარტნიორებს (კომანდიტებს) უფლება აქვთ, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით შეამოწმონ წლიური ანგარიშის სისწორე.

2. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტების წარდგენა.

მუხლი # 37 - საზოგადოების ხელმძღვანელობა

1. შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების (კომპლემენტარების) მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. თუ ერთ-ერთ შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) საწარმოს წესდებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების მიხედვით.

მუხლი # 38 - მოგება, ზარალი და მათი განაწილება

1. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

2. მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობის და განაწილების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

3. შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს მხოლოდ თავისი შენატანით, ხოლო თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულად შეტანამდე, - ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც.

მუხლი # 39 - მოგებისა და ზარალის განაწილება

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 40 - შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) მიერ მოგების გამოყენება

1. თუ წესდებით ან ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

2. შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

მუხლი # 41 - შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) პასუხისმგებლობა

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება წესდებაში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია. სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

მუხლი # 42 - პასუხისმგებლობა კომინდიტად შესვლის დროს

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 43 - შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა

1. შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

2. წილის დათმობისას საჭიროა ნოტარიალურად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულება.

თავი # 3 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი # 44 - ცნება

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

2. საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

მუხლი # 45 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

მუხლი # 46 - პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი

1. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით).

2. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული.

3. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული.

4. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

მუხლი # 47 - საწარმოს მართვა

1. საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

3. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

4. მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით.

5. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 48 - სამეთვალყურეო საბჭო

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 49 - დირექტორები

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 50 - წლიური შედეგები

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.

თავი # 4 - სააქციო საზოგადოება

მუხლი # 51 - ცნება. საზოგადოების აქციათა რეესტრი

1. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

3. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია, აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

4. იმ საწარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი აწარმოებს, ხდება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი # 52 - აქციათა სახეები (კლასები). აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

1'. გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოებამ შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც.

ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში - ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე. აქციების განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლა, ასევე წესდებით გათვალისწინებული ამ კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია.

2. რომელიმე კლასის აქციის (გარდა "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქაღალდისა) გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. აქციათა გადაცემაზე საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე.

3. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

მუხლი # 53 - აქციონერთა უფლება-მოვალეობები

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

2. აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3'. აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

3". აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

3'''. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩაატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (ამ მუხლის 31 პუნქტის შესაბამისად) უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს 1 თვისა.

3'4. თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (კრების ინიციატორები) მიმართავენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის დირექტორის (დირექტორების), მათ შორის, იმ დირექტორის, რომელიც არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გადაყენების მოთხოვნა, მაშინ კრება ტარდება ამ პუნქტით გათვალისწინებული წესების მიხედვით.

თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს).

ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ კრება არა უადრეს პირველი კრების მოწვევიდან 20 დღისა. კრების ინიციატორები ხელახალ რიგგარეშე კრებას მოიწვევენ ამ პუნქტით დადგენილი წესით. ეს კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

35. ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

4. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე.

5. თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა.

მუხლი # 53' - საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

1. აქციონერს უფლება აქვს, ამ მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას. საზოგადოების წესდება

შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა. ასეთი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

ა) აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;

ბ) აქციონერმა ეს აქციები შეიძინა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

4. აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

5. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

6. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

7. აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს;

ბ) გამოსყიდვის მომენტში საწარმო აკმაყოფილებს "გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

8. თუ გამოსასყიდად შეთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს დაშვებულია ამ მუხლის მე-7 პუნქტით, ისინი გამოსყიდული უნდა იქნეს სხვადასხვა გამყიდველისაგან პროპორციულ საფუძველზე.

9. საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები (სახაზინო აქციები) და შემდგომში გაასხვისოს თავისი შეხედულებისამებრ. სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული. ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისთვის (შემთხვევებში) საზოგადოების მფლობელობაში არსებული სახაზინო და შვილობილი საწარმოს კუთვნილი აქციები მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი # 53" - სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

1. თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფი (ამ მუხლის მიზნებისთვის - "მყიდველი") შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს

მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს, თუ:

ა) სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტი მყიდველის ხელში აღმოჩნდა "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული სატენდერო შეთავაზებით, რომელშიც ის ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვას სთავაზობდა სხვა აქციონერებს;

ბ) პირი აღნიშნულ აქციებს ფლობს სხვა პირის ან პირების სასარგებლოდ, მათ შორის, საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების გაცემის მიზნით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება ეკისრება პირს ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ პირთა ჯგუფს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს.

2. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა დაადგინოს აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში. აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დადგინდა. აუდიტორის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. იგი ასევე ვალდებულია, თავის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია აქციების ყიდვის თაობაზე მიაწოდოს აუდიტორს ან საბროკერო კომპანიას. აუდიტორი ან საბროკერო კომპანია მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან მიაყენა აქციონერს დაუდევრობით ან განზრახ არასწორი შეფასებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე მყიდველს არა აქვს მისი კონტროლის ქვეშ არსებული, 50%-ზე მეტი ხმების საერთო კრებაზე გამოყენების უფლება.

მუხლი # 53''' - აქციათა სავალდებულო მიყიდვა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი # 53'4 - აქციათა სავალდებულო მიყიდვა

1. თუ აქციების შემენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისთვის - "მყიდველს") უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით.

3. მყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 1 თვისა ამ კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ.

4. რეესტრის მწარმოებელი პირი (ამ მუხლის მიზნებისთვის - "რეგისტრატორი") სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა. რეგისტრატორი ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართის და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით ("გამოსყიდვის რეესტრს") და მყიდველის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებათა

დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე ყველა აქციას გადააფორმებს მყიდველის სახელზე. რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

მუხლი # 54 - საერთო კრება

1. თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში - აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

1'. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

2. სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი, ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

3. აქციონერს შეუძლია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

4. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

5. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი

(პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებასთან, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებასთანაა წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

6. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის- შემთხვევაში);

დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას - მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია ამ კანონით);

ვ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

ზ) დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

თ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ი) აირჩიოს აუდიტორი;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას.

წესდებით შეიძლება ამ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებები გადანაწილდეს სამეთვალყურეო საბჭოზე ან/და დირექტორზე (დირექტორებზე).

7. თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ამ მუხლის მე-6 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად - დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.

8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

მუხლი # 55 - სამეთვალყურეო საბჭო

1. თუ სააქციო საზოგადოება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

1'. სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.

1". სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადადღე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები). კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის წესები განისაზღვრება "კომერციული ბანკების შესახებ" საქართველოს კანონით. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭოში დირექტორები არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას.

3. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

4. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი - ერთი სხვა წევრით.

6. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მისი მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

7. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და

რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ვ) ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს;

ვ') იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

7'. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი.

7''. დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა) საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

ბ) ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

დ) ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

ე) დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;

ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ზ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

ი) საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კ) ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საზოგადოების ქონების შემენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

მ) იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

9. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანხმობის გაუცემლობის შესახებ ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების წლიურ ანგარიშში, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი # 56 - დირექტორები

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს.

2. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

3. სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები. დირექტორები არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ.

4. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

მუხლი # 57 - ანგარიში სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. მოგების გამოყენება

1. დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათი წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

2. არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

3. აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს დირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

მუხლი # 58 - რევიზია

მუხლი ა მ ო ღ ე ბ ლ ი ა .

მუხლი # 59 - კაპიტალის გაზრდა ახალი აქციების გამოშვების გზით ან აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით

1. აქცია განთავსებულად ითვლება, თუ ის გაცემულ იქნა საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის გარკვეული თანხის ან სხვა საზღაურის სანაცვლოდ (მიუხედავად იმისა, ეს საზღაური მიღებული აქვს საზოგადოებას თუ არა).

2. იმ აქციების მიმართ, რომლებიც განთავსებულია ან/და რომლებზედაც საერთო კრების მიერ უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განთავსების შესახებ, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ტერმინი "გამოშვებული აქციები".

3. აქცია ნებადართულად (განცხადებულად) ითვლება, თუ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი მომავალში შესაძლო განთავსების შესახებ. ნებადართული აქციების მაქსიმალური რაოდენობა და კლასი უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში.

4. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგენილ იქნეს ის პირობები, რომელთა შესაბამისადაც კრების მიერ უფლებამოსილი ორგანო (საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო ან/და დირექტორი) უზრუნველყოფს ახალი აქციების განთავსებას.

5. ნებადართული აქციების ფარგლებში ახალი აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კრების მიერ უფლებამოსილი ორგანო. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს აქციების რაოდენობასა და კლასს. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება შეიცავდეს აქციების განთავსების ვადებს, მინიმალურ ფასს ან/და სხვა დამატებით პირობებს.

6. აქციათა განთავსებას ახორციელებს დირექტორი (ან სხვა უფლებამოსილი პირი ან ორგანო).

7. საერთო კრების გადაწყვეტილება შესაძლოა ასევე განსაზღვრავდეს, რომ მის მიერ დადგენილი პირობებით აქციების განუთავსებლობის შემთხვევაში განუთავსებელი აქციები გაუქმებულ იქნეს, რაც ნიშნავს ნებადართული აქციების რაოდენობის შემცირებას გაუქმებული აქციების რაოდენობით. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება საზოგადოების წესდებაში, რაც არ მოითხოვს საერთო კრების გადაწყვეტილებას.

8. აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვება შეიძლება კაპიტალის გაზრდით, ამ მუხლის შესაბამისად. საერთო კრებამ ან წესდებით განსაზღვრულმა სხვა უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება განსაზღვროს კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვების სხვა გზა.

თავი # 5 - კოოპერატივი

მუხლი # 60 - ცნება

60.1. კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

ა. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;

ბ. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

გ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რევიზიაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);

დ. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;

ე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწვისათვის აუცილებელი მატერიალურტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;

ვ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;

ზ) სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით;

თ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - საკრედიტო კავშირები.

60.2. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

60.3. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

მუხლი # 61 - პაი. კოოპერატივში გაწევრიანება

1. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

2. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

3. განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით.

მუხლი # 62 - წევრის გასვლა კოოპერატივიდან

1. ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. კოოპერატივიდან გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება წესდებით.

2. გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის ბალანსის საფუძველზე. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, მაშინ საფუძველად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წევრის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში; კოოპერატივის რეზერვებისა და სხვა ქონების მიმართ მას, თანახმად ამ მუხლის მე-3 აბზაცისა, არა აქვს მოთხოვნის უფლება.

თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება, რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა წევრმა კოოპერატივს უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი დაიანგარიშება კოოპერატივის წევრთა რაოდენობის მიხედვით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა შეიძლება დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წევრად ყოფნის სტაჟზე ან შესაძლოა წესდება სხვა პირობებსა და მოთხოვნის შეზღუდვებს ითვალისწინებდეს.

3. კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უდგენდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს.

პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი გამსხვისებელ წევრთან. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

4. კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელოს ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით დადგენილ ვადებში.

მუხლი # 63 - საერთო კრება

1. კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი.

3. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება.

4. წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს თავისი ხმის უფლება. ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას ახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებათა ხმის უფლებას - წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკურ პირთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად.

5. არავის არა აქვს უფლება, თავისთვის ან სხვა პირისთვის განახორციელოს ხმის უფლება, თუ არსებობს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსმენილ იქნეს მისი ან მისი წარმომადგენლის ანგარიში, ან რომ უნდა განთავისუფლდეს ვალდებულებებისაგან, ან რომ კოოპერატივმა პრეტენზიები უნდა წამოაყენოს მისი ან ამ შეცვლილი წევრის მიმართ.

6. საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილი. საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეული უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.

7. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა 1/10 ან წესდებაში საამისოდ აღნიშნული უფრო მცირე ნაწილი მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზედაც აქვს კოოპერატივს იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

8. საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა 3 კვირის ვადაში საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ანდა წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით.

საერთო კრების დღის წესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ გამოცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ.

9. საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები. ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება, გაეცნოს საოქმო ჩანაწერს. ოქმი ინახება კოოპერატივში.

10. საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში.

წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე უნდა გამოიკრას კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას, რათა წევრები გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის შესახებ მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

11. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამასთანავე, გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) სხვა რამ არ არის მითითებული):

- ა) პაის გაზრდა;
- ბ) რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- გ) დამატებითი შესატანის შეტანის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;
- დ) რეზერვებში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- ე) რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება;
- ვ) პაის დაყოფა;

წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) იმ ცვლილებისათვის, რომლითაც შემოღებული ან გაფართოებულია წევრის მოვალეობა კოოპერატივის მოწყობილობების ან სხვა საქმიანობის გამოყენების ანდა სამსახურის შემოღების შესახებ, საჭიროა ხმების 9/10-ის უმრავლესობა. წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. კოოპერატივის ადგილსამყოფლის მიხედვით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციამდე გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს.

მუხლი # 64 - წარმომადგენელთა კრება

1. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებით განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება.

2. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

3. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ.

4. წარმომადგენლები აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით; არჩევნებისას წევრთა წარმომადგენლობისათვის შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი. პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით.

წესდებით უნდა განისაზღვროს:

- ა) რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- ბ) წარმომადგენლობის დრო.

სხვა, უფრო დაწვრილებითი დებულებები არჩევნების წესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად.

5. ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეული უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი განთავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად წარმომადგენელთა არჩევნებისათვის დადგენილი წესებით, უფლებამოსილების იმავე ვადით.

6. არჩეულ წარმომადგენელთა და არჩეულ სათადარიგო პირთა სია 2 კვირის განმავლობაში უნდა იყოს გამოკრული კოოპერატივის ოფისში, რათა წევრები გაეცნონ მას. ამის შესახებ უნდა გამოცხადდეს საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან წესდებით განსაზღვრულ გაზეთში. სიის გამოკვრის ვადის ათვლა იწყება გამოქვეყნების დღიდან. ყოველ წევრს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სიის ასლი.

მუხლი # 65 - სამეთვალყურეო საბჭო

1. კოოპერატივს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არ უმეტეს 15 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ, საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 3/4.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები.

გამგეობიდან გასული წევრები მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად.

3. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმეების წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და წლიური მოგების განაწილების წინადადებები. შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ კანონით დადგენილი წესით უნდა მოიწვიოს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

4. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

მუხლი # 66 - გამგეობა. დირექტორები

1. კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ 2 დირექტორისაგან (გამგეობის წევრებისაგან). დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

2. დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

3. სხვა შემთხვევებში გამოიყენება ამ კანონის მე-9 მუხლი.

მუხლი # 67 - წლიური ანგარიში

კოოპერატივის წლიური ანგარიშის შემოწმებისას შესაბამისად გამოიყენება მუხლი 58.

მუხლი # 68 - მოგებისა და ზარალის განაწილება

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი - მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

თავი # 6 - გარდამავალი დებულებანი

მუხლი # 69 - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. 2008 წლის 15 აპრილამდე მოქმედი საწარმოები აგრძელებენ საქმიანობას და მათი ხელახალი რეგისტრაცია ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით არ მოითხოვება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ფორმები და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ელექტრონული ფორმით.

3. იმ საწარმოებზე, რომელთა მიმართაც 2008 წლის 15 აპრილისათვის დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი, არ ვრცელდება ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი წესები.

4. საწარმოთა იმ წილების მიმართ, რომლებზედაც 2008 წლის 10 მაისამდე არსებული წესით იქნა დარეგისტრირებული გირავნობა სამეწარმეო რეესტრში, გირავნობა გავრცელდება 2008 წლის 10 მაისამდე არსებული წესით მანამ, სანამ არ მოხდება გირავნობის გაუქმება ან მოგირავნესთან შეთანხმებული წესით გირავნობის ხელახალი რეგისტრაცია ამ კანონის შესაბამისად.

5. საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს რედომიცილებისათვის საჭირო წესები და პროცედურები.

6. საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი "საწესდებო კაპიტალი" შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 10 აგვისტომდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტები შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელთა საფუძველზედაც ტერმინი "საწესდებო კაპიტალი" ჩანაცვლდება სათანადო ტერმინით.

მუხლი # 70 - სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია

1. სახელმწიფო ან ადგილობრივმა თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა 1999 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა (სახელმწიფოს ასპროცენტისანი წილობრივი მონაწილეობით) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. რეორგანიზების შედეგად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს სახაზინო საწარმოს უფლებამონაცვლეს.

3. არსებულმა სახაზინო საწარმოებმა რეორგანიზების პერიოდში ახალი ვალდებულებები შეიძლება იკისრონ მხოლოდ დამფუძნებელ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით. იგივე წესი გამოიყენება უძრავი ნივთების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შემთხვევაში.

მუხლი # 71 - ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის გადასახდელი

ამ კანონის 5' მუხლის მე-15 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.

**საერთაშორისო ხელშეკრულებები
ინტელექტუალური საკუთრების სფეროში**

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010
ლექციათა კურსი კერძო სამართალში
(ნაწილი II)

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია

მიღებულია 1886 წლის 9 სექტემბერს

შევსებულია პარიზში 1896 წლის 4 მაისს; გადასინჯულია ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს; შევსებულია ბერნში 1914 წლის 20 მარტს; გადასინჯულია – რომში 1928 წლის 2 ივნისს, ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს, სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და პარიზში 1971 წლის 24 ივლისს და შეცვლილია 1979 წლის 28 სექტემბერს

კავშირის ქვეყნებმა, რომლებიც ერთნაირად არიან განმსჭვალულნი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების შემღებობისდაგვარად ეფექტურად და ერთგვაროვნად დაცვის სურვილით,

აღიარებენ რა კონვენციის გადასინჯვის მიზნით 1967 წელს სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას, გადაწყვიტეს გადასინჯონ სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებული აქტი, ამ აქტის 1–20 და 22–26 მუხლების უცვლელად დატოვებით.

აქედან გამომდინარე, ქვემოთ ის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს თავიანთი სრული უფლებამოსილებანი შესაბამისი ფორმით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

[კავშირის დაარსება]

ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დასაცავად მათ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე.

მუხლი 2

[დაცული ნაწარმოებები: 1. “ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები”; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. წარმოებული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო ნიმუშები; 8. ახალი ამბები]

გამოთქმა “ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები” მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა: წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნაწარმოებები; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები და მოცულობითი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.

მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დააწესოს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ან მათი გარკვეული კატეგორიები არ ექვემდებარება დაცვას, თუ ისინი არ არის დაფიქსირებული რაიმე მატერიალური ფორმით.

(3) თარგმანები, ადაპტაციები, მუსიკალური არანჟირებები და ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა სახეცვლილებები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შელახვის გარეშე.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს დაცვა, რომელიც ენიჭება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალურ ტექსტებსა და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების კრებულები, მაგალითად ენციკლოპედიები და ანთოლოგიები, რომლებიც მასალის შერჩევასა და განლაგების გამო, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, დაცულია როგორც ასეთი, ამგვარი კრებულების შემადგენელი თითოეული ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღვის გარეშე.

(6) ამ მუხლში აღნიშნული ნაწარმოებები სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა მოქმედებს ავტორისა და მისი უფლებამონაცვლების სასარგებლოდ.

ამ კონვენციის მუხლის 7(4) დებულებების გათვალისწინებით, კავშირის ქვეყნებს რჩებათ უფლება გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის და სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისათვის განსაზღვროს მათი კანონების გამოყენების ფარგლები, ასევე, ამგვარი ნაწარმოებების, ნიმუშებისა და მოდელების დაცვის პირობები. ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია მხოლოდ, როგორც ნიმუშები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში აქვს მხოლოდ, ისეთი სპეციალური დაცვის უფლება, როგორც ენიჭება ამ ქვეყანაში ნიმუშებსა და მოდელებს. თუმცა, თუ ამ ქვეყანაში არ ხდება ასეთი სპეციალური დაცვის მინიჭება, ეს ნაწარმოებები დაიცვება, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე ან სხვადასხვა ფაქტებზე, რომელთაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს.

მუხლი 2^{bis}

[გარკვეული ნაწარმოებების დაცვის შესაძლო შეზღუდვა: 1. გარკვეული გამოსვლები; 2. ლექციებისა და მიმართვების გარკვეული გამოყენება; 3. ამგვარი ნაწარმოებების კრებულების შედგენის უფლება]

კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვიდან სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხოს პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიცეს ეთერით, გადაიცეს საყოველთაო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საყოველთაო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციის 11^{bis} მუხლის (1) პუნქტში, როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

მიუხედავად ამისა, ავტორი სარგებლობს წინა პუნქტებში მითითებული, თავისი ნაწარმოებების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით.

მუხლი 3

[დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები: 1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი; 2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი; 3. “გამოქვეყნებული” ნაწარმოებები; “ერთდროულად გამოქვეყნებული” ნაწარმოებები]

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება:

ავტორებზე, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების მიმართ.

ავტორებზე, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ამ ქვეყანაში, ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც არ არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისთვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) “გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში” იგულისხმება ავტორების თანხმობით გამოქვეყნებული ნაწარმოებები, მიუხედავად ეგზემპლარების დამზადების საშუალებებისა იმ პირობით, თუ ამ ეგზემპლარების რაოდენობა, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს. გამოქვეყნებად არ ჩაითვლება რამატული, მუსიკალურ-დრამატული, კინემატოგრაფიული ნაწარმოების ან მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო წაკითხვა, ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების გადაცემა სადენით ან ეთერის საშუალებით, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულად მიიჩნევა, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 4

[კინემატოგრაფიული ნაწარმოებების, არქიტექტურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების გარკვეული ნაწარმოებებისათვის დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები]

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ სრულდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები, ვრცელდება:

იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;

იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც აგებულია კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ან ხელოვნების იმ სხვა ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც შეადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

მუხლი 5

[გარანტირებული უფლებები: 1. და 2. წარმოშობის ქვეყნის გარეთ; 3. წარმოშობის ქვეყანაში; 4. "წარმოშობის ქვეყანა"]

(1) ამ კონვენციით დაცული ნაწარმოებების მიმართ ავტორები, კავშირის ქვეყნებში, ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის გარდა, სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ ამჟამად და შესაძლოა მიენიჭოთ მომავალში მათ მოქალაქეებს ქვეყნის შესაბამისი კანონებით, ასევე, ამ კონვენციით სპეციალურად მინიჭებული უფლებებით.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულებაზე; ასეთი სარგებლობა და გამოყენება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორის უფლებების დასაცავად მინიჭებული ზიანის ანაზრაურების საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც მას კონვენციით ენიჭება დაცვა, ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.

წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა:

კავშირის რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების შემთხვევაში, – ეს ქვეყანა; ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ანიჭებენ, – ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;

ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, – ეს უკანასკნელი ქვეყანა;

იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული, ან ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, კავშირის რომელიმე ქვეყანაში ერთდროულად გამოქვეყნების გარეშე, – ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი, იმ პირობით, რომ:

კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა, და კავშირის ქვეყანაში აგებული არქიტექტურული ნაწარმოებების ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყანა არის ეს ქვეყანა.

მუხლი 6

[დაცვის შესაძლო შეზღუდვა გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებიც არ შედიან კავშირში: 1. პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უკუმაღის არარსებობა; 3. შეტყობინება]

(1) თუ რომელიმე ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც არიან კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს იმ ავტორთა ნაწარმოებებისთვის მინიჭებული დაცვა, რომლებიც პირველი გამოქვეყნების თარიღისათვის არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები და არ აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ პირველი გამოქვეყნების ქვეყანა ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნებს არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებულ ნაწარმოებებს მიანიჭონ იმ დაცვაზე უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მათ აქვთ მინიჭებული პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში.

(2) წინა პუნქტით დადგენილი არანაირი შეზღუდვა არ ახდენს გავლენას იმ უფლებებზე, რომლებიც შემძენილი აქვს ავტორს კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებული ნაწარმოების მიმართ, ასეთი შეზღუდვის ძალაში შესვლამდე.

კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად ზღუდავენ საავტორო უფლებების მინიჭებას, ამის შესახებ აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ – “გენერალური დირექტორი”) წერილობითი დეკლარაციით, რომელშიც განსაზღვრულია ის ქვეყნები, რომელთა მიმართაც იზღუდება დაცვა, ასევე, შეზღუდვები, რომლებსაც ექვემდებარება იმ ავტორთა უფლებები, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქეები არიან. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა ქვეყანას ამ დეკლარაციის შესახებ.

მუხლი 6^{bis}

[არაქონებრივი უფლებები: 1. ავტორად აღიარების მოთხოვნა; შედაგება გარკვეულ ცვლილებებსა და სხვა დამრღვევ ქმედებებთან დაკავშირებით; 2. ავტორის გარდაცვალების შემდეგ; 3. ზიანის ანაზღაურების საშუალებები]

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას.

წინა პუნქტის შესაბამისად ავტორისათვის მინიჭებული უფლებები ინარჩუნებს ძალას მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე და ხორციელდება იმ პირების ან დაწესებულებების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მომენტში, არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფენ წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას, შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთი ეს უფლება შეწყდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ზიანის ანაზღაურების საშუალებები ამ მუხლით მინიჭებული უფლებების უზრუნველსაყოფად რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

მუხლი 7

[დაცვის ვადა: 1. ზოგადი დებულება; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისთვის; 3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის; 4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის; 5. ათვლის დაწყების თარიღი; 6. უფრო ხანგრძლივი ვადები; 7. უფრო ხანმოკლე ვადები; 8. გამოსაყენებელი კანონი; ვადების "შედარება"]

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის მთელ პერიოდსა და ორმოცდაათ წელს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) მიუხედავად ამისა, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მერე, რაც ნაწარმოები ავტორის თანხმობით ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, ან _ თუ ასეთი ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ვერ განხორციელდა, _ ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, შემდეგ მას მერე რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. თუმცა, თუ ავტორის ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს მის ვინაობასთან დაკავშირებით, დაცვის ვადა შეადგენს (1) პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდს. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, გამოიყენება (1) პუნქტით დადგენილი დაცვის ვადა. კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით შესრულებული ნაწარმოებები, რომელთა მიმართაც არსებობს სრული საფუძველი ვარაუდისა, რომ მათი ავტორის გარდაცვალებიდან გასულია ორმოცდაათი წელი.

(4) ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ვადა განისაზღვრება კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით იმდენად, რამდენადაც ისინი დაცულია, როგორც მხატვრული ნაწარმოებები; თუმცა, ეს ვადა უნდა გაგრძელდეს ნაწარმოების შექმნიდან, სულ მცირე, ოცდახუთწლიანი პერიოდის ბოლომდე.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და (2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები აითვლება ავტორის გარდაცვალების ან ამ პუნქტებში მითითებული მოვლენის თარიღიდან, მაგრამ ასეთი ვადების ათვლის თარიღად ყოველთვის მიიჩნევა ავტორის გარდაცვალების ან ასეთი მოვლენის შემდგომი წლის 1 იანვარი.

(6) კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც აღემატება წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები ამ კონვენციის რომის აქტით, და რომლებიც ამ აქტის ხელმოწერის დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ანიჭებენ დაცვის უფრო ხანმოკლე ვადებს, ვიდრე წინა პუნქტებშია გათვალისწინებული, უფლება აქვთ, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს, ძალაში დატოვონ ეს ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ ვადას.

მუხლი 7^{bis}

[თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა]

წინა მუხლის დებულებები გამოიყენება, ასევე, თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ვადები, რომლებიც განისაზღვრება ავტორის გარდაცვალების დროიდან, აითვლება უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი ავტორის გარდაცვალების დღიდან.

მუხლი 8

[თარგმნის უფლება]

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების დაცვის მთელი ვადის განმავლობაში, სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით თავისი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნაზე ნებართვის გაცემის. AA

მუხლი 9

[რეპროდუცირების უფლება: 1. ზოგადი დებულება; 2. შესაძლო გამონაკლისები; 3. ხმისა და გამოსახულების ჩანაწერები]

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ ამ ნაწარმოებების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუცირებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუშვას ასეთი ნაწარმოებების რეპროდუცირება იმ პირობით, თუ ასეთი რეპროდუცირება არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

ამ კონვენციის მიზნებისთვის ხმის ან გამოსახულების ნებისმიერი ჩანაწერი მიიჩნევა რეპროდუცირებად.

მუხლი 10

[ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეული შემთხვევები: 1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სწავლების მიზნით; 3. წყაროსა და ავტორის მითითება]

(1) დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის სტატეების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით..

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით და მათ შორის უკვე არსებული ან მომავალში დადებული სპეციალური შეთანხმებებით, შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ილუსტრაციის სახით გამოყენება დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით, სასწავლო ხასიათის გამოცემებში, საეთერო გადაცემებში, ან ხმის ან გამოსახულების ჩანაწერებში, იმ პირობით, თუ ასეთი გამოყენება თავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების თანახმად ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი, თუ ის აღნიშნულია ამ წყაროში.

მუხლი 10^{bis}

[ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები: 1. გარკვეული სტატიებისა და ეთერით გადაცემული ნაწარმოებების; 2. მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას ნაჩვენები ან გაჟღერებული ნაწარმოებები]

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება დაუშვას მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ საკითხებზე გაზეთებში ან პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა და ეთერით გადაცემული ამავე ხასიათის ნაწარმოებების პრესის საშუალებით რეპროდუცირება, ეთერით გადაცემა ან სადენით საყოველთაოდ გაცნობა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ რეპროდუცირებასთან, ეთერით გადაცემასა ან საყოველთაოდ გაცნობასთან დაკავშირებით არ არსებობს საგანგებო დათქმები. თუმცა, ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული წყარო; ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერით გადაცემის ან სადენით საყოველთაოდ გაცნობის საშუალებით, მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, რეპროდუცირებულ იქნეს და საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გახდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას.

მუხლი 11

[გარკვეული უფლებები დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე: 1. საჯარო შესრულების და შესრულების საყოველთაოდ გაცნობის უფლება; 2. თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ: თავიანთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე, ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო შესრულების ჩათვლით; საყოველთაოდ გაცნობის მიზნით, თავიანთი ნაწარმოებების შესრულების ნებისმიერი ხერხით გადაცემაზე.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორები ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების სრული ვადის განმავლობაში.

მუხლი 11^{bis}

[ეთერით გადაცემა და მასთან დაკავშირებული უფლებები: 1. ეთერით გადაცემა და სხვა სახის უსადენო გადაცემები, საეთერო გადაცემის საყოველთაოდ გაცნობა სადენით ან ეთერით ხელახალი გადაცემის საშუალებით, საეთერო გადაცემის საყოველთაოდ გაცნობა ხმამაღლამოლაპარაკის ან ანალოგიური ხელსაწყოების მეშვეობით; 2. იძულებითი ლიცენზიები; 3. ჩაწერა; ჩანაწერები ხანმოკლე გამოყენებისათვის]

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

- (i) თავიანთი ნაწარმოებების ეთერით გადაცემაზე, ან ამ ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობაზე ნიშნების, ხმების ან გამოსახულებების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით;
- (ii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების ნებისმიერ საყოველთაო გაცნობის სადენით ან ეთერით რეტრანსლიაციის მეშვეობით, თუ მას ახორციელებს არა პირვანდელი, არამედ სხვა ორგანიზაცია;
- (iii) ეთერით გადაცემული ნაწარმოების საყოველთაო გაცნობაზე ხმამაღლამოლაპარაკით, ნიშნების, ბგერების ან გამოსახულებების გადამცემი ნებისმიერი სხვა ანალოგიური ხელსაწყოს მეშვეობით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება წინა პუნქტში გათვალისწინებული უფლებების განხორციელების პირობები, თუმცა პირობები იმოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი იქნა დადგენილი. ეს პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ავტორის არაქონებრივ უფლებებსა და სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს კომპეტენტური ორგანო.

(3) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვა, არ გულისხმობს ეთერით გადაცემული ნაწარმოების ჩაწერის ნებართვას ბგერებისა ან გამოსახულებების ჩაწერი ხელსაწყოების მეშვეობით. თუმცა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერების შესრულების წესები, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია საკუთარი მოწყობილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისთვის. ამგვარი კანონმდებლობით შესაძლებელია ნებადართული იყოს ოფიციალურ არქივებში ასეთი ჩანაწერების შენახვა მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო.

მუხლი 11^{ter}

[გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე: 1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და წაკითხვის საყოველთაო გაცნობის უფლება; 2. თარგმანებთან დაკავშირებით]

(1) ლიტერატურის ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

- (i) თავიანთი ნაწარმოებების საჯარო წაკითხვაზე, მათ შორის ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით განხორციელებული საჯარო წაკითხვის ჩათვლით;
- (ii) თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი წაკითხვის საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო გადაცემაზე.

(2) ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები თავიანთი ნაწარმოებების თარგმანებთან დაკავშირებით ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

მუხლი 12

[ადაპტაციის, არანაწარმოებისა და სხვა ცვლილებათა უფლება]

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ნაწარმოებების ადაპტირების, არანაწარმოებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

მუხლი 13

[მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტების ჩაწერის უფლების შესაძლო შეზღუდვა; 1. იძულებითი ლიცენზიები; 2. გარდამავალი ღონისძიებები; 3. ავტორის ნებართვის გარეშე იმპორტირებული ეგ ზემოქმედებზე ყადაღის დადება]

(1) კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დააწესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელმაც გასცა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩაწერის ნებართვა, რათა გასცეს ასეთ ტექსტთან ერთად თუ ამგვარი არსებობს, ამ მუსიკალური ნაწარმოების აუდიო ჩანაწერის დამზადების ნებართვა; თუმცა ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დააწესა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო.

(2) რომში 1928 წლის 2 ივნისს და ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს ხელმოწერილი კონვენციების 13(3) მუხლის შესაბამისად, კავშირის ქვეყნებში დამზადებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე ამ ქვეყანაში, ვიდრე ორი წელი არ გავა ქვეყანისათვის ამ აქტით ვალდებულების დაკისრების შემდეგ.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების თანახმად, დამზადებული ჩანაწერები, იმპორტირებული დაინტერესებული მხარეების ნებართვის გარეშე იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი მიჩნეულია უკანონოდ, ექვემდებარება ყადაღის დადებას.

მუხლი 14

[კინემატოგრაფიასთან დაკავშირებული უფლებები: 1. კინემატოგრაფიული ადაპტაცია და რეპროდუცირება; გავრცელება; ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულება ან საყოველთაო გაცნობა სადენის მეშვეობით; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ადაპტაცია; 3. იძულებითი ლიცენზიების გამოუყენებლობა]

(1) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

- (i) ამ ნაწარმოებების კინემატოგრაფიული ადაპტირებასა და რეპროდუცირებაზე და ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების გავრცელებაზე;
- (ii) ამგვარად ადაპტირებული ან რეპროდუცირებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და სადენით საჯარო გადაცემაზე.

(2) ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებიდან წარმოებული კინემატოგრაფიული პროდუქციის ადაპტაცია ნებისმიერ სხვა მხატვრულ ფორმად, კინემატოგრაფიული პროდუქციის ავტორის ნებართვის გარდა, აგრეთვე, საჭიროებს ორიგინალური ნაწარმოებების ავტორთა ნებართვასაც.

(3) 13(1) მუხლის დებულებები არ გამოიყენება.

მუხლი 14^{bis}

[კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები: 1. *“ორიგინალურ” ნაწარმოებებთან გათანაბრება*; 2. *უფლებების მფლობელები*; ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტან გარკვეულ პირთა ზოგიერთი უფლებების შეზღუდვა; 3. *ნაწარმოების შექმნაში წვლილის შემტანი ზოგიერთი სხვა პირები*]

(1) კინემატოგრაფიული ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, საავტორო უფლებების შეუღახავად იმ ნებისმიერ ნაწარმოებზე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ადაპტირებული ან რეპროდუცირებული. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლში გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2)(a) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(b) მიუხედავად ამისა, კავშირის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელთა შორის ითვალისწინებს ავტორებს, რომლებმაც შეიტანეს წვლილი ნაწარმოების შექმნაში, ასეთ ავტორებს, თუ მათ იკისრეს ამგვარი წვლილის შეტანა, არ შეუძლიათ, ნებისმიერი საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, წინააღმდეგობა გაუწიონ ნაწარმოების რეპროდუცირებას, გავრცელებას, საჯარო შესრულებას, სადენით საყოველთაო გაცნობას, ეთერით გადაცემას ან ნებისმიერ სხვა სახის საყოველთაო გაცნობას, ასევე, ტექსტების სუბტიტირებას ან დუბლირებას.

(c) საკითხს იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა წერილობითი შეთანხმების ან თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა, ზემოაღნიშნულ ვალდებულებას (b) ქვეპუნქტის გამოყენების მიზნით, განსაზღვრავს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ-ბინა, ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა, კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა, განისაზღვრება აღნიშნულ ვალდებულებას ექნება წერილობითი შეთანხმების თუ თანაბარი ძალის მქონე წერილობითი აქტის ფორმა. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ამას, ატყობინებენ აღნიშნულის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი დეკლარაციით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

(d) “საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობა” ნიშნავს ნებისმიერ შემზღუდავ პირობას, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებას.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზემოთ აღნიშნული (2)(b) პუნქტის დებულებები არ ვრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოებისთვის შექმნილი სცენარების, დიალოგებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებსა ან მის დამდგმელ რეჟისორზე. თუმცა, კავშირის ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული (2)(b) პუნქტის გამოყენებას დამდგმელი რეჟისორის მიმართ, აცნობებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 14^{ter}

[*“Droit de suite” ხელოვნების ნაწარმოებებსა და ხელნაწერებზე; უფლება ხელახალი გაყიდვით მიღებული შემოსავლის წილზე; გამოსაყენებელი კანონი; 3. პროცედურა]*

(1) ავტორი ან, მისი გარდაცვალების შემდეგ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირები, ან დაწესებულებები, ხელოვნების ნაწარმოებების ორგინალბთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერების ორგინალბის მიმართ, ნაწარმოების ყოველი გაყიდვისას სარგებლობენ წილობრივი მონაწილეობის განუსხვისებელი უფლებით, რომელიც მოჰყვება ავტორის მიერ ნაწარმოების პირველ დათმობას.

(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული დაცვა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია იმ ქვეყანაში, საიდანაც არის ავტორი, და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

(3) თანხის შეგროვების პროცედურა და ოდენობა განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 15

[*დაცული უფლებების განხორციელების უფლება: 1. როდესაც ავტორის სახელი მითითებულია ან ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს ავტორის ვინაობაში; 2. ინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში; 3. ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში; 4. უცნობი ავტორის გარკვეული გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში]*

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორი, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნეოდეს ავტორად და შესაბამისად, იყოს უფლებამოსილი კავშირის ქვეყნებში აღძრას საქმე დარღვევასთან დაკავშირებით, საკმარისია მისი სახელის აღნიშვნა ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს სახელი არის ფსევდონიმი და ავტორის მიერ შერჩეული ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის ვინაობაში.

(2) კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებლად, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემთხვევაში, (1) პუნქტში მითითებულის გარდა, გამომცემელი, რომლის სახელიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, მიიჩნევა ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით უფლებამოსილია დაიცვას და განხორციელოს ავტორის უფლებები. ამ პუნქტის დებულებების მოქმედება წყდება მაშინ, როდესაც ავტორი გაამხელს თავის ვინაობას და განაცხადებს თავის უფლებას ნაწარმოების ავტორობაზე.

(4)(a) გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების შემთხვევაში, როდესაც ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ არსებობს ვარაუდის ყველა საფუძველი, რომ იგი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ეს ქვეყანა განსაზღვრავს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც იქნება ავტორის წარმომადგენელი და ექნება კავშირის ქვეყნებში მისი უფლებების დაცვისა და განხორციელების უფლებამოსილება.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად განსაზღვრავენ ასეთ ორგანოს, აცნობენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ამგვარად განსაზღვრული ორგანოს შესახებ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს დეკლარაციის შესახებ კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

მუხლი 16

[უფლებების დარღვევით დამზადებული ასლები: 1. ყადაღის დადება;
2. ყადაღის დადება იმპორტირების დროს; 3. გამოსაყენებელი კანონი]

(1) უფლებების დარღვევით დამზადებული ნაწარმოების ასლები ექვემდებარება ყადაღის დადებას კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ეს ნაწარმოები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

(2) წინა პუნქტის დებულებები ვრცელდება, ასევე, რეპროდუქციებზე, რომელთა იმპორტირება ხდება ქვეყნიდან, რომელშიც ეს ნაწარმოები არ არის დაცული, ან აღარ სარგებლობს დაცვის უფლებით.

(3) ყადაღის დადება ხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17

[ნაწარმოებების ბრუნვაში გაშვების, პრეზენტაციისა და ჩვენების კონტროლის შესაძლებლობა]

ამ კონვენციის დებულებებს არ შეუძლიათ მოახდინონ რაიმე გავლენა კავშირის თითოეული ქვეყნის მთავრობის უფლებაზე კანონმდებლობით ან სხვა აქტებით დაუშვას, გააკონტროლოს ან აკრძალოს ნებისმიერი იმ ნაწარმოების ან პროდუქციის ბრუნვაში გაშვება, პრეზენტაცია ან ჩვენება, რომელთა მიმართაც კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს ასეთი უფლების გამოყენებას.

მუხლი 18

[ნაწარმოებები, რომლებიც უკვე არსებობს კონვენციის ძალაში შესვლისას: 1. დაცულია, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში დაცვის ვადა ჯერ არ არის გასული; 2. დაუცველია, როცა დაცვის ვადა გასულია იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა; 3. ამ პრინციპების გამოყენება; 4. სპეციალური შემთხვევები]

(1) ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის წარმოშობის ქვეყანაში, დაცვის ვადის გასვლის გამო, ჯერ არ ქცეულა საზოგადო კუთვნილებად.

(2) თუმცა, თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, უკვე იქცა საყოველთაო კუთვნილებად ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, ეს ნაწარმოები ხელახლა აღარ დაიცვება.

(3) აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ სპეციალური კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დადებულია ამ მიზნით ან დაიდება მომავალში კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთი დებულებების არარსებობისას, შესაბამისი ქვეყნები თავად განსაზღვრავენ ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როცა კავშირს მიუერთდებიან ახალი ქვეყნები და იმ შემთხვევებშიც, როდესაც დაცვა ფართოვდება მე-7 მუხლის გამოყენების საფუძველზე ან დათქმებზე უარის თქმის შედეგად.

მუხლი 19

[კონვენციით გათვალისწინებულ დაცვაზე ფართო დაცვა]

ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება ნებისმიერი უფრო ფართო დაცვის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება იქნეს მინიჭებული კავშირის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 20

[კავშირის ქვეყნებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებები]

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას, თუ ეს შეთანხმებები ანიჭებენ ავტორებს ამ კონვენციით მინიჭებულ უფლებებზე უფრო ფართო უფლებებს, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. უკვე არსებულ შეთანხმებათა დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობებს, გამოიყენება შემდგომშიც.

მუხლი 21

[სპეციალური დებულებები განვითარებადი ქვეყნების შესახებ: 1. მითითება დამატებით კარზე; 2. დამატებითი კარი _ აქტის ნაწილი]

(1) სპეციალურ დებულებებს განვითარებადი ქვეყნების შესახებ შეიცავს დამატებითი კარი.

(2) 28(1)(b) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, დამატებითი კარი წარმოადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22

[ასამბლეა: 1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ამოცანები; 3. კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურეები; 4. მოწვევა; 5. პროცედურის წესები]

(1)(a) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულებები 22–26 მუხლებით.

(b) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოადგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(2)(a) ასამბლეა:

(i) განაგებს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას და ამ კონვენციის გამოყენებას;

(ii) გადასინჯვის მიზნით მოწვეული კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ – “საერთაშორისო ბიურო”), როგორც განსაზღვრულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ – “ორგანიზაცია”) დამფუძნებელ კონვენციაში, ამასთან, სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერ შენიშვნებს, რომლებსაც არ ეკისრებათ ვალდებულებები 22–26 მუხლებით;

(iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან დაკავშირებით და აძლევს მას ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;

- (iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;
 - (v) განიხილავს და ამტკიცებს თავისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ინსტრუქციებს;
 - (vi) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
 - (vii) ამტკიცებს კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;
 - (viii) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, როგორც აუცილებლად მიაჩნია კავშირის მიზნების განხორციელებისათვის;
 - (ix) განსაზღვრავს, კავშირის რომელი არაწევრი ქვეყანა და რომელი სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მის სხდომებზე მეთვალყურეებად;
 - (x) იღებს 22–26 მუხლების შესწორებებს;
 - (xi) ახორციელებს ნებისმიერ სათანადო ქმედებას, რომელიც მიმართულია კავშირის მიზნების მისაღწევად;
 - (xii) ასრულებს ყველა სხვა ისეთ ფუნქციას, რომელიც გამომდინარეობს ამ კონვენციიდან;
 - (xiii) მისი თანხმობის შემთხვევაში, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებიც მინიჭებული აქვს ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციით.
- (b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებისათვისაც, ასამბლეა გადაწყვეტილებებს იღებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ.
- (3)(a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.
- (b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.
- (c) (b) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მეტია ან ტოლი ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა, საკუთარ პროცედურულ წესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ყველა გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო აცნობებს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მას, და სთავაზობს გადაწყვეტილების გაგზავნის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში წერილობითი სახით აცნობონ აძლევენ ხმას ამ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგნი არიან, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თავის შეკავება, აღწევს იმ რაოდენობას, რომელიც აკლდა სესიაზე კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, იმ პირობით, რომ იმავდროულად შენარჩუნებული იქნება აუცილებელი უმრავლესობა.
- (d) 26-ე მუხლის (2) პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების ორი მესამედი.
- (e) თავის შეკავება არ ითვლება ხმის მიცემად.
თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.
- (g) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, მის სხდომებზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურეები.

(4)(a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იმავე დროსა და ადგილზე სადაც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეაა.

(b) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი აღმასრულებელი კომიტეტის ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 23

[აღმასრულებელი კომიტეტი: 1. დაფუძნება; 2. შემადგენლობა; 3. წევრთა რაოდენობა; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევის შეზღუდვები, არჩევნების წესები; 6. ამოცანები; 7. მოწვევა; 8. კვორუმი, ხმის მიცემა; 9. მეთვალყურეები; 10. პროცედურის წესები]

(1) ასამბლევას ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2)(a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც არჩეულია ასამბლეის მიერ ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ-ბინა კომიტეტში აქვს "ex officio" ერთი ადგილი იმ პირობით, თუ სრულდება 25 (7)(b) მუხლის დებულებები.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი ვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ დამატებითი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რიცხვი შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დადგენისას, ოთხზე გაყოფის შემდეგ დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და იმის აუცილებლობას, რომ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნები, რომლებიც შეიძლება დადებულ იქნეს კავშირთან მიმართებაში, შედიოდნენ აღმასრულებელ კომიტეტში.

(5)(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ასრულებს თავის ფუნქციებს ასამბლეის სესიის დახურვიდან, რომელზეც ის იქნა არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადაირჩიონ, მაგრამ არაუმეტეს მათი შემადგენლობის ორი მესამედისა.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო გადარჩევის მარეგულირებელი წესების დეტალებს.

(6)(a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(ii) ასამბლევას წარუდგენს წინადადებებს, რომლებიც ეხება გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ პროგრამის პროექტსა და კავშირის ორწლიან ბიუჯეტს.

(iii) [ამოღებულია]

(iv) სათანადო შენიშვნებით, ასამბლევას წარუდგენს გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და საფინანსური რევიზიის ყოველწლიურ აქტებს.

(v) ასამბლეის გადაწყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის შესრულება;

(vi) ასრულებს ყველა სხვა ფუნქციას, რომელიც ამ კონვენციით აქვს დაკისრებული.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვისაც, აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7)(a) აღმასრულებელი კომიტეტი, გენერალური დირექტორის მოწვევით, იკრიბება რიგით სესიაზე წელიწადში ერთხელ უპირატესად იმავე დროსა და ადგილზე, სადაც ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი საგანგებო სესიაზე იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით ან მისი პირადი ინიციატივით, თავმჯდომარის მოთხოვნით, ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8)(a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

(d) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.

(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, მის სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ, როგორც მეთვალყურეები.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი იღებს პროცედურის თავის საკუთარ წესებს.

მუხლი 24

[საერთაშორისო ბიურო: 1. ზოგადი ამოცანები, გენერალური დირექტორი; 2. ზოგადი ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. გამოკვლევები და მომსახურება; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; 8. სხვა ამოცანები]

(1)(a) კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც არის კავშირის ბიუროსა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კონვენციით დაარსებული კავშირის ბიუროს მემკვიდრე.

(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ასრულებს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოს ფუნქციებს.

(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დაცვას. კავშირის თითოეული ქვეყანა დაუყოვნებლივ აცნობებს საერთაშორისო ბიუროს ყველა ახალი კანონის ტექსტსა და ოფიციალურ ტექსტს, რომელიც შეეხება საავტორო უფლებების დაცვას.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო, მოთხოვნის საფუძველზე, აწვდის კავშირის ნებისმიერ ქვეყანას ინფორმაციას საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო ატარებს კვლევებსა და უზრუნველყოფს მომსახურებას საავტორო უფლებების დაცვის გაადვილების ხელშეწყობის მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ხმის უფლების გარეშე ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი არის ამ ორგანოების "ex officio" მდივანი.

(7)(a) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით, ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა გადასინჯვის თაობაზე, გარდა 22–26 მუხლებისა.

(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ჩაატაროს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.

(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობას იღებენ ამ კონფერენციების მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ამოცანებს.

მუხლი 25

[*ფინანსები*: 1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინირება; 3. წყაროები; 4. შესატანები; წინა ბიუჯეტის შესაძლო გაგრძელება; 5. გადასახადები და საფასურები; 6. საბრუნავი საშუალებების ფონდი; 7. მასპინძელი მთავრობის ავანსები; 8. ანგარიშების რევიზია]

(1)(a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(b) კავშირის ბიუჯეტი შედგება საკუთრივ კავშირის შემოსავლებისა და გასავლებისაგან, მისი შესატანისაგან კავშირებისათვის საერთო ხარჯვითი ნაწილის ბიუჯეტში და აგრეთვე, შესაბამის შემთხვევებში, ანარიცხებისაგან ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.

(c) კავშირებისათვის საერთო გასავლად ითვლება ხარჯები, რომლებიც არ ეკუთვნის მხოლოდ ამ კავშირს, არამედ ერთდროულად ეკუთვნის კიდევ ერთ ან მეტ კავშირს, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია. კავშირის წილი საერთო გასავლებში პროპორციულია მისი წილისა აღნიშნულ ხარჯებში.

(2) კავშირის ბიუჯეტი მიიღება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით.

(3) კავშირის ბიუჯეტის ფინანსირების წყაროებია:

(i) კავშირის ქვეყნების შესატანები;

(ii) საფასურები და გადასახადები სერთაშორისო ბიუროს მიერ გაწეული კავშირთან დაკავშირებული მომსახურებისთვის;

(iii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციების, გაყიდვისა და მათზე უფლებების გადაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები;

- (iv) საჩუქრები, ანდერძით დატოვებული სახსრები და სუბსიდიები;
- (v) რენტები, პროცენტები და სხვადასხვა შემოსავალი.

(4) იმისათვის, რომ განისაზღვროს მისი შესატანი ბიუჯეტში, კავშირის თითოეული ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და წლიურ შესატანს იხდის ქვემოთ მოყვანილი ერთეულების რიცხვების საფუძველზე:

I	კლასი	25
II	კლასი	20
III	კლასი	15
IV	კლასი	10
V	კლასი	5
VI	კლასი	3
VII	კლასი	1

(b) თითოეული ქვეყანა, თუ ადრე ეს არ გაუკეთებია, რატიფიკაციის ან შეერთების აქტის დეპონირებასთან ერთად მიუთითებს კლასს, რომელსაც სურს, რომ ეკუთვნოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ასამბლეას მის ერთ-ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი შესწორება ძალაში შედის მითითებული სესიის მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან.

(c) თითოეული ქვეყნის წლიური შესატანის ოდენობა ტოლია სიდიდისა, რომელიც ისევე შეეფარდება კავშირის ბიუჯეტში ყველა ქვეყნის მიერ შესატანების ჯამს, როგორც მისი ერთეულების რაოდენობა შეეფარდება ყველა გადამხდელი ქვეყნის ერთეულების საერთო რაოდენობას.

(d) შესატანები უნდა იქნეს გადახდილი ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(e) ქვეყანა, რომელსაც აქვს დავალიანება შესატანების გადახდაში, კარგავს ხმის უფლებას კავშირის ყველა ორგანოში, რომლის წევრიცაა, თუ მისი დავალიანების ოდენობა ტოლია ან მეტი გასული ორი სრული წლის განმავლობაში მის მიერ გადასახდელი შესატანებისა. თუმცა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას ამ ორგანოში გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა იმ შემთხვევაში და მანამ, ვიდრე დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება გამოწვეული იყო განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებების გამო.

(f) თუ ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დაწყებამდე, საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, იგი არის წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საფასურებისა და გადასახადების ოდენობას, რომელსაც იღებს საერთაშორისო ბიურო კავშირთან დაკავშირებით გაწეული მომსახურებისთვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შესახებ მოახსენებს ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6)(a) კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც შედგება კავშირის თითოეული ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახადისგან. თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(b) აღნიშნულ ფონდში თითოეული ქვეყნის თავდაპირველი გადასახადის ოდენობა ან მისი წილი ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შესატანისა იმ წლისათვის, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებული იყო გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.

(c) ამ გადასახადის პროპორციასა და გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7)(a) შეთანხმებაში შტაბ-ბინის თაობაზე, რომელიც იდება იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ როდესაც საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისი აღმოჩნდება, ეს ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს განსაკუთრებული შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. ვიდრე ამ ქვეყანას დაკისრებული აქვს ავანსების გაცემის ვალდებულება, მას "ex officio" აქვს ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(b) როგორც (a) ქვეპუნქტში დასახელებულ ქვეყანას, ისე ორგანიზაციას აქვს უფლება წერილობითი შეტყობინებით განახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსირება. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც მოხდა შეტყობინება.

(8) ანგარიშების რევიზია ხორციელდება საფინანსო რეგლამენტის შესაბამისად, კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ, რომლებსაც მათივე თანხმობით ნიშნავს ასამბლეია.

მუხლი 26

[ცვლილებები: 1. დებულებები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებები; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა]

(1) წინადადებები შესწორებების შეტანის თაობაზე 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე მუხლებსა და მოცემულ მუხლში შეიძლება წამოყენებულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთ წინადადებებს უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეის მიერ მათ განხილვამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.

(2) (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება მიიღება ასამბლეის მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმების უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით; ხოლო, 22-ე მუხლსა და მოცემულ პუნქტში ნებისმიერი შესწორების შესატანად აუცილებელია მიცემული ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ მას მერე, რაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებას, საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად ამ ცვლილებების მიღების შესახებ, იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც იყვნენ ასამბლეის წევრები ამ შესწორების მიღების დროს. ამგვარად მიღებული ამ მუხლის ნებისმიერი შესწორება, სავალდებულოა ყველა ქვეყანისათვის, რომლებიც არიან ასამბლეის წევრები შესწორების ძალაში შესვლის დროს, ან ხდებიან მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ. თუმცა, ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც შეატყობინეს მათ მიერ ასეთი შესწორების მიღების შესახებ.

მუხლი 27

[გადასინჯვა: 1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება]

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს მასში ისეთი ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც სრულყოფენ კავშირის სისტემას.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით ტარდება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება ცვლილებების შეტანისას 22-დან 26-ის მუხლების ჩათვლით, ამ აქტის ნებისმიერი გადასინჯვა, დამატებითი აქტის ჩათვლით, მოითხოვს მიცემული ხმების ერთსულოვან თანხმობას.

მუხლი 28

[კავშირის ქვეყნებისათვის აქტის მიღება და ძალაში შესვლა: 1. რატიფიკაცია, შეერთება; გარკვეული დებულებების გამორიცხვის შესაძლებლობა; გამონაკლისების გაუქმება; 2. 1_21 მუხლების ძალაში შესვლა; 3. 22_38 მუხლების ძალაში შესვლა]

(1)(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიცირება, ხოლო თუ არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან შეერთება. რატიფიკაციის და შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(b) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების აქტში შეუძლია განაცხადოს, რომ რატიფიკაცია ან შეერთება არ ვრცელდება 1–21 მუხლებსა და დამატებით კარზე; თუმცა, თუ ასეთმა ქვეყანამ წინასწარ გააკეთა განცხადება დამატებითი კარის VI(1) მუხლის შესაბამისად, მას აღნიშნულ დოკუმენტში შეუძლია განაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან შეერთება არ გამოიყენება 1–20 მუხლების მიმართ.

(c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (b) ქვეპუნქტის თანახმად, გამორიცხა შესაბამისი დებულებები თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედების სფეროდან, შეუძლია მოგვიანებით, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედებას ამ დებულებებზე. ასეთი განცხადება შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)(a) 1–21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ მას მერე, რაც შესრულდება შემდეგი ორი პირობა:

(i) კავშირის, სულ მცირე, ხუთი ქვეყანა მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას (1)(b) მუხლით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე.

პარიზში 1971 წლის 24 ივლისს გადასინჯული საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის მოქმედება გავრცელდება საფრანგეთზე, ესპანეთზე, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

(b)(a) ქვეპუნქტში მითითებული ძალაში შესვლა ვრცელდება კავშირის იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღნიშნულ ძალაში შესვლამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე მაინც ჩააბარა შესანახად სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტები, რომლებიც არ შეიცავს (1)(b) პუნქტში გათვალისწინებულ განცხადებას.

(c) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელზეც არ ვრცელდება (b) ქვეპუნქტი, და რომელმაც განახორციელა ამ აქტის რატიფიცირება ან შეუერთდა მას (1)(b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადების გაკეთების გარეშე, 1–21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის შესაბამისი სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 1–21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(d) (a)–(c) ქვეპუნქტების დებულებები არ ახდენს გავლენას დამატებითი კარის VI მუხლის გამოყენებაზე.

კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას (1)(b) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების გაკეთებით ან მის გარეშე, 22–38 მუხლები ძალაში შედის სათანადო სარატიფიკაციო ან შეერთების დოკუმენტების დეპონირების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იქნება მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, 22–38 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

მუხლი 29

[მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები: 1. შეერთება; 2. ძალაში შესვლა]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. შეერთების დოკუმენტები შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2)(a) ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს კონვენცია ძალაში შედის შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გააკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ დოკუმენტში არ იყო მითითებული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ ქვეყნის მიმართ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან. თუ ძალაში შესვლა (a) ქვეპუნქტის შესაბამისად, წინ უსწრებს 1–21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლას 28(2)(a) მუხლის თანახმად, აღნიშნულ ქვეყანაზე ამასობაში 1–21 მუხლების და დამატებითი აქტის ნაცვლად ვრცელდება ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1–20 მუხლები.

მუხლი 29^{bis}

[*აქტის მიღების შედეგები ისმო-ს კონვენციის მუხლის 14(2) მიზნებისთვის*]

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22–38 მუხლების მოქმედება, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მხოლოდ და მხოლოდ 14(2) მუხლის მიზნებისთვის, 28 (1)(b)(i) მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვით, აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების ტოლფასია.

მუხლი 30

[*დათქმები: 1. დათქმების გაკეთების შეზღუდვა; 2. ადრე გაკეთებული დათქმები; დათქმა თარგმნის უფლების თაობაზე; დათქმის ამოღება*]

(1) ამ მუხლის (2) პუნქტით, 28(1)(b) მუხლით, 33(2) მუხლითა და დამატებითი კარით დაშვებული ამოღების გამოკლების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ამ კონვენციით დადგენილი ყველა დებულების აღიარება და ყველა უპირატესობის მიღება.

(2)(a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ახორციელებს ამ აქტის რატიფიკაციას ან უერთდება მას, დამატებითი აქტის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია შეინარჩუნოს მის მიერ ადრე

ფორმულირებული დათქმების უპირატესობა, თუ იგი გააკეთებს განცხადებას ამის შესახებ რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების დროს.

(b) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, ამ კონვენციასთან შეერთებისას დამატებითი აქტის V(2) მუხლის გათვალისწინებით, შეუძლია განაცხადოს, რომ განზრახული აქვს დროებით მანაც ამ აქტის მე-8 მუხლი თარგმნის უფლების შესახებ შეცვალოს პარიზში 1896 წელს შევსებული 1886 წლის საკავშირო კონვენციის მე-5 მუხლის დებულებებით, და იმის ნათლად გაცნობიერებით, რომ ეს დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყანაში საერთო გამოყენების ენაზე შესრულებული თარგმანების მიმართ. დამატებითი კარის I (6)(b) მუხლის გათვალისწინებით, კავშირის ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს იმ ნაწარმოებების თარგმნის უფლების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა სარგებლობს ასეთი დათქმით, გამოიყენოს ამ ქვეყნის მიერ მინიჭებული დაცვის ეკვივალენტურია დაცვა.

(c) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ დროს ამოიღოს ასეთი დათქმები გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით.

მუხლი 31

[მოქმედება ზოგიერთი ტერიტორიის მიმართ: 1. განცხადება; 2. განცხადების გატანა; 3. ძალაში შესვლის თარიღი; 4. ფაქტობრივი ვითარებების მიღება არ იგულისხმება]

(1) ნებისმიერ ქვეყანას რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტში ან ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, ან წერილობითი შეტყობინებით აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია მოქმედებს განცხადებაში ან შეტყობინებაში მითითებული ყველა ან ზოგიერთი იმ ტერიტორიის, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, ამ კონვენციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ ყველა ან ზოგიერთ ასეთ ტერიტორიაზე.

(3)(a) (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმ თარიღიდან, როცა ძალაში შედის რატიფიკაცია ან შეერთება, რომლის დოკუმენტებიც შეიცავდა ამ განცხადებას, ხოლო ამ პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ყოველი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მის შესახებ გაკეთებული შეტყობინებიდან სამი თვის შემდეგ.

ყოველი შეტყობინება, რომელიც გაიგზავნა (2) პუნქტის შესაბამისად, ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

(4) ეს მუხლი არანაირად არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიერ ფაქტობრივი ვითარების უსიტყვოდ აღიარება ან მიღება იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ეს კონვენცია მოქმედებს კავშირის სხვა ქვეყნის მიერ (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით.

მუხლი 32

[ამ აქტისა და უფრო ადრინდელი აქტების გამოყენება: 1. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც უკვე არიან კავშირის წევრები; 2. ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ხდება კავშირის წევრი და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის; 3. დამატებითი კარის გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობებში]

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობებში, იმ მოცულობით, როგორც გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციასა და მისი გადასინჯვის შემდგომ აქტებს. მანამდე ძალაში შესული აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან ისეთი მოცულობით, როგორც ეს აქტი არ ცვლის

მათ წინა წინადადების ძალით, კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც რატიფიკაციას არ უწყევნ ამ აქტს ან არ უერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტის გათვალისწინებით, იყენებენ მას კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, ან თუმცა ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, მაგრამ გააკეთა განცხადება, რომელიც გათვალისწინებულია 28 (1)(b) მუხლით. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

(i) შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი აქტის დებულებები, რომლითაც მას ეკისრება ვალდებულება, და

დამატების I(6) მუხლის გათვალისწინებით, აქვს უფლება შეუთავსოს დაცვა ამ აქტით გათვალისწინებულ დონეს.

(3) ყოველი ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა დამატებით აქტში გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლებლობით, შეუძლია გამოიყენოს დამატებითი აქტის დებულებები იმ უფლებების ან შესაძლებლობების მიმართ, რომლითაც მან ისარგებლა კავშირის იმ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობისას, რომელსაც არ ეკისრება ვალდებულება ამ აქტით, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ქვეყანა უშვებს აღნიშნულ დებულებათა გამოყენებას.

მუხლი 33

[დავა: 1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; 2. დათქმა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. დათქმის ამოღება]

(1) ნებისმიერი დავა კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ აღნიშნულ ქვეყანას შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესაბამისად შეტანილი განცხადების გზით, თუ ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების სხვა ხერხზე. ქვეყანამ, რომელსაც შეაქვს განცხადება, დავის სასამართლოში გადაცემის შესახებ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო ატყობინებს ამის შესახებ კავშირის სხვა ქვეყნებს.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებისას, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიჩნევს თავს შებოჭილად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავებს ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებები მათზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (2) პუნქტის დებულებების შესაბამისად, გააკეთა განცხადება, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს ის განცხადება, გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.

მუხლი 34

[ზოგიერთი უფრო ადრინდელი დებულების დახურვა: 1. ადრინდელი აქტების; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმის]

(1) 29^{bis} მუხლის გათვალისწინებით, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ კონვენციის ადრინდელი აქტების რატიფიკაცია ან მათთან შეერთება 1–21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ.

(2) 1–21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განცხადების გაკეთება, სტოკჰოლმის აქტზე თანდართული, განვითარებადი ქვეყნების შესახებ პროტოკოლის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 35

[კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსაცია: 1. *შეზღუდვა ვადა*; 2. *დენონსაციის შესაძლებლობა*; 3. *დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი*; 4. *მორატორიუმი დენონსაციაზე*]

(1) ეს კონვენცია მოქმედებს დროსი შეზღუდვის გარეშე.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. ასეთი დენონსაცია წარმოადგენს, ასევე, ადრინდელი აქტების დენონსირებასაც და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც განახორციელა ის, მაშინ, როცა კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ კონვენცია რჩება ძალაში და ექვემდებარება შესრულებას;

(3) დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, კავშირში მისი შესვლის თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

მუხლი 36

[კონვენციის გამოყენება: 1. *აუცილებელი ზომების განხორციელების ვალდებულება*; 2. *დრო, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება*]

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას, თავისი კონსტიტუციის შესაბამისად, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს ამ კონვენციის გამოყენება.

(2) იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ამ კონვენციით, მას შეეძლება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ამ კონვენციის დებულებები.

მუხლი 37

[დასკვნითი დებულებები: 1. *აქტის ენები*; 2. *ხელმოწერა*; 3. *დამოწმებული ასლები*; 4. *რეგისტრაცია*; 5. *შეტყობინებები*]

(1)(a) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარზე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და (2) პუნქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია ბარდება გენერალურ დირექტორს.

(b) ოფიციალური ტექსტები შეიმუშავდება გენერალური დირექტორის მიერ, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ და ესპანურ ენებსა და, ასევე, ასამბლეის მიერ განსაზღვრულ სხვა ენებზე.

(c) სხვადასხვა ტექსტის განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღია ხელმოსაწერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1)(a) პუნქტში მითითებული ეგზემპლარი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი ამოწმებს ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს და უგზავნის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობებს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ამ აქტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ატყობინებს კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობებს აქტზე ხელმოწერების, რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისა და იმ განცხადებების დეპონირების შესახებ, რომლებსაც შეიცავენ ეს დოკუმენტები ან გაკეთებულია 28 (1)(c), 30 (2)(a) და (b) 30 (2)(b) და 33 (2) მუხლების შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის შესახებ, დენონსაციის თაობაზე შეტყობინების, 30 (2)(c), 31 (1) და 31 (2), 33 (3) და 38 (1) მუხლების შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინებებისა და, აგრეთვე, იმ შეტყობინებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დამატებით კარში.

მუხლი 38

[გარდამავალი დებულებები: 1. *“ხუთწლიანი” პრივილეგიის გამოყენება*; 2. *კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი*; 3. *კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა*]

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება ან არ შეუერთდნენ მას, ან რომლებიც შებოჭილნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22_26 მუხლებით, თუ მოისურვებენ შეუძლიათ 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ აღნიშნული მუხლებით მინიჭებული უფლებებით ისე, თითქოს ისინი ამ მუხლებით იყვნენ შებოჭილნი. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ასეთი უფლებებით სარგებლობა, ამ მიზნით უგზავნის გენერალურ დირექტორს წერილობით შეტყობინებას, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან. აღნიშნულ თარიღამდე, ასეთი ქვეყნები ითვლებიან ასამბლეის წევრებად.

(2) ვიდრე კავშირის ყველა ქვეყანა ორგანიზაციის წევრი გახდება, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო ფუნქციონირებს, როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს, როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა ორგანიზაციის წევრი გახდება, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

დამატებითი კარი

[*სპეციალური დებულებები განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით*]

მუხლი I

[განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი შეღავათები: 1. *გარკვეული შეღავათების არსებობა*; განცხადება; 2. *განცხადების მოქმედების ხანგრძლივობა*; 3. *განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შეწყვეტა*; 4. *ეგზემპლარების არსებული მარაგი*; 5. *განცხადება გარკვეული ტერიტორიების შესახებ*; 6. *ნაცვალების ფარგლები*]

(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, განვითარებად ქვეყნად მიჩნეული ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ახდენს რატიფიცირებას ან უერთდება ამ აქტს, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ეს დამატებითი კარი და რომელიც ითვალისწინებს თავის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ ვერ უზრუნველყოფს ამ აქტით გათვალისწინებულ ყველა უფლების დაცვას, შეუძლია რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებისას, ან V(1)(c) მუხლის გათვალისწინებით, შემდგომ ნებისმიერ დროს, შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ისარგებლებს შეღავათით, რომელიც გათვალისწინებულია II ან III მუხლში, ან ორივე ამ შეღავათით. მას შეუძლია II მუხლში გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების ნაცვლად, გააკეთოს განცხადება V (1)(a) მუხლის შესაბამისად.

(2)(a) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის შესაბამისად, 1–21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში, 28(2) მუხლის თანახმად, ძალაშია აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს მთლიანად ან ნაწილობრივ თითოეული ათი წლის ვადით გენერალურ დირექტორისათვის ჩაბარებული შეტყობინების გზით, არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სამი თვით ადრე მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამოწურვამდე.

(b) ნებისმიერი განცხადება, (1) პუნქტის შესაბამისად, რომელიც გაკეთდა 1–21 მუხლებისა და ამ დამატებითი კარის ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, 28(2) მუხლის შესაბამისად, ძალაშია მიმდინარე ათწლიანი პერიოდის ამოწურვამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს (a) ქვეპუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად.

(3) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტის შესაბამისად, აღარ აქვს (2) პუნქტში გათვალისწინებული განცხადების განახლების უფლება, და მიუხედავად იმისა, გამოითხოვს თუ არა ოფიციალურად თავის განცხადებას, ვეღარ ისარგებლებს (1) პუნქტში აღნიშნული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი ან სამწლიანი პერიოდის ამოწურვიდან, მას შემდეგ, რაც მას აღარ მიიჩნევენ განვითარებად ქვეყნად; ამასთან, გამოიყენება ის პერიოდი, რომელიც უფრო გვიან იწურება.

(4) იქ, სადაც იმ დროისათვის, როდესაც (1) პუნქტის და (2) პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადება წყვეტს მოქმედებას, არსებობს ამ დამატებითი კარის საფუძველზე გაცემული ლიცენზით დამზადებული სათადარიგო ასლები, მათი მარაგის საბოლოოდ ამოწურვამდე, ნებადართულია გავრცელების გაგრძელება.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ამ აქტის დებულებებით, და რომელმაც 31(1) მუხლის შესაბამისად, განახორციელა განცხადების ან შეტყობინების შესანახად ჩაბარება ამ აქტის გამოყენების თაობაზე განსაზღვრული ტერიტორიის მიმართ, რომლის მდგომარეობაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიურად, ასეთ ტერიტორიასთან დაკავშირებით შეუძლია გააკეთოს (1) პუნქტში აღნიშნული განცხადება და (2) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება განახლების შესახებ. ვიდრე ასეთი განცხადება ან შეტყობინება ძალაშია, ასეთი ტერიტორიის მიმართ გამოიყენება დამატებითი კარის დებულებები.

(6)(a) ის გარემოება, რომ რომელიმე ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში გათვალისწინებული შეღავათებით, არ აძლევს უფლებას სხვა ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებებს, რომელთა წარმოშობის

ქვეყანა არის პირველი ქვეყანა, იმაზე ნაკლები დაცვა, ვიდრე ის, რომელსაც ვალდებულია ანიჭებდეს 1–20 მუხლების შესაბამისად.

(b) ეკვივალენტური დაცვის გამოყენების უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2)(b) მუხლის მეორე წინადადებით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს I (3) მუხლის შესაბამისად მოქმედი პერიოდის ამოწურვამდე იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელმაც გააკეთა განცხადება V (1) (a) მუხლის თანახმად.

მუხლი II

[თარგმნის უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2_4. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომლებსთვისაც შეიძლება გაიცეს ასეთი ლიცენზიები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება; 8. მიმოქცევიდან ამოღებული ნაწარმოებები; 9. ლიცენზიები ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეთერით ახორციელებენ გადაცემებს]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოცემული ნაწარმოებების მიმართ, მე-8 მუხლით გათვალისწინებული თარგმნის განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოების მიერ, IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.

(2)(a) (3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომელსაც ადგენს აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, და რომელიც აითვლება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, თარგმნის უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე არ გამოქვეყნებულა ასეთი ნაწარმოების თარგმანი, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ამ ნაწარმოების აღნიშნულ ენაზე თარგმნის ლიცენზია და გამოაქვეყნოს ასეთი თარგმანი ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმით.

(b) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, ლიცენზია შეიძლება ასევე გაიცეს იმ შემთხვევებშიც, როცა ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა მთლიანად გაიყიდა.

(3)(a) თუ თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კავშირის წევრ ერთ ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, (2) (a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი იცვლება ერთწლიანი პერიოდით.

(b) (1) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ქვეყანას კავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებთან ერთსულოვანი შეთანხმებით, რომლებშიც იგივე ენაა საერთო სარგებლობის ენა, ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, შეუძლია (2) (a) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი შეცვალოს ასეთი შეთანხმებით განსაზღვრულ უფრო ხანმოკლე პერიოდით, მაგრამ ასეთი პერიოდი არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. თუმცა, წინა წინადადების დებულებები არ ვრცელდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ნებისმიერი ასეთი შეთანხმების შესახებ, შესაბამისი მთავრობები, ატყობინებენ გენერალურ დირექტორს.

(4)(a) ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, ლიცენზიები, როლებიც მიიღება სამი წლის შემდეგ, არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი პერიოდის გასვლამდე, ხოლო ლიცენზიები, რომელთა მიიღება შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ, არ გაიცემა დამატებითი ცხრათვიანი პერიოდის გასვლამდე:

(i) იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი შესრულებს IV (1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან
(ii) თუ უცნობია თარგმნის უფლების მქონე პირის ვინაობა ან მისი მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV (2) მუხლის შესაბამისად, გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

(b) ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზია არ გაიცემა, თუ აღნიშნული ექვს- ან ცხრათვიანი პერიოდის განმავლობაში თარგმნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით გამოქვეყნდება თარგმანი იმ ენაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაკეთდა განცხადება.

(5) ნებისმიერი ლიცენზია, ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამოსაყენებლად ან კვლევების ჩატარების მიზნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი ქვეყნდება თარგმნის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მსგავს ნაწარმოებებზე ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანი. ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე გამოქვეყნებული ეგზემპლარების გავრცელება შეიძლება მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7) ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება, ლიცენზია ტექსტის თარგმანსა და გამოქვეყნებაზე და ლიცენზია ილუსტრაციების რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, თუ ასევე სრულდება III მუხლის პირობები.

(8) ამ მუხლის შესაბამისად, ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ეგზემპლარი.

(9)(a) ლიცენზია იმ ნაწარმოების თარგმნაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით, შეიძლება მიეცეს, აგრეთვე, ნებისმიერ სამაუწყებლო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის განცხადების წარდგენის შემდეგ, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(i) თარგმანი განხორციელებულია იმ ეგზემპლარიდან, რომელიც დამზადებული და შექმნილია აღნიშნული ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(ii) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ სამაუწყებლო გადაცემებში გამოსაყენებლად, მხოლოდ სწავლების ან კონკრეტული პროფესიის სპეციალისტებს შორის, სპეციალური ტექნიკური ან სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელების მიზნით.

თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (ii) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებით, კანონიერად შესრულებულ გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია მსმენელთათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ ასეთი გადაცემების მიზნით კანონიერად გაკეთებული ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მეშვეობით.

(iv) თარგმანის ნებისმიერი გამოყენება არ ისახავს კომერციულ მიზნებს.

(b) თარგმანის ხმოვანი ან ვიზუალური ჩანაწერები, რომლებიც შესრულებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით, (a) ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით, და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება ასევე

გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა ქვეყანაში, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა აღნიშნული ლიცენზია.

(c) იმ პირობით, თუ სრულდება (a) ქვეპუნქტში აღნიშნული ყველა კრიტერიუმი და პირობა, სამაუწყებლო ორგანიზაციას, ასევე, შეიძლება მიეცეს იმ აუდიო-ვიზუალური ჩანაწერში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმნის ლიცენზია, რომელიც დამზადდა და გამოქვეყნდა მხოლოდ სისტემატური სწავლებისათვის გამოსაყენებლად.

(d) (a)–(c) ქვეპუნქტების გათვალისწინებით, წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ამ პუნქტის შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას და სარგებლობისას.

მუხლი III

[რეპროდუცირების უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიები; 2_5. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი]

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, უფლება აქვს მე-9 მუხლში გათვალისწინებული ნაწარმოების რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება შეცვალოს სისტემით, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოს მიერ, IV მუხლის გათვალისწინებითა და ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად, ჩვეულებრივი და ისეთი ლიცენზიების გაცემას, რომელთა გადაცემა არ შეიძლება.

(2)(a) თუ იმ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება ეს მუხლი (7) პუნქტის ძალით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება:

(i) (3) პუნქტში განსაზღვრული შესაბამისი პერიოდი, რომელიც იწყება ნაწარმოების მოცემული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(ii) (1) პუნქტში აღნიშნული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი იმავე თარიღიდან დაწყებული უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუ

ასეთი გამოცემის ეგზემპლარები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით რეპროდუცირების უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ასეთი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, შეუძლია მიიღოს ლიცენზია, ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად, ასეთი გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე სისტემატურ სწავლებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

(b) (a) ქვეპუნქტის შესაბამისად გავრცელებული გამოცემის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია, შეიძლება გაიცეს, ასევე, ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, არ გაყიდულა ამ გამოცემის არც ერთი ნებადართული ეგზემპლარი მოცემულ ქვეყანაში ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში მსგავსი ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს.

(3) (2)(a)(i) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელს, გარდა:

(i) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის გამოცემებისთვის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, რომლებისათვისაც ეს პერიოდი შეადგენს სამ წელს;

(ii) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისთვის, ასევე, ხელოვნების დარგის წიგნებისთვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელს.

(4)(a) ლიცენზია, რომლის მიღება შესაძლებელია სამი წლის შემდეგ, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად, ვიდრე არ გავა ექვსთვიანი პერიოდი:

(i) იმ თარიღიდან, როდესაც განმცხადებელი შეასრულებს IV (1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, ან

(ii) თუ უცნობია რეპროდუცირების უფლების მფლობელის ვინაობა ან მისამართი, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, IV (2) მუხლის შესაბამისად, გააგზავნის ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების ასლებს.

(b) თუ ლიცენზიების მიღება შესაძლებელია სხვა პერიოდების შემდეგ და გამოიყენება IV (2) მუხლი, განცხადების ასლების გაგზავნის თარიღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლამდე არ გაიცემა ლიცენზია.

(c) თუ (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებული ექვსთვიანი ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა გავრცელებას, როგორც ეს აღწერილია (2) (a) პუნქტში, ამ მუხლის შესაბამისად, არ გაიცემა ლიცენზია.

(d) ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან იმ გამოცემის ყველა ეგზემპლარი, რომელზეც იყო რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზიის მოთხოვნა.

(5) ამ მუხლის თანახმად, არ გაიცემა ნაწარმოების თარგმანის რეპროდუცირებისა და გამოქვეყნების ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:

(i) როდესაც თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული თარგმანის უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით, ან

(ii) როცა თარგმანი შესრულებულია იმ ენაზე, რომელიც არ წარმოადგენს იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენას, სადაც მოითხოვება ლიცენზია.

(6) თუ რეპროდუცირების უფლების მფლობელი პირის მიერ ან მისი ნებართვით, (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში ფართო საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ვრცელდება ნაწარმოების გამოცემის ეგზემპლარები იმ ფასად, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივ დადგენილ ფასს, ამ მუხლის თანახმად გაცემული ნებისმიერი ლიცენზია წყვეტს მოქმედებას, თუ ამგვარი გამოცემა შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, რაც აღნიშნული ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტამდე გამოცემული ნებისმიერი ეგზემპლარების გავრცელება, შეიძლება გაგრძელდეს მათი მარაგის ამოწურვამდე.

(7)(a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს მუხლი ვრცელდება ბეჭდვითი ან რეპროდუცირების ანალოგიური ფორმებით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე.

(b) ეს მუხლი, აგრეთვე, ვრცელდება კანონიერად განხორციელებული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების აუდიო-ვიზუალური ფორმით რეპროდუცირებაზე, მათში ჩართული ნებისმიერი დაცული ნაწარმოების ჩათვლით, და მათში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე იმ ქვეყანის საერთო სარგებლობის ენაზე, სადაც მოითხოვება ლიცენზია, იმ პირობით, თუ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები გაკეთებული და გამოქვეყნებულია მხოლოდ სისტემატურ სწავლებაში გამოყენების მიზნით.

მუხლი IV

[საერთო დებულებები II და III მუხლების შესაბამისად გაცემული ლიცენზიებისთვის: 1. და 2. პროცედურა; 3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება; 4. ეგზემპლარების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია]

(1) II ან III მუხლების შესაბამისად, ლიცენზიები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ განმცხადებელი, ქვეყნის პროცედურის თანახმად დაამტკიცებს, რომ მან ნებართვისათვის მიმართა თარგმანის შესრულებასა და გამოქვეყნებაზე ან გამოცემის რეპროდუცირებასა და გამოქვეყნებაზე უფლების მფლობელ პირს და უარი მიიღო მისგან ან, სათანადო ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეძლო უფლების მფლობელი პირის დადგენა. ლიცენზიის მოთხოვნისას განმცხადებელი ინფორმაციას აწვდის (2) პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია უფლების მფლობელი პირის დადგენა, ლიცენზიის მოთხოვნი ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენილ განცხადების ასლებს შეკვეთილი ავიაფოსტით უგზავნის გამომცემელს, რომელიც მითითებულია ნაწარმოებზე და, ასევე, ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, რომელშიც გამომცემელი სავარაუდოდ ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას.

(3) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ან რეპროდუქციის ყველა ასლზე აღინიშნება ავტორის სახელი. ყველა ასეთ ასლზე იბეჭდება ნაწარმოების სახელწოდებაც. თარგმანის შემთხვევაში, ნაწარმოების ორიგინალის სახელწოდება, ნებისმიერ შემთხვევაში, იბეჭდება ყველა მითითებულ ასლზე.

(4)(a) II ან III მუხლების შესაბამისად გაცემული არანაირი ლიცენზია არ ვრცელდება ნაწარმოების ასლების ექსპორტზე და ძალაშია მხოლოდ თარგმანის გამოქვეყნებისას ან შესაბამისად რეპროდუცირებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც იყო მისი მოთხოვნა.

(b) (a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ექსპორტის ცნება მოიცავს ეგზემპლარების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან იმ ქვეყანაში, რომელმაც I (5) მუხლის შესაბამისად გააკეთა განცხადება ამ ტერიტორიის მიმართ.

(c) როცა იმ ქვეყნის სამთავრობო ან სხვა ორგანიზაცია, რომელმაც II მუხლის შესაბამისად გასცა ლიცენზია თარგმანის მომზადებაზე ნებისმიერ ენაზე, ინგლისური, ფრანგული ან ესპანური ენების გარდა, სხვა ქვეყანაში გზავნის ასეთი ლიცენზიით გამოქვეყნებული თარგმანის ეგზემპლარებს, (a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ეგზემპლარების ასეთი გაგზავნა არ ითვლება ექსპორტად, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(i) ეგზემპლარების მიმღებნი არიან ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მოქალაქეები, ან ის ორგანიზაციები, რომლებშიც ასეთი მოქალაქეები არიან გაერთიანებულნი;

(ii) ეგზემპლარები გამოიყენება მხოლოდ სკოლებში, უნივერსიტეტებში ან კვლევების ჩატარების მიზნით;

(iii) ეგზემპლარების გაგზავნა და მათი შემდგომი გავრცელება მიმღებთა შორის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს; და

(iv) ქვეყანა, რომელშიც იგზავნება ეგზემპლარები, დაეთანხმა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომ გასცა ლიცენზია, ნება დართოს მიღებაზე ან გავრცელებაზე, ან ორივეზე ერთად და ამ შეთანხმების შესახებ ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მთავრობამ შეატყობინა გენერალურ დირექტორს.

(5) II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით გამოქვეყნებულ ყველა ეგზემპლარზე სათანადო ენაზე აღნიშნულია, რომ ეგზემპლარები ექვემდებარებიან გავრცელებას მხოლოდ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება მოცემული ლიცენზია.

(6)(a) ეროვნულ დონეზე მიიღება სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(i) ლიცენზიაში სამართლიანი კომპენსაციის გადახდის გათვალისწინება თარგმნის ან შესაბამისად, რეპროდუცირების უფლების მფლობელის სასარგებლოდ, ჰონორარის იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ორ შესაბამის ქვეყანაში პირთა შორის ლიცენზიებზე თავისუფალი მოლაპარაკების დროს; და

(ii) კომპენსაციის გადახდა და გადაცემა: თუ მოქმედებენ განსაკუთრებული ეროვნული სავალუტო წესები, კომპეტენტური ორგანოები მიმართავენ სათანადო ზომებს, რათა საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით, უზრუნველყონ კომპენსაციის გადაყვანა საერთაშორისო კონვერტირებულ ვალუტაში ან მის ეკვივალენტში.

(b) ეროვნული კანონმდებლობა იღებს სათანადო ზომებს ნაწარმოების სწორად თარგმნის ან შესაბამისად, გარკვეული გამოცემის ზუსტი რეპროდუცირების უზრუნველსაყოფად.

მუხლი V

[თარგმნის უფლების შეზღუდვის ალტერნატიული შესაძლებლობა: 1. 1886 და 1896 წლების აქტებში ამისათვის გათვალისწინებული პროცედურა; 2. II მუხლის თანახმად პროცედურის შეცვლის შეუძლებლობა; 3. ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევის ვადა]

(1)(a) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, ნაცვლად ამისა ამ აქტის რატიფიკაციისა ან მასთან შეერთების დროს შეუძლია:

(i) ამ დებულების თანახმად, გააკეთოს განცხადება თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით, თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც ვრცელდება 30 (2)(a) მუხლი.

(ii) თუ ის არის ქვეყანა, რომელზეც არ ვრცელდება 30 (2)(a) მუხლის დებულებები, და მაშინაც კი, თუ ის არ არის ქვეყანა, რომელიც არ შედის კავშირში, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლის პირველ წინადადებაში.

(b) თუ ქვეყანა აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლით, ამ პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება ძალაში რჩება I (3) მუხლის შესაბამისად, გამოყენებული ვადის გასვლის თარიღამდე.

(c) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით მაშინაც კი, თუ ის გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, (3) პუნქტის შესაბამისად, არ შეუძლია შემდგომში განცხადების გაკეთება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც I(1) მუხლის შესაბამისად აღარ მიიჩნევა განვითარებად ქვეყნად, შეუძლია I(3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის გასვლამდე არაუგვიანეს ორი წლისა, გააკეთოს განცხადება 30 (2)(b) მუხლის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება ძალაში შედის, იმ დროს როცა ამოიწურება I(3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადა.

მუხლი VI

[დამატებითი კარის ზოგიერთი დებულებების გამოყენების შესაძლებლობები ან გამოყენების დაშვება ვიდრე ქვეყნები გახდებიან მისით შებოჭილნი: 1. განცხადება; 2. განცხადების დეკონირება და ძალაში შესვლის თარიღი]

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, დაწყებული ამ აქტის მიღების თარიღიდან და ნებისმიერ დროს, ვიდრე მას დაეკისრება ვალდებულება 1_21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით, შეუძლია განაცხადოს:

(i) თუ ის არის ქვეყანა, რომელსაც 1–21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, ექნებოდა უფლება ესარგებლა I(1) მუხლში აღნიშნული შეღავათებით, გამოიყენებს II ან III მუხლის დებულებებს ან ორივეს ერთად იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც ქვემოთ მოყვანილი (ii) ქვეპუნქტის თანახმად, უშვებს ამ მუხლების გამოყენებას ასეთი ნაწარმოებების მიმართ ან რომელსაც ეკისრება ვალდებულება 1–21 მუხლებითა და ამ დამატებითი კარით; ასეთი განცხადება II მუხლის ნაცვლად, შეიძლება ეყრდნობოდეს V მუხლს;

(ii) რომ უშვებს ამ დამატებითი კარის გამოყენებას იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა თვითონ არის, იმ ქვეყნების მიერ, რომლებმაც გააკეთეს განცხადება (i) ქვეპუნქტის თანახმად, ან გააკეთეს შეტყობინება I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია (1) პუნქტის თანახმად, უნდა იყოს წერილობითი ფორმის და შესაძლებელი იქნება გადაეცეს გენერალურ დირექტორს.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

20 მარტი 1883 წ.

გადასინჯულია 1900 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში,
1911 წლის 2 ივნისს ვაშინგტონში, 1925 წლის 6 ნოემბერს ჰააგაში,
1934 წლის 2 ივნისს ლონდონში, 1958 წლის 31 ოქტომბერს
ლისაბონში და 1967 ელის 14 ივლისს სტოკჰოლმში,
და შეტანილია ცვლილებები 1979 წლის 28 სექტემბერს

მუხლი 1

[კავშირის დაარსება; სამრეწველო საკუთრების ფარგლები]

- (1) ქვეყნები, რომლებსაც ეხება ეს კონვენცია, ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს.
- (2) სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.
- (3) სამრეწველო საკუთრება ფართო მნიშვნელობით არის გაგებული და ეხება არა მხოლოდ უშუალოდ მრეწველობასა და კომერციას, არამედ- სოფლის მეურნეობას, მოპოვებით მრეწველობას და ყველა სამრეწველო და ბუნებრივ პროდუქტს, მაგალითად, ღვინოს, მარცვლეულს, თამბაქოს ფოთოლს, ხილს, მსხვილფეხა რქოსან საქონელს, სასარგებლო წიაღისეულს, მინერალურ წყალს, ლუდს, ყვავილებსა და ფქვილს.
- (4) პატენტები მოიცავს კავშირის ქვეყნების კანონებით აღიარებულ სხვადასხვა სახის სამრეწველო პატენტებს, როგორებიცაა შემოტანილი პატენტი, პატენტი გაუმჯობესებაზე, დამატებითი პატენტი და მოწმობა (ვარიანტი - პატენტი და მოწმობა დამატებით გამოგონებაზე) და სხვ.

მუხლი 2

[ეროვნული რეჟიმი კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის]

- (1) სამრეწველო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე კავშირის ყველა სხვა ქვეყანაში სარგებლობს უპირატესობებით, რომლებსაც ანიჭებს ან შემდგომში მიანიჭებს ადგილობრივ მოქალაქეებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა; მაგრამ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს უფლებებს, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული ამ კონვენციით. აქედან გამომდინარე, კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს მისი უფლებების დარღვევისას იგივე დაცვა და იგივე სამართლებრივი საშუალებები გააჩნია, როგორც ადგილობრივ მოქალაქეს, იმ პირობით, რომ მოქალაქეებისათვის დაწესებული პირობები და ფორმალუბები დაკმაყოფილებულია.
- (2) ამასთან, სამრეწველო საკუთრების ნებისმიერი უფლებით სარგებლობისათვის იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, კავშირის ქვეყნის მოქალაქეებს არ შეიძლება დაუწესდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან დაწესებულების არსებობის საჭიროება.
- (3) კავშირის თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურასთან და იურისდიქციასთან, მომსახურების მისამართის მითითებასთან ან რწმუნებულის დანიშვნასთან, რაც შეიძლება სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობით მოითხოვებოდეს, საგანგებოდ რჩება ძალაში.

მუხლი 3

[კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის დადგენილი რეჟიმის გავრცელება ზოგიერთი კატეგორიის პირებზე]

კავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ან რომლებსაც გააჩნიათ ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, განიხილებიან, როგორც კავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები.

მუხლი 4

[A-I. პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, ნიშნები, საავტორო მოწმობები: პრიორიტეტის უფლება. - G. პატენტები: განაცხადის გაყოფა]

A- (1) ნებისმიერი პირი ან მისი უფლებამონაცვლე, რომელმაც დადგენილი მოთხოვნების დაცვით კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში შეიტანა განაცხადი პატენტზე ან სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ან სასაქონლო ნიშანის რეგისტრაციაზე, სხვა ქვეყნებში შეტანის მიზნით სარგებლობს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ქვემოთ დადგენილ ვადებში.

(2) განაცხადის ნებისმიერი შეტანა, რომელიც სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის შეტანის ეკვივალენტურია კავშირის რომელიმე ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ან კავშირის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად, აღიარებულია როგორც პრიორიტეტის უფლების წარმოშობის საფუძველი.

(3) სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადი ნიშნავს ნებისმიერი ისეთი განაცხადის შეტანას, რომელიც საკმარისია შესაბამის ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღის დასადგენად რა ბედიც არ უნდა ეწიოს განაცხადს შემდგომში.

B. – აქედან გამომდინარე, კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში განაცხადის ზემოაღნიშნული ვადების ამოწურვამდე ნებისმიერ შემდგომ შეტანას არ ეკარგება ძალა ამ ვადებით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში განხორციელებული ნებისმიერი ქმედების საფუძველზე, კერძოდ, სხვა განაცხადის შეტანის, გამოგონების გამოქვეყნების ან გამოყენების, სამრეწველო ნიმუშების ეგზემპლარების გაყიდვის, ან ნიშნის გამოყენების საფუძველზე, და ასეთი ქმედებები არ წარმოქმნის მესამე პირის რაიმე უფლებას ან პირადი მფლობელობის უფლებას. მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლებები იმ პირველი განაცხადის შეტანის თარიღამდე, რომელიც პრიორიტეტის უფლების საფუძველს წარმოადგენს, ძალაში რჩება კავშირის თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

C. – (1) პრიორიტეტის ზემოაღნიშნული ვადები შეადგენს პატენტებისა და სასარგებლო მოდელებისათვის თორმეტ თვეს, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებისათვის - ექვს თვეს.

(2) ამ ვადების ათვლა იწყება პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან; შეტანის დღე ვადაში არ შედის.

(3) თუ იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, ვადის ბოლო დღე არის ოფიციალური დასვენების დღე, ან დღე, როდესაც უწყება არ არის ღია განაცხადების მისაღებად, ვადა გრძელდება პირველ მომდევნო სამუშაო დღემდე.

(4) მომდევნო განაცხადი, რომელიც შეტანილია კავშირის იგივე ქვეყანაში და ეხება იგივე ობიექტს, რასაც წინა პირველი განაცხადი, რომელიც ასეთად მიიჩნევა, ზემოთ მოყვანილი მე-(2) პუნქტის მნიშვნელობით, განიხილება როგორც პირველი განაცხადი, რომლის შეტანის თარიღი წინა განაცხადის პრიორიტეტის ვადის ათვლის წერტილია, თუ მომდევნო განაცხადის შეტანისას, აღნიშნული წინა განაცხადი გატანილ იქნა, მასზე შეწყდა საქმის წარმოება ან მას ეთქვა უარი ისე, რომ არ მომხდარა მისი გამოფენა საჯარო განხილვისათვის და არ დარჩენილა სადაო უფლებები და

თუ ამ მომენტამდე იგი არ იქნა გამოყენებული პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველად. აღნიშნულის შემდეგ წინა განაცხადი ვედარ გახდება პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველი.

D. – (1) ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს ისარგებლოს წინა განაცხადის შეტანის პრიორიტეტის უპირატესობით, მოეთხოვება გააკეთოს შესაბამისი განცხადება ასეთი განაცხადის შეტანის თარიღისა და იმ ქვეყნის მითითებით, სადაც ეს შეტანა განხორციელდა. თითოეული ქვეყანა განსაზღვრავს ასეთი განცხადების წარდგენის საბოლოო თარიღს.

(2) ასეთი დეტალური მონაცემები ქვეყნდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ პუბლიკაციებში, კერძოდ, პატენტებსა და მათთან დაკავშირებულ აღწერილობებში.

(3) კავშირის ქვეყნებს შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ითხოვს წინა განაცხადის პრიორიტეტს, მოსთხოვოს წარადგინოს წინა შეტანილი განაცხადის (აღწერილობა, ნახაზები, ა.შ.) ასლი. ასეთი განაცხადის მიმღები უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნამდვილობის თვალსაზრისით დამოწმებული ასლი არ საჭიროებს მისი ავთენტიკურობის რაიმე სხვა დამოწმებას და შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე შეტანილ იქნეს მომდევნო განაცხადის შეტანიდან სამი თვის ვადაში. მათ შეუძლიათ, აგრეთვე მოითხოვონ, რომ დამოწმებულ ასლს თან ახლდეს იგივე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც მითითებულია განაცხადის შეტანის თარიღი, და დამოწმებული ასლის თარგმანი.

(4) განაცხადის შეტანის დროს პრიორიტეტის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარსადგენად არ შეიძლება არანაირი სხვა ფორმლობის დაწესება. კავშირის თითოეული ქვეყანა განსაზღვრავს ამ მუხლით დადგენილი ფორმლობების შეუსრულებლობის შედეგებს, მაგრამ ასეთი შედეგები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს პრიორიტეტის უფლების დაკარგვას.

(5) მოგვიანებით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დამატებითი მტკიცებულება.

ნებისმიერ პირს, რომელიც სარგებლობს წინა განაცხადის პრიორიტეტით, მოეთხოვება მიუთითოს ასეთი განაცხადის ნომერი; ეს ნომერი ქვეყნდება მე-(2) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

E. – (1) თუ ქვეყანაში სამრეწველო ნიმუშზე განაცხადი შეტანილია სასარგებლო მოდელზე განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნით, პრიორიტეტის მოთხოვნის ვადა იგივეა რაც სამრეწველო ნიმუშებისათვის არის დადგენილი.

(2) გარდა ამისა, დასაშვებია ქვეყანაში სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანა გამოგონებაზე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნით და პირიქით.

F. – კავშირის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია უარი თქვას პრიორიტეტზე ან საპატენტო განაცხადზე იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელი მოითხოვს რამდენიმე, თუნდაც სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილ პრიორიტეტს, ან იმ საფუძველზე, რომ განაცხადი, რომლისთვისაც ერთი ან რამდენიმე პრიორიტეტი, შეიცავს ერთ ან რამდენიმე ისეთ ელემენტს, რომელიც არ იყო შეტანილი განაცხადში ან განაცხადებში, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება პრიორიტეტი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში ქვეყნის კანონის შესაბამისად სახეზეა გამოგონების ერთიანობა.

რაც შეეხება ელემენტებს, რომლებიც არ იყო შეტანილი განაცხადში ან განაცხადებში, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება, პრიორიტეტი მომდევნო განაცხადის შეტანა მათთვის პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოქმნის.

G. – (1) თუ ექსპერტიზა გამოავლენს, რომ საპატენტო განაცხადი შეიცავს ერთზე მეტ გამოგონებას, განმცხადებელს შეუძლია დაყოს განაცხადი გამოცალკევებული განაცხადების განსაზღვრულ რაოდენობად და თითოეულისათვის შეტანის თარიღად შეინარჩუნოს საწყისი განაცხადის შეტანის თარიღი ან ისარგებლოს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(2) განმცხადებელს საკუთარი ინიციატივით შეუძლია აგრეთვე, დაყოს საპატენტო განაცხადი და თითოეული გამოცალკევებული განაცხადისათვის შეინარჩუნოს საწყისი განაცხადის შეტანის თარიღი ან ისარგებლოს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა შესაბამისადაც ასეთი დაყოფა იქნება ნებადართული.

H. – პრიორიტეტზე უარის თქმა არ შეიძლება იმ საფუძველზე, რომ გამოგონების გარკვეული ელემენტები, რომლისთვისაც მოთხოვნილია პრიორიტეტი, არ არის ასახული წარმოშობის ქვეყანაში შეტანილი განაცხადის გამოგონების ფორმულაში, თუკი მთლიანობაში საგანაცხადო დოკუმენტებში ეს ელემენტები ნათლად არის გახსნილი.

I. – (1) ქვეყანაში, სადაც განმცხადებლებს აქვთ უფლება საკუთარი არჩევანის შესაბამისად მოითხოვონ პატენტი ან საავტორო მოწმობა, საავტორო მოწმობაზე შეტანილი განაცხადი ამ მუხლით გათვალისწინებული პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას წარმოშობს იგივე პირობების საფუძველზე და იგივე შედეგებით, როგორსაც - საპატენტო განაცხადი.

(2) ქვეყანაში, სადაც განმცხადებლებს აქვთ უფლება საკუთარი არჩევანის შესაბამისად მოითხოვონ პატენტი ან საავტორო მოწმობა, ამ მუხლის საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებული დებულებების შესაბამისად საავტორო მოწმობაზე შეტანილი განაცხადის განმცხადებელი სარგებლობს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით, რომელიც ეფუძნება პატენტზე, სასარგებლო მოდელზე ან საავტორო მოწმობაზე განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნას.

მუხლი 4^{bis}

[პატენტები: ერთიდაიგივე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული პატენტების დამოუკიდებლობა]

(1) პატენტები, რომელთა მისაღებად განაცხადები კავშირის ქვეყნების მოქალაქეების მიერ შეტანილია კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, დამოუკიდებელია იგივე გამოგონებაზე კავშირის სხვა წევრ ან არაწევრ ქვეყანაში მიღებული პატენტებისაგან.

(2) ზემოხსენებული დებულება გაგებული უნდა იქნეს შეზღუდვის გარეშე, კერძოდ, პატენტები, რომელთა მისაღებად განაცხადები შეტანილია პრიორიტეტის მოთხოვნის ვადაში, დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისაგან როგორც მათი ბათილად ცნობისა და მათზე უფლებების დაკარგვის, ისე მათი მოქმედების ხანგრძლივობის თვალსაზრისითაც.

(3) ეს დებულება ეხება ყველა იმ პატენტს, რომელიც იარსებებს აღნიშნული პატენტის ძალაში შესვლის მომენტისათვის.

(4) ამ კონვენციასთან ახალი ქვეყნების მიერთების შემთხვევაში აღნიშნული დებულება, ანალოგიურად, შეეხება ნებისმიერი მხარის პატენტებს, რომლებიც იარსებებენ მიერთებისას.

(5) კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში პრიორიტეტით სარგებლობის უფლების გამოყენებით მიღებულ პატენტებს აქვთ მოქმედების იგივე ვადა, როგორც ექნებოდა პატენტს მასზე განაცხადი რომ შეეტანათ ან იგი გაეცათ პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 4^{ter}

[პატენტები: გამომგონებლის დასახელება პატენტში]

გამომგონების ავტორს უფლება აქვს მოხსენებულ იქნეს ასეთად პატენტში.

მუხლი 4^{quater}

[პატენტები: პატენტუნარიანობა ვაჭრობაში კანონით დადგენილი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში]

არ შეიძლება პატენტის გაცემაზე უარის თქმა და პატენტის ძალადაკარგულად ცნობა იმ საფუძველზე, რომ დაპატენტებული ან დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქტის გაყიდვა შიდა კანონმდებლობით აკრძალვებს ან შეზღუდვებს ექვემდებარება.

მუხლი 5

[A. *პატენტები*: ნაწარმის იმპორტი, გამოუყენებლობა ან არასაკმარისი გამოყენება; იძულებითი ლიცენზიები. - B. *სამრეწველო ნიმუშები*: გამოუყენებლობა, ნაწარმის იმპორტი. - C. *ნიშნები*: გამოუყენებლობა; სხვადასხვა ფორმები; გამოყენება თანამფლობელების მიერ. - D. *პატენტები, სასარგებლო მოდელები, ნიშნები, სამრეწველო ნიმუშები*: სპეციალური მინიშნება]

A. – (1) პატენტმფლობელის მიერ კავშირის რომლიმე ქვეყანაში დამზადებული ნაწარმის იმპორტი ქვეყანაში, სადაც გაცემულია პატენტი, არ იწვევს პატენტზე უფლების დაკარგვას.

(2) კავშირის თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად, მაგალითად, პატენტის გამოუყენებლობის შემთხვევაში.

(3) დაუშვებელია პატენტზე უფლებების დაკარგვის გათვალისწინება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იძულებითი ლიცენზიის გაცემა არ არის საკმარისი ხსენებული განსაკუთრებული უფლებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად. არ შეიძლება პატენტზე უფლებების დაკარგვასთან ან მის გაუქმებასთან დაკავშირებით არანაირი პროცედურების დაწყება პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან ორი წლის ამოწურვამდე.

(4) არ შეიძლება პატენტის გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების საფუძველზე მოთხოვნილ იქნეს იძულებითი ლიცენზიის გაცემა პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან ოთხწლიანი, ან პატენტის გაცემის თარიღიდან სამწლიანი ვადის ამოწურვამდე იმის მიხედვით, რომელი ვადაც უფრო გვიან ამოიწურება; იძულებითი ლიცენზია არ გაიცემა, თუ პატენტმფლობელი მის უმოქმედობას დასაბუთებული მიზეზებით გაამართლებს. ასეთი იძულებითი ლიცენზია არაგანსაკუთრებულია და მისი გადაცემა დაუშვებელია სუბლიცენზიის სახით მისი გაცემის შემთხვევაშიც კი, გარდა შემთხვევისა, როდესაც მასთან ერთად გადაეცემა იმ საწარმოს ნაწილი ან გუდვილი, რომელიც იყენებს ასეთ ლიცენზიას.

(5) ზემოაღნიშნული დებულებები გამოიყენება *mutatis mutandis* სასარგებლო მოდელებისთვის.

B. - სამრეწველო ნიმუშების დაცვა არ შეიძლება რაიმე გარემოებათა გამო დაექვემდებაროს შეწყვეტას მისი გამოუყენებლობის ან იმ ნაწარმის იმპორტის საფუძველზე, რომელიც დაცულ ნიმუშს შეესაბამება.

C. – (1) თუ რეგისტრირებული ნიშნის გამოყენება რომელიმე ქვეყანაში სავალდებულოა, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ და მხოლოდ მაშინ, თუ დაინტერესებული პირი ვერ გაამართლებს თავის უმოქმედობას.

(2) მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის ისეთ განსხვავებულ ელემენტებიანი სახით გამოყენება, რომელიც არ ცვლის ნიშნის იმ სახის განმასხვავებლობას, რა სახითაც იგი რეგისტრირებული იყო კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, არ იწვევს რეგისტრაციის ძალის დაკარგვას და არ ამცირებს ნიშნისათვის მინიჭებულ დაცვას.

(3) ერთიდაიგივე ნიშნის ერთდროული გამოყენება იდენტურ ან მსგავს საქონელზე სამრეწველო ან კომერციული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც იმ ქვეყნის შიდა კანონის დებულებების თანახმად, სადაც მოთხოვნილია დაცვა, ნიშნის თანამფლობელებად ითვლებიან, ხელს არ უშლის ნიშნის რეგისტრაციას და არანაირად არ ამცირებს აღნიშნული ნიშნისათვის მინიჭებულ დაცვას კავშირის

ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ასეთ გამოყენებას არ შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

D. – დაცვის უფლების აღიარებისათვის საჭირო პირობის სახით საქონელზე არანაირი აღნიშვნის ან მითითების გაკეთება პატენტის, სასარგებლო მოდელის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან სამრეწველო ნიმუშის დეპონირების შესახებ არ მოითხოვება.

მუხლი 5^{bis}

სამრეწველო საკუთრების უფლებების ყველა სახეობა: უფლებების შესანარჩუნებლად საფასურის გადახდის საშეღავათო დროის პერიოდი; პატენტები: აღდგენა]

(1) სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასურის გადასახდელად დაშვებული არანაკლებ ექვსი თვის საშეღავათო დროის პერიოდი, რაც შეიძლება, თუ ამას ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს, დაექვემდებაროს საურავის გადახდას.

(2) კავშირის ქვეყნებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ გამოგონებაზე პატენტის აღდგენა, რომელსაც ძალა დაეკარგა საფასურის გადაუხდელობის გამო.

მუხლი 5^{er}

პატენტები: დაპატენტებული მოწყობილობები, რომლებიც შეადგენენ საზღვაო, ხომალდების, თვითმფრინავების ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ნაწილს]

კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში პატენტმფლობელის უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

(1) კავშირის სხვა ქვეყნების ხომალდების ბორტებზე კერძოდ, ხომალდის კორპუსზე, მანქანა-მექანიზმებში, აღჭურვილობაში, საკუთნოებსა და სხვა დამხმარე ხელსაწყო-მექანიზმებში, იმ მოწყობილობათა გამოყენება, რომლებიც შეადგენენ მისი პატენტის საგანს, როდესაც ასეთი ხომალდები შემთხვევით ან დროებით შედის აღნიშნული ქვეყნის წყლებში, იმ პირობით, რომ ასეთი მოწყობილობები გამოიყენება მხოლოდ ხომალდის საჭიროებებისათვის;

(2) იმ მოწყობილობათა გამოყენება, რომლებიც შეადგენენ პატენტის საგანს, კავშირის სხვა ქვეყნების თვითმფრინავების ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებში ან მათი ექსპლუატაციისას ან ამ სატრანსპორტო საშუალებების დამხმარე ხელსაწყო-მექანიზმებში, როდესაც აღნიშნული თვითმფრინავი ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება დროებით ან შემთხვევით შედის აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 5^{quater}

პატენტები: პროდუქტის იმპორტი ქვეყანაში, სადაც დაპატენტებულია ამ პროდუქტის წარმოების ხერხი]

თუ პროდუქტის იმპორტი ხორციელდება კავშირის ქვეყანაში, სადაც არსებობს აღნიშნული პროდუქტის წარმოების ხერხის დამცავი პატენტი, პატენტმფლობელს შემოტანილი პროდუქტის მიმართ გააჩნია ყველა უფლება, რომელიც მიენიჭა მას აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობით ამავე ქვეყანაში წარმოებული იგივე პროდუქტების მიმართ წარმოების ხერხზე გაცემული პატენტის საფუძველზე.

მუხლი 5^{quinqies}

[სამრეწველო ნიმუშები]

სამრეწველო ნიმუშები დაცულია კავშირის ყველა ქვეყანაში.

მუხლი 6

[ნიშნები: რეგისტრაციის პირობები; სხვადასხვა ქვეყნებში ერთიდაიგივე ნიშნის დაცვის დამოუკიდებლობა]

- (1) სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანისა და რეგისტრაციის პირობებს კავშირის თითოეულ ქვეყანაში განსაზღვრავს მისი შიდა კანონმდებლობა.
- (2) ამასთან, კავშირის ქვეყნის მოქალაქის მიერ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციის მიზნით შეტანილ განაცხადს არ შეიძლება ეთქვას უარი ან მისი რეგისტრაცია ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული იმის საფუძველზე, რომ მისი შეტანა, რეგისტრაცია ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელება არ განხორციელებულა წარმოშობის ქვეყანაში.
- (3) ნიშანი, რომელიც მართლზომიერად არის რეგისტრირებული კავშირის ქვეყანაში, განიხილება იმ ნიშნებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც რეგისტრირებულია კავშირის სხვა ქვეყნებში, წარმოშობის ქვეყნის ჩათვლით.

მუხლი 6^{bis}

[ნიშნები: საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები]

- (1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ex officio, თუ ეს ნებადართულია მათი კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უარი თქვან რეგისტრაციაზე ან გააუქმონ იგი და აკრძალონ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც შეადგენს სხვა ნიშნის რეპროდუქციას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ნიშანთან აღრევა, თუ ეს ნიშანი უკვე მიჩნეულია ამ კონვენციის სარგებლობით უფლებამოსილი პირის საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია ან სადაც მოხდა გამოყენება, და როგორც საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი გამოიყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშნის არსებითი ნაწილი შეადგენს ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუქციას ან იმიტაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასთან აღრევა.
- (2) ასეთი ნიშნის გაუქმების მოთხოვნისათვის ნებადართულია არანაკლებ ხუთწლიანი პერიოდი რეგისტრაციის თარიღიდან. კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოყენების აკრძალვა უნდა იქნეს მოთხოვნილი.
- (3) არანაირი დროითი შეზღუდვა არ წესდება ისეთი ნიშნების გაუქმებისა და გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნისათვის, რომლებიც რეგისტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

მუხლი 6^{ter}

[ნიშნები: სახელწიფო გერბებთან, კონტროლის ოფიციალურ დამღებთან და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ემბლემებთან დაკავშირებული აკრძალვები]

- (1)(a) კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ უარი თქვან ან ძალადაკარგულად ცნონ რეგისტრაცია და სათანადო საშუალებებით აკრძალონ კავშირის ქვეყნების გერბების, დროშების და სხვა სახელმწიფო ემბლემების, მათ მიერ მიღებული კონტროლისა და გარანტიის ოფიციალური ნიშნებისა და დამღების სასაქონლო ნიშნების სახით ან ასეთი ნიშნების ელემენტებად გამოყენება და მათი ნებისმიერი იმიტაცია ჰერალდიკის თვალსაზრისით უფლებამოსილი ორგანოების ნებართვის გარეშე.
- (b) ზემოთ მოყვანილი (a) ქვეპუნქტის დებულებები მთალიანად გამოიყენება, აგრეთვე იმ საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების გერბების, დროშების და სხვა ემბლემების აბრევიატურების ან სრული სახელწოდებების მიმართ, რომელთა წევრია კავშირის ერთი ან

რამდენიმე ქვეყანა. გამონაკლისს წარმოადგენს გერბები, დროშები და სხვა ემბლემები, აბრევიატურები ან სრული სახელწოდებები, რომლებიც უკვე წარმოადგენენ მათი დაცვისათვის განკუთვნილი მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების საგანს.

(c) კავშირის არცერთ ქვეყანას არ მოეთხოვება გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი (b) ქვეპუნქტის დებულებები, მოცემულ ქვეყანაში ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე კეთილსინდისიერად მოპოვებული უფლებების მფლობელთა საზიანოდ. კავშირის ქვეყნებს არ მოეთხოვებათ გამოიყენონ აღნიშნული დებულებები, თუ ზემოთ მოყვანილ (a) ქვეპუნქტში მითითებული გამოყენება ან რეგისტრაცია არ არის ისეთი ხასიათისა, რომ საზოგადოებაში გამოიწვიოს მოცემულ ორგანიზაციასა და გერბებს, დროშებს, ემბლემებს, აბრევიატურებსა და სრულ სახელწოდებებს შორის კავშირის არსებობის შთაბეჭდილება, ან თუ ასეთი გამოყენება ან რეგისტრაცია სავარაუდოდ არ არის ისეთი ხასიათისა, რომ საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში ნიშნის მოსარგებლესა და ორგანიზაციას შორის კავშირის არსებობის თაობაზე.

(2) კონტროლისა და გარანტიის აღმნიშვნელი ოფიციალური ნიშნებისა და დამღების გამოყენების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შემცველი ნიშნების გამოყენება გათვალისწინებულია იგივე ან მსგავსი სახეობის საქონელზე.

(3) (a) ამ დებულებების გამოსაყენებლად კავშირის ქვეყნები თანახმანი არიან საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს აცნობონ იმ სახელმწიფო ემბლემებისა და კონტროლისა და გარანტიის აღმნიშვნელი ოფიციალური ნიშნებისა და დამღების სია, რომლებიც მათ სურთ ან შემდგომ მოსურვებენ სრულად ან შეზღუდვებით დაუქვემდებარონ ამ მუხლით გათვალისწინებულ დაცვას და, აგრეთვე, აცნობონ ამ სიაში შეტანილი ყველა შემდგომი ცვლილება. კავშირის ყველა ქვეყანა მისთვის ამგვარად მიწოდებულ სიებს სათანადო წესით გახდის ხელმისაწვდომს საზოგადოებისათვის.

ამასთან სახელმწიფო დროშებთან დაკავშირებით ასეთი შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

(b) ამ მუხლის (1) პუნქტის (b) ქვეპუნქტის დებულებები გამოიყენება საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მხოლოდ ისეთი სახის გერბების, დროშებისა და სხვა ემბლემების, აბრევიატურებისა და სრული სახელწოდებებისათვის, რა სახითაც ამ ორგანიზაციებმა აცნობეს კავშირის ქვეყნებს საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით.

(4) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის ვადაში დაინტერესებულ ქვეყანას ან საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით გადასცეს თავისი შედაგება, თუ ასეთი გააჩნია.

(5) სახელმწიფო დროშების შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი (1) პუნქტით დადგენილი ზომები გამოიყენება მხოლოდ 1925 წლის 6 ნოემბრის შემდეგ რეგისტრირებული ნიშნებისათვის.

(6) კავშირის ქვეყნების სახელმწიფო ემბლემების შემთხვევაში, გარდა დროშებისა, აგრეთვე, ოფიციალური ნიშნებისა და დამღების შემთხვევაში, ასევე, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების გერბების, დროშებისა და სხვა ემბლემების, აბრევიატურების ან სრული სახელწოდებების შემთხვევაში ეს დებულებები გამოიყენება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მე-(3) პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ორი თვის შემდეგ რეგისტრირებული ნიშნებისათვის.

(7) არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, ქვეყნებს უფლება აქვთ გააუქმონ 1925 წლის 6 ნოემბრამდე რეგისტრირებული ნიშნებიც კი, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო ემბლემებს, ოფიციალურ ნიშნებსა და დამღებს.

(8) ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც უფლება აქვთ გამოიყენონ თავისი ქვეყნის სახელმწიფო ემბლემები, ოფიციალური ნიშნები და დამღები, მათი გამოყენება შეუძლიათ მაშინაც კი, თუ ისინი სხვა ქვეყნის ანალოგიური ნიშნების მსგავსია.

(9) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან აკრძალონ ვაჭრობაში კავშირის სხვა ქვეყნების სახელმწიფო გერბების უნებართვო გამოყენება, თუ გამოყენებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ შეუძლია შეცდომაში შეყვანა საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით.

(10) ზემოთ მოყვანილი დებულებები ხელს არ უშლის კავშირის ქვეყნებს ისარგებლონ მე-6^{quinquies} მუხლის B ნაწილის მე-(3) პუნქტში მოცემული უფლებით უარი თქვან ან ძალადაკარგულად ცნონ იმ ნიშნების რეგისტრაცია, რომლებშიც უნებართვოდ არის ჩართული გერბები, დროშები, სხვა სახელმწიფო ემბლემები ან კავშირის ქვეყანის მიერ მიღებული ოფიციალური ნიშნები და დამღები, აგრეთვე, ზემოთ მოყვანილ (1) პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 6^{quater}

[ნიშნები: ნიშნების გადაცემა]

(1) როდესაც კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით ნიშნის გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება ნიშნის მფლობელი საწარმოს ან მისი გუდვილის გადაცემასთან ერთად, მაშინ ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის აღიარებისათვის საკმარისია ამ ქვეყანაში განლაგებული საწარმოს ნაწილი ან მისი გუდვილი გადაეცეს უფლებამონაცვლეს, გადაცემული ნიშნით მონიშნული საქონლის აღნიშნულ ქვეყანაში წარმოებისა და გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებასთან ერთად.

(2) ზემოხსენებული დებულება კავშირის ქვეყნებს არ აკისრებს რაიმე ვალდებულებას ძალაში შესულად მიიჩნიოს ნებისმიერი ნიშნის გადაცემა, რომლის გამოყენება უფლებამონაცვლის მიერ, ფაქტობრივად, ისეთი ხასიათის იქნებოდა, რომ შეცდომაში შეიყვანდა საზოგადოებას, კერძოდ, ასეთი ნიშნით მონიშნული საქონლის წარმოშობის, ბუნების ან დამახასიათებელი ხარისხის მიმართ.

მუხლი 6^{quinquies}

[ნიშნები: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში]

A. – (1) წარმოშობის ქვეყანაში მართლზომიერად რეგისტრირებული ყველა სასაქონლო ნიშნის კავშირის სხვა ქვეყნებში შეტანა და დაცვა ხორციელდება ამ მუხლში აღნიშნული დათქმების გათვალისწინებით იმ სახით რა სახითაც იგი არის რეგისტრირებული. ასეთ ქვეყნებს საბოლოო რეგისტრაციამდე შეუძლიათ მოითხოვონ წარმოშობის ქვეყანაში კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობის წარდგენა. ამ მოწმობის ავთენტიკურობის არანაირი დადასტურება არ მოითხოვება.

(2) წარმოშობის ქვეყანად მიიჩნევა კავშირის ქვეყანა, სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულება, ან, თუ მას კავშირის ფარგლებში არ გააჩნია ასეთი დაწესებულება, კავშირის ქვეყანა, სადაც მას აქვს საცხოვრებელი ადგილი, ან, თუ კავშირის ფარგლებში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არის კავშირის ქვეყნის მოქალაქე, ქვეყანა, რომლის მოქალაქეც ის არის.

B. – სასაქონლო ნიშნებს, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი, არ შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე ან მათი რეგისტრაცია ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1. თუ მათ ისეთი ხასიათი აქვთ, რომ არღვევს მესამე პირების მიერ მოპოვებულ უფლებებს ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა;
2. თუ მათ არ გააჩნიათ განმასხვავებლობა, ან შედგება მხოლოდ ისეთი სიმბოლოების ან აღნიშვნებისაგან, რომლებიც შეიძლება ვაჭრობაში გამოიყენებოდეს საქონლის სახეობის, ხარისხის,

რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, წარმოშობის ადგილის ან მათი წარმოების დროის აღსანიშნად ან საქონლისთვის იქცა ჩვეულებრივ გავრცელებულ სიტყვად იმ ქვეყნის თანამედროვე ენაში ან ვაჭრობის კეთილსინდისიერ და დამკვიდრებულ პრაქტიკაში, სადაც მოითხოვება დაცვა;

3. თუ ისინი ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს, კერძოდ, აქვთ ისეთი ხასიათი, რომ შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება. იგულისხმება, რომ ნიშანი არ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგოდ იმ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი არ ექვემდებარება ნიშნების შესახებ კანონმდებლობის დებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვითონ ასეთი დებულება შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს.

ამასთან, ეს დებულებები ექვემდებარება მე-10^{bis} მუხლის გამოყენებას.

C. – (1) იმის განსაზღვრისას ექვემდებარება თუ არა ნიშანი დაცვას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, განსაკუთრებულად ნიშნის გამოყენების დროის ხანგრძლივობა.

(2) კავშირის სხვა ქვეყნებში არ შეიძლება უარი ეთქვას არცერთ სასაქონლო ნიშანს იმ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი წარმოშობის ქვეყანაში დაცული ნიშნისაგან განსხვავდება მხოლოდ იმ ელემენტებით, რომლებიც არ ცვლის მის განმასხვავებლობას და გავლენას არ ახდენს მის იდენტურობაზე ნიშნის იმ ფორმასთან, რომლითაც ის რეგისტრირებული იყო აღნიშნულ წარმოშობის ქვეყანაში.

D. – არც ერთ პირს არ შეუძლია ისარგებლოს ამ მუხლის დებულებებით, თუ ნიშანი, რომლისთვისაც იგი მოითხოვს დაცვას, არ არის რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში.

E. – მიუხედავად ამისა, წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება არცერთ შემთხვევაში არ იწვევს კავშირის სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების ვალდებულებას .

F. – პრიორიტეტის მოთხოვნიდან გამომდინარე უპირატესობა ხელშეუხებელი რჩება მე-4 მუხლით დადგენილი პერიოდის განმავლობაში ნიშნების სარეგისტრაციოდ შეტანილი განაცხადებისათვის, მაშინაც კი თუ რეგისტრაცია წარმოშობის ქვეყანაში განხორციელდა ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 6^{sexies}

[ნიშნები: მომსახურების ნიშნები]

კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას დაიცვან მომსახურების ნიშნები. მათ არ მოეთხოვებათ ასეთი ნიშნების რეგისტრაცია.

მუხლი 6^{septies}

[ნიშნები: მფლობელის ნებართვის გარეშე მისი რწმუნებულის ან წარმომადგენლის სახელზე რეგისტრაცია]

(1) იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელი პირის, რწმუნებული ან წარმომადგენელი, კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში მფლობელის ნებართვის გარეშე შეიტანს განაცხადს თავის სახელზე ნიშნის რეგისტრაციაზე, მფლობელს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მოთხოვნილ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანონი ამის ნებას იძლევა, აღნიშნული რეგისტრაციის გადაფორმება მის სასარგებლოდ, გარდა შემთხვევისა, როდესაც ასეთი რწმუნებული ან წარმომადგენელი დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას.

(2) ნიშნის მფლობელს, ზემოთ მოყვანილი (1) პუნქტიდან გამომდინარე, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს რწმუნებულის ან წარმომადგენლის მიერ ნიშნის გამოყენებას, თუ მას ასეთი გამოყენებაზე ნებართვა არ გაუცია.

(3) შიდა კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორივე მხარისათვის მისაღები ვადა, რომლის განმავლობაშიც ნიშნის მფლობელმა უნდა ისარგებლოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

მუხლი 7

[*ნიშნები: საქონლის სახეობა, რომელზეც გამოიყენება ნიშანი*]

ნიშნის რეგისტრაციისათვის საქონლის სახეობა, რომელზეც ნიშანი უნდა იქნეს გამოყენებული, არც ერთ შემთხვევაში არ ქმნის დაბრკოლებას.

მუხლი 7^{bis}

[*ნიშნები: კოლექტიური ნიშნები*]

(1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას სარეგისტრაციოდ მიიღონ და დაიცვან იმ გაერთიანებების კუთვნილი კოლექტიური ნიშნები, რომელთა არსებობა არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონს, მაშინაც კი, თუ ასეთი გაერთიანებები არ ფლობენ სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულებას.

(2) თითოეული ქვეყანა თვითონ ადგენს კონკრეტულ პირობებს, რომელთა შესაბამისად ხდება კოლექტიური ნიშნის დაცვა და, თუ ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს, შეუძლია უარი თქვას დაცვაზე.

(3) ამასთან, ამ ნიშნების დაცვაზე არ შეიძლება უარი ეთქვას რომელიმე გაერთიანებას, რომლის არსებობა არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას, იმ საფუძველზე, რომ ასეთი გაერთიანება არ არის დაარსებული იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, ან არ არის შექმნილი ამ უკანასკნელის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

[*საფირმო სახელწოდებები*]

საფირმო სახელწოდება კავშირის ყველა ქვეყანაში დაცულია განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს.

მუხლი 9

[*ნიშნები, საფირმო სახელწოდებები: საქონლის დაყადაღება, როდესაც მასზე უკანონოდ არის დატანილი ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, მისი იმპორტის და ა.შ. დროს*]

(1) ყველა საქონელი, რომელზეც უკანონოდ არის დატანილი სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, ექვემდებარება ყადაღას კავშირის იმ ქვეყნებში შეტანისას, სადაც ასეთ ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას მინიჭებული აქვს სამართლებრივი დაცვა.

(2) დაყადაღება ხორციელდება, აგრეთვე, ქვეყანაში, სადაც მოხდა უკანონო დატანა, ან ქვეყანაში, რომელშიც მოხდა საქონლის იმპორტი.

(3) დაყადაღება ხორციელდება პროკურორის, ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს, ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის - ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნით, თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

(4) ტრანზიტის შემთხვევაში ორგანოებს საქონლის დაყადაღების ვალდებულება არ ეკისრებათ.

(5) თუ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის დაშვებული დაყადაღება იმპორტის დროს, დაყადაღება იცვლება იმპორტის აკრძალვით ან დაყადაღებით ქვეყნის შიგნით.

(6) თუ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის დაშვებული დაყადაღება იმპორტის დროს, არც იმპორტის აკრძალვა, არც დაყადაღება ქვეყნის შიგნით, მაშინ, ვიდრე კანონმდებლობა შესაბამისად შეიცვლებოდეს, ამ ზომების ჩანაცვლება ხდება ქმედებებითა და საშუალებებით, რომლებიც ასეთ შემთხვევებში ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის ასეთი ქვეყნის კანონის მიხედვით.

მუხლი 10

[ყალბი აღნიშვნები: წარმოშობის ან მწარმოებლის ყალბი აღნიშვნის მქონე საქონლის დაყადაღება მისი იმპორტის და ა.შ. დროს]

(1) წინა მუხლის დებულებები გამოიყენება საქონელზე წარმოშობის ან მწარმოებლის, დამამზადებლის ან მოვაჭრის ვინაობის შესახებ ყალბი აღნიშვნების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენების შემთხვევაში.

(2) ნებისმიერი მწარმოებელი, დამამზადებელი, ან მოვაჭრე, იქნება იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც დასაქმებულია ასეთი საქონლის წარმოებით, დამზადებით, ან გაყიდვით და მისი საქმიანობა დაფუძნებულია ადგილზე, რომელიც ყალბად არის მითითებულ როგორც წარმოშობის ადგილი, ან რეგიონში, სადაც ასეთი ადგილი მდებარეობს, ან ყალბად მითითებულ ქვეყანაში, ან ქვეყანაში, სადაც წარმოშობის ადგილის ყალბი აღნიშვნა გამოიყენება, ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევა.

მუხლი 10^{bis}

[არაკეთილსინდისიერი კონკურენცია]

(1) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით.

(2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს.

(3) კერძოდ, აკრძალულია:

1. ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ;

2. კომერციული საქმიანობისას ისეთი ხასიათის ყალბი განცხადებების გაკეთება, რომლებიც იწვევს კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის დისკრედიტაციას;

3. ისეთი აღნიშვნების გამოყენება ან განცხადებების გაკეთება, რმაც კომერციული საქმიანობისას შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება საქონლის გვარეობის, დამზადების ხერხის, მახასიათებლების, დანიშნულებით გამოსაყენებლად ვარგისიანობის შესაბამისობის, ან რაოდენობის მიმართ.

მუხლი 10^{ter}

[ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, ყალბი აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია: სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სასამართლო დევნის უფლება]

(1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ კავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეები მე-9, მე-10 და მე-10^{bis} მუხლებში მითითებული ყველა ქმედების ეფექტიანი აღკვეთის სამართლებრივი საშუალებებით.

(2) გარდა ამისა, ისინი იღებენ ვალდებულებას გაითვალისწინონ ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემს მრეწველების, მწარმოებლებისა და მოვაჭრეების ინტერესების წარმომდგენელ კავშირებსა და გაერთიანებებს, თუკი ასეთი კავშირებისა და გაერთიანებების არსებობა არ ეწინააღმდეგება მათი ქვეყნების კანონებს, მე-9, მე-10 და მე-10^{bis} მუხლებში მითითებული ქმედებების აღკვეთის მიზნით სასამართლოში ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე აღძრან საქმეისეთ ფარგლებში, რამდენადაც ქვეყნის კანონები, სადაც დაცვა მოითხოვება, რთავს ნებას ამ ქვეყნის კავშირებსა და გაერთიანებებს განახორციელონ ასეთი ქმედება.

მუხლი 11

[გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, ნიშნები: დროებითი დაცვა განსაზღვრული სახის საერთაშორისო გამოგონებზე]

(1) კავშირის ქვეყნები თავიანთი შიდა კანონმდებლობების შესაბამისად დროებით დაცვას ანიჭებენ პატენტუნარიან გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებს რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე გამართულ ოფიციალურ ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოგონებზე გამოგენილ საქონელთან დაკავშირებით.

(2) ასეთი დროებითი დაცვა არ ახანგრძლივებს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პრიორიტეტის მოთხოვნის ვადებს. თუ საქონლის გამოგენის შემდეგ შეტანილი იქნება პირველი განაცხადი და, მოგვიანებით, მოთხოვნილი იქნება ასეთი განაცხადის პრიორიტეტი, ნებისმიერი ქვეყნის ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ პრიორიტეტის მოთხოვნის ვადის ათვლა დაიწყოს საქონლის გამოგენაზე წარდგენის თარიღიდან.

(3) თითოეულ ქვეყანას შეუძლია ექსპონირებული ნწარმის იდენტურობისა და მისი წარდგენის თარიღის დასტურად მოითხოვოს ისეთი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელსაც იგი თვლის საჭიროდ.

მუხლი 12

[სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურები]

(1) კავშირის თითოეული ქვეყანა ვალდებულია დააფუძნოს სამრეწველო საკუთრების სპეციალური სამსახური და ცენტრალური უწყება პატენტების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით.

(2) ეს სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ პერიოდულ გამოცემას. იგი რეგულარულად აქვეყნებს: გაცემული პატენტების მფლობელების სახელებსა და გვარებს, დაპატენტებული გამოგონებების მოკლე დახასიათებასთან ერთად;

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციებს.

მუხლი 13

[კავშირის ასამბლეა]

(1) (a) კავშირს გააჩნია ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც ივალდებულეს მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნები.

(b) თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება ახლდნ მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

(2) (a) ასამბლეა:

(i) განიხილავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას და ამ კონვენციის განხორციელებას;

(ii) კონვენციის სარევიზიო კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ - “საერთაშორისო ბიურო”), რომელიც მოხსენებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ - “ორგანიზაცია”) დამფუძნებელ კონვენციაში, კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერი შენიშვნის სათანადოდ გათვალისწინებით, რომლებმაც არ ივალდებულეს მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

(iii) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას, რომელიც ეხება კავშირს და მას აძლევს ყველა აუცილებელ ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ;

(iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;

(v) განიხილავს და ამტკიცებს მისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებსა და საქმიანობას და აძლევს მას ინსტრუქციებს;

(vi) განსაზღვრავს და იღებს შესაბამისად კავშირის პროგრამას და ორწლიან ბიუჯეტს, ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;

(vii) იღებს კავშირის ფინანსურ ინსტრუქციებს;

(viii) ქმნის ექსპერტთა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც ჩათვლის საჭიროდ კავშირის მიზნების მისაღწევად;

(ix) ადგენს კავშირის არაწევრი რომელი ქვეყანა და სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება დამკვირვებლებად მის სხდომებზე;

(x) იღებს მე-13-დან მე-17-მდე მუხლებში შესატან ცვლილებებს;

(xi) იღებს კავშირის მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად განზრახულ ნებისმიერ სხვა სათანადო ზომებს;

(xii) ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციით;

(xiii) ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებსაც მას ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია ანიჭებს, იმ პირობით, რომ მან ისინი აღიარა;

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლითაც, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებიც არიან დაინტერესებულნი, ასამბლეას გადაწყვეტილებები გამოაქვს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(3) (a) დელეგატს შეუძლია (b) ქვეპუნქტის დებულებების გათვალისწინებით წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც სპეციალური შეთანხმების პირობებით ერთიანდებიან საერთო უწყებაში, რომელსაც თითოეული მათგანისათვის გააჩნია მე-12 მუხლში მითითებული სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურის სტატუსი, დისკუსიების დროს შეიძლება ერთობლივად იქნეს წარმოდგენილი ერთ-ერთი მათგანის მიერ.

(4) (a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებებისა, როდესაც რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ ტოლია ან მეტია მათი ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ, ყველა ასეთი გადაწყვეტილება,

გარდა მის საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა, ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი პირობების შესრულებისას. საერთაშორისო ბიურო ხსენებული გადაწყვეტილებების შესახებ ატყობინებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე და სთავაზობს მათ შეტყობინების თარიღიდან სამი თვის ვადაში წერილობითი სახით გამოხატონ, რომ ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ან თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან. თუ ამ ვადის გასვლის მომენტისათვის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს, რომ ხმას აძლევენ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ან თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან, აღწევს ქვეყნების რაოდენობას, რომელიც აკლდა კვორუმის მისაღწევად თავად სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, იმ პირობით, თუ ამავე დროს ხმათა საჭირო უმრავლესობა კვლავ იარსებებს.

ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად მე-17(2) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმების ორი მესამედი.

ხმის მიცემაზე თავშეკავებულთა რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობაში არ ითვლება.

(a) დელეგატს შეუძლია, (b) ქვეპუნქტის დებულების გათვალისწინებით, ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებზეც მითითებულია მე-3(b) პუნქტში, როგორც წესი, ისწრაფვიან ასამბლეის სესიებზე გაგზავნონ საკუთარი დელეგაციები. თუ, მიუხედავად ამისა, რაიმე განსაკუთრებული მიზეზით, რომელიმე ასეთ ქვეყანას არ შეუძლია გაგზავნოს საკუთარი დელეგაცია, მას შეუძლია სხვა ასეთი ქვეყნის დელეგაციას მინიჭოს მისი სახელით ხმის მიცემის უფლებამოსილება, იმ პირობით, რომ თითოეულ დელეგაციას შეუძლია მინდობილობით მისცეს ხმა მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით. ხმის მიცემის ასეთი რწმუნებულება ენიჭება სახელმწიფოს მეთაურის ან უფლებამოსილი მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

(6) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, სხდომაზე დაიშვებიან დამკვირვებლებად. სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს და, განსაკუთრებულ

(7) (a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით გარემოებათა არ არსებობისას, იგივე დროსა და იგივე ადგილაზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(b) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება საგანგებო სესიაზე აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) პროცედურისათვის ასამბლეა იღებს მის საკუთარ წესებს.

მუხლი 14

[აღმასრულებელი კომიტეტი]

(1) ასამბლევას გააჩნია აღმასრულებელი კომიტეტი.

(2) (a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც ასამბლეის მიერ არჩეულნი არიან ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბ-ბინა, მე-16(7)(b) მუხლის დებულებების გათვალისწინებით, აქვს ex officio ადგილი კომიტეტში.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდენ მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რაოდენობა შეესაბამება ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მეოთხედს. შესავსები ადგილების რაოდენობის დადგენისას ოთხზე გაყოფის შედეგად დარჩენილი ნაშთი მხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევასას ასამბლეა სათანადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრ ქვეყანათა რიცხვში იმ სპეციალური შეთანხმებების მონაწილე ქვეყნების მოხვედრის საჭიროებას, რომლებიც დაფუძნებულია კავშირთან მიმართებაში.

(5) (a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრი თავის მოვალეობას ასრულებს ასამბლეის იმ სესიის დახურვიდან, რომელზეც იქნა იგი არჩეული, ასამბლეის შემდეგი რიგითი სესიის დახურვამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არაუმეტეს ორი მესამედისა შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეულნი.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისა და შესაძლო ხელახლა არჩევის ჩატარების წესების დეტალებს.

(6) (a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(ii) ასამბლეას წარუდგენს წინადადებებს გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ კავშირის პროგრამის პროექტსა და ორწლიან ბიუჯეტთან დაკავშირებით;

[ამოღებულია]

ასამბლეას წარუდგენს გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და ფინანსური აღრიცხვის რევიზიის ანგარიშებს სათანადო შენიშვნებით;

ასამბლეის გადაწყვეტილებების შესაბამისად და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ რიგით სესიას შორის პერიოდში, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად;

ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მასზე ამ კონვენციით არის განაწილებული.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებითაც, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებადი სხვა კავშირებიც არიან დაინტერესებულნი, აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილებები გამოაქვს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(7) (a) აღმასრულებელი კომიტეტი გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით სესიაზე წელიწადში ერთხელ, უპირატესად იგივე დროსა და იგივე ადგილზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება საგანგებო სესიაზე როგორც საკუთრივ მისი ინიციატივით, ისე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) (a) აღმასრულებელი კომიტეტის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

ხმის მიცემაზე თავშეკავებულთა რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობაში არ ითვლება.

დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, სხდომაზე დაიშვებიან დამკვირვებლად.

(10) პროცედურისათვის აღმასრულებელი კომიტეტი იღებს მის საკუთარ წესებს.

მუხლი 15

[საერთაშორისო ბიურო]

- (1) (a) კავშირის ადმინისტრაციულ ამოცანებს ასრულებს საერთაშორისო ბიურო, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საერთაშორისო კონვენციის მიერ დაარსებული კავშირის ბიუროსთან გაერთიანების შედეგად განახლებულ კავშირის ბიუროს.
- (b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო უზრუნველყოფს კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოების ფუნქციონირებას.
- (c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და გააჩნია კავშირის წარმოადგენის უფლება.
- (2) საერთაშორისო ბიურო თავს უყრის და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება სამრეწველო საკუთრების დაცვას. კავშირის თითოეული ქვეყანა საერთაშორისო ბიუროს დაუყოვნებლივ ატყობინებს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ყველა ახალი კანონისა და ოფიციალური ტექსტის შესახებ. გარდა ამისა, იგი საერთაშორისო ბიუროს აწვდის მისი სამრეწველო საკუთრების სამსახურის ყველა გამოცემას, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან და შეიძლება, საერთაშორისო ბიურო თავისი საქმიანობისათვის სასარგებლოდ ჩათვლის.
- (3) საერთაშორისო ბიურო პერიოდულ გამოცემას აქვეყნებს თვეში ერთხელ.
- (4) საერთაშორისო ბიურო კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, მისი მოთხოვნით, აწვდის ინფორმაციას სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.
- (5) საერთაშორისო ბიურო წარმართავს კვლევებს და უზრუნველყოფს სამრეწველო საკუთრების დაცვის ხელშესაწყობად გამიზნულ მომსახურებას.
- (6) გენერალური დირექტორი და შტატის ნებისმიერი მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამშრომელი ამ ორგანოების ex officio მდივანია.
- (7) (a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს კონფერენციებს კონვენციის დებულებათა, გარდა მე-13-დან მე-17-მდე მუხლებში მოცემული დებულებებისა, გადასინჯვის მიზნით.
- (b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან გადასინჯვასთან დაკავშირებული კონფერენციების მომზადების თაობაზე.
- (c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ დისკუსიებში.
- (8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა დავალებას.

მუხლი 16

[ფინანსები]

- (1) (a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.
- კავშირის ბიუჯეტი მოიცავს კავშირის საკუთარ შემოსავალსა და ხარჯებს, მის შენატანებს კავშირების საერთო ხარჯების ბიუჯეტში და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტისათვის გამოყოფილ თანხას.
- ხარჯები, რომლებიც მიეწერება არა მხოლოდ ამ კავშირს, არამედ, ასევე, ერთ ან მეტ სხვა კავშირს, რომელთა ადმინისტრირება ორგანიზაციის მიერ ხორციელდება, განიხილება როგორც კავშირების

საერთო ხარჯები. ასეთ საერთო ხარჯებში კავშირის წილი პროპორციულია იმ სარგებელისა, რომელიც კავშირს აქვს მასში.

(2) კავშირის ბიუჯეტი დგინდება სხვა იმ კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით, რომელთა ადმინისტრირება ორგანიზაციის მიერ ხორციელდება.

(3) კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია:

(i) კავშირის ქვეყნების შენატანები;

(ii) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურები და გადასახადები;

(iii) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გამოცემული პუბლიკაციების გაყიდვით შემოსული თანხები ან როიალთი.

(iv) საჩუქრები, მემკვიდრეობა და სუბსიდიები;

(v) რენტა, პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა.

(4) (a) კავშირის თითოეული ქვეყანა ბიუჯეტში მისი შენატანის დადგენის მიზნით განეკუთვნება გარკვეულ კლასს და იხდის თავის წლიურ შენატანს შემდეგნაირად დადგენილი წილობრივი ერთეულების საფუძველზე: ²⁾

I	კლასი	25
II	კლასი	20
III	კლასი	15
IV	კლასი	10
V	კლასი	5
VI	კლასი	3
VII	კლასი	1

თითოეული ქვეყანა, გარდა ქვეყნებისა, რომლებმაც ეს ასე უკვე გააკეთეს, თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენასთან ერთად უთითებს კლასს, რომელთანაც მას სურს მიკუთვნება. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა განუცხადოს ასამბლეას ერთ-ერთ რიგით სესიაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება შედის ძალაში კალენდარული წლიდან, რომელიც მოსდევს ხსენებულ სესიას.

(c) თითოეული ქვეყნის წლიური შენატანის სიდიდე ისეთივე პროპორციაშია ყველა ქვეყნის მიერ კავშირის წლიურ ბიუჯეტში შეტანილ საერთო თანხასთან, როგორც მისი წილობრივი ერთეულების სიდიდე ყველა გადამხდელი ქვეყნის წილობრივი ერთეულების ჯამთან.

(d) შენატანების გადახდა ხდება ყოველი წლის პირველ იანვარს.

²⁾ ისმო-ს მმართველმა ორგანოებმა და კავშირებმა, რომელთა ადმინისტრირება ისმო-ს მიერ ხორციელდება, მიიღეს შენატანების ახალი ერთიანი სისტემა, რომელიც ძალაშია 1994 წლის 1 იანვრიდან და რომელმაც შეცვალა პარიზის კონვენციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში აღწერილი შენატანების დაყოფის სისტემა. ერთიანი სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოს ისმო-ს დოკუმენტიდან AB/XXIV/5.

(e) შენატანის გადახდასთან დაკავშირებული დავალიანების მქონე ქვეყანას არ შეუძლია გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება კავშირის ნებისმიერ ორგანოში, რომლის წევრიც ის არის, თუ მისი დავალიანება ტოლია ან აჭარბებს წინა ორი სრული წლისათვის მის მიერ გადასახდელი შენატანის სიდიდეს. მიუხედავად ამისა, კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება ამ ორგანოში, თუ და ვიდრე ის დარწმუნებულია, რომ გადახდის გადავადება განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებებითა არის განპირობებული.

(f) იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი საფინანსო პერიოდის დაწყების წინ ბიუჯეტი არ არის მიღებული, ფინანსური ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად იგი რჩება წინა წლის ბიუჯეტის დონეზე.

(5) საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურებისა და გადასახადების სიდიდეს ადგენს და ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს მოახსენებს გენერალური დირექტორი.

(6) (a) კავშირს გააჩნია საბრუნავი ფონდი, რომელიც იქმნება კავშირის თითოეული ქვეყნის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკმარისი ხდება, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(b) თითოეული ქვეყნის საწყისი გადასახადის სიდიდე ხსენებულ ფონდში ან მისი მონაწილეობა ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წელს, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.

გადასახადების თანაფარდობა და გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე და მას შემდეგ, რაც ასამბლეა მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7) (a) შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც დადებულია ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ, თუ საბრუნავი ფონდი არასაკმარისია, ასეთი ქვეყანა გაიღებს ავანსებს. ამ ავანსების თანხა და გაცემის პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის დამოუკიდებელი შეთანხმებების საგანს წარმოადგენს. ვიდრე ასეთ ქვეყანას აკისრია ავანსების გაცემის ვალდებულება, მას აქვს ex officio ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(b) წინა (a) ქვეპუნქტში მითითებულ როგორც ქვეყანას, ისე ორგანიზაციას გააჩნია უფლება წერილობითი შეტყობინებით განახორციელოს ავანსების გაცემის ვალდებულების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დამთავრებიდან, როდესაც გაიგზავნა ასეთი შეტყობინება.

(8) ანგარიშების აუდიტი ხორციელდება კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის ან გარე აუდიტორების მიერ ფინანსური რეგლამენტის შესაბამისად. ისინი ინიშნებიან მათი თანხმობით, ასამბლეის მიერ.

მუხლი 17

[მე-13-დან მე-17-მდე მუხლების შესწორებები]

(1) წინადადებები მე-13, მე-14, მე-15, მე-16 მუხლებსა და ამ მუხლში შესწორებების შეტანის თაობაზე შეიძლება დასმულ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთი წინადადებების შესახებ წინასწარ, ასამბლეაზე მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე, აცნობებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს.

(2) წინა (1) პუნქტში მითითებულ მუხლებში შესწორებები მიიღება ასამბლეის მიერ. შესწორებების მისაღებად მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა სამი მეოთხედი; ამასთან, მე-13 მუხლსა და ამ პუნქტში ნებისმიერი შესწორების მისაღებად მოითხოვება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა ოთხი მეხუთედი.

(3) ნებისმიერი შესწორება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს წერილობით შეტყობინებებს ქვეყნის მიერ შესწორების აღიარების შესახებ, რაც მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების მიხედვით არის განხორციელი, იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც შესწორების მიღების მომენტში არიან ასამბლეის წევრები. აღნიშნულ მუხლებში ნებისმიერი შესწორება, რომელიც მიღებულია ამგვარად, სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც

შესწორებების ძალაში შესვლის მომენტისათვის უკვე არიან ასამბლეის წევრები ან გახდებიან მისი წევრები უფრო მოგვიანებითი თარიღისათვის იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც გაგზავნეს შეატყობინება ასეთი შესწორებების აღიარების შესახებ.

მუხლი 18

[1-დან მე-12-მდე და მე-18-დან 30- მდე მუხლების გადასინჯვა]

- (1) ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს მასში ისეთი შესწორებების შესატანად, რომლებიც კავშირის სისტემის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული.
- (2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით იმართება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.
- (3) მე-13-დან მე-17-მდე მუხლებში შესწორებების შეტანა ხორციელდება მე-17 მუხლის დებულებების მიხედვით.

მუხლი 19

[სპეციალური შეთანხმებები]

მიღწეულია შეთანხმება, რომ კავშირის ქვეყნები იტოვებენ უფლებას გამოყოფილად, ერთმანეთს შორის დადონ სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური შეთანხმებები, ისე, რომ, ეს შეთანხმებები არ ეწინააღმდეგებოდეს ამ კონვენციის დებულებებს.

მუხლი 20

[კავშირის ქვეყნების მიერ რატიფიკაცია ან მიერთება; ძალაში შესვლა]

- (1) (a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიკაცია, ხოლო თუ მას არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან მიერთება. რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ დოკუმენტების დეპოზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.
- (b) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას მისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტში შეუძლია განაცხადოს, რომ მისი რატიფიკაცია ან მიერთება არ ვრცელდება:
მუხლებზე 1-დან მე-12-მდე, ან
მუხლებზე მე-13-დან მე-17-მდე.
- (c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (b) ქვეპუნქტის შესაბამისად, თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის მოქმედება არ გაავრცელა ამ ქვეპუნქტში მითითებული მუხლების ორი ჯგუფიდან ერთ-ერთზე, შეუძლია მოგვიანებით ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის მოქმედებას მუხლების ამ ჯგუფზე. ასეთი განცხადების დეპოზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.
- (2) (a) 1-დან 12-მდე მუხლები ძალაში შედის კავშირის იმ პირველი ათი ქვეყნის მიმართ, რომელთაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი დეპოზიტზე წარადგინეს (1)(b)(i) პუნქტით დაშვებული განცხადების გაკეთების გარეშე ასეთი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის დეპოზიტზე წარადგინიდან სამი თვის შემდეგ.
- (b) მე-13-დან მე-17-მდე მუხლები ძალაში შედის კავშირის იმ პირველი ათი ქვეყნის მიმართ, რომელთაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი დეპოზიტზე წარადგინეს (1)(b)(ii) პუნქტით დაშვებული განცხადების გაკეთების გარეშე, ასეთი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის დეპოზიტზე წარადგინიდან სამი თვის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ (a) და (b) ქვეპუნქტების შესაბამისად და 1 (b) პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით (1)(b)(i) და (ii) პუნქტებში მითითებული მუხლების ორი ჯგუფი უკვე შესულია ძალაში, კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, გარდა (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებულისა, რომელიც დეპოზიტზე წარადგენს რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტს ან კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც დეპოზიტზე განაცხადს 1 (c) პუნქტის შესაბამისად წარადგენს, მუხლები 1-დან მე-17-მდე ძალაში შედის სამი თვის შემდეგ ასეთი დეპოზიტის მიღების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების გავრცელების თარიღიდან, თუ დეპონირებულ დოკუმენტში ან განცხადებაში უფრო გვიანი თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ აქტი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელმაც რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტი წარადგინა დეპოზიტზე, მუხლები მე-18-დან 30-მდე ძალაში შედის იმ თარიღებიდან ყველაზე ადრეული თარიღიდან, როდესაც ამ ქვეყნის მიმართ 1(b) პუნქტში აღნიშნული მუხლების ჯგუფიდან ნებისმიერი შედის ძალაში მე-(2)(a), (b) ან (c) პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 21

[კავშირის არაწევრი ქვეყნების მიერთება; ძალაში შესვლა]

(1) კავშირის არაწევრ ნებისმიერ ქვეყანას, შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და ამის მეშვეობით გახდეს კავშირის წევრი. მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენა ხდება გენერალურ დირექტორთან.

(2) (a) კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მისი მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს ამ აქტის რაიმე დებულებების ძალაში შესვლის თარიღამდე ერთი ან მეტი თვით ადრე, ეს აქტი ძალაში შედის იმ თარიღიდან, როდესაც აღნიშნული დებულებები თავდაპირველად შევიდა ძალაში მე-20(2) (a) ან (b) მუხლის თანახმად, თუ მიერთების დოკუმენტებში უფრო გვიანი თარიღი არ იყო აღნიშნული; იმ პირობით, რომ:

თუ მუხლები 1-დან 12-მდე ამ თარიღისათვის არ არის შესული ძალაში, ასეთ ქვეყანას ამ დებულებათა ძალაში შესვლამდე პერიოდში და მათ სანაცვლოდ ეკისრება ლისაბონის აქტის 1-დან მე-12-მდე მუხლების ვალდებულებები,

თუ მუხლები მე-13-დან მე-17-მდე ამ თარიღისათვის არ არის შესული ძალაში, ასეთ ქვეყანას ამ დებულებათა ძალაში შესვლამდე პერიოდში და მათ სანაცვლოდ ეკისრება ლისაბონის აქტის მე-13 და მე-14(3), (4) და (5) მუხლების ვალდებულებები

თუ მიერთების დოკუმენტში ქვეყანა უთითებს უფრო გვიან თარიღს, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მისი მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს თარიღით, რომელიც მოსდევს ან ერთ თვეზე ნაკლები დროით წინ უსწრებს ამ აქტის მუხლების ერთი ჯგუფის ძალაში შესვლას, ეს აქტი, (a) ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით, ძალაში შედის სამი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც მისი მიერთების შესახებ შეტყობინება გავრცელდა გენერალური დირექტორის მიერ, თუ მიერთების დოკუმენტში უფრო გვიანი თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.

კავშირის არაწევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მიერთების შესახებ დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს ამ აქტის მთლიანად ძალაში შესვლის შემდეგ, ან ამ თარიღამდე ერთ თვეზე ნაკლები დროით ადრე, ეს აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მისი მიერთების შესახებ შეტყობინება გავრცელდა გენერალური დირექტორის მიერ, თუ მიერთების

დოკუმენტში უფრო გვიან თარიღი არ იყო მითითებული. მეორე შემთხვევაში, ეს აქტი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღით.

მუხლი 22

[რატიფიკაციის ან მიერთების შედეგები]

მე-20(1)(b) და 28(2) მუხლებით დაშვებული შესაძლო გამონაკლისების გათვალისწინებით, რატიფიკაციას ან მიერთებას ავტომატურად მოსდევს ამ აქტის ყველა დებულების აღიარება და ყველა უპირატესობით სარგებლობა.

მუხლი 23

[ადრინდელ აქტებთან მიერთება]

ამ აქტის მთლიანად ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანას შეუძლია არ მიუერთდეს ამ კონვენციის ადრინდელ აქტებს.

მუხლი 24

[ტერიტორიები]

(1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია მისი რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტში განაცხადოს, ან შემდგომში ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით გენერალურ დირექტორს აცნობოს, რომ ეს კონვენცია მოქმედებს მთელ ტერიტორიაზე ან მის იმ ნაწილზე, რომელზეც მითითებულია განცხადებაში ან შეტყობინებაში და რომლის საგარეო ურთიერთობებზეც იგი არის პასუხისმგებელი.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება ან გაგზავნა ასეთი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია წყვეტს მოქმედებას მთელ ასეთ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე.

(3) (a) წინა (1) პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის იმავე თარიღიდან, როდესაც - ის რატიფიკაცია ან მიერთება, რომლის შესაბამისი დეპოზიტზე წარსადგენი დოკუმენტიც შეიცავს ასეთ განცხადებას, ხოლო ამავე პუნქტის მიხედვით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ ამის შესახებ შეტყობინების გავრცელებიდან სამი თვის შემდეგ.

წინა მე-(2) პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 25

[კონვენციის განხორციელება ეროვნულ დონეზე]

(1) ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა იღებს ვალდებულებას თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ზომები ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) მიღწეულია შეთანხმება, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც ქვეყანა მისი რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტს წარადგენს დეპოზიტზე, მას ექნება შესაძლებლობა ადგილობრივი კანონმდებლობის სფეროებზე ამოქმედოს ამ კონვენციის დებულებები.

მუხლი 26

[დენონსაცია]

- (1) ეს კონვენცია რჩება ძალაში დროითი შეზღუდვის გარეშე.
- (2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ასეთი დენონსაცია ასევე განაპირობებს ადრეული აქტების დენონსაციას და ეხება მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ეს დენონსაცია, კონვენცია მთლიანად რჩება ძალაში და მოქმედებს კავშირის სხვა ქვეყნების მიმართ.
- (3) *დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.*
- (4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომელიმე ქვეყნის მიერ, კავშირში მისი გაწევრიანების თარიღიდან ხუთი წლის გასვლამდე.

მუხლი 27

[ადრინდელი აქტების გამოყენება]

- (1) ეს აქტი ცვლის 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენციას და მის მომდევნო, გადასინჯვის შედეგად მიღებულ აქტებს იმ ქვეყნების ურთიერთობების მიმართ, რომლებზეც იგი ვრცელდება და იმ მოცულობით, რამდენადაც იგი გამოიყენება.
- (2) (a) ქვეყნების მიმართ, რომლებზეც ეს აქტი არ ვრცელდება მთლიანობაში, მაგრამ ვრცელდება 1958 წლის 31 ოქტომბრის ლისაბონის აქტი, უკანასკნელი ძალაში რჩება მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე.
- (b) ასევე, ქვეყნების მიმართ, რომლებზეც არ ვრცელდება არც ეს აქტი, არც მისი ნაწილი, არც ლისაბონის აქტი, ძალაში რჩება 1934 წლის 2 ივნისის ლონდონის აქტი მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე.
- (c) ასევე, ქვეყნების მიმართ, რომლებზეც არ ვრცელდება არც ეს აქტი, არც მისი ნაწილი, არც ლისაბონის აქტი, არც 1934 წლის 2 ივნისის ლონდონის აქტი, ძალაში რჩება 1925 წლის 6 ნოემბრის ჰააგის აქტი მთლიანობაში ან ისეთი მოცულობით, რომ ეს აქტი არ ცვლის მას (1) პუნქტის საფუძველზე.
- (3) კავშირის არაწევრი ქვეყნები, რომლებიც გახდნენ ამ აქტის მონაწილენი იყენებენ მას კავშირის იმ ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობაში, რომელიც არ არის ამ აქტის მონაწილე, ან რომელიც არის ამ აქტის მონაწილე, მაგრამ გააკეთა განცხადება მე-20(1)(b)(i) მუხლის შესაბამისად. ასეთი ქვეყნები აღიარებენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში შეუძლიათ გამოიყენონ იმ ბოლო აქტის დებულებები, რომლის მონაწილეც არის იგი.

მუხლი 28

[დავები]

კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციის ან გამოყენების თაობაზე ნებისმიერ იმ დავასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ მოგვარდა, დაინტერესებული ქვეყნებიდან ნებისმიერის მიერ შეიძლება შეტანილ იქნეს გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სასამართლოს შესახებ სტატუტის შესაბამისად მისი წარდგენის გზით, თუ დაინტერესებული ქვეყნები არ შეთანხმდებიან დავის მოგვარების რაიმე სხვა ხერხზე. ქვეყანა, რომელიც სარჩელს წარადგენს სასამართლოში, ამის შესახებ ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს;

საერთაშორისო ბიურო იღებს ზომებს, რათა ამ საკითხზე მიაპყროს კავშირის სხვა ქვეყნების ყურადღება.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენისას თითოეულ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ მასზე არ ვრცელდება (1) პუნქტის დებულებები. ასეთ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის დავასთან დაკავშირებით (1) პუნქტის დებულებები არ გამოიყენება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება მე-(2) პუნქტის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეუძლია გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით უკან გამოითხოვოს განცხადება.

მუხლი 29

[ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები]

(1) (a) ამ აქტზე ხელი მოეწერება ერთ პირად ფრანგულ ენაზე და დეპოზიტზე წარედგინება შვედეთის მთავრობას.

(b) ოფიციალური ტექსტი ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ და ესპანურ ენებზე, და სხვა ისეთ ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს ასამბლეამ, დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ.

(c) სხვადასხვა ენაზე ტექსტების ინტერპრეტაციის თაობაზე აზრთა განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1968 წლის 13 იანვრამდე სტოკჰოლმში.

(3) გენერალური დირექტორი ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის შვედეთის მთავრობის მიერ დამოწმებულ ორ ასლს უგზავნის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში - ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი ამ აქტის რეგისტრაციას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას ატყობინებს ხელმოწერების, რატიფიკაციის ან მიერთების თაობაზე დოკუმენტის დეპოზიტზე წარდგენის და ნებისმიერი იმ განცხადების შესახებ, რომლებსაც შეიცავს ასეთი დოკუმენტები, ან რომლებიც გაკეთებულია მე-20(1)(c) მუხლის შესაბამისად, ამ აქტის ნებისმიერი დებულების ძალაში შესვლის, დენონსაციისა და 24-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინების შესახებ.

მუხლი 30

[გარდამავალი დებულებები]

(1) პირველი გენერალური დირექტორის მიერ თანამდებობის დაკავებამდე, ამ აქტში ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროზე ან გენერალურ დირექტორზე მითითება ითვლება მითითებად კავშირის ბიუროზე ან მის გენერალურ დირექტორზე შესაბამისად.

(2) კავშირის ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ აღებული მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები, შეუძლიათ ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გავადაში სურვილისამებრ, ისარგებლონ, ამ აქტის მე-13-დან მე-17-მდე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, ისე თითქოს ეს მუხლები მათთვის სავალდებულოა. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ისარგებლოს ასეთი უფლებებით, ამ მიზნით გენერალურ დირექტორს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელიც ძალაში შედის მისი

მიღების თარიღიდან. ასეთი ქვეყნები ითვლება ასამბლეის წევრებად აღნიშნული ვადის ამოწურვამდე.

(3) ვიდრე კავშირის ყველა ქვეყანა არ გახდება ორგანიზაციის წევრი, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო აგრეთვე ფუნქციონირებს, როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი - როგორც აღნიშნული ბიუროს დირექტორი.

(4) მას შემდეგ, რაც კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადაეცემა ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ

წევრი ქვეყნები,

გამოთქვამენ რა სურვილს შეამცირონ დამახინჯებები და დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობაში და მხედველობაში იღებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტური და ადეკვატური დაცვის ხელშეწყობის საჭიროებას, და ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების ზომები და პროცედურები თავად არ იქცეს კანონიერი ვაჭრობის დაბრკოლებად;

აღიარებენ, ამ მიზნით ახალი წესებისა და წესრიგის საჭიროებას, რომლებიც ეხება:

(ა) 1994 წლის GATT-ისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების ძირითადი პრინციპების გამოყენებას;

(ბ) ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებული უფლებების არსებობის, ფარგლებისა და გამოყენების ადეკვატური სტანდარტებისა და პრინციპების უზრუნველყოფას;

(გ) ეროვნული სამართლებრივი სისტემების განსხვავებათა გათვალისწინებით, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელების ეფექტური და სათანადო საშუალებებით უზრუნველყოფას;

(დ) მთავრობებს შორის დავების მრავალმხრივ საფუძველზე ასაცილებლად და გადასაწყვეტად ეფექტური და გადაუდებელი პროცედურებით უზრუნველყოფას; და

(ე) გარდამავალ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოლაპარაკებების შედეგებში მაქსიმალურად სრულ მონაწილეობას;

ამასთან:

აღიარებენ რა კონტრაფაქციული საქონლით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული პრინციპების, წესებისა და წესრიგის მრავალმხრივი სისტემის საჭიროებას;

აღიარებენ, რა რომ უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე წარმოადგენს კერძო პირთა უფლებებს;

აღიარებენ რა სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველში ჩადებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემების მიზნებს, განვითარებისა და ტექნოლოგიური მიზნების ჩათვლით;

აღიარებენ რა აგრეთვე, ნაკლებად განვითარებული წევრი ქვეყნების განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს მაქსიმალურად მოქნილად იქნეს გამოყენებული ქვეყნის შიგნით კანონები და წესები, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა შექმნან მყარი და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზა;

ბაზს უსვამენ რა უფრო მყარი ვალდებულებების მიღწევის გზით დამაბულობის შემცირების მნიშვნელობას, რათა მრავალმხრივი პროცედურების საშუალებით გადაწყდეს ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტებთან დაკავშირებული დავები;

და სურთ რა დაამყარონ ურთიერთმხარდამჭერი ურთიერთობები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასა (ვმო) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში "ისმო") შორის ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის,

თანხმდებიან შემდეგზე:

ნაწილი I

ზოგადი დებულებები და ძირითადი პრინციპები

მუხლი 1

ვალდებულებათა არსი და ფარგლები

1. წევრ ქვეყნებს მოქმედებაში მოჰყავთ ამ შეთანხმების დებულებები. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, მაგრამ არ არიან ვალდებული, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინონ უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მოითხოვება ამ შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ამგვარი დაცვა არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებს. წევრ ქვეყნებს აქვთ სრული თავისუფლება თავისი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში განსაზღვრონ ამ შეთანხმების დებულებების შესრულების სათანადო მეთოდი.
2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" ეხება ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორიას, რომლებიც II ნაწილის 1–7 კარის განხილვის ობიექტს წარმოადგენს.
3. წევრი ქვეყნები ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეჟიმს ანიჭებენ სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებს⁵⁰. ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის უფლებასთან დაკავშირებით, სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებად მიიჩნევიან ის ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ პარიზის კონვენციით (1967), ბერნის კონვენციით (1971), რომის კონვენციითა და ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მინიჭების კრიტერიუმებს, ისე თითქოს ვმო-ს ყველა წევრი ქვეყანა ამ კონვენციების მონაწილე იყოს.⁵¹ ნებისმიერი წევრი ქვეყანა, რომელიც სარგებლობს რომის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, ატყობინებს ამის შესახებ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების სავაჭრო ასპექტების საბჭოს ("TRIPS-ის საბჭო"), როგორც გათვალისწინებულია აღნიშნულ დებულებებში.

მუხლი 2

კონვენციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში

1. ამ შეთანხმების II, III და IV ნაწილების მიმართ, წევრი ქვეყნები იცავენ პარიზის კონვენციის (1967წ.) 1–12 მუხლებისა და მე-19 მუხლის დებულებებს.

⁵⁰ ამ შეთანხმებაში "მოქალაქეები", ვმო-ს წევრი ქვეყნის ცალკე საბაჟო ტერიტორიის შემთხვევაში, აღნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო ამ საბაჟო ტერიტორიაზე.

⁵¹ ამ შეთანხმებაში "პარიზის კონვენცია" აღნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას; "პარიზის კონვენცია (1967წ.)" აღნიშნავს ამ კონვენციის 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტს; "ბერნის კონვენცია" ნიშნავს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციას; "ბერნის კონვენცია (1971წ.)" აღნიშნავს ამ კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს. "რომის კონვენცია" ნიშნავს შემსრულებელთა, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც მიღებულია რომში 1961 წლის 26 ოქტომბერს. "ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულება" (IPIC ხელშეკრულება) აღნიშნავს ხელშეკრულებას ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რომელიც მიღებულია ვაშინგტონში 1989 წლის 26 მაისს. "შეთანხმება ვმო-ს შესახებ" აღნიშნავს შეთანხმებას ვმო-ს დაფუძნების შესახებ.

2. ამ შეთანხმების I-IV ნაწილებში არაფერი ზღუდავს არსებულ ვალდებულებებს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ შეიძლება ჰქონდეთ წევრ ქვეყნებს პარიზის კონვენციის, ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და ინტერნალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 3

ეროვნული რეჟიმი

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან⁵² დაკავშირებით, თითოეული წევრი ქვეყანა სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე ავრცელებს თავისი მოქალაქეებისათვის გათვალისწინებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამისად პარიზის კონვენციით (1967წ.), ბერნის კონვენციით (1971წ.), რომის კონვენციითა და ინტერნალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულებით. რაც შეეხება შემსრულებლებს, ფონოგრამების დამამზადებლებსა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება გამოიყენება მხოლოდ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით. ნებისმიერი წევრი ქვეყანა, რომელიც სარგებლობს ბერნის კონვენციის (1971წ.) მე-6 მუხლით, ან რომის კონვენციის მე-16 მუხლის 1(b) პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, აღნიშნული დებულებებით დადგენილი წესის შესაბამისად ატყობინებს ამის შესახებ TRIPS-ის საბჭოს.

2. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ისარგებლონ 1-ლი პუნქტით ნებადართული გამონაკლისებით სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, საქმიანი მიმოწერისათვის მისამართის არჩევის ან წევრი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში რწმუნებულის დანიშვნის ჩათვლით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გამონაკლისები აუცილებელია იმ კანონებსა და წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებს და როცა ასეთი პრაქტიკა არ გამოიყენება იმგვარად, რომ შეიცავდეს ვაჭრობისათვის ფარულ შეზღუდვას.

მუხლი 4

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი უპირატესობა, შეღავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ ვრცელდება ყველა სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეებზე. ეს ვალდებულებები არ ვრცელდება წევრი ქვეყნის მიერ გათვალისწინებულ ნებისმიერ უპირატესობაზე, შეღავათზე, პრივილეგიასა და იმუნიტეტზე, რომლებიც: გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან სასამართლო დახმარების შესახებ ან ზოგადი ხასიათის კანონის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც არ არის შეზღუდული მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დაცვით;

⁵² მე-3 და მე-4 მუხლების მიზნებისათვის "დაცვა" მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობას, მოპოვებას, ფარგლებს, ძალაში შენარჩუნებასა და განხორციელებას, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებას და რომლებსაც ეთმობა სპეციალური ყურადღება ამ შეთანხმებაში.

მინიჭებულია ბერნის კონვენციის (1971წ.) ან რომის კონვენციის დებულებების შესაბამისად, რომლებითაც დაშვებულია, რომ მინიჭებული რეჟიმი წარმოადგენს არა ეროვნული რეჟიმის, არამედ სხვა ქვეყანაში მინიჭებული რეჟიმის ფუნქციას;

ეხება შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებს, რომლებიც ამ შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული;

გამომდინარეობს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც ძალაში შევიდა ვმო-ს შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებების შესახებ ეცნობა TRIPS-ის საბჭოს და რომ ისინი არ წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას.

მუხლი 5

მრავალმხრივი შეთანხმებები დაცვის მოპოვების ან ძალაში შენარჩუნების შესახებ

მე-3 და მე-4 მუხლების ვალდებულებები არ ვრცელდება ისმო-ს ეგიდით დადებულ მრავალმხრივ შეთანხმებებში გათვალისწინებულ პროცედურებზე, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მოპოვებასა ან ძალაში შენარჩუნებასთან.

მუხლი 6

უფლებების ამოწურვა

ამ შეთანხმების შესაბამისად დავათა დარეგულირების მიზნით, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებების გათვალისწინებით, ამ შეთანხმებაში არაფერი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ამოწურვის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 7

მიზნები

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვამ და განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ტექნოლოგიურ ინოვაციას, ტექნოლოგიების გადაცემასა და გავრცელებას მწარმოებელთა და ტექნოლოგიური ცოდნის მომხმარებელთა ურთიერთსასარგებლოდ იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებას.

მუხლი 8

პრინციპები

1. წევრ ქვეყნებს თავისი ეროვნული კანონებისა და წესების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანისას შეუძლიათ მიიღონ ზომები საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და კვების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სექტორებში, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შეესაბამება ამ შეთანხმების დებულებებს.

2. სათანადო ზომების მიღება იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება ამ შეთანხმების დებულებებს, შეიძლება აუცილებელი იყოს უფლებების მფლობელის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ბოროტად გამოყენების ან ისეთი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც უმართებულოდ ზღუდავს ვაჭრობას ან არასასურველ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემაზე.

ნაწილი II

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობასთან, ფარგლებსა და გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტები

კარი I

საავტორო უფლებები და მომიჯნავე უფლებები

მუხლი 9

დამოკიდებულება ბერნის კონვენციასთან

1. წევრი ქვეყნები იცავენ ბერნის კონვენციის (1971წ.) 1–21 მუხლებისა და მის დამატებითი კარის დებულებებს. მიუხედავად ამისა, ამ შეთანხმების შესაბამისად, წევრ ქვეყნებს არ გააჩნიათ უფლებები და ვალდებულებები აღნიშნული კონვენციის მე-6^{bis} მუხლით მინიჭებულ, ან მათგან გამომდინარე უფლებებთან დაკავშირებით.
2. საავტორო უფლებების დაცვა ვრცელდება გამოხატვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, მუშაობის მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 10

კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა კომპილაცია

1. კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს საწყისი ტექსტი თუ ობიექტის კოდი, დაცულია ბერნის კონვენციით (1971წ.) როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.
2. მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაცია, იქნება ეს მანქანით წაკითხვადი ფორმით თუ სხვა ფორმით, რომელიც თავისი შემცველობის შერჩევითა და განლაგებით არის ინტელექტუალურ-ემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, დაიცვება როგორც ასეთი. ასეთი დაცვა, რომელიც არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და მასალებზე, არ უნდა აყენებდეს ზიანს საავტორო უფლებას თავად მონაცემებზე ან მასალებზე.

მუხლი 11

გაქირავების უფლებები

წევრი ქვეყანა, სულ მცირე, კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ, ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის ითვალისწინებს უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების საჯარო კომერციული გაქირავება. წევრი ქვეყანა თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, თუ ასეთი გაქირავება არ იწვევს ამგვარი ნაწარმოებების მასშტაბურ კოპირებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ წევრ ქვეყანაში ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით ეს ვალდებულება არ ვრცელდება გაქირავებაზე, თუ თვითონ პროგრამა არ არის გაქირავების ძირითადი ობიექტი.

მუხლი 12

დაცვის ვადა

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების დაცვის ვადა, ფოტოგრაფიული ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების გარდა, გამოითვლება ფიზიკური პირის სიცოცხლის ხანგრძლივობისაგან განსხვავებულ საფუძველზე, იგი შეადგენს არანაკლებ 50 წელს ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნების კალენდარული წლის დასასრულიდან, ან ნაწარმოების შექმნიდან 50 წლის განმავლობაში მართლზომიერი გამოქვეყნების არარსებობის შემთხვევაში – 50 წელს იმ წლის ბოლოდან, როდესაც შეიქმნა ნაწარმოები.

მუხლი 13

შეზღუდვები და გამონაკლისები

წევრი ქვეყნები განსაკუთრებული უფლების შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან დაკავშირებით იფარგლებიან გარკვეული სპეციალური შემთხვევებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და არ აყენებს ზიანს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 14

შემსრულებელთა, ფონოგრამის (ხმის ჩანაწერების) დამამზადებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვა

1. შემსრულებლებს თავისი შესრულების ფონოგრამაზე ჩაწერასთან დაკავშირებით შესაძლებლობა აქვთ წინ აღუდგნენ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს: თავისი ჩაუწერიელი შესრულების ჩაწერას და ამგვარი ჩანაწერის რეპროდუცირებას. შემსრულებლებს შესაძლებლობა აქვთ, აგრეთვე, წინ აღუდგნენ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს: თავისი ცოცხალი შესრულების ეთერით გადაცემას და საჯარო გაცნობას.
2. ფონოგრამების მწარმოებლებს უფლება აქვთ ნება დართონ ან აკრძალონ თავისი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება.
3. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს უფლება აქვთ აკრძალონ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული შემდეგი ქმედებები: გადაცემების ჩაწერა, ჩანაწერების რეპროდუცირება, გადაცემების ეთერით ხელახალი გადაცემა, ასევე მათი სატელევიზიო გადაცემების საჯარო გაცნობა. თუ წევრი ქვეყნები სამაუწყებლო ორგანიზაციებს არ ანიჭებენ ამგვარ უფლებებს, მაშინ ისინი საავტორო უფლების მფლობელებს გადაცემის ობიექტთან დაკავშირებით უზრუნველყოფენ შესაძლებლობით წინ აღუდგნენ ზემოაღნიშნულ ქმედებებს, ბერნის კონვენციის (1971წ.) დებულებების გათვალისწინებით.
4. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით მე-11 მუხლის დებულებები ვრცელდება *mutatis mutandis* ფონოგრამის დამამზადებლებზე და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე წევრი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ფონოგრამების გაქირავებასთან დაკავშირებით, 1994 წლის 15 აპრილისათვის წევრ ქვეყანაში მოქმედებდა უფლების მფლობელებისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდის სისტემა, მას შეუძლია შეინარჩუნოს ამგვარი სისტემა იმ პირობით, რომ ფონოგრამების კომერციული მიზნით გაქირავება მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებს უფლების მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

5. ამ შეთანხმებით შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლებისათვის მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს, სულ მცირე, 50 წელს, რომელიც აითვლება იმ კალენდარული წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა ჩაწერა ან მოხდა შესრულება. მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული დაცვის ვადა გრძელდება, სულ მცირე, 20 წლის მანძილზე იმ კალენდარული წლის ბოლოდან, როდესაც განხორციელდა ეთერით გადაცემა.

6. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით მინიჭებულ უფლებებთან დაკავშირებით ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია გაითვალისწინოს პირობები, შეზღუდვები, გამონაკლისები და დათქმები რომის კონვენციით დაშვებული მოცულობით. მიუხედავად ამისა, ბერნის კონვენციის (1971წ.) მე-18 მუხლის დებულებები გამოიყენება აგრეთვე, mutatis mutandis შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებებთან დაკავშირებით.

პარი 2

სასაქონლო ნიშნები

მუხლი 15

დაცვის ობიექტები

1. ნებისმიერი ნიშანი ან ნიშანთა ნებისმიერი კომბინაცია, რომელსაც შესწევს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოების საქონლის ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. ასეთი ნიშნები, კერძოდ, სიტყვები, საკუთარი სახელების ჩათვლით, ასოები, ციფრები, გამოსახულებითი ელემენტები და ფერთა კომბინაციები, აგრეთვე ასეთი ნიშნების ნებისმიერი კომბინაცია შეიძლება სასაქონლო ნიშნებად იქნეს რეგისტრირებული. თუ ნიშნებს თავისთავად არ შესწევთ უნარი განასხვავოს შესაბამისი საქონელი ან მომსახურება, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ რეგისტრაციის შესაძლებლობა გამოყენების საფუძველზე შეძენილ განმასხვავებლობას დაუკავშირონ. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ რეგისტრაციის პირობად მოითხოვონ, რომ ნიშნები ვიზუალურად აღქმადი იყოს.

2. პირველი პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ წევრ ქვეყანას აეკრძალოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა სხვა საფუძველზე დაყრდნობით იმ პირობით, რომ ისინი არ დაარღვევენ პარიზის კონვენციის (1967წ.) დებულებებს.

3. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობა გამოყენებაზე დამოკიდებული გახადონ. მაგრამ სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის პირობას. არ შეიძლება განაცხადზე უარის თქმა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ განაცხადის შეტანის თარიღიდან სამწლიანი ვადის გასვლამდე ნიშნის განზრახული გამოყენება არ განხორციელდა.

4. იმ საქონლის ან მომსახურების სახეობა, რომლისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული სასაქონლო ნიშანი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

5. წევრი ქვეყნები ყოველი სასაქონლო ნიშანის მონაცემებს აქვეყნებენ ნიშნის რეგისტრაციამდე ან დაუყოვნებლივ მისი რეგისტრაციის შემდეგ და დაინტერესებულ მხარეებს აძლევენ რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის რეალურ შესაძლებლობას. გარდა ამისა, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან სასაქონლო ნიშნის რეგისტრირების გაპროტესტების შესაძლებლობა.

მუხლი 16

მინიჭებული უფლებები

1. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს ყველა მესამე პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელის თანხმობა, ვაჭრობაში გამოიყენოს იდენტური ან მსგავსი ნიშნები ისეთი საქონლის ან მომსახურებისათვის, რომლებიც იმ საქონლის ან მომსახურების იდენტური ან მსგავსია, რომელთათვისაც სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული, თუ ასეთი გამოყენება შედეგად მათი აღრევის შესაძლებლობას წარმოშობს. იდენტური საქონლის ან მომსახურებისათვის იდენტური ნიშნის გამოყენების შემთხვევაში აღრევის შესაძლებლობის არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა. ზემოთ აღწერილი უფლებები არანაირ ზიანს არ აყენებს ნებისმიერ ადრე არსებულ უფლებებს და, ასევე, არ ახდენს გავლენას წევრი ქვეყნების შესაძლებლობაზე, დაუშვან უფლებების მოპოვება გამოყენების საფუძველზე.
2. პარიზის კონვენციის (1967წ.) მე-6^{bis} მუხლი გამოიყენება *mutatis mutandis* (სათანადო ცვლილებებით) მომსახურებისათვის. იმის განსაზღვრისას არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, წევრი ქვეყნები მხედველობაში იღებენ სასაქონლო ნიშნის საზოგადოების შესაბამის სექტორში ცნობილობას, მოცემულ წევრ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნის რეკლამირების ან მისი პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული სხვა საქმიანობის შედეგად მოპოვებული ცნობილობის ჩათვლით.
3. პარიზის კონვენციის (1967წ.) მე-6^{bis} მუხლი გამოიყენება *mutatis mutandis* (სათანადო ცვლილებებით) ისეთი საქონლის ან მომსახურებისათვის, რომლებიც არ არის იმ საქონლის ან მომსახურების მსგავსი, რომლებსთვისაც სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული იმ პირობით, რომ ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ასეთი საქონლის ან მომსახურებისათვის მიუთითებს კავშირზე ამ საქონელსა ან მომსახურებასა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს შორის და იმ პირობით, რომ ასეთმა გამოყენებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის ინტერესებს.

მუხლი 17

გამონაკლისები

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ შეზღუდული რაოდენობის გამონაკლისები სასაქონლო ნიშნით მინიჭებული უფლებებიდან, როგორცაა აღწერილობითი ტერმინების კეთილსინდისიერი გამოყენება, იმ პირობით, რომ ასეთი გამონაკლისები ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის მფლობელისა და მესამე პირების კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 18

დაცვის ხანგრძლივობა

სასაქონლო ნიშნის პირველადი რეგისტრაციისა და ყოველი განახლებული რეგისტრაციის მოქმედების ხანგრძლივობა არ შეიძლება შვიდ წელზე ნაკლები იყოს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განახლების ჯერადობა შეუზღუდავია.

მუხლი 19

გამოყენების მოთხოვნა

1. თუ რეგისტრაციის ძალაში შესაწარმუნებლად მოითხოვება გამოყენება, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმებულ იქნეს გამოყენებლობის მხოლოდ სულ მცირე სამწლიანი უწყვეტი პერიოდის შემდეგ,

თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ არ იქნება მითითებული გამამართლებელი მიზეზები, რომლებიც ასეთი გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობას ეფუძნება. გარემოებანი, რომლებიც სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენების დამაბრკოლებელია, როგორცაა სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელს ან მომსახურებასთან დაკავშირებით დაწესებული იმპორტის შეზღუდვები ან მთავრობის სხვა მოთხოვნები, ნიშნის გამოყენებლობის გამამართლებელ მიზეზებად ჩაითვლება.

2. სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი მფლობელის კონტროლის პირობებში რეგისტრაციის ძალაში შენარჩუნების მიზნით სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ჩაითვლება.

მუხლი 20

სხვა მოთხოვნები

სასაქონლო ნიშნის გამოყენება ვაჭრობაში დაუსაბუთებლად არ უნდა გართულდეს სპეციალური მოთხოვნებით, როგორცაა სხვა სასაქონლო ნიშანთან ერთად გამოყენება, სპეციალური ფორმით გამოყენება ან იმგვარი გამოყენება, რაც ზიანს აყენებს მის უნარს განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოების საქონლის ან მომსახურებისაგან. ეს პირობა არ გამორიცხავს მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მწარმოებელი საწარმოს მაიდენტიფიცირებელი სასაქონლო ნიშნის გამოყენებას ამ საწარმოს მიერ წარმოებული მოცემული სპეციფიკური საქონლის ან მომსახურების განმასხვავებელ სასაქონლო ნიშანთან ერთად, მაგრამ მასთან კავშირის გარეშე.

მუხლი 21

ლიცენზირება და უფლებების გადაცემა

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასაქონლო ნიშნების ლიცენზირებისა და მასზე უფლებების გადაცემის პირობები, ამასთან მიიჩნევა, რომ სასაქონლო ნიშნების იძულებითი ლიცენზირება დაუშვებელია და რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სასაქონლო ნიშანზე უფლებები გადასცეს იმ ბიზნესთან ერთად ან მის გარეშე, რომელსაც სასაქონლო ნიშანი მიეკუთვნება.

კარი 3: გეოგრაფიული აღნიშვნები

მუხლი 22

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, გეოგრაფიული აღნიშვნები არის აღნიშვნები, რომელიც განსაზღვრავს საქონლის წარმოშობას წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან, ან ამ ტერიტორიაზე მდებარე რეგიონიდან ან ადგილიდან, როდესაც საქონლის მოცემული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად მის გეოგრაფიულ წარმოშობას მიეწერება.

2. გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს თავიდან იქნეს აცილებული:

საქონლის აღნიშვნის ან პრეზენტაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენება, რომელიც მიუთითებს ან გულისხმობს რომ მოცემული საქონელი წარმოშობილია მისი ნამდვილი წარმოშობის ადგილისაგან განსხვავებული გეოგრაფიული რაიონიდან, იმგვარად, რომ საზოგადოება შეცდომაში შეყავს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან დაკავშირებით;

ნებისმიერი გამოყენება, რომელიც შეადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს პარიზის კონვენციის (1967) მე-10bis მუხლის მიხედვით.

3. წევრი სახელმწიფო, *ex officio*, თუ ეს ნებადართულია მისი კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უარს აცხადებს ან ბათილად ცნობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რომელიც შეიცავს ან შედგება იმ საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, რომელიც არ არის წარმომოხილი აღნიშნული ტერიტორიიდან, თუ ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ამგვარი საქონლისათვის სასაქონლო ნიშანში აღნიშვნის გამოყენებას შეუძლია საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს მისი წარმომოხილის ნამდვილ ადგილთან დაკავშირებით.

4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დაცვა გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნის წინააღმდეგ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სიტყვასიტყვით სწორად მიუთითებს საქონლის წარმომოხილის ტერიტორიაზე, რეგიონზე, ან ადგილზე, მაინც მცდარ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქონელი წარმომოხილია სხვა ტერიტორიიდან.

მუხლი 23

გეოგრაფიული აღნიშვნების დამატებითი დაცვა ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის

1. თითოეული წევრი ქვეყანა დაინტერესებულ მხარეთათვის ითვალისწინებს სამართლებრივ საშუალებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ღვინის განმასხვავებელი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება ღვინოებისათვის, რომლებიც არ არიან წარმომოხილი იმ ადგილიდან, რომელზეც მიუთითებს მოცემული გეოგრაფიულ აღნიშვნა, ან სპირტიანი სასმელების განმასხვავებელი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება სპირტიანი სასმელებისათვის, რომლებიც არ არიან წარმომოხილი გეოგრაფიულ აღნიშვნაში მითითებული ადგილიდან, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მითითებულია საქონლის ნამდვილი წარმომოხილის ადგილი, ან გეოგრაფიული აღნიშვნა გამოიყენება თარგმანში, ან თან ერთვის ისეთი გამოთქმები, როგორცაა “სახეობა”, “ტიპი”, “სტილი”, “იმიტაცია” ან მათი მსგავსი.

2. რეგისტრაცია ღვინისათვის სასაქონლო ნიშნის, რომელიც შეიცავს ან შედგება ღვინოების განმასხვავებელი გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, ან სპირტიანი სასმელებისათვის სასაქონლო ნიშნის, რომელიც შეიცავს ან შედგება სპირტიანი სასმელების განმასხვავებელი გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, არ არის ნებადართული ან ბათილად იქნება ცნობილი, *ex officio* თუ ეს დაშვებულია წევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით იმ ღვინოებისა და სპირტიან სასმელებისათვის, რომელთაც ამგვარი გეოგრაფიული წარმომოხილა არ გააჩნიათ.

3. ღვინის ომონიმური გეოგრაფიული აღნიშვნების შემთხვევაში, 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირობების გათვალისწინებით დაცვა ენიჭება ყოველ აღნიშვნას. თითოეული წევრი ქვეყანა განსაზღვრავს პრაქტიკულ პირობებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მოცემული ომონიმური გეოგრაფიული აღნიშვნების ერთმანეთისაგან განსხვავება, ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაინტერესებულ მეწარმეთათვის სამართლიანი რეჟიმისა და მომხმარებლისათვის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების უზრუნველყოფის საჭიროება.

4. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გაადვილების მიზნით, TRIPS-ის საბჭოში ტარდება მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების შეტყობინებისა და რეგისტრაციის მრავალმხრივი სისტემის შექმნის შესახებ ღვინოებისათვის, რომელთაც დაცვის უფლება გააჩნიათ ამ სისტემის მონაწილე ქვეყნებში.

მუხლი 24

საერთაშორისო მოლაპარაკებები; გამონაკლისები

- 23-ე მუხლით გათვალისწინებული ცალკეული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გაძლიერების მიზნით წევრი ქვეყნები თანახმანი არიან გამართონ მოლაპარაკებები. ქვემოთმოყვანილი 4-8 პუნქტების დებულებები წევრი ქვეყნების მიერ არ უნდა იქნეს გამოყენებული მოლაპარაკების წარმოებაზე უარის სათქმელად, ან ორმხრივი, ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებაზე უარის თქმის მიზნით. ასეთი მოლაპარაკებების ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ განიხილონ ამ დებულებების მუდმივი გამოყენება ცალკეული გეოგრაფიული აღნიშვნებისათვის, რომელთა გამოყენებაც ამ მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.
- TRIPS-ის საბჭო მუდმივად განიხილავს ამ კარის დებულებათა გამოყენებას; პირველი ასეთი განხილვა ჩატარდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. ნებისმიერი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს ამ დებულებებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე, შეიძლება გამოტანილი იქნეს ამ საბჭოზე, რომელიც წევრი ქვეყნის მოთხოვნით ატარებს კონსულტაციებს ნებისმიერ წევრთან ან წევრებთან იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა დაინტერესებული წევრი ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად. საბჭო მიიღებს ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ამ კარის შესრულებასა და მისი მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს.
- ამ კარის დებულებების განხორციელებისას წევრმა ქვეყანამ არ უნდა შეასუსტოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, რომელიც არსებობდა ამ წევრ ქვეყანაში მსო შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის წინ.
- ამ კარის არც ერთი დებულება არ მოითხოვს წევრი ქვეყნისაგან ხელი შეუშალოს სხვა წევრი ქვეყნის საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით ღვინისა და სპირტიანი სასმელების განმასხვავებელი გეოგრაფიული აღნიშვნის უწყვეტ და მსგავს გამოყენებას მისი ნებისმიერი მოქალაქის ან მაცხოვრებლის მიერ, რომელიც იყენებდა ამ გეოგრაფიულ აღნიშვნას უწყვეტად, იგივე ან მასთან დაკავშირებულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებით, ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, ან (ა) 1994 წლის 15 აპრილამდე წინა სულ მცირე 10 წლის განმავლობაში, ან (ბ) იყენებდა კეთილსინდისიერად აღნიშნულ თარიღამდე.
- იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა ან რეგისტრირებული იყო კეთილსინდისიერად, ან უფლებები სასაქონლო ნიშანზე მოპოვებული იქნა კეთილსინდისიერი გამოყენების გზით:
ამ დებულებების ამოქმედების თარიღამდე წევრ ქვეყანაში, როგორც ეს განსაზღვრულია VI კარში; ან
გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვამდე მისი წარმოშობის ქვეყანაში.
ამ კარის დებულებების ამოქმედებისათვის მიღებულმა ზომებმა არ უნდა შელახოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლება, ან სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება, იმის საფუძველზე, რომ ასეთი სასაქონლო ნიშანი გეოგრაფიული აღნიშვნის მსგავსი ან იდენტურია.
- ეს კარი არ მოითხოვს წევრი ქვეყნისაგან გამოიყენოს ეს დებულებები სხვა წევრი ქვეყნის გეოგრაფიულ აღნიშვნასთან დაკავშირებით იმ საქონელსა და მომსახურებისათვის, რომელთა შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია იმ ტერმინისა, რომელიც მიღებულია სალაპარაკო ენაში, როგორც ამ საქონლის ან მომსახურების საყოველთაოდ აღიარებული დასახელება აღნიშნული წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ კარის არც ერთი დებულება არ მოითხოვს წევრი ქვეყნისაგან გამოიყენოს ეს დებულებები ნებისმიერი წევრი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ ყურძნისაგან წარმოებული საქონლისათვის, რომლის შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია ამ ყურძნის ჯიშის ჩვეული

სახელისა, რომელიც არსებობს ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მსო შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

7. წევრ ქვეყანას შეუძლია გაითვალისწინოს, რომ ამ კარიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარდგენილი უნდა იქნეს 5 წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც წევრ ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილი გახდება დაცული აღნიშვნის უკანონო გამოყენების შესახებ, ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღიდან ამ წევრ ქვეყანაში, იმ პირობით, რომ ამ თარიღისათვის სასაქონლო ნიშანი გამოქვეყნებული იყო, თუ ეს თარიღი უფრო ადრინდელია, ვიდრე სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების ცნობის თარიღი ამ წევრ ქვეყანაში, იმ პირობით, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა არ გამოიყენება ან არ არის რეგისტრირებული არაკეთილსინდისიერად.

8. ამ კარის დებულებები არანაირად არ ზღუდავს ნებისმიერი პირის უფლებას გამოიყენოს ვაჭრობის პროცესში თავისი სახელი, ან ბიზნესში მისი წინამორბედის სახელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახელი გამოიყენება იმგვარად, რომ შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

9. ეს შეთანხმება არ ავალდებულებს დაცული იქნეს გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც არ არიან დაცული, ან რომელთა დაცვა შეწყვეტილია წარმოშობის ქვეყანაში, ან რომლებიც აღარ გამოიყენება ამ ქვეყანაში.

კარი 4

სამრეწველო ნიმუში

მუხლი 25 მოთხოვნები დაცვისადმი

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დამოუკიდებლად შექმნილი სამრეწველო ნიმუშების დაცვა, რომლებიც ახალი ან ორიგინალურია. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ, რომ სამრეწველო ნიმუშები არ არის ახალი ან ორიგინალური, თუ ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ცნობილი სამრეწველო ნიმუშებისაგან ან ცნობილი ნიმუშთა ნიშნების კომბინაციებისაგან. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ, რომ ასეთი დაცვა არ გავრცელდება იმ სამრეწველო ნიმუშებზე, რომლებიც არსებითად ნაკარნახევია ტექნიკური ან ფუნქციური მოსაზრებებით.

ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მოთხოვნები საფეიქრო ნაწარმის სამრეწველო ნიმუშების დაცვის მოპოვებისათვის, კერძოდ, ფასთან, ექსპერტიზასთან ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებლად, არ შეამცირებს ასეთი დაცვის მოთხოვნისა და მოპოვების შესაძლებლობას. წევრი სახელმწიფოები თავისუფალნი არიან აირჩიონ ამ ვალდებულების შესრულების მიმართულება – სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობა, თუ საავტორო სამართალი.

მუხლი 26 დაცვა

დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება აუკრძალოს მესამე პირებს, რომლებსაც არა აქვთ მფლობელის თანხმობა, წარმოება, გაყიდვა ან იმპორტირება, ისეთი ნაკეთობებისა, რომლებზეც დატანილია ან რომლებშიც ხორცშეახმულია სამრეწველო ნიმუში, რომელიც სრულად ან ძირითადად წარმოადგენს დაცული სამრეწველო ნიმუშის ასლს, თუ ასეთი ქმედებები განხორციელებულია კომერციული მიზნებისათვის.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სამრეწველო ნიმუშის დაცვის შეზღუდული გამონაკლისები, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გამონაკლისები დაუსაბუთებლად დააბრკოლებს დაცული სამრეწველო ნიმუშების ჩვეულებრივ გამოყენებას და არ შეზღუდავს

დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

დაცვის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 10 წელს.

კარი 5

პატენტები

მუხლი 27 დაპატენტების საგანი

მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, პატენტების გაცემა უნდა იყოს შესაძლებელი ნებისმიერი სახის გამოგონებაზე, რომელიც ეხება პროდუქტებს ან პროცესებს, ტექნიკის ნებისმიერ დარგში, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ახალია, აქვთ საგამომგონებლო დონე⁵³ და სამრეწველო გამოყენებადობა. 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 70-ე მუხლის მე-8 პუნქტის და ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, პატენტები უნდა იყოს გაცემული და უნდა იყოს შესაძლებელი საპატენტო უფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად გამოგონების ადგილისა, ტექნიკის დარგისა და იმისა, პროდუქტი იმპორტირებულია თუ წარმოებულია ადგილზე.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ პატენტუნარიანთა რიცხვიდან გამოგონებები, რომელთა კომერციული გამოყენების აკრძალვა მათ ტერიტორიზე საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის ან მორალის დასაცავად, მათ შორის, ადამიანის, ცხოველის ან მცენერის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, ან გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ასაცილებლად, იმის უზრუნველყოფით, რომ ასეთი გამორიცხვა არ იყოს დაწესებული მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი გამოყენების აკრძალვის გამო. წევრ სახელმწიფოებს, აგრეთვე, შეუძლიათ პატენტუნარიანთა რიცხვიდან გამორიცხონ:

ა) დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მეთოდები ადამიანის ან ცხოველების მკურნალობისათვის;

ბ) მცენარეები და ცხოველები, გარდა მიკროორგანიზმებისა, და არსებითად ბიოლოგიური პროცესები მცენარის ან ცხოველის გამოყვანისათვის, გარდა იმ მიკრობიოლოგიური პროცესებისა, რომლებიც არ არის ბიოლოგიური. მიუხედავად ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მცენარეთა ჯიშების დაცვა პატენტებით, ან ქმედითი sui generis სისტემით, ან მათი ნებისმიერი კომბინაციით. ამ ქვეპუნქტის პირობები გადაისინჯება ოთხი წლის შემდეგ ვმოს-ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან.

მუხლი 28

მინიჭებული უფლებები

პატენტის მფლობელს უნდა მიენიჭოს შემდეგი განსაკუთრებული უფლებები:

თუ პატენტის საგანი პროდუქტია, არ დაუშვას მისი თანხმობის გარეშე მესამე პირების მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება: დამზადება, გამოყენება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა, ან ამ პროდუქტის იმპორტი⁵⁴ ამ მიზნებისათვის.

თუ პატენტის საგანი პროცესია, არ დაუშვას მისი თანხმობის გარეშე მესამე პირების მიერ პროცესით სარგებლობასთან დაკავშირებული შემდეგი ქმედებების განხორციელება: გამონეყება,

⁵³ [TRIPS ხელშეკრულების შენიშვნა] ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინები “საგამომგონებლო დონე” და “სამრეწველო გამოყენებადობა” მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება მიიჩნიონ ტერმინების “არა-სიცხადე” და “სარგებლიანობა” სინონიმებად.

⁵⁴ [TRIPS ხელშეკრულების შენიშვნა] ეს უფლება გამოყენებასთან, გაყიდვასთან ან საქონლის სხვაგვარ გავრცელებასთან დაკავშირებით ამ შეთანხმებით დადასტურებული სხვა უფლებების მსგავსად ექვემდებარება მე-6 მუხლის მოთხოვნებს.

გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა, ან იმპორტი ამ მიზნებისათვის, ისეთი პროდუქტის მინც, რომელიც პირდაპირ მიღებულია პროცესის შედეგად.

2. პატენტის მფლობელებს აგრეთვე უნდა ჰქონდეთ უფლება: გაასხვისონ ან მემკვიდრეობით გადასცენ პატენტი და დადონ სალიცენზიო ხელშეკრულებები.

მუხლი 29 მოთხოვნები პატენტის მიღების მსურველი განმცხადებლების მიმართ.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ, რომ განმცხადებელმა, რომელიც პატენტს ითხოვს, გახსნას გამოგონება ისეთი საკმარისი სიცხადით და სისრულით, რომ მოცემულ დარგში დახელოვნებულმა პირმა შეძლოს მისი განხორციელება, აგრეთვე, შეუძლიათ მოითხოვონ, რომ განმცხადებელმა აჩვენოს გამოგონების განხორციელების საუკეთესო მაგალითი, რომელიც მან იცის გამოგონების შეტანის თარიღისათვის, ან, თუ მოთხოვნილია, განაცხადის პრიორიტეტის თარიღისათვის.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ განმცხადებელმა, რომელიც პატენტს ითხოვს წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც ეხება განმცხადებელი მიერ უცხო ქვეყანაში შეტანილ ერთმანეთის შესატყვისი საგნის მქონე განაცხადებს და გაცემულ პატენტებს.

მუხლი 30 გამონაკლისები მინიჭებული უფლებებისადმი

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ შეზღუდული გამონაკლისები პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გამონაკლისები უსაფუძვლოდ არ შეეწინააღმდეგება პატენტის ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ მიაყენებს ზიანს პატენტის მფლობლის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 31 სხვა გამოყენება უფლების მფლობლის ნებართვის გარეშე

თუ წევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს პატენტის საგნის სხვა გამოყენებას⁵⁵ უფლების მფლობლის ნებართვის გარეშე, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოსგან უფლებამოსილი მესამე პირების მიერ, უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

ასეთი გამოყენების უფლებამოსილების გაცემისას უნდა შეფასდეს მისი კერძო აკვარგაიანობა; ასეთი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ, როდესაც გამოყენებამდე სავარაუდო მომხმარებელი შეეცადა მიეღო უფლებამოსილება უფლების მფლობელისაგან გონივრული კომერციული ვადით და პირობებით და, თუ ასეთი მცდელობა არ დასრულდა წარმატებულად გონივრულ ვადაში. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარყონ ეს მოთხოვნა ეროვნული უსაფრთხოების ან გადაუდებელი აუცილებლობის ღონისძიებების გატარებისათვის სხვა გარემოებების წარმოქმნის, ან საჯარო არა-კომერციული გამოყენების შემთხვევაში. ეროვნული უსაფრთხოების ან გადაუდებელი აუცილებლობის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის ვითარების არსებობის მიუხედავად უფლების მფლობელი უნდა იყოს ჩაყენებული საქმის კურსში იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს გონივრულად პრაქტიკული იქნება. საჯარო არა-კომერციული გამოყენების შემთხვევაში, თუ მთავრობამ ან კონტრაქტორმა, საპატენტო ძიების ჩატარების გარეშე, იციან ან აქვთ აშკარა საფუძველები იცოდნენ, რომ მოქმედი პატენტი გამოიყენება ან იქნება გამოყენებული მთავრობის მიერ ან მთავრობის ინტერესებისათვის, უფლების მფლობელი უნდა იყოს ინფორმირებული დაუყოვნებლივ.

⁵⁵ [TRIPS ხელშეკრულების შენიშვნა] “სხვა გამოყენება” უთითებს 30-ე მუხლით დაშვებულისაგან განსხვავებულ გამოყენებაზე.

ასეთი გამოყენების ფარგლები და ხანგრძლივობა შემოიფარგლება იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისათვისაც გამოყენების ნებართვა გაიცა, ხოლო ნახევარგამტარებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების შემთხვევაში ასეთი ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ საზოგადოებრივი არაკომერციული გამოყენებისათვის ან სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცესის შემდეგ ანტი-კონკურენციულად მიჩნეული პრაქტიკის გამოსასწორებლად;

დ) ასეთი გამოყენება არ უნდა იყოს განსაკუთრებული;

ე) ასეთი გამოყენება უნდა იყოს გადაუცემელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოყენება ეხება საწარმოს ნაწილს ან გუდვილს; ნებისმიერი ასეთი გამოყენება უნდა იყოს ნებადართული უპირატესად ასეთი გამოყენების ნებართვის გამცემი წევრი სახელმწიფოს ადგილობრივი ბაზრის მომარაგებისათვის;

ზ) ასეთი გამოყენებისათვის გაცემული ნებართვა უნდა ექვემდებარებოდეს შეწყვეტას იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოებები, რომლებიც გამოიწვია ის, აღარ არსებობს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელახლა წარმოიქმნება, ამასთან უნდა იყოს გათვალისწინებული იმ პირთა კანონიერი ინტერესების თანაბარწილოვანი დაცვა, რომლებსაც მიეცათ აღნიშნული ნებართვა. უფლებამოსილ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გადახედოს ასეთი გარემოებების უწყვეტ არსებობას, დასაბუთი მოთხოვნის შემთხვევაში;

თ) უფლებების მფლობელს უნდა მიეცეს შესატყვისი გასამრჯელო ყოველი შემთხვევის გარემოებების მიხედვით, და უნდა იყოს მიღებული მხედველობაში ნებართვის ეკონომიკური ღირებულება;

ი) ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო გადახედვას ან სხვაგვარ დამოუკიდებელ გადახედვას, მოცემული წევრი სახელმწიფოს უმაღლესი დონის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული გასამრჯელოს მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო გადახედვას ან სხვაგვარ დამოუკიდებელ გადახედვას მიცემული წევრი სახელმწიფოს უმაღლესი დონის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არ არიან გამოიყენონ ბ) და ვ) ქვეპუნქტებით დადგენილი პირობები, როდესაც ასეთი გამოყენება ნებადართულია იმისათვის, რომ გამოსწორდეს სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების შემდეგ ანტი-კონკურენციულად მიჩნეული პრაქტიკა. ანტი-კონკურენციული პრაქტიკის გამოსწორების საჭიროება, შეიძლება იყოს მიღებული მხედველობაში გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისათვის ასეთ შემთხვევებში. უფლებამოსილ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება უარყონ უფლებამოსილების შეწყვეტა, თუ ან როცა ასეთი უფლებამოსილების გაცემის პირობები შეიძლება გამეორდეს;

როდესაც ასეთი გამოყენება ნებადართულია პატენტით სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის (“მეორე პატენტი”), რომელიც ვერ გამოიყენება სხვა პატენტის დარღვევის გარეშე (“პირველი პატენტი”) შემდეგი დამატებითი პირობები უნდა იყოს გათვალისწინებული:

მეორე პატენტით დაცული გამოგონება, უნდა მოიცავდეს დიდი ეკონომიკური ღირებულების მქონე მნიშვნელოვან ტექნიკურ უპირატესობას, პირველი პატენტით დაცულ გამოგონებასთან შედარებით;

პირველი პატენტის მფლობელს უნდა ჰქონდეს ჯვარედინი ლიცენზიის მიღების უფლება მეორე პატენტით დაცული გამოგონების გონივული პირობებით გამოყენებაზე; და

პირველი პატენტის ნებადართული გამოყენება უნდა იყოს გადაუცემადი, მეორე პატენტის გადაცემისაგან განსხვავებით.

მუხლი 32 უფლების გაუქმება/ჩამორთმევა.

უნდა იყოს შესაძლებელი სასამართლო წესით გადაისინჯოს პატენტის გაუქმების ან ჩამორთვევის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 33 დაცვის ვადა

დაცვის შესაძლო ვადა სრ უნდა დამტავრდეს ოცი წლიანი პერიოდის გასვლამდე განაცხადის შეტანის თარიღიდან⁵⁶ ათვლით.

მუხლი 34 1. ხერხის პატენტები: მტკიცებულების ტვირთი.

სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის, 28 მუხლის 1(ბ) პუნქტით მითითებული მფლობელის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, თუ პატენტის საგანი პროდუქტის მიღების ხერხია, სასამართლო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება მოპასუხეს დააკისრონ მტკიცება იმისა, რომ იდენტური პროდუქტის მიღების ხერხი განსხვავებულია დაპატენტებული ხერხისაგან. ამიტომ, წევრმა სახელმწიფოებმა, თუკი არსებობს რომელიმე ერთი ქვემოთ მოყვანილი გარემოება მაინც, უნდა დააწესონ, რომ ნებისმიერი იდენტური პროდუქტი, როდესაც იწარმოება პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე, უნდა განიხილებოდეს დაპატენტებული ხერხით მიღებულად, თუ საწინააღმდეგო მტკიცებულება არ არსებობს:

- ა) როდესაც დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქტი ახალია;
 - ბ) როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ იდენტური პროდუქტი წარმოებულია მითითებული ხერხით, ხოლო პატენტის მფლობელს სათანადო მცდელობის მიუხედავად არ მიეცა შესაძლებლობა დაედგინა, რა ხერხია გამოყენებული სინამდვილეში.
2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფო თავისუფალია გაითვალისწინოს, რომ პირველი პუნქტით მითითებული მტკიცებულებათა ტვირთი ეკისრება სავარაუდო დამრღვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებულია ა) ან ბ) ქვეპუნქტის პირობა.
3. საწინააღმდეგოს მტკიცების შესაძლებლობის გარდა უნდა იყოს გათვალისწინებული მოპასუხეების კანონიერი ინტერესები, მათი საწარმოო და კომერციული საიდუმლოებების დაცვისათვის.

კარი 6: ინტეგრალური მიკროსქემების განლაგების გეგმა (ტოპოგრაფია)

მუხლი 35. კავშირი IPIC ხელშეკრულებასთან

წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ უზრუნველყოფენ ინტეგრალური მიკროსქემების განლაგების გეგმის (ტოპოგრაფიების), (ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც “ტოპოგრაფიები”) დაცვას ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელშეკრულების 2-7 მუხლების (გარდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა), მე-12 მუხლის და მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და, დამატებით, დააკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ პირობებს.

მუხლი 36 დაცვის ფარგლები

37 მუხლის 1-ლი პუნქტის პირობების გათვალისწინებით წევრმა სახელმწიფოებმა კანონსაწინააღმდეგოდ უნდა ჩათვალონ შემდეგი ქმედებები, თუ ისინი ხორციელდება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე⁵⁷: დაცული ტოპოგრაფიის, ინტეგრალური მიკროსქემების, რომელშიც

⁵⁶ [TRIPS ხელშეკრულების “შენიშვნა”] გასაგებია, რომ იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ პირველ განმცხადებელზე პატენტის გაცემის სისტემა, შეიძლება გაითვალისწინონ, რომ დაცვის ვადა აითვლება განაცხადის მიწოდების თარიღიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია პირველ განმცხადებელზე პატენტის გაცემის სისტემით.

⁵⁷ [TRIPS ხელშეკრულების “შენიშვნა”] ტერმინი “უფლების მფლობელი” ამ ნაკვეთში გაიგება იმავე მნიშვნელობის მქონედ, როგორც აქვს IPIS ხელშეკრულების ტერმინს “მფლობელი უფლებისა”.

დაცული ტოპოგრაფიაა ჩართული, ან მხოლოდ ასეთი ინტეგრალური მიკროსქემების მქონე ნაწარმის იმპორტი, გაყიდვა ან სხვაგვარი გავრცელება კომერციული მიზნებით, მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნულ ნაწარმზე გრძელდება კანონსაწინააღმდეგოდ დატანილი ტოპოგრაფიის არსებობა.

მუხლი 37 ქმედებები, რომლებზეც არ მოითხოვება უფლების მფლობელის ნებართვა

მიუხედავად 36-ის მუხლისა, არც ერთმა წევრმა სახელმწიფომ არ უნდა მიიჩნიოს კანონსაწინააღმდეგოდ აღნიშნული მუხლით მითითებული ნებისმიერი ქმედება ინტეგრალურ მიკროსქემასთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართულია კანონსაწინააღმდეგოდ კვლავწარმოებული ტოპოგრაფია, ან ნებისმიერ ნაწარმთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართულია ასეთი ინტეგრალური მიკროსქემა, თუ პირმა, რომელიც ასრულებს ასეთ ქმედებას ან ავალებს ასეთი ქმედების შესრულებას არ იცოდა ან არ ჰქონდა გონივრული საფუძველი სცოდნოდა, როდესაც შეიძინა ინტეგრალური მიკროსქემა ან ნაწარმი, რომელშიც ჩართულია ასეთი ინტეგრალური მიკროსქემა, რომ მასში ჩართულია კანონსაწინააღმდეგოდ კვლავწარმოებული ტოპოგრაფია. მას შემდეგ, რაც ასეთმა პირმა მიიღო საკმარისი ინფორმაციის მქონე შეტყობინება, რომ ტოპოგრაფია იყო კანონსაწინააღმდეგოდ კვლავწარმოებული წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ასეთი პირის უფლება შესარულოს ან დაავალოს ნებისმიერი ქმედების შესრულება აღნიშნულ დრომდე მის განკარგულებაში არსებულ საქონელთან დაკავშირებით, ამასთან, იგი ვალდებული უნდა იყოს გადაუხადოს უფლების მფლობელს ისეთი გონივრული გასამჯელოს ეკვივალენტური თანხა, რომელიც იქნებოდა გადასახდელი ასეთ ტოპოგრაფიაზე ნებაყოფლობით გაცემული ლიცენზიის მიხედვით.

31-ე მუხლის ა-ი ქვეპუნქტებით დადგენილი პირობები გამოიყენება *mutatis mutandis* ტოპოლოგიის იძულებითი ლიცენზირების შემთხვევაში, ან სახელმწიფოს მიერ მისი გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 38 დაცვის ვადა

იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც დაცვის პირობად ითხოვენ რეგისტრაციას ტოპოგრაფიის დაცვის ვადა არ უნდა მთავრდებოდეს სანამ არ ამოიწურება ათწლიანი პერიოდი განაცხადის სარეგისტრაციოდ მიწოდების თარიღიდან ათვლით, ან მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას პირველი კომერციული ექსპლუატაციის დაწყებიდან ათვლით.

იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც დაცვის პირობად რეგისტრაციას არ ითხოვენ ტოპოგრაფია დაცული უნდა იყოს არა ნაკლებ ათი წლით მსოფლიოში ნებისმიერ ადგილას პირველი კომერციული ექსპლუატაციის დაწყებიდან ათვლით.

მიუხედავად 1 და მე-2 პუნქტებისა წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დაცვას ძალა აღარ ექნება 15 წლის შემდეგ, ტოპოგრაფიის შექმნიდან ათვლით.

კარი 7

დახურული ინფორმაციის დაცვა

მუხლი 39

1. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის პროცესში, პარიზის კონვენციის (1976 წ.) 10-ბის მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები დახურულ ინფორმაციას იცავენ

პუნქტის 2 მიხედვით, ხოლო მონაცემებს, რომელიც გადაეცემა მთავრობებს ან სამთავრობო დაწესებულებებს პუნქტის 3 მიხედვით.

2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ წინ აღუდგნენ მათ კონტროლის ქვეშ კანონიერად მყოფი ინფორმაციის სხვებისათვის გამჟღავნებას, სხვების მიერ მიღებას ან გამოყენებას მათი თანხმობის გარეშე ისეთი ხერხით, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანი კომერციულ პრაქტიკას იმდენად, რამდენადაც ეს ინფორმაცია:

ა) წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას იმ გაგებით, რომ ის მთლიანობაში ან მისი კომპონენტების გარკვეული კონფიგურაციით და კომპილაციით არ არის საყოველთაოდ ცნობილი ან ადვილად ხელმისაწვდომი იმ წრეების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც ჩვეულებისამებრ ასეთ ინფორმაციასთან აქვთ საქმე;

ბ) თავისი საიდუმლო ხასიათის გამო გააჩნია კომერციული ღირებულება;

გ) გარკვეული ვითარებიდან გამომდინარე იმ პირმა რომელიც კანონიერად აკონტროლებდა ამ ინფორმაციას, სათანადო ზომები მიიღო, რათა საიდუმლოდ დაეცვა იგი.

3. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ახალი ქიმიური ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული ან აგროქიმიური პროდუქტების რეალიზაციის ნებართვის გაცემის პირობად მოითხოვენ დახურული ექსპერიმენტული ან სხვა მონაცემების წარმოდგენას, რომელთა მოპოვებაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, ასეთ მონაცემებს იცავენ არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები ასეთ მონაცემებს იცავენ გამჟღავნებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როდესაც არ მიიღება რაიმე ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს მონაცემები დაცულ იქნას არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან.

კარი 8

ანტიკონკურენციულ პრაქტიკაზე კონტროლის განხორციელება სახელშეკრულებო ლიცენზირებისას

მუხლი 40

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზოგჯერ სალიცენზიო პრაქტიკამ ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულმა გარემოებებმა, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ვაჭრობაზე და ხელი შეუშალოს ტექნოლოგიის გადაცემას და გავრცელებას.

2. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი მუხლი წევრ სახელმწიფოებს არ ზღუდავს თავიანთ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ სალიცენზიო პრაქტიკის სახეები ან პირობები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ბოროტად სარგებლობა და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე. როგორც ზემოთ იყო გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმების სხვა დებულებების თანახმად წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი პრაქტიკის აღსაკვეთად ან მასზე კონტროლის დასაწესებლად, რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, განსაკუთრებულ პირობების გათვალისწინებას უკან გადაცემაზე, ან პირობებისა, რომლებიც აღკვეთენ ნამდვილობასა და შესაფუთი მასალის

იძულებითი ლიცენზირების გასაჩივრებას, ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამისი კანონებისა და წესების ქრილში.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო მოთხოვნის საფუძველზე მართავს კონსულტაციებს ნებისმიერ სხვა წევრ სახელმწიფოსთან, რომელსაც გააჩნია საფუძველი მიიჩნიოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი, რომელიც იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, ან ცხოვრობს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც მიმართეს მოთხოვნით კონსულტაციის გამართვის თაობაზე, ახორციელებს საქმიანობას იმ წევრი სახელმწიფოს კანონებისა და წესების დარღვევით, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციების გამართვა მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, და რომელსაც სურს, უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის დაცვა ისე, რომ არ დაირღვეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება ან არ შეიღახოს თითოეული წევრის უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. წევრი სახელმწიფო, ვისაც მიმართეს მოთხოვნით, სრული მზადყოფნით და კეთილგანწყობით განიხილავს და ახორციელებს იმ წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობას, რომელმაც იგი მოითხოვა და თანამშრომლობს მასთან განსახილველი საკითხის თაობაზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ღია, არაკონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის და ყველა სხვა სახის ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც მას გააჩნია, ეროვნული კანონმდებლობის დაცვითა და ურთიერთმისაღები შეთანხმების დადების პირობით, რომ ის წევრი სახელმწიფო, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციები, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

4. წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეების ან მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ სხვა წევრ სახელმწიფოში აღძრულია საქმე ამ უკანასკნელის კანონებისა და წესების დარღვევის ბრალდებით მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაციები ამ სხვა სახელმწიფოს მხრიდან იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია პუნქტში 3.

ნაწილი III

ინტელექტუალურ საკუთრების უფლებათა განხორციელება

კარი 1

ზოგადი ვალდებულებები

მუხლი 41

1. წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ, ამ ნაწილით განსაზღვრული უფლებების განხორციელებისათვის საჭირო პროცედურების თავიანთ კანონმდებლობაში გათვალისწინებას, რათა საშუალება მიეცეთ განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ, რაზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, მათ შორის დარღვევის თავიდან ასაცილებელი სასწრაფო ზომები და ასევე, შემდგომი დარღვევის შემაკავებელი სასამართლო დაცვის საშუალებები. ეს პროცედურები გამოიყენება იმგვარად, რომ კანონიერ ვაჭრობას არ შეექმნას დაბრკოლებები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი დაცვა ბოროტად გამოყენებისაგან.

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები უნდა იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი. ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირადღირებული და არ უნდა იწვევდეს ვადების უსაფუძვლო გაზრდას ან გაუმართლებელ შეფერხებებს.

3. საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები უპირატესად წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით და სათანადოდ დასაბუთებული. ისინი, გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ ცოტა სასამართლო განხილვის მხარეებისათვის. საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებზეც მხარეებს ჰქონდათ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

4. სასამართლო განხილვის მხარეებს უნდა ჰქონდეთ სასამართლო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, აგრეთვე, საქმის მნიშვნელობასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნის კანონმდებლობის იურისდიქციის დებულებებიდან გამომდინარე, სულ ცოტა, საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული პირვანდელი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი ასპექტების გადასინჯვის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეებში გამამართლებელი გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

5. იგულისხმება, რომ ეს ნაწილი არ ითვალისწინებს რაიმე ვალდებულებას ზოგადად კანონების განხორციელების სისტემისაგან განსხვავებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების სასამართლო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. იგი არ ეხება აგრეთვე, წევრი ქვეყნების კომპეტენციას ზოგადად თავიანთი კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ ნაწილში არაფერი ქმნის რაიმე ვალდებულებას რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელებასა და ზოგადად კანონის განხორციელებას შორის.

კარი 2

სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები და სასამართლო დაცვის საშუალებები

მუხლი 42

თანაბარი და სამართლიანი პროცედურები

წევრი ქვეყნები უფლების მფლობელებს⁵⁸ ანიჭებენ შესაძლებლობას მიმართონ სამოქალაქო სასამართლო პროცედურებს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების განსახორციელებლად. მოპასუხეებს უფლება აქვთ მიიღონ დროული და საკმარისად დეტალური წერილობითი შეტყობინება, რომელიც შეიცავს სარჩელის საფუძველს. მხარეებს ეძლევათ უფლება წარმოდგენილი იყვნენ დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ, ხოლო პროცესუალური ნორმები არ უნდა ითვალისწინებდეს გადაჭარბებულ მოთხოვნებს სავალდებულო პირადად დასწრებასთან დაკავშირებით. ასეთი პროცედურების მონაწილე ყველა მხარეს შესაბამისი წესით ენიჭება უფლება დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. პროცესუალური ნორმები უნდა ითვალისწინებდეს კონფიდენციალური ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და დაცვის საშუალებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

⁵⁸ ამ ნაწილის მიზნებისათვის, ტერმინი "უფლების მფლობელი" მოიცავს ფედერაციებსა და ასოციაციებს, რომლებსაც აქვთ ასეთ უფლებებზე პრეტენზიის განცხადების სამართლებრივი სტატუსი.

მუხლი 43

მტკიცებულებები

1. თუ მხარემ წარადგინა გონივრულად ხელმისაწვდომი მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია საკუთარი სარჩელის გასამყარებლად და მიუთითა სარჩელის დასაბუთებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ხელთ აქვს მოწინააღმდეგე მხარეს, მაშინ შესაბამის შემთხვევებში, სასამართლო ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება მოსთხოვონ მოწინააღმდეგე მხარეს ამ მტკიცებულებების წარმოდგენა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის პირობით.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო განხილვის მხარე შეგნებულად და უმიზეზოდ უარს ამბობს საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, ან სხვა სახით არ წარმოადგენს მას დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში, ან მნიშვნელოვნად აფერხებს უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ზომების მიღებას, წევრ ქვეყანას შეუძლია სასამართლო ორგანოებს მიანიჭოს უფლებამოსილება მიიღონ წინასწარი და საბოლოო, დადებითი ან უარყოფითი, გადაწყვეტილებები მათთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საჩივრის ან იმ მხარის განცხადების ჩათვლით, რომელზეც ინფორმაციასთან დაშვებაზე უარმა საზიანოდ იმოქმედა, იმ პირობით, რომ მხარეებს მიეცემა განცხადებასთან ან მტკიცებულებასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

მუხლი 44

სასამართლო აკრძალვები

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ მხარეებს თავი შეიკავონ უფლების დარღვევისაგან, კერძოდ, inter alia განბაჟებისთანავე აღკვეთონ მათ იურისდიქციაში არსებულ სავაჭრო ქსელში იმპორტირებული საქონლის შეტანა, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასთან. წევრი ქვეყნები არ არიან ვალდებული ასეთი უფლებამოსილება მიანიჭონ დაცულ ობიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეძენილია ან შეკვეთილია იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა ან არ ჰქონდა მნიშვნელოვანი საფუძველი სცოდნოდა, რომ ასეთ ობიექტებთან დაკავშირებით დადებული გარიგებები იწვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას.
2. ამ ნაწილის სხვა დებულებების მიუხედავად და II ნაწილის იმ დებულებების დაცვის პირობით, რომლებიც ეხება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე უფლების გამოყენებას მთავრობების ან მთავრობის მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ასეთი გამოყენების წინააღმდეგ არსებული სასამართლო დაცვის საშუალებები შეზღუდონ ანაზღაურების გადახდით 31-ე მუხლის (h) ქვეპუნქტის შესაბამისად. სხვა შემთხვევებში გამოიყენება სასამართლო დაცვის საშუალებები ამ ნაწილის შესაბამისად, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საშუალებები ეწინააღმდეგება წევრი ქვეყნის კანონმდებლობას, შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ დეკლარაციული გადაწყვეტილებები და შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 45

ზარალის ანაზღაურება

1. სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის გამო მიყენებული ზიანისათვის დამრღვევ პირს, რომელმაც იცოდა ან ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ეწევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, დააკისრონ უფლების

მფლობელისათვის ზარალის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ზიანის ანაზღაურებისათვის.

2. სასამართლო ორგანოებს აგრეთვე აქვთ უფლება დამრღვევ პირს დააკისრონ უფლების მფლობელისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადვოკატის სათანადო ჰონორარს. შესაბამის შემთხვევებში, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლებამოსილება დამრღვევ პირს დააკისრონ მიღებული მოგების დაბრუნება ან/და წინასწარ დადგენილი ზარალის ანაზღაურება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამრღვევმა პირმა არ იცოდა ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა არ სცოდნოდა, რომ ახორციელებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

მუხლი 46

სასამართლო დაცვის სხვა საშუალებები

უფლებების დარღვევისაგან თავის შეკავების ეფექტური საშუალების შესაქმნელად სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან გამოიტანონ გადაწყვეტილება, რომ საქონელი, რომელთან დაკავშირებითაც მათ დაადგინეს უფლებების დარღვევა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნეს სავაჭრო ქსელიდან ისე, რომ არ მოხდეს უფლების მფლობელისათვის რაიმე ზიანის მიყენება ან განადგურდეს თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ საკონსტიტუციო მოთხოვნებს. სასამართლო ორგანოები, უფლებამოსილნი არიან აგრეთვე, მიიღონ გადაწყვეტილება, რომ მასალები და მოწყობილობები, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დამრღვევი საქონლის შექმნისას, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნეს სავაჭრო ქსელიდან, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ახალი დარღვევის შესაძლებლობა. ასეთი მოთხოვნების განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სამართალდარღვევის სერიოზულობა და დაწესებული დაცვის საშუალებების თანაზომიერება და აგრეთვე, მესამე პირების ინტერესები. უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელთან დაკავშირებით, ასეთი სასაქონლო ნიშნის უბრალოდ მოცილება არ არის საკმარისი, იმ შემთხვევების გარდა, როცა აუცილებელია ამ საქონლის სავაჭრო ქსელში გაშვება.

მუხლი 47

ინფორმაციის მიღების უფლება

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლებამოსილება, უფლებების დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე, დაავალონ დამრღვევ პირს უფლების მფლობელისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ მესამე პირთა ვინაობის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ უფლებების დამრღვევი საქონლის ან მომსახურების წარმოებასა და გავრცელებაში და აგრეთვე, მათი გავრცელების არხების შესახებ.

მუხლი 48

მოპასუხისათვის ზარალის ანაზღაურება

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან დაავალონ მხარეს, რომლის მოთხოვნის თანახმად მიღებულ იქნა ზომები და რომელიც ბოროტად სარგებლობდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების პროცედურებით, ზიანისათვის შესაბამისი კომპენსაცია გადაუხადოს მხარეს, რომელსაც არამართლზომიერად დაეკისრა აკრძალვები ან შეზღუდვები, რომელიც მას მიადგა ასეთი ბოროტად გამოყენების შედეგად. სასამართლო ორგანოებს, აგრეთვე,

აქვთ უფლებამოსილება დაავალონ განმცხადებელს მოპასუხისათვის ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადვოკატისათვის შესაბამის ჰონორარსაც.

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის ადმინისტრირებისას წვერი ქვეყნები ათავისუფლებენ სახელმწიფო ორგანოებს და ამ ორგანოებში მოსამსახურეებს მათ მიმართ სასამართლო დაცვის შესაბამისი საშუალებების გამოყენებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას ქმედებები სრულდება, ან განზრახულია შესრულდეს კეთილსინდისიერად.

მუხლი 49

ადმინისტრაციული პროცედურები

იმ ზომით, რომლითაც შეიძლება დაწესდეს სასამართლო დაცვის ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება, როგორც ადმინისტრაციული წესით საქმის არსებითად განხილვის შედეგი, ასეთი პროცედურები თავისი არსით უნდა შეესაბამებოდეს პრინციპებს, რომლებიც ძირითადად ამ ნაწილში მოცემული პრინციპების ტოლფასია.

კარი 3: დროებითი ზომები

მუხლი 50

1. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაუდებელი და ეფექტური დროებითი ზომები, რომლებიც მიმართულია:

(a) ინტელექტუალური საკუთრების უფლების ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, არ დაუშვან მათ იურისდიქციაში მყოფ სავაჭრო ქსელში საქონლის, მათ შორის უშუალოდ განბაჟების შემდეგ იმპორტირებული საქონლის შეტანა;

(b) სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად.

2. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შესაბამის შემთხვევაში მიიღონ დროებითი ზომები *inaudita altera parte*, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შესაძლებლობა ნებისმიერმა დაყოვნებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს, ან როდესაც არსებობს სამხილების განადგურების აშკარა რისკი.

3. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ ნებისმიერი გონივრულად ხელმისაწვდომი მტკიცებულების წარდგენა, რათა საკმარისი დამაჯერებლობით დარწმუნდნენ, რომ განმცხადებელი არის უფლების მფლობელი და ირღვევა მისი უფლება, ან რომ ასეთი დარღვევა გარდაუვალია და დაავალონ განმცხადებელს უზრუნველყოფის საშუალების ან ტოლფასი გარანტიის წარდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის დასაცავად და უფლებით ბოროტად სარგებლობის თავიდან ასაცილებლად.

4. თუ დროებითი ზომები მიღებულია *inaudita altera parte*, ამის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ, ყველაზე გვიან ამ ზომების განხორციელების შემდეგ. გადასინჯვა, აზრის გამოთქმის უფლების ჩათვლით, ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, შეტყობინების მიღების შემდეგ დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით შეიცვალოს, გაუქმდეს თუ დადასტურდეს ეს ზომები.

ორგანოს, რომელიც ახორციელებს დროებით ზომებს, შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა სახის ინფორმაციის წარდგენა.

მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე, დროებითი ზომები, რომლებიც განხორციელდა 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, მოპასუხის მოთხოვნის შესაბამისად უქმდება ან სხვაგვარად

ხდება მათი მოქმედების შეჩერება, თუ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა არ იყო ინიცირებული დროს იმ გონივრული პერიოდის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრა გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლო ორგანომ. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დაშვებულია წევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ან ასეთი დადგენილების არარსებობის შემთხვევაში, ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს ან 31 კალენდარულ დღეს იმის მიხედვით, თუ რომელი პერიოდია უფრო ხანგრძლივი.

7. განმცხადებლის ნებისმიერი მოქმედების ან დაუდევრობის გამო დროებითი ზომების გაუქმების ან ვადის გასვლის შემთხვევაში, ან თუ შემდგომ დადგინდა, რომ არ ყოფილა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა ან დარღვევის საფრთხე, სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოპასუხის მოთხოვნით მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც განმცხადებელს დააკისრებს ამ ზომებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის შესაბამისი კომპენსაციის გადახდას მოპასუხისათვის.

8. იმ მოცულობით, რომლითაც ნებისმიერი დროებითი ზომა შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელების შედეგად, ასეთი პროცედურები თავისი არსით უნდა შეესაბამებოდეს პრინციპებს, რომლებიც ამ ნაწილში მოცემული პრინციპების ტოლფასია.

კარი 4: სასაზღვრო ფონისძიებებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები⁵⁹

მუხლი 51

საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერება

ქვემოთ მოყვანილი დებულებების შესაბამისად, წევრი ქვეყნები ადგენენ პროცედურებს,⁶⁰ რომლებიც საშუალებას აძლევს უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ შესაძლებელია შემოტანილ იქნეს კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელი, ან ის საქონელი, რომელიც საავტორო უფლებებს არღვევს,⁶¹ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში შეიტანოს წერილობითი განცხადება საბაჟო ორგანოების მიერ ასეთი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შეჩერების თაობაზე. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან ასეთი განცხადების გაკეთება იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სხვა დარღვევებსაც, ამ კარის მოთხოვნების დაცვის პირობით. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ აგრეთვე, გაითვალისწინონ შესაბამისი პროცედურები საბაჟო ორგანოების მიერ თავისი ტერიტორიიდან საექსპორტოდ განკუთვნილი უფლებების დარღვევით წრმოებული საქონლის გასაშვებად.

⁵⁹ თუ წევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვანწილად მოხსნა ყველანაირი კონტროლი საქონლის გადაადგილებაზე მეორე წევრი ქვეყნის საზღვარზე, რომელთანაც იგი ქმნის საბაჟო კავშირის ნაწილს, მაშინ აღნიშნულ საზღვარზე არ მოითხოვება ამ ნაწილის დებულებების გამოყენება.

⁶⁰ იგულისხმება, რომ სავალდებულო არ არის ასეთი პროცედურების გამოყენება საქონლის იმპორტთან ან სატრანზიტო საქონელთან დაკავშირებით, რომელიც სამეურნეო ბრუნვაში შეაქვს უფლების მფლობელს ან მისი თანხმობით შეაქვს სხვა ქვეყნის ბაზარზე.

⁶¹ ამ შეთანხმების მიზნებისათვის: "კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელი" აღნიშნავს ნებისმიერ საქონელს შეფუთვის ჩათვლით, რომელიც უნებართვოდ არის ნიშანდებული ამგვარი საქონლისათვის კანონიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშნით ან ნიშით, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ასეთი სასაქონლო ნიშნისაგან და აქედან გამომდინარე, არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

(a) "საქონელი, რომელიც არღვევს საავტორო უფლებებს" აღნიშნავს ნებისმიერი საქონელის ასლს, რომელიც შექმნილია უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოების ქვეყანაში სათანადო წესით უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე და პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზადებულია რაიმე ნაკეთობისაგან, თუ აღნიშნული ასლის შექმნამ გამოიწვია საავტორო ან მომიჯნავე უფლების დარღვევა იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 52

განცხადება

უფლების ნებისმიერმა მფლობელმა, რომელიც ახორციელებს პროცედურების ინიცირებას 51-ე მუხლის საფუძველზე, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებს კომპეტენტურ ორგანოებს, რომ იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ხდება *prima facie* ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელის უფლებათა დარღვევას და, ასევე, წარმოადგინოს საქონლის საკმაოდ დეტალური აღწერა საბაჟო ორგანოების მიერ მისი ადვილად ამოცნობის მიზნით. დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ განმცხადებელს მიიღეს თუ არა სამოქმედოდ განცხადება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოები გამოიტანენ ასეთ გადაწყვეტილებას, – იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც საბაჟო ორგანოები განახორციელებენ შესაბამის ქმედებებს.

მუხლი 53

უზრუნველყოფის საშუალება ან ტოლფასი გარანტია

1. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ უზრუნველყოფის საშუალების ან ტოლფასი გარანტიის წარდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხისა და კომპეტენტური ორგანოების დასაცავად და უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. უზრუნველყოფის ასეთმა საშუალებამ ან ტოლფასმა გარანტიამ უსაფუძვლოდ ხელი არ უნდა შეუშალოს ამ პროცედურების გამოყენებას.

2. თუ ამ კარის საფუძველზე შეტანილი განცხადების თანახმად, სამრეწველო ნიმუშის, პატენტის, ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგიების და დახურული ინფორმაციის შემცველი საქონლის თავისუფალ ბრუნვაში გაშვება შეჩერებულია საბაჟო ორგანოების მიერ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ ეკუთვნის სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს, და თუ 55-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა გავიდა სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ პირობით გათავისუფლების მინიჭების გარეშე და იმ პირობით, რომ შესრულებულია იმპორტისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა, ასეთი საქონლის მფლობელს, იმპორტიორს ან მიმღებს უფლება უნდა ჰქონდეს გაუშვას ის მიმოქცევაში სათანადო უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის შემთხვევაში, რომლის ოდენობა საკმარისი იქნება ნებისმიერი დარღვევისაგან უფლების მფლობელის დასაცავად. ამგვარი უზრუნველყოფის საშუალების გადახდამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლო დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებსაც შეიძლება მიმართოს უფლების მფლობელმა, ამასთან, იგულისხმება, რომ უზრუნველყოფის საშუალება დაბრუნებული უნდა იყოს, თუ უფლების მფლობელი დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლებს სარჩელის შეტანის უფლების გამოყენებას.

მუხლი 54

შეტყობინება შეჩერების შესახებ

51-ე მუხლის თანახმად, იმპორტიორს და განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ საქონლის გაშვების შეჩერების შესახებ.

მუხლი 55

შეჩერების ხანგრძლივობა

თუ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განმცხადებელს ოფიციალურად შეატყობინეს საქონლის თავისუფალ ბრუნვაში გაშვების შეჩერების შესახებ, საბაჟო ორგანოებს არ აცნობეს, იმის შესახებ, რომ სასამართლო განხილვა საქმის არსებითად გადაწყვეტის მიზნით წამოწყებულია მხარის მიერ, რომელიც არ არის მოპასუხე, ან იმის შესახებ, რომ სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანოებმა მიიღეს დროებითი ზომები, რომლებიც ახანგრძლივებს საქონლის შეჩერებას, საქონელი ექვემდებარება გაშვებას, თუ შესრულებულია იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული ყველა სხვა პირობა; შესაბამის შემთხვევებში, ეს ზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 10 სამუშაო დღით. თუ საქმის არსებითად განხილვის მიზნით წამოწყებულია სასამართლო განხილვა, მაშინ გადასინჯვა მოსაზრებების გამოთქმის უფლებით, გონივრული პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იმის შესახებ საჭიროა თუ არა ამ ზომების შეცვლა, გაუქმება ან დადასტურება, ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, იმ შემთხვევებში თუ საქონლის გაშვების შეჩერება ხორციელდება ან გრძელდება სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი ზომების შესაბამისად, გამოიყენება 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები.

მუხლი 56

იმპორტიორისა და საქონლის მფლობელისათვის ზიანის ანაზღაურება

შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ იმპორტიორისათვის, ტვირთის მიმღებისა და საქონლის მესაკუთრისათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც მათ მიადგათ საქონლის უკანონო შეჩერების ან 55-ე მუხლის შესაბამისად გაშვებული საქონლის შეჩერების შედეგად.

მუხლი 57

უფლება ინსპექტირებასა და ინფორმაციაზე

უფლების მფლობელის სარჩელის დასაბუთების მიზნით, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისათვის ზიანის მიყენების გარეშე, წევრი ქვეყნები კომპეტენტურ ორგანოებს ანიჭებენ უფლებამოსილებას უფლების მფლობელს მისი სარჩელის დასაბუთების მიზნით მისცენ საბაჟო ორგანოების მიერ შეჩერებული ნებისმიერი საქონლის შემოწმების საკმარისი შესაძლებლობა. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან აგრეთვე, იმპორტიორს მიანიჭონ ნებისმიერი ამგვარი საქონლის შემოწმების თანაბარი შესაძლებლობა. თუ საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ კომპეტენტურ ორგანოებს მიანიჭონ უფლებამოსილება აცნობონ უფლების მფლობელს ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორისა და ტვირთის მიმღების სახელები და მისამართები, აგრეთვე მოცემული საქონლის რაოდენობა.

მუხლი 58

Ex officio მოქმედება

თუ წევრი ქვეყნები კომპეტენტური ორგანოებისაგან მოითხოვენ საკუთარი ინიციატივით მოქმედებას და იმ საქონლის გაშვების შეჩერებას, რომელთა მიმართაც მათ აქვთ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევის *prima facie* მტკიცებულებები, მაშინ:

(a) კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ უფლების მფლობელს ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც მათ დაეხმარება ამ უფლებამოსილების განხორციელებაში;

(b) იმპორტიორს და უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობებათ საქონლის გაშვების შეჩერების შესახებ. თუ იმპორტიორმა კომპეტენტურ ორგანოებში შეიტანა საჩივარი საქონლის გაშვების შეჩერების წინააღმდეგ, შეჩერება ხორციელდება 55-ე მუხლით დადგენილი *mutatis mutandis* პირობების შესაბამისად;

(c) წევრი ქვეყნები ათავისუფლებენ სახელმწიფო ორგანოებსა და ამ ორგანოებში მომსახურეებს სასამართლო დაცვის სათანადო საშუალებებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ მოქმედებების კეთილსინდისიერი განხორციელების ან ასეთი განხორციელების განზრახვის შემთხვევაში.

მუხლი 59

სასამართლო დაცვის საშუალებები

კომპეტენტური ორგანოები, 46-ე მუხლში მოცემული პრინციპების შესაბამისად, უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დამრღვევი საქონლის განადგურების ან ამოღების შესახებ სარჩელზე უფლების მფლობელისათვის ხელმისაწვდომ სხვა უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე და მოპასუხისათვის სასამართლო ორგანოში გადასინჯვის უფლების უზრუნველყოფის პირობით. სახელმწიფო ორგანოებმა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ უნდა დაუშვან კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის უცვლელ მდგომარეობაში რეექსპორტი ან მათ მიმართ სხვა საბაჟო პროცედურების გამოყენება.

მუხლი 60

De minimis იმპორტი

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ არ გამოიყენონ ზემოთ მოყვანილი დებულებები არაკომერციული ხასიათის მქონე მცირე რაოდენობის საქონლისათვის, რომელიც მოთავსებულია მგზავრის პირად ბარგში ან იგზავნება მცირე პარტიებით.

კარი 5. სისხლის სამართლის პროცედურები

მუხლი 61

წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პროცედურებსა და სასჯელს, რომლებიც, სულ მცირე, გამოყენებული უნდა იყოს სასაქონლო ნიშნების განზრახ უკანონოდ გამოყენებისათვის ან საავტორო უფლების დარღვევისათვის კომერციული მასშტაბებით. სასამართლო დაცვის საშუალებები უნდა მოიცავდეს დაპატიმრებას ან/და ფულად ჯარიმას, რომელიც საკმარისი იქნება როგორც საშუალება დანაშაულისაგან თავის შეკავებისათვის და თანაზომიერი იქნება იმ სასჯელისა, რომელიც გამოიყენება შესაბამისი სიმძიმის დანაშაულებისათვის. შესაბამის შემთხვევებში სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები მოიცავს აგრეთვე, ყადაღის დადებას, კონფისკაციასა და კონტრაფაქციული საქონლისა და იმ ნებისმიერი მასალისა და მოწყობილობების განადგურებას, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა სამართალდარღვევისას. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სისხლის სამართლის პროცედურები და სასჯელი ინტელექტუალურ

საკუთრებაზე უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევებისათვის, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია განზრახ და კომერციული მიზნით.

ნაწილი V

დავების თავიდან აცილება და რეგულირება

მუხლი 63

გამჭვირვალობა

1. კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, საბოლოო სასამართლო და ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც ამოქმედდა წევრმა ქვეყანამ და უკავშირდება ამ შეთანხმების საგანს (ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების არსებობა, მათი ფარგლები, მოპოვება, განხორციელება და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება), ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გამოქვეყნება არ არის შესაძლებელი, ისინი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე იმგვარად, რომ მთავრობებს და უფლების მფლობელებს ჰქონდეთ მათი გაცნობის შესაძლებლობა. გამოქვეყნებას ექვემდებარება აგრეთვე, ამ შეთანხმების საგანთან დაკავშირებული შეთანხმებები, რომლებიც მოქმედებს ერთი წევრი ქვეყნის მთავრობას ან სამთავრობო ორგანოსა და მეორე წევრი ქვეყნის მთავრობას ან სამთავრობო ორგანოს შორის.
2. წევრი ქვეყნები TRIPS-ის საბჭოს ატყობინებენ 1-ლ პუნქტში აღნიშნული კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ საბჭოს ამ შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. საბჭო მიმართავს ყველა ზომას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ტვირთი, რომელიც ეკისრება წევრ ქვეყნებს ამ ვალდებულების შესრულებისას და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების უშუალოდ საბჭოსათვის შეტყობინების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ ისმო-სთან ამგვარი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საერთო რეესტრის დაარსებასთან დაკავშირებული კონსულტაციები წარმატებული იქნება. ამასთან დაკავშირებით, საბჭო განიხილავს აგრეთვე, ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების თანახმად და რომელიც გამომდინარეობს პარიზის კონვენციის (1967წ.) მე-6^{ter} მუხლის დებულებებიდან.
3. თითოეული წევრი ქვეყანა სხვა წევრი ქვეყნის წერილობითი მოთხოვნის პასუხად მზად უნდა იყოს 1-ლ პუნქტში აღნიშნული სახის ინფორმაციის მისაწოდებლად. წევრ ქვეყანას, რომელსაც საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ სპეციფიკური სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ან ორმხრივი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გავლენას ახდენს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებზე, შეუძლია აგრეთვე წერილობით მოითხოვოს ასეთი სპეციფიკური სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, ან ორმხრივი შეთანხმებების მიწოდება, ან მათ შესახებ საკმარისად დეტალური ინფორმაციის მიღება.
4. 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში არაფერი არ მოითხოვს წევრი ქვეყნებისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ხელს შეუშლიდა კანონის განხორციელებას ან სხვაგვარად ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, ან შელახავდა ცალკეული სახელმწიფო ან კერძო საწარმოების კანონიერ კომერციულ ინტერესებს.

მუხლი 64

დავათა დარეგულირება

1. 1994 წლის GATT-ის XXII-ე და XXIII-ე მუხლების დებულებები, როგორც ისინი შემუშავებულია და გამოიყენება დავათა რეგულირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, გამოიყენება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული კონსულტაციებისათვის და დავათა მოგვარებისათვის, თუ მასში სპეციალურად სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. 1994 წლის GATT-ის XXIII-ე მუხლის 1(b) და 1(c) ქვეპუნქტები არ გამოიყენება ამ შეთანხმების შესაბამისად დავათა დასარეგულირებლად ვმო-ს შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.
3. მე-2 პუნქტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში TRIPS-ის საბჭო ამ შეთანხმების შესაბამისად შეისწავლის გამოყენების სფეროს და 1994 წლის GATT-ის XXIII-ე მუხლის 1(b) და 1(c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტიპის პრეტენზიების წაყენების შემთხვევებს და დამტკიცების მიზნით თავის რეკომენდაციებს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრთა კონფერენციას. მინისტრთა კონფერენციის ნებისმიერი გადაწყვეტილება ასეთი რეკომენდაციების დამტკიცების ან მე-2 პუნქტში განსაზღვრული პერიოდის გაგრძელების შესახებ მიიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო დამტკიცებული რეკომენდაციები ყველა წევრი ქვეყნისათვის ძალაში შედის მიღების შემდგომი ფორმალური პროცედურების გარეშე.

ნაწილი VI

გარდამავალი შეთანხმებები

მუხლი 65

გარდამავალი შეთანხმებები

1. პუნქტების 2, 3 და 4 დებულებათა თანახმად არცერთი წევრი სახელმწიფო არა არის ვალდებული გამოიყენოს წინამდებარე შეთანხმების დებულებები “მსო”-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ერთწლიანი საერთო ვადის გასვლამდე.
2. განვითარებად წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ ოთხი წლით გადაავადონ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა პუნქტით 1 გათვალისწინებული გამოყენება, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5.
3. ნებისმიერ სხვა წევრი სახელმწიფოს, რომელიც ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო, თავისუფალ სამეწარმეო ეკონომიკაზე გადასვლის სტადიაზეა და რომელიც საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სტრუქტურულ რეფორმას ახორციელებს და აწყდება ინტელექტუალური საკუთრების კანონებისა და წესების მომზადებასა და რეალიზებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ პრობლემებს, აგრეთვე შეუძლია ისარგებლოს პუნქტით 2 გათვალისწინებული გადავადების შესაძლებლობით.
4. იმდენად, რამდენადაც წინამდებარე შეთანხმება განვითარებად წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს გაავრცელოს პროდუქციის საპატენტო დაცვა ტექნიკის ისეთ დარგებში, რომლებიც ასეთ დაცვას არ ექვემდებარება აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების გამოყენების საერთო თარიღისათვის, მას პუნქტის 2 თანახმად შეუძლია გადაავადოს II ნაწილის მე-5 ნაკვეთში განხილულ პროდუქციის დაპატენტების შესახებ დებულებების გამოყენება ასეთი დარგების მიმართ კიდევ 5 წლით.

5. წევრი სახელმწიფო, რომელიც პუნქტების 1, 2, 3 და 4 შესაბამისად გარდამავალი პერიოდით სარგებლობს უზრუნველყოფს, რომ ამ პერიოდში მის კანონებში, დებულებებსა და პრაქტიკაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება არ შეამცირებს მათი შესაბამისობის დონეს წინამდებარე შეთანხმებასთან.

მუხლი 66

ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოები

1. ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების სპეციფიური საჭიროებებისა და მოთხოვნების, მათი ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული შეზღუდვების და მათთვის სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შესაქმნელად საჭირო მოქნილობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ასეთი სახელმწიფოების მიმართ წინამდებარე შეთანხმების დებულებები, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5 არ გამოიყენება, მუხლის 65 პუნქტით 1 განსაზღვრული გამოყენების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში. “TRIPS”-ის საბჭო ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოს ჯეროვნად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე აგრძელებს აღნიშნულ პერიოდს.

2. განვითარებული წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ მათ ტერიტორიებზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების სტიმულირებას, რათა ხელი შეუწყონ ტექნოლოგიის გადაცემას ყველაზე ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოებისათვის მათთვის მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 67

ტექნიკური თანამშრომლობა

წინამდებარე შეთანხმების განხორციელების გაადვილების მიზნით განვითარებული წევრი სახელმწიფოები განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებს გაუწევს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას მათი მოთხოვნისა და ორმხრივად შეთანხმებული პირობების საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა მოიცავს დახმარებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის და აღსრულების შესახებ კანონებისა და დებულებების მომზადებაში, აგრეთვე ასეთი უფლებებით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილებაში, აგრეთვე მოიცავს დახმარებას იმ ეროვნული უწყებებისა და დაწესებულებების შექმნასა და განმტკიცებაში, რომლებიც ამ საკითხებით იქნებიან დაკავებულნი, მათ შორის კადრების მომზადებაში.

ნაწილი VII

ინსტიტუციონალური ღონისძიებები; დასკვნითი დებულებები

მუხლი 68

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების საბჭო

“TRIPS”-ის საბჭო აკონტროლებს წინამდებარე შეთანხმების შესრულებას, კერძოდ, წევრი სახელმწიფოების მიერ შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას გამართონ კონსულტაციები ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტების თაობაზე. იგი ახორციელებს აგრეთვე წევრი სახელმწიფოს მიერ

მასზე დაკისრებულ ნებისმიერ მოვალეობას, და კერძოდ, სთავაზობს ნებისმიერი სახის დახმარებას, რომელსაც მისგან მოითხოვენ დავათა დარეგულირების პროცედურებთან დაკავშირებით. თავისი ფუნქციების შესრულებისას “თღIPშ”-ის საბჭოს შეუძლია რჩევისათვის მიმართოს და მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერ წყაროდან, რომელსაც იგი ამ თვალსაზრისით შესაფერისად მიიჩნევს. “ისმო”-თან გამართული კონსულტაციების შესაბამისად საბჭო თავისი პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული ორგანიზაციის ორგანოებთან თანამშრომლობის დასამკვიდრებლად.

მუხლი 69

საერთაშორისო თანამშრომლობა

წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე იმ თვალსაზრისით, რომ აღმოფხვრილ იქნას საერთაშორისო ვაჭრობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დამრღვევი საქონლით. ამ მიზნით ისინი თავიანთ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ქმნიან საკონტაქტო პუნქტებს, იტყობინებიან ამის შესახებ და მზად არიან სამართალდამრღვევი საქონლით ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლელად. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ საბაჟო ორგანოებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობას გაყალბებული სასაქონლო ნიშნიანი საქონლითა და საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მუხლი 70

არსებული ობიექტის დაცვა

1. წინამდებარე შეთანხმება არ წარმოშობს მოვალეობებს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იქნა მოცემული შეთანხმების გამოყენების თარიღამდე.
2. თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმება წარმოშობს მოვალეობებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ საგანთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობდა ცალკეული წევრი სახელმწიფოს მიმართ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის და რომლებიც დაცულია ამ სახელმწიფოში აღნიშნული თარიღისათვის, აგრეთვე რომლებიც შეესაბამება ან შემდგომში მოვა შესაბამისობაში წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დაცვის კრიტერიუმებთან. რაც შეეხება მოცემული პუნქტის და პუნქტების 3 და 4 დებულებებს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მოვალეობები არსებული ნაწარმოებების მიმართ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლზე 18 დაყრდნობით, ხოლო მოვალეობები, რომლებიც ფონოგრამების მწარმოებელთა და არსებულ ფონოგრამებში შემსრულებელთა უფლებებს ეხება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლის 18 მიხედვით იმდენად, რამდენადაც ის გამოყენებადია წინამდებარე შეთანხმების მუხლის 14 პუნქტის 6 მიხედვით.
3. არანაირი მოვალეობა არ წარმოიშვება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებზე უფლებათა დაცვის აღსადგენად, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღისათვის სახელმწიფო საკუთრებაში აღმოჩნდა.
4. ნებისმიერ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება კონკრეტულ საგნებს, რომლებშიც შედის ისეთი ობიექტები, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი კანონმდებლობით თანახმად სამართალდამრღვევი ობიექტები გახდნენ, და რომელთა გამოშვება დაიწყო ან რომელთა

დაკავშირებითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ “მსო”-ს შეთანხმებისთვის მიღების თარიღამდე, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს უფლების მფლობელის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის შეზღუდვა ასეთი ქმედებების გაგრძელების შემთხვევაში ასეთი წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებში წევრი სახელმწიფო ითვალისწინებს, სულ მცირე, სათანადო ანაზღაურების გადახდას.

5. წევრი სახელმწიფო მოვალე არ არის გამოიყენოს მუხლის 11 და მუხლის 14 პუნქტის 4 დებულებები იმ დედანთა და ასლთა მიმართ, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყებამდე იქნა შექმნილი.

6. წევრი სახელმწიფოები არ არიან მოვალენი გამოიყენონ მუხლის 31 დებულებები, ან მუხლის 27 პუნქტის 1 მოთხოვნები იმის შესახებ, რომ პატენტზე უფლებები მინიჭებულ უნდა იქნას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ტექნიკის დარგის მიუხედავად და გამოყენება უნდა მოხდეს უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთ გამოყენებაზე ნებართვა მთავრობის მიერ იქნა გაცემული იმ თარიღამდე, სანამ წინამდებარე შეთანხმება ცნობილი გახდებოდა.

7. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა რეგისტრაციის პირობით ხორციელდება, მაშინ ასეთი დაცვის მისაღებად წარდგენილ განაცხადებში, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოსათვის წინამდებარე შეთანხმების ამოქმედების თარიღისათვის განხილვის სტადიაში იმყოფება, ნებადართულია შესწორებების შეტანა, რომლის მიხედვით მოთხოვნილ იქნება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული უფრო ფართო დაცვა. ასეთი შესწორებები არ უნდა შეიცავდეს ახალ საკითხებს.

8. თუ წევრი სახელმწიფო “მსო”-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის არ უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას ფარმაცევტულ და აგროქიმიურ პროდუქტებზე მის მიერ მუხლის 27 თანახმად ნაკისრი მოვალეობების შესაბამისად, ეს წევრი სახელმწიფო:

ა) VI ნაწილის დებულებების მიუხედავად, “მსო”-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ითვალისწინებს ისეთ პროცედურულ ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ასეთ გამოგონებებზე პატენტის მისაღებად განაცხადების შეტანა;

ბ) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ასეთი განაცხადებების მიმართ იყენებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს ისეთი სახით, თითქოს ეს კრიტერიუმები გამოიყენებოდა აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან პრიორიტეტის არსებობისა და მისი მოთხოვნის შემთხვევაში - პრიორიტეტული თარიღისათვის; და

გ) უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად პატენტის გაცემის თარიღიდან და პატენტის მოქმედების დარჩენილი ვადის განმავლობაში, რომელიც აითვლება იმ განაცხადების წინამდებარე შეთანხმების მუხლის 33 მიხედვით შეტანის თარიღიდან, რომლებიც აკმაყოფილებს (ბ) ქვეპუნქტში მითითებულ დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს.

9. თუ წევრ სახელმწიფოში პროდუქციის თაობაზე 8(ა) პუნქტის თანახმად გაკეთებულია განაცხადი პატენტის მისაღებად, VI ნაწილის დებულებათა მიუხედავად დაიშვება განსაკუთრებული უფლებები გასაღებაზე აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში გასაღებაზე ნებართვის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში, ან ამ წევრ სახელმწიფოში პროდუქტზე პატენტის გაცემამდე ან მის გაცემაზე უარის

თქმამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ვადა იქნება უფრო მოკლე, იმ პირობით, რომ “მსო”-ს შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ აღნიშნულ პროდუქტზე შეტანილ იქნა საპატენტო განაცხადი და პატენტი გაცემულ იქნა სხვა წევრ სახელმწიფოში და გასაღებაზე ნებართვა მიღებული იქნა ამ სხვა წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 71

კონტროლის განხორციელება და შესწორებების შეტანა

1. “TRIPS”-ის საბჭო წინამდებარე შეთანხმების განხორციელებას განიხილავს მუხლის 65 პუნქტში 2 მითითებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ. საბჭო იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძინა შეთანხმების განხორციელების პროცესში, მის მოქმედებას განიხილავს ამ თარიღიდან ორი წლის შემდეგ და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. საბჭოს შეუძლია აგრეთვე განიხილავს მოაწყოს ნებისმიერი სიახლის შუქზე, რომლებიც შეიძლება წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის საფუძველი გახდეს.

2. შესწორებები, რომელთა მიზანია მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უფრო მაღალ დონის დამკვიდრება, რაც უკვე მიღწეულია და ამოქმედებული სხვა მრავალმხრივი შეთანხმებებით და რომელიც აღიარებულია “მსო”-ს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, “მსო”-ს შეთანხმების X მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ასამოქმედებლად უნდა მიეწოდოს მინისტრთა კონფერენციას “TRIPS”-ის საბჭოს მიერ კონსენსუსის პრინციპით შემუშავებული წინადადების საფუძველზე.

მუხლი 72

დათქმები

წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერ დებულებაში რაიმე დათქმის გათვალისწინება დანარჩენი წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 73

უსაფრთხოების მიზნით დაშვებული გამონაკლისები

წინამდებარე შეთანხმებაში არცერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული როგორც:

ა) ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის იმ ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნა, რომლის გამჟღავნებასაც იგი თავისი უსაფრთხოების ინტერესების საზიანოდ მიიჩნევს; ან

ბ) წევრი სახელმწიფოებისათვის ნებისმიერი იმ ქმედების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რომელსაც ის თავისი ძირითადი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად მიიჩნევს საჭიროდ:

(i) გახლეჩად მასალებთან ან იმ მასალებთან დაკავშირებით, საიდანაც ისინი მიიღება;

(ii) იარაღით, ტყვია-წამლით და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა სახის საქონლითა და მასალებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სამხედრო ძალების შესაიარაღებლად ხორციელდება;

(iii) თუ ეს ქმედებები საომარი ან საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა სახის განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ხორციელდება;

ან

გ) ნებისმიერ წევრი სახელმწიფოსათვის ხელის შეშლა იმ ქმედებათა განხორციელებაში, რომლებიც მის მიერ გაერთიანებული ერების წესდების თანახმად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ნაკისრ ვალდებულებებს შეესაბამება.

ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ

მუხლი 1

- (1) სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან სპეციალურ კავშირს.
- (2) მხოლოდ სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გახდნენ ამ შეთანხმების მხარეები.

მუხლი 2

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

- “1925 წლის შეთანხმება” ნიშნავს 1925 წლის 6 ნოემბრის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას;
- “1934 წლის შეთანხმება” ნიშნავს 1925 წლის 6 ნოემბრის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას, რომელიც გადაისინჯა ლონდონში 1934 წლის 2 ივნისს;
- “ეს შეთანხმება” ან “წინამდებარე შეთანხმება” ნიშნავს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმებას, რომელიც დადებულია წინამდებარე აქტით;
- “ინსტრუქცია” ნიშნავს დებულებებს ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით;
- “საერთაშორისო ბიურო” ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს;
- “საერთაშორისო დეპოზიტი” ნიშნავს საერთაშორისო ბიუროში შეტანილ საერთაშორისო დეპოზიტს;
- “ეროვნული დეპოზიტი” ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ უწყებაში შეტანილ დეპოზიტს;
- “მრავლობითი დეპოზიტი” ნიშნავს დეპოზიტს, რომელიც რამდენიმე ნიმუშს შეიცავს;
- “საერთაშორისო დეპოზიტის წარმოშობის სახელმწიფო” ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს, სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო ან, თუ განმცხადებელს ასეთი საწარმოები აქვს რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მან მიუთითა თავის განაცხადში; თუ განმცხადებელს არა აქვს ასეთი საწარმო რომელიმე მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, სადაც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; თუ მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის იგი;
- “სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას” ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს, რომლის ეროვნული კანონი ითვალისწინებს სისტემას, რომელიც მოიცავს ეროვნული უწყების მიერ თითოეულ დეპონირებულ ნიმუშზე სიახლის წინასწარ ეხ ოფფიციო მიებასა და ექსპერტიზას.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოების მოქალაქეებს და პირებს, რომლებიც არ არიან რომელიმე მონაწილე ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და მოქმედი საწარმო მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეუძლიათ ნიმუშების დეპონირება საერთაშორისო ბიუროში.

მუხლი 4

- (1) საერთაშორისო დეპონირება საერთაშორისო ბიუროში შეიძლება განხორციელდეს:
 1. პირდაპირ, ან

2. მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული უწყების შუამავლობით, თუ ეს ნებადართულია ამ სახელმწიფოს კანონით.

(2) ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონი შეიძლება მოითხოვდეს საერთაშორისო დეპოზიტების, რომლის წარმოშობის სახელმწიფოდაც იგი არის მიჩნეული, შეტანას ეროვნული უწყების საშუალებით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არ მიაყენებს ზიანს საერთაშორისო დეპონირების მოქმედებას სხვა მონაწილე სახელმწიფოებში.

მუხლი 5

(1) საერთაშორისო დეპოზიტი უნდა შედგებოდეს განცხადების, ერთი ან მეტი ფოტოსურათის ან სამრეწველო ნიმუშის სხვა გრაფიკული გამოსახულებისაგან, აგრეთვე გადახდილი უნდა იყოს ინსტრუქციით დადგენილი საფასურები.

(2) განცხადება უნდა შეიცავდეს:

1. იმ მონაწილე სახელმწიფოების სიას, სადაც განმცხადებელი ითხოვს, რომ მოქმედებდეს საერთაშორისო დეპონირება;
2. იმ ნაკეთობის ან ნაკეთობების მითითებას, რომლებშიც სამრეწველო ნიმუში უნდა იქნეს ჩართული;
3. თუ განმცხადებელს სურს მე-9 მუხლით გათვალისწინებული პრიორიტეტის მოთხოვნა, დეპოზიტის თარიღის, სახელმწიფოსა და ნომრის მითითებას, რაც წარმოქმნის პრიორიტეტის უფლებას;
4. ისეთ სხვა მონაცემებს, რომლებიც შეიძლება დადგენილი იქნეს ინსტრუქციით.

(3) (ა) დამატებით, განაცხადი შეიძლება შეიცავდეს:

1. სამრეწველო ნიმუშის დამახასიათებელი ნიშნების მოკლე აღწერას;
2. განცხადებას სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელის შესახებ;
3. მოთხოვნას გამოქვეყნების გადადების შესახებ, რასაც მე-6 (4) მუხლი ითვალისწინებს.

(ბ) განაცხადს აგრეთვე შეიძლება თან დაერთოს ნაკეთობის ან ნაკეთობების ნიმუშები ან მოდელები, რომლებშიც სამრეწველო ნიმუშია განხორციელებული.

(4) მრავლობითი დეპოზიტი შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც განკუთვნილია სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთი და იგივე კლასის ნაკეთობებში ჩასართველად 21-ე (2) მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6

(1) საერთაშორისო ბიურო აწარმოებს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეესტრს, სადაც არეგისტრირებს საერთაშორისო დეპოზიტებს.

(2) საერთაშორისო დეპოზიტი ჩაითვლება დეპონირებულად იმ თარიღიდან, როდესაც საერთაშორისო ბიურომ მიიღო განაცხადი დადგენილი ფორმით - გადასახდელი საგანაცხადო საფასური, თანდართული ფოტოსურათი ან ფოტოსურათები, ან სამრეწველო ნიმუშის სხვა გრაფიკული გამოსახულებები, ან, თუ საერთაშორისო ბიურომ განაცხადის მასალები მიიღო სხვადასხვა თარიღით, ამ თარიღებს შორის უკანასკნელი თარიღიდან. რეგისტრაციას უნდა ჰქონდეს იგივე თარიღი.

(3) (ა) თითოეულ საერთაშორისო დეპოზიტს საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს პერიოდულ ბიულეტენში:

1. რეპროდუქციას შავ-თეთრ ფერებში, ან, განმცხადებლის მოთხოვნით დეპონირებული ფოტოსურათების ან სხვა გრაფიკული გამოსახულების ფერად რეპროდუქციას;
2. საერთაშორისო დეპონირების თარიღს;
3. ინსტრუქციით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

(ბ) საერთაშორისო ბიურო ეროვნულ უწყებებს პერიოდულ ბიულეტენებს უგზავნის რაც შეიძლება მოკლე დროში.

4. (ა) მე-(3) პუნქტის (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული გამოქვეყნება განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გადაიდოს ისეთი პერიოდით, რომლის მოთხოვნაც მას შეუძლია. აღნიშნული პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან. მაგრამ, თუ პრიორიტეტია მოთხოვნილი, ამ პერიოდის საწყისი თარიღი იქნება პრიორიტეტის თარიღი.

(ბ) (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სასწრაფო გამოქვეყნება, ან შეუძლია გამოითხოვოს დეპოზიტი. დეპოზიტის გამოთხოვა შეიძლება შეიზღუდოს ერთი ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოთი, და მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში, მასში შემავალი რამდენიმე ნიმუშით.

(გ) თუ განმცხადებელი დადგენილი დროის განმავლობაში ვერ გადაიხდის იმ საფასურებს, რომელიც გადახდილი უნდა იყოს (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე, საერთაშორისო ბიურო გააუქმებს დეპონირებას და არ განახორციელებს მე-(3) პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პუბლიკაციას.

(დ) (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერიოდის ამოწურვამდე, საერთაშორისო ბიურო კონფიდენციალურად ინახავს იმ დეპოზიტების რეგისტრაციას, რომელთა პუბლიკაცია გადადებულია, ამასთან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის ასეთ დეპოზიტებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ნაკეთობა. ამ დებულებების გამოყენება ხორციელდება დროის შეუზღუდავად, თუ განმცხადებელმა გაითხოვა თავისი დეპოზიტი აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე.

(5) მე-(4) პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რეესტრი და საერთაშორისო ბიუროში შეტანილი ყველა დოკუმენტი და ნაკეთობა დასათვალისწინებლად ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

მუხლი 7

(1) (ა) საერთაშორისო ბიუროში რეგისტრირებულ დეპოზიტს ისეთივე მოქმედება აქვს განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებულ ყოველ მონაწილე სახელმწიფოში, როგორც ექნებოდა მას, თუ განმცხადებელი დააკმაყოფილებდა დაცვისათვის ეროვნული კანონით დადგენილ ყველა ფორმალბა და ასეთი სახელმწიფოს უწყება შეასრულებდა ყველა მოქმედი ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნებს.

(ბ) მე-11 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, სამრეწველო ნიმუშების დაცვა, რომელთა დეპოზიტი რეგისტრირებულ იქნა საერთაშორისო ბიუროს მიერ, ყოველ მონაწილე სახელმწიფოში წესრიგდება ამ სახელმწიფოში გამოყენებული ეროვნული კანონის დებულებებით იმ სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომელთა დაცვა მოთხოვნილია ეროვნული დეპოზიტის საფუძველზე და რომელთა მიმართ ყველა ფორმალბა და ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული და შესრულებულია.

(2) საერთაშორისო დეპოზიტს არ ექნება ძალა წარმოშობის სახელმწიფოში, თუ ამას ითვალისწინებს მოცემული სახელმწიფოს კანონები.

მუხლი 8

(1) მე-7 მუხლის დებულებების მიუხედავად, მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული უწყება, რომლის ეროვნული კანონი ითვალისწინებს, რომ ეროვნულ უწყებას შეუძლია ადმინისტრაციული ეხ ოფიცის ექსპერტიზის საფუძველზე, ან მესამე პირის შედავებიდან გამომდინარე უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე, უარის თქმის შემთხვევაში საერთაშორისო ბიუროს ექვს თვეში ატყობინებს იმის შესახებ, რომ სამრეწველო ნიმუში არ აკმაყოფილებს მისი ეროვნული კანონის მოთხოვნებს,

რომლებიც განსხვავდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული ფორმალობებისა და ადმინისტრაციული აქტებისაგან. თუ ექვს თვეში ასეთი უარი არ იქნა შეტყობინებული, მოცემულ სახელმწიფოში საერთაშორისო დეპოზიტი მოქმედი გახდება აღნიშნული დეპონირების თარიღიდან. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოში, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას, საერთაშორისო დეპოზიტი, ინარჩუნებს რა თავის პრიორიტეტს, ძალაში შევა აღნიშნული პერიოდის ამოწურვიდან, თუ უარი არ იქნა შეტყობინებული ექვსი თვის განმავლობაში, თუკი ეროვნული კანონი არ ითვალისწინებს უფრო ადრეულ თარიღს თავის ეროვნულ უწყებაში შეტანილი დეპოზიტებისათვის.

(2) (1) პარაგრაფში აღნიშნული ექვსთვიანი პერიოდი აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც ეროვნული უწყება მიიღებს პერიოდული ბიულეტენის იმ გამოცემას, რომელშიც გამოქვეყნებულია მონაცემები საერთაშორისო დეპოზიტის რეგისტრაციის შესახებ. ეროვნული უწყება აცნობებს ამ თარიღს ნებისმიერ პირს, რომელიც ამას მოითხოვს.

(3) განმცხადებელი ეროვნული უწყების მიერ (1) პუნქტში აღნიშნული უარის თქმის შემთხვევაში თავის უფლებებს იცავს იგივე საშუალებებით, როგორც იგი გამოიყენებდა თავისი სამრეწველო ნიმუშის დეპონირებისას ეროვნულ უწყებაში; ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითი გადაწყვეტილება ექვემდებარება განმეორებითი ექსპერტიზის მოთხოვნას ან აპელაციას. ასეთი უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

მიზეზები, რომელთა გამოც მიიჩნევა, რომ სამრეწველო ნიმუში არ აკმაყოფილებს ეროვნული კანონის მოთხოვნებს;

მე-2 პუნქტში აღნიშნული თარიღი;

დრო, რომელიც დაშვებულია განმეორებითი ექსპერტიზის მოთხოვნის ან აპელაციისათვის;

ორგანო, რომელსაც ასეთი მოთხოვნით ან აპელაციით უნდა მიმართონ.

(4) (ა) მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულმა უწყებამ, რომლის ეროვნული კანონი 1 პუნქტში მითითებული სახის დებულებებს შეიცავს, რომლებიც მოითხოვს დეკლარაციას სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელის შესახებ, ან სამრეწველო ნიმუშის აღწერას, შეიძლება გაითვალისწინოს, რომ მოთხოვნის თანახმად და უწყების მიერ ასეთი მოთხოვნის გაგზავნიდან არანაკლებ სამოცდღიანი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელმა საერთაშორისო ბიუროში შეტანილი განაცხადის ენაზე უნდა წარადგინოს:

დეკლარაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის სამრეწველო ნიმუშის ნამდვილი შემქმნელი;

მოკლე აღწერილობა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს ფოტოსურათებით ან სხვა გრაფიკული გამოსახულებით წარმოდგენილი სამრეწველო ნიმუშის არსებით ნიშნებს.

(ბ) ეროვნულმა უწყებამ ასეთი განცხადებებისა და აღწერილობების შეტანასთან, ან მათ შესაძლო გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არ უნდა მოითხოვოს არანაირი საფასური.

(5) (ა) ნებისმიერი ეროვნული უწყება, რომლის ეროვნული კანონი შეიცავს 1 პუნქტში აღნიშნული სახის დებულებებს, შესაბამისად შეატყობინებს ამის შესახებ საერთაშორისო ბიუროს.

(ბ) თუ თავისი კანონმდებლობის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოს აქვს სამრეწველო ნიმუშების დაცვის რამდენიმე სისტემა, რომელთაგან ერთ-ერთი ითვალისწინებს სიახლის ექსპერტიზას, ამ შეთანხმების დებულებები, რომლებიც შეეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ახორციელებენ სიახლის ექსპერტიზას, გამოიყენება მხოლოდ აღნიშნული სისტემისათვის.

მუხლი 9

თუ სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო დეპოზიტი შეტანილია იგივე სამრეწველო ნიმუშის პირველი დეპონირებიდან ექვსი თვის განმავლობაში სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ სახელმწიფოში და თუ მოთხოვნილია პრიორიტეტი საერთაშორისო დეპონირებისათვის, პრიორიტეტის თარიღი იქნება იმ პირველი დეპონირების პრიორიტეტის თარიღი.

მუხლი 10

- (1) საერთაშორისო დეპონირების მოქმედება შეიძლება განახლდეს ყოველი ხუთი წლით, განახლებისათვის ინსტრუქციით დადგენილი საფასურის გადახდით თითოეული ხუთწლიანი პერიოდის ბოლო წლის განმავლობაში.
- (2) ექვემდებარება რა ინსტრუქციით გათვალისწინებულ დამატებით გადასახადს, საერთაშორისო დეპოზიტის მოქმედების განახლებისათვის ენიჭება ექვსთვიანი შეღავათიანი პერიოდი.
- (3) განახლებისათვის საფასურის გადახდისას უნდა აღინიშნოს საერთაშორისო დეპოზიტის ნომერი და აგრეთვე, თუ განახლება არ უნდა განხორციელდეს ყველა მონაწილე სახელმწიფოში, სადაც დეპონირების ვადა იწურება, ის მონაწილე სახელმწიფოები, სადაც განახლება უნდა მოხდეს.
- (4) განახლება შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ რომელიმე სამრეწველო ნიმუშით, რომელსაც შეიცავს მრავლობითი დეპოზიტი.
- (5) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს განახლების რეგისტრირებას და გამოქვეყნებას.

მუხლი 11

- (1) (ა) მონაწილე სახელმწიფოს მიერ სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც საერთაშორისო დეპონირების საგანს წარმოადგენს, მინიჭებული დაცვის ვადა არ უნდა იყოს ნაკლები:
ათ წელზე საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან, თუ დეპოზიტი განახლებული იქნა;
ხუთ წელზე საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან, თუ დეპოზიტი არ იქნა განახლებული.
- (ბ) აღნიშნულის მიუხედავად, თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს სიახლის ექსპერტიზას, ეროვნული კანონის დებულებების მიხედვით დაცვის ვადა იწყება საერთაშორისო დეპონირების თარიღზე უფრო გვიან, მაშინ (ა) პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური ვადა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც დაცვის ვადა იწყება ამ სახელმწიფოში. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დეპონირების ვადა არ განახლებულა, ან განახლდა მხოლოდ ერთხელ, არანაირ გავლენას არ მოახდენს დაცვის მინიმალურ ვადაზე, რომელიც ზემოთ არის განსაზღვრული.
- (2) თუ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონი ითვალისწინებს ეროვნული დეპონირების სამრეწველო ნიმუშების 10 წელზე მეტი ხნით დაცვას, ვადის გაგრძელებით ან გაუგრძელებლად, მაშინ საერთაშორისო დეპოზიტის და მისი ვადის გაგრძელების საფუძველზე ამ სახელმწიფოში საერთაშორისო დეპონირების სამრეწველო ნიმუშების დაცვის ხანგრძლივობაც ასეთივე ვადით განისაზღვრება.
- (3) მონაწილე სახელმწიფოს თავისი ეროვნული კანონის შესაბამისად საერთაშორისო დეპონირებით შეტანილი სამრეწველო ნიმუშებისათვის შეუძლია შეზღუდოს სამრეწველო ნიმუშების დაცვის ვადა (1) პუნქტით გათვალისწინებული ვადით.
- (4) (1) (ბ) პუნქტის შესაბამისად, დაცვის ვადა მონაწილე სახელმწიფოში შეწყდება საერთაშორისო დეპონირების ვადის ამოწურვის თარიღიდან, თუ ქვეყნის ეროვნული კანონი არ ითვალისწინებს დაცვის ვადის გაგრძელებას საერთაშორისო დეპონირების ვადის გასვლის თარიღის შემდეგ.

მუხლი 12

- (1) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს იმ ცვლილებების რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომლებიც გავლენას ახდენს იმ სამრეწველო ნიმუშის მფლობელობაზე, რომელიც წარმოადგენს ძალაში მყოფი საერთაშორისო დეპოზიტის საგანს. ნათელია, რომ მფლობელობის გადაცემა შეიძლება შეიზღუდოს საერთაშორისო დეპონირებით წარმოქმნილი უფლებებით მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოში და მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში მასში შემავალი მხოლოდ რომელიმე სამრეწველო ნიმუშით.

(2) (1) პუნქტში აღნიშნულ რეგისტრაციას იგივე ძალა ექნება, რაც ექნებოდა მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ უწყებებში განხორციელებულ რეგისტრაციას.

მუხლი 13

(1) საერთაშორისო დეპოზიტის მფლობელს შეუძლია საერთაშორისო ბიუროს მიმართოს განცხადებით, რომელშიც უარს იტყვის თავის უფლებებზე ყველა ან რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, ხოლო მრავლობითი დეპოზიტის შემთხვევაში მასში შემავალ რომელიმე სამრეწველო ნიმუშის მიმართ.

(2) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს ასეთი განცხადების რეგისტრაციას და გამოქვეყნებას.

მუხლი 14

(1) არც ერთ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია დაცვის უფლების აღიარებისათვის პირობად მოითხოვოს, რომ ნაკეთობაზე, რომელიც შეიცავს სამრეწველო ნიმუშს, დატანილი იყოს ნიშანი, ან სპეციალური აღნიშვნა მოცემული სამრეწველო ნიმუშის დეპონირების შესახებ.

(2) თუ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაკეთობაზე სპეციალური აღნიშვნის დატანას ნებისმიერი სხვა მიზნით, ასეთმა სახელმწიფომ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ჩათვალოს, თუ სამრეწველო ნიმუშზე უფლების მფლობელის ნებართვით საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ყველა ნაკეთობაზე, ან ამ ნაკეთობაზე მიმაგრებულ იარლიყზე დატანილ იქნება საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნა.

(3) საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნა შედგება სიმბოლოსაგან (დიდი ასო ჩასმული წრეში), რომელსაც თან ერთვის:

საერთაშორისო დეპონირების წელი და დეპოზიტორის სახელი, ან სახელის დამკვიდრებული აბრევიატურა, ან

საერთაშორისო დეპოზიტის ნომერი.

(4) საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშის სპეციალური აღნიშვნის არსებობა ნაკეთობაზე, ან იარლიყზე, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული საავტორო უფლებით, ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით მინიჭებულ დაცვაზე უარის თქმად, მაშინ როდესაც ასეთი აღნიშვნის უქონლობის შემთხვევაში ასეთი დაცვა შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

მუხლი 15

(1) ინსტრუქციით დადგენილი საფასური შედგება:

საფასურისაგან საერთაშორისო ბიუროსათვის;

საფასურისაგან განმცხადებლის მიერ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოებისათვის, სახელდობრ:

საფასურისაგან თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის;

საფასურისაგან თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომელიც ატარებს სიახლის ექსპერტიზას და მოითხოვს საფასურს ასეთი ექსპერტიზისათვის.

(2) ამ მუხლის (1) პუნქტის მე-2 (ა) ქვეპუნქტის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოსათვის ერთი და იმავე დეპოზიტზე გადახდილი ნებისმიერი საფასური გამოქვითული იქნება (1) პუნქტის მე-2 (ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული საფასურის ოდენობიდან, თუ ეს უკანასკნელი საფასური გადასახდელია იმავე სახელმწიფოსათვის.

მუხლი 16

(1) საფასური მე-15 მუხლის (1) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოსათვის უნდა შეაგროვოს საერთაშორისო ბიურომ და ყოველ წელს გადაუხადოს განმცხადებლის მიერ აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს.

(2) (ა) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, რომ უარს ამბობს თავის უფლებაზე მე-15) მუხლის 2(ა) ქვეპუნქტში მითითებული დამატებითი საფასურის მიმართ საერთაშორისო დეპოზიტებისათვის, რომლებისთვისაც ნებისმიერი სხვა, ამგავარივე უარის მთქმელი მონაწილე სახელმწიფო წარმოშობის სახელმწიფოდ ითვლება.

(ბ) ასეთმა სახელმწიფომ შეიძლება ასევე განაცხადოს მსგავსი უარი იმ საერთაშორისო დეპოზიტების მიმართ, რომლებისთვისაც თავად ითვლება წარმოშობის სახელმწიფოდ.

მუხლი 17

ინსტრუქცია არეგულირებს ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ დეტალებს, კერძოდ ესენია:

ენები და ასლების რაოდენობა, რაც საჭიროა დეპონირების შესახებ განაცხადის შეტანისათვის, და მონაცემები, რომლებიც განცხადებაში უნდა იყოს მოცემული;

საერთაშორისო ბიუროსა და სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი საფასურების ოდენობა, თარიღები და გადახდის ფორმა, სიახლის ექსპერტიზის მქონე მონაწილე სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი საფასურებისათვის დადგენილი ფარგლების ჩათვლით.

თითოეული დეპონირებული სამრეწველო ნიმუშის ფოტოსურათების, ან სხვა გრაფიკული გამოსახულების რაოდენობა, ზომა და სხვა მახასიათებლები;

სამრეწველო ნიმუშის დამახასიათებელი ნიმუშების აღწერის მოცულობა;

ფარგლები და პირობები, რომელთა მიხედვითაც ნაკეთობის ნიმუშები, ან მოდელები, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო ნიმუში, შეიძლება თან დაერთოს განაცხადს;

სამრეწველო ნიმუშების რაოდენობა, რომელსაც შეიძლება მოიცავდეს მრავალობითი დეპოზიტი, და სხვა პირობები, რომლებიც აწესრიგებს მრავალობითი დეპოზიტის დეპონირებას;

ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მე-6 (3) (ა) მუხლში აღნიშნული პერიოდული ბიულეტენის გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან, ეროვნული უწყებისათვის უფასოდ გადასაცემი და შემცირებული ფასით მისაყიდი ბიულეტენის ასლების ჩათვლით;

მონაწილე სახელმწიფოს მიერ შეტყობინების პროცედურა ნებისმიერი უარის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 (1) მუხლით, და ასეთი უარის შეტყობინებისა და გამოქვეყნების პროცედურა საერთაშორისო ბიუროს მიერ;

საერთაშორისო ბიუროს მიერ იმ ცვლილებების რეგისტრაციისა და გამოქვეყნების პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მე-12 (1) მუხლში აღნიშნულ სამრეწველო ნიმუშის მფლობელობაზე და მე-13 მუხლით გათვალისწინებულ უარის თქმის უფლებებზე;

დეპოზიტებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ნაკეთობების განკარგვა, რომელთა ვადის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ არსებობს.

მუხლი 18

წინამდებარე შეთანხმების დებულებები ხელს არ უშლის მოთხოვნას ისარგებლოს უფრო ძლიერი დაცვით, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნეს ეროვნული კანონმდებლობით მონაწილე სახელმწიფოში, და არანაირ გავლენას არ ახდენს ხელოვნების ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საავტორო უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კონვენციებით მინიჭებულ დაცვაზე.

მუხლები 19-დან 22-ის ჩათვლით

(გაუქმებულია სტოკჰოლმის (1967) დამატებითი აქტის მე-17(2) მუხლით).

მუხლი 23

ეს შეთანხმება ხელმოსაწერად ღიაა 1961 წლის 31 დეკემბრამდე.

(2) შეთანხმების რატიფიცირება მოხდება და რატიფიკაციის სამართლებრივი აქტები გადაეცემა ნიდერლანდის მთავრობას.

მუხლი 24

(1) სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ ამ შეთანხმებაზე, შეუძლიათ მიუერთდნენ მას.

(2) ასეთი მიერთების შესახებ დიპლომატიური არხებით უნდა აცნობონ გენერალურ დირექტორს* და ამ უკანასკნელის მიერ - ყველა მონაწილე სახელმწიფოების მთავრობებს.

მუხლი 25

(1) ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო ნიმუშების დაცვა და კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ზომები ამ შეთანხმების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) იმ დროისათვის, როდესაც მონაწილე სახელმწიფო თავისი რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეკონირებას მოახდენს, მას უნდა შეეძლოს თავისი ეროვნული კანონით ამოქმედდეს ამ შეთანხმების დებულებები.

მუხლი 26

(1) ეს შეთანხმება ძალაში შევა ერთი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურმა დირექტორმა დაუგზავნა შეტყობინება მონაწილე სახელმწიფოებს რატიფიკაციის ან მიერთების ათი სამართლებრივი აქტის დეკონირების თაობაზე, რომელთაგან სულ მცირე ოთხი სახელმწიფო, ამ შეთანხმების თარიღისათვის არც 1925 წლის და არც 1934 წლის შეთანხმებების მხარეები არ არიან.

(2) ამის შემდეგ რატიფიკაციისა და მიერთების სამართლებრივი აქტის დეკონირების შესახებ გენერალურმა დირექტორმა უნდა შეატყობინოს მონაწილე სახელმწიფოებს. ასეთი რატიფიკაცია და მიერთება ძალაში შევა ასეთი შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ, მიერთების შემთხვევაში მიერთების შესახებ სამართლებრივ აქტში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული.

* “გენერალური დირექტორი” სტოკჰოლმის დამატებითი აქტის 1 მუხლით (1967) განსაზღვრულია, როგორც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

მუხლი 27

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს შეთანხმება ეხება აგრეთვე იმ ტერიტორიებს მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელთა საგარეო ურთიერთობებზე იგი არის პასუხისმგებელი. იმავდროულად გენერალური დირექტორი აწვდის ამ შეტყობინებას მონაწილე სახელმწიფოებს და ეს შეთანხმება გავრცელდება აგრეთვე აღნიშნულ ტერიტორიებზე გენერალური დირექტორის მიერ ამ შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ შეტყობინებაში უფრო გვიანი თარიღი არ არის მითითებული.

მუხლი 28

(1) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ შეთანხმების დენონსირება გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე საკუთარი სახელით და შეტყობინებაში 27-ე მუხლის თანახმად მითითებული ყველა ან ნაწილი ტერიტორიების სახელით.

ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან ერთ წელიწადში.

(2) დენონსირება არ ათავისუფლებს ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან საერთაშორისო ბიუროში დენონსირების ძალაში შესვლის თარიღამდე დეპონირებული სამრეწველო ნიმუშების მიმართ.

მუხლი 29

(1) ეს შეთანხმება ექვემდებარება გადასინჯვას ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც გათვალისწინებულია სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირებიდან გამომდინარე დაცვის გასაუმჯობესებლად.

(2) გადასასინჯი კონფერენციები მოწვეული იქნება მონაწილე სახელმწიფოების არა ნაკლებ ნახევრის მოთხოვნით.

მუხლი 30

(1) ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ შეტყობინებაში აღნიშნული პირობების შესაბამისად:

თითოეული მათგანის ეროვნულ უწყებას ჩაენაცვლება საერთო უწყება;

ისინი ჩათვლებიან ერთ სახელმწიფოდ ამ შეთანხმების მე-2-დან მე-17 მუხლების გამოყენების მიზნებისათვის.

(2) ასეთი შეტყობინება ძალაში არ შევა გენერალური დირექტორის მიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის შეტყობინების დაგზავნის თარიღიდან ექვსი თვის გასვლამდე.

მუხლი 31

(1) მხოლოდ ეს შეთანხმება გამოიყენება იმ სახელმწიფოების ურთიერთობებთან მიმართებაში, რომლებიც ორივე წინამდებარე, 1925 ან 1934 წლების შეთანხმებების მხარეები არიან. მიუხედავად ამისა ასეთი სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობისას იყენებენ 1925 ან 1934 წლების შეთანხმებებს, ვითარების შესაბამისად, იმ სამრეწველო ნიმუშების მიმართ, რომელთა დეპონირება საერთაშორისო ბიუროში განხორციელდა იმ თარიღამდე, როდესაც ეს შეთანხმება მიიღეს ერთმანეთთან ურთიერთობაში გამოსაყენებლად.

(2) (ა) ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ორივე - წინამდებარე და 1925 წლის შეთანხმებების მხარეა, განაგრძობს 1925 წლის შეთანხმების გამოყენებას იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, რომლებიც მხოლოდ 1925 წლის შეთანხმების მხარეები არიან, თუ ამ სახელმწიფომ არ განახორციელა 1925 წლის შეთანხმების დენონსირება.

(ბ) ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ორივე - წინამდებარე და 1934 წლის შეთანხმებების მხარეა, განაგრძობს 1934 წლის შეთანხმების გამოყენებას იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, რომლებიც მხოლოდ 1934 წლის შეთანხმების მხარეები არიან, თუ ამ სახელმწიფომ არ განახორციელა 1934 წლის შეთანხმების დენონსირება.

(3) სახელმწიფოებს, რომლებიც მხოლოდ წინამდებარე შეთანხმების მხარეები არიან, არ აკისრიათ ვალდებულებები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ამ შეთანხმების მხარეები არ არიან, მაგრამ არიან 1925 და 1934 წლების შეთანხმებების მხარეები.

მუხლი 32

(1) წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიკაცია, ან მიერთება იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც ამ შეთანხმების თარიღისათვის არის 1925 ან 1934 წლების შეთანხმებების მხარე, ნიშნავს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული პროტოკოლის ხელმოწერასა და რატიფიკაციას, ან

მიერთებას, თუ ეს სახელმწიფო არ გააკეთებს გამოკვეთილ საწინააღმდეგო განცხადებას ხელმოწერის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების დროს.

(2) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა (1) პარაგრაფში აღნიშნული განცხადება, ან ნებისმიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის 1925 ან 1934 წლების შეთანხმებების მხარე, შეუძლია ხელი მოაწეროს ან მიუერთდეს ამ შეთანხმებაზე თანდართულ პროტოკოლს. ხელმოწერის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების დროს, მას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ თვლის თავს ვალდებულად შეასრულოს პროტოკოლის მე-(2) (ა) ან მე-2 (ბ) ქვეპუნქტების დებულებები; ასეთ შემთხვევაში პროტოკოლის მხარე სხვა სახელმწიფოები არანაირად არ იქნებიან ვალდებულნი გამოიყენონ ასეთ განცხადებაში აღნიშნული დებულებები ამ სახელმწიფოსთან თავიანთ ურთიერთობაში. 23-დან 28-ე მუხლების ჩათვლით დებულებები გამოიყენება ანალოგიურად.

მუხლი 33

ეს აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად, რომელიც დეპონირებული იქნება ნიდერლანდის მთავრობის არქივებში. დამოწმებული ასლი ამ უკანასკნელის მიერ გადაეცემა თითოეული იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა, ან მიუერთდა ამ შეთანხმებას.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ქენევის აქტი

შესავალი დებულებები

მუხლი 1

შემოკლებული გამოთქმები

ამ აქტის მიზნებისათვის:

“ჰააგის შეთანხმება” ნიშნავს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმებას, რომელსაც შემდგომ დაერქვა სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმება;

“ეს აქტი” ნიშნავს ჰააგის შეთანხმებას, რომელიც დადებულია ამ აქტით;

“ინსტრუქცია” ნიშნავს ინსტრუქციას ამ აქტის შესაბამისად;

“დადგენილი” ნიშნავს ინსტრუქციით დადგენილს;

“პარიზის კონვენცია” ნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას, რომელსაც ხელი მოაწერეს პარიზში 1883 წლის 20 მარტს, გადასინჯული და შეცვლილი სახით;

“საერთაშორისო რეგისტრაცია” ნიშნავს სამრეწველო ნიმუშის ამ აქტის შესაბამისად განხორციელებულ საერთაშორისო რეგისტრაციას;

“საერთაშორისო განაცხადი” ნიშნავს განაცხადს საერთაშორისო რეგისტრაციისათვის;

“საერთაშორისო რეესტრი” ნიშნავს საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მონაცემთა ოფიციალურ კრებულს, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო ბიურო, რომელ მონაცემებსაც ეს აქტი ან ინსტრუქცია მოითხოვს ან ნებას რთავს იყოს შეტანილი, იმ საშუალების მიუხედავად, სადაც ეს მონაცემებია მოთავსებული;

“პირი” ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;

“განმცხადებელი” ნიშნავს პირს, რომლის სახელითაც არის შეტანილი საერთაშორისო განაცხადი;

“მფლობელი” ნიშნავს პირს, რომლის სახელითაც არის საერთაშორისო რეგისტრაცია განხორციელებული საერთაშორისო რეესტრში;

“სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია” ნიშნავს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც უფლება აქვს გახდეს წინამდებარე აქტის მხარე 27-ე მუხლის (I) პუნქტის (II) ქვეპუნქტის შესაბამისად

“მონაწილე მხარე” ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფოს, ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ამ აქტის მხარეა;

“განმცხადებლის მონაწილე მხარე” ნიშნავს მონაწილე მხარეს, ან მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთს, რომლისგანაც განმცხადებელი იღებს უფლებამოსილებას შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობებიდან სულ მცირე ერთის დაკმაყოფილების საშუალებით იმ მონაწილე მხარის მიმართ; როდესაც არსებობს ორი ან მეტი მონაწილე მხარე, რომელთაგან განმცხადებელს მე-3 მუხლის შესაბამისად შეუძლია მიიღოს უფლებამოსილება შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი, “განმცხადებლის მონაწილე მხარე” ნიშნავს მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთს, რომელიც აღნიშნულია საერთაშორისო განაცხადში;

“მონაწილე მხარის ტერიტორია” ნიშნავს, იმ შემთხვევაში როდესაც მონაწილე მხარე სახელმწიფოა, იმ სახელმწიფოს ტერიტორიას და როდესაც მონაწილე მხარე არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია – ტერიტორიას, სადაც მოქმედებს ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება;

“უწყება” ნიშნავს სააგენტოს, რომელსაც მონაწილე მხარის მიერ დაკისრებული აქვს სამრეწველო ნიმუშებისათვის ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოქმედი დაცვის მინიჭება;

“ექსპერტიზის განმახორციელებელი უწყება” ნიშნავს უწყებას, რომელიც ex officio ატარებს ამ უწყებაში შეტანილი განაცხადების ექსპერტიზას სულ მცირე იმის დასადგენად აკმაყოფილებს თუ არა სამრეწველო ნიმუში სიახლის მოთხოვნას;

“მითითება” ნიშნავს მოთხოვნას, რომ საერთაშორისო რეგისტრაციას ჰქონდეს მოქმედება მონაწილე მხარის ტერიტორიაზე; იგი აგრეთვე ნიშნავს ამ მოთხოვნის შეტანას საერთაშორისო რეესტრში;

“მითითებული მონაწილე მხარე” და “მითითებული უწყება” ნიშნავს მონაწილე მხარეს და შესაბამისად მონაწილე მხარის უწყებას, რომელსაც ეს მითითება შეეხება;

“1934 წლის აქტი” ნიშნავს ჰააგის შეთანხმების აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს ლონდონში 1934 წლის 2 ივნისს;

“1960 წლის აქტი” ნიშნავს ჰააგის შეთანხმების აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს ჰააგაში 1960 წლის 28 ნოემბერს;

“1961 წლის დამატებითი აქტი” ნიშნავს 1934 წლის დამატებით აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს მონაკოში 1961 წლის 18 ნოემბერს;

“1967 წლის შემვსები აქტი” ნიშნავს ჰააგის შეთანხმების შემვსებ შესწორებულ აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს;

“კავშირი” ნიშნავს ჰააგის კავშირს, რომელიც დაარსდა 1925 წლის 6 ნოემბრის ჰააგის შეთანხმებით და შენარჩუნებულია 1934 და 1960 წლის აქტებით, 1961 წლის დამატებითი აქტით, 1967 წლის შემვსები აქტით და წინამდებარე აქტით;

“ასამბლეა” ნიშნავს ასამბლევას, რომელიც მითითებულია 21-ე მუხლის (1)(ა) პუნქტით, ან ნებისმიერ ორგანოს, რომელიც ამ ასამბლევას ცვლის;

“ორგანიზაცია” ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;

“გენერალური დირექტორი” ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს;

“საერთაშორისო ბიურო” ნიშნავს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს;

“რატიფიკაციის სამართლებრივი აქტები” გაგებული უნდა იქნეს, როგორც მიღების ან დამტკიცების სამართლებრივი დოკუმენტების შემცველი.

მუხლი 2

მონაწილე მხარეების და განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებების მიერ მინიჭებული სხვა დაცვის გამოყენება

(1) [მონაწილე მხარეების კანონები და განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებები] ამ აქტის დებულებები გავლენას არ ახდენს ნებისმიერ მეტ დაცვაზე, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნეს მონაწილე მხარის კანონით, ისინი აგრეთვე არანაირ გავლენას არ ახდენენ მხატვრული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საერთაშორისო საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებებითა და კონვენციებით მინიჭებულ დაცვაზე, ან სამრეწველო ნიმუშებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შეთანხმებით, რომელიც თან ერთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ შეთანხმებას, მინიჭებულ დაცვაზე.

(2) [პარიზის კონვენციასთან შესაბამისობის ვალდებულება] თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა დააკმაყოფილოს პარიზის კონვენციის ის დებულებები, რომლებიც ეხება სამრეწველო ნიმუშებს.

თავი I

საერთაშორისო განაცხადი და საერთაშორისო რეგისტრაცია

მუხლი 3

საერთაშორისო განაცხადის შეტანის უფლებამოსილება

ნებისმიერ პირს, რომელიც არის მონაწილე მხარე სახელმწიფოს, ან მონაწილე მხარე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს, მოქალაქე, ან აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო, ან კომერციული საწარმო მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, ენიჭება უფლება შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი.

მუხლი 4

საერთაშორისო განაცხადის შეტანის პროცედურა

(1) [პირდაპირი ან არაპირდაპირი შეტანა] (ა) საერთაშორისო განაცხადის შეტანა შესაძლებელია, განმცხადებლის არჩევანის მიხედვით, ან პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში, ან განმცხადებლის მონაწილე მხარის უწყების საშუალებით.

(ბ) (ა) ქვეპუნქტის მიუხედავად, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ განაცხადები შეიძლება არ იქნეს შეტანილი მისი უწყების მეშვეობით.

(2) [გადაგზავნის საფასური არაპირდაპირი შეტანის შემთხვევაში] ნებისმიერი მონაწილე მხარის უწყებას შეუძლია მოითხოვოს, რომ განმცხადებელმა მის სასარგებლოდ გადაიხადოს ამ უწყების საშუალებით შეტანილი ნებისმიერი საერთაშორისო განაცხადის გადაგზავნის საფასური.

მუხლი 5

საერთაშორისო განაცხადის შედგენილობა

(1) [საერთაშორისო განაცხადის სავალდებულო შედგენილობა] საერთაშორისო განაცხადი სრულდება დადგენილ ენაზე, ან დადგენილი ენებიდან ერთ-ერთზე და შეიცავს ან თან ერთვის შემდეგი:

განცხადება საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ამ აქტის შესაბამისად;

დადგენილი მონაცემები განმცხადებლის შესახებ;

გამოსახულების ასლების დადგენილი რაოდენობა, ან განმცხადებლის არჩევით რამდენიმე სხვადასხვა გამოსახულება სამრეწველო ნიმუშისა, რომელიც წარმოადგენს დადგენილი წესით წარდგენილი საერთაშორისო განაცხადის საგანს; მაგრამ, როდესაც სამრეწველო ნიმუში ორგანზომილებიანია და მოთხოვნა გამოქვეყნების გადადებაზე შესრულებულია მე-(5) პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადს გამოსახულების ნაცვლად შეიძლება თან დაერთოს სამრეწველო ნიმუშის ნიმუშების დადგენილი რაოდენობა;

დადგენილი წესის შესაბამისად ნაკეთობის ან ნაკეთობების აღნიშვნა, რომელიც შეადგენს სამრეწველო ნიმუშს, ან რომლებთან დაკავშირებითაც სამრეწველო ნიმუში უნდა იქნეს გამოყენებული;

მითითებული მონაწილე მხარეების აღნიშვნა;

დადგენილი საფასურები;

ნებისმიერი სხვა დადგენილი მონაცემები.

(2) [საერთაშორისო განაცხადის დამატებითი სავალდებულო შედგენილობა] (ა) ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება ახორციელებს ექსპერტიზას და რომლის კანონი, ამ აქტის მისი მხარედ გახდომის დროს, მოითხოვს, რომ განაცხადი სამრეწველო ნიმუშისათვის დაცვის მინიჭების თაობაზე შეიცავდეს (ბ) ქვეპუნქტში განსაზღვრული ელემენტებიდან ნებისმიერს, რათა ამ განაცხადს მიენიჭოს შეტანის თარიღი მისი კანონის შესაბამისად, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს ამ ელემენტების შესახებ.

(ბ) ელემენტები, რომელთა შესახებ შეიძლება შეტყობინება (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდეგია: მონაცემები იმ სამრეწველო ნიმუშის შემქმნელის ვინაობის შესახებ, რომელიც ამ განაცხადის საგანია;

გამოსახულების, ან დამახასიათებელი ნიშნების მოკლე აღწერა იმ სამრეწველო ნიმუშისა, რომელიც ამ განაცხადის საგანია;

დაცვის ფარგლების მოთხოვნა.

(გ) როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს მონაწილე მხარის მითითებას, რომელმაც განახორციელა შეტყობინება (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი აგრეთვე დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეიცავდეს ნებისმიერ ელემენტს, რომელიც ასეთი შეტყობინების საგანი იყო.

(3) [საერთაშორისო განაცხადის სხვა შესაძლო შედგენილობა] საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს, ან თან ერთვოდეს, ინტერუქციით განსაზღვრულ ელემენტები.

(4) [რამდენიმე სამრეწველო ნიმუში ერთი და იგივე საერთაშორისო განაცხადში] ისეთი პირობებიდან გამომდინარე, რომლებიც შეიძლება დადგენილი იქნეს, საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს ორ ან მეტ სამრეწველო ნიმუშს.

(5) [გადადებული გამოქვეყნების მოთხოვნა] საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს გამოქვეყნების გადადების მოთხოვნას.

მუხლი 6

პრიორიტეტი

(1) [პრიორიტეტის მოთხოვნა] (ა) საერთაშორისო განაცხადი შეიძლება შეიცავდეს განცხადებას, პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, ერთი ან მეტი ადრინდელი განაცხადის მიხედვით პრიორიტეტის მოთხოვნით, რომელიც შეტანილი იყო ნებისმიერ ქვეყანაში ან ქვეყნისათვის, რომელიც ამ კონვენციის მხარეა, ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია.

(ბ) ინსტრუქციით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ (ა) ქვეპარაგრაფში აღნიშნული განცხადება შეიძლება გაკეთდეს საერთაშორისო განაცხადის შეტანის შემდეგ. ამ შემთხვევაში ინსტრუქცია ადგენს ასეთი განცხადების გაკეთების დასაშვებ ბოლო ვადას.

(2) [საერთაშორისო განაცხადი, რომელიც პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს] საერთაშორისო განაცხადი მისი შეტანის თარიღიდან და მისი შემდგომი ბედის მიუხედავად, პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის მნიშვნელობის მიხედვით ჩვეულებრივად შეტანილი განაცხადის ტოლფასია.

მუხლი 7

მითითების საფასურები

(1) [მითითების დადგენილი საფასური] მე-(2) პუნქტიდან გამომდინარე, დადგენილი საფასურები თითოეული მითითებული მონაწილე მხარისათვის უნდა შეიცავდეს მითითების საფასურს.

(2) [მითითების ინდივიდუალური საფასური] ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება არის ექსპერტიზის განმახორციელებელი უწყება და ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომელიც არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ნებისმიერ საერთაშორისო განაცხადთან დაკავშირებით, რომელშიც იგი არის მითითებული, და ასეთი საერთაშორისო განაცხადიდან გამომდინარე ნებისმიერ საერთაშორისო რეგისტრაციის განახლებასთან დაკავშირებით, (1) პუნქტში აღნიშნული მითითების დადგენილი საფასური შეიცვლება მითითების ინდივიდუალური საფასურით, რომლის ოდენობა აღინიშნება განცხადებაში და შეიძლება შეიცვალოს შემდეგ განცხადებებში. აღნიშნული ოდენობა შეიძლება დაფიქსირდეს აღნიშნული მონაწილე მხარის მიერ დაცვის საწყისი ვადისათვის და განახლების თითოეული ვადისათვის, ან დაცვის მაქსიმალური პერიოდისათვის, რომელიც ნებადართულია შესაბამისი მონაწილე მხარის მიერ. მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს იმ ოდენობის ეკვივალენტზე მეტი, რომლის მიღების უფლება აქვს მონაწილე მხარის უწყებას განმცხადებლისაგან იგივე პერიოდით იგივე რაოდენობის სამრეწველო ნიმუშებისათვის დაცვის მისანიჭებლად. ეს ოდენობა შეიძლება შემცირდეს საერთაშორისო პროცედურით განპირობებული დანაზოგებით.

(3) [მითითების საფასურის გადაგზავნა] (1) და (2) პუნქტებში აღნიშნული მითითების საფასური საერთაშორისო ბიუროს მიერ გადაგზავნება მონაწილე მხარეებს, რომლებისთვისაც ეს საფასური იქნა გადახდილი.

მუხლი 8

უსწორობათა გასწორება

(1) [საერთაშორისო განაცხადის ექსპერტიზა] თუ საერთაშორისო ბიურო აღმოაჩენს, რომ საერთაშორისო განაცხადი, მისი საერთაშორისო ბიუროს მიერ მიღებისას, არ აკმაყოფილებს ამ აქტის და ინსტრუქციის მოთხოვნებს, მან უნდა შესთავაზოს განმცხადებელს შეიტანოს მოთხოვნილი შესწორებები დადგენილი დროის ფარგლებში.

(2) [უსწორობები, რომლებიც არ იქნა გასწორებული] (ა) თუ განმცხადებელი არ დააკმაყოფილებს შეთავაზებას დადგენილი დროის ფარგლებში, საერთაშორისო განაცხადი, (ბ) ქვეპარაგრაფიდან გამომდინარე, უარყოფილად ჩაითვლება.

(ბ) უსწორობის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია მე-5 მუხლის მე-(2) პუნქტთან, ან ინსტრუქციის შესაბამისად მონაწილე მხარის მიერ გენერალური დირექტორისათვის შეტყობინებულ სპეციალურ მოთხოვნასთან, მიჩნეული იქნება, რომ საერთაშორისო განაცხადი არ შეიცავს ამ მონაწილე მხარის მითითებას, თუ განმცხადებელი არ დააკმაყოფილებს შეთავაზებას დადგენილი დროის ფარგლებში.

მუხლი 9

საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი

(1) [პირდაპირ შეტანილი საერთაშორისო განაცხადი] როდესაც საერთაშორისო განაცხადის შეტანა საერთაშორისო ბიუროში პირდაპირ ხორციელდება, შეტანის თარიღი, მე-(3) პუნქტიდან გამომდინარე, უნდა იყოს თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურომ მიიღო ეს განაცხადი.

(2) [არაპირდაპირ შეტანილი საერთაშორისო განაცხადი] როდესაც საერთაშორისო განაცხადის შეტანა ხორციელდება განმცხადებლის მონაწილე მხარის უწყების მიერ, შეტანის თარიღი განისაზღვრება დადგენილი წესის შესაბამისად.

(3) [საერთაშორისო განაცხადი გარკვეული უსწორობებით] როდესაც საერთაშორისო განაცხადს იმ თარიღით, როდესაც იგი მიიღო საერთაშორისო ბიურომ, აქვს უსწორობა, რომელიც მიჩნეულია საერთაშორისო განაცხადის თარიღის გადატანის გამომწვევ უსწორობად, შეტანის თარიღი არის ის თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურო იღებს ასეთი უსწორობის შესწორებას.

მუხლი 10¹

საერთაშორისო რეგისტრაცია, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი, გამოქვეყნება და საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემების კონფიდენციალური ასლები

(1) [საერთაშორისო რეგისტრაცია] საერთაშორისო ბიურო ახორციელებს თითოეული სამრეწველო ნიმუშის, რომელიც საერთაშორისო განაცხადის საგანია, რეგისტრაციას მის მიერ საერთაშორისო განაცხადის მიღებისთანავე, ან, თუ შეთავაზებულია შესწორებები მე-8 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი შესწორებების მიღებისთანავე. რეგისტრაცია განხორციელდება იმისდა მიუხედავად გადადებულია თუ არა გამოქვეყნება მე-11 მუხლის თანახმად.

(2) [საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი] (ა) (ბ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი არის საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი.

¹ როდესაც იღებდა მე-10 მუხლს დიპლომატიურ კონფერენციას ესმოდა, რომ არაფერი ამ მუხლში განმცხადებლისათვის, ან მფლობელისათვის, ან პირისათვის, რომელსაც განმცხადებლის, ან მფლობელის თანხმობა აქვს, არ აბრკოლებს საერთაშორისო განაცხადის ან საერთაშორისო რეგისტრაციის ხელმისაწვდომობას.

(ბ) როდესაც საერთაშორისო განაცხადს იმ თარიღით, როდესაც იგი მიიღო საერთაშორისო ბიურომ, აქვს უსწორობა, რომელიც დაკავშირებულია მე-5 მუხლის მე-(2) პუნქტთან, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საერთაშორისო ბიურო იღებს ასეთი უსწორობის შესწორებას, ან საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი, იმისდა მიხედვით, რომელიც უფრო გვიანდელია.

(3) [გამოქვეყნება] (ა) მონაცემები საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ. ასეთი გამოქვეყნება ყველა მონაწილე მხარისათვის საკმარისი საჯაროობის მქონედ ითვლება და მფლობელმა არ უნდა მოითხოვოს არანაირი სხვა საჯაროობა.

(ბ) საერთაშორისო ბიურო უგზავნის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ გამოქვეყნებული მასალის ასლს თითოეულ მითითებულ უწყებას.

(4) კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა გამოქვეყნების წინ] მე-(5) პუნქტიდან და მე-11 მუხლის მე-(4) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბიურო თითოეული საერთაშორისო განაცხადისა და თითოეული საერთაშორისო რეგისტრაციისათვის იცვას კონფიდენციალურობას გამოქვეყნებამდე.

(5) კონფიდენციალური ასლები] (ა) საერთაშორისო ბიურო რეგისტრაციის შემდეგ დაუყოვნებლივ უგზავნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემების ასლს საერთაშორისო განაცხადზე თანდართული ნებისმიერი შესაბამისი განცხადებით, დოკუმენტით ან ნიმუშით, თითოეულ უწყებას, რომელმაც შეატყობინა საერთაშორისო ბიუროს, რომ მას სურს მიიღოს ასეთი ასლი და მითითებული იყო საერთაშორისო განაცხადში.

(ბ) უწყებამ, საერთაშორისო ბიუროს მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, უნდა დაიცვას თითოეული საერთაშორისო რეგისტრაციის კონფიდენციალურობა, რომლის ასლი გაუგზავნა მას საერთაშორისო ბიურომ და შეუძლია ამ ასლის გამოყენება საერთაშორისო რეგისტრაციის და სამრეწველო ნიმუშების დაცვაზე განაცხადების ექსპერტიზისათვის მონაწილე მხარის მიერ ან მხარისათვის, რომლისთვისაც ეს უწყება უფლებამოსილია. კერძოდ, მას შეუძლია არ გაუმხილოს ასეთი საერთაშორისო რეგისტრაციის შინაარსი უწყების გარეთ ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ამ საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციული და იურიდიული პროცესი შეეხება საერთაშორისო განაცხადს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველს, შეტანის უფლებამოსილების შესახებ დავას. ასეთი ადმინისტრაციული და იურიდიული პროცესის შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის შინაარსი შეიძლება კონფიდენციალურად გააცნონ პროცესის მონაწილე მხარეებს, რომლებიც ვალდებული არიან პატივი სცენ ასეთ კონფიდენციალურობას.

მუხლი 11

გამოქვეყნების გადადება

(1) [მონაწილე მხარეების კანონების დებულებები, რომლებიც შეეხება გამოქვეყნების გადადებას] (ა) როდესაც მონაწილე მხარის კანონი ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნების გადადებას პერიოდით, რომელიც ნაკლებია დადგენილ პერიოდზე, ამ მონაწილე მხარემ უნდა განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს გადადების ნებადართული პერიოდის შესახებ.

(ბ) როდესაც მონაწილე მხარის კანონი არ ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნების გადადებას, მონაწილე მხარემ ამ ფაქტის შესახებ უნდა შეატყობინოს განცხადებით გენერალურ დირექტორს.

(2) [გამოქვეყნების გადადება] როდესაც საერთაშორისო განაცხადი შეიცავს მოთხოვნას გამოქვეყნების გადადების შესახებ, გამოქვეყნება ხორციელდება, დადგენილი პერიოდის გასვლისას, როდესაც საერთაშორისო განაცხადში მითითებულ არც ერთ მონაწილე მხარეს არ გაუკეთებია განცხადება (1) პუნქტის შესაბამისად, ან როდესაც საერთაშორისო განაცხადში მითითებული ნებისმიერ მონაწილე მხარეს გაკეთებული აქვს განცხადება (1) პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განცხადებით შეტყობინებული პერიოდის

გასვლისას, ან როდესაც ერთზე მეტი ასეთი მითითებული მონაწილე მხარეა, მათი განცხადებებით შეტყობინებული უმოკლესი პერიოდის გასვლისას.

(3) [გადადების მოთხოვნების რეჟიმი, როდესაც გადადება შეუძლებელია მოქმედი კანონით] როდესაც მოთხოვნილია გამოქვეყნების გადადება და საერთაშორისო განაცხადში მითითებული ნებისმიერ მონაწილე მხარეს (1) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული აქვს განცხადება, რომ გამოქვეყნების გადადება მისი კანონით შეუძლებელია,

მე-(II) ქვეპუნქტიდან გამომდინარე საერთაშორისო ბიურო ატყობინებს განმცხადებელს შესაბამისად; თუ დადგენილი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელმა საერთაშორისო ბიუროსათვის წერილობითი შეტყობინებით არ ამოიღო აღნიშნული მონაწილე მხარის მითითება, საერთაშორისო ბიურო არ გაითვალისწინებს გამოქვეყნების გადადების მოთხოვნას;

როდესაც სამრეწველო ნიმუშის გამოსახულებების მაგივრად საერთაშორისო განაცხადს თან ერთვის სამრეწველო ნიმუშის ნიმუში, საერთაშორისო ბიურო არ გაითვალისწინებს აღნიშნული მონაწილე მხარის მითითებას და შესაბამისად შეატყობინებს განმცხადებელს.

(4) [მოთხოვნა უფრო ადრეულ გამოქვეყნებაზე ან საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ ხელმისაწვდომობაზე] (ა) ნებისმიერ დროს მე-(2) პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნება, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია და ამ შემთხვევაში გადადების პერიოდი ასეთი სამრეწველო ნიმუშის ან ნიმუშებისათვის გასულად ჩაითვლება საერთაშორისო ბიუროს მიერ ასეთი მოთხოვნის მიღების თარიღიდან.

(ბ) მფლობელს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს, მე-(2) პუნქტიდან გამომდინარე მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო ბიუროს მოსთხოვოს მფლობელის მიერ დასახელებული მესამე პირი უზრუნველყოს ამონაწერით, ან ასეთი პირისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუში, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(5) [უარი და შეზღუდვა] (ა) თუ ნებისმიერ დროს მე-(2) პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, მფლობელი უარს ამბობს საერთაშორისო რეგისტრაციაზე ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ, სამრეწველო ნიმუში ან ნიმუშები, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, არ ქვეყნდება.

(ბ) თუ ნებისმიერ დროს მე-(2) პუნქტის შესაბამისად მოქმედი გადადების პერიოდის განმავლობაში, მფლობელი ზღუდავს საერთაშორისო რეგისტრაციას ყველა მონაწილე მხარის მიმართ ერთი ან რომელიმე სამრეწველო ნიმუშით, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, სხვა სამრეწველო ნიმუში ან ნიმუშები, რომლებიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს წარმოადგენს, არ ქვეყნდება.

(6) [გამოქვეყნება და გამოსახულებების მიწოდება] (ა) ამ მუხლის დებულებების შესაბამისად გადადების ნებისმიერი დროის პერიოდის გასვლისას, საერთაშორისო ბიურო, დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, აქვეყნებს საერთაშორისო რეგისტრაციას. თუ ასეთი საფასური არ იქნა გადახდილი დადგენილის შესაბამისად, საერთაშორისო რეგისტრაცია უქმდება და არ ქვეყნდება.

(ბ) მე-5 მუხლის (1) პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საერთაშორისო განაცხადს თან ერთვის სამრეწველო ნიმუშის ერთი ან მეტი ნიმუში, მფლობელი წარუდგენს საერთაშორისო ბიუროს თითოეული სამრეწველო ნიმუშის, რომელიც ამ განაცხადის საგანია, გამოსახულების ასლების დადგენილ რიცხვს დროის დადგენილ ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ მფლობელმა არ შეასრულა აღნიშნული, საერთაშორისო რეგისტრაცია უქმდება და არ ქვეყნდება.

მუხლი 12

უარყოფა

(1) [უარყოფის უფლება] ნებისმიერი მითითებული მხარის უწყებას შეუძლია, როდესაც ამ მხარის კანონის შესაბამისად დაცვის მინიჭების პირობები არ არის დაკმაყოფილებული ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეგისტრაციის საგანს, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება აღნიშნული მხარის ტერიტორიაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არცერთ უწყებას არ შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება იმ საფუძველით, რომ ამ აქტით ან ინსტრუქციით გათვალისწინებული, ან მისი დამატებითი, ან მისგან განსხვავებული მოთხოვნები, საერთაშორისო განაცხადის ფორმასა და შედგენილობასთან დაკავშირებით არ იქნა დაკმაყოფილებული აღნიშნული მონაწილე მხარის კანონის შესაბამისად.

(2) [უარყოფის შეტყობინება] (ა) საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების უარყოფა უწყებამ უნდა აცნობოს საერთაშორისო ბიუროს უარყოფის შეტყობინებით დადგენილი დროის პერიოდის განმავლობაში.

(ბ) უარყოფის ნებისმიერ შეტყობინებაში მოყვანილი უნდა იქნეს ყველა საფუძველი, რომელსაც ემყარება უარყოფა.

(3) [უარყოფის შეტყობინების გადაგზავნა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები] (ა) საერთაშორისო ბიურო უარის შეტყობინების ასლს დაუყოვნებლივ უგზავნის მფლობელს.

(ბ) მფლობელს აქვს სამართლებრივი დაცვის იგივე საშუალებები, როგორც ექნებოდა ნებისმიერ სამრეწველო ნიმუშს, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, არის დაცვის მინიჭებაზე განაცხადის საგანი მოქმედი კანონის შესაბამისად იმ უწყებისათვის, რომელმაც აცნობა უარყოფის შესახებ. სამართლებრივი დაცვის ასეთი საშუალება, სულ მცირე, შეიცავს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების, ან უარყოფის გადასინჯვის, ან უარყოფის გაპროტესტების შესაძლებლობას.

(4)² [უარყოფის გატანა] ნებისმიერი უარყოფა შეიძლება გატანილი იქნეს ნაწილობრივ ან მთლიანად ნებისმიერ დროს იმ უწყების მიერ, რომელმაც ის შეატყობინა.

მუხლი 13

სამრეწველო ნიმუშის ერთიანობის სპეციალური მოთხოვნები

(1) [შეტყობინება სპეციალური მოთხოვნების შესახებ] ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის კანონი მისი ამ აქტის მხარედ გახდომისას მოითხოვს, რომ სამრეწველო ნიმუშები, რომლებიც ერთი და იგივე განაცხადის საგანია, აკმაყოფილებდეს სამრეწველო ნიმუშის ერთიანობის, ნაწარმის ერთიანობის, ან გამოყენების ერთიანობის მოთხოვნას, ან მიეკუთვნება საგნების იგივე კომპლექტს ან ნაკრებს, ან მოთხოვნას, რომ ერთი განაცხადით შეიძლება განცხადებული იქნეს მხოლოდ ერთი

დამოუკიდებელი და განსხვავებული სამრეწველო ნიმუში, შეუძლია შესაბამისად განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს. მაგრამ არცერთი ასეთი განცხადება გავლენას არ მოახდენს განმცხადებლის უფლებაზე საერთაშორისო განაცხადში მე-5(4) მუხლის შესაბამისად ჩართოს ორი ან მეტი სამრეწველო ნიმუში, იმისდა მიუხედავად, რომ განაცხადში მითითებულია მონაწილე მხარე, რომელმაც გააკეთა აღნიშნული განცხადება.

² როდესაც იღებდა მე-12(4), მე-14(2)(ბ) მუხლებს და წესს 18(4), დიპლომატიური კონფერენცია აცნობიერებდა, რომ უწყების მიერ, რომელმაც შეატყობინა უარი, უარის გატანამ შეიძლება მიიღოს განცხადების ფორმა იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა უწყებამ გადაწყვიტა მიიღოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება სამრეწველო ნიმუშების, ან რამოდენიმე სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელთანაც დაკავშირებული იყო უარის შეტყობინება. აგრეთვე გასაგები იყო, რომ უწყებას შეუძლია უარის შეტყობინების გაგზავნისათვის ნებადართული დროის პერიოდის განმავლობაში გაგზავნოს განცხადება იმის შესახებ, რომ მან გადაწყვიტა მიიღოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება მაშინაც კი, როდესაც მას არ გაუგზავნია უარის ასეთი შეტყობინება.

(2) [განცხადების მოქმედება] ნებისმიერი ასეთი განცხადება საშუალებას აძლევს მონაწილე მხარის უწყებას, რომელმაც გააკეთა იგი, მე-12 მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად უარყოს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება სანამ არ იქნება დაცული განხილვაში მყოფი შესაბამისობა მოთხოვნასთან, რომელიც შეტყობინებული იყო ამ მონაწილე მხარის მიერ.

(3) [რეგისტრაციის გაყოფისათვის გადასახდელი შემდგომი საფასურები] როდესაც მე-(2) პუნქტის შესაბამისად უარყოფის შეტყობინების შემდეგ, საერთაშორისო რეგისტრაცია გაიყოფა შესაბამისი უწყებისათვის, რათა დამლეული იქნეს შეტყობინებაში მოყვანილი უარყოფის საფუძველი, ამ უწყებას უფლება აქვს დააკისროს საფასური ყოველი დამატებითი საერთაშორისო განაცხადისათვის, რომელიც საჭირო იქნებოდა უარყოფის ამ საფუძველის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 14

საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება

(1) [განაცხადის სტატუსით მოქმედი კანონის შესაბამისად] საერთაშორისო რეგისტრაციას საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან აქვს სულ მცირე იგივე ძალა თითოეულ მითითებულ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, როგორც ჩვეულებრივ შეტანილ განაცხადს სამრეწველო ნიმუშისათვის დაცვის მისანიჭებლად ამ მონაწილე მხარის კანონის შესაბამისად.

(2) [მინიჭებული დაცვის სტატუსით მოქმედი კანონის შესაბამისად] (ა) თითოეულ მითითებულ მონაწილე მხარეში, რომლის უწყებამ არ აცნობა უარყოფის შესახებ მე-12 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო რეგისტრაციას აქვს იგივე ძალა როგორც ამ მონაწილე მხარის კანონით დაცულ სამრეწველო ნიმუშს არა უგვიანეს დროის იმ პერიოდის გასვლის თარიღამდე, რომელიც ნებადართულია უარყოფის შესატყობინებლად, ან, როდესაც მონაწილე მხარეს გაკეთებული აქვს შესაბამისი განცხადება ინსტრუქციის შესაბამისად, ამ განცხადებაში განსაზღვრული დროის ბოლომდე.

(ბ)³ თუ მითითებული მონაწილე მხარის უწყებამ შეატყობინა უარყოფის შესახებ და შემდეგ ეს უარყოფა ნაწილობრივ ან მთლიანად გაიტანა, საერთაშორისო რეგისტრაციას, იმ შემთხვევაში თუ უარი გატანილი იქნა, აქვს იგივე ძალა ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, როგორც აღნიშნული

მონაწილე მხარის კანონით სამრეწველო ნიმუშისათვის მინიჭებულ დაცვას არა უგვიანეს იმ თარიღიდან, როდესაც ეს უარყოფა იქნა გატანილი.

(გ) ამ პუნქტის შესაბამისად საერთაშორისო რეგისტრაციისათვის მინიჭებული ძალა მოქმედებს სამრეწველო ნიმუშის ან ნიმუშებისათვის, რომლებიც ამ რეგისტრაციის საგანია მითითებული უწყებისაგან საერთაშორისო ბიუროს მიერ მიღებული სახით, ან თუ მისაღებია, ამ უწყებაში პროცედურის დროს შეცვლილი სახით.

(3) [განცხადება განმცხადებლის მონაწილე მხარის მითითების მოქმედებასთან დაკავშირებით] (ა) ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომლის უწყება ახორციელებს ექსპერტიზას, შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ თუ იგი არის განმცხადებლის მონაწილე მხარე, ამ მონაწილე მხარის მითითებას საერთაშორისო რეგისტრაციაში არ ექნება ძალა.

(ბ) თუ მონაწილე მხარე, რომელსაც გაკეთებული აქვს (ა) ქვეპუნქტში მითითებული განცხადება, საერთაშორისო განაცხადში აღნიშნულია როგორც განმცხადებლის მონაწილე მხარე და როგორც მითითებული მონაწილე მხარე, საერთაშორისო ბიურო ამ მონაწილე მხარის მითითებას მხედველობაში არ მიიღებს.

მუხლი 15

გაუქმება

(1) [დაცვის შესაძლებლობის მოთხოვნა] მითითებული მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გაუქმება ნაწილობრივ, ან მთლიანად ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, არ შეიძლება გამოცხადდეს მფლობელისათვის თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობის დროული მინიჭების გარეშე.

³ იხილეთ შენიშვნა მე-15 გვერდზე.

(2) [გაუქმების შეტყობინება] მონაწილე მხარის უწყებამ, რომლის ტერიტორიაზე განხორციელდა საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმება, თუ მან იცის ამ გაუქმების შესახებ, უნდა შეატყობინოს იგი საერთაშორისო უწყებას.

მუხლი 16

ცვლილებების შეტანა და საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

(1) [ცვლილებების შეტანა და სხვა საკითხები] საერთაშორისო ბიუროს დადგენილის შესაბამისად შეაქვს საერთაშორისო რეესტრში

საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელობის ნებისმიერი ცვლილება რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ და ნებისმიერი ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია, იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 მუხლის შესაბამისად ახალ მფლობელს უფლება აქვს შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი,

მფლობელის სახელწოდების ან მისამართის ნებისმიერი ცვლილება,

განმცხადებლის ან მფლობელის წარმომადგენლის არჩევა და ასეთ წარმომადგენელთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემი,

მფლობელის მიერ საერთაშორისო რეგისტრაციაზე ნებისმიერი უარი რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ,

მფლობელის მიერ საერთაშორისო რეგისტრაციის ნებისმიერი შეზღუდვა რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ ერთი ან რამდენიმე სამრეწველო ნიმუშით, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია,

მითითებული მონაწილე მხარის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გაუქმება რომელიმე ან ყველა სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია,

ინსტრუქციით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია უფლებებთან ნებისმიერ ან ყველა სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(2) [საერთაშორისო რეესტრში ჩანაწერის შეტანის ძალა] (1)-ლი პუნქტის მე-(II), მე-(IV), მე-(VI) და მე-(VII) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანას აქვს იგივე ძალა, როგორც თითოეული შესაბამისი მონაწილე მხარის უწყების რეესტრში ჩანაწერის შეტანის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მონაწილე მხარეს შეუძლია განცხადებით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ (1) პუნქტის (I) ქვეპუნქტით მითითებული ჩანაწერის შეტანას არ ექნება ძალა ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, ვიდრე ამ მონაწილე მხარის უწყება არ მიიღებს ამ განცხადებით განსაზღვრული მტკიცებებს ან დოკუმენტებს.

(3) [საფასურები] (1) პუნქტის შესაბამისად შესრულებული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანა შეიძლება ექვემდებარებოდეს საფასურის გადახდას.

(4) [გამოქვეყნება] საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს ცნობას (1) პუნქტის შესაბამისად შესრულებული ნებისმიერი ჩანაწერის შეტანის შესახებ. იგი უზღავნის გამოქვეყნებული ცნობის ასლს თითოეული დაინტერესებული მონაწილე მხარის უწყებას.

მუხლი 17

საერთაშორისო რეგისტრაციის პირველი ვადა და ვადის გაგრძელება, დაცვის ხანგრძლივობა

(1) [საერთაშორისო რეგისტრაციის პირველი ვადა] საერთაშორისო რეგისტრაცია მოქმედებს პირველი ხუთწლიანი ვადით, რომელიც აითვლება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.

(2) [საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის გაგრძელება] საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებითი ხუთი წლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და ექვემდებარება დადგენილი საფასურის გადახდას.

(3) [დაცვის ხანგრძლივობა მითითებული მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე] (ა) იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია და (ბ) ქვეპარაგრაფიდან გამომდინარე, დაცვის ხანგრძლივობა თითოეულ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე არის 15 წელი, რომელიც აითვლება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.

(ბ) როდესაც მონაწილე მხარის კანონი ითვალისწინებს დაცვას, რომლის ხანგრძლივობა 15 წელზე მეტია სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელსაც დაცვა მიენიჭა აღნიშნული კანონის შესაბამისად, დაცვის ხანგრძლივობა, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია, არის იგივე, რაც გათვალისწინებულია ამ მონაწილე მხარის კანონით.

(გ) თითოეული მონაწილე მხარე განცხადებით ატყობინებს გენერალურ დირექტორს მისი კანონით გათვალისწინებული დაცვის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ.

(4) [შეზღუდული გაგრძელების შესაძლებლობა] საერთაშორისო რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელდეს რომელიმე ან ყველა მითითებული მონაწილე მხარის მიმართ და რომელიმე ან ყველა სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საგანია.

(5) [ვადის გაგრძელების შესახებ ჩანაწერის შეტანა და გამოქვეყნება] საერთაშორისო ბიუროს შეაქვს ვადის გაგრძელება საერთაშორისო რეესტრში და აქვეყნებს ცნობას ამის შესახებ. იგი უზღავანის გამოქვეყნებული ცნობის ასლს დაინტერესებული მონაწილე მხარის თითოეულ უწყებას.

მუხლი 18

გამოქვეყნებულ საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია

(1) [ინფორმაციის ხელმისაწვდომობა] დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, საერთაშორისო ბიურო აწვდის ნებისმიერ პირს, რომელიც ამას ითხოვს, ამონაწერს საერთაშორისო რეესტრიდან, ან საერთაშორისო რეესტრის მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ნებისმიერი გამოქვეყნებული საერთაშორისო რეგისტრაციის მიხედვით.

(2) [ლეგალიზაციისაგან განთავისუფლება] საერთაშორისო ბიუროს მიერ მიწოდებული ამონაწერი საერთაშორისო რეესტრიდან განთავისუფლებულია ლეგალიზაციის ნებისმიერი მოთხოვნისაგან ყოველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

თავი II

ადმინისტრაციული დებულებები

მუხლი 19

რამდენიმე სახელმწიფოს საერთო უწყება

(1) [შეტყობინება საერთო უწყების შესახებ] თუ რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც აპირებს გახდეს ამ აქტის მხარე, ან რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც ამ აქტის მხარეა, შეთანხმდა განახორციელოს სამრეწველო ნიმუშების შესახებ თავისი ეროვნული კანონმდებლობის უნიფიცირება, მათ შეუძლიათ შეატყობინონ გენერალურ დირექტორს, რომ

თითოეული მათგანის ეროვნულ უწყებას ჩაენაცვლება საერთო უწყება, და მთელი მათი შესაბამისი ტერიტორია, სადაც მოქმედებს უნიფიცირებული კანონმდებლობა, ჩაითვლება ერთ მონაწილე მხარედ ამ აქტის 1-ლი, მე-3-დან მე-18-მდე და 31-ე მუხლების გამოყენების მიზნით.

(2) [შეტყობინების გაკეთების ვადა] (1) პუნქტში აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს,

თუ ეს ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც აპირებენ ამ აქტის მხარედ გახდომას, 27-ე მუხლის მე-(2) პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი აქტების დეპონირებისას;

თუ ეს ეხება ამ აქტის მხარე სახელმწიფოებს, ნებისმიერ დროს მას შემდეგ რაც განხორციელდა მათი ეროვნული კანონმდებლობების უნიფიკაცია.

(3) [შეტყობინების ძალაში შესვლის თარიღი] (1) და (2) პუნქტებში აღნიშნული შეტყობინება ძალაში შევა,

თუ ეს ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც აპირებენ ამ აქტის მხარედ გახდომას, როდესაც ასეთი სახელმწიფოები გახდებიან შებოჭილი ამ აქტით;

თუ ეს ეხება ამ აქტის მხარე სახელმწიფოებს, გენერალური დირექტორის მიერ სხვა მონაწილე მხარეების შეტყობინების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, ან შეტყობინებაში აღნიშნული ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღით.

მუხლი 20

ჰაავის კავშირის წევრობა

მონაწილე მხარეები არიან იგივე კავშირის წევრები, რომლის წევრები არიან 1934 წლის აქტის ან 1960 წლის აქტის მხარე სახელმწიფოები.

მუხლი 21

ასამბლეა

(1) [შემადგენლობა] (ა) მონაწილე მხარეები უნდა იყვნენ იგივე ასამბლეის წევრები, რომლის წევრები არიან 1967 წლის შემვსები აქტის მე-2 მუხლით შებოჭილი სახელმწიფოები.

(ბ) ასამბლეის თითოეული წევრი ასამბლეაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ ალტერნატიული დელეგატები, მრჩეველები და ექსპერტები და თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი მონაწილე მხარე.

(გ) კავშირის ის წევრები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, ასამბლეის სხდომებზე მეთვალყურეებად დაიშვებიან.

(2) [ფუნქციები] ასამბლეა

განაგებს კავშირის საქმიანობის შენარჩუნებასთან, განვითარებასა და ამ აქტის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

იყენებს ისეთ უფლებებს და ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მისთვის მინიჭებული ან გადაცემულია ამ აქტით ან 1967 წლის შემვსები აქტით;

გენერალურ დირექტორს აძლევს გადასინჯვის კონფერენციებისათვის მზადებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს და წყვეტს ნებისმიერი ასეთი კონფერენციის მოწვევის საკითხს;

შეაქვს ცვლილებები ინსტრუქციებში;

განიხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას კავშირთან მიმართებით, აგრეთვე აძლევს გენერალურ დირექტორს ყველა საჭირო ინსტრუქციას კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;

განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;

იღებს კავშირის ფინანსურ ინსტრუქციას;

აარსებს ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს კავშირის მიზნების მისაღწევად;

(1) პუნქტის (გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს რომელი სახელმწიფო, სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება მეთვალყურეებად სხდომებზე;

ახორციელებს ნებისმიერ შესაბამის მოქმედებას კავშირის მიზნების შესრულების ხელშესაწყობად და ასრულებს ნებისმიერ სხვა ფუნქციას, რომელიც მიზანშეწონილია ამ აქტიდან გამომდინარე.

(ბ) საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირებისათვის, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევის მოსმენის შემდეგ.

(3) [კვორუმი] (ა) ასამბლეის წევრების ნახევარი, რომლებიც არიან სახელმწიფოები და აქვთ ხმის მიცემის უფლება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შეადგენს კვორუმს ამ საკითხთან დაკავშირებული კენჭისყრის მიზნებისათვის.

(ბ) (ა) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე ასამბლეის წევრების რიცხვი, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები და ესწრებიან, ნაკლებია ნახევარზე, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის იმ წევრების ერთი მესამედის, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ გარდა საკუთარ პროცედურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა, ყველა ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ, მაშინ თუ შემდგომში წარმოდგენილი პირობები შესრულდება. საერთაშორისო ბიურომ უნდა აცნობოს ამ გადაწყვეტილებების შესახებ ასამბლეის წევრებს, რომლებიც არიან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების მქონე სახელმწიფოები, მაგრამ არ ესწრებოდნენ და უნდა შესთავაზოს მათ გამოხატონ ხმის მიცემა ან თავის შეკავება წერილობით შეტყობინების მიღების თარიღიდან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში. თუ ამ პერიოდის ამოწურვისას ასეთი წევრების რიცხვი, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს ხმის მიცემა ან თავის შეკავება, აღწევს წევრების რიცხვს, რომელიც აკლდა სესიის კვორუმის მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის იმის გათვალისწინებით, რომ ყოველივე აღნიშნულთან ერთად საჭირო უმრავლესობა ამ მომენტისათვის მიღწეულია.

(4) [გადაწყვეტილებების მიღება ასამბლეაზე] (ა) ასამბლეა ყოველ ღონეს იხმარს რათა გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს კონსენსუსით.

(ბ) თუ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია კონსენსუსით, სადავო საკითხი კენჭისყრით გადაწყდება. ასეთ შემთხვევაში,

თითოეულ მონაწილე მხარეს, რომელიც არის სახელმწიფო, აქვს ერთი ხმა და ხმას აძლევს მხოლოდ თავისი სახელით, და

ნებისმიერ მონაწილე მხარეს, რომელიც არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, შეუძლია ხმა მისცეს თავისი წევრი სახელმწიფოების მაგივრად, ხმების რაოდენობით, რომელიც ტოლია მისი წევრი ამ აქტის მხარე სახელმწიფოების რიცხვის, ამასთან არცერთი ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ რომელიმე მისი წევრი სახელმწიფო გამოიყენებს თავის ხმის მიცემის უფლებას და პირიქით.

(გ) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მხოლოდ 1967 წლის შემდგომი აქტის მე-2 მუხლით შებოჭილ სახელმწიფოებს, მონაწილე მხარეებს, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული მუხლი, არა აქვთ ხმის მიცემის უფლება, ხოლო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მხოლოდ მონაწილე მხარეებს, მხოლოდ ამ უკანასკნელთ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

(5) [უმრავლესობა] (ა) 24(2) და 26(2) მუხლებიდან გამომდინარე, ასამბლეის გადაწყვეტილებები საჭიროებს მიცემული ხმების ორ მესამედს.

(ბ) თავის შეკავება არ განიხილება ხმის მიცემად.

(6) [სესიები] (ა) ასამბლეა იკრიბება რიგით სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით და თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, იგივე დროს და იგივე ადგილზე, როგორც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(ბ) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით, ან ასამბლეის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, ან გენერალური დირექტორის ინიციატივით.

(გ) თითოეული სესიის დღის წესრიგს ამზადებს გენერალური დირექტორი მიერ.

(7) [პროცედურის წესები] ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 22

საერთაშორისო ბიურო

(1) [ადმინისტრაციული ფუნქციები] (ა) საერთაშორისო რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული მოვალეობები ისევე, როგორც კავშირთან დაკავშირებული ყველა სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები, სრულდება საერთაშორისო ბიუროს მიერ.

(ბ) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ამზადებს შეხვედრებს და უზრუნველყოფს ასამბლეას და ექსპერტთა ისეთ კომიტეტებს და მუშა ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ასამბლეის მიერ, სამდივნოს მომსახურებით.

(2) [გენერალური დირექტორი] გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი აღმასრულებელი და წარმოადგენს კავშირს.

(3) [შეხვედრები, ასამბლეის სესიების გარდა] გენერალური დირექტორი იწვევს ასამბლეის მიერ დაარსებულ ნებისმიერ კომიტეტს და მუშა ჯგუფს და აწყობს ყველა სხვა შეხვედრას, რომელიც განიხილავს კავშირისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

(4) [საერთაშორისო ბიუროს როლი ასამბლეაზე და სხვა შეხვედრებზე] (ა) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული პირები ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის და მის მიერ დაარსებული კომიტეტებისა და მუშა ჯგუფების ყველა შეხვედრაში, აგრეთვე კავშირის ეგიდით გენერალური დირექტორის მიერ მოწვეულ ნებისმიერ სხვა შეხვედრაში.

(ბ) გენერალური დირექტორი ან გენერალური დირექტორის მიერ არჩეული თანამდებობის პირი არის (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ასამბლეის, კომიტეტების, მუშა ჯგუფების და სხვა შეხვედრების *ex officio* მდივანი.

(5) [კონფერენციები] (ა) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის ინსტრუქციების შესაბამისად ამზადებს გადასინჯვის კონფერენციებს.

(ბ) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია გამართოს კონსულტაციები სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ მზადებასთან დაკავშირებით.

(გ) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ არჩეული პირები გადასინჯვის კონფერენციებზე მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

(6) [სხვა ფუნქციები] საერთაშორისო ბიურო ამ აქტიდან გამომდინარე ახორციელებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა ფუნქციას.

მუხლი 23

ფინანსები

(1) [ბიუჯეტი] (ა) კავშირს უნდა ჰქონდეს ბიუჯეტს.

(ბ) კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ კავშირის კუთვნილ შემოსავალს და მართებულ ხარჯებს, მის შენატანებს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, რომელიც საერთოა ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული კავშირებისათვის.

(გ) ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება მხოლოდ კავშირს, მაგრამ განეკუთვნება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ ერთ ან მეტ სხვა კავშირს, განიხილება კავშირების საერთო ხარჯებად. კავშირის წილი ასეთ საერთო ხარჯებში შეესაბამება მის წილს მოცემულ ხარჯებში.

(2) [კოორდინირება კავშირის სხვა ბიუჯეტებთან] კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით.

(3) [ბიუჯეტის დაფინანსების წყაროები] კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურებით;

საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურებისათვის კუთვნილი გადასახადით;

საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირთან დაკავშირებული გამოცემების გაყიდვით ან ჰონორარით;

საჩუქრებით, უფლებამონაცვლეობით მიღებული ქონებით, სუბსიდიებით;

რენტით, პროცენტებით და სხვა შემოსავლით.

(4) [საფასურების და გადასახადების დადგენა; ბიუჯეტის დონე] (ა) მე-(3)(I) პუნქტით მითითებული საფასურის ოდენობა უნდა დადგინდეს ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადებით. მე-(3)(II) პუნქტით მითითებული გადასახადები უნდა დადგინდეს გენერალური დირექტორის მიერ

და დასაშვებია მათი წინასწარი გამოყენება, მაგრამ ექვემდებარება ასამბლეის მიერ დამტკიცებას თავის შემდეგ სესიაზე.

(ბ) მე-(3)(I) პუნქტში მითითებული საფასურების ოდენობა ისე უნდა იქნეს დადგენილი, რომ კავშირის მიერ საფასურებით და სხვა წყაროებით მიღებული შემოსავალი სულ მცირე საკმარისი იყოს საერთაშორისო ბიუროს კავშირთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დასაფარად.

(გ) თუ ბიუჯეტი არ იქნა მიღებული ახალი ფინანსური პერიოდის დაწყების წინ, იგი წინა წლის ბიუჯეტის დონეზე იქნება, როგორც ეს გათვალისწინებულია ფინანსურ ინსტრუქციაში.

(5) [მიმდინარე აქტივების ფონდი] კავშირს აქვს მიმდინარე აქტივების ფონდი, რომელიც შედგენილია შემოსავლების ნამეტით, ხოლო თუ ასეთი ნამეტი არ არის საკმარისი, კავშირის თითოეული წევრის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკმარისია, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ. გადასახადის წილს და ვადებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით.

(6) [მასპინძელი სახელმწიფოს ავანსი] (ა) შეთანხმებით შტაბ-ბინის შესახებ, რომელიც დადებულია სახელმწიფოსთან, რომლის ტერიტორიაზე ორგანიზაციას აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ როდესაც მიმდინარე აქტივების ფონდი არასაკმარისია, ასეთმა სახელმწიფომ უნდა გაიღოს ავანსი. ამ ავანსის ოდენობა და გამოყოფის პირობები ასეთ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის ცალკე შეთანხმებების საგანია.

(ბ) (ა) ქვეპუნქტში მითითებულ სახელმწიფოს და ორგანიზაციას თითოეულს უნდა ჰქონდეს ავანსის გამოყოფის ვალდებულების დენონსირების უფლება წერილობითი შეტყობინებით. დენონსირება ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის ბოლოდან, როდესაც ეს შეტყობინებული იქნა.

(7) [ანგარიშების შემოწმება] ანგარიშების შემოწმება ხორციელდება კავშირის ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს მიერ ან გარე აუდიტორების მიერ ფინანსური ინსტრუქციის მიხედვით. ისინი უნდა დაინიშნონ ასამბლეას მიერ მათთან შეთანხმებით.

მუხლი 24

ინსტრუქცია

(1) [საგანი] ინსტრუქცია აწესრიგებს ამ აქტის განხორციელების დეტალებს. იგი კერძოდ მოიცავს დებულებებს, რომლებიც შეეხება

საკითხებს, რომელთა დაწესებასაც ეს აქტი ნათლად ითვალისწინებს;

შემდგომ დეტალებს, რომლებიც ეხება, ან ნებისმიერ დეტალებს, რომლებიც მისაღებია, ამ აქტის დებულებების განხორციელებისათვის;

ნებისმიერ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, საკითხებს ან პროცედურებს.

(2) [ინსტრუქციის განსაზღვრული დებულებების შეცვლა] (ა) ინსტრუქციამ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ინსტრუქციის განსაზღვრული დებულებების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთსულოვნად ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედით;

(ბ) დადგინდეს, რომ რათა ერთსულოვნების ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედის მოთხოვნა აღარ იქნეს გამოყენებული მომავალში ინსტრუქციის დებულების შესაცვლელად, ერთსულოვნება არის საჭირო.

(გ) დადგინდეს, რომ რათა ერთსულოვნების ან უმრავლესობის ოთხი მეხუთედის მოთხოვნა გამოყენებული იქნეს მომავალში ინსტრუქციის დებულების შესაცვლელად, ოთხი მეხუთედი არის საჭირო.

(3) წინააღმდეგობა ამ აქტსა და ინსტრუქციას შორის ამ აქტის დებულებებსა და ინსტრუქციის დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პირველს.

თავი III

გადასინჯვა და ცვლილება

მუხლი 25

ამ აქტის გადასინჯვა

(1) [გადასინჯვის კონფერენციები] ეს აქტი შეიძლება გადასინჯოს მონაწილე მხარეების კონფერენციის მიერ.

(2) [განსაზღვრული მუხლების გადასინჯვა და შეცვლა] 21-ე, 22-ე, 23-ე და 26-ე მუხლები შეიძლება შეიცვალოს გადასინჯვის კონფერენციის ან ასამბლეის მიერ 26-ე მუხლის დებულებების თანახმად.

მუხლი 26

განსაზღვრული მუხლების შეცვლა ასამბლეის მიერ

[წინადადებები შეცვლის შესახებ] (ა) ასამბლეის მიერ 21-ე, 22-ე, 23-ე და ამ მუხლის შეცვლის წინადადება შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნებისმიერი მონაწილე მხარის ან გენერალური დირექტორის ინიციატივით.

(ბ) გენერალურმა დირექტორმა ასეთი წინადადებების შესახებ უნდა შეატყობინოს მონაწილე მხარეებს, მათი ასამბლეის მიერ განხილვამდე ექვსი თვით ადრე.

(2) [უმრავლესობა] ამ მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ცვლილების მიღება მოითხოვს უმრავლესობის სამ მეოთხედს, 21-ე მუხლის ან წინამდებარე პუნქტის ნებისმიერი ცვლილების გამოკლებით, რომელიც მოითხოვს უმრავლესობის ოთხ მეხუთედს.

(3) [ძალაში შესვლა] (ა) იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც გამოიყენება (ბ) ქვეპუნქტი, (1) პუნქტით აღნიშნული მუხლების ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ იმ მონაწილე მხარეების სამი მეოთხედისაგან თანხმობის შესახებ, რომელიც ხორციელდება მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, რომლებიც ცვლილების მიღების დროს ასამბლეის წევრები იყვნენ და ამ ცვლილებისათვის ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ.

(ბ) 21-ე მუხლის მე-(3) ან მე-(4) პუნქტის ან ამ ქვეპუნქტის ცვლილება ძალაში არ შედის, თუ ასამბლეის მიერ მისი მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში ნებისმიერი მონაწილე მხარე შეატყობინებს გენერალურ დირექტორს, რომ იგი არ იღებს ამ ცვლილებას.

(გ) ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ძალაში შედის ამ პუნქტის დებულებების შესაბამისად, ბოჭავს ყველა სახელმწიფოს და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ცვლილების ძალაში შესვლის დროს მონაწილე მხარეები არიან, ან შემდგომ გახდებიან მონაწილე მხარეები.

თავი IV დასკვნითი დებულებები

მუხლი 27

ამ აქტის მხარედ გახდომა

(1) [მხარედ გახდომის უფლება] მე-(2) და მე-(3) პუნქტებიდან და 28-ე მუხლიდან გამომდინარე,

ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ხელი მოაწეროს და გახდეს ამ აქტის მხარე;

ნებისმიერ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს იმ უწყების საქმიანობას, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს დაცვა სამრეწველო ნიმუშებს ტერიტორიაზე, სადაც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამაარსებელი ხელშეკრულება მოქმედებს, შეუძლია მოაწეროს ხელი და გახდეს ამ აქტის მხარე, იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სულ მცირე ერთი წევრი სახელმწიფო არის ორგანიზაციის წევრი და იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი უწყება მე-19 მუხლის შესაბამისად არ არის შეტყობინების სუბიექტი.

(2) [რატიფიკაცია ან მიერთება] (1) პუნქტით აღნიშნულ ნებისმიერ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს დეკონირება

რატიფიკაციის სამართლებრივი აქტისა, თუ მან ხელი მოაწერა ამ აქტს, ან

მიერთების სამართლებრივი აქტისა, თუ მას ხელი არა აქვს მოწერილი ამ აქტზე.

(3) [დეკონირების ძალაში შესვლის თარიღი] (ა) (ბ)-დან (დ)-მდე პუნქტებიდან გამომდინარე, რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეკონირების ძალაში შესვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც ამ სამართლებრივი აქტის დეკონირება განხორციელდა.

(ბ) ნებისმიერ სახელმწიფოს, სადაც სამრეწველო ნიმუშის დაცვის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის, რომლის წევრია სახელმწიფო, უწყების საშუალებით, რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეკონირების ძალაში შესვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი აქტების დეკონირება განხორციელდა, თუ ეს თარიღი აღნიშნული სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების დეკონირების თარიღზე გვიანდელია.

(გ) რატიფიკაციის ან მიერთების ნებისმიერი სამართლებრივი აქტის, რომელიც შეიცავს ან, რომელსაც თან ერთვის მე-19 მუხლში აღნიშნული შეტყობინება, ძალაში შესვლის თარიღი არის

თარიღი, როდესაც სახელმწიფოების ჯგუფის წევრი სახელმწიფოების, რომლებმაც გააკეთეს აღნიშნული შეტყობინება, უკანასკნელი სამართლებრივი აქტები იყო დეკონირებული.

(დ) სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების ნებისმიერი სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს ან თანდართული ჰქონდეს განცხადება, რომელიც პირობად აყენებს, რომ ჩაითვალოს დეკონირებულად ერთი სხვა სახელმწიფოს ან ერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი აქტი, ან ორი სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი აქტები, ან ერთი სხვა სახელმწიფოს და ერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის, რომელიც განსაზღვრულია სახელით და აკმაყოფილებს ამ აქტის მხარედ გახდომის მოთხოვნებს, აქტი არის ან არიან აგრეთვე დეკონირებული. სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს ან რომელსაც თან ერთვის ასეთი განცხადება ჩაითვლება დეკონირებულად იმ დღეს, როდესაც განცხადებაში აღნიშნული პირობა შესრულდება. გარდა ამისა, როდესაც განცხადებაში განსაზღვრული სამართლებრივი აქტი თვითონ შეიცავს, ან მას თვითონ ერთვის აღნიშნული სახის განცხადება, ეს სამართლებრივი აქტი ითვლება დეკონირებულად იმ დღეს, როდესაც უკანასკნელ განცხადებაში განსაზღვრული პირობა შესრულდება.

(ე) ნებისმიერ დროს შეიძლება (დ) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების გატანა მთლიანად ან ნაწილობრივ. ნებისმიერი ასეთი გატანა ძალაში შევა თარიღით, როდესაც გენერალური დირექტორი მიიღებს შეტყობინებას გატანის შესახებ.

მუხლი 28

რატიფიკაციის და მიერთების ძალაში შესვლის თარიღი

(1) [მხედველობაში მისაღები სამართლებრივი აქტები] ამ მუხლის მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება მხოლოდ 27-ე მუხლის (1) პუნქტით მითითებული სახელმწიფოების ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი შეესაბამება 27-ე მუხლის (3) პუნქტს.

(2) [ამ აქტის ძალაში შესვლა] ეს აქტი ძალაში შედის ექვსი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეკონირებიდან სამ თვეში, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ბიუროს მიერ შეგროვებული უახლესი წლიური სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად ამ სახელმწიფოებიდან სულ მცირე სამი აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთს მაინც:

აღნიშნულ სახელმწიფოში ან ამ სახელმწიფოს მითითებით შეტანილია სულ მცირე 3, 000 განაცხადი სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე, ან

აღნიშნულ სახელმწიფოში ან ამ სახელმწიფოს მითითებით შეტანილია სულ მცირე 1, 000 განაცხადი სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტების მიერ.

(3) [რატიფიკაციის და მიერთების ძალაში შესვლა] (ა) ნებისმიერ სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე, რომელმაც განახორციელა რატიფიკაციის ან მიერთების თავისი სამართლებრივი აქტების დეკონირება ამ აქტის ძალაში შესვლის თარიღამდე სამი ან მეტი თვით ადრე, ამ აქტის მოქმედება ვრცელდება მისი ძალაში შესვლის თარიღით.

(ბ) ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე ამ აქტის მოქმედება ვრცელდება მის მიერ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების დეპონირების თარიღიდან სამ თვეში, ან ამ სამართლებრივ აქტში აღნიშნული ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღით.

მუხლი 29

იურიდიული დათქმის აკრძალვა

იურიდიული დათქმა ამ აქტისათვის არ არის ნებადართული.

მუხლი 30

მონაწილე მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებები

(1) [განცხადებების გაკეთების დრო] მე-4 (1)(ბ), მე-5 (2)(ა), მე-7 (2), მე-11 (1), მე-13 (1), მე-14 (3), მე-16 (2) ან მე-17 (3)(გ) მუხლების შესაბამისად ნებისმიერი განცხადება შეიძლება გაკეთდეს

27-ე მუხლის მე-(2) პუნქტით აღნიშნული სამართლებრივი აქტის დეპონირებისას, ამ შემთხვევაში იგი ძალაში შევა იმ თარიღით, როდესაც სახელმწიფოზე ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაზე, რომლებმაც გააკეთეს განცხადება, ვრცელდება ამ აქტის მოქმედება, ან

27-ე მუხლის მე-(2) პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი აქტის დეპონირების შემდეგ, ამ შემთხვევაში იგი ძალაში შევა გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღების თარიღიდან სამ თვეში, ან განაცხადებაში მითითებულ ნებისმიერი გვიანი თარიღით, მაგრამ გამოყენებადია მხოლოდ ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ, რომლის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი განცხადების ძალაში შესვლის თარიღს ემთხვევა ან უფრო გვიანია.

(2) [საერთო უწყების მქონე სახელმწიფოების განცხადებები] (1) პუნქტის მიუხედავად ამ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი განცხადება, რომელიც გააკეთა სახელმწიფომ, რომელმაც სხვა სახელმწიფოსთან ან სხვა სახელმწიფოებთან ერთად მე-19 მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად შეატყობინა გენერალურ დირექტორს მათი ეროვნული უწყების საერთო უწყებით ჩანაცვლების შესახებ, ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, თუ ამ სხვა სახელმწიფომ ან ამ სხვა სახელმწიფოებმა გააკეთა ან გააკეთეს შესაბამისი განცხადება ან განცხადებები.

(3) [განცხადებების გატანა] (1) პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი განცხადება შეიძლება გატანილი იქნეს ნებისმიერ დროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი გატანა ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამ თვეში ან შეტყობინებაში მითითებული ნებისმიერი გვიანი თარიღით. მე-(7) მუხლის მე-(2) პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების შემთხვევაში, გატანა არ მოახდენს გავლენას საერთაშორისო განაცხადებზე, რომლებიც შეტანილი იყო ამ გატანის ძალაში შესვლამდე.

მუხლი 31

1934 წლის და 1960 წლის აქტების გამოყენება

(1) [ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის ან 1960 წლის აქტების მხარეები არიან] ეს აქტი გამოიყენება იმ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის აქტის ან 1960 წლის აქტის მხარეები არიან. ამასთან ასეთმა

სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დროს, შემთხვევისდა მიხედვით, უნდა გამოიყენონ 1934 წლის აქტი ან 1960 წლის აქტი იმ სამრეწველო ნიმუშებისათვის, რომლებიც დეკონირებული იყო საერთაშორისო ბიუროში მათ ურთიერთობაში ამ აქტის გამოყენების დაწყების წინ.

(2) [ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის ან 1960 წლის აქტების მხარეები არიან და სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არიან 1934 წლის და 1960 წლის აქტების მხარეები და არ არიან ამ აქტის მხარეები] (ა) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც ორივე ამ აქტის და 1934 წლის აქტის მხარეა უნდა გააგრძელოს 1934 წლის აქტის გამოყენება იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომლებიც 1934 წლის აქტის მხარეები არიან და არ არიან 1960 წლის ან ამ აქტის მხარეები.

(ბ) ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც ორივე ამ აქტის და 1960 წლის აქტის მხარეა უნდა გააგრძელოს 1960 წლის აქტის გამოყენება იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომლებიც 1960 წლის აქტის მხარეები არიან და არ არიან ამ აქტის მხარეები.

მუხლი 32

ამ აქტის დენონსირება

(1) [შეტყობინება] ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია ამ აქტის დენონსირება გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით.

(2) [ძალაში შესვლის თარიღი] დენონსირება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, ან შეტყობინებაში აღნიშნული ნებისმიერი გვიანი თარიღით. მან გავლენა არ უნდა მოახდინოს ამ აქტის გამოყენებაზე განხილვის პროცესში მყოფი ნებისმიერი საერთაშორისო განაცხადის მიმართ და ნებისმიერი საერთაშორისო რეგისტრაციის მიმართ, რომელიც ძალაშია დენონსირების განმცხადებელი მონაწილე მხარისათვის დენონსირების ამოქმედების დროს.

მუხლი 33

ამ აქტის ენები; ხელმოწერა

(1) [ორიგინალური ტექსტები; ოფიციალური ტექსტები] (ა) ამ აქტს ხელი უნდა მოეწეროს ერთ პირად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ყველა ტექსტი ერთნაირად ავთენტიკურია.

(ბ) ოფიციალური ტექსტები დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ ისეთ სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება მიუთითოს ასამბლეამ.

(2) [ხელმოწერის ზღვრული ვადა] ეს აქტი ხელმოსაწერად რჩება ღიად ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, მისი მიღებიდან ერთი წლის მანძილზე.

მუხლი 34

დეპოზიტარი

ამ აქტის დეპოზიტარი არის გენერალური დირექტორი.

კითხვები გამეორებისათვის:

1. რა არის ნასყიდობა?
2. როგორ ნაწილდება მოძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები მყიდველსა და გამყიდველს შორის?
3. ვის ეკისრება უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები?
4. რა მოვალეობები აქვს გამყიდველს საქონლის გაგზავნისას? (ჩამოთვალეთ და აღწერეთ თითოეული მათგანი).
5. რა ვალდებულებები აქვს გამყიდველს მიწის გაყიდვისას?
6. როგორ ხორციელდება ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა?
7. როდის ჩაითვლება საქონელი მიღებულად?
8. რა წარმოადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს?
9. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი გაყიდულია რამდენიმე პირზე?
10. რა ხდება გაყიდული საქონლის ნაწილ- ნაწილ მიწოდებისას?
11. რა არის ნივთის ნაკლი?
12. რა არის ნივთობრივად უნაკლო ნივთი? (გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ სამართლებრივი დეფინიცია)
13. რა არის უფლებრივად უნაკლო ნივთი და რა უთანაბრდება უფლებრივ ნაკლს?
14. რა მოვალეობები აკისრია გამყიდველს ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას? (ჩამოთვალეთ და აღწერეთ თითოეული მათგანი დეტალურად).
15. რა შემთხვევაში აქვს მყიდველს ხელშეკრულების მოშლის უფლება და რა ხდება ამ დროს?
16. რა შემთხვევაში აქვს მყიდველს საქონლის მიღებაზე უარის თქმის უფლება და რა ხდება როდესაც საქონლის ოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს?
17. ნასყიდობიდან გამომდინარე, რა არის ზიანის ანაზღაურების წესი?
18. რა ხდება მაშინ, როდესაც მყიდველი მიიღებს ნაკლის მქონე ნივთს?
19. რა ხდება როდესაც გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს?
20. გთხოვთ ჩამოაყალიბოთ როგორ ხორციელდება გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა და რა ხდება ამ დროს?
21. როგორ ხორციელდება უფლებების ან სხვა ქონების გადასვლა ნასყიდობისას?
22. რას ნიშნავს ნივთის დაკავების უფლება? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ სამართლებრივი დეფინიცია)
23. რა ხდება, როდესაც მყიდველს სურს მართლზომიერად უკან დააბრუნოს ნივთი?
24. რა უფლებები აქვს ნივთის შემნახველს?
25. რა თავისებურებები აქვს მალფუჭებადი ნივთის შენახვას?
26. რა არის ნასყიდობა გადახდის განვადებით? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
27. როგორია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა და რა უნდა აღინიშნოს მასში?
28. რას ნიშნავს ნივთის გადაცემის მომენტიდან ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია?
29. რას ნიშნავს ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობის დროს?
30. რა არის გამოსყიდვა?
31. რა არის გამოსყიდვის ფასი? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ დეტალურად).
32. როგორ ხორციელდება გამოსყიდვამდე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება?
33. რა არის ოფცია?
34. რას ნიშნავს უპირატესი შესყიდვის უფლება?
35. ჩამოაყალიბეთ რას ნიშნავს ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა?
36. როგორ ხორციელდება დამატებითი ვალდებულებების შესრულება ნივთის გამოსყიდვის დროს?
37. რა შემთხვევაშია ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით დადებული?
38. რა არის გაცვლა? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
39. რა ხდება გაცვლილი ქონების არასრულფასოვნებისას და რა წესები გამოიყენება გაცვლის მიმართ?
40. რა არის ჩუქება?
41. როგორ იდება ჩუქების ხელშეკრულება?
42. რა შემთხვევაში წარმოიშობა ჩუქების ვალდებულება დაპირებისას?
43. რა შემთხვევაშია ჩუქება დაუშვებელი?
44. რა ხდება როდესაც გაჩუქებული ქონება ნაკლის მქონეა?

45. რა არის შეწირულობა? (გთხოვთ ჩამოაყალიბოდ დეტალურად).
46. როგორ ხდება ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო და რა ვადაში შეიძლება გაუქმდეს ჩუქება?
47. რა შემთხვევაშია შესაძლებელი ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა?
48. რა არის ქირავნობა?
49. რას ნიშნავს ქირავნობის ნივთის გადაცემა ვარგის მდგომარეობაში და რას ნიშნავს უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა?
50. რა არის ნივთობრივად ან/და უფლებრივად უნაკლო ნივთი ჩუქებისას?
51. როგორ ხორციელდება ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო?
52. როგორ ხორციელდება ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ქირავნობისას?
53. რა ხდება ნივთის ნაკლის გამო პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში ქირავნობისას?
54. რა ხდება როდესაც ქირავნობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდებიან გამქირავებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ?
55. რას ნიშნავს ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება სადგომის ქირავნობისას?
56. რა შემთხვევაში აქვს დამქირავებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება? (ისაუბრედ დეტალურად).
57. როგორ ხორციელდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ?
58. რა მოვალეობები აქვს დამქირავებელს გაქირავებულ ნივთზე ნაკლის აღმოჩენისას?
59. რას ნიშნავს გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის ბედი?
60. რა ვალდებულებები აქვს გამქირავებელს?
61. რას ნიშნავს დამქირავებლის უფლება ქირავნობის ნივთისთვის მიმატებულ ნივთზე? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად)
62. როგორია პასუხისმგებლობა ნივთის ნორმალური ცვეთისას?
63. როგორ ნაწილდება მიმდინარე რემონტის ხარჯები?
64. რას გულისხმობს დამქირავებლის თხნობა ქვექირავნობაზე?
65. რა შემთხვევაშია დაუშვებელი დამქირავებელი უარი ქვექირავნობაზე?
66. როგორ წყდება ქვექირავნობის ბედი ქირავნობის დასრულებისას?
67. რას ნიშნავს ქირავნობის ურთიერთობის უზრუნველყოფის ოდენობა? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად)
68. როგორია ქირავნობის გადახდის წესი?
69. რა ხდება დამქირავებლის ბრალით ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში?
70. რა შემთხვევაშია დამქირავებელი უფლებამოსილი მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება?
71. რას გულისხმობს დამქირავებლის საპირისპირო მოთხოვნები გამქირავებლის მიმართ?
72. რა შემთხვევაშია შესაძლებელი ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის ინიციატივით?
73. რა ხდება ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლისას? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად)
74. რას ნიშნავს განსაზღვრული ვადით ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების მოთხოვნის უფლება?
75. როგორია ხელშეკრულების მოშლის ვადა?
76. როგორ ხორციელდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა პატივსადები მიზეზების არსებობისას და რა შეიძლება იყოს პატივსადები მიზეზები?
77. რა ფორმით წყდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება?
78. რა მოვალეობები აქვს დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას?
79. რას ნიშნავს მიწის ნაკვეთის დაკავების უფლების დაუშვებლობა?
80. როგორ ხორციელდება გაქირავებული ნივთის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება?
81. რას გულისხმობს გირავნობის უფლება დამქირავებლის ნივთზე?
82. როგორია მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა?
83. როგორ ხორციელდება ათ წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა?
84. როგორ ხორციელდება დამქირავებლის უფლების გადასვლა მისი ოჯახის წევრებზე?
85. როგორ ხორციელდება უფლებამონაცვლეობა გაქირავებული ნივთის გასხვისებისას?

86. როგორია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა ქირავნობისას? (გთხოვთ ისაუბროთ დეტალურად).
87. როგორ წყდება დავა მეუღლეებს შორის განქორწინებისას, თუ მათი დავის საგანი დაქირავებული ნივთია?
88. რას ნიშნავს დამქირავებლის უფლებების დაცვა?
89. რა არის ლიზინგი? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია)
90. როგორია ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა?
91. რა პასუხისმგებლობა აქვს ლიზინგის გამცემს?
92. რა პასუხისმგებლობა აქვს ლიზინგის მიმღებს?
93. რა არის იჯარა? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად).
94. როგორ ხორციელდება 10 წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა?
95. რა ხდება მაშინ, როდესაც მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად?
96. რას ნიშნავს ქვეიჯარა და რა ხდება მისი დადების დროს?
97. როგორ ხორციელდება საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე?
98. როგორ ხორციელდება იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლა?
99. როგორ ხორციელდება იჯარის ხელშეკრულების მოშლა მოიჯარის გარდაცვალების გამო?
100. როგორ ხორციელდება ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისას?
101. რა არის სასოფლო – სამეურნეო მიწის იჯარა? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
102. რა ფორმით იდება სასოფლო – სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება?
103. რა არის საიჯარო ქონების ნუსხა?
104. როგორი უნდა იყოს საიჯარო ქონების მდგომარეობა?
105. რას გულისხმობს გირავნობის უფლება ნაყოფზე იჯარის ხელშეკრულებისას?
106. როდის აქვს უფლება მოიჯარეს მოითხოვოს საიჯარო ქირის შემცირება?
107. ვის ეკისრება აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა?
108. რას გულისხმობს აულებელი მოსავლის ანაზღაურება იჯარის ხელშეკრულების დროს?
109. რა მოვალეობა აკისრია მოიჯარეს ახალი მოიჯარის წინაშე?
110. რა იგულისხმება საიჯარო ქონების დაბრუნების მოვალეობაში?
111. რა უფლებები აქვს მოიჯარეს საიჯარო ქონების ცალკეულ ნაწილებზე?
112. რას გულისხმობს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა?
113. როგორ ხდება საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა ვადის გასვლის გამო?
114. როგორ ხდება საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში?
115. რა არის ფრენშიაზინგი? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
116. როგორია ფრენშიაზინგის მიცემის ვალდებულებები?
117. როგორია ფრენშიაზინგის მიმღების ვალდებულებები?
118. რას გულისხმობს განდობილი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება?
119. როგორია ფრენშიაზინგის ხელშეკრულების ფორმა? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად).
120. როგორ განისაზღვრება ფრენშიაზინგის ხელშეკრულების ვადა და რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა აღემატება ათ წელს?
121. რას გულისხმობს ლოიალური კონკურენცია ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დროს?
122. რა პასუხისმგებლობა აქვს ფრენშიაზინგის მიმცემს?
123. რა არის თხოვება?
124. რა პასუხისმგებლობა აქვს გამთხოვებელს?
125. თხოვების ხელშეკრულებისას ვის ეკისრება ზიანის ანაზღაურება ნივთის ნაკლის დაფარვის დროს?
126. რას გულისხმობს ნათხოვარი ნივთის მიზნობრივი სარგებლობა?
127. თხოვების ხელშეკრულებისას ვის ეკისრება ჩვეულებრივი ხარჯის გაწევის ვალდებულება?
128. რას გულისხმობს ნათხოვარი ნივთის ცვეთა?
129. რას გულისხმობს ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება?
130. როგორია მონათხოვრის გარდაცვალების შედეგი?
131. რა არის სესხი?
132. როგორია სესხის ხელშეკრულების ფორმა?
133. რა არის პროცენტი სესხისთვის?

134. რას გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება?
135. რას გულისხმობს ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება?
136. რას გულისხმობს სესხის შეპირება?
137. რა არის ნარდობა? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
138. ნარდობის დროს როგორ ხორციელდება შეთანხმება ანაზღაურებაზე?
139. როგორია მიახლოებითი ხარჯების გადაჭარბების შედეგები ნარდობის დროს?
140. რას გულისხმობს სამუშაოს პირდაპირ შეპირების ვალდებულება ნარდობის დროს?
141. რას გულისხმობს შემკვეთის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ნარდობის ხელშეკრულებისას?
142. რას გულისხმობს გირავნობის უფლება მოძრავ ნივთზე, ნარდობის დროს?
143. რას გულისხმობს იპოთეკის უფლება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ნარდობის დროს?
144. როგორ ხდება ნარდობის ხელშეკრულების მოშლა? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ დეტალურად).
145. ნარდობის დროს როგორ ხორციელდება გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის უფლება?
146. ნარდობის ხელშეკრულებისას რას გულისხმობს უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება?
147. ნარდობის დროს რას გულისხმობს უფლებრივად ან/და ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა?
148. რას გულისხმობს დამატებითი შესრულების მოთხოვნა ნარდობის დროს?
149. როგორ ხორციელდება ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ?
150. როგორ ხორციელდება ნარდობის ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო?
151. რას გულისხმობს საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო?
152. რა ხდება როდესაც სამუშაოს შესრულება ხდება მენარდის მასალით?
153. ნარდობის დროს რას გულისხმობს გაფრთხილების ვალდებულება?
154. ნარდობის ხელშეკრულების დროს როგორ ხორციელდება საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის?
155. რას გულისხმობს სამუშაოს მიღება ნარდობის დროს?
156. რა პასუხისმგებლობა ეკისრება მენარდს შემკვეთის ქონების დაღუპვისას?
157. რას ნიშნავს მენარდის რისკი?
158. როგორია ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღების შედეგები?
159. როგორია მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დამალვის შედეგები?
160. ნარდობის დროს როგორია ხანდაზმულობის ვადა და როგორ ხორციელდება ვადის ათვლა სამუშაოს ნაწილ –ნაწილ მიღებისას?
161. რას გულისხმობს ტურისტული მომსახურება?
162. რას გულისხმობს არასათანადო ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა?
163. რას გულისხმობს ტურისტისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება?
164. როგორია ტურისტული ხელშეკრულების თავდაპირველი ფასის შეცვლისა და რეგულაციის წესები?
165. რას გულისხმობს მოგზაურობის მოწყობის ვალდებულებები?
166. როგორ რეგულირდება სამართლებრივად მესამე პირის მოგზაურობა?
167. რა სამართლებრივი რეგულირებები არსებობს მოგზაურობის ხარვეზებთან მიმართებაში?
168. როგორ ხდება ღირებულების შემცირება მოგზაურობის ხარვეზის გამო?
169. ხარვეზის დროს როგორ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა ტურისტის მიერ?
170. როგორ ხორციელდება მოგზაურობის ხარვეზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?
171. რას გულისხმობს ტურისტული ორგანიზაციის სწრაფი რეაგირება ტურისტის საჩივარზე?
172. მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე როგორია მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა?
173. რას გულისხმობს მოგზაურობის მოწყობის პასუხისმგებლობის შეზღუდვა?
174. ტურისტის მიერ როგორ ხორციელდება უარი ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე?
175. რა არის დაუძლეველი ძალა?
176. რას გულისხმობს მოგზაურის საზიანო შეთანხმებათა დაუშვებლობა?
177. რა არის გადაზიდვის ხელსეკრულება? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია)
178. რა პასუხისმგებლობა ეკისრება გადამზიდველს?
179. რას გულისხმობს გადაზიდვის ხელშეკრულების დადების ვალდებულება?
180. რას ნიშნავს გადაზიდვა რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით?
181. როგორია გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა?

182. როგორია ზედნადების შედგენის წესი?
183. როგორია ზედნადების რეკვიზიტები? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ დეტალურად).
184. რა პასუხისმგებლობა ეკისრება გამგზავნს?
185. რა ვალდებულებები აკისრია გადამზიდველს ტვირთის მიღებისას?
186. რას გულისხმობს გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია?
187. რა პასუხისმგებლობა ეკისრება გამგზავნს ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისთვის?
188. რას მოიცავს გამგზავნის მიერ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება?
189. რა უფლებები აქვს გამგზავნს?
190. რა უფლებები აქვს მიმღებს ტვირთის გადაცემისას?
191. რას გულისხმობს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა?
192. რა ხდება როდესაც ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები წარმოიშობა?
193. რას გულისხმობს გამგზავნის მითითებათა საფუძველზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების უფლება?
194. რას ნიშნავს გირავნობის უფლება ტვირთზე?
195. რას გულისხმობს გადამზიდველის პასუხისმგებლობა? (ჩამოაყალიბეთ დეტალურად)
196. ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი გადაზიდვის ხელშეკრულებაში?
197. რა მიიჩნევა ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება და რა ხდება ამ დროს?
198. რას გულისხმობს ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ დეტალურად)
199. რას გულისხმობს დანამატის მიღების უფლება?
200. როგორია საფრთხემემცველი ტვირთის გადაზიდვის წესი?
201. როგორ გამოითვლება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას მისი ღირებულება?
202. როგორ ხდება ზიანის ანაზღაურება ტვირთის დაზიანებისას?
203. რას გულისხმობს განსაკუთრებული დაინტერესების აღნიშვნა ზედნადებში?
204. როგორ ხდება პროცენტის მოთხოვნა უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე?
205. რა ხდება მაშინ როდესაც საქმე გვაქვს არასახელშეკრულებო მოთხოვნებთან გადაზიდვისას?
206. რას გულისხმობს გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა?
207. რა არის რეკლამაცია და სარჩელი გადაზიდვისას? (გთხოვთ ჩამოაყალიბოთ სამართლებრივი დეფინიცია)
208. როგორია გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა?
209. როგორ ხდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება რეკლამაციის საფუძველზე?
210. რა არის დავალება?
211. რა არის გასამრჯელო დავალებისას?
212. რას გულისხმობს დავალების განდობა მესამე პირისთვის?
213. რას გულისხმობს მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა?
214. რას ნიშნავს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დავალებისას?
215. რას გულისხმობს ინფორმაციის შენახვის ვალდებულება დავალებისას?
216. რას ნიშნავს დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობა?
217. რას გულისხმობს მარწმუნებლის ქონების პრეზუმფცია?
218. რას მოიცავს მარწმუნებლის მიერ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა?
219. რას ნიშნავს ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურება?
220. რას გულისხმობს ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დავალებისას?
221. როგორ ხდება დავალების შეწყვეტა?
222. რა ხდება მარწმუნებლის გარდაცვალების შემთხვევაში?
223. რა ხდება რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში?
224. რას ნიშნავს საკუთრების მინდობა?
225. რა უფლება–მოვალეობანი აქვს მინდობილ მესაკუთრეს?
226. როგორ ხდება საკუთრების მინდობის ხარჯების ანაზღაურება?
227. როგორია საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმა?
228. რას გულისხმობს მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა?
229. რა არის სატრანსპორტო ექსპედიცია?

230. რას გულისხმობს კეთილსინდისიერების მოთხოვნა ექსპედიტორისგან?
231. რა მოვალეობები აქვს შემკვეთს?
232. რა იგულისხმება ტვირთის ცალობრივ შემოწმებაში?
233. რა გულისხმობს ტვირთის დაზღვევის მოვალეობა სატრანსპორტო ექსპედიციისას?
234. რა იგულისხმება ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულებაში?
235. რას გულისხმობს ზიანის დროულად შეტყობინების მოვალეობა სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების დროს?
236. რა ხდება ტვირთის დროულად მიუღებლობის შემთხვევაში?
237. რას გულისხმობს საკუთარი ძალებით ტვირთის გადაზიდვის უფლება?
238. ჩვეულებრივ, როდის აგებს გებს პასუხს ექსპედიტორი?
239. რას მოიცავს ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება?
240. როგორია პროვიზიის გადახდის წესი?
241. რა არის შუამავლობა? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
242. როგორ ხდება მაკლერის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება?
243. რა არის ექსკლუზიური დავალება შუამავლობის ხელშეკრულებისას?
244. როგორ ხდება საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა?
245. რა შემთხვევაშია დაუშვებელი მაკლერისთვის გასამრჯელოს მიცემა?
246. რა წესები გამოიყენება ბინის ქირავნობის დროს შუამავლობისას და რა შემთხვევაშია დაუშვებელი საბინაო მაკლერისთვის გასამრჯელოს გადახდა?
247. რა წესები გამოიყენება სასესხო მაკლერობის დროს?
248. როგორია სასესხო შუამავლობის ხელშეკრულების ფორმა?
249. რას გულისხმობს სასესხო მაკლერისთვის გასამრჯელოს გადახდის მოვალეობა?
250. რა წესები გამოიყენება სავაჭრო მაკლერის მიმართ?
251. რა არის ჯილდოს საჯაროდ დაპირება? (ჩამოაყალიბეთ სამართლებრივი დეფინიცია).
252. როგორ ხდება ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება?
253. რას გულისხმობს პრიზის დაწესება?
254. რას ნიშნავს საკონკურსო პირობებში ცვლილების შეტანის დაუშვებლობა?
255. როგორ ხდება კონკურსში გამარჯვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება?
256. რა ხდება როდესაც კონკურსში რამდენიმე პირი გაიმარჯვებს?
257. როგორ ხდება კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრების დაბრუნება?
258. განმარტეთ მიზარების ცნება.
259. მიზარების რა სახეები იცით და როგორ განისაზღვრება მიზარების საზღაური?
260. როგორია შემნახველის მოვალეობა უსასყიდლო მიზარებისას?
261. აქვს თუ არა შემნახველს უფლება, მიზარებისას, მიზარებული ნივთი გადასცეს მესამე პირს?
262. რა შემთხვევაში აქვს შემნახველს მიზარებული ნივთით სარგებლობის უფლება?
263. ვის ეკისრება მიზარებული ნივთის თვისებების გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება?
264. რა შემთხვევაში აქვს შემნახველს უფლება უკან წაიღოს მიზარებული ნივთი?
265. რა თავისებურება ახასიათებს გვაროვნული ნივთის მიზარებას?
266. აქვს თუ არა აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში შემნახველს უფლება გაყიდოს ნივთი, თუ აქვს მაშინ ჩამოთვალეთ ის მიზეზები, რის გამოც შეიძლება ამ ქმედების განხორციელება.
267. ჩამოთვალეთ სასაწყობო რეკვიზიტები.
268. განმარტეთ რას ნიშნავს ვარანტი?
269. როგორია შემნახველის პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც გაცემულია ინდოსირებული სასაწყობო მოწმობა?
270. რა სამართლებრივი შედეგი მოყვება სასაწყობო მოწმობის დაკარგვას?
271. რა არის საჭირო მიზარებული საქონლის დასაგირავებლად?
272. როგორ ხდება დამატებითი ვადის დანიშვნა საქონლის მიღებისას?
273. განმარტეთ რას ნიშნავს დაზღვევა?
274. რა შემთხვევებშია დაზღვევა სავალდებულო?
275. რა პუნქტებს უნდა მოიცავდეს სადაზღვევო მოწმობა? გთხოვთ ჩამოთვალოთ დეტალურად.

276. სადაზღვევო მოწმობის რა სახეები იცით?
277. რა შედეგები ახლავს სადაზღვევო მოწმობის დაკარგვას?
278. რა უფლებები აქვს დაზღვევის აგენტს?
279. საიდან აითვლება დაზღვევის დაწყების დრო?
280. რა მოვალეობები აკისრია დამზღვევს სავალდებულო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით?
281. ჩამოთვალეთ მიზეზები, რის გამოც შეიძლება მოიშალოს დაზღვევის ხელშეკრულება.
282. რა ვალდებულება ეკისრება დამზღვევს საფრთხის გაზრდისას?
283. განმარტეთ რას წარმოადგენს სადაზღვევო შენატანი.
284. რა შემთხვევებში არ არის სადაზღვევო შენატანი დროულად გადახდილი? გთხოვთ ჩამოთვალოთ შემთხვევები.
285. როგორ უნდა აანაზღაუროს ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი?
286. რა ფარგლებში ანაზღაურებს მზღვეველი ზიანს ?
287. რას წარმოადგენს სადაზღვევო შედარება ? გთხოვთ ახსნათ დეტალურად
288. ზიანის შემთხვევაში რა ფარგლებში უნდა გადაუხადოს მზღვეველმა დამზღვევს?
289. როგორ უნდა აანაზღაუროს ზიანი მზღვეველმა .თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე?
290. განმარტეთ ორმაგი დაზღვევა.
291. რა შემთხვევაშია ორმაგი დაზღვევა ბათილი?
292. რა შემთხვევაში თავისუფლდება მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან?(ზიანის დაზღვევა)
293. რა შემთხვევაში შეუძლია მზღვეველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან?
294. რა შემთხვევაში აგებს მზღვეველი პასუხს დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის?
295. როგორ ხორცილდება დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას?
296. ჩამოაყალიბეთ სხვა პირისა და დამზღვევის უფლებები დაზღვევის ხელშეკრულებაში .
297. რა ვალდებულება წარმოეშობა მზღვეველს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით?
298. რა შემთხვევაში თავისუფლდება მზღვეველი პასუხისმგებლობისაგან(სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა)?
299. ვის შეიძლება ეხებოდეს სიცოცხლის დაზღვევა?
300. რა არის აუცილებელი სხვისი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის?
301. როდის შეუძლია მზღვეველს მოშალოს სადაზღვევო ურთიერთობა(იმ შემთხვევაში ,თუკი სადაზღვევო შესატანები პერიოდულად არის გადასახდელი)?
302. რა შემთხვევაში თავისუფლდება მზღვეველი ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან(სიცოცხლის დაზღვევა)?
303. როდის და როგორ შეუძლია დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნა?
304. ჩამოაყალიბეთ დეტალურად იძულებითი აღსრულების შედეგები.
305. რა შემთხვევაში თავისუფლდება მზღვეველი პასუხისმგებლობისაგან?(უბედური შემთხვევის დაზღვევა)
306. რას გულისხმობს რეგრესის უფლების დაუშვებლობა?
307. რა ვალდებულებას კისრულობს საკრედიტო დაწესებულება ანგარიშსწორების ხელშეკრულებით?
308. რა შემთხვევაში შეიძლება განახორციელოს საკრედიტო დაწესებულებამ ოპერაციები ნაღდი ფულით?
309. რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს ანგარიშის მფლობელს მომსახურების ხარჯების გადახდა?
310. რა ვადებში უნდა მიაწოდოს საკრედიტო დაწესებულებამ ანგარიშის მფლობელს ინფორმაცია ანგარიშის შესახებ?
311. რის საფუძველზე ეკისრება საკრედიტო დაწესებულებას ვალდებულება ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის?
312. რა შემთხვევაში აქვს უფლება ანგარიშის მფლობელს გადარიცხვის დავალების გაუქმების და რა ვალდებულება წარმოეშობა ამის შედეგად საკრედიტო დაწესებულებას?
313. რას გულისხმობს საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და როდემდეა ეს მოვალეობა ძალაში?
314. რა შემთხვევაში და როგორ შეიძლება შეწყდეს საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება?

315. როგორ ხდება გადახდა ჩეკის საფუძველზე?
316. რა ქმედებას ახორციელებს კრედიტის გამცემი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე?
317. რა ტიპის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით?
318. რა ვალდებულება წარმოეშობა კრედიტის გამცემს, თუკი მას შეუძლია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა?
319. რას უნდა შეესაბამებოდეს პროცენტის ოდენობა?
320. რა უნდა განისაზღვროს საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას?
321. რის საფუძველზე უნდა განისაზღვროს წლიური საპროცენტო განაკვეთი, თუკი იგი არ არის საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული?
322. რა შემთხვევაში შეუძლია კრედიტის გამცემს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება?
323. როდის შეუძლია კრედიტის ამღებს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა? (იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტისათვის განსაზღვრულია მყარი საპროცენტო განაკვეთი)
324. როგორ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი კრედიტის ამღები მომხმარებელია და კრედიტი არაა უზრუნველყოფილი იპოთეკით?
325. რა შემთხვევაში აქვს კრედიტის გამცემს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?
326. რა უფლება და ვალდებულება წარმოეშობა საკრედიტო დაწესებულებას ფულადი თანხის შეტანის (ანაზღაურების) საფუძველზე?
327. როდის უნდა დაბრუნდეს ფულადი თანხა (ანაზღაურება), თუკი ვადა არ არის განსაზღვრული?
328. ვინ და რის შესახებ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მენაზღაურებს?
329. რა ვალდებულება წარმოეშობა გამხსნელ ბანკს აკრედიტივის საფუძველზე?
330. რა ვალდებულება წარმოეშობა ბანკს საინკასო დავალების საფუძველზე?
331. რას გულისხმობს საბანკო გარანტია?
332. რას გულისხმობს გარანტის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან?
333. შეიძლება თუ არა ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების დათმობა?
334. როდის შედის საბანკო გარანტია ძალაში?
335. რა ფორმით უნდა შედგეს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ?
336. რა ვალდებულება წარმოეშობა გარანტს ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ?
337. რა შემთხვევაში არ უნდა დააკმაყოფილოს გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა?
338. გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძველები?
339. რას გულისხმობს თავდებობა?
340. რა ფორმაა საჭირო თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის და რა შემთხვევაში არაა საჭირო ფორმის დაცვა?
341. რა განსაზღვრავს თავდების ვალდებულებას?
342. რა შემთხვევაში შეუძლია თავდებმა უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე?
343. რა შემთხვევაში შეიძლება წაეყენოს თავდებს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების შესახებ?
344. როგორ აგებს პასუხს თავდები, რომელმაც კრედიტორის წინაშე ივალდებულა პასუხისმგებლობა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაკისრი ვალდებულებისათვის?
345. ჩამოაყალიბეთ თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები?
346. აქვს თუ არა თავდებს უფლება წააყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი?
347. რა იწვევს თავდების პასუხისმგებლობის შემცირებას?
348. რა ვალდებულება წარმოეშობა კრედიტორს თავდების წინაშე, ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში?
349. რა ვადაში შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულება უვადო და ვადიანი თავდებობის დროს?
350. რა წარმოადგენს თავდებობისაგან გათავისუფლების საფუძველებს?
351. რა უფლება წარმოეშობა თავდებს კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ?
352. რას გულისხმობს კონტოკორენტის შეთანხმება?
353. როდის შეიძლება გაუქმდეს კონტოკორენტი?
354. რა შემთხვევაში შეუძლია კრედიტორს ანგარიშის დახურვის შემდეგაც მოითხოვოს დაკმაყოფილება თავის სასარგებლოდ არსებული სალდოს თანხისათვის?
355. ჩამოაყალიბეთ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ცნება?

356. რასთან დაკავშირებული შესაგებლის წარდგენა შეუძლია მფლობელის მიმართ დოკუმენტის გამომშვებს(ემიტენტს)?
357. როგორ გადადის დოკუმენტში მოცემული უფლება?
358. ჩამოაყალიბეთ ემიტენტის უფლებები და მოვალეობები?
359. ვის შეუძლია საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გაფორმება?
360. რა შემთხვევაში შეიძლება საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების გამოცვლა და ვის ეკისრება ამასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა?
361. რა ვალდებულება წარმოეშობა ემიტენტს ადრინდელი მფლობელის მიმართ, ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების პროცესში?
362. ხანდაზმულობის რა ვადა გამოიყენება ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნათა მიმართ?
363. ჩამოაყალიბეთ სავალო დოკუმენტის ცნება?
364. როგორ უნდა განხორციელდეს სავალო დოკუმენტზე ხელმოწერა?
365. როგორ ხორციელდება სავალო დოკუმენტში მოცემული უფლების გადაცემა?
366. ხანდაზმულობის რა ვადა გამოიყენება საორდერო სავალო დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით?
367. ჩამოაყალიბეთ პირადი ფასიანი ქაღალდის ცნება?
368. ჩამოაყალიბეთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ცნება?
369. რა ფორმით უნდა დაიდოს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება?
370. როგორ განისაზღვრება შესატანის ოდენობა, თუკი ხელშეკრულებით არ არის დადგენილი?
371. რა წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას?
372. რა შემთხვევაში დაიშვება მესამე პირისათვის წილის გადაცემა?
373. როგორ უძღვებიან ხელშეკრულების მონაწილეები ამხანაგობის საქმეებს?
374. რა შემთხვევაში შეიძლება ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს საქმეების მართვის უფლებამოსილება?
375. როგორ განისაზღვრება ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობა?
376. როგორ ხდება შემოსავლების განაწილება მონაწილეებს შორის?
377. რა ტიპის მოთხოვნების გადაცემა არის დაუშვებელი მესამე პირებისათვის?
378. როგორ აგებენ პასუხს ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის?
379. როდის შეუძლია ხელშეკრულების მონაწილეს ხელშეკრულებიდან გასვლა, თუკი ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას?
380. რა შემთხვევაში შეუძლია ხელშეკრულების მონაწილეს ხელშეკრულებიდან გასვლა, თუკი მონაწილეთა მიერ განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა?
381. ვადა?
382. რა შემთხვევაში არ იწვევს მონაწილის გასვლა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას და როგორ ხორციელდება ეს პროცესი?
383. ჩამოაყალიბეთ ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები?
384. როგორ ხორციელდება ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა?
385. რა ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას?
386. რა ფორმით უნდა დაიდოს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება?
387. როგორ განისაზღვრება სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა?
388. როგორ დგინდება სარჩოს გადახდის ვადები?
389. რა შემთხვევაში აქვს უფლება მარჩენალს გადაცემული ქონების გასხვისების და დაგირავების ან სხვაგვარად დატვირთვის?
390. ვის აქვს უფლება სამისდღეშიო სარჩო გახადოს საცილო?
391. ათავისუფლებს თუ არა მარჩენალს გადაცემული ქონების დალუპვა ან დაზიანება სარჩოს გადახდისაგან?
392. ვის და რა საფუძვლით შეუძლია უარი თქვას სამისდღეშიო ხელშეკრულებაზე?
393. ვისზე გადადის რჩენის ვალდებულება მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ?
394. წარმოშობს თუ არა მოთხოვნის უფლებას თამაშობა და სანაძლეო?
395. რა შემთხვევაში წარმოშობს ლატარიის ხელშეკრულება ვალდებულებას?

396. ჩამოაყალიბეთ საზიარო უფლების ცნება?
397. როგორ ნაწილდება უფლება ნაყოფზე მონაწილეთა შორის?
398. რა უფლებები გააჩნიათ მონაწილეებს საზიარო საგნის მიმართ?
399. როგორ მიიღება გადაწყვეტილებები საზიარო საგნის მართვისას?
400. როგორ ნაწილდება საზიარო საგნის მოვლის ხარჯები?
401. როდის და ვის შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა?
402. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეებს რაიმე ვადით გამორიცხული აქვთ საზიარო უფლების გაუქმება, როდის კარგავს ეს შეთანხმება ძალას?
403. როგორ ხორციელდება საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით?
404. როგორ ხორციელდება იმ მონაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც ემყარება საზიარო უფლებას, ამ უფლების გაუქმების შემთხვევაში?
405. როგორ აგებენ პასუხს საზიარო უფლების მონაწილეები, თუკი უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მონაწილეს?
406. ხანდაზმულობის რა ვადა გამოიყენება საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით?
407. რა ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომელიც დავალების გარეშე ახორციელებს საქმეებს?
408. ვინ უნდა აუნაზღაუროს ზიანი შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომლის აცილება არ წარმოადგენდა მის სამართლებრივ მოვალეობას?
409. როდის უნდა აცნობოს შემსრულებელმა მეპატრონეს საქმის დაწყების შესახებ და როდემდე უნდა გააგრძელოს მან ეს საქმიანობა?
410. რა შემთხვევაში არა აქვს შემსრულებელს უფლება გაწეული ხარჯების მოთხოვნის?
411. ჩამოაყალიბეთ ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები?
412. რა შემთხვევაში შეუძლია პირს გადაცემული ქონების გამოთხოვა?
413. რა შემთხვევაშია შეუძლებელი გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა?
414. ჩამოაყალიბეთ უკან დაბრუნების ფარგლები?
415. რა შემთხვევაში წარმოეშობა მიმღებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება?
416. რა შემთხვევაში შეუძლია უფლებამოსილ პირს ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება?
417. რა წარმოადგენს ხელმყოფის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს?
418. რისი მოთხოვნის უფლება წარმოეშობა პირს, რომელმაც შეგნებულად თუ შეცდომით ხარჯები გასწია სხვის ქონებაზე და რა შემთხვევაშია ეს მოთხოვნა გამორიცხული?
419. დაწვრილებით ჩამოაყალიბეთ ვითომ-კრედიტორზე მითითებით შესრულების შედეგები?
420. რა ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომელმაც არაუფლებამოსილი პირისაგან უსასყიდლოდ მიიღო რაიმე საგანი?
421. რას ნიშნავს საზიარო უფლებები?
422. როგორ ხორციელდება საზიარო საგნის მართვა და რა უფლებები აქვს თითოეულ მონაწილეს ნაყოფზე?
423. როგორ მიიღება გადაწყვეტილება საზიარო საგნის მართვის შესახებ და როგორ გამოითვლება ხმების უმრავლესობა?
424. როგორ ხორციელდება საზიარო საგნის მართვა უფლებამონაცვლე პირის მხრიდან?
425. როგორ ხდება საზიარო საგნის განკარგვა და აქვთ თუ არა საგნის გაყიდვის შემთხვევაში მონაწილეებს უპირატესი შესყიდვის უფლება?
426. ვის ეკისრება საზიარო საგნის მოვლის ხარჯები?
427. დეტალურად აღწერეთ როგორ ხდება საზიარო უფლების გაუქმება.
428. რისი მოთხოვნის უფლება აქვთ საზიარო უფლების მონაწილე სოლიდარულ მოვალეებს?
429. როგორ ხდება საზიარო უფლებების თანამონაწილეთა მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება?
430. როგორია მონაწილეთა პასუხისმგებლობა საზიარო უფლების გაუქმებისას?
431. ვრცელდება თუ არა ხანდაზმულობა საზიარო უფლებებზე?
432. რა შემთხვევაში უნდა აუნაზღაუროდეს ზიანი შემსრულებელს და ვის ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დავალების გარეშე სხვისი სამუშაოს შესრულებისას?

433. რა ვალდებულება აკისრია, დავალების გარეშე ხვისი სამუშაოს შესრულებისას, შემსრულებელს მეპატრონის მიმართ?
434. რისი მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს დავალების გარეშე შერულებული სამუშაოსათვის?
435. რა შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს პირმა შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნება ვითომ-კრედიტორისაგან? (ჩამოთვალეთ მოთხოვნის საფუძვლები).
436. რა შემთხვევაში არ შეუძლია შემსრულებელს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება?
437. როდის არის გამორიცხული გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებისას? (ჩამოთვალეთ საფუძვლები).
438. უსაფუძვლო გამდიდრებისას, როგორ ხორციელდება იძულების, ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნება?
439. როგორია უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები? (აღწერეთ დეტალურად).
440. ჩამოაყალიბეთ ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი უსაფუძვლო .
441. როგორია მიმღების მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება? რა შემთხვევაშია პირი ვალდებული ანაზღაუროს ზიანი? გთხოვთ აღწეროთ დეტალურად.
442. როგორია სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები?
443. აქვს თუ არა არაუფლებამოსილ პირს უფლება დაიტოვოს შესრულება?
444. რა შემთხვევაში თავისუფლდება ხელმყოფი პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გამდიდრებისას?
445. რა შემთხვევაში აქვს ხელმყოფს მოგების მოთხოვნის უფლება უსაფუძვლო გამდიდრებისას და რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს მან ამისათვის?
446. რა შემთხვევაში გამოირიცხება შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურება სხვა პირის ქონებაზე? (ჩამოთვალეთ მიზეზები).
447. როგორია ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები?
448. აკისრია თუ არა მესამე პირს ვალდებულება უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული შესრულება?
449. როგორია არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები?
450. რა ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა?
451. განმარტეთ რას ნიშნავს დელიქტური ვალდებულებანი?
452. როგორია ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები? ასევე, აღნიშნეთ შემთხვევა, როდესაც არ წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.
453. როგორია არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიუყენებელი ზიანისათვის?
454. ეკისრება თუ არა სულით ავადმყოფს ან ჭკუასუსტს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება?
455. ვის ეკისრება ვალდებულება ანაზღაუროს ჭკუასუსტის მიერ მიყენებული ზიანი?
456. რა შემთხვევაში აგებს პასუხს დროებით სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი ზიანის მიყენებისათვის?
457. როგორია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება?
458. როგორია სოლიდარული პასუხისმგებლობა ზიანის მიყენებისას?
459. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისათვის?
460. რა შემთხვევაში არ აგებს პასუხს ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მიყენებული ზიანისათვის?
461. როგორია პასუხისმგებლობა, ნაგებობებიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის? (გთხოვთ აღწეროთ დეტალურად).
462. ვინ უნდა აანაზღაუროს ხანძრის ჩაქრობის დროს სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი?
463. ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან წინასწარ გათავისუფლებას?
464. როგორია ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ვის ეკისრება ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება?
465. ვის ეკისრება შენობის ნგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება? (აღწერეთ დეტალურად).
466. როგორია სახემწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის? (აღწერეთ დეტალურად).
467. როგორია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ?

468. როგორია სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება?
469. ხანდაზმულობის რა ვადაა დაწესებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე? რა დროიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადა?
470. რა შემთხვევაში არ აგებს პასუხს უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი? გთხოვთ ჩამოთვალოთ თითოეული შემთხვევა.
471. რა შემთხვევაში მცირდება მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ოდენობა?
472. განმარტეთ უხარისხო პროდუქტის ცნება.
473. რა მიიჩნევა მოქმედი კანონმდებლობით პროდუქტად?
474. ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის?
475. როგორია უხარისხო პროდუქტის მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა?
476. რა არის პატენტი?
477. რა არის გამოგონება?
478. რა არის სასარგებლო მოდელი?
479. რაზე გაიცემა პატენტი?
480. როგორ გამოგონებას იცავს პატენტი?
481. როგორ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე არ გაიცემა პატენტი?
482. როგორ სასარგებლო მოდელს იცავს პატენტი?
483. რა არის პრიორიტეტი?
484. რა არის საპატენტო უფლებები?
485. როგორ შეიძლება განვკარგოთ საპატენტო უფლებები?
486. იზღუდება თუ არა საპატენტო უფლებები?
487. როგორია საპატენტო უფლებების მოქმედების ვადა და ტერიტორია?
488. ვის აქვს გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე პატენტის მიღების უფლება?
489. რა არის საჭირო საქართველოში გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად?
490. რას უნდა შეიცავდეს განაცხადი გამოგონებაზე?
491. რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?
492. რა პროცედურებს ითვალისწინებს პატენტის გაცემა?
493. როდის გამოაქვს "საპატენტს" უარყოფითი გადაწყვეტილება გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე?
494. რისი უფლება აქვს განმცხადებელს?
495. რა თარიღით ხდება გამოგონების პრიორიტეტის დადგენა?
496. რა საფუძვლებით შეიძლება გაუქმდეს პატენტი?
497. რა საფასურების გადახდაა საჭირო გამოგონებაზე პატენტის მისაღებად და შესანარჩუნებლად?
498. როგორ უნდა დააპატენტოს საქართველოს მოქალაქემ თავისი გამოგონება საზღვარგარეთ?
499. რა არეგულირებს პატენტებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში?
500. რა არის პატენტი სამრეწველო ნიმუშზე?
501. რა არის სამრეწველო ნიმუში?
502. როგორი სახის შეიძლება იყოს სამრეწველო ნიმუში?
503. როგორი სამრეწველო ნიმუშის დაცვა შეიძლება პატენტით?
504. როგორ სამრეწველო ნიმუშებზე არ გაიცემა პატენტი?
505. რა განსაზღვრავს სამრეწველო ნიმუშის დაცვის ფარგლებს?
506. რა არის პრიორიტეტი?
507. რა არის საპატენტო უფლებები?
508. როგორ შეიძლება განვკარგოთ საპატენტო უფლებები?
509. არსებობს თუ არა საპატენტო უფლებების რაიმე შეზღუდვა?
510. როგორია საპატენტო უფლებების მოქმედების ვადა და არეალი?
511. ვის აქვს სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მიღების უფლება?
512. რა არის საჭირო საქართველოში სამრეწველო ნიმუშის პატენტის მისაღებად?
513. რას უნდა შეიცავდეს განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მისაღებად?
514. როგორი უნდა იყოს გამოსახულება?
515. რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?

516. რა პროცედურებს ითვალისწინებს პატენტის გაცემა?
517. რისი უფლება აქვს განმცხადებელს?
518. რა თარიღით ხდება სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტის დადგენა?
519. რა არის პატენტის გაუქმების საფუძველი?
520. რა საფასურები უნდა იქნეს გადახდილი სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მისაღებად და შესანარჩუნებლად?
521. როგორ უნდა დააპატენტოს საქართველოს მოქალაქემ თავისი სამრეწველო ნიმუში საზღვარგარეთ?
522. რა არეგულირებს პატენტებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში?
523. რა არის სასაქონლო ნიშანი?
524. რა დანიშნულება აქვს სასაქონლო ნიშანს?
525. არსებობს თუ არა ნიშნების სხვა კატეგორიაც?
526. რის საფუძველზე ხორციელდება სასაქონლო ნიშნების დაცვა?
527. რა სახისა შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი?
528. რა უპირატესობა აქვს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს?
529. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციისათვის?
530. როგორი ნიშნები მიიჩნევა არასაკმარისი განმასხვავებლობის მქონე ნიშნებად?
531. როგორი ნიშნები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს?
532. როგორია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კრიტერიუმები?
533. რა არის პრიორიტეტი?
534. რა უფლება-მოვალეობანი გააჩნია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს?
535. რა ითვლება სასაქონლო ნიშნის გამოყენებად?
536. რა იგულისხმება უწყვეტ და სათანადო გამოყენებაში?
537. როგორია განსაკუთრებული უფლებების ფარგლები?
538. როგორ ხდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში?
539. რა არის განაცხადი?
540. როგორ ფორმდება განაცხადი?
541. რა საბუთები უნდა ახლდეს განაცხადს?
542. რა უფლებები აქვს განმცხადებელს?
543. რა ქმედებები ხორციელდება განაცხადზე?
544. როდის ხდება ნიშნის რეგისტრაცია?
545. რა ვადით ხდება ნიშნის რეგისტრაცია?
546. როგორ უნდა დაარეგისტრიროს საქართველოს მოქალაქემ თავისი ნიშანი საზღვარგარეთ?
547. რა აწესრიგებს სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში?
548. რა არის საავტორო უფლებები?
549. რას იცავს საავტორო უფლებებით?
550. რა მოთხოვნები წაყენება ნაწარმოებს, რათა მასზე გავრცელდეს საავტორო უფლებები?
551. რა სახის ნაწარმოებებზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები?
552. რაზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები?
553. რა არის საჭირო საავტორო უფლებების წარმოშობისთვის?
554. შესაძლებელია თუ არა ნაწარმოების დეპონირება საქართველოში და რას ისახავს ეს მიზნად?
555. ვინ შეიძლება იყოს საავტორო უფლებების მფლობელი?
556. რა უფლებები აქვს ავტორს?
557. რა თავისებურებებით გამოირჩევა კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის ავტორის უფლებები?
558. რას ნიშნავს "Droit de suit" უფლება?
559. არსებობს თუ არა საავტორო უფლებების რაიმე შეზღუდვა ან გამონაკლისი?
560. როგორია საავტორო უფლებების მოქმედების ვადა?
561. როგორ შეიძლება განკარგოს ავტორმა თავისი უფლებები?
562. როგორ ხდება ავტორებისათვის ჰონორარის შეგროვება?
563. რა არის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაცია?
564. რა დაიცემა მომიჯნავე უფლებებით?

შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის